

ჰ. რ. რ.

ბოლკინი

სილმარილიონი



ჯონ რონალდ რუელ ტოლკინი

სიღმარაღიონი

ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ

წინასიტყვაობა

«სილმარილიონი», რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ გამოიცემა, სამყაროს ადრეული დღეების, ანუ პირველი ეპოქის მატიანეა. «ბეჭდების მბრძანებელში» მესამე ეპოქის დასასრულის დიდი მოვლენებია აღწერილი; აი, «სილმარილიონში» მოთხრობილი ამბები კი ლეგენდებია იმ უხსოვარი წარსულისა, როცა მორგოთი, პირველი ბნელი მეუფე, შუახმელეთში სახლობდა და მოპარული სილმარილების დასაბრუნებლად მას უზუნაესი ელფები ეომებოდნენ.

«სილმარილიონი» არა მხოლოდ «ბეჭდების მბრძანებელზე» ადრეულ მოვლენებს აღწერს, თავად ნაწარმოებიც ამ უკანასკნელზე ბევრად ადრე ჩაისახა. შეიძლება ითქვას, ის უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნისაა, თუმცა, თავიდან «სილმარილიონი» არ რქმევია. თავდაპირველი, მითოლოგიის უმნიშვნელოვანესი თქმულებების ფანქრით ნაჩქარევად ჩაწერილი ვარიანტების წაკითხვა 1917 წლის გაცვეთილ უბის წიგნაკებსა და რვეულებშია შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ «სილმარილიონი» არასოდეს გამოცემულა (თუმცა, «ბეჭდების მბრძანებელში» მის შინაარსზე გარკვეულ მინიშნებებს ამოიკითხავთ), მამაჩემი მთელი ცხოვრება, სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც აგრძელებდა მასზე მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში «სილმარილიონის» გრძელი, ნარატიული სტრუქტურა დიდად არ შეცვლილა. ის თავიდანვე იქცა იმ მყარ საფუძვლად, რომელზეც შედარებით გვიანდელი ნაწერები აიგო. იმავდროულად, რასაკვირველია, ტექსტი უცვლელი არ დარჩენილა; იცვლებოდა ნაწარმოებში ასახული სამყაროს არსთან დაკავშირებული ფუნდამენტური იდეები; ზოგიერთი გრძელი ლეგენდა დამოკლდა ან პირიქით, ხოლო ზოგიერთის თხრობის სტილი სრულებით გადასხვაფერდა. დროთა განმავლობაში ამ მუდმივი ცვლილებების შედეგად ერთი და იმავე ლეგენდების უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი დეტალებით განსხვავებული ვარიანტები იმდენად კომპლექსური, ჩახლართული და მრავალმრიანი გახდა, რომ მათ შორის საბოლოო ვარიანტის არჩევა

თითქმის შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, ძველი ლეგენდები («ძველი» არა მხოლოდ იმით, რომ შორეული პირველი ეპოქის მოვლენებს აღწერს, არამედ მამაჩემის ასაკის გათვალისწინებითაც) მამაჩემის ღრმა ნააზრევის გადმოცემის საშუალებად და საჭურჭლედ იქცა. მის გვიანდელ ნაშრომებში მითოლოგიამ და პოეზიამ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ გატაცებებს დაუთმო ადგილი: შედეგად წარმოიშვა სტილისტიკური შეუთავსებლობები.

მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ნაწარმოების გამოსაცემად მომზადება მე დამეკისრა. ჩემთვის თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ამ მრავალფეროვანი მასალის ერთ წიგნში მოქცევა და «სილმარილიონის» წარმოჩენა იმად, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს, ანუ ნაწარმოებად, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა და იზრდებოდა, მხოლოდ დაბნეულობას გამოიწვევდა და ამას მისი ძირითადი, უმნიშვნელოვანესი იდეები შეეწირებოდა. ამიტომ მიზნად დავისახე მასალის შერჩევა და დაწყობა იმგვარად, რომ მაქსიმალურად ლოგიკური და შინაგანად თანამიმდევრული ტექსტი მიმეღო. დასკვნითმა, ტურინ ტურამბარის სიკვდილის შემდგომმა თავებმა მუშაობისას განსაკუთრებული სირთულე შემიქმნა. საქმე ისაა, რომ ამ თავებმა მრავალი წლის წინ მიიღო დასრულებული ფორმა და სრულიად არ შეესაბამებოდა ნაწარმოების სხვა, გაცილებით უკეთ დამუშავებულ მონაკვეთებს.

სრული შეთანხმების (გნებავთ, «სილმარილიონის» თავებსა ან თავად «სილმარილიონისა» და მამაჩემის სხვა გამოცემულ ნაწარმოებებს შორის) მიღწევა თითქმის შეუძლებელია და მასზე დროისა და შრომის დახარჯვა არც ღირს. თანაც, მამაჩემისთვის «სილმარილიონი» იყო კრებული, ერთგვარი კომპენდიუმი იმ მრავალფეროვანი მასალისა (პოემებისა, ისტორიული ქრონიკებისა თუ ზეპირსიტყვიერი თქმულებებისა), რომელიც დროის მსვლელობას გადაურჩა და შორეული წარსულიდან ჩვენამდე მოაღწია. «სილმარილიონის» ნამდვილ ისტორიასთანაც შეიძლება პარალელების გავლება, რადგან ნაწარმოებს დიდწილად მამაჩემის ადრეულ წლებში შეთხზული პროზა და პოეზია უღევს საფუძ-

ვლად. გარკვეული თვალსაზრისით, ის მართლაც კომპენდიუმი. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ თხრობის ტემპისა და სხვადასხვა თავის დეტალთა სიუხვით განსხვავებულობა, მაგალითად, კონტრასტი ტურინ ტურამბარის ლეგენდაში მოტივებისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობების წვრილად აღწერასა და პირველი ეპოქის დასასრულის (როცა თანგოროდრიმი დაანგრის და მორგოთი დაამხეს) შედარებით მწირ და ლაკონურ ქრონიკებს შორის. ამასვე უნდა მივაწეროთ სტილისტიკური თუ მხატვრული შეუსაბამობები და აქა-იქ აზრობრივი დაუკავშირებლობაც. მაგალითად, «ვალაქუნტას» შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ის გვიანდელ წლებშია გადამუშავებული; ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ტექსტში, რომელიც ასახავს ელდართა ვალინორში ცხოვრების შორეულ დღეებს, გრამატიკული დროები და თვალთახედვები მუდმივად იცვლება – ღვთიური ძალები ხან ისევ ჩვენს სამყაროში არსებობენ და მოქმედებენ, ხანაც დიდი ხნის წინ გამქრალ და მხოლოდ ლეგენდებსა თუ თქმულებებში დარჩენილ ორდენად გვევლინებიან.

წიგნი, რომელსაც სამართლიანად ჰქვია «სილმარილიონი», არა მხოლოდ «ქუნტა სილმარილიონს», ანუ საკუთრივ «სილმარილიონს» შეიცავს, არამედ კიდევ ოთხ მოკლე ნაწარმოებს. წიგნის დასაწყისში მოცემული «აინუდინდალე» და «ვალაქუნტა» «სილმარილიონთან» მჭიდროდაა დაკავშირებული, ხოლო «აკალაბეთი» და «ძალაუფლების ბეჭდები» (რომლებითაც წიგნი სრულდება) მისგან დამოუკიდებელი და სრულიად განცალკევებული ნაწარმოებებია. ეს უკანასკნელნი წიგნში მამაჩემის აშკარა განზრახვის თანახმად ჩავამატეთ. ამგვარად, ამბავი იწყება აინურთა მუსიკით, რომლითაც სამყარო შეიქმნა და სრულდება მესამე ეპოქის მიწურულს ბეჭდის მცველთა მითლონდის ნავსაყუდლებიდან გამგზავრებით.

წიგნში უამრავი სახელი გხვდება. პირველი ეპოქის მნიშვნელოვანი პიროვნებების (ელფებისა და ადამიანების) რაოდენობა ბევრად მცირეა და ყველას გენეალოგიურ ცხრილებში იპოვით. წიგნს აგრეთვე ერთვის ელფური სახელების მნიშვნელობებისა და მათი შემადგენელი ნაწილე-

ბის ნუსხა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის დიდი მთაგრეხილი ერედ ლუინი, იგივე ერედ ლინდონი, ანუ ლურჯი მთები, «ბეჭდების მბრძანებლის» რუკაზე უკიდურეს დასავლეთშია გამოსახული. წიგნის შუაში ჩართულია შედარებით მომცრო რუკაც, რომელიც გვიჩვენებს, თუ სად მდებარეობდა ელფთა სამეფოები ნოლდორთა შუახმელეთში დაბრუნების შემდეგ. წიგნი დამატებითი კომენტარებითა თუ შენიშვნებით არ დამიმძიმებია. შუახმელეთის სამი ეპოქის შესახებ ზღვა ლინგვისტური, ნარატიული, ისტორიული თუ ფილოსოფიური მასალაა დაგროვილი და ვიმედოვნებ, მომავალში ნაწილის გამოქვეყნებას მაინც მოვახერხებ.

ამ ნაწარმოების ტექსტის წიგნად გამოსაცემად მომზადების რთულ და საეჭვო საქმეში დიდი დახმარება გამიწია გაი კეიმ, რომელიც 1974-1975 წლებში ჩემთან თანამშრომლობდა.

ქრისტოფერ ტოლკინი

1977

აინულინდალე

აინურთა მუსიკა

იყო ერთი, ერთიანი, რომელსაც არდაში ილუვატარს უწოდებენ. პირველად შექმნა აინურნი, წმიდანნი, ნაყოფნი თავის განზრახვათა; ისინი მასთან იყვნენ, ვიდრე რამე შეიქმნებოდა. დაელაპარაკა და მისცა მათ მრავალი თემა მუსიკის შესათხზავად; ამდერდნენ აინურნი და სიხარულით აღივსო ილუვატარი. თუმცა, დიდხანს ოდენ თითო-თითოდ ან ცოტანი მდეროდნენ აინურნი, სხვანი კი უსმენდნენ. რამეთუ თითოეული მხოლოდ იმ ნაწილს ხვდებოდა ილუვატარის განზრახვისა, რომლისგანაც თავად იშვა. და ამგვარად, საკუთარი ძმებისთვის ყურისგდებით, ყოველი მათგანი ნელ-ნელა იზრდებოდა. თანდათან, რაც უფრო მეტს იგებდნენ აინურნი, მით უფრო ხმაშეწყობილად და ჰარმონიულად მდეროდნენ.

და, აჰა, უხმო ილუვატარმა ყოველ აინუს და მისცა მათ დიდებული თემა; უჩვენა იმაზე უფრო საოცარი და უჩვეულო რამეები, ვიდრე მანამდე გაემხილა მათთვის. თემის დიდებულმა დასაწყისმა და ბრწყინვალე დასასრულმა განაცვიფრა აინურნი; ილუვატარს მდაბლად დაუკრეს თავი და დადუმდნენ.

და უთხრა მათ ილუვატარმა: «მოგეცით თემა, რათა იმდეროთ ხმაშეწყობილად და შექმნათ მუსიკა დიდი. და ვინაიდან აღგანთეთ ცეცხლით ჩაუქრობელით, წარმოაჩენთ ძალასა თქვენსა და უკეთუ ისურვებთ, განავრცობთ თემას, ყველა თქვენებურად, ვითარცა ძალგიძთ. ხოლო მე დაჯდები და გისმენთ და ვიხარებ, რამეთუ თქვენის მეშვეობით, სიმდერასა შინა უდიდესი სილამაზე აღმოცენდება».

და ვითარცა ურიცხვი ქორო, ამდერდნენ აინურნი, არფისა თუ ბარბითის, სტვირისა თუ საყვირის, ვიოლინოსა თუ ორგანის ხმაზე და განავრცეს ილუვატარის თემა. გაისმა დაუსრულებელი მუსიკა, ჰარმონიულად გადაქსოვილი მულოდიები ერთმანეთს ენაცვლებოდა და სცდებოდა სმენაუწყვდომელ სიღრმეებსა და სიმაღლეებსა და ილუვატარის სამ-

ყოფლებს. სიმღერის ექო სიცარიელეს მისწვდა და უმალ არაცარიელ იქმნა იგი. მას შემდეგ აღარასოდეს უმღერიათ ასეთი ბრწყინვალე სიმღერა აინურთ; თუმცა, ნათქვამია, რომ ქვეყნიერების აღსასრულის შემდეგ აინურნი და ილუვატარის შვილთა გუნდი უფრო დიდებულ სიმღერას იმღერებენ ილუვატარის წინაშე. მაშინ ყველა ზუსტად შეასრულებს სიმღერას და ილუვატარის თემა საბოლოო არსს შეიძენს, ვინაიდან ყველა შეიტყობს მის ნამდვილ განზრახვათ, თითოეული თითოეულის აზრს ჩასწვდება, ხოლო ნასიამოვნები ილუვატარი საიდუმლო ცეცხლით ააგიზგიზებს მათ ფიქრებს.

მანამდე კი ილუვატარი იჯდა და ისმენდა, თავიდან სიმღერით ტკბებოდა, რამეთუ უზადო იყო და წუნს ვერ ამჩნევდა. მაგრამ თანდათან, რაც უფრო ვითარდებოდა თემა, მელკორმა მასში საკუთარი წარმოსახვის ნაყოფის ჩაქსოვება დაიწყო, ხოლო ეს ილუვატარის თემას სრულებით არ შეესაბამებოდა; რამეთუ

მელკორი მისთვის განკუთვნილი თემის ნაწილისთვის განსხვავებული მნიშვნელობისა და დიდების მინიჭებას ცდილობდა. მელკორს აინურთაგან ყველაზე ჭარბად მიენიჭა ძალა და ცოდნა; ის საკუთარი ძმების ყოველ ნიჭს იზიარებდა. ხშირად დასეირნობდა ცარიელ სივრცეებში და ჩაუქრობელ ცეცხლს ეძებდა; რამეთუ მის გულში ძლიერდებოდა სურვილი, საკუთარი შემოქმედებისთვის სიცოცხლე შთაებერა; ეჩვენებოდა, რომ ილუვატარი სიცარიელეს ყურადღებას არ აქცევდა და მისთვის არსის შექმნას არ ჩქარობდა. თუმცა, ჩაუქრობელ ცეცხლს ვერსად მიაგნო, რამეთუ ცეცხლი მარად ილუვატართანაა. ხოლო ეული სეირნობებისას მის გონებაში საკუთარი განზრახვები გაჩნდა, განსხვავებული თავის ძმათა განზრახვებისგან.

ნაწილი ამ აზრებისა სიმღერაში ჩააქსოვა, რითაც უმალ არაკეთილხმოვან იქმნა მუსიკა, მის გვერდით მდგომი ძმები დაღონდნენ, აზრი გაეფანტათ და სიმღერა შეფერხდა. ზოგიერთმა მუსიკისთვის თანახმიერების მისანიჭებლად თავდაპირველ განზრახვაზე უარი თქვა და მელკორის სიმღერას აჰყვა. მელკორის არაკეთილხმოვანება შორს გა-

რცელდა და უწინდელი მელოდია მღელვარე ზღვის გრუხუნად იქცა. ილუვატარი იჯდა და ისმენდა, სანამ მისი ტახტის ირგვლივ თითქოს ქე-ქა-ქუხილი არ ატყდა და დაუცხრომელი, მქუხარე ზღვა არ აზვირთდა.

მაშინ წამოდგა ილუვატარი. აინურებმა შეამჩნიეს, რომ ის ილიმებო-და. მან მარჯვენა ასწია და ქექა-ქუხილში ისევ ახალი სიმღერა გაისმა; თითქოს კვლავ იმავე თემას მღეროდნენ, მაგრამ მუსიკა სხვანაირად ჟღერდა. სიმღერა ძალასა და ახლებურ სილამაზეს იძენდა. მაშინ მელ-კორის არაკეთილხმოვანება ისევ, უფრო ხმამაღლა გაისმა და ილუვატა-რის თემას დაუპირისპირდა. უფრო მძულვარე ხმაური ატყდა, მრავალი აინუ დაიბნა და ბევრმა სიმღერა შეწყვიტა, მელკორმა თემა სათავისოდ გარდაქმნა. ისევ წამოდგა ილუვატარი, ამჯერად მკაცრი გამომეტყველე-ბა ჰქონდა. მარჯვენა ხელი ასწია და, აჰა, ამ ხმაურში გაისმა მესამე მუ-სიკა, ერთი მოსმენით, წინა ორისგან სრულიად განსხვავებული, ნაზი და ტკბილი, წყლის ჩუხჩუხივით უბრალო, მაგრამ დაუცხრომელი ჰანგები, რომელიც ძალასა და სიღრმეს იძენდა. ილუვატარის ტახტის წინაშე ორი სრულიად შეუსაბამო სიმღერა ერთდროულად ისმოდა: პირველი ღრმა, მომხიბლავი, ვრცელი, თუმცა, იმავდროულად, ნელი და უსაზ-ღვროდ ნაღვლიანი გახლდათ. სწორედ ეს იყო სიმღერის მომხიბვლე-ლობის ძირითადი წყარო. მეორე – მართალია, უკვე თვითმყოფადი, მაგ-რამ ხმამაღალი, უშინაარსო და ერთფეროვანი; არ იყო მასში არანაირი თანხმიანობა, თითქოს უამრავი საყვირი რამდენიმე ნოტის შეწყობას ამაოდ ცდილობსო, მხოლოდ გამაყრუებელი ხმაური ისმოდა. მეორე, მძულვარე და ხმაურიანი მელოდია პირველის ჩანთქმას ცდილობდა, მაგრამ სინამდვილეში თვით ყველაზე ტრიუმფულ ნოტებს პირველი მე-ლოდია ისრუტავდა და თავის საზეიმო თემაში აქსოვდა.

შუა ორთაბრძოლის ჟამს, როცა ილუვატარის სასახლის კედლები ხმაურისგან ირყეოდა და უწინ მტკიცედ მდგარ მღუმარებას ჟრუანტელი უვლიდა, განრისხებული ილუვატარი მესამედ წამოდგა. ამჯერად ორი-ვე ხელი აღმართა და უფსკრულივით ღრმა, ცის მყარზე უმაღლეს, ილუ-ვატარის მზერასავით გამჭოლ ერთ აკორდში მუსიკა შეწყდა.

და თქვა ილუვატარმა: «ძღვევამოსილნი არიან აინურნი და მათ შორის ყველაზე ძღვევამოსილი არს მელკორი! მაგრამ მან და ყოველმა აინუმ უნდა იცოდეს, რომ მე ილუვატარი ვარ. ყველას გიჩვენებთ, რასაც მღეროდით და თავად ნახავთ, რა შექმნა ნამღერმა თქვენმა. შენ კი, მელკორ, მიხვდები, რომ არა არს თემა, რომელიც ჩემგან არ გამომდინარეობს და ვერც ვერავინ შეცვლის მუსიკას ჩემდა დაუკითხავად. ის, ვინც ამას ლამობს, თავისდა უნებურად, ჩემს იარაღად იქცევა თავისთვისვე წარმოუდგენელი, უფრო ბრწყინვალე ჩანაფიქრების აღსასრულებლად».

დაფრთხნენ აინურნი; ჯერ ვერ სწვდებოდნენ მათთვის ნათქვამი სიტყვების არსს. მელკორი სირცხვილის გრძნობამ მოიცვა, სირცხვილმა კი გულში ფარული ბრაზი მოჰგვარა.

წამოდგა დიადი ილუვატარი და დატოვა მშვენიერი მხარე, რომელიც აინურებისთვის შექმნა. აინურნი უკან გაჰყვნენ.

და როს შევიდნენ სიცარიელეში, უთხრა მათ ილუვატარმა: «იხილეთ მუსიკა თქვენი!» და დაანახვა ის, რაც მანამდე მხოლოდ ესმოდათ. და იხილეს აინურებმა ახალი ქვეყნიერება, სიცარიელეში ბურთივით დაკიდებული, მაგრამ ამ სიცარიელისგან შეუქმნელი. ვიდრე აინურნი უყურებდნენ და უკვირდათ, მათ თვალწინ ქვეყნიერების ისტორია გადაიშალა, სამყარო თითქოს მათ თვალწინ ცოცხლდებოდა და იზრდებოდა.

და უთხრა ილუვატარმა მდუმარე აინურთ: «იხილეთ მუსიკა თქვენი! ესე არს ნამღერი თქვენი. ყოველი თქვენგანი მასში, თქვენთვის ნაჩვენებ ჩემს განზრახვაში საკუთარ ნაფიქრს ან დამატებულს აღმოაჩენს. ხოლო შენ, მელკორ, იხილავ ყოველ საიდუმლო ნააზრევს შენსას და მიხვდები, რომ ოდენ ერთი დიდებული მთლიანობის მცირე ნაწილია ისინი».

კიდევ ბევრი რამ უამბო ილუვატარმა აინურთ. სწორედ მისი ნაამბობისა და მუსიკის შეთხზვიდან მიღებული ცოდნის გამო, აინურთ უწყიან, რა იყო, რა არის და რა იქნება. ოდენ მცირედია მათგან დაფარული. მაგრამ ზოგ რამეს ისინი ვერ ჰვრეტენ, ვერც უულად და ვერც ერთად ბჭო-

ბით. რამეთუ ილუვატარს სრულად არავისთვის გაუმხელია საკუთარი განზრახვა და ყოველ ხანაში ახალი და წინასწარგანუჭვრეტელი რამ ხდება, რასაც სათავე წარსულში არ აუღია.

და ამიტომ, როცა აინურთა წინაშე ქვეყნიერება გადაიშალა, მასში ისეთი რამეებიც აღმოაჩინეს, რაზეც მათ არ უმღერიათ. განცვიფრებულნი ადევნებდნენ თვალს ილუვატარის შვილთა გამოჩენას და მათთვის გამზადებულ ადგილებში დასახლებას; მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ სწორედ მუსიკის შეთხზვისას შექმნეს ეს სამოსახლოები, ოღონდ მანამდე ეგონათ, ოდენ საკუთარ ლამაზ ნააზრევს ასხამდნენ ხორცს. რამეთუ ილუვატარის შვილებზე არავინ არაფერი უწყოდა, გარდა თავად ილუვატარისა; ისინი მესამე თემის მღერისას გაჩნდნენ და ილუვატარისგან შეთავაზებულ პირველ თემაში ჩაფიქრებულები არ ყოფილან. მათ შექმნაში არც ერთ აინუს წვლილი არ შეუტანია. როცა აინურებმა ილუვატარის შვილები

იხილეს, ძლიერ შეიყვარეს ისინი, მათგან სრულიად განსხვავებულები, უცნაურები, ლაღები და თავისუფლები, ილუვატარის გონების ახლებური ანარეკლები; მათი წყალობით ისეთი რამეები შეიტყვეს ილუვატარზე, რაც სხვა შემთხვევაში აინურთაგანაც დაფარული იქნებოდა.

ილუვატარის შვილნი არიან ელფნი და კაცნი, პირველშობილნი და მომდევნონი. ქვეყნიერების ყოველ საოცრებას, ვრცელ დარბაზებსა და სივრცეებს, წრეზე მბრუნავ ცეცხლოვან თაღებს შორის ილუვატარმა ისინი უხსოვარ დროს ურიცხვი ვარსკვლავის შუაგულში დაასახლა. ეს ადგილი, ერთი შეხედვით, უბრალო და გამოურჩეველია მათთვის, ვისაც მხოლოდ აინურთა დიდებულება ხიბლავს და არა – მათი სიბასრე: აინურთათვის ხომ არდა ოდენ საძირკველია სვეტისა, რომლის წვერიც ნემსივით წვრილი უნდა იყოს; ან მათთვის, ვისთვისაც ქვეყნიერების სიდიდეა მნიშვნელოვანი, და არა ის სიზუსტე და სიბეჯითე, რომლითაც აინურნი დღემდე აგრძელებენ ქვეყნიერების შენებას.

როცა აინურებმა ეს სამოსახლო და ილუვატარის შვილთა გაღვიძება იხილეს, თვით ყველაზე ძლევამოსილებმაც ამ ადგილისკენ მიმართეს

თავიანთი ფიქრები და აზრები. პირველი მათ შორის იყო მელკორი, რომელიც ილუვატარს მუსიკის შექმნაში ეცილებოდა და ძირითადი თემის შეცვლას ცდილობდა. თუმცა, ცრუ იყო მისი განზრახვანი, საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ ილუვატარის შვილთა სასიკეთოდ, იმ მწველ სიცხესა და სუსხიან სიცივეს დაიმორჩილებდა, რომელიც მისი ნამღერისგან შეიქმნა. სინამდვილეში კი, ელფთა და კაცთა დამორჩილება სურდა, რამეთუ შურით აღივსო იმ ძღვენის გამო, რომელსაც ილუვატარი თავის შვილებს დაჰპირდა. მელკორმა მოინდომა საკუთარი ქვეშევრდომები და მონები ჰყოლოდა, რათა მისთვისაც უფალი ეწოდებინათ და სხვათა ნების გამგებელი გამხდარიყო.

სხვა აინურნი კი ქვეყნიერები ვრცელ სივრცეებში მოქცეული სამოსახლოს – არდის, როგორც ელფნი უწოდებენ დედამიწას – მრავალფეროვნების ცქერით ხარობდნენ და თვალები უბრწყინავდათ. ოდენ მღელვარე ზღვის გრუხუნმა დაურღვია მათ მყუდროება; აკვირდებოდნენ ქარსა და ჰაერს, ყველა მატერიას, რისგანაც არდა შედგება: რკინას, ქვას, ვერცხლს, ოქროსა და სხვა ნივთიერებებს. ყველაზე მეტად წყლით მოიხიბლნენ. ელფნი ამბობენ, რომ განსხვავებით დედამიწის ყველა სხვა ნივთიერებისგან, წყალში ყველაზე ძლიერ ცოცხლობს აინურთა მუსიკის ექო. ამიტომ უყვართ ილუვატარის შვილთ ზღვის ხმაურისთვის ყურისგდება, თუმცა კი, არ უწყიან, სინამდვილეში რისი ხმა ესმით.

ერთმა აინუმ, ვისაც ელფნი უღმოს უწოდებენ და ილუვატარისგან ღრმად განსწავლულია დიდებულ მუსიკაში, წყლისკენ მიმართა თავისი ფიქრები. მანუემ, აინურთაგან ყველაზე დიდებულმა, ჰაერსა და ქარებზე გადაიტანა ყურადღება; მიწის აგებულებამ აულე ჩააფიქრა; იგი ილუვატარისგან არანაკლები ცოდნითა და ძალითა დაჯილდოებული, ვიდრე მელკორი; მაგრამ აულეს ქმნა და კეთება უხარებს გულს და თავად ქმნილებისა თუ გაკეთებულის სიკარგით ამაცობს; არც რამის ფლობა სურს და არც ვინმეზე მბრძანებლობა. ამიტომაც ყოველთვის გასცემს და არაფერს იხვეჭს, ერთ საქმეს რომ მორჩება, მეორეს იწყებს.

და უთხრა ილუვატარმა ულმოს: «ვერა ხედავ, დროთა სიდრმეებში ჩაკარგულ ამ პატარა სამეფოში მელკორმა შენს სამფლობელოს ომი გამოუცხადა? სუსხიანი ყინვა მოიფიქრა, მაგრამ ვერც შენი შადრევნების და ვერც ჩემი ანკარა წყაროების სილამაზეს ვერა დააკლო! შეხედე თოვლს და მარჯვედ შექმნილ თრთვილსა და ჭირხლს! მელკორმა დაუოკებელი ცეცხლი და მხურვალეა გამოიგონა, მაგრამ შენი სურვილები ვერ დააშრო და ვერც ზღვის ხმიანობა დაახშო. შეხედე ამაყ, დიდებულ ღრუბლებსა და მუდამ ცვალებად ნისლს და ყური დაუგდე წვიმის წვეთების შხაპუნს მიწაზე! ამ ღრუბლებში დაუახლოვდები მანუეს, შენს მეგობარს, ვინც ასე ძლიერ გიყვარს».

ხოლო ულმომ მიუგო: «ჭეშმარიტად, წყალი უფრო ანკარა და სუფთა არს, ვიდრე წარმოვიდგენდი და არც თოვლის ფიფქსა თუ წვიმის შხაპუნზე მიმდერია ოდესმე. მანუეს ვიპოვი და ერთად შევთხზავთ ახალ ჰანგებს ჩემდა გასახარად!»

ამგვარად, თავიდანვე დამეგობრდნენ მანუე და ულმო და ყოველთვის ერთგულად ასრულებდნენ ილუვატარის განზრახვებს.

თუმცა, ვიდრე ულმო ლაპარაკობდა და აინუნრი სანახაობით ტკბებოდნენ, ხილვა გაქრა. მაშინ პირველად შეიცნეს ახალი რამ – წყვდიადი, რომელიც უწინ მხოლოდ მათ აზრებში არსებობდა. ხილვის სილამაზით აღტაცებულებმა, საკუთარი ნამდერის ხორცშესხმით გახარებულებმა და ქვეყნიერების წარმოშობის ცქერით გართულებმა, ვერ დაინახეს ისტორიის დასასრული. დროის რკალი არ შეკრულა, ხილვა გაწყდა. ზოგის თქმით, ხილვა მაშინ დასრულდა, როცა პირველშობილნი დაუძღურდნენ და კაცთა ბატონობის ხანა დაიწყო. და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა ბოლომდე შეითხზა, ვალარებს არც გვიანდელი ეპოქები უნახავთ და არც ქვეყნიერების აღსასრული.

შემფოთდნენ აინუნრი, მაგრამ იხმო ისინი ილუვატარმა თავისთან და უთხრა: «კარგად ვიცი თქვენი გულის წადილი; გსურთ, ნანახი აღსრულდეს და ოდენ თქვენს გონებაში არ დარჩეს?! და ამიტომ ვამბობ: ეა! დაე, იქმნას! სიცარიელეში დავანთებ ჩაუქრობელ ცეცხლს და ის

ქვეყნიერების გულში დაივანებს და ქვეყნიერება შეიქმნება! ყოველი თქვენგანი, ვინც მოისურვებს, მასში შევა».

უცრად აინურებმა შორს ღრუბელშემოხვეული ცეცხლი დაინახეს. ეს იყო არა მხოლოდ ხილვა, არამედ ილუვატარის ახალი ქმნილება: ეა, ქვეყნიერება, რომელიც არის.

და მართალია, ბევრი აინუ ქვეყნიერების მიჯნის მიღმა ილუვატართან სახლობს, ბევრმა მათგანმა, მათ შორის უღიადესებმა და უმშვენიერესებმა, ილუვატარისგან ნებართვა ითხოვეს და არდაში შევიდნენ. ილუვატარმა აინურთ პირობა წაუყენა – შესაძლოა, ამას მათში მოგიზგიზე სიყვარულის გრძნობა მოითხოვდა, რომ სანამ არდაში არიან, აინურთა ძალა სამუდამოდ ქვეყნიერების შიგნით არის მოქცეული. ამგვარად, აინურნი ქვეყნიერების მაცოცხლებლები არიან და ქვეყნიერება მათი მაცოცხლებელია.

ამიტომაც ჰქვიათ მათ ვალარნი, ძალნი ქვეყნიერებისანი.

როცა ვალარები ეაში შევიდნენ, შეცბნენ, რადგან ჯერ არაფერი შექმნილიყო, რაც ხილვაში იხილეს. ყველგან ბნელოდა და ყოველივე უსახო იყო. ვალარებმა გააცნობიერეს, რომ დიდებული მუსიკა ოდენ მღუმარე დარბაზში აღმოცენებული და აყვავებული ფიქრები იყო, ხოლო ხილვა – წინასწარჭრეტა. ვალარნი ეაში დროის დასაბამს შევიდნენ და იმ ყოველივეს აღსრულებას შეუდგნენ, რაც იმღერეს და წინასწარ განჭვრიტეს. უხსოვარ, მივიწყებულ წლებში დაიწყეს თავდაუზოგავი შრომა და დიდი დრო გავიდა, სანამ უხსოვარ დროს ეას ვრცელ დარბაზებს შორის მდებარე უკიდევანო, გამოუკვლევ უდაბნოებს ილუვატარის შვილთა სამოსახლოდ გადააქვევდნენ. მთავარი შრომა მანუემ, აულემ და ულმომ გასწიეს; თუმცა, მელკორიც თავიდანვე იქ იყო და, თუ მოუნდებოდა, ყველაფერს საკუთარი სურვილისა თუ მიზნების შესაბამისად გადააკეთებდა ხოლმე; ბევრგან გააჩადა დიდი ცეცხლი. ნორჩი და ცეცხლით სავსე დედამიწის დაუფლების სურვილი გაუჩნდა მელკორს და უთხრა სხვა ვალართ: «ჩემი სამეფო იქნება ესე! აქაურობა ჩემს სამფლობელოდ გამომიცხადებია!»

ხოლო მანუე ძმა იყო მელკორისა ილუვატარის გონებაში; ის იყო მთავარი საკრავი, რომელიც მეორე თემის მღერისას ილუვატარმა მელკორის არაკეთილხმოვანების წინააღმდეგ გამოიყენა; იხმო მანუემ მრავალი სული, დიდი თუ მცირე; დაეშვნენ სულნი არდის მინდვრებზე და ეხმარებოდნენ მანუეს, რათა ვალართათვის საქმიანობაში მელკორს ხელი არ შეეშალა და ყვავილობამდე არ დამჭკნარიყო დედამიწა. და უთხრა მანუემ მელკორს: «უსამართლოდ გწადია ამ სამეფოს დასაკუთრება, რამეთუ ბევრი შრომობს აქ შენზე არანაკლებად!» გაჩაღდა ბრძოლა ვალარებსა და მელკორს შორის და გაერიდა მელკორი მათ. სხვა მხარეებს შეაფარა თავი და იქ აკეთებდა იმას, რასაც მოისურვებდა. თუმცა, არდის სამეფოს დაუფლების სურვილი არ განელებია.

შეისხეს ვალარებმა ხორცი და შეიძინეს იერი; და ვინაიდან არდაში ისინი ილუვატარის შვილთა სიყვარულმა მიიზიდა, ილუვატარის ხილვაში ნანახ პირველშობილთ დაემსგავსნენ, ოღონდ უფრო დიდებულნი და ბრწყინვალენი იყვნენ. მათი სხეული ოდენ ხილული ქვეყნიერების ნაწილია და არა მთელი ქვეყნიერების. ვალარებს სხეული არ სჭირდებათ, ოდენ სამოსია მათთვის; ჩვენგან განსხვავებით, როცა სამოსს იხდიან, კი არ შიშვლდებიან, ქრებიან და ელფთათვისაც და კაცთათვისაც უხილავნი ხდებიან. ვალარნი მამრად ან მდედრად განსხეულდებიან, რამეთუ დასაბამიდანვე განსხვავდებოდნენ ხასიათით და ეს განსხვავება მათი განსხეულებისას წარმოჩინდება, მათდა უნებურად და არა სურვილისამებრ, როგორც ჩვენ, მამრნი და მდედრნი ვიცვამთ სხვადასხვანაირ სამოსს, ოღონდ განსხვავებას მამრსა და მდედრს შორის სამოსი როდი წარმოშობს. თუმცა, ვალარნი ყოველთვის არ ჰგვანან ილუვატარის შვილთა დიდ მეფე-დედოფლებს; ხანდახან ჭეშმარიტ სახეს იღებენ და სრული დიდებულებით ან შემადრწუნებლობით გვეცხადებიან.

ვალარებმა მრავალი დამხმარე და მეგობარი შემოიკრიბეს, ზოგი მათზე უმცირესი, ზოგი მათსავით დიადი და ერთად შეუდგნენ დედამიწის მოწესრიგებასა და მისი მღელვარების დაცხრობას. მელკორი ხელდავდა,

რაც ხდებოდა, რომ ვალარები ამქვეყნიური სამოსით შემოსილნი დედამიწაზე ხილულნი დაიარებოდნენ და სანახავად მშვენიერნი და ბრწყინვალენი იყვნენ, და ნეტარნიც, რადგან მათდა გასახარად, დედამიწის მღელვარება დაცხრა და არდა წალკოტს ემსგავსებოდა. ძლიერ შეშურდა მათი. მელკორიც განსხეულდა, მაგრამ ხასიათისა და სიძულვილის ცეცხლის გამო, მასში რომ მძვინვარებდა, ბნელი და საზარელი სახე მიიღო. და დაეშვა არდაზე დიდებითა და ძლევამოსილებით ყოველ ვალარზე აღმატებული, ზღვაში შეტოპა, ვითარცა მთამ ღრუბლებისთვის თავმიწვდენილმა, ყინულით შემოსილმა და კვამლისა და ცეცხლის გვირგვინით შემკულმა. მზერა მელკორის ელვარე თვალებისა იყო მწველი, ვითარცა ცეცხლი და სუსხიანი, ვითარცა ყინვა.

ასე დაიწყო პირველი ომი არდაზე ბატონობისთვის ვალარებსა და მელკორს შორის; იმდროინდელ მღელვარებაზე ელფებმაც კი მცირედი უწყიან. რამეთუ ის, რაც აქ ითქვა, ვალინორში მცხოვრებმა ელდალიეებმა მოისმინეს თავად ვალარებისგან, თავიანთი მასწავლებლებისგან. ვალარნი ბევრს არაფერს ამხელდნენ იმ ომების შესახებ, ელფთა გამოჩენამდე რომ მოხდა. თუმცა, როგორც ელდარნი ამბობენ, ვალარნი მელკორს დედამიწაზე გაბატონების ნებას არ აძლევდნენ და შეუპოვრად ამზადებდნენ მას პირველშობილთათვის. ვალარნი ქმნიდნენ, მელკორი ანგრევდა; ვალარნი ველებსა და ხეობებს თხრიდნენ, მელკორი ავსებდა; ვალარნი მთებს კვეთდნენ, მელკორი მიწასთან ასწორებდა; ვალარნი ზღვებს აგუბებდნენ, მელკორი ამრობდა. რასაც კი ვალარნი წამოიწყებდნენ, მელკორი მის განადგურებას ან წაბილწვას მოინდომებდა, მაგრამ ვალართა შრომა ამაო არ ყოფილა. და თუმცა, ვერსად და ვერც ერთ საქმეში სურვილი ვერ აისრულეს და საწადელს ბოლომდე ვერ მიაღწიეს, და თუმცა არაფერი იყო ზუსტად იმგვარი და იმ სახის, როგორიც ვალარებს განუზრახათ თავიდან, დედამიწამ ნელ-ნელა მაინც შეიძინა თავისი იერი და სიმყარე. ასე შეიქმნა უხსოვარ დროს ურიცხვი ვარსკვლავის შუაგულში ილუვატარის შვილთა სამოსახლო.

ვალაქუნტა

ამბავი ვალართა და მაიართა, ლდართაგან გადმოცემული

ერუმ, ერთიანმა, რომელსაც ელფთა ენაზე ილუვატარი ჰქვია, თავის განზრახვათაგან პირველითგან შექმნა აინურნი. და იმდერეს მის წინაშე აინურთ სიმღერა დიდი და მუსიკა ესე იყო დასაბამი ქვეყნიერებისა. უჩვენა ილუვატარმა სიმღერა აინურთ და იხილეს მათ ნამღერი, ვითარცა ნათელი ბნელში. მრავალი მოიხიბლა მისი სილამაზითა და ისტორიით, რომელიც ხილვაში გადაეშალათ თვალწინ. და ამის გამო შესძინა არსი ილუვატარმა ხილვას მათსას და დაკიდა იგი სიცარიელეში და ააგიზგიზა საიდუმლო ცეცხლით ქვეყნიერების გული. და ეწოდა მას ეა.

აღდგნენ აინურნი და მრავალნი მათგანნი ღროის დასაბამს შევიდნენ ქვეყანასა შინა. დაევალათ მათ ხილვისთვის ხორცის შესხმა; დიდხანს იღვწოდნენ ეას ვრცელ სივრცეებში, რომელთა სიდიდე მიუწვდომელ არს ელფთა და კაცთა გონებისთვის. გამოიღო ნაყოფი აინურთა შრომამ და დათქმულ ჟამს შეიქმნა არდა, დედამიწის სამეფო. შეიმოსნენ აინურნი მიწიერი სამოსლით, შევიდნენ არდას შინა და დასახლდნენ მუნ.

ვალართა შესახებ

ამ სულთა შორის უღიადესთ ელფნი ვალარებს უწოდებენ, ხოლო კაცი ხშირად – ღმერთებს. ვალართ შვიდი მეუფე და შვიდი დედოფალი ჰყავთ. სხვაგვარად უხმობდნენ მათ ელფნი ვალინორისა და სხვაგვარად – ელფნი შუახმელეთისა, ხოლო კაცთა ენაზე სახელი მათი იყო მრავალგვარი. აი, სახელები შვიდი მეუფისა სათანადო თანამიმდევრობით: მანუე, ულმო, აულე, ორომე, მანდოსი, ლორიენი და ტულკასი; ხოლო ვალართა დედოფლების სახელები არის: ვარდა, იავანა, ნიენა, ესტე, ვაირე, ვანა და ნესა. მელკორი ვალად აღარ იწოდება და აღარ ახსენებენ სახელსა მისსა ქვეყანასა ზედა.

მანუე და მელკორი იყვნენ ძმანი ილუვატარის განზრახვაში. პირველად ქვეყნიერებაში აინურთაგან უღიადესი მელკორი შევიდა; თუმცა,

ილუვატარისტვის უძვირფასესი არის მანუე, რომელიც ყველაზე ცხადად ხვდება მის ჩანაფიქრს. და როცა მოაწია ჟამმა, ეკურთხა იგი უპირველეს მეფედ, მბრძანებლად არდის სამეფოსი და მმართველად ყოველთა, რაც სახლობს სამეფოსა შინა. ქარსა და ღრუბლებში არის მისი ნეტარება, ჰაერის უმაღლეს და უმაღლეს სივრცეებში ჰოლოლობს სიხარულს, იგი არის რიდე, არდას რომ გადაჰფარებია და სიო, ბალახებს რომ არხევს. სულიმოა გვარი მისი, მეუფე არდის სუნთქვისა. ყოველი ფრთაძლიერი, სწრაფი ფრინველი უყვარს და ფრინველნი მის ბრძანებას ემორჩილებიან.

მანუეს მუდამ გვერდს უმშვენებს ვარდა, ვარსკვლავთა დედოფალი, რომლისთვისაც ეას ყოველი მხარე ნაცნობია. კაცთა და ელფთა ენა ვერ აღწერს მის სილამაზეს; რამეთუ ნათელი ილუვატარისა ცოცხლობს მის სახეზე. სინათლეში არის მისი ძალა და სიხარული. ეას სიდრმეებიდან მოვიდა ვარდა მანუეს დასახმარებლად; რამეთუ მუსიკის შექმნამდე იცნობდა მელკორს და უარყო იგი. ხოლო მელკორმა შეიძულა ვარდა და ერუს ქმნილებათაგან ყველაზე ძლიერ მას უფრთხოდა. მანუე და ვარდა განუყრელნი არიან და ვალინორში სახლობენ. მათი სასახლე დედამიწის მთათა შორის უმაღლეს ტანიქუეტილზე, მარადიული თოვლით შემოსილი ოიოლოსეს მწვერვალზე დგას. როცა ტახტზე დაბრძანდება მანუე და გვერდით ვარდას მოისვამს, შორს სწვდება მისი მზერა, მიღმანისლისა, წყვდიადისა და ზღვისა. და როცა გვერდით უზის მანუე ვარდას, შორს სწვდება მისი სმენა, ესმის ყოველი ხმა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, მთა-ბარიდან თუ იმ უბნელესი ადგილებიდან, მელკორმა რომ შექმნა დედამიწის ზედაპირზე. ამქვეყნად მცხოვრებ დიადთა შორის სწორედ ვარდას ეთაყვანებიან ელფნი ყველაზე მეტად და ძლიერ უყვართ იგი. ელბერეთს უწოდებენ მას და შუახმელეთის სიბნელიდან უხმობენ, ვარსკვლავთა აკიაფებისას სიმღერებში ამკობენ მის სახელს.

ულმო წყალთა მეუფეა. იგი ეულია. დიდხანს არსად სახლობს, სურვილისამებრ დაცურავს მიწისზედა ან მიწისქვეშა წყალთა სიდრმეებში.

მხოლოდ მანუეს ჩამოუვარდება სიძლიერით და ვალინორის აშენებამდე მისი უახლოესი მეგობარი იყო. ახლა იშვიათადღა ესწრება ვალართა ბჭობას, მხოლოდ მაშინ, როცა ფრიად საჭირობოროტო საქმეთ განიხილავენ. მთელი არდაა მისი საზრუნავი და სახლი არ სჭირდება. გარდა ამისა, დიდად არ უყვარს სიარული მიწის ზედაპირზე და არც სხეულით იმოსება, განსხვავებით ნათესავთაგან. მისი დანახვა თავზარს სცემდა ერუს შვილთ, რამეთუ წამოდგომა ზღვის მეუფისა ჰგავს ბუმბერაზ ტალღას, ხმელეთის წასალეკად რომ მოიწევს. წყლისქაფისქოჩრიანი შავი ჩაფხუტი ახურავს თავზე და ვერცხლისფრად და მუქმწვანედ ბზინავს მისი ჯაჭვის პერანგი. ხმამაღალია მანუეს საყვირები, მაგრამ ბოხი და ღრმაა ხმა ულმოსი, ღრმა, ვითარცა ღრმულები ოკეანესი, ოდენ მას რომ უნახავს.

ულმოს ძლიერ უყვარს ელფნი და კაცნი და არასდროს მიუტოვებია ისინი; მაშინაც კი, როცა ერუს შვილთ ვალართა რისხვა დაატყდათ. ხანდახან უხილავად მიადგება იგი შუახმელეთის ნაპირებს ან ზღვის ვიწრო ყურეებს, აღმა აუყვება და თეთრი ნიჟარისგან გამოთლილ ბუკებს, ულუმურებს ჩაჰბერავს. ის, ვისაც ამ ბუკთა ხმიანობა გაუგონია, სამუდამოდ ზღვისკენ მიილტვის, რამეთუ მუსიკა ზღვისა მის სულში იბუდებს. უფრო ხშირად შუახმელეთის მკვიდრთ ულმო წყლის ჰანგებით ელაპარაკება, ყოველ ზღვას, ტბას, მდინარეს, შადრევანსა და წყაროს ხომ იგი განაგებს; ამიტომაც ამბობენ ელფნი, ულმოს სული დედამიწის ძარღვებში მიედინებაო. ამგვარად, არდის ყოველ გასაჭირსა და უბედურებას ულმო მიწის სიღრმეშიც კი პირველი იგებს და მყისვე მანუეს ატყობინებს.

აულე ულმოზე ნაკლებ ძლევამოსილია. ყოველი ნივთიერება, რისგანაც კი არდა შედგება, მას ეკუთვნის. თავდაპირველად მანუესთან და ულმოსთან ერთად იღვწოდა იგი და ხმელეთის მოწესრიგება ევალეობდა. აულე ხელოსანი და მჭედელია; მცირედის ქმნაც ისევე უხარებს გულს, როგორც მაღალი ნაგებობის შენება. მისია მიწის ქვეშ ჩამარხული ყოველი ძვირფასი ქვა და ოქრო, ხელს რომ გვიმშვენებს; მისია მთათა

კალთები და ზღვის ფსკერები. ბევრი რამ ისწავლეს მისგან ნოლდორებმა, აუღე მუდამ მეგობრობდა მათთან. მელკორს შურდა აუღესი და ყოველთვის ხელს უშლიდა მას; მის ნაშრომს წაბილწავდა ხოლმე, აუღე კი დაუღალავად ატადგენდა იმას, რაც მელკორმა დააზიანა და დაანგრია. ორივეს ახლის შექმნა უნდოდა, იმის, რაზეც სხვებს არასოდეს ეფიქრათ და ისეთის, ყველა ხოტბას რომ შეასხამდა. და ამით ერთმანეთს ჰგავდნენ. თუმცა, აუღე მუდამ ერუს ერთგული იყო და მის ნებას ემორჩილებოდა; სხვათა ნაოსტატარის არასოდეს შურდა, რჩევას სხვასაც სთხოვდა და თავადაც აძლევდა. ხოლო მელკორი იმდენად დააბრმავა შურმა და სიძულვილმა, რომ ბოლოს, სხვათა ნააზრევის მოპარვა და მიბადვა დაიწყო; მათ ნამუშევარს კი ანადგურებდა, თუკი შეეძლო.

აუღეს მეუღლე არის იავანა, ნაყოფთა მბოძებელი. უყვარს ყოველივე, რაც მიწაზე ხარობს და ტყეში კომკებივით აღმართულ ძველისძველ ხეებზეც ისევე ზრუნავს, როგორც ქვას მოდებულ ხავსზე ან პაწია სოკოებზე. ვალართა შორის იავანა ვარდას ქვემდგომია, ტანმაღალი, მწვანით შემოსილი ქალის სხეული აქვს, თუმცა, ხანდახან სხვაგვარ იერსაც იღებს. იგი უნახავთ, ვითარცა მაღალი ხე, მზით თავდამშვენებული და ღია ცის ქვეშ მდგარი; მისი ტოტებიდან ოქროსფერი ცვარი აწვიმს უნაყოფო მიწას და ხის ქვეშ მიწიდან მწვანე ყლორტები აღმოცენდება. ხეს უღმოს წყლებში გაუდგამს ფესვები, ხოლო მის ტოტებში მანუეს ქარი ჩურჩულებს. ელფთა ენაზე კემენტარია მისი მეტსახელი, მიწის დედოფალი.

ფეანტურები, სულთა ბატონები, ძმები არიან. მანდოსი და ლორიენი – ასე უწოდებენ მათ. ასე ჰქვიათ მათ სამოსახლოებს და სახელებიც მათგან მიიღეს, ხოლო მათი ნამდვილი სახელები არის ნამო და ირმო.

ნამო, უფროსი ძმა, სახლობს მანდოსში, რაც ვალინორის დასავლეთითაა. ის მკვდართა დარბაზების მცველი და მოკლულთა სულების გამომხმობია. არაფერი ავიწყდება და იცის ყოველივე, რაც უნდა მოხდეს, ოღონდ იმდენი, რაც ილუვატარს ვალართაგან არ დაუფარავს. ნამო მსაჯულია ვალართა. თუმცა, განაჩენი მხოლოდ მანუეს თხოვნით გამოაქვს.

მისი მეუღლე – ვაირე მქსოველია. თუკი რამ ყოფილა, არის ან იქნება, ყოველივეს თავის ვება ქსელებში აქსოვს იგი; და ეს ქსელები მოსავს კედლებს მანდოსის დარბაზებისა, რომლებიც, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება.

ირმო, უმცროსი ძმა, ხილვათა და სიზმართა მომვლინებელია. ვალართა მიწაზე, ლორიენის წალკოტშია მისი სამკვიდრო. ამქვეყნად ულამაზესი ეს წალკოტი სავსეა სულებით. ირმოს მეუღლე არის ესტე, სათუთი მკურნალი ჭრილობათა და დაღლილობის გამქარვებელი. მას რუხი სამოსი აცვია და მისი ძღვენი დასვენებაა. დღისით არ დადის, არამედ ლორელინის ტბის პირას ხეთა ჩრდილში სძინავს. ვალინორის მკვიდრნი ირმოსა და ესტეს წყაროების წყლით იკლავენ წყურვილს და აღიდგენენ ძალ-ღონეს. ხშირად არდაზე ზრუნვით დაქანცული ვალარნიც სტუმრობენ ლორიენს სულის მოსათქმელად და მოსასვენებლად.

ესტეზე ძღვეამოსილია ნიენა, და ფეანტურთა, მისთვის ნაცნობია სევდა-ნაღველი; ის მარტო ცხოვრობს. მელკორისგან არდისთვის მიყენებულ ყოველ იარას ფრიად განიცდის. იმდენად მწუხარეა იგი, რომ როცა

ვალართა თვალწინ მუსიკა იშლებოდა, მისი სიმღერა გოდებაში გადაიზარდა; ამგვარად, მან ქვეყნიერების შექმნამდე ჩააქსოვა დიდი მუსიკის თემებში სევდის ჰანგები. თუმცა, ნიენა თავისთვის არ მოთქვამს. ვინც მას მოუსმენს, სიბრალულსა და გამძლეობას სწავლობს. მისი სასახლე ქვეყნიერების მიჯნასთან, უკიდურეს დასავლეთშია; იშვიათად სტუმრობს ვალიმარს, ნეტართა ქალაქს. სამაგიეროდ, მანდოსის დარბაზების ხშირი სტუმარია. მანდოსში მყოფნი შესტირიან მას, რადგან ნიენა ამხნევებს სულს და მწუხარებას სიბრძნედ გარდაქმნის. მისი სახლის ფანჯრები ქვეყნიერების კედლებს მიღმა იყურება.

ძალ-ღონითა და საგმირო საქმეებით ცნობილია ტულკასი, მეტსახელად ასტალდო, ანუ მამაცი. ის ბოლოს მოვიდა არდაში, რათა მელკორთან პირველ ომში დახმარებოდა ვალართ. ჭიდაობა და მკლავჭიდი უყვარს. ცხენი არა ჰყავს, რამეთუ დაუღალავი და ფეხმალია, ვერა სულიე-

რი ვერ გაუსწრებს. თმა-წვერი ოქროსფერი აქვს, კანი – წითელი, მისი იარაღი ხელებია. არც წარსული და არც მომავალი დიდად არ ანაღვლებს, მრჩევლად არ ვარგა, სამაგიეროდ, გაბედული მეგობარია. მისი მეუღლეა ნესა, და ორომესი, ისიც მარდი და მარჯვეა. ნესას ირმები უყვარს და, როცა ტყეში მიდის, მის ნაკვალევს ირმებიც მიჰყვებიან; თუმცა, ვერა ირემი ვერ გაუსწრებს ნესას, როცა ისარივით სწრაფად მიქრის და თმა უფრიალებს. ცეკვა-თამაში უხარებს გულს და ვალიმარის მარადმწვანე მინდვრებზე ცეკვავს ხშირად.

ორომე ძლევამოსილი მეუფეა. თუმც კი, ტულკასივით ღონიერი არ არის, სიბრაზის ჟამს ბევრად საზარელია. ხოლო ტულკასი მუდამ იცინის, გართობისას თუ ბრძოლისას; თვით მელკორს დასცინოდა იგი ბრძოლის ველზე. ორომეს შუახმელეთი უყვარდა და ყველაზე ბოლოს, უხალისოდ გადასახლდა ვალინორში. ძველად იგი ხშირად ბრუნდებოდა აღმოსავლეთში, ამალითურთ სტუმრობდა შუახმელეთის მთა-ველებს. ურჩხულებსა და საზარელ მხეცებზე ნადირობს იგი და ცხენებისა და ძაღლების მოვლაში ჰოვებს ნეტარებას. ორომეს ხეებიც უყვარს და ამის გამო აღდარონს უწოდებენ, ხოლო სინდარულად – ტაურონს, ტყეთა მეუფეს. ნაჰარი ჰქვია მის რაშს, მზეზე თეთრად და მთვარის შუქზე ვერცხლისფრად მოლაპლაპეს. ვალარომა ჰქვია მის დიდ ბუკს, რომლის ხმაც მეწამული მზეა ამომავალი და ელვაა ღრუბლებს შორის გაკლაკნილი. იავანას გახარებულ ვალინორის ტყეებში დამაყრუებლად ჭექდა ვალარომა, როცა ორომე მელკორის ავ ქმნილებებზე სანადიროდ წვრთნიდა თავის ლამქარსა და მწევრებს. ორომეს მეუღლეა ვანა, მარადყმაწვილი, უმცროსი და იავანასი. სადაც გაივლის, ყველგან ყვავილი აღმოცენდება და თუ მათ დახედავს, გაიფურჩქნება; მის გამოჩენაზე ფრინველები ჭიკჭიკს იწყებენ.

ეს არის სახელები ვალართა და ვალიერთა და ასეთები იხილეს ისინი ელდარებმა ამანში. მშვენიერნი და დიდებულნი ეცხადებოდნენ ილუვატარის შვილებს, მაგრამ ეს სახელები მხოლოდ საბურველი იყო მათი ჭეშმარიტი სილამაზისა და ძალისა. აქ მხოლოდ მცირედია ნათ-

ქვამი იმისგან, რაც ელდარებმა ოდესღაც იცოდნენ, თუმცა, მათაც მხოლოდ მცირედი უწყოდნენ ქმნილებებზე, რომელნიც უხსოვარ დროს ჩვენთვის უცნობი მხარეებიდან მოვიდნენ. მათ შორის ცხრა იყო სხვებზე ძლიერი და პატივცემული; ერთი გამოაკლდათ და რვანი დარჩნენ; არატართ უწოდებენ არდის უზენაესთ. ესენი არიან: მანუე და ვარდა, ულმო, იავანა და აულე, მანდოსი, ნიენა და ორომე. თუმცა კი მანუეა მეფე ვალართა და ერუს სახელით განაგებს ყველას, ძალითა და დიდებულებით ყველა თანასწორია. არატარნი არიან ზემდგომნი სხვა ვალართა, მაიართა და სულთა, რომელნიც ილუვატარმა გამოგზავნა ეაში.

მაიართა შესახებ

ვალარებთან ერთად მოვიდნენ სხვა სულნიც, რომელნიც ქვეყნიერებაზე უხნესნი, მაგრამ ვალარებზე ქვემდგომნი არიან. მათ მაიარებს უწოდებენ, ვალართა მსახურებსა და შემწეებს. მათი რაოდენობა უცნობია ელფთათვის და მათგან ცოტას აქვს სახელი ილუვატარის შვილთა რომელიმე ენაზე; მიზეუი ამისა ის არის, რომ განსხვავებით ამანისგან, შუახმელეთში მაიარნი იშვიათად ეცხადებიან ხილული იერით ელფებსა და კაცებს.

ვალინორის მაიართა შორის უმთავრესთ, რომელთა სახელებმაც ადრინდელი დღეებიდან ჩვენამდე მოაღწია, ჰქვიათ ილმარე და ეონუე. ილმარე მოახლეა ვარდასი, ხოლო ეონუე – მედროშე და მაცნე მანუესი. თუმცა, მაიართაგან ილუვატარის შვილთათვის ყველაზე უკეთ ოსე და უინენია ცნობილი.

ოსე ვასალია ულმოსი და ბატონია ზღვათა, რომელნიც შუახმელეთის ნაპირებს რეცხავენ. ზღვათა სიღრმეებში არ ჩადის, კუნძულები და სანაპიროები უყვარს და მანუეს ქარები უხარებს გულს; ტალღების დრი-ალში ისმის მისი ხარხარი. მისი მეუღლეა უინენი, ზღვათა ქალბატონი; განფენილია მისი თმა ცისქვეშეთის ყოველთა წყალთა ზედა. მლაშე წყლის ყოველი ბინადარი და მცენარე უყვარს უინენს; სწორედ მას შეს-თხოვენ ზღვაოსანნი, დააცხროს ტალღები და დააოკოს ოსეს მრისხანე-

ბა. დიდხანს მფარველობდა იგი ნუმენორელთ და ნუმენორელნიც თავ-
ვანს სცემდნენ მას, ვითარცა ვალართ.

მელკორს სძულდა ზღვა, რადგან ვერ დაიმორჩილა. როგორც ამბო-
ბენ, არღის შექმნისას მელკორმა ოსეს მიმხრობა მოინდომა და ულმოს
სამფლობელო და ძალაუფლება შესთავაზა მსახურების სანაცვლოდ.
აღელდა ზღვა და მისმა ზვირთებმა წალეკა მრავალი მიწა. უინენმა, აუ-
ლეს თხოვნით, დააოკა ოსე და ულმოს წინაშე წარადგინა. შეიწყალა იგი
ულმომ და მას აქეთ ერთგულად ემსახურება ოსე თავის მეუფეს. მაგრამ
ძალადობის სიყვარული ბოლომდე არ განულებია, ხანდახან ულმოს
ბრძანების გარეშე განრისხდება და ზღვასაც ააზვირთებს ხოლმე. ამის
გამოა, რომ ზღვის ნაპირთან მცხოვრებნი და ზღვაოსანნი არ ენდობიან
ოსეს, თუმც კი, უყვართ იგი.

მელიანი ერქვა მაიას, რომელიც ვანასა და ესტეს მსახურობდა. დიდ-
ხანს ცხოვრობდა იგი ლორიენში, ირმოს წალკოტის ხეებს უვლიდა, სა-
ნამ შუახმელეთში გადასახლდებოდა. სადაც კი მივიდოდა, მის გარშემო
იადონნი გალობას იწყებდნენ.

მაიართა შორის უბრძნესს ოლორინი ერქვა. ისიც ლორიენში ცხოვ-
რობდა, მაგრამ ხშირად სტუმრობდა ნიენას, რომლისგანაც სიბრალუ-
ლი და მოთმინება ისწავლა.

მელიანის შესახებ ბევრია მოთხრობილი ქუენტა სილმარილიონში,
მაგრამ ოლორინი იქ ნახსენები არ

არის; თუმც კი ძლიერ უყვარდა მას ელფნი, მათ შორის მუდამ უხი-
ლავად ან ელფთა გარეგნობით დადიოდა და უჩუმრად მოუვლენდა სა-
ამურ ხილვებს, ხანაც ბრძნულ აზრებს შთააგონებდა. დროთა განმავ-
ლობაში ის ილუვატარის ყოველ შვილთა მეგობარი გახდა და მათ გასა-
ჭირს იზიარებდა; ვინც კი მის შეგონებებს ყურს დაუგდებდა, სასოწარ-
კვეთილება და ბნელი აზრები უმალ ტოვებდა.

მტერთა შესახებ

ბოლოს დგას სახელი მელკორისა, ძალმოსილებით განდიდებული-
სა, რომელმაც დაკარგა თავისი სახელი; ხოლო ნოლდორნი, მისგან მე-

ტად ნაწამებნი, არ ახსენებენ ამ სახელს და მას მორგოთ, ქვეყნიერების შავბნელ მტერს უწოდებენ. დიდი ძალა უბოძა მელკორს ილუვატარმა, მანუეს თანატოლი და თანასწორი იყო იგი, ყოველთა ვალართა ძალისა და ცოდნის თანაზიარი, მაგრამ ავის საქმნელად იყენებდა ამ ცოდნას, ძალადობასა და ტირანიას ახმარდა მთელ ღონეს; რამეთუ არდის და-უფლებას ესწრაფოდა იგი და მანუესა და თავის თანასწორებზე გაბატონება სურდა.

საკუთარი ბრწყინვალეობით დაბრმავებულმა და ქედმაღალმა შეიძულა ყველა, თვინიერ თავის თავისა, უღმობელი და დამანგრეველი სულისა. უკეთუ ძალუძდა, თავისი მიზნებისთვის იყენებდა ყველას და უსირცხვილო მატყუარად იქცა. თავდაპირველად ნათელს ელტვოდა, მაგრამ ვინაიდან ვერ დაისაკუთრა, ბოღმისა და მრისხანების ცეცხლწყვილებული წყვილიაღმი დაინთქა. ბნელს იყენებდა ავი საქმეებისთვის და არდის ყოველ სულიერს შიშს ჰგვრიდა.

იმდენად ძლიერი იყო იგი, რომ უხსოვარ დროს აუჯანყდა მანუესა და ვალარებს და დედამიწის მრავალ კუთხეში ბატონობისთვის ეცილებოდა. ეულად არ იბრძოდა; მელკორის სიღიადის ჟამს მრავალი მათა მიეზიდა მის ბრწყინვალეობას და ბნელით მოცულსაც ერთგულად ემსახურებოდნენ; ზოგი მოტყუებითა და მაცდური ძღვენებით ჩაიყენა სამსახურში. უსამინლესნი მის მსახურთა შორის იყვნენ ვალარაუკარნი, ცეცხლოვანი შოლტები, რომლებსაც შუახმელეთში ბალროგებს, თავ-ზარდამცემ დემონებს უწოდებენ.

უდიდესს მის სახელიან მსახურთაგან ერქვა გორთაურ სასტიკი; ამ სულს ელდარნი საურონს უწოდებდნენ. თავდაპირველად აულეს მსახური იყო იგი და ფრიად აღმატებოდა ცოდნით აულეს სხვა მათართ. მელკორ მორგოთის ყოველ სიავესა და სიცრუეში წილი ედო საურონს და მხოლოდ ბატონს ჩამოუვარდებოდა სიბოროტით. მრავალი წლის შემდეგ აღდგა იგი, ვითარცა მორგოთის აჩრდილი და, ბატონის დარად, დამღუპველმა გზამ ისიც სიცარიელემდე მიიყვანა.

აქ მთავრდება «ვალაქუნტა»

ქუნტა სილმარილიონი

სილმარილების ისტორია

თავი პირველი. ამბავი დღეთა დასაბამისა

ბრძენნი ამბობენ, რომ პირველი ომის დაწყებისას არდა სრულად არ ჩამოყალიბებულიყო, სულიერი არ დააბიჯებდა მის ზედაპირზე და არც რამე ხარობდა. თავდაპირველად მელკორი მძლავრობდა. თუმცა, შუა ბრძოლისას ვალართ ღონიერი და გამბედავი სული მოევილინა დამხმარედ; ბრძოლის ხმაური მაღლა, ზეცაში მისწვდა მას და გაისმა არდაში ხარხარი ტულკას ძლიერისა, რომლის მრისხანებაც ქარია საზარელი, წყვდიადისა და ღრუბლების გამფანტავი. გაექცა მელკორი მის რისხვასა და ხარხარს, დატოვა არდა და დიდი ხნით მშვიდობამ დაისადგურა. ტულკასი არდის სამეფოში დარჩა და ერთ-ერთი ვალართაგანი გახდა. ხოლო მელკორი დამწუხრებული დაძრწოდა გარე წყვდიადში და მას აქეთ სამუდამოდ შეიძულა ტულკასი.

ამ მშვიდობის ჟამს ვალარებმა ზღვები, მიწები და მთები მოაწესრიგეს, ხოლო იავანამ დათესა თესლი მისგანვე შექმნილი. მელკორის გაჩაღებული ცეცხლის ჩაქრობისა თუ პირველყოფილი მთების ქვეშ ჩამარხვის შემდეგ სინათლის საჭიროება გაჩნდა. აულემ იავანას თხოვნით ორი ვეებერთელა სანათი გამოჰქადა ზღვებს შუა მოქცეული შუახმელეთის გასანათებლად. ვალარებმა ნათლით აავსეს სანათები, მანუემ კი აკურთხა; და აღმართეს ვალარებმა სანათები მაღალ მთათა უმაღლეს სვეტებზე. ერთი სანათი შუახმელეთის ჩრდილოეთ კიდეზე დადგეს და მას ილუინი უწოდეს, მეორე სანათი – სამხრეთ კიდეზე და მას ორმალი უწოდეს. სანათების შუქი გადაჰფინეს ვალარებმა დედამიწას და გაანათეს იგი. უსასრულო, უცვლელი დღე გამეფდა არდაში.

აღმოცენდა იავანას დათესილი თესლი, გაიზარდა, იხარა დიდმა თუ მცირე მცენარეებმა, ხავსმა, ბალახმა და გვიმრებმა, მთასავით მაღალმა, ღრუბლებამდე კენწეროაწვდილმა და მწვანე ბინდში ფესვებგადგმულმა ხეებმა. მხეცები დასახლდნენ ბალახოვან დაბლობებზე, მდინარეებსა და ტბებში, ან უჩუმრად დაიპარებოდნენ უღრან ტყეებში; ჯერ არ ეყვავილა არც ერთ ყვავილს და არ ეგალობა არც ერთ ფრინველს,

ისინი იავანას წიაღში უცდიდნენ გამოღვიძების დროს. თუმცა, დედამიწის შუაგულში, სადაც სანათების შუქი ერთმანეთს ერწყმოდა, ყველაფერი უხვად ხარობდა. და სწორედ იქ, დიდი ტბის შუაგულში კუნძულ აღმარენზე გახლდათ ვალართა პირველი სამოსახლო, როცა ყოველივე ჯერაც ნორჩი იყო და ახალშექმნილი სიმწვანე სასწაულად ეჩვენებოდათ თავად მის შემოქმედთ; დიდხანს ცხოვრობდნენ ვალარნი ბედნიერად.

ვიდრე ვალარნი ისვენებდნენ და თავიანთი შრომის ნაყოფის ზრდასა და ჩანაფიქრის აღსრულებას თვალს ადევნებდნენ, მანუემ დიდი ლხინი გამართა. ვალარები ამალითურთ ეწვივნენ მას ლხინზე. მივიდნენ აულე და ტულკასიც, თუმც კი დაღლილები იყვნენ, რამეთუ აულეს ოსტატობასა და ტულკასის ღონეს განუწყვეტლივ იყენებდნენ შრომისას. ხოლო მეღკორმა უწყოდა ყოველივე, რაც კი გაკეთდა, რადგან მაშინაც კი საიდუმლო მეგობრები და ჯამუშები ჰყავდა მაიართა შორის; და შორს, წყვდიადში მიმალული აღივსო სიძულვილით, შეშურდა შემოქმედების თანასწორთა, რომელთა დამონებაც ძლიერ ეწადა. შეკრიბა

სულნი ეას დარბაზებიდან და მსახურებითა და მომხრეებით გარემოცულმა თავი ძლიერად წარმოიდგინა. მოაწია ჩემმა ჟამმაო, იფიქრა მან, კვლავ მიუახლოვდა არდას და ზემოდან დახედა. ნორჩი დედამიწის სილამაზის დანახვამ უფრო მეტი სიძულვილით ადავსო.

ხოლო ვალარნი აღმარენზე შეკრებილიყვნენ, შიში არ ჰქონდათ მათ ბოროტისა; ილუინის სინათლის წყალობით ვერ ხედავდნენ ჩრდილს მეღკორისა, ჩრდილოეთს რომ გადაჰფენოდა; მეღკორი სიცარიელის ღამესავით გაშავებულიყო. როგორც ამბობენ, არდის გაზაფხულის ლხინში ტულკასმა ცოლად შეირთო ნესა – და ორომესი. აღმარენის მწვანე ბალახზე ვალართა თვალწინ ცეკვავდა ნესა.

დაეძინა ტულკასს, დაღლილსა და კმაყოფილს; ხოლო მეღკორმა დრო იხელთა. ლაშქრითურთ გადაევლო იგი ღამის კედლებს და შუახმელეთის ჩრდილოეთს მოადგა. ვალართ მისი მოსვლა არც კი უგრძნიათ.

მელკორი უზარმაზარი სიმაგრის აგებას შეუდგა მიწის ქვეშ, ბნელი მთების სიღრმეში, სადაც ილუინის სხივები მკრთალდებოდა და ცივდებოდა. იმ ციხესიმაგრეს უტუმნო ერქვა. თუმცა ჯერ არაფერი უწყოდნენ მასზე ვალარებმა, იქიდან მომავალმა მელკორის სიავემ და მავნე ოხშივარმა წაბილწა არდის გაზაფხული. მწვანე მცენარეები დასნეულდა და დაღპა, მდინარეები შლამითა და ლეყეპოთი ამოივსო და სისხლისმსმელ მკბენართა საბუდარ მყრალ, შხამიან ჭაობებად გადაიქცა. ტყეები დაბნელდა და გაუღრანდა, ყველგან საფრთხე იყო ჩასაფრებული. ცხოველები გარდაიქმნენ რქიან და ეშვებიან ურჩხულებად, რომლებიც მიწას სისხლით რწყავდნენ. მაშინ კი მიხვდნენ ვალარები, რომ მელკორი ისევ ამოქმედებულიყო და მისი სამალავის ძებნას შეუდგნენ. უტუმნოს სიმტკიცითა და მსახურთა სიმრავლით გულმოცემულმა მელკორმა მალვა აღარ ისურვა და საომრად გამოვიდა. უეცრად შეუტია მოუმზადებულ ვალარებს. დაამხო ილუინისა და ორმალის სვეტები და დალენა სანათები. ვება სვეტების მსხვრევისას შეიძრა მიწა და აღელდა ზღვები, სანათებიდან გადმოღვრილი ცეცხლი მოედო არდას. დედამიწის აგებულება, სიმეტრია ხმელთა და წყალთა დამახინჯდა იმ ომში და აღარასოდეს დაუბრუნებია პირვანდელი სახე.

იმ არეულობასა და წყვდიადში უკუიქცა მელკორი; დააფრთხო იგი მანუეს ხმამ, ქარიშხლად რომ გადმოევლო აღრიალებულ ზვირთებს, ხოლო ტულკასის სწრაფმა ნაბიჯებმა შეარყია მიწა. ვერ დაეწია ტულკასი მას, უტუმნოს შეაფარა მელკორმა თავი. ვერ მოახერხეს ვალარებმა მელკორის ძლევა იმხანად, რამეთუ არდის მღელვარების დაოკებას შეალოეს დიდი ძალა, რათა ნგრევისგან ეხსნათ ყოველივე, რაც კი შეექმნათ; ხოლო შემდეგ კი უტუმნოში ჩასასვლელად მიწის გახლეჩა ვერ გაბედეს: მათ ხომ არ იცოდნენ, როდის ან სად მოევილინებოდნენ ილუვატარის შვილნი ქვეყანას.

ასე დასრულდა არდის გაზაფხული. ვალართა სამოსახლო კუნძულ აღმარენზე აღიგავა პირისაგან მიწისა და აღარსად ჰქონდათ მათ საცხოვრისი. ამის გამო დატოვეს შუახმელეთი და დასახლდნენ ამანის მი-

წაზე, ქვეყნიერების კიდეზე. ამანის დასავლეთი ნაპირები გაჰყურებს გარეთა ზღვას, არდას სამეფოს გარს რომ

შემორტყმია. ამ ზღვას ელფები ეკაიას უწოდებენ და არავინ უწყის მისი სიგანე, გარდა ვალარებისა. ზღვის მიღმა ღამის კელღებია. ხოლო აღმოსავლეთი ნაპირები ამანისა ბელეგარის, დასავლეთის დიდი ზღვის, კიდეს გაჰყურებდა. და ვინაიდან ვერ სძლიეს შუახმელეთში დაბრუნებულ მეღკორს ვალარებმა, ახალი საცხოვრისის გამაგრებას შეუდგნენ. ზღვის ნაპირებზე აღმართეს პელორის მთები, უმაღლესნი დედამიწის ზურგზე. ხოლო პელორის მწვერვალთა შორის უმაღლესზე მანუემ თავისი ტახტი დადგა. ტანიქუტილს უწოდებენ ელფნი იმ წმინდა მთას, თითოვლად მარადთეთრს, ელერინა ვარსკვლავთგვირგვინოსანს და მრავალ სხვა სახელს. ხოლო სინდართა ენაზე მთას ამონ უილოსი ერქვა. ტანიქუტილის სასახლიდან მთელ დედამიწას გადაჰყურებდნენ მანუე და ვარდა, უკიდურეს აღმოსავლეთს სწვდებოდა მათი მახვილი მზერა.

პელორის მთათა გაღავანში მოაქციეს ვალარებმა ახალი სამფლობელო – ვალინორი. იქ ააგეს სახლები და კომპეები და გააშენეს წალკოტები. იმ დაცულ მიწაზე შეაგროვეს ვალარებმა სინათლე და ყოველივე ლამაზი, რაც კი ნგრევას გადაარჩინეს. უფრო მეტი ხელახლა შექმნეს და ვალინორი იმაზე მეტად გააღამაზეს, ვიდრე შუახმელეთი არდის სიყრმის ჟამს. კურთხეულ იყო ვალინორი, რადგან უკვდავნი ცხოვრობდნენ იქ; არაფერი ჭკნებოდა და მქრქალდებოდა იმ მიწაზე, ერთი ლაქა არ ეტყობოდა ყვავილსა თუ ფოთოლს, სნეულება და ხრწნა არ ეკარებოდა არც ერთ სულიერს; რადგან თვით ქვები და წყლები იყო იქ წმინდა.

და როს შემოართყეს მთათა გაღავანი ვალინორს და სამყოფელი შემომიჯნეს, ვალარებმა ველის შუაგულში ქალაქი, მრავალზარიანი ვალმარი ააშენეს. ვალმარის დასავლეთ კარიბჭის წინ იდგა მწვანე ბორცვი – ეზელოჰარი, აგრეთვე კოროლაირედ წოდებული. იავანამ აკურთხა იგი და დიდხანს იჯდა იქ მწვანე ბალახზე, სიმღერით უბრძანა მცენარეთ, აღმოცენებულიყვნენ და ეყვავილათ. ხოლო ნინეა ჩუმად იჯდა და მწვანე ბორცვს ცრემლებით რწყავდა. შეგროვდნენ ვალარნი იავანას სიმღე-

რის მოსასმენად, ჩუმად დასხდნენ სათათბირო დარბაზში, მაჰანაქსარში, ბედისწერის რკალში, რაც ვალმარის ოქროს კარიბჭესთან ახლოს დგას. იავანა კემენტარი მღეროდა ვალართა წინამე, ხოლო ვალარნი უსმენდნენ.

და ამ მღერისას მწვანე ბორცვზე აღმოცენდა ორი წვრილი ყლორტი; იმ ჟამს მთელ ქვეყანაზე ყოველივე ღუმდა, მხოლოდ იავანას გალობა ისმოდა. გაამადლა და დაამშვენა ყლორტები მისმა სიმღერამ, ხეებად აქცია და ააყვავილა. ასე მოევლინა ქვეყანას ვალინორის ორი ხე. იავანას ქმნილებათაგან უცნობილესნი არიან ეს ხეები, ადრინდელი დღეების ყოველი ამბავი მათ ბედთან არის გადახლართული.

ერთი ხის ფოთლები ზემოდან მუქი მწვანე იყო, ქვემოდან – ვერცხლივით მბზინვარე; ურიცხვი ფოთლიდან ვერცხლისფერი ცვარი ცვიოდა, მიწა ხის ქვეშ ათრთოლებული ფოთლების ჩრდილს დაელაქავებინა. მეორე ხეს ნორჩი წიფელივით ხასხასა მწვანე, კიდებმოოქრული ფოთლები ესხა; ცეცხლის ალივით აბღვრიალებულ ყვითელ ყვავილებს დაეხუნძლა მისი ტოტები. თითოეულ ყვავილს ლაჰლაჰა რქის ფორმა ჰქონდა და ყვავილებიდან ოქროსფერი ნაჟური აწვიმდა მიწას; აყვავილებული ხე

სითბოსა და სინათლეს ასხივებდა. ტელპერიონს უწოდებდნენ პირველ ხეს ვალინორში, კიდევ სილპიონს, ნინქუელოტესა და სხვა მრავალ სახელს; ხოლო მეორეს – ლაურელინს; აგრეთვე მალინალდად და კულურიენად იხსენიებდნენ მას სიმღერებში.

ყოველ შვიდ საათში მატულობდა და მიილეოდა თითოეული ხის ბრწყინვალეობა; ერთი რომ დაიძინებდა, მეორე აკამკამდებოდა ხოლმე. ამგვარად, ვალინორში დღეში ორჯერ დგებოდა ჟამი, როცა ორივე ხე მკრთალად ციმციმებდა და მათი ოქროსფერი და ვერცხლისფერი შუქი ერთმანეთს ერწყმოდა. მათგან უფროსი ტელპერიონი იყო, პირველად ის აღმოცენდა, გაიზარდა და მან იყვავილა. მისი ბრწყინვალეობის პირველ ჟამს, ვერცხლისფერი განთიადის თეთრ ციალს, ვალარებმა საწყისი ჟამი უწოდეს, ხოლო ვალინორში მრავალსაუკუნოვანი მმართველო-

ბის აღრიცხვა მეორე ჟამიდან დაიწყეს. ამგვარად, პირველი დღის მეექვსე ჟამს ტელპერიონმა ყვავილობა შეწყვიტა, ხოლო მეთორმეტე ჟამს ლაურელინმა – გაფურჩქნა. ასე გრძელდებოდა ყოველ ბედნიერ დღეს, ვიდრე ვალინორის დაბნელებამდე. ვალართა ყოველი დღე ამანში თორმეტი ჟამისგან შედგებოდა და ხეთა შუქის მეორე შერწყმისას სრულდებოდა, როცა ლაურელინის შუქი ილეოდა, ხოლო ტელპერიონისა მატულობდა. ხეთაგან გამოფრქვეული შუქი დიდხანს ძლებდა, ვიდრე ჰაერში გაიფანტებოდა, ან მიწაში ჩაჟონავდა. ტელპერიონის ცვრის წვეთებსა და ლაურელინის ნაჟურს ვარდა დიდ ჯამებში აგროვებდა. და ეს ჯამები, მსგავსნი მბრწყინავი ტბებისა, ვალართათვის წყლისა და სინათლის წყაროებად იქცა. ასე დაიწყო ვალინორის ნეტარი დღეები და, იმავდროულად, ჟამთააღრიცხვა.

გადიოდა საუკუნეები და ახლოვდებოდა ილუვატარისგან დათქმული დღე პირველშობილთა გამოდვიძებისა, შუახმელეთს კი ჯერაც ბინდი გადაჰფენოდა; მხოლოდ ვარდას მიერ უხსოვარ დროს ეაში გარჯისას შექმნილი ვარსკვლავები დაჰნათოდნენ მას. იმ წყვილიადში სახლობდა მელკორი, ხშირად მიდიოდა შორს ძლევა მოსილი და თავზარდამცეში, მათათა მყინვართა სუსხისა და მიწის წიაღის მწველი ცეცხლის მპყრობელი; რაც კი რამ საზარელი, სასტიკი და ავი იყო ამქვეყნად, მას მორჩილებდა ყოველი.

მათათა გალავანში მოქცეული მშვენიერი და ნეტარი ვალინორიდან იშვიათად სტუმრობდნენ შუახმელეთს ვალარნი, მაგრამ პელორის მათათა მიღმა მდებარე მიწას მზრუნველობასა და სიყვარულს არ აკლებდნენ. კურთხეული სამეფოს შუაგულში იდგა აულეს სასახლე. დაუღალავად შრომობდა იგი. იმ მხარეში ყველაფრის შექმნაში ედო მას წილი, მრავალი ლამაზი და მოხდენილი რამ გამოქვდა ღიად და მალულად. მისგან გვაქვს ცოდნა დედამიწისა და ყოველივესი, რაც მასშია: მისგან სწავლობენ ისინი, ვისაც ქმნა არ სურს და მხოლოდ არსებულის გაგებას ეძიებს და ისინიც, ვისაც ხელობაში დაოსტატება სწადია: მჭედელნი, მქსოველნი და ხის მთელენი, მებადენი და თვით მიწათმოქმედნი;

თუმცა, მცენარეთა გახარება და ნაყოფიერება, უპირველესად, აულებს მე-
უღლეს, იავანა კემენტარის უნდა შესთხოვო. აულებ ნოლდორთა მეგობ-
რად იწოდება, რამეთუ მისგან შეისწავლეს ბევრი რამ ნოლდორთ, რო-
მელნიც ელფთაგან ყველაზე განსწავლულნი არიან. ილუვატარისგან
უამრავი ნიჭით დაჯილდოებული ნოლდორები თავისებურად იყენებ-
დნენ აულებს სწავლებებს და მრავალი რამ შემატეს მას. ენებსა და

დამწერლობებს, ქარგვას, ხატვასა და გამოქანდაკებას ჰყვარობდნენ
ნოლდორნი, პირველად მათ ისწავლეს ძვირფასი ქვების დამუშავება; ამ
ქვათაგან ულამაზესი იყო სილმარილები, რომლებიც უკვე დაკარგულია.

ხოლო მანუე სულიმო, ვალართაგან უწმინდესი და უღიადესი, ამანის
საზღვრებთან სახლობდა და არ ივიწყებდა გარე მიწებს. მისი ტახტი ტა-
ნიქუეტილის, მსოფლიოს უღიდესი მთაგრეხილის უმაღლეს მწვერვალ-
ზე იდგა. შევარდნებად და არწივებად განსხეულებული სულნი იყვნენ
მისი მსახურნი, ზღვის სიღრმეებსა და მიწისქვეშა ფარულ მღვიმეებს
სწვდებოდა მათი მზერა, მუდამ მიფრინავდნენ მის სასახლეში და აცნო-
ბებდნენ, თუ კი რამ ხდებოდა არდაში; თუმც, ყოველივეს როდი ხედავ-
დნენ მანუე და მისი მსახურნი, რამეთუ თვალმუუვალნი წყვდიადი გადაჰ-
ფარებოდა სამყოფელს შავბნელ ფიქრებში ჩაძირული მელკორისა.

მანუე პატივმოყვარე არ არის და დიდებას არ ეძიებს, ქვეყნიერებას
მშვიდად მართავს. ყველაზე ძლიერ ელფთაგან ვანიარნი უყვარდა მას;
მრავალი სიმღერა და ლექსი უძღვნეს მას ვანიარებმა; მანუეს უყვარს
ლექსები და სიმღერები. ლურჯია მისი სამოსელი და ლურჯი ალი კია-
ფობს მის თვალებში, ხელთ ნოლდორთ ქმნილი საფირონის სკიპტრა
უპყრია, ილუვატარის ნაცვალთა იგი, მეფე ვალართა, ელფთა და კაცთა
ქვეყნიერებისა და მისი მთავარი დამცველი მელკორის ბოროტებათა-
გან. მანუესთან მეუღლე იყო ულამაზესი ვარდა, ვისაც სინდართა ენაზე
ელებერეთი ჰქვია; ვალართა დედოფალია იგი და ვარსკვლავთა შემოქ-
მელი. მათთან ერთად ნეტარებაში ცხოვრობდა სულთა მრავალრიცხო-
ვანი დასი.

ხოლო ულმო იყო ეული და ვალინორში არ ცხოვრობდა. ოდენ მაშინ სტუმრობდა ვალინორს, როცა უაღრესად საჭირბოროტო საკითხებზე თათბირობდნენ; არდის დასაბამიდან გარეთა ოკეანეში სახლობდა და ახლაც სახლობს იგი. ამქვეყნად ყოველ მდინარეთა დინებასა და ზღვათა მიქცევას, წყაროთა მომარაგებასა და ცვრისა და წვიმის წყლის გაწმენდას განაგებს; უღრმეს ადგილებში ფიქრობს დიდსა და სამინელ მუსიკაზე და ამ მუსიკის ექო სევდიანად და მხიარულად მიედინება სამყაროს ძარღვებში – რაგინდ მხიარულიც უნდა ჩანდეს შადრევანი, მიწიდან რომ ამოხეთქავს და მზისკენ მიიწევს; სევდას მოუცავს სათავე მის ღრმა მიწისქვეშეთში. ულმოსგან მიიღეს ცოდნა ტელერებმა, ამის გამოა მათი მუსიკა ნაღვლიანიცა და მომნუსხველიც. ულმოსთან ერთად ეწვია არდას სალმარი. მან დაამზადა ბუკები ულმოსი; ვინც ულმოს ბუკთა ხმიანობას ერთხელ მაინც მოისმენს, არასოდეს დაავიწყდება. ოსე და უინენიც მასთან არიან, ულმომ მათ მიანდო შიდა ზღვათა დინებისა და ზვირთთა მმართველობა. სხვა მრავალი სულიც ემსახურება ულმოს. ულმოს ძლიერების წყალობითაა, რომ მეღკორის წყვდიადმა მიწის ფარული ძარღვები ვერ დააჭვნო და არდა სიკვდილს გადაურჩა. მუდარას მათსას, ვინც წყვდიადში დაიკარგებოდა ან ვალართა ნათელისგან შორს წავიდოდა, ის ყოველთვის შეისმენდა. ულმოს არასოდეს დავიწყებია შუახმელეთი და მის თავს დამტყდარი უბედურებებისა და მრავალი ცვლილებების მიუხედავად, ზრუნავდა და ქვეყნიერების აღსასრულამდე იზრუნებს მასზე.

იმ შავბნელ წლებში არც იავანამ ისურვა გარე მიწების სრულებით მიტოვება; რამეთუ ძვირფასია მისთვის ყოველივე, რაც კი იზრდება; მისი ნაღვაწი მეღკორისგან წაბილწული რომ არ დამთენილიყო, ხანდახან

აუღეს სასახლესა და ვალინორის ყვავილოვან მინდვრებს დატოვებდა და შუახმელეთის იარათა შესახორცებლად გაეშურებოდა ხოლმე. შინ დაბრუნებული, ვალარებს დაჟინებით მოუწოდებდა, ბრძოლით აღმდგარიყვნენ მეღკორის წინააღმდეგ და პირველშობილთა გამოჩე-

ნამდუ ხელიდან გამოეგლიჯათ მისთვის შუახმელეთი. ორომე მხეც-თომომთვინიერებელიც ხშირად შედიოდა უღრან ტყეთა წყვდიადში; ვითარცა მონადირე დიადი, შუბითა და მშვილდით დასდევდა და ჟლეტდა მელკორის სამეფოს საზარელ ურჩხულთ და სასტიკ ნადირთ; მისი თეთრი რაში ნაჰარი ვერცხლისფრად ელვარებდა ბნელში. მძინარე მიწას აზანზარებდა ნაჰარის ოქროს ფლოქვთა ცემა და ქვეყნიერების გარიჟრაჟზე არდის მინდორ-ველებს შემოურბენდა ორომეს ვეება ბუკის, ვალარომას, გუგუნის. ორომეს რისხვის მაუწყებელი გუგუნის გაგონებაზე ავსულები შიშით უკან იხევდნენ და თვით მელკორი ცახცახებდა უტუმნოში. თუმც, რა წამს დაუტევებდა ორომე შუახმელეთს, მყის შეგროვდებოდნენ მელკორის მსახურნი და ისევ სიცრუე და წყვდიადი გადაეფარებოდა იქაურობას.

ასეთი იყო დედამიწა და ასეთნი იყვნენ მმართველნი მისნი დღეთა დასაბამს, ვიდრე ქვეყნიერება ისეთი გახდებოდა, როგორსაც ილუვატარის შვილნი იცნობენ. ილუვატარის შვილნი არიან ელფნი და კაცნი და, ვინაიდან სრულიად არ უწყიან თემა, რომლითაც შვილნი გაჩნდნენ დიდ მუსიკაში, ვერც ერთმა აინუმ ვერ გაბედა მათი სათავისოდ გარდაქმნა. ამის გამო ვალარნი კაცთა და ელფთა მოდგმისთვის წინამძღოლნი და ბელადნი უფრო არიან, ვიდრე ბატონნი. უკეთუ ელფნი და კაცნი ვალართა რჩევას ყურს არ დაუგდებდნენ და ვალარნი მათ რასმეს დააძალებდნენ, მიუხედავად ვალართა კეთილი განზრახვისა, ყოველივე მაინც ცუდად სრულდებოდა. ვალარნი მეტწილად ელფებთან იჭერდნენ საქმეს, რადგან ილუვატარმა აინურთ დაამსგავსა ელფნი, თუმც მათზე ნაკლებ ძლიერნი და აღნაგნი იყვნენ ისინი. ხოლო კაცნი ილუვატარმა უჩვეულო ნიჭით დააჯილდოვა.

როგორც ამბობენ, ვალართა წასვლის შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა და მთელი საუკუნე ჩაფიქრებული იჯდა ილუვატარი. დაბოლოს თქვა მან: «მე მიყვარს დედამიწა, რომელიც ქუენდთა და ატანთა სახლად გადაიქცევა! ხოლო ქუენდნი იქნებიან ყოველ მიწიერ ქმნილებაზე მშვენიერნი; სილამაზით დაჯილდოვდებიან ისინი, სილამაზეს შეიცნობენ და

სილამაზეს შექმნიან, კურთხელ იქნებიან ისინი ამქვეყნად. ხოლო ატანები ჩემგან ახალ ძღვენს მიიღებენ!»

ისურვა მან, რომ კაცთა მოდგმა მუდამ ქვეყნიერების საზღვრებს მიღმა ილტვოდეს და ამქვეყნად ვერ პოვოს სიმშვიდე. კაცთ საკუთარი ცხოვრების მოწყობის ნება მიეცათ, რათა თავად შექმნან ბედი თავიანთი; არ ემონებიან ისინი აინურთა მუსიკას, რომლითაც სხვათათვის ყოველივე წინასწარ განსაზღვრულია. სწორედ კაცნი დაასრულებენ ქვეყნიერების შეცნობას და შენებას და ილუვატარის ჩანაფიქრს ბოლომდე აღასრულებენ.

იცოდა ილუვატარმა, რომ ქვეყნიერების ძალთა მღელვარებაში მოხვედრილი კაცნი ხშირად შესცოდავდნენ და ბოძებულ ძღვენს წესისამებრ არ გამოიყენებდნენ; და თქვა მან: «მოაწევს ჟამი, როცა კაცნიც მიხვდებიან, რომ რასაც იქმიან, დასასრულს ჩემს ჩანაფიქრს შემატებს დიდებას!»

თუმც ელფთ მიაჩნიათ, მანუე ხშირად დარდობს კაცთა მოდგმაზეო, მანუემ ხომ სხვებზე უკეთ უწყის, ილუვატარს რაც აქვს განზრახული. ელფნი ამბობენ, კაცნი აინურთაგან ყველაზე ძლიერ მეღკორს ჰგვანანო; ხოლო თავად მეღკორი უფრთხოდა კაცთ და ეშინოდა თვით იმათი, ვინც მას მსახურებდნენ.

ილუვატარისგან მომადლებული ამ თავისუფლების გამოა, რომ კაცნი ქვეყნიერებას არ არიან მიჯაჭვულნი და ხანმოკლეა მათი სიცოცხლე, სიკვდილის შემდეგ ელფთათვის უცხო მხარეში მიემგზავრებიან. ხოლო ელფნი დროის დასასრულამდე იცოცხლებენ, მათი სიყვარული დედამიწის და მთელი ქვეყნიერების მიმართ მკაფიო და სევდიანია, და რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრდება. ელფნი ხომ ქვეყნიერების აღსასრულამდე არ მოკვდებიან (თუკი არ დახოცავს ვინმე ან დარდისგან არ დაიღუპებიან), არც სიბერისგან დაუძღურდებიან, თუ ათასსაუკუნოვანი სიცოცხლით არ დაიღუპებიან. გარდაცვლილი ელფები ვალინორში, მანდოსის დარბაზებში გროვდებიან და ერთხელაც იქიდან დაბრუნდებიან. ხოლო კაცის ძენი მართლაც კვდებიან და ამ ქვეყანას ტოვებენ;

ამის გამო უწოდებენ მათ სტუმრებს ან უცხოებს. გარდაუვალი სიკვდილი უძღვნა კაცთა მოდგმას ილუვატარმა და დროთა განმავლობაში ამ ძღვენისა უზუნაესთაც კი შეშურდებათ. ხოლო მელკორმა გადააფინა თავისი ჩრდილი სიკვდილს, შემოქმედის ძღვენს, და კეთილი ბოროტად აქცია, იმედი – შიშად. თუმც, ძველთაგანვე ვალინორში ვალართაგან სმენიათ ელფებს, რომ აინურთა მეორე მუსიკას კაცთა სიმღერაც შეუერთდება. ხოლო ილუვატარს არ გაუმხელია, რა მოელის ელფებს ქვეყნიერების აღსასრულს და ვერც მელკორმა შეიტყო ეს.

თავი მეორე. ამბავი აულები და იავანასი

როგორც ამბობენ, ჯუჯები აულებმ შექმნა შუახმელეთის წყვდიადში; ისე ძლიერ სწაღდა მას ილუვატარის შვილთა გამოჩენა, ყოლა შეგირდთა, რომელთაც ცოდნასა და ოსტატობას გაუზიარებდა, რომ ილუვატარის განზრახვის აღსრულებას აღარ დაუცადა. აულებმ შექმნა ჯუჯები ისეთებად, როგორებიც ახლაც არიან; რამეთუ იერი ილუვატარის მომავალ შვილთა ბუნდოვანი იყო მის გონებაში; და ვინაიდან ჯერაც მელკორი ბატონობდა დედამიწაზე, იფიქრა აულებმ, შვილნი ჩემნი ძლიერნი და მტკიცენი უნდა იყვნენო. საიდუმლოდ მუშაობდა ის, რათა ვალართ არ გაეკიცხათ და ასე შექმნა შუახმელეთის მთათა ქვეშ ვრცელ დარბაზში ჯუჯათა შვიდი მამა.

შეიტყო ილუვატარმა ეს ყოველივე და რაჟამს განასრულა აულებმ საქმე თავისი და ნასიამოვნებმა მათთვისვე გამოგონილი ენით სწავლება დაუწყო ჯუჯათ, დაელაპარაკა მას ილუვატარი. ესმა ხმა ილუვატარისა აულებს და დადუმდა. ხოლო ილუვატარის ხმამ უთხრა: «რადა ქმენ ესე? რად ლამობ იმის ქმნას, რაც შენს ცოდნასა და ძალას აღემატება? თავად ქმნილი ხარ ჩემ მიერ და არსებობა შენი არს ჩემი ძღვენი. და ამის გამო შენი ხელით და გონებით შექმნილთ ამ არსებობით უნდა იცოცხლონ. ივლიან მამინ, როს ეს შენ მოგაფიქრდება და უკეთუ ფიქრი შენი სხვაგან იქნება, იდგებიან უქმად. ესე არს გულისთქმა შენი?»

ხოლო აულებმ მიუგო: «მსგავსი ბატონობა არა მწადია. ოდენ ისა მსურს, იყვენ სხვანიც, რათა მიყვარდეს ისინი და ვასწავლიდე მათ, რათა შეიცნონ სილამაზე ეასი, რომელიც შენ შეჰქმენ! რამეთუ დავასკვენ, ვრცელი არს არდა და დაიტევს მრავალთ, რათა იხარონ მისი სილამაზით, რად უნდა იყოს ესრეთ ცარიელი და უტყვი? ვხედავ, სულსწრაფობამ ცოდვაში ჩამაგდო. ქმნის სიყვარული შენგან მომეცა და, როს უმეცარი შვილი მამის საქმეთ ჰბაძავს, განა დასცინის მას, არამედ იქმს ამას იმად, რომ მისი ძე არს. რადა ვქნა ახლა, რათა არ იჯავრო ჩემზედ უკუნითი უკუნისამდე? ვითარცა შვილი მამას, შენ მიერ ქმნილი, გთავაზობ

ჩემი შრომის ნაყოფს. რაცა გწადდეს, იგი უქენ მათ. ან თუ ესე არს ნება შენი, კადნიერებით ჩემით შექმნილთ მე თავად მოვსრავ!»

აილო აულემ დიდი ურო ჯუჯათა მოსასპობად და ატირდა. იხილა ილუვატარმა აულეს მოკრძალება და შეებრალა იგი. ხოლო ჯუჯებს შეეშინდათ უროსი და შიშით მოიბუზნენ; ქედმოდრეკილნი შესთხოვდნენ აულეს მოწყალებას. და ესმა აულეს ილუვატარის ხმა: «უკვე შევისმინე თხოვნა შენი. ვერა ხედავ, შენ მიერ ქმნილთ პირში სული უდგათ და მეტყველებენ? უკეთუ ცოცხალნი არ იყვნენ, დარტყმას შენსას არ შეუშინდებოდნენ და არც ბრძანებას შენსას დაემორჩილებოდნენ».

მაშინ დააგდო ურო აულემ და მადლობა გადაუხადა ილუვატარს: «დაე, ერუმ დალოცოს და სრულჰყოს საქმენი ჩემნი!»

ხოლო ილუვატარმა უთხრა: «ვითარცა განზრახვით აინურთა შევძინე არსი და იქმნა ქვეყანა, ეგრეცა შევისმინე გულისთქმა შენი და მივუჩინე მას ადგილი ქვეყანასა შინა. თუმც, არა სრულჰყოვ ხელთქმნილთა შენთა; ვითარცა შეჰქმენ, ეგრეცა იყვნენ. ხოლო ამას ვერ მოვითმენ, ესენი პირმშოთა ჩემთა უწინარეს მოევლინონ ქვეყანას და სულსწრაფობისთვის ასე მოგიზღავ: იძინებენ ჯუჯანი ბნელში, კლდეთა ქვეშ, პირველშობილთა გაღვიძებამდე; ლოდინი მოგიწევთ. და როს მოაწევს დათქმული ჟამი, გავაღვიძებ მათ და იქნებიან ჯუჯანი შენთვის, ვითარცა შვილნი. ხშირად იმუდლებენ შენნი და ჩემნნი, შვილნი ჩემგან შეწყალებულნი და შვილნი ჩემგან რჩეულნი».

წაიყვანა აულემ ჯუჯათა შვიდი მამა შორეულ მხარეში და დააწვინა იქ მძინარენი. ხოლო შემდგომ ამისა, დაბრუნდა ვალინორს და მოთმინებით უცდიდა დათქმული ჟამის დადგომას.

ვინაიდან მელკორის მეუფების ხანაში უნდა მოვლენოდნენ ქვეყანას, აულემ ჯუჯები ძლიერნი და გამძლენი შექმნა. ქვასავით მტკიცეები და შეუპოვრები არიან ისინი, სწრაფად დაგიმეგობრდებიან და სწრაფად გადაგმეტყრებიან; მძიმე შრომას, შიმშილსა და ტკივილს სხვა მეტყველ ხალხზე უკეთ უძლებენ; დღეგრძელნი არიან, ადამიანებზე დიდხანს ცოცხლობენ, მაგრამ არა სამუდამოდ. უწინ შუახმელეთის ელფთ სწამ-

დათ, ჯუჯანი სიკვდილის შემდგომ მიწად იქცევინ – იმად, რისგანაც შეიქმნენო. თავად ჯუჯათ სხვაგვარად სწამთ. ამბობენ, რომ აულე შემოქმედი, რომელსაც მაჰალს უწოდებენ, ზრუნავს ჯუჯებზე და მანდოსის ერთ-ერთ დარბაზში აგროვებს მათ; ჯუჯათა შვიდ მამამთავარს აულემ ასე უთხრა, რომ ქვეყნიერების აღსასრულს ილუვატარი მათ მოდგმას აკურთხებს და თავის შვილთა შორის მიუჩენს ადგილს. ბოლო ბრძოლის შემდეგ ჯუჯები აულეს არდის აღდგენაში დაეხმარებიან. იმასაც ამბობენ, რომ ჯუჯათა შვიდი მამა დაბრუნდება, თანამოდმეთა შორის იცხოვრებენ ისინი და კვლავ უძველეს სახელებს დაირქმევენ. მათ შორის ყველაზე განთქმული იყო ღურინი – მამამთავარი ელფთა მეგობარი ჯუჯათა ტომისა, რომელიც კჰაზად-ღუმში სახლობდა.

სხვა ვალართაგან მალულად შექმნა აულემ ჯუჯები. ბოლოს გაუმხილა იავანას ყოველივე, რაც თავს გადახდა. და უთხრა იავანამ: «მოწყალე არს ერუ. ვხედავ, გულით ხარობ; არამცთუ შეგინდეს, დაგაჯილდოვეს. თუმცა, ვინაითგან დამიმაღლე ზრახვანი შენში და ჩვენდა უცოდინრად შეჰქმენ ჯუჯანი, შვილთა შენთა მცირედი სიყუარული ექნებათ იმისა, რაც მე მიყვარს. უწინარესად ეყვარებათ თავიანთი ნახელავი, ვითარცა მამასა მათსა. ღრმად ამოთხრიან მიწას და ყოველივეს, რაც ხარობს მიწასა ზედა, არ მოუფრთხილდებიან. მრავალი ხე იგემებს მათი ნაჯახის უღმობელ სიბასრეს!»

ხოლო აულემ მიუგო: «იმავეს იზამენ შვილნი ილუვატარისა, რამეთუ ჭამასა და შენებას დაიწყებენ ისინი. თუმც კი, თავისთავად ძვირფასნი არიან ყოველნი სამეფოსა შენსა შინა და იქნებოდნენ ძვირფასნი, თუნდაც ილუვატარის შვილნი არ მოდიოდნენ, მაინც თავის შვილთ უბოძებს ერუ ბატონობას; ყოველივეს მოიხმარენ ისინი, რასაც კი არდაში იპოვიან; ოდენ მოწინებითა და მადლიერებით, რამეთუ ერუს ასე ნებავს».

«უკეთუ მელკორი არ დაუბნელებს გულებს მათ», – დასძინა იავანამ. შუახმელეთის ბედით დადარდიანებული ეახლა მანუეს და ჰკითხა, ოდენ ისე, რომ არ გაეცა, რაც აულემ გაანდო: «არდის მეუფევ, მართალ არს, რაც აულემ მითხრა: როს ილუვატარის შვილნი მოვლენ ამქვეყნად,

რაც კი შემიქმნია, ყოველივეზე იბატონებენ და იქმიან იმას, რასაც მო-
ისურვებენ?»

«მართალ არს», – მიუგო მანუემ, – «მაგრამ, რად მეკითხები? ან აუ-
ლეს რჩევა-დარიგება რად ჰკითხე?»

იავანა დადუმდა და ჩაფიქრდა. ბოლოს მიუგო: «იმად, რომ შიშით
ველი მომავალ დღეებს. ყოველი ჩემი ქმნილება ჩემთვის ძვირფასი არს.
განა არ კმარა, რაოდენიც მელკორმა წაბილწა? მაშ, ყოველივე, რაც შე-
მიქნია, სხვათა კუთვნილება უნდა გახდეს?»

«უკეთუ იყოს ნება შენი, რას შეინახავდი?» – ჰკითხა მანუემ. – «მთელ
სამეფოში უძვირფასესად რა მიგაჩნია?»

«ყველა თავისებურად ღირებული არს», – მიუგო იავანამ, – «და თი-
თოეული დანარჩენებს მატებს ღირსებას. თუმც, კელვართ ფრენა და
თავდაცვა ძალუძთ, ხოლო მზარდ ოღვართ არ ძალუძთ. მათ შორის, ხე-
ები ჩემთვის უფრო ძვირფასნი არიან. ნელა იზრდებიან, მაგრამ სწრა-
ფად იქცევიან. უკეთუ არ იხდიან ბაჟს უხვი ნაყოფით, არვიან ნანობს და-
ღუპვას მათსა. ამას მკარნახობს ჩემი გონება. აჰ, ნეტავ, ხეებს ყოველი
მცენარის სახელით ლაპარაკი და მათზე ხელის აღმმართავის დასჯა ძა-
ლუძდეთ!»

«ჭეშმარიტად უჩვეულო აზრი არს ესე!» – თქვა მანუემ.

«სიმღერაში ვიხილე», – მიუგო იავანამ. – «ვიდრე ზეცაში იყავ და
ულმოსთან ერთად ღრუბლებსა ქმნიდი და მიწას წვიმას ასხურებდი, მე
ხეთა ტოტებს მალლა ვწევდი, რათა დაელიათ მათ წვიმის წყალი. და მას
ქარსა და წვიმასა შინა, ზოგმა მათგანმა ილუვატარს სიმღერა უძღვნა».

მანუე დაფიქრდა. აზრი, რომელიც იავანამ მას შთააგონა, გაიშალა
და გაიზარდა და ილუვატარმა იხილა. და, აჰა, ისევ მოესმა სიმღერა მა-
ნუეს და მრავალი რამ გაიგონა სიმღერაში, რაც უწინ არ გაეგონა. ბოლოს
განახლდა ხილვა; ოღონდ ხილვა აღარ იყო შორეული, არამედ თავად
მანუე აღმოჩნდა მასში. და იხილა მან, რომ ყოველივე ილუვატარის
ხელს უპყრია. შევიდა ხელი ხილვაში და გაცხადდა მანუესთვის მრავა-
ლი საოცრება, რომელიც აქამდე დაფარულ იყო აინურთა გულებში.

გამოფხიზლდა მანუე და ავიდა ეზელოჰარზე, ორი ხის ქვეშ იავანას გვერდით ჩამოჯდა და უთხრა მას: «ოჰ, კემენტარი, ერუმ სათქმელი თქვა: «მამ, ვალართ ჰგონიათ, რომ მთელი სიმღერა არ მომისმენია და უმდაბლესი ხმის უმდაბლესი ბგერაც კი არ გამიგონია? აჰა, იხილე! ოდეს შვილნი ჩემნი გაიღვიძებენ, გაიღვიძებს იავანას განზრახვაც და მოიხმობს მრავალ სულს შორიდან; ხოლო სულნი კელვართა და

ოლვართა შორის ივლიან; ზოგი მათში ჩასახლდება. ყველას შიში ექნება მათი სამართლიანი რისხვისა. ოდენ ჯერჯერობით: ვიდრე პირველშობილნი იბატონებენ, ხოლო მომდევნონი გაიზრდებიან». მაგრამ ნუთუ დაგავიწყდა, კემენტარი, რომ მუდამ მარტო როდი მღეროდი განზრახვას შენსას? განა ჩემი და შენი ფიქრები არ შეერწყა ერთმანეთს, რათა ვით ვება ფრინველთ გვეფრინა ღრუბელთა ზედა? ამ განზრახვებსაც შეისმენს ილუვატარი და, სანამ მისი შვილნი გაიღვიძებენ, დასავლეთის მეუფეთა ქარივით სწრაფი არწივნი მოევლინებიან ქვეყანას».

გაიხარა იავანამ, წამოდგა, ცისკენ აღაჰყრო ხელები და თქვა: «დაე, გამაღლდნენ კემენტარის ხეები და არწივებმა დაიბუღონ მათ კენწეროებზე!»

ადგა მანუეც; იმხელა იყო იგი, რომ ვითარცა ქარი დაეშვა იავანასკენ მისი სიტყვები: «არა, ოდენ აულებს ხეები იქნება მათთვის საკმარისად მაღალი! მთებში დაიბუღებენ არწივნი და გაიგებენ ყველას მუდარას, ვინც შველასა გვთხოვს. ხოლო ხეთა მწყემსნი ტყეში ივლიან».

მანუე და იავანა დასცილდნენ ერთმანეთს და იავანა აულებსთან დაბრუნდა. სამქედლოში მუშაობდა აულე, ყალიბში გამლღვარ ლითონს ასხამდა.

«გულუხვი არს ერუ», – თქვა იავანამ. – «გაფრთხილდნენ შვილნი შენნი! რამეთუ ტყეში დაივანებს ძალა დიადი, ერიდონ რისხვას მისას!»

«შეშა მაინც დასჭირდებათ», – თქვა აულემ და ჭედვა განაგრძო.

თავი მესამე. ამბავი ელფთა მოსვლისა და მელკორის დატყვევებისა

მრავალი საუკუნის განმავლობაში ამანის მთებს გადაღმა, ორი ხის შუქზე ნეტარებაში ცხოვრობდნენ ვალარნი, ხოლო შუახმელეთს ვარსკვლავთა ქვეშ ბინდი გადაჰფარებოდა. როცა იქ სანათები ანათებდა, შუახმელეთში სიცოცხლე იშვა, ხოლო წყვდიადის ჩამოწოლის შემდეგ ზრდა შემწყდარიყო. თუმცა, უძველესი არსებანი უკვე აღმდგარიყვნენ, ზღვებში გრძელი წყალმცენარეები ირხეოდნენ, მიწას მალალი ხეების ჩრდილი გადაჰფენოდა, ღამით შემოსილ მთა-გორაკებს შორის ღრმა ხეობებში ძლიერი და ღონიერი ბნელი ქმნილებები დაძრწოდნენ. იმ ადგილებსა და ტყეებს იშიათად სტუმრობდნენ ვალარნი, თვინიერ იავანასი და ორომესი; იავანა ბნელში დადიოდა და მოთქვამდა, რამეთუ შეწყდა ზრდა და აღარ დადგებოდა არდაში გაზაფხული. გაზაფხულზე აღმდგარი მრავალი არსება დააძინა იავანამ, რათა არ დაბერებულიყვნენ და დალოდებოდნენ დათქმული ჟამის დადგომას, როცა ხელახლა გაიღვიძებდნენ.

ხოლო ჩრდილოეთში მელკორი მძლავრობდა, უქმად არ იჯდა, ფხიზლობდა და დაუღალავად შრომობდა; მის მიერ გარყვნილი ავსულები მთელ ქვეყანას მოსდებოდნენ, უღრან ტყეებში საზარელი ურჩხულები ბუდობდნენ. უტუმნოში მრავალი დემონი შემოეკრიბა, სულნი, რომელნიც მელკორს მისი ბრწყინვალეების ჟამს მიემხრნენ და ბატონის მსგავსად თავადაც წაიბილწნენ: გული ცეცხლისა ჰქონდათ მათ, მაგრამ წყვდიადით შემოსილიყვნენ და წინ შიშს იმძღვარებდნენ. ცეცხლოვანი მათრახები ეპყრათ ხელთ. შუახმელეთში მათ ბალროგები შეარქვეს. შავბნელ ხანაში მელკორმა სხვადასხვა ჯიშისა და აგებულების მრავალი ურჩხული შექმნა და დიდხანს აწუხებდნენ ისინი შუახმელეთს; მელკორის სამეფო სამხრეთით ფართოვდებოდა.

ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირთან მელკორმა ციხესიმაგრე და ზარდახანა ააგო, რათა ვალართა ნებისმიერი თავდასხმა მოეგერიებ-

ნა. ციხესიმაგრეს მელკორის ნაცვალი საურონი განაგებდა და ანგბანდი ერქვა.

შეაწუხა ვალარნი გარე მიწებიდან იავანასა და ორომეს მოტანილმა ცნობებმა და გამართეს ბჭობა. იავანა გამოვიდა ვალართა წინაშე: «არდის დიადო მმართველნო, მოკლე იყო ხილვა ილუვატარისა და ზუსტად ვერ გამოვთვლით რაოდენ დღეთა შინა მოაწევს დათქმული ჟამი, ცხადი არს ესე: ჟამი ახლოვდება და დროსა ამასა შინა გაცხადდება იმელი ჩვენნი, გაიღვიძებენ შვილნი ილუვატარისა. ავსულთ სათარემოდ უნდა დაუტევოთ მათი სამოსახლო? ჩვენ სინათლე გვაქვს, ხოლო მათ სიბნელეში უნდა იარონ? ტანიქუეტილის ტახტზე ზის მანუე, ხოლო მათ მელკორი უნდა ჰყავდეთ მეუფედ?»

«არა!» – წამოიძახა ტულკასმა. – «დაუყოვნებლივ უნდა შევებრძოლოთ მას! მრავალი ხანი არს, ვცხოვრობთ სიმშვიდეში, აღარ აღვიდგინეთ უკვე ძალ-ღონე? ნუთუ ერთმა უნდა გვძლიოს საუკუნოდ?»

მანუეს თხოვნით მანდოსმა წარმოთქვა სიტყვა: «კი, ამ ეპოქაში მოვლენ შვილნი ილუვატარისა, მაგრამ

ჯერ არა. უფრო მეტიც, ბედისწერით განსაზღვრული არს, რომ წყვდიადში გაახელენ თვალს პირველშობილნი და ვარსკვლავთ მიაპყრობენ მზერას პირველად. ხოლო დიდ შუქში მიილევინან ისინი. გასაჭირის ჟამს მუდამ ვარდას სთხოვენ შველას».

ვარდამ სათათბირო დატოვა და ტანიქუეტილიდან გადაიხედა. იხილა ურიცხვი მკრთალი ვარსკვლავის ქვეშ ბნელგადაფენილი შუახმელეთი. არც ერთ ვალარს არ გაუწევია ესეოდენ დიდი შრომა არდაში, როგორც ვარდას. ტელპერიონის ვეება ჯამებიდან ვერცხლისფერი ცვრის წვეთები ამოიღო მან და შექმნა კაშკაშა ვარსკვლავები, რათა პირველშობილთათვის დაეხვედრებინა. ამის გამო ვარდას, რომელსაც უხსოვარ დროს ტინტალე – ამნთები ეწოდა, ელფებმა ელენტარი – ვარსკვლავთა დედოფალი შეარქვეს. კარნილი და ლუინილი, ნენარი და ლუმბარი, ალკარინქუე და ელემირე გამოჭედა მან იმ ჟამს; სხვა მრავალი ვარსკვლავიც შეაგროვა და ნიშნებად განალაგა არდის ზეცაში. ეს ნიშნებია:

უილვარინი, ტელუმენდილი, სორონუმე, ანარიმა და მენელმაკარი მო-
ელვარე სარტყლით, დღეთა დასასრულს გასამართი ბოლო ბრძოლის
მაუწყებელი. ხოლო ჩრდილოეთით, მელკორის გამოსაწვევად, განალა-
გა შვიდი კაშკაშა ვარსკვლავის გვირგვინი – ვალაკირკა, ვალართა ნამგა-
ლი და ბედისწერის ნიშანი.

როგორც ამბობენ, როცა განასრულა ვარდამ ხანგრძლივი საქმენი
და პირველად ამოვიდა ცაზე მენელმაკარი, ხოლო ქვეყნიერების მიჯ-
ნებს ზემოთ ნისლში ჰელუინის ლურჯი ცეცხლი აენთო, თვალი გაახი-
ლეს მიწის შვილებმა, ილუვატარის პირმშობებმა. ვარსკვლავების შუქით
განათებული კუივიენენის, გამოღვიძების წყლის პირას გამოფხიზ-
ლდნენ ილუვატარის მოვლენილი ძილიდან. სანამ მდუმარენი ისხდნენ
კუივიენენტან, მზერა მიაპყრეს ზეცას და პირველად იხილეს ვარ-
სკვლავნი. ამის გამო ჰყვაროდნენ ვარსკვლავთა შუქს ელფნი და ვა-
ლართა შორის ვარდა ელენტარის გამორჩეულად სცემდნენ თაყვანს.

ზღვათა და ხმელთა აგებულება და იერი მრავალჯერ შეიცვალა დე-
დამიწაზე, მდინარეებმა კალაპოტები ვერ შეინარჩუნეს, მთებმა – სიმ-
ტიციე. აწ ვედარავინ დაბრუნდება კუივიენენტან. ელფნი ამბობენ, რომ
ტბა შუახმელეთის შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთით მდებარე-
ობდა და კუივიენენი ჰელკარის შიგა ზღვის ყურეს წარმოადგენდა; ხო-
ლო ზღვა მელკორისგან დამხობილი ილუინის სვეტის საძირკვლის ად-
გილას გაჩენილიყო. დიდძალი წყალი იღვრებოდა იქ აღმოსავლეთის
მთიანეთიდან და პირველი, რაც ახალგაღვიძებულმა ელფებმა გაიგო-
ნეს, წყალთა და ჩანჩქერთა ხმაური იყო.

დიდხანს ცხოვრობდნენ ელფნი ვარსკვლავთა ქვეშ, ტბისპირა პირ-
ველ სახლში. გაცელებული დააბიჯებდნენ მიწაზე, ამეტყველდნენ და
შეარქვეს სახელები ყველაფერს, რასაც ეცნობოდნენ. საკუთარ თავს ქუ-
ენდებს, ანუ მეტყველებს უწოდებდნენ; რამეთუ ჯერ არ შეხვედროდნენ
სხვა ქმნილებებს, რომელთაც მათსავით ლაპარაკი ან სიმღერა შეეძ-
ლოთ.

სწორედ იმხანად აღმოსავლეთით სანადიროდ გაემართა ორომე; ჰელკარის ნაპირებთან ჩრდილოეთით გაუხვია და აღმოსავლეთის მთების – ოროკარნების ჩრდილში შეაბიჯა. უეცრად ნაპარმა ხმამაღლა

დაიჭიხვინა და შედგა. ჩაფიქრდა გაკვირვებული ორომე. მოეჩვენა, თითქოს ვარსკვლავთა ქვეშ გამეფებულ მდუმარებაში შორიდან ხმაშეწყობილი სიმღერა ისმოდა.

და აი, ასე, სრულიად შემთხვევით, ვალარებმა იპოვეს პირველშობილნი, რომელთაც დიდხანს ელოდნენ. ელფთა დანახვამ ძლიერ გააკვირვა ორომე, რამეთუ უჩვეულონი, საოცარნი და განუჭვრეტელნი მოეჩვენა ისინი. ასე დაემართებათ ვალართ ყოველთვის: თუმც ყოველივე წინასწარ, მუსიკაში განსაზღვრული და ხილვაში განჭვრეტილია, ეაში შესულ აინურთ თითოეული სიახლე უჩვეულოდ და უეცრად მოეჩვენებათ.

თავდაპირველად ილუვატარის უფროსი შვილები უფრო ძლიერნი და დიადნი იყვნენ, ვიდრე ახლა არიან; თუმც, სილამაზე არ დაჰკლებიათ; ილუვატარის ქმნილებათაგან ულამაზესნი იყვნენ ქუენდნი და დღესაც დასავლეთში ცოცხლობს ეს სილამაზე, სიბრძნითა და სევდით მით უფრო დამშვენებული. ორომეს მყისვე შეუყვარდა ქუენდნი და უწოდა მათ მათსავე ენაზე ელდარნი, ვარსკვლავთა ხალხი. ოღონდ ეს სახელი შემდგომ ეწოდა ელფთა იმ ტომებს, რომლებიც მას გაჰყვნენ დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე.

ხოლო ორომეს გამოჩენამ მრავალი ქუენდთაგანი დააფრთხო. ამაში ბრალი მელკორს მიუძღოდა. როგორც ბრძენნი ამბობენ, მუდამ ფხიზელმა მელკორმა პირველმა შეიტყო, რომ ქუენდებმა გამოიღვიძეს და მრავალი აჩრდილი და ავსული გაგზავნა, რათა ჩასაფრებოდნენ პირველშობილთ და დაეუხერათ ისინი. უკეთუ რომელიმე ელფთაგანი მართო ან რამდენიმე თანამოძმესთან ერთად შორს გაეხეტებოდა, იკარგებოდნენ ისინი და უკან აღარასოდეს ბრუნდებოდნენ; ქუენდნი ამბობდნენ, მონადირემ შეიპყრო ისინი და ძრწოდნენ შიშით. და მართლაც, დასავლეთში ექოდ შემორჩენილი ელფთა უძველესი სიმღერები გვიამბობენ აჩრდილებზე, კუივიენენს გარს შემორტყმულ მთებზე რომ დაი-

არებოდნენ ან უეცრად ვარსკვლავთ თავზე გადაუფრენდნენ; აგრეთვე ბნელ მხედარზე, ელფთა შეპყრობასა და შთანთქმას რომ ლამობდა. არავინ უწყის, ჭეშმარიტად სდევნიდნენ თუ არა ელფთ მელკორის მხედრები; მელკორის ძლიერ სძულდა და ეშინოდა შუახმელეთში მოჯირითე ორომესი და, ვინ იცის, იქნებ თავად დაყარა ხმები შავბნელ მხედრებზე, რათა დამფრთხალიყვნენ ქუენდნი ორომეს დანახვაზე, უკეთუ ისინი ერთმანეთს შეხვდებოდნენ.

და როს დაიჭიხვინა ნაპარმა და ორომე იხილეს, ზოგნი ქუენდთაგანი დაიმაღლნენ, ზოგნი გაიქცნენ და დაიკარგნენ. რომელთაც ეყოთ სიმამაცე და დარჩნენ, მსწრაფლ იხილეს, დიდი მხედარი ბნელის არსება არ იყო; რამეთუ ამანის ნათელს ასხივებდა ორომეს პირისახე და მისმა სახემ მოხიბლა ელფნი კეთილშობილნი.

ხოლო მათზე, უბედურებზე, რომლებიც მელკორმა დაატყვევა, ცხადად რამის თქმა არავის ძალუძს. განა ვინ ჩასულა უტუმნოს ჯურღმულებში ან ვინ ჩასწვდომია მელკორის ბნელ განზრახვათ? ერესეის ბრძენთ ეს კი უწყიან, რომ ყოველი ქუენდი, რომელიც მელკორის ხელში ჩაცვივდა უტუმნოს დამსხვრევამდე, საპყრობილეში დაამწყვდიეს და სასტიკი წამებით გარყვნეს და დაიმონეს; ასე გამოიყვანა ორკთა საძაგელი მოდგმა შურიანმა მელკორმა ელფთა მიბაძვით; მას აქეთ ჭირივით სძულდათ ორკებს და ელფებს

ერთმანეთი. ორკნი ცოცხლობდნენ და მრავლდებოდნენ, ვითარცა შვილნი ილუვატარისა, რამეთუ ვერა ქმნიდა ვერც ერთ სულიერს და ვერც ცოცხალისა მსგავსსა მელკორი, ვინაიდან აჯანყდა ის დასაბამამდე, აინულინდალეში: ამას ამბობენ ბრძენნი. ხოლო გულის სიდრმეში ავგულ ორკებს სძულდათ მათი წამების შემოქმედი მელკორი, ბატონი, რომელსაც შიშით მსახურებდნენ. უცილოდ ეს იყო მელკორის საქმეთაგან ყველაზე უზნეო, და უსაძაგლესი – ილუვატარისთვის.

ორომე კარგა ხანს შეყოვნდა ქუენდებთან და მერე მსწრაფლ გადაიარა ხმელი და ზღვა და ვალინორს გაეშურა. ვალიმარში მიიტანა ახალი ამბები; იმ აჩრდილებზეც უამბო ვალართ, კუივიენენი რომ შეეწუხებინა.

გაიხარეს ვალართ, მაგრამ იმავდროულად ეჭვი და მღელვარება მოედალათ. დიდხანს ბჭობდნენ, როგორ დაეცვათ ქუენდნი მელკორის წყვიადისგან. ხოლო ორომე ისევ შუახმელეთში დაბრუნდა და ელფთა შორის დასახლდა.

ფიქრად ქვეული იჯდა მანუე ტანიქუეტილზე, ილუვატარს შესთხოვა რჩევა. ბოლოს ვალმარში დაეშვა და იხმო ვალარნი ბედისწერის რკალში. თვით ულმო მოვიდა სათათბიროდ გარეთა ზღვიდან.

და უთხრა მანუემ ვალართ: «ესე არს რჩევა ილუვატარისგან შთაგონებული: ნებისმიერ ფასად უნდა დავიბრუნოთ არდაზე ბატონობა და ვიხსნათ ქუენდნი მელკორის წყვიადისაგან».

გაიხარა ტულკასმა, ხოლო აულე დაღონდა, რამეთუ იგრძნო ზიანი, რაც დედამიწას ამ ბრძოლისგან მიადგებოდა. გაემზადნენ ვალარნი და გამოვიდნენ ამანიდან საომრად, მელკორის სიმაგრეზე იერიშის მისატანად და მის საბოლოოდ დასამარცხებლად. არასოდეს დავიწყებია მელკორს, რომ ეს ომი ელფთა გულისთვის ატყდა და მათ გამო დაამხეს. თუმცა, მის მარცხში ელფთ წვლილი არ შეუტანიათ და მცირედი უწყიან მათი დღეების დასაბამს ჩრდილოეთის წინააღმდეგ დასავლელ დიდებულთა ლაშქრობის შესახებ.

მელკორი ვალართა ლაშქარს შუახმელეთის ჩრდილო-დასავლეთში დაუხვდა; მთელი ის მხარე გატიალდა. თუმცა, ვალართა ლაშქარმა პირველ ბრძოლაში მსწრაფლ გაიმარჯვა და მელკორის მსახურნი უტუმნოში უკუიქცნენ. გადაიარეს ვალარებმა შუახმელეთი და მცველნი მიუჩინეს კუივიენეს. მას აქეთ არაფერი გაუგიათ ქუენდებს ქვეყნიერების ძალთა ბრძოლის შესახებ, ოდენ მიწა იძვროდა და ოხრავდა მათ ფერხთით, წყალნი აღელდნენ და ჩრდილოეთით ციალი ჩანდა, თითქოს ხანძარი მძვინვარებდა. დიდხანს გრძელდებოდა უტუმნოს ალყა, მრავალი ბრძოლა გაიმართა მის კარიბჭესთან. იმხანად აგებულება შეიცვალა შუახმელეთმა და დიდი ზღვა, რომელიც მას ამანისგან ყოფდა, გაიზარდა და გაღრმავდა. შუახმელეთის ნაპირთ მიაწყდა მისი ტალღები და სამხრეთით ღრმა ყურე გაჭრა. უამრავი პატარა უბე გაჩნდა დიდ ყუ-

რესა და ჰელკარაქსეს შორის, რაც შორეულ ჩრდილოეთშია, იქ, სადაც ამანი და შუახმელეთი ერთმანეთს უახლოვდებიან. ამ უბეთაგან უმთავრესი იყო ბალარი. სწორედ მას ერთვოდა კიდევანერი მდინარე სირონი, რომელიც ჩრდილოეთის ახალადმართული მთიანეთიდან, დორთონიონიდან და ჰითლუმის გარემომცველი მთებიდან მოედინებოდა. იმ შორეულ წლებში

ჩრდილოეთის მიწები სრულებით გაუდაბურებულიყო. უტუმნო დრმა მიწისქვეშეთში გამოეკვეთათ, მისი ჯურღმულები სავსე იყო ცეცხლითა და მელკორის მსახურთა ლაშქრით.

ბოლოს მაინც დაღეწეს უტუმნოს ბჭენი და მის დარბაზთ ჭერი დაუნგრეს, მელკორმა უდრემეს ჯურღმულს შეაფარა თავი. ვალარებმა ტულკასი გამოიყვანეს თავიანთ ფალავნად. შეეჭიდა ტულკასი მელკორს და პირქვე დასცა იგი. აულეს გამოჭედილი ანგაინორის ჯაჭვით შეკრეს მელკორი და დაატყვევეს; ხანგრძლივმა სიმშვიდემ დაისადგურა ქვეყანასა ზედა.

ანგბანდისა და უტუმნოს ყოველი ფარული საცავი და გვირაბი ვერ აღმოაჩინეს ვალარებმა. მრავალი ავსული იმალებოდა იქ; სხვები მიმოიფანტნენ და უკაცრიელ მხარეებში დაძრწოდნენ კვლავ ავი ჟამის დადგომის მოლოდინში. ვერც საურონი იპოვეს ვერსად.

და როს გასრულდა დიადთა ომი და ჩრდილოეთის ნანგრევებიდან წამომდგარმა კვამლის დრუბელმა დაფარა ვარსკვლავნი, ვალართ ხელფეხშეკრული და თვალახვეული მელკორი ვალინორს წაიყვანეს. ბედისწერის რკალში მანუეს ფერხთით პირქვე დაემხო იგი და შეწყალება ითხოვა. მანუემ მოწყალება არ გამოიჩინა და ჩააგდეს მელკორი მანდოსის ციხესიმაგრის დილეგში, საიდანაც ვერავინ გამოიქცევა, ვერც ვალა, ვერც ელფი და ვერც მოკვდავი ადამიანი. ვრცელი და მტკიცეა კედლები სიმაგრისა, რომელიც ამანის დასავლეთში დგას. სამი საუკუნით პატიმრობა მიუსაჯეს მელკორს, სანამ მის საქმეთ ხელახლა განიხილავდნენ, ან მის მუდარას შეისმენდნენ და შეიწყალებდნენ.

კვლავ ბჭობა გამართეს ვალარებმა და ბევრი იდავეს. ერთნი, უღმოს თაოსნობით, ქუენდთათვის თავისუფლების მინიჭებას ითხოვდნენ, დაე, თავად მოაწესრიგონ შუახმელეთი და უმკურნალონ მის ჭრილობებსო. სხვანი, რიცხვი მათი უფრო დიდი იყო, ამბობდნენ, რომ ელფებს ბინდით მოსილ, საშიშ ქვეყანაზე მარტო ცხოვრება გაუჭირდებოდათ. თანაც, მოხიბლულიყვნენ ვალარნი ელფთა მშვენიერებით და გულით ეწადათ მათთან მეგობრობა. ამგვარად, ვალარებმა ქუენდთ ვალინორში უხმეს, რათა ქვეყნიერების ძალთა ირგვლივ შეკრებილიყვნენ და ხეთა შუქზე ეცხოვრათ უკუნითი უკუნისამდე. ბოლოს მანდოსმაც დაარღვია სიჩუმე: «გადაწყდა!» მრავალი უბედურების მიზეზად იქცა შემდგომში ქუენდთა ამანში გამოცახება.

თავდაპირველად ყურად არ იღეს ელფებმა ვალართა მოწოდება, რამეთუ მხოლოდ მრისხანენი ენახათ ვალარნი, თვინიერ ორომესი, და შიშით ადივსნენ. ისევ ორომე გაგზავნეს მათთან და მან აარჩია ქუენდთაგან დესპანნი, რომელნიც ვალინორს ეწვეოდნენ და თავიანთი ხალხის სახელით ილაპარაკებდნენ. და ეს დესპანნი იყვნენ ინგუე, ფინუე და ელუე, რომელნიც შემდგომში მეფეებად იქცნენ. აღფრთოვანდნენ ისინი ვალართა დიდებითა და ბრწყინვალეებით და ხეთა სინათლე და მშვენიერება მოიწადინეს. ორომემ კუივიენენტან დააბრუნა დესპანნი და დაელაპარაკნენ ისინი თავიანთ ხალხს, ვალართა მოწოდება შევისმინოთ და დასავლეთში გავემგზავროთო.

მაშინ პირველად გაიყვნენ ელფნი. რამეთუ ნათესავნი ინგუესი, ფინუესა და ელუეს მრავალნი ნათესავთაგანი მოინუსხნენ თავიანთ ბატონთა სიტყვებით და დასავლეთში გადასახლება მოიწადინეს. მას აქეთ ამ ელფებს ელდართ უწოდებენ, სახელს, რომელიც ორომემ შეარქვა ყოველ ქუენდს. ხოლო მრავალმა არ შეისმინა ვალართა მოწოდება და ხეთა შუქზე ცხოვრებას ვარსკვლავთა შუქით განათებული შუახმელეთის ვრცელი მინდორ-ველები არჩია. მათ ავართ, ანუ არამოსურნეთ უწოდებენ. დასცილდნენ ისინი ელდართ და მრავალი საუკუნე ერთმანეთი აღარ უნახავთ.

ადმოსავლეთის პირველი სამოსახლოდან ასაყრელად და გასამგზავრებლად გაემზადნენ ელდარნი. სამ დასად დაიყვნენ ისინი. უმცირეს და უპირველეს დასს ინგუე მიუძღოდა, უზენაესი მმართველი ელფთა მოდგმისა. ვალინორში ქვეყნიერების ძალთა ფერხთით ზის ინგუე და ყოველი ელფი მოწიწებით ახსენებს მის სახელს. აღარასოდეს დაბრუნებულა ის შუახმელეთში. ვანიართ უწოდებენ მის ხალხს, ანუ თმანათელთ. მანუესა და ვარდას გამორჩეულად უყვართ ვანიარნი; ხოლო კაცთაგან ცოტანი შეხვედრიან მათ.

შემდეგ ნოლდორნი ჩავიდნენ ვალინორში, ფინუეს ელფნი ბრძენნი. განსწავლულთ უწოდებენ მათ და აუღეს მეგობარნი არიან; სიმღერებში ასხამენ ხოტბას ნოლდორთ, რამეთუ დიდხანს იბრძოდნენ და იღვწოდნენ ჩრდილოეთის მიწებზე ძველად.

ყველაზე მრავალრიცხოვანი დასი ბოლოს მივიდა და ეწოდებათ მათ ტელერნი, რამეთუ დიდხანს შეყოვნდნენ გზაში იმის გამო, რომ ყოყმანობდნენ და ბინდიდან ვალინორის ნათელში გადასახლებაზე ვერ თანხმდებოდნენ. წყალი უყვარდათ ტელერთ ფრიად და, როცა შუახმელეთის დასავლეთ ნაპირებს მიადგნენ, ზღვით მოიხიბლნენ. ამანის მხარეში ზღვის ელფნი, ანუ ფალმარნი შეარქვეს მათ, რამეთუ ზღვის პირას სიმღერებს მღეროდნენ. მრავალნი იყვნენ ისინი და ორი მმართველი ჰყავდათ: ელუე სინგოლო (ანუ «რუხი მოსასხამი») და მისი ძმა ოლუე.

ესენია სამი ტომი ელდალიეთა, რომელნიც ხეთა ჟამს უკიდურეს დასავლეთში დასახლდნენ და ეწოდათ კალაქუნდნი, სინათლის ელფნი. დასავლეთს მიმავალი ზოგნი ელდართაგანი გზად დაიკარგნენ, განზე გაუხვიეს ან შუახმელეთის ნაპირებთან დასახლდნენ. ასე ამბობენ, მეტწილად ტელერნი იყვნენო ისინი. ზღვის პირას, ტყეებში ან მთა-ღრეებში ცხოვრობდნენ, მაგრამ დასავლეთით მიილტვოდნენ მარადჟამს. კალაქუნდნი მათ უმანიარებს უწოდებენ, რამეთუ არასოდეს დაუდგამთ ფეხი ამანის მიწაზე, კურთხეულ სამეფოში. უმანიარებს და ავარებს ერ-

თად მორიქუენდებს, სიბნელის ელფებს უწოდებენ, რამეთუ არ უხილავთ მათ ხეთა სინათლე, მზისა და მთვარის სინათლეზე უწინარესი.

როგორც ამბობენ, კუივიენენიდან აყრილ ელდალიეთ ოქროთი დაჭედელ თეთრ რაშზე – ნაჰარზე ამხედრებული ორომე მიუძღოდა წინ. ჯერ ჰელკარის შიგა ზღვას გასცდნენ ისინი და დასავლეთით გადაუხვიეს. ჩრდილოეთით ომის ნანგრევებს ჯერაც შავი ღრუბლები ფარავდა და ვარსკვლავები არ ჩანდა

იმ მხარეს. მრავალი ელფი შედრკა იმხანად და შეშინებულებმა უარი თქვეს გზის გაგრძელებაზე. უკუიქცნენ ისინი და აღარასოდეს უნახავთ მას შემდეგ.

ხანგრძლივი და ნელი იყო ელდართ დასავლეთში მსვლელობა, რამეთუ უთვლელი იყო ეჯნი¹ შუახმელეთისა და ძნელად სავალი. არც ელდარნი ჩქარობდნენ, აღტაცებულნი აკვირდებოდნენ ყოველივეს, რასაც ხედავდნენ; მრავალ მიწაზე და მდინარესთან მოიწადინეს მათ დასახლება. თუმც, მგზავრობა უყვარდათ ფრიად, გზის დასასრულს ყველანი შიშით უშურდნენ და, როს ხანდახან დაუტევებდა მათ ორომე და სხვა საქმეთა მისახედად გაეშურებოდა, ჩერდებოდნენ ელფნი და აღარ მიდიოდნენ, ვიდრე ორომე არ დაბრუნდებოდა და ისევ წინ არ გაუძღვებოდა. მრავალთა წელთა მგზავრობის შემდგომ ტყეში შეაბიჯეს ელდართ და მიადგნენ კიდევანერ მდინარეს; არასოდეს ეხილათ ამხელა მდინარე. ხოლო მდინარის მიღმა მთანი აღმართულიყვნენ და ვარსკვლავთ საუფლოსთვის მიებჯინათ ბასრი რქანი. როგორც ამბობენ, ეს იყო მდინარე, რომელსაც შემდგომ ანდუინ დიდი ეწოდა. მუდამ შუახმელეთის დასავლეთის მიწათა მიჯნას აღნიშნავდა ანდუინი. ხოლო ეს მთები იყო ჰითაეგლირისა, ერიადორის საზღვრის ნისლოვანი კოშკები. იმხანად უფრო მაღალნი და საზარელნი იყვნენ მთანი და მელკორს აღემართა ისინი ორომესა და ელდართა მსვლელობის დასაბრკოლებლად. ტელერნი მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე გაჩერდნენ და იქ დასახ-

¹ მანძილის საზომი ერთეული ძველ საქართველოში. დაახლოებით ფრანგულ ლიეს (ლიგას) უდრიდა.

ლდნენ, ხოლო ვანიარნი და ნოლდორნი გაღმა გადავიდნენ და ორომე მათა ზეკარებზე გადაუძღვა მათ. მარტო დარჩნენ ტელერნი და მე-ეშინდათ ბნელით მოსილი მათა მწვერვალებისა.

მაშინ აღდგა ლენუე ოლუეს ხალხთაგანი, რომელნიც მუდამ ბოლოს მიდიოდნენ, და ბევრ მათგანს გაუძღვა სამხრეთით დიდი მდინარის გასწვრივ. მრავალი წელი გავიდა, სანამ ლენუესა და მის ხალხზე რამეს შეიტყობდნენ. ნანდორნი ეწოდათ მათ. განსხვავდებოდნენ მოძმეთაგან, ოდენ წყალს ჰყვარობდნენ მათებრ და ჩანჩქერებთან და სწრაფ ნაკადებთან სახლობდნენ. ყოველ ცოცხალ არსებას, ხეებსა და მცენარეებს თუ ნადირ-ფრინველებს სხვა ელფებზე უკეთ იცნობდნენ. მრავალი წლის შემდეგ დენეთორმა, ძემ ლენუესი, დასავლეთისკენ იბრუნა პირი და ნაწილი თავისი ხალხისა მათა გადაღმა, ბელერიანდში გადაიყვანა. და მოხდა ეს, ვიდრე მთვარე პირველად ამოვიდოდა.

დაბოლოს, ვანიარებმა და ნოლდორებმა გადაიარეს ერედ ლუინი, ლურჯი მთანი, რომელნიც ერიადორისა და შუანმელეთის უკიდურესი დასავლეთის მხარეს შუა აღმართულან. იმ მხარეს ელფებმა ბელერიანდი შეარქვეს. მეწინავე რაზმები სირიონის ხეობას გასცდა და ღრენგისტსა და ბალარის უბეს შორის მიაღგა დიდ ზღვას. ზღვის დანახვამ მრავალი მათგანი შეაშინა და ტყეებსა და მთებში უკუიქცნენ. ხოლო ორომე გამოემშვიდობა მათ და ვალინორს გაეშურა, რათა მანუესთვის ეკითხა რჩევა.

ამასობაში ტელერნიც გადავიდნენ ნისლიან მთებზე და ერიადორის ვრცელ მიწებზე იარეს. ელუე სინგოლო მიუძღოდა ტელერთ, ვალინორისა და ხეთა სინათლის ხილვას ეშურებოდა იგი; ნოლდორთაგან გამოყოფა არა სწაღდა, რამეთუ ფრიად მეგობრობდა ფინუესთან, მათ მეუფესთან. მრავალთა წელთა

შემდგომ ტელერთაც გადაიარეს ერედ ლუინი და ბელერიანდის აღმოსავლეთ მხარეს მიაღგნენ. აქ გაჩერდნენ და ერთხანს მდინარე გელიონთან ცხოვრობდნენ.

თავი მეოთხე. ამბავი თინგოლისა და მელიანისა

მელიანი იყო მათა ვალართა მოდგმისა. ლორიენის ბაღში სახლობდა იგი და არავინ იყო მის ხალხს შორის მელიანზე ულამაზესი ან უბრძნესი და ვერც სხვა მღეროდა მისებრ მომნუსხველად. ასე ამბობენ, როცა სინათლეთა შერწყმისას მელიანი ამღერდებოდა, თვით ვალარნი წყვეტდნენ მუშაობას და ვალინორის ჩიტნი – ჟრიამულს, ხოლო ვალმარის ზარები ღუმდებოდნენ. იადონნი დაჰყვებოდნენ მელიანს ყველგან და მელიანი გალობას ასწავლიდა მათ. ხეთა ჩრდილში ყოფნა უყვარდა მელიანს. თავად იავანას ნათესავი იყო სამყაროს შექმნამდის; და რაჟამს გაიღვიძეს ქუნდებმა კუივიენენის ნაპირთან, ვალინორი დატოვა მან და აქეთა მიწებს მოაშურა, რათა თავისი და ჩიტთა გალობით აევსო დაბინდული შუახმელეთის მღუმარება.

როგორც უკვე ითქვა, მგზავრობის დასასრულს ტელერნი აღმოსავლეთ ბელერიანდში მდინარე გელიონს გაღმა დიდხანს შეყოვნდნენ; ხოლო მრავალი ნოლდორთაგანი ჯერაც დასავლეთში ბინადრობდა; იმ ტყეებს შემდგომ ნელდორეთი და რეგიონი უწოდეს. ელუე, მეუფე ტელერთა, ხშირად შედიოდა იმ უღრან ტევრებში მდებარე ნოლდორთა დასახლებებში თავისი მეგობარი ფინუეს მოსაძებნად; და აჰა, ერთხელ, ვარსკვლავთა ქვეშ, ნან ელმოთის ტევრში ეულად მავალს, უეცრად იადონთა გალობა ესმა და, საამური ჰანგებით მონუსხული, გაქვავდა. ლომელინდთა გალობას შორის სადღაც შორიდან მომავალი მელიანის ხმა გაიგონა. გაკვირვებითა და სურვილით აღევსო გული. გადაავიწყდა ხალხი და ყოველნი განზრახვანი თავისი, იადონთ მისდია უღრან ტევრში და გზა აებნა. ბოლოს ველობზე გააღწია და იქ, ღია ცის ქვეშ, ვარსკვლავთა შუქზე იდგა მელიანი. ხეთა ჩრდილიდან შეხედა ელუემ მელიანს; ამანის ნათელს გაეცისკროვნებინა მათს სახე.

მელიანს სიტყვა არ დაუძრავს; ხოლო სიყვარულით აღვსილი ელუე მივიდა მასთან და ხელი მოჰკიდა. მყისვე ჯადოთი შეიკრა იგი; მრავალი

წელი გაუნძრევლად იდგნენ ველობზე. ვარსკვლავნი განუწყვეტილვ ტრიალებდნენ მათ თავზე, ხოლო ნან ელმოთის ხენი გამაღლდნენ და ჩრდილნი მათნი ერთობ დაგრძელდნენ, ვიდრე ელუე და მელიანი ხმას გაიღებდნენ.

ელუეს ხალხმა ვერ იპოვა თავისი ბატონი და შეიქნა ოლუე მეუფედ ყოველთა ტელურთა. მისი წინამძღოლობით მივიდნენ ტელურნი ვალინორს. ხოლო ელუე სინგოლოს არასოდეს გადაულახავს ზღვა და არც ვალინორი უნახავს. არც მელიანი დაბრუნებულა შინ, მაგრამ მელიანისა და ელუეს მეუფებამ დიდხანს გასტანა. სწორედ მელიანისგან გადაეცა ელფთა და კაცთა მოდგმას სიწმინდე აინურთა, რომელნიც ილუვატართან იყვნენ ეას შექმნამდის. ბელერიანდის ელდართა სახელმოსხვეჭილ მეფედ იქცა ელუე; ხოლო ბელერიანდის ელდართ სინდარნი უწოდეს, ელფნი რუხნი, ელფნი ბინდისა; მეფეს მათსას მათსავე ენაზე ეწოდა ელუ თინგოლი. დედოფალი თინგოლისა იყო მელიანი, შუახმელეთის შვილი უბრძენესი. დორიათში იყო მათი მალული დარბაზები მენეგროთისა, ათასი გამოქვაბულისა. დიადი ძალა გადაეცა მელიანისგან თინგოლს, ელდართაგან ისედაც უდიადესს; რამეთუ სინდართაგან ოდენ მას ეხილა

სინათლე ხეთა; და თუმც კი მეფე იყო ამანიართა, მორიქუენდთ როდი მიათვლიდნენ მას, არამედ ნათელ ელფთ. მელიანისა და თინგოლის სიყვარულისგან შობილნი ილუვატარის შვილთა შორის უმშვენიერესნი იყვნენ და მათი დარი ქვეყანას აღარავინ მოვლენია.

თავი მეხუთე. ამბავი ელდამარისა და ელდა- ლიეთ მთავართა

როგორც იქნა, მიადგნენ ვანიარნი და ნოლდორნი აქეთა მიწების დასავლეთ ნაპირებს. ქვეყნიერების ძალთა ბრძოლის შემდგომ არდის უკიდურესი ჩრდილოეთის ნაპირები დასავლეთისკენ გადახრილიყო და მხოლოდ ვიწრო ზღვა გამოჰყოფდა აქეთა მიწებს ამანისგან, სადაც ვალინორი მდებარეობდა; ხოლო ეს ვიწრო ზღვა მელკორის მძვინვარე სუსხს ღრჭიალა ყინულით გაევსო. ამიტომ არ გაუძღვა ორომე მათ ჩრდილოეთში, არამედ მდინარე სირიონის მიმდებარე თვალწარმტაც ველებზე მიიყვანა ელდარნი. შემდგომში ამ მხარეს ბელერიანდი ეწოდა. იმ ნაპირებთან, საიდანაც ელდართ პირველად შეავლეს თვალი ზღვას შიშითა და გაკვირვებით, შუახმელეთსა და ამანის მთებს შორის განიერი, მუქი და ღრმა ოკეანე გადაჭიმულიყო.

ვალართა თხოვნით ულმო მოადგა შუახმელეთის ნაპირთ და დელაპარაკა ელდართ, გაოგნებულნი რომ უმზერდნენ მუქ ტალღებს და იცდიდნენ. ულმოს სიტყვებმა და ბუკთა მისთა საამურმა ჰანგებმა ელფთა შიში ზღვისაკენ სწრაფვად გადააქცია. ამოძირკვა ულმომ კუნძული, რომელიც, ილუინის დამსხვრევადან მოყოლებული, ეულად იდგა შუაგულ ზღვაში, და თავის მსახურთა შემწეობით, ვითარცა დიდი ხომალდი, ბალარის ყურეს მიაყენა იგი. ვანიარნი და ნოლდორნი კუნძულზე გადასხდნენ და ზღვის გადაღმა, ამანის მთათა ქვეშ გადაშლილ გრძელ ნაპირებთან მიაცურეს ისინი; შევიდნენ ვალინორში და ეზიარნენ მის ნეტარებას. ხოლო აღმოსავლეთი შტო კუნძულისა ისე ღრმად შეჭრილიყო მდინარე სირიონის ქვიშიან მეჩეჩში, რომ მოსწყდა კუნძულს და, როგორც ამბობენ, ასე წარმოიქმნა ბალარის კუნძული, რომელსაც შემდგომში ხშირად სტუმრობდა ოსე.

ხოლო ტელერნი დარჩნენ შუახმელეთში, რამეთუ აღმოსავლეთ ბელერიანდში, ზღვისგან მოშორებით სახლობდნენ ისინი და ულმოს მოწოდება გვიან გაიგონეს; გარდა ამისა, თავიანთ მეუფე ელუეს დაეძებდა

მრავალი მათგანი და უმისოდ არ ეწადათ ვალინორს გამგზავრება. ხოლო როს შეიტყვეს, ინგუე და ფინუე თავიანთ ხალხთან ერთად გაემგზავრნენო, მრავალი ტელერი მიაწყდა ბელერიანდის ნაპირებს და სირიონის შესართავებთან დასახლდა. წასულ მეგობრებს მისტიროდნენ ისინი; მეფედ ოლუე, ელუეს ძმა აირჩიეს. დიდხანს ცხოვრობდნენ ზღვის ნაპირებთან, ოსე და უინენი დაუმეგობრდნენ და ხშირად სტუმრობდნენ მათ. ხმელეთის კიდესთან ქვის ლოდზე ჩამომჯდარი მოძღვრავდა ტელერთ ოსე და მისგან ისწავლეს ზღვაოსნობა და ზღვის ჰანგები. ამგვარად, თავიდანვე შეიყვარეს ზღვათა ტალღები ტელერთ და ელფთა შორის უბადლო მომღერალნი შეიქნენ ისინი; მათი სიმღერები სასვე იყო ნაპირს მიხეთქებული ზვირთთა ხმიანობით.

მრავალთა წელთა შემდგომ უღმომ შეისმინა ნოლდორთა და მათი მეფის, ფინუეს ვედრება. ფინუე ტელერთაგან ჩამოშორებას ფრიად განიცდიდა და უღმოს ჰვედრებდა, წამოიყვანე ისინი, უკეთუ ამანს მოსვლას მოიწადინებენო. მრავალმა ტელერმა მართლაც მოინდომა ვალინორს წასვლა. ძლიერ დამწუხრდა ოსე, როცა ბელერიანდს მიადგა ტელერთა წასაყვანად. შუახმელეთის ზღვებსა და აქეთა

მიწებზე ზრუნავდა იგი და არ ეამა იმის გაგება, რომ ტელერთა ტკბილხმოვანება შუახმელეთს მოაკლდებოდა. ზოგიერთი დაითანხმა შუახმელეთში დარჩენილიყვნენ; ესენი იყვნენ ფალასრიმნი, ფალასის ელფნი, შუახმელეთის პირველნი ზღვაოსანნი და ხომალდთმშენებელნი, რომელნიც შემდგომში ბრითომბარისა და ეგლარესტის ნავსადგურებში დასახლდნენ. კირდან ხომალდთმშენებელი იყო მათი ბატონი.

ელუე სინგოლოს ნათესავნი და მეგობარნიც კვლავ აქეთა მიწებზე სახლობდნენ, თუმცა, ისინიც ვალინორისა და ხეთა ნათელისკენ ილტვოდნენ; მათდა საუბედუროდ, უღმომ და ოლმე მეტად დაყოვნებას აღარ აპირებდნენ. ტელერთა უმეტესობა კუნძულზე გადასხდა და შორს გააცურა უღმომ ისინი. შუახმელეთში მხოლოდ ელუეს მეგობარნი დარჩნენ; ეგლათთ, მიტოვებულ ხალხს უწოდებდნენ თავიანთ თავს ისინი. ბელერიანდის მთებსა და ტყეებში ცხოვრობდნენ და არა ზღვის პირას,

რამეთუ წყლის ხმიანობა სევდით აღავსებდათ; თუმცა, მათი გულიც მუდამ ამანისკენ მიილტვოდა.

ბოლოს ხანგრძლივი უგონობიდან გამოერკვა ელუე და მელიანთან ერთად გამოვიდა ნან ელმოთიდან. იმ მხარის შუაგულში მდებარე ტევრები გაიხადეს მათ სამკვიდროდ. თუმც კი ძლიერ ეწადა ხეთა სინათლის ხილვა ელუეს, მელიანის სახეზე ამანის ნათელის დაუბინდავ ანარეკლს ამჩნევდა და მისთვის ესეც კმაროდა. გაიხარა მისმა ხალხმა და გაკვირვებულნი შემოეხვივნენ გარს; უწინ მშვენიერი და კეთილშობილი ბატონი იყო ის მათი, ახლა კი მაიართა მეუფეს დამგვანებოდა; ვერცხლისფრად უელვარებდა თმა და ილუვატარის შვილთაგან უმაღლესი იყო ელუე სინგოლო; დიად საქმეთ უმზადებდა მას ბედისწერა.

ხოლო ოსე უკან მიჰყვა ოლუეს ხალხს და როს მიადგნენ უბეს ელდამარისა (რაც ელფთა სახლს ნიშნავს), უხმო მან ტელართ; იცნეს ტელართ ოსეს ხმა და შესთხოვეს ულმოს, გააჩერეო კუნძული. შეუსრულა ულმომ მათ თხოვნა და ნება დართო ოსეს ზღვის ფსკერში ჩაერგო კუნძული. ულმოს არ უყოყმანია, რამეთუ ტელერთ გულისთქმა იცოდა და ვალართა საბჭოზეც ელფთა ვალინორში გადასახლების წინააღმდეგი გამოვიდა, ქუენდნი შუახმელეთში უნდა დარჩნენო. ვალართ არ მოიწონეს ულმოს საქციელი; ხოლო ფინუე დამწუხრდა, რამეთუ არ მივიდნენ ტელერნი ვალინორს და შეიტყო ისიც, რომ ელუე შუახმელეთში დარჩა და ოდენ მანდოსის დარბაზებში თუდა იხილავდა მას. ხოლო ის კუნძული ადარ დაუძრავთ და ეულად იდგა ელდამარის ყურეში; ტოლ ერესეა უწოდეს, მარტოსული კუნძული და იქ, ვარსკვლავთა ქვეშ დასახლდნენ ტელერნი, ვინაიდან თავად ასე ისურვეს; თუმცა, ამანის ნაპირებიდან შორიახლოს ცხოვრობდნენ ტელერნი. თანამოძმეთაგან ხანგრძლივმა ჩამოშორებამ სხვაგვარად აამეტყველა ისინი და ენა მათი განსხვავდებოდა ვანიართა და ნოლდორთა ენისაგან.

ამ უკანასკნელთ ვალარებმა დასამკვიდრებლად მიწა უბოძეს. ხის შუქით განათებული წალკოტების სხივოსან ყვავილთა შორის ცხოვრობდნენ ელფნი, მაგრამ ხანდახან ვარსკვლავნი მაინც ენატრებოდათ; ამის

გამო განყვეს პელორის მთათა დიდი კედელი და ზღვისკენ მიმავალ დრმა ხეობაში მაღალი მწვანე

ბორცვი აღმართეს ელდართ: ტუნას უწოდებდნენ იმ ბორცვს. ბორცვს დასავლეთიდან ხეთა ნათელი ეფინებოდა, ხოლო აღმოსავლეთით მუდამ ჩრდილი ჰფარავდა. აღმოსავლეთით ელფთა სახლს, მარტოსულ კუნძულსა და ჩრდილიან ზღვებს გაჰყურებდა ტუნა. შემდეგ კალაკირიიდან, სინათლის ხეობიდან კურთხეული სამეფოს ნათება გამოიჭრა და ზღვის მუქი ტალღები ვერცხლისფრად და ოქროსფრად ააელვარა; ნათელი მისწვდა მარტოსულ კუნძულს და მისი დასავლეთი ნაპირი გამწვანდა და დამშვენდა. ამანის მთათა აღმოსავლეთით პირველად იხარეს ყვავილთ.

ტუნას თხემზე ელფთა ქალაქი გაშენდა – თეთრკედლებიანი და თეთრაივნიანი ტირიონი; ქალაქის უმაღლესი შენობა იყო კოშკი ინგუესი, მინდონ ელდალიევა, რომლის ვერცხლის ლამპრის შუქი ზღვის ნისლში შორს სწვდებოდა. მოკვდავ ზღვაოსანთა ხომალდთაგან ცოტას თუ უნახავს მისი წვრილი სხივი. ტუნაზე აგებულ ტირიონში ვანიარნი და ნოლდორნი დიდხანს ცხოვრობდნენ ძმურად. და ვინაიდან ვალინორში ყოველივეზე მეტად თეთრი ხე უყვარდათ, იავანამ უძღვნა მათ ხე, ტელპერიონის ხატად შექმნილი, ოდენ ხე იგი სხივთამფენელი არ იყო. გალათილიონელად იწოდებოდა ის ხე სინდართა ენაზე. მინდონის ეზოში დარგეს გალათილიონელი და იქ იზრდებოდა, მისი მრავალი ნერგი ინახებოდა ელდამარში. გალათილიონელის ერთი ნერგი ტოლ ერესეაში წაიდეს, იქ გაიზარდა და კელებორნი უწოდეს. ნათქვამია, რომ კელე-ბორნისგან იშვა ნიმლოთი, თეთრი ხე ნუმენორისა.

მანუეს და ვარდას ყველაზე მეტად ვანიარნი – თმანათელი ელფნი მოსწონდათ, ხოლო აულებს – ნოლდორნი და ის და მისი მსახურნი ხშირად სტუმრობდნენ. დიდ ცოდნას და ოსტატობას დაეუფლნენ ნოლდორნი; თუმც იმხელა იყო მათი ცოდნისადმი წყურვილი, ისე დახელოვდნენ, რომ მრავალ საქმეში თვით მასწავლებელთაც კი სჯაბნიდნენ. მათი მეტყველება მუდამ იცვლებოდა, რამეთუ სიტყვის მოყვარულნი იყ-

ვნენ და ახალ-ახალ სახელებს არქმევდნენ საგანთ, რომელთაც იცნობდნენ ან წარმოიდგენდნენ. ერთხელაც ფინუეს საგვარეულოს კალატონი, მთაში მაღალ კოშკთა საშენებელ ქვა-ლოდებს რომ დაეძებდნენ, მიწისქვეშა ქვათა საბადოს წააწყდნენ და დიდძალი მადანი ამოთხარეს; მერე ძვირფას ქვათა საჭრელი და საჭედი ხელსაწყოები დაამზადეს და მრავალგვარად გამოკვეთეს. ნოლდორნი განძს არ აგროვებდნენ, არამედ უშურველად გაცემდნენ და მათმა გარჯამ გაამდიდრა მთელი ვალინორი.

შემდგომ ნოლდორნი შუახმელეთში დაბრუნდნენ და ეს წიგნი უმეტესად მათ საქმეთა შესახებ მოგვითხრობს; და ამის გამო ჩამოვთვლით სახელებსა და ნათესავებს ნოლდორთა დიდებულების ბელერიანდის ელფთა ენაზე.

ნოლდორთა მეფე იყო ფინუე. ძენი ფინუესი იყვნენ ფეანორი, ფინგოლფინი და ფინარფინი; დედა ფეანორისა იყო მირიელ სერინდე, ხოლო ფინგოლფინისა და ფინარფინისა – ინდისი ერთი ვანიართაგანი. ხელმარჯვეობითა და ენამჭევრობით განთქმული იყო ფეანორი და ძმათა შორის ყველაზე განსწავლული. ვითარცა ცეცხლი, გიზგიზებდა სული მისი. ფინგოლფინი იყო ძმათა შორის უღონიერესი, უმტკიცესი და უმამაცესი, ხოლო ფინარფინი – ყველაზე მშვენიერი და გულკეთილი; შემდგომ ტელერთა მეუფის, ოლუეს ძეებს დაუმეგობრდა იგი და ცოლად შეირთო ეარუნი, ქალწული-გედი ალქუალონდესი, ასული ოლუესი.

შვიდი ძე ჰყავდა ფეანორს: მადროს მაღალი; მაგლორ მდერალი დიადი, რომლის ხმა მთათა და ზღვათა იქით ისმოდა; კელეგორმ მშვენიერი; კარანთირ ბნელი; კურუფინ მარჯვე, რომელსაც მამისგან ოსტატობის ნიჭი გადაეცა; და უმრწემესნი, ტყუპი ამროდ და ამრასი, იერითა და გუნებით მსგავსნი. შემდეგში ისინი შუახმელეთის ტევრთა დიად მონადირეებად იქცნენ. მონადირე იყო კელეგორმიც, რომელიც ვალინორში ორომესთან მეგობრობდა და ხშირად მიჰყვებოდა დიადი ვალას ბუკის გუგუნს.

ძენი ფინგოლფინისა იყვნენ ფინგონი, შემდგომ მეფე ნოლდორთა ქვეყნიერების ჩრდილოეთში და ტურგონი, მმართველი გონდოლინისა; მათი და იყო არედელ თეთრი; უმრწემესი შვილი იყო არედელი ფინგოლფინისა და, როს გაიზარდა და დამშვენდა, ტანმადალი და ძლიერი ქალი დადგა მისგან, ტყეში ნადირობა და ჯირითი უყვარდა მას. ტყეში ფეანორის ძეთა, ბიძაშვილთა თანხლებით დადიოდა არედელი, მაგრამ თავისი გული არავისთვის მიუძღვნია. არ-ფეინიელს უწოდებდნენ მას, ნოლდორთა თეთრ ქალბატონს; თმა ყორანივით შავი ჰქონდა, მაგრამ პირისახე – თეთრი და მუდამ ვერცხლისფერი და თეთრი სამოსლით იმოსებოდა.

ძენი ფინარფინისა იყვნენ ფინროდ ულალატო (რომელსაც შემდეგ ფელაგუნდი უწოდეს, გამოქვაბულთა მეუფე), ოროდრეთი, ანგროდი და აეგნორი; ეს ოთხნი ფინგოლფინის ძებთან ძმებივით მეგობრობდნენ. და ჰყავდათ მათ, გალადრიელი, ულამაზესი ფინუეს საგვარეულოში; ოქროსფრად უელვარებდა თმა გალადრიელს, თითქოს მუდამ ლაურელინი დანათოდა თავზე.

აქა ამბავი ტელერთა ამანში მისვლისა. დიდხანს ცხოვრობდნენ ისინი ტოლ ერესეაზე, მაგრამ თანდათან შეიცვალა მათი გულისთქმა; უფრო ძლიერ იზიდავდა მათ ხეთა სინათლე, რომელიც ზღვის გადაღმიდან ეფრქვეოდა მარტოსულ კუნძულს. კუნძულის ნაპირებს მიხლილი ტალღების ჰანგებსა და ნათესავთა და ვალინორის ბრწყინვალეების ხილვის სურვილს შორის იხლიჩებოდნენ; საბოლოოდ სინათლისადმი ლტოლვამ იმძლავრა. უღმომ დამორჩილდა ვალართა ნებას და ოსე, მათი მეგობარი, მიუგზავნა ტელერთ. თუმც კი უხალისოდ, ოსემ ტელერთ ხომალდთმშენებლობა შეასწავლა; ხოლო როს განასრულა ხომალდთა შენება, გამომშვიდობებისას მძლავრფრთოსანი გედეები უძღვნა ოსემ ტელერთ. ტელერთა თეთრი ხომალდნი გედეებმა უქარო ზღვაზე გადააცურეს და აი, ასე, ვანიართა და ნოლდორთა შემდგომ, უკანასკნელნი მივიდნენ ტელერნი ამანში და ელდამარის ნაპირებს მიადგნენ.

ელდამარში დასახლდნენ ტელერნი. თუ მოისურვებდნენ, ხეთა სინათლესაც ხედავდნენ, ვალმარის ოქროსფერ ქუჩებშიც დასეირნობდნენ და ტუნის თხემზე მდგარი ტირიონის ბროლის კიბეზეც ადიოდნენ; უფრო ხშირად კი ელფოსახლის ყურეში სწრაფი ხომალდებით დაცურავდნენ ან ზღვისპირას, თავთხელში დააბიჯებდნენ და ბორცვის გადაღმიდან დაფრქვეულ შუქზე უბზინავდათ თმა. მრავალი ძვირფასი ქვა უძღვნეს მათ ნოლდორებმა: ოპალები, ალმასები და თეთრი ბროლები; ზღვის ნაპირას და აუზებში ყრიდნენ ქვებს ტელერნი; საოცარი სანახავი იყო ელენდეს ნაპირები იმხანად. მრავალი მარგალიტი თავად იპოვეს ზღვაში. დარბაზები ტელერთა მარგალიტისგან იყო ნაგები; მარგალიტისა იყო სასახლე ოლუესი

ალქუალონდეში, მრავალი ლამპრით განათებულ გედთა ნავსაყუდეში. ასე ერქვა ქალაქს ტელერთა და ნავსაყუდელს ხომალდთა მათთა. ოქროსნისკარტიანი და გიმრისფერთვალება გედის ფორმა ჰქონდა ტელერთა ხომალდებს. კარიბჭე ნავსაყუდლისა კლდეში თალად იყო ამოკვეთილი; ელდამარის საზღვარზე, კალაკირიას ჩრდილოეთით მდებარეობდა ალქუალონდე და მის ცაზე ვარსკვლავნი კამკამებდნენ.

გადიოდა საუკუნეები და ვანიართ მით უფრო უყვარდებოდათ ვალართა მიწა; დატოვეს ტირიონ-ქალაქი ტუნაზე ნაგები და დასახლდნენ მანუეს მთაზე, ვალინორის მინდორ-ველებსა და ტყეებში. მოსწყდნენ ისინი მოძმე ნოლდორთ. ვარსკვლავთ შუქით განათებული შუახმელეთი მუდამ რჩებოდა ნოლდორთა გულებში და ამის გამო კალაკირიას არ სცილდებოდნენ, დასავლეთი ზღვის ყურეში მთა-ველებზე სახლობდნენ; თუმცა, ხშირად სტუმრობდნენ ვალართა მხარეს მიწის, წყლისა და ყოველთა სულიერთა საიდუმლოთა საძიებლად. ტუნისა და ალქუალონდეს მცხოვრებნი ერთმანეთს ძლიერ დაუახლოვდნენ. ტირიონში ფინუე მეფობდა, ხოლო ალქუალონდეში – ოლუე. თუმცა, ყოველთა ელფთა უზუნაეს მმართველად მუდამ ინგუე იწოდებოდა. ტანიქუეტილზე მანუეს ფერხთით სახლობდა იგი.

ფეანორი და ძენი მისნი ერთ ადგილას არა სახლობდნენ, კიდით კიდემდე მოიარეს მათ ვალინორი, მუდამ წყვილიადისა და გარეთა ზღვის სუსხიანი ნაპირებისკენ მიილტვოდნენ და ამოუხსნელს ეძებდნენ. ხშირად სტუმრობდნენ აულეს დარბაზთ, მაგრამ კელეგორმი უფრო მეტად ორომესთან მეგობრობდა. ორომესგან ნადირ-ფრინველთა შესახებ ცოდნას დაეუფლა და მათი ენა ისწავლა. თუკი რამ სულიერი არსებობს ან არსებულა ამქვეყნად, იმხანად ყველა ამანის მიწაზე ცხოვრობდა, გარდა მელკორის ავ და სასტიკ ქმნილებათა. სხვა მრავალი არსებაც სახლობდა ამანში, მათ მსგავსთ არასოდეს დაუდგამთ ფეხი შუახმელეთში და აღარც დაადგამენ, რამეთუ სამუდამოდ შეიცვალა მიწის აგებულება.

თავი მეექვსე. ამბავი ფეანორისა და მელკორის განხსნისა

შეიკრიბა ელდართა სამი ტომი ვალინორში, ხოლო მელკორი იმხანად ჯაჭვით იყო შეკრული. ეს იყო შუადღე კურთხეული სამეფოსი, ჟამი მისი დიდებისა და ნეტარებისა – ხანგრძლივი წელთა რაოდენობით, მაგრამ ხანმოკლე მეხსიერებისთვის. გაიზარდნენ ელდარნი, დამშვენდნენ ტანად და გონებრივად, ხოლო ნოლდორნი დიდ ცოდნასა და ოსტატობას დაუფლნენ. მრავალი წელი დაუღალავად იღვწოდნენ ისინი და მრავალი მშვენიერი და საოცარი რამ შექმნეს. პირველად ნოლდორთ შექმნეს დამწერლობა; რუმელ ტირიონელი ერქვა ბრძენს, რომელმაც სიტყვათა და სიმღერათა ჩასაწერად ასო-ნიშნები გამოიგონა; ზოგს ლითონსა და ქვაზე ამოტვიფრავდნენ, ზოგს ფუნჯითა და კალმით გამოსახავდნენ.

იმხანად იშვა ელდამარში, ტირიონს ტუნას ზედა, მეფის სასახლეში, ფინუეს უფროსი და უსაყვარლესი ძე. კურუფინუე იყო მისი სახელი, მაგრამ მშობელი დედა ფეანორს, სულს ცეცხლისას უწოდებდა. ამგვარად მოიხსენიება ის ნოლდორთა თქმულებებში.

მირიელი ერქვა დედამისს, მაგრამ სერინდეს უწოდებდნენ, რამეთუ ბადალი არა ჰყავდა ხელსაქმეში; ნოლდორთაგან ვერვინ ქსოვდა და კემსავდა მისებრ მშვენივრად. ძლიერ უყვარდათ ფინუესა და მირიელს ერთმანეთი, რამეთუ კურთხეული სამეფოს ნეტარების ჟამს ჩაისახა მათი სიყვარული. თუმცა, მუცლადყოფნამ ჩამოახმო მირიელის სხეული და სული და, რაჟამს შობა ძე და დაარქვა მას სახელი, იხმო თავის მეუღლეს და უთხრა: «ამიერიდან ვეღარ ვშობ შვილს, რამეთუ აღარ მაქვს ძალა სხვათათვის სიცოცხლის მისაცემად, ფეანორმა შთანთქა ყოველი».

დამწუხრდა ფინუე, რამეთუ ჯერაც ნორჩნი იყვნენ ყოველნი ნოლდორნი და მრავალი შვილის მოვლინება სწაღდა ამანის კურთხეულ მიწაზე. და უთხრა ცოლს: «ამანში მალე განიკურნები! დაღლილობა გაგივლის და ძალას აღიდგენ». თუმცა, ღლითი დღე უფრო ჭკნებოდა მირიე-

ლი და რჩევის საკითხავად მანუეს ეახლა ფინუე. მანუემ ირმოს მიანდო მირიელზე მზრუნველობა. თუმც კი ფიქრობდა, ლორიენის წალკოტიდან მირიელი მალე დაბრუნებაო, მეუღლესთან დამორება მანინც დაალონა ფინუე: უბედობად მიაჩნდა ის, რომ დედა პირმშოს ყრმობის წლებს ვერ იხილავდა.

«ჭეშმარიტად, უბედობა არს ესე», – თქვა მირიელმა, – «და ვიტყვი, უკეთუ ასეთი დაუძღურებული არ ვიყო. გემუდარები, მე ნუ დამაბრალებ ამას და ნურც იმას, რაც მომავალში მოხდება».

გაემგზავრა მირიელი ლორიენის წალკოტში და დაწვა დასაძინებლად; მძინარეს ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში სული განუტევა. დატოვა მისმა სულმა სხეული და მღუმარედ გაემგზავრა მანდოსის დარბაზებში. ესტეს მოახლენი უვლიდნენ მირიელის ცხედარს და არ განრწნილა იგი; სამწუხაროდ, აღარ გაუღვიძია. სევდამ მოიცვა ფინუე. ხშირად მიდიოდა ლორიენის წალკოტში, ვერცხლისფერ ტირიფთა ქვეშ ცოლის ცხედართან ჩამოჯდებოდა და საალერსო სახელებით უხმობდა მას, მაგრამ ამაოდ. კურთხეულ

სამეფოში მხოლოდ ფინუე გრძნობდა თავს უსიხარულოდ. გამოხდა მცირე ხანი და ფინუემ ლორიენის წალკოტში სტუმრობა შეწყვიტა.

მას შემდეგ მთელი სიყვარული თავის ძეს მიუძღვნა. სწრაფად იზრდებოდა ფეანორი, თითქოს ფარული ცეცხლი გიზგიზებდა მის სულში. მაღალი იყო იგი, პირმშვენიერი და მედიდური. გამჭოლი მზერა ჰქონდა და ყორნისფერი თმა; მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე დაიხევდა; შეუპოვარი იყო, ვერც შეგონებით და ვერც ძალით აზრს ვერავინ შეაცვლევინებდა; ნოლდორთაგან მისებრ გამჭრიახი და ხელმარჯვე არასოდეს არავინ ყოფილა. ყმაწვილობისას რუმილის გამოგონება გააუმჯობესა, შექმნა ასონი, რომელნიც მის სახელს ატარებენ, და რომელთაც მას აქეთ ყოველნი ელდარნი იყენებდნენ. ის იყო პირველი ნოლდორთაგან, რომელმაც მიწიდან ამოთხრილ ძვირფას ქვათა უკეთ და უფრო ოსტატურად დამუშავება დაიწყო. ფეანორის ნაოსტატარი პირველი ქვანი თეთრნი და უფერულნი იყვნენ, მაგრამ ვარსკვლავთა შუქზე ჰელუინზე

უფრო კაშკაშა ლურჯი და ვერცხლისფერი ცეცხლით აღინთებოდნენ. მანვე დაამზადა გასაოცარი ბროლის ბურთები, რომელთა მეშვეობით შორეული საგანნი მცირენი, მაგრამ მკაფიონი მოჩანდნენ. მანუეს არწივთა მსგავსად შორს სწვდებოდა იმ ბროლთა მზერა. იშვიათად ასვენებდა ფეანორი ხელსა და გონებას.

ჯერაც ყმაწვილი იყო, ნერდანელი რომ ცოლად შეირთო. ნერდანელი სახელოვანი მჭედლის მაჰტანის ასული იყო; მაჰტანისგან ლითონისა და ქვათა ჭედვის ხელოვნებას დაეუფლა ფეანორი. ნერდანელსაც მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა, მაგრამ ფეანორზე მომთმენი იყო, სხვათა სულში ჩაწვდომა სურდა მას და არა მათი დაპყრობა. და თუკი ფეანორის გული მეტისმეტად მხურვალედ აგიზგიზდებოდა, ნერდანელი აოკებდა მას. თუმცა, ქმრის შემდგომმა საქმეებმა დაადარდიანა ნერდანელი და თანდათან გული აიცრუა ფეანორზე. შვიდი ძე გაუჩინა ფეანორს; ზოგს მისი ხასიათი გადაეცა მემკვიდრეობით, მაგრამ ყველას – არა.

ამასობაში ფინუმ მეორე ცოლი, ინდის მშვენიერი შეირთო. ერთ-ერთი ვანიართაგანი იყო იგი, ახლო ნათესავი უზენაესი მეფე ინგუესი, ოქროსფერთმიანი, ტანმადალი და ყველანაირად განსხვავებული მირიელისგან. ფინუმს ძლიერ უყვარდა ინდისი. კვლავ გაიხარა მან, მაგრამ მირიელის აჩრდილს არც ფინუმს გული დაუტოვებია და არც მისი საგვარეულო. სხვებზე მეტად ფეანორი უყვარდა ფინუმს და მასზე ზრუნავდა.

მამის ხელახლა დაქორწინება არ ესიამოვნა ფეანორს; დიდად არ უყვარდა ინდისი და მისი ვაჟნი, ფინგოლფინი და ფინარფინი. ცალკე ცხოვრობდა იგი, ამანის მიწას იკვლევდა ან სწავლასა და ხელოსნობაში ეძიებდა სიხარულს. იმ უამრავ უბედურებას, რომელიც ფეანორის გამოისობით არდას თავს დაატყდა, ბევრი ფინუმს საგვარეულოს გახლეჩას აბრალეებს; ასე ამბობენ, ფინუე ცოლის დაკარგვას რომ შეჰგუებოდა და ძლევა მოსილი შვილის მამობით დაკმაყოფილებულიყო, ფეანორი სხვაგვარად მოიქცეოდა და საზარელ ფათერაკებს ავცდებოდიოთ. ფინუმს საგვარეულოს მწუხარება და უთანხმოება ნოლდო ელფთა მესხიე-

რებაში ღრმადაა აღბეჭდილი. თუმცა, შვილნი ინდისისა, აგრეთვე შვილნი მის შვილთა,

იყვნენ დიალნი და ბრწყინვალენი და, მათ რომ არ ეცხოვრათ ამქვეყნად, ელდართა ისტორია დაკნინდებოდა.

ვიდრე ფეანორი და ნოლდო მჭედელნი დაუღალავად შრომობდნენ და შრომაში სიხარულს პოვებდნენ, ხოლო ინდისის ძენი იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ, ვალინორის შუადღე თანდათან მიიწურა. ამასობაში მოაწია დათქმულმა ჟამმა და მელკორის პატიმრობის ვადა გავიდა: სამი საუკუნე სრულ მარტობაში გაატარა მან მანდოსის საპყრობილეში. ბოლოს, როგორც მანუემ აღუთქვა, ვალართა წინაშე წარადგინეს იგი. იხილა მელკორმა ვალართა დიდება და ნეტარება და შურიტ აევსო გული. იხილა შვილნი ილუვატარისა ვალართა ფერხთით მსხდომნი და შესძულდა ისინი. იხილა სიუხვე ძვირფას ქვათა და მათი დაუფლება მოიწადინა. თუმც, დამალა მან თავის სურვილნი და დროებით გადადო შურისძიება.

ვალმარის კარიბჭესთან მანუეს ფერხთით დაემხო მელკორი და შეწყალება ითხოვა, გამათავისუფლეთ და ყველა საქმეში დაგეხმარებითო; განსაკუთრებით ქვეყნიერებისთვის მიყენებული იარების შეხორცებას ჰპირდებოდა ვალარებს. ნიენამ შეისმინა მისი მუდარა, ხოლო მანდოსი ღუმდა.

შეიწყალა მანდოსმა მელკორი, მაგრამ ვალარნი მასზე ზედამხედველობას აგრძელებდნენ და ვალმარიდან გასვლა აუკრძალეს. სიტყვითა და საქმით კეთილს იქმდა მელკორი და, უკეთუ სთხოვდნენ, ვალართა და ელდართ ეხმარებოდა და რჩევას აძლევდა. ამგვარად, მცირე ხნის შემდგომ ნება დართეს თავისუფლად ევლო ამანში. მანუემ იფიქრა, რომ განიკურნა მელკორი სიავისაგან. რამეთუ ბოროტების ნატამალი არ იყო მანუეს არსებაში და ვერაფერს მიხვდა; თანაც, იცოდა მან, რომ თავდაპირველად, ილუვატარის განზრახვაში, მელკორი მისგან არ განსხვავდებოდა; ვერ ჩასწვდა მანუე მელკორის სულს და ვერ შენიშნა, რომ სამუდამოდ დაცლილიყო მისი გული სიყვარულისგან. ხოლო უღმომ არ მოტ-

ყუვდა, არც ტულკასი: როცა მელკორი გვერდით ჩაუვლიდა, საძულველი მტრის დანახვაზე ყოველთვის მუშტს შეკრავდა ხოლმე. ტულკასის განრისხება იოლი არაა, მაგრამ არც წყენას ივიწყებს ადვილად. თუმცა, ულ-მო და ტულკასი მანუეს ბრძანებას დაემორჩილნენ, რამეთუ ის, ვინც წესრიგს იცავს, თავად ვერ იქნება წესრიგის დამრღვევი.

გულის სიღრმეში ყველაზე მეტად ელდარნი სძულდა მელკორს, რამეთუ მათი სიმშვენიერისა და ბედნიერების შურდა და ისინი მიაჩნდა ვალართა ამხედრებისა და მისი დამხობის მიზეზად. თავს მეგობრად აჩვენებდა მათ, ვითომ ძლიერ უყვარდა ისინი, ყოველ საქმეში უანგარო დახმარებას სთავაზობდა. ვანიარნი არ ენდობოდნენ მელკორს და მის შეთავაზებებზეც უარს ამბობდნენ, რამეთუ ხეთა სინათლეში ცხოვრობდნენ ისინი და ამით კმაყოფილნი იყვნენ. ტელერთ თავად მელკორი არ აქცევდა ყურადღებას, რამეთუ ფიქრობდა, ჩემს განზრახვათა აღსასრულებლად ისინი მეტად სუსტნი და გამოუსადეგარნი არიანო. ხოლო ნოლდორნი სიხარულით იძენდნენ მისგან საიდუმლო ცოდნას; ზოგმა ყურად იღო მისი სიტყვანი, რომელნიც არასოდეს უნდა გაეგონათ. შემდეგში მელკორმა განაცხადა, ფეანორი ჩემი შეგირდი იყო და ყოველივე ჩემგან ისწავლაო მალულად. თუმცა, ცრუობდა ის, შურიტა და ძალაუფლებით ადვსილი, რამეთუ არავის ისე არ სძულდა მელკორი, ვითარცა ფეანორს, ძეს ფინუესი,

რომელმაც პირველად უწოდა მელკორს მორგოთი. და თუმცა გაება მელკორისგან ვალართათვის გაბმულ სიძულვილის ხლართებში, ფეანორს მასთან არასოდეს უსაუბრია და არც რჩევა უთხოვია მისთვის ოდესმე. ფეანორს მხოლოდ საკუთარი გულის მხურვალეობა აღძრავდა, მუდამ სწრაფად და მარტო შრომობდა იგი; არც დახმარებას და რჩევას სთხოვდა ამანში მცხოვრებ დიადთა თუ მცირეთ; მხოლოდ ნერდანელს, თავის ქვკიან ცოლს, თუ დაეკითხებოდა აზრს, ისიც თავიდან.

თავი მეშვიდე. ამბავი სილმარილთა და ნოლ- დორთა მღელვარებისა

იმხანად დამზადდა ელფურ ნაკეთობებს შორის ყველაზე გასაოცარ-
ნი და მშვენიერნი. განსწავლულ და დაოსტატებულ ფეანორს ახალი აზ-
რი გაუჩნდა, ან შეიძლება როგორღაც მოახლოებული აღსასრული გან-
ჭვრიტა წინასწარ, და გადაწყვიტა, კურთხეული სამეფოს დიდება, მის
ხეთა სინათლე საუკუნოდ უნდა შენარჩუნდესო. მოიკრიბა მთელი თავი-
სი გონება და ძალები და ხანგრძლივი და საიდუმლო შრომის შედეგად
დაამზადა სილმარილები.

პატიოსან თვალს ჰგავდა სამივე სილმარილი, თუმც კი უცნობია ნივ-
თიერება, რომლისგანაც ისინი შეიქმნა. ეს საიდუმლო მხოლოდ მაშინ
გაცხადდება, როცა მზე ჩაქრება და მთვარე ჩამოვარდება, როცა ფეანო-
რი დაბრუნდება ლოდინის დარბაზებიდან, სადაც მზის პირველ ამოს-
ვლამდე გაემგზავრა მისი სული და ახლა ნათესავთა შორის ზის. ბრი-
ლიანტის კრისტალებს ჰგავდნენ სილმარილნი, ოღონდ ანდამანტზე
უმტიციესნი იყვნენ ისინი, ვერა ძალა ვერ დააზიანებდა ან გატეხდა მათ
არდას სამეფოში. ხოლო კრისტალნი იყვნენ ჭურჭლნი სილმარილ-
თათვის, ვითარცა სხეულია ჭურჭელი ილუვატარის შვილთათვის; და ამ
ჭურჭლებში მოქცეული იყო ცეცხლი ცხოველმყოფელი. ხოლო ცეცხლი
სილმარილთა ფეანორმა შექმნა ვალინორის ხეთა ნათების შერწყმით;
გახმნენ ის ხენი და აღარ ანათებენ, მაგრამ სილმარილებში დღესაც
ცოცხლობს მათი ნათელი. უღრმეს საუნჯეთა ბნელშიც კი ვარდას ვარ-
სკვლავთა მსგავსად კიაფობდნენ სილმარილები; ცოცხლები იყვნენ
ისინი, უყვარდათ ნათელი, შუქს ისრუტავდნენ და გასაოცრად აბრწყვი-
ლებულს ასხივებდნენ.

ფეანორის სილმარილებით მოიხიბლნენ ამანის მკვიდრნი. აკურ-
თხა ვარდამ სილმარილნი და უკეთუ მოკვდავის ან რომელიმე ავი ქმნი-
ლების ბინძური ხელი შეეხებოდა, დაეწვებოდა და გაუხმებოდა იგი. ხო-
ლო მანდოსმა იწინასწარმეტყველა, ბელი არდისა, მისი მიწის, ზღვისა

და ცისა სიღმარელებთან არისო გადახლართული. ძლიერ შეუყვარდა ფეანორს სიღმარელები, თავის ნახელავი.

სიღმარელთა ხელში ჩაგდება მოიწადინა მელკორმა, მათი ნათების ოდენ გახსენება მხურვალე ცეცხლად ედებოდა და გულს უწვავდა. მას აქეთ, სიღმარელთა დაუფლების სურვილით ანთებული, მუდამ ფეანორის დაღუპვისა და ვალართა და ელფთა გადამტერების გზებს დაეძებდა. თუმცა, გულდაგულ მალავდა თავის განზრახვას და ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა. დიდხანს ამოი იყო მისი ფარული მცდელობანი, მაგრამ ის, ვინც სიცრუეთ თესავს, ადრე თუ გვიან, მოსავალს მიიღებს და დაისვენებს, ხოლო სხვანი მის მაგივრად ნაყოფს მოიმკიან. მუდამ პოულობდა მელკორი ყურს, რომელიც მის ტყუილთ მოისმენდა და ენას, რომელიც ამ ტყუილთ სხვას გადასცემდა. ასე ვრცელდებოდა მელკორის სიცრუენი მეგობართა შორის, ვითარცა საიდუმლო, რომელიც მის მცოდნეს ბრძენად წარმოაჩენს. მწარედ ზღვეს ნოლდორთ შემდგომში ამ უგუნურებისა და მიმნდობლობისთვის.

ინილა მელკორმა, რომ მრავალი უგდებდა ყურს მის სიტყვებს; დადიოდა მათ შორის და ტკბილი

სიტყვებით თავის ხლართებში აბამდა სხვებს ისე შემპარავად, რომ მისი განზრახვანი საკუთრად მიაჩნდათ. სამეფოებს უხატავდა მსმენელთ მელკორი, აღმოსავლეთის თავისუფალ სამეფოებს, რომლებსაც თავად განაგებდნენ; ხმები გავრცელდა ელფთა შორის, ვალართ ელდარნი ამანს იმად მოიყვანეს, რომ ქუენდთა სილამაზისა და ილუვატარისგან ბოძებული შემოქმედების ნიჭის შეშურდათ; შეეშინდათ, ელფნი გამრავლდებიან და ქვეყნიერებას მოედებიან და მათ ვეღარ განვაგებთო.

იმხანად ვალართაგან განსხვავებით, ელფებმა არაფერი უწყოდნენ კაცთა მოსვლაზე; მანუეს მათთვის არ გაუმხელია. ხოლო მელკორმა ვალართა დუმილი სათავისოდ, ბოროტის ქმნისთვის გამოიყენა. ცოტა უწყოდა მელკორმა კაცთა შესახებ, რამეთუ დიდი მუსიკის მღერისას თავის ფიქრებში შთანთქმულს ილუვატარის მესამე თემისთვის წესიერად არ

უსმენია. თუმცა, ელფთა შორის ხმა გავრცელდა, ამანი ელფთა საპყრობილეთა, ხოლო შუახმელეთის ვრცელი სამეფონი მანუეს კაცთათვის გადაუნახავს, რამეთუ დღემოკლე და სუსტ კაცთა მოდგმა ვალართათვის უფრო იოლი დასამორჩილებელია; ვალარნი ელფთათვის ილუვატარისგან ბოძებული სამკვიდროს წართმევას ლამობენო. მცირე იყო სიმართლე ამ ხმებში და იშვიათად მოუხერხებიათ ვალართ კაცთა ნების დამორჩილება; მაგრამ მრავალმა ნოლდომ სრულად ან ნაწილობრივ დაიჯერა მელკორის ავი სიტყვები.

ვიდრე ვალარნი რამეს იეჭვებდნენ, ვალინორის მშვიდობა დაირღვა. ნოლდორნი ვალართა წინააღმდეგ განეწყვენენ, სიამაყემ დაუბინდა მათ გონება და დაივიწყეს, რომ მრავალი რამ ისწავლეს ვალართაგან. სხვებზე მეტად ფეანორის დაუცხრომელი გული ილტვოდა თავისუფლებისა და შუახმელეთის ვრცელი მხარეებისკენ. ხოლო მელკორი უჩუმრად დასცინოდა მას, რამეთუ სწორედ ფეანორი იყო მისი უმთავრესი სამიზნე; ნოლდორთაგან ფეანორი სძულდა მას გამორჩევით და სილმარილთა დაუფლება ეწადა. თუმცა, მათთან მიახლოებას ვერ ახერხებდა. მხოლოდ დიდ ნადიმებსა და ზეიმებზე ამშვენებდნენ სილმარილნი ფეანორის შუბლს, ხოლო სხვა დროს ტირიონის საიდუმლო საგანძურში ინახებოდა. ეჭვიანი სიყვარულით ეტრფოდა სილმარილებს ფეანორი და არავის აძლევდა მათთვის თვალის შევლების ნებას, გარდა მამისა და მისი შვიდი ძისა; აღარ ახსოვდა, რომ შუქი მათში მოქცეული მას არ ეკუთვნოდა.

დიადი უფლისწულები იყვნენ ფეანორი და ფინგოლფინი, ფინუეს უფროსი ძეები, ყველა პატივს სცემდა მათ ამანის მხარეში. თუმცა, შუღლი ჩამოვარდა პატივმოყვარებით აღვსილ ძმათა შორის, ერთმანეთის ძალაუფლებისა და ქონების შეშურდათ. ხოლო მელკორმა ახალი სიცრუენი მოსდო ელდამარს და ხმებმა მიაღწია ფეანორამდე, თითქოს ფინგოლფინი და მისი ძენი ვალართა თანხმობით ფინუეს დამხობასა და ფეანორის მემკვიდრეთა განადგურებას გეგმავდნენ; თურმე ვალარნი უკმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ სილმარილები ტირიონის გან-

ძოსაცავში ინახებოდა და არა მათ სასახლეებში. ხოლო ფინგოლფინსა და ფინარფინს ენა მიუტანეს: «სიფრთხილე გმართებთ! მირიელის ქედ-მაღალ ძეს არასოდეს ჰყვარებია ინდისის შვილნი. განდიდდა იგი და მამაც ხელთა ჰყავს. არ გავა დიდი ხანი და თქვენ ტუნადან განგდევნით!»

და როს იხილა მელკორმა, რომ სიცრუენი მისნი გაღვივდნენ და სიამაყემ და სიბრაზემ გაახელა

ნოლდორნი, იარაღზე ჩამოუგდო მათ სიტყვა. და დაიწყეს ნოლდორთ ხმალთა, ნაჯახთა და შუბთა ჭედა. ფარებიც დაამზადეს და ზედ მოქიშვე საგვარეულოთა ნიშანნი გამოსახეს. მხოლოდ ფარებს ატარებდნენ დაუფარავად, ხოლო საბრძოლო იარაღთ საიდუმლოდ ინახავდნენ, რამეთუ ფიქრობდნენ, მხოლოდ ჩვენი გვარი გააფრთხილეს მტერთა ავ ზრახვებზეო. ხოლო ფეანორმა საიდუმლო სამჭედლოში, რომელზეც თვით მელკორმა არაფერი უწყოდა, თავისთვის და თავის ძეთათვის გამოაწრთო სასტიკი ხმლები; წითელჯიდიანი მუზარადებიც გამოჭედა მან. იმ დღეს სწყევლიდა მაჰტანი, როს აუღლესგან ნასწავლი სამჭედლო ცოდნა ნერდანელის ქმარს, თავის სიძეს, გადასცა.

ტყუილებით, ავი ჭორებითა და მავნე რჩევებით აღანთო ნოლდორთა გულები მელკორმა და ერთმანეთს გადაამტერა. მათმა შულმა განასრულა ვალინორის უძველესი დიდების შუადღე და დადგა სადამო. ფეანორი ვალართა წინააღმდეგ ამბოხისკენ ღიად მოუწოდებდა ნათესავთ, ვალინორიდან თავისუფალ ქვეყნებში მივდივარ და ვინც გამოწყება, მონობისგან დავისხნით.

მღელვარებამ მოიცვა ტირიონი. შეწუნდა ფინუე. სათათბიროდ იხმო დიდებულნი და თავადნი. ფინგოლფინი მსწრაფლ ეახლა ფინუეს და მის წინაშე წარდგა სიტყვებით: «მეფეო და მამაო ჩემო, არა მოუდრეკ ქედს ძმასა ჩვენსა, კურუფინუეს, ჭეშმარიტად «სულს ცეცხლისას?» რა უფლებით ლაპარაკობს ჩვენი ხალხის სახელით, ვითარცა მეფე? ეს შენ წარსდექი ქუენდთა წინაშე და სთხოვე ვალართ ამანში ვხლებოდით. შენ მიუძღოდი ნოლდორთ შუახმელეთის ხიფათიან გზებზე და შენ მიიყვა-

ნე ნათელ ელდამარს. უკეთუ არ ნანობ საქციელს შენსას, ორი ძე შენი სიტყვათა შენთა მორჩილად იგულე!»

სანამ ფინგოლფინი ლაპარაკობდა, დარბაზში საბრძოლოდ შეჭურვილი ფეანორი შევიდა: თავზე მალალი მუზარადი ეხურა, გვერდზე ღილი ხმალი ეკიდა.

«ასეც ვიცოდი, რომ ჩემი ნახევარძმა მამასთან მისვლას დამასწრებდა», – თქვა მან. – «პირველობა სურს მას აქაც და ყოველგან». – მერე ხმალი იშიშვლა და ფინგოლფინისკენ მიტრიალდა. – «ჩამომეცალე და შენი ადგილი იცოდე!»

ფინგოლფინმა ფინუეს თავი დაუკრა და უსიტყვოდ, ისე რომ ფეანორისკენ არ გაუხედავს, დარბაზიდან გავიდა. მაგრამ ფეანორი უკან მიჰყვა, მეფის დარბაზის კართან შეაჩერა და ხმლის წვერი ფინგოლფინს მკერდზე მიაბჯინა.

«შეხედე, ნახევარძმაო! ხმალი ესე შენს ენაზე ბასრი არს. უკეთუ შემეცილები ძალაუფლებასა და მამისა ჩემისა სიყვარულში, ხმალი ესე მონებზე ბატონობის მოსურნისგან დაიხსნის ნოლდორთ!»

ეს სიტყვები მრავალმა მოისმინა, რამეთუ სახლი ფინუესი მინდონის ქვეშ, დიდ მოედანზე იდგა. თუმცა, ფინგოლფინმა არც ამჯერად გასცა ძმას პასუხი. მდუმარედ გაიარა ხალხში და ფინარფინის, ძმის, სანახავად გაეშურა.

ცხადი შეიქნა ვალართათვის ნოლდორთა მლეღვარება, მაგრამ ბნელით იყო მოსილი სათავე მისი; ვინაიდან ფეანორი იყო პირველი, ვინც მათ წინააღმდეგ აღიმადლა ხმა, იფიქრეს, ეს ყოფილაო შფოთის მოთავე; ფეანორი ხომ თავნებობითა და ქედმაღლობით იყო გამორჩეული გაკადნიერებულ ნოლდორთაგან. დაღონდა მანუე, მაგრამ არა უთქვამს რა, ოდენ უტქერდა იმას, რაც ხდებოდა. ვალართ ელდარნი ძალით არ მოუყვანიათ ამანის მხარეში და უკეთუ მოისურვებდნენ, შეეძლოთ წასულიყვნენ. თუნდაც მცდარი ჰგონებოდათ ელდართა ამანიდან აყრა, ვალარნი მათ არ დააკავებდნენ. თუმცა, ფეანორის უტიფრობაზე თვალის დახუჭვა არ ეგებოდა და განრისხდნენ ვალარნი. ვალიმარის კარიბჭეს-

თან იხმეს ფეანორი, რათა პასუხი ეგო თავის საქმეთა და სიტყვათა გამო. იხმეს სხვანაც, ყოველნი, ვინც ამ შფოთში მონაწილეობდა ან მის შესახებ რამე იცოდა. ბედისწერის რკალში მანდოსის წინაშე დააყენეს ფეანორი და გამოჰკითხეს. გამოიკვლიეს მიზეზი ნოლდორთ მღელვარებისა და მელკორის ბოროტი ზრახვანი ყველასთვის ცნობილ შეიქნა. მყისვე დატოვა ტულკასმა თათბირი, რათა შეეპყრო ბოროტმოქმედი და განსასჯელად წარედგინა ვალართა წინაშე. ფეანორი დამნაშავედ ცნეს, რამეთუ ვალინორის სიმშვიდე დაარღვია მან და ხმალი აღმართა ნათესავის წინააღმდეგ. უთხრა მას მანდოსმა: «მონობა არს ესე, იტყვი შენ. უკეთუ მართალს იტყოდე, ვერსად წარუხვალ მონობას. რამეთუ მანუე არს მეფე სრულიად არდისა და არა მხოლოდ ამანისა. საქმენი შენნი უმჯულო არს ამანსა შინა და ამანსა გარე. დაისჯები ამის გამო: წარხვალ ტირიონით ათორმეტ წელსა. მოგეცა დრო, რათა იფიქრო და გაიხსენო, ვინ ხარ ანუ რა ხარ. რაჟამს განსრულდება ათორმეტი წელი, შეგენდობა შენ, უკეთუ სხვანაც მოგიტევენ».

თქვა ფინგოლფინმა: «მივუტევენ ძმასა ჩემსა».

ფეანორს სიტყვა არ დაუძრავს, მღუმარედ იდგა ვალართა წინაშე. შემდეგ მიტრიალდა, საბჭო დატოვა და ვალმარიდან წავიდა.

განდევნილ ფეანორს თან გაჰყვა მისი შვიდი ძე. ვალინორის ჩრდილოეთით მთებში ააგეს სიმაგრე და საგანძური. იქ, ფორმენოსში მრავალი ძვირფასი ქვა ინახებოდა მათ საცავებში, ხოლო სილმარილები რკინის ოთახში იყო ჩაკეტილი. ხშირად სტუმრობდა ფორმენოსს მეფე ფინუე, რამეთუ ძლიერ უყვარდა ფეანორი. ხოლო ტირიონში ფინგოლფინი განაგებდა ნოლდორთ. ამგვარად გამართლდა სიცრუენი მელკორისა და თავად ფეანორს მიუძღოდა ამაში ბრალი. მელკორისგან დათესილი შუღლი არ გამქრალა და კიდევ დიდხანს მტრობდნენ ფინგოლფინისა და ფეანორის ძენი.

შეიტყო მელკორმა, რომ გაცხადდა მისი ავი ზრახვანი და დაიმალა იგი, ვითარცა ღრუბელი მთებში, უხილავად დაიპარებოდა. ამაოდ დაეძებდა მას ტულკასი.

იხილეს ვალინორის მკვიდრთ, რომ მკრთალდებოდა ხეთა ნათელი და ყოველთა საგანთა ჩრდილი გრძელდებოდა და მუქდებოდა.

ასე ამბობენ, რომ მელკორი დიდხანს აღარ გამოჩენილა ვალინორში და არც არაფერი სმენიათ მასზე, ვიდრე უეცრად ფორმენოსში გამოჩნდებოდა და ფეანორს მისი სიმაგრის ზღურბლზე დაელაპარაკებოდა. მეგობრობა შესთავაზა მას და შემპარავად უჩიჩინებდა, ვალართა ბორკილთაგან უნდა გათავისუფლდეო. ასე უთხრა ფეანორს: «აჰა, ხომ იხილუ ჭეშმარიტება სიტყვათა ჩემთა, რა უსამართლოდ განგდევნეს! ხოლო უკეთუ ისევ თავისუფალი და მამაცი არს გული ფეანორისა, ვითარცა სიტყვანი მისნი ტირიონსა შინა თქმული, მაშინ ვუშველი მას, წავიყვან შორს ამ ვიწრო ქვეყნიდან. მეც ხომ ვალა ვარ, უფრო დიადი მათზე, რომელნიც ვალმარში ტახტებზე სხედან ამჟამად. მე მუდამ ვმეგობრობდი ნოლდორთ, ყველაზე განსწავლულთ და მამაცთ არდის მკვიდრთაგან».

მანდოსისგან შეურაცხყოფილ ფეანორს გულში წყენა ჩარჩენოდა და მდუმარედ შეხედა მელკორს, მისი ნდობა თუ შეიძლება და მართლა თუ დამეხმარება ამანიდან გაქცევაშიო. მელკორმა დაინახა, რომ ფეანორი ორჭოფობდა, სილმარილთ დაეტყვევებინა გული მისი და უთხრა ბოლოს: «სიმაგრე ესე კარგად არს დაცული. თუმცა, ნუ ჰგონებ, ვალართა სამეფოში სილმარილთ სადმე უსაფრთხოდ შეინახავ!»

მელკორს ზედმეტი მოუვიდა. მისი სიტყვები ფეანორის სულის სიღრმეებს მისწვდა და უფრო მგზნებარე ცეცხლი ააბრიალა, ვიდრე მელკორს ჰქონდა ჩაფიქრებული. ფეანორმა გამჭოლი მზერა მიაპყრო მელკორს და მშვენიერ იერს მიღმა, მისი ჭეშმარიტი ზრახვანი იხილა. მიხვდა ფეანორი, რომ სილმარილთა დაუფლება ეწადა მელკორს. შიშს სიძულვილმა სძლია და დაწყევლა ფეანორმა მელკორი: «განვედ, ყვავო მანდოსის საპყრობილისა, მოშორდი ჩემი სახლის კარს!» – და ეას მკვიდრთაგან უდიადეს ცხვირწინ მიუხურა კარი.

შერცხვენილი გაეცალა ფორმენოსს მელკორი, რამეთუ ხიფათი ემუქრებოდა და ჯერ არ დამდგარიყო ჟამი შურისგებისა. სიბრაზისაგან

გაუშავდა ბოროტი გული. ხოლო ფინუე შიშმა შეიპყრო და ვალმარში მანუესთან აფრინა მაცნენი.

ვალარნი ჩრდილთა დაგრძელებას შეეშფოთებინა და სათათბიროდ შეკრებილიყვნენ, როცა ფორმენოსით წარგზავნილი მაცნენი ეახლნენ. მყის წამოხტნენ ორომე და ტულკასი, მაგრამ ვიდრე მელკორს გამოუდგებოდნენ, ელდამარიდან მოვიდნენ მაცნენი და აუწყეს ვალართ, მელკორი კალაკირიით გაქცეულიყო: ტუნის თხემიდან უხილავთ ელფებს, ვითარცა საავდრო ღრუბელმა რისხვით როგორ გადაიქროლა. შემდგომ ჩრდილოეთით წასულიყო იგი – ალქუალონდელ ტელერთ დაუნახავთ არამანისკენ მქროლავი მისი აჩრდილი.

ასე გაიქცა მელკორი ვალინორიდან. მცირე ხანს ორი ხე დაუჩრდილავად ანათებდა და ნათელი იყო ამანის მიწა. ამოდ დაეძებდნენ ვალარნი მტერს, უკვალოდ გამქრალიყო იგი. თუმცა, ეჭვს დაევიანებინა ამანის მკვიდრთა გულებში და შებტალულიყო მათი სიხარული; არავინ უწყოდა, საიდან დაატყდებოდათ ახალი უბედურება.

თავი მეორე. ამბავი ვალინორის დაბნელებისა

დაასკვნა მანუემ, მელკორი უთუოდ ჩრდილოეთ შუახმელეთში, თავის ძველ სიმაგრეში აპირებს დაბრუნებას; ორომე და ტულკასი მსწრაფლ გაეშურნენ ჩრდილოეთით, რათა დასწეოდნენ მელკორს და დაეტყვევებინათ იგი, მაგრამ ტელერთა სამოსახლოს მიღმა ყინულოვან უდაბნოებზე მისი კვალი და ადგილსამყოფელი ვერსად იპოვეს. ამანის ჩრდილოეთ საზღვრებთან ფხიზლად დარაჯობდნენ ვალარნი, მაგრამ ამაოდ, რამეთუ ვიდრე დაედევნებოდნენ, მელკორი უჩუმრად უკან გამობრუნდა და სამხრეთში გაიპარა. ის ერთ-ერთი ვალართაგანი იყო და ძმათა მსგავსად უჩინრად სიარული და იერის შეცვლა ჯერაც ძალუძდა. თუმცა, მალე ეს უნარი დაკარგა.

უხილავად მიადგა იგი ავათარის ბნელ მხარეს. ის ვიწრო მიწა ელდამარის ყურის სამხრეთით, პელორის აღმოსავლეთ მთისძირეთთან მდებარეობდა; მისი უსინათლო და გამოუკვლევია, გრძელი და უჩუმრი ნაპირები სამხრეთით შორს გადაჭიმულიყო. იქ, ავათარში ყველასგან უჩუმრად ბუდობდა უნგოლიანტი. ელდართ არ უწყოდნენ, საიდან მოვიდა იგი. ზოგნი ამბობდნენ, რომ საუკუნეთა წინ დაეშვა არდას გარს შემორტყმული წყვილიადიდან, როცა მელკორმა პირველად დახედა შურით მანუეს სამეფოს; უნგოლიანტი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც მელკორმა წაბილწა და მსახურად დაიყენა. თუმცა, უურჩებოდა იგი ბატონს, ოდენ საკუთარ ჟინს ემონებოდა და ყოველივეს ნთქავდა გასაძღომად. სამხრეთში ემალებოდა ვალართა და ორომეს მონადირეთა თავდასხმებს, რამეთუ სამხრეთში ისე არ ფხიზლობდნენ ვალარნი, როგორც ჩრდილოეთში. იქიდან კურთხეული სამეფოს ნათელმა მიიზიდა უნგოლიანტი; ხეთა ნათელი სწყუროდა და სძულდა მას.

ვიწრო ხეობაში სახლობდა და ვეებერთელა ობობის სხეული ჰქონდა, მათათა შორის გასასვლელში აბამდა შავ აბლაბუდებს უნგოლიანტი. უმცირეს ნათელს ისრუტავდა და მახრჩობელა, ბნელ ქსელებად გადმოანთხევდა. აღარ დარჩა ნათელი მის ბუნაგთან და დაიმშა იგი.

მივიდა მელკორი სამხრეთში და იპოვა უნგოლიანტი. კვლავ უტუმნოს ტირანის, მაღალი და საზარელი ბნელი მეუფის იერით გამოეცხადა მას. და ეს იერი შერჩა მელკორს საუკუნოდ. იქ შავ ჩრდილებში, მანუეს მზერისთვის მიუწვდომელ შორეთში, მელკორმა და უნგოლიანტმა ვალარებზე შურისძიება დაგემეს. თუმცა, როს მელკორის ჭეშმარიტი ზრახვანი შეიტყო, მიუხედავად შიმშილისა, დაფრთხა უნგოლიანტი. ამანის ძლევამოსილ მეუფეთა რისხვის შეეშინდა და ბუნაგიდან გასვლა იუარა. მაშინ უთხრა მას მელკორმა: «ჰქმენ, რასაც გუბნები! უკეთუ ისევ მშიერ იყო, როს საქმეთა ჩვენთა განვასრულებთ, რასაც მოითხოვ, ორივ ხელით მოგართმევ, რათა ჭამო და გაძღე». როგორც ყოველთვის, დაუდევრად დადო პირობა მელკორმა, გულში კი ჩაიცინა. ასე მოატყუა დიდმა ქურდმა პატარა ქურდი.

პარვით დაიდრნენ უნგოლიანტი და მელკორი, უნგოლიანტის მოქსოვილ ბნელ საბურველში გახვეულნი. უკუნი ერქვა ამ საბურველს, ყოველივე ქრებოდა მასში და ვერავის მზერა ვერ განსჭვრეტდა მის ცარიელ

წყვიდადს. ნელ-ნელა ქსელთა ქსოვას შეუდგა უნგოლიანტი, კლდეთა შორის აბამდა ბაწრებს, შვერილიდან შვერილზე მიცოცავდა, სულ ზევით-ზევით ადიოდა და ასე მიაღწია დიდი ტანიქუეტილის სამხრეთით აღმართული, სამყაროს იმ ნაწილის უმაღლესი მთის – ჰიარმენტირის მწვერვალს. იქაურობას არ იცავდნენ ვალარნი, რამეთუ პელორის მთათა დასავლეთით ბინდი ეფინა უდაბურ მიწას, ხოლო აღმოსავლეთით მთები, გარდა ყველასაგან მივიწყებული ავათარისა, ოდენ გამოუკვლევნი ზღვის მკრთალ წყლებს გაჰყურებდნენ. თუმცა, ახლა ჰიარმენტირის მწვერვალზე უნგოლიანტის სიშავე გაროლილიყო. მან ქსელებისგან კიბე მოქსოვა და მელკორს ჩაუგდო. კიბით ავიდა მელკორი მაღალ მწვერვალზე, უნგოლიანტის გვერდით დადგა და ერთად დახედეს დაცულ სამეფოს. მათ ქვემოთ გადაშლილიყო ორომეს ტყეები, დასავლეთით იავანას მინდორ-ველები და ღვთიური ხორბლის ყანები ციმციმებდა ოქროსფრად. თუმცა, მელკორი ჩრდილოეთით იყურებოდა. იქ, მო-

რეულ დაბლობზე, ტელპერიონისა და ლაურელინის შერწყმულ შუქზე ვერცხლისფრად ელვარებდა ვალმარის გუმბათები. მელკორი ხარხარით დაეშვა გრძელ დასავლეთ ფერდობებზე; გვერდით უნგოლიანტი მიჰყვებოდა და თავის წყვილიაღში მალავდა.

ლხინისა და ზეიმის ჟამი იდგა ვალინორში და მელკორმა ეს მშვენივრად უწყოდა. თუმცა, წელიწადის დრონი ვალართ მორჩილებდნენ და უცხო იყო ვალინორისთვის დამღუპველი სუსხი ზამთრისა, არდის სამეფოში სახლობდნენ ისინი, ხოლო ეს სამეფო მხოლოდ მცირედი ნაწილია სრულიად ეასი, რომლის სიცოცხლეც არის დრო – ერუს პირველი ნოტიდან ბოლო აკორდამდე მარადმდინარი. ვალართ არა მხოლოდ ილუვატარის შვილთა იერი ჰქონდათ (როგორ აინუღინდალეშია ნათქვამი), არამედ მათებრ ჭამდნენ და სვამდნენ და აგროვებდნენ ხილს, იავანას მიერ მოწყულს მიწაზე, რომლის შემოქმედნიც ერუსთან ერთად თავად არიან.

იავანა ადგენდა ვალინორში მცენარეთა ყვავილობისა და მათ ნაყოფთა დამწიფების დროს; და ყოველ ხილთა პირველ კრეფისას მანუე ერუს სადიდებლად ლხინს მართავდა ხოლმე. ვალინორის ყოველი მცხოვრები ტანიქუეტილზე გროვებოდა ცეკვა-სიმღერით. ახლაც სწორედ ხილთა კრეფის ზეიმი იმართებოდა, უდიდესი და უბრწყინვალესი მას აქეთ, რაც ელდარნი ამანში დასახლდნენ. მართალია, მელკორის გაქცევა გასაჭირს და ფათერაკებს მოასწავებდა და არავინ უწყოდა, რა ახალი ზიანი მიადგებოდა არდას, მაგრამ მანუემ გადაწყვიტა დროებითი სიმშვიდით ესარგებლა და გადამტერებული ნოლდორნი შეერიგებინა; ამგვარად, ტანიქუეტილზე, მანუეს სასახლეში ნოლდორთა მთავარნი მიიწვიეს, რათა დაევიწყებინათ მტრის მიერ გავრცელებული სიცრუენი. სასახლეში მივიდნენ ვანიარნი და ტირიონელი ნოლდორნი, შეროვდნენ მაიარნი და ვალარნიც, დიდებულნი და მშვენიერნი. ჭრმაღალ დარბაზებში მანუესა და ვარდას წინაშე მღეროდნენ ისინი, ან დასავლეთით ორი ხის გადამყურე მთის მწვანე ფერდობებზე ცეკვავდნენ. დაცარიელდა იმ დღეს ვალმარის ქუჩები, ხოლო ტირიონის კიბეზე მღუ-

მარება სუფევდა. მთელ ქვეყანას მშვიდად ეძინა. ოდენ ტელერნი მღეროდნენ მთათა გადაღმა, ზღვის ნაპირებზე. ტელერთ ხილთა კრეფა და ჟამთასვლა არ ანაღვლებდათ, არც არდის მმართველთა საზრუნავზე ფიქრით იწუხებდნენ თავს და არც ვალინორზე გადაფენილ ჩრდილს უფრთხოდნენ, რამეთუ ჯერ არ შეხებოდა მათ.

მხოლოდ ერთმა რამემ წაუხდინა მანუეს ჩანაფიქრი. ფეანორი ეახლა, რამეთუ ერთადერთი იყო ის, ვისაც მანუემ მოსვლა უბრძანა, მაგრამ ფინუე არ მოსულა და არც სხვა რომელიმე ფორმენოსელი ნოლდო. ხოლო ფინუემ ასე თქვა: «ვიდრე ტირიონს მისვლა ეკრძალება ფეანორს, ძეს ჩემსას, მეფობის ღირსად თავი არ მიმაჩნია და არ შევხვდები ხალხს ჩემსას». ფეანორი საზეიმო სამოსლით არ მოსულა სტუმრად მანუესთან და არც ოქროს, ვერცხლისა თუ სხვა ძვირფას ქვათა სამკაულით დამშვენებული; ელდართა და ვალართ აღარ უჩვენებდა ფეანორი სილმარით და ფორმენოსში რკინის საცავში ინახავდა მათ. მანუეს ტახტთან შეხვდა ფეანორი ფინგოლფინს და შეურიგდა მას სიტყვით; ხოლო ფინგოლფინმა დაუვიწყა ხმლის გაშიშვლება და ხელი გაუწოდა: «იმას ვიქმ, რასაც დაგპირდი. მოგიტევებ და წყენას გულში არ ჩავიდებ».

ფეანორმა უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი. ხოლო ფინგოლფინმა დასძინა: «სისხლით ნახევარძმა ვარ, მაგრამ გულით ჭეშმარიტი ძმა ვიქნები შენი. შენ გამიძღვები, მე გამოგყვები. დაე, არ გაგვყოს შულღმა ძმები აღარასოდეს».

«შევისმინე სიტყვა შენი», – უთხრა ფეანორმა. – «დაე, იყოს ასე».

როგორც ამბობენ, როდესაც ფეანორი და ფინგოლფინი მანუეს ტახტის წინ იდგნენ, ხეთა შუქი შეერწყა ერთმანეთს და მღუმარე ვალმარი ვერცხლისფრად და ოქროსფრად განათდა. სწორედ მაშინ მელკორმა და უნგოლიანტმა, ვითარცა შავმა ღრუბელმა, ვალინორის მინდვრებს გადაუარეს და ეზულოჰარის მწვანე ბორცვს მიაღგნენ. ხეთა ძირებს შემოეხვია უნგოლიანტის უკუნი, ხოლო მელკორმა მსწრაფლ აირბინა ბორცვის თხემზე და შავი შუბით ორივე ხეს გული გაუგმირა. ღრმა იარებიდან, ვითარცა სისხლი, ხეთა წვენი გადმოიღვარა. უნგოლიანტმა ჯერ

ძირს დაღვრილი წვენი შეისრუტა, მერე ხეთა იარებიდან ხორთუმით ბოლომდე გამოწოვა მაცოცხლებელი სითხე. ხოლო მისი შხამი მოედო ფესვებს, ტოტებსა და ფოთლებს და გაახმო ხენი. მაინც ვერ მოიკლა წყურვილი უნგოლიანტიმა, ვარდას ჭებთან მიიჭრა და ისინიც ამოაშრო. სვამდა უნგოლიანტი და შავი ოხშივარი ამოსდიოდა პირიდან. ისე გაიბერა და გაიზარდა, რომ მეღკორიც კი ძლიერ შეშინდა.

ასე დაისადგურა ბნელმა ვალინორში. ის მოვლენები დაწვრილებით მოთხრობილია ალდუდენიეში, რომელიც შეთხზა ვანია ელემირემ და ცნობილია ყოველი ელდასთვის. თუმცა, ვერც ერთი სიმღერა და თქმულება ვერ აღწერს მაშინდელ შიშსა და მწუხარებას. ჩაქრა ნათელი, მაგრამ მის ადგილას გაჩენილი სიბნელე იყო არა მხოლოდ უსინათლობა, არამედ არსება თავისთავადი: რამეთუ შეიქმნა იგი სინათლის სიძულვილით, გონებასა და გულში აღწევდა და ნებისყოფას თრგუნავდა.

გადმოიხედა ვარდამ ტანიქუეტილიდან და იხილა წყვდიადის ზღვაში ჩანთქმული ვალმარი. ოდენ წმინდა მთა გადაურჩა ბნელში ჩაძირვას. შეწყდა მღერა. სიჩუმე ჩამოვარდა ვალინორში, მხოლოდ ქარს მოჰქონდა მთათა გადაღმიდან ტელურთა გოდება, ვითარცა თოლიათა ცივი კივილი. გოდებდნენ ტელურნი, რამეთუ იმ ჟამს აღმოსავლეთიდან ცივმა ქარმა დაუბერა და ზღვიდან წამოშლილი ვეება ჩრდილები ამანის მთათა კედელს მიეხალა.

ხოლო მანუემ თავისი ტახტიდან გადაიხედა. მისმა მახვილმა თვალმა განჭვრიტა ღამის ჩრდილები და დაინახა ის, რაც სხვათა მზერისთვის მიუწვდომელი იყო: ბნელი უბნელესი, უზარმაზარი, მაგრამ შორეული, რომელიც ჩრდილოეთით მიიჩქაროდა. მიხვდა, რომ მეღკორი შემოპარულიყო ვალინორში და ახლა გარბოდა.

მას მღევარი დაადევნეს. მიწას აზანზარებდა ორომეს მეომრების ცხენთა ფლოქვისცემა, ხოლო ნაპარის ფლოქვებისგან გაყრილმა ნაპერწკლებმა გაანათა ღამე ვალინორის. თუმცა, როგორც კი დაეწივნენ უნგოლიანტის ღრუბელს, დაბრმავდნენ და დაიბნენ ვალართა მხედრები, და უწესრიგოდ მიმოიფანტნენ; ვალარომის გუგუნი მინელდა და შეწ-

ყდა. ტულკასი დამის წყვდიადში ქსელში გაება და უმწეოდ იქნევდა მუშ-
ტებს ჰაერში. და როს გაიფანტა ბნელი უბნელესი, უკვე გვიანი იყო. მელ-
კორმა შური იძია და თავს გაქცევით უშველა.

თავი მეცხრე. ამბავი ნოლდორთა გაქცევისა

გამოხდა მცირე ხანი და ბედისწერის რკალში ვალარნი შეგროვდნენ; დაღამებულიყო და ბნელში ისხდნენ ისინი. თუმცა, ცაში ვარდას ვასკლავნი ციმციმებდნენ და ჰაერი განმენდილიყო, მანუეს ქარებს გაეფანტა სიკვდილის ოხშივარი და ზღვათა ჩრდილნი უკუექცია. წამოდგა იავანა და ეუელოჰარის მწვანე ბორცვზე ავიდა. მოტიტვლებულიყო მისი თხემი და წყვიდადს დაესადგურებინა იქ. გამხმარიყო და მომკვდარიყო ხეები. რომელ ტოტსაც კი იავანა შეეხებოდა, ტყდებოდა და უსიცოცხლოდ ეცემოდა მის ფერხთით. ხმაშეწყობილი მოთქმა-გოდება გაისმა. მგლოვიარეთ ეგონათ, ბოლომდე გამოცალეს თასი მწუხარებისა, რომელიც მელკორმა გაავსო მათთვის, მაგრამ ცდებოდნენ.

ვალართა წინაშე წარდგა იავანა და თქვა: «ჩაქრა ხეთა შუქი და აწ ფეანორის სილმარილებშიდა ცოცხლობს! წინდახედული ყოფილა იგი! ზოგი რამის ქმნა თვით ილუვატარის ქმნილებათაგან უღიადესთ ერთადერთხელ ხელეწიფებათ. ხეთა შუქი მოვავლინე ამქვეყნად, მაგრამ ხელმეორედ იმავეს ქმნა მე აღარ ძალმიძს. ცოტაოდენი შუქი რომ შემრჩენოდა, ხეებს გავაცოცხლებდი, ვიდრე მათი ფესვები გახრწნილა. ჩვენი იარებიც შეხორცდებოდა და მელკორს ავ ზრახვებს ჩავუშლიდით».

მაშინ თქვა მანუემ: «ყურად იღებ იავანას თქმულს, ფეანორ, ძეო ფინუესი? უბოძებ იმას, რასაც იგი გთხოვს?»

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ფეანორს მანუესთვის პასუხი არ უცია. მაშინ ტულკასმა წამოიყვირა: «ან ჰო თქვი, ან – არა, ნოლდო! მაგრამ იავანას უარის თქმას ვით გაუბედავ? განა პირველითგან მისგან არ იქმნა ნათელი ხეთა, რომელიც არს ნათელი სილმარილთა?»

ხოლო აულე შემოქმედმა უთხრა ტულკასს: «ნუ გაფიცხლები! უფრო მეტს ვითხოვთ მისგან, ვიდრე შენ უწყი. დააცადე, მშვიდად იფიქროს!»

ხოლო ფეანორმა მკაცრად წამოიძახა: «ვითარცა დიადთ, ეგრეცა მცირეთ ოდენ ერთხელ ხელეწიფებათ ზოგი რამის ქმნა. და ქმნილებაში

დაივანებს გული მათი სამარადისოდ. გავხსნი ჩემს სამკაულებს, მაგრამ ვედარასოდეს გავაკეთებ ხელახლა მათ მსგავსთ. ხოლო თუ გავტეხ სილმარილთ, გავტეხ გულს ჩემსას და დავიდუპები; პირველი ელდართაგან მოვკვდები ამანში».

«პირველი არ იქნები», – თქვა მანდოსმა, მაგრამ ვერავინ მიხვდა მის ნათქვამს. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, ვიდრე ფეანორი ბნელში ფიქრობდა. ეჩვენებოდა, რომ მტრის ალყაში იყო მოქცეული. მელკორის სიტყვები გაახსენდა, ვალართა სამეფოში სილმარილებს უსაფრთხოდ ვერსად შეინახავო. «ისიც ხომ ვალაა, ამათი მსგავსი და კარგად უწყის გულის-თქმა მათი. აჰა, ქურდმა ქურდი გამოავლინა!» – გაიფიქრა ფეანორმა და ხმამაღლა შესძახა: «საკუთარი ნებით არა ვიქმ ამას. ხოლო თუ ვალარნი მაიძულებენ, ვიტყვი, ჭეშმარიტად, მელკორის ნათესავნი ყოფილან ისინი».

მაშინ თქვა მანდოსმა: «სათქმელი ითქვა».

წამოდგა ნიენა და ეზელოჰარის თხემზე ავიდა. გადაიხადა რუხი ჩაჩი და თავის ცრემლებით განწმინდა უნგოლიანტის სიბილწენი. ქვეყნიერების სისასტიკესა და არდის შებღალავაზე გოდებდა იგი.

ვიდრე ნიენა გოდებდა, ფორმენოსიდან მაცნენი მოვიდნენ. ავი ცნობები მოიტანეს ნოლდორებმა. ვალართ აუწყეს, ჩრდილოეთიდან უკუნი წყვდიადი მოვიდა და მის შუაგულში უცხო და უსახელო ძალა დააბიჯებდაო; თურმე წყვდიადი სწორედ მისგან გამოდიოდა. მელკორიც იქ ყოფილა, ფეანორის სიმაგრეში მისულა და ნოლდორთა მეფე ფინუე ზღურბლოზე მოუკლავს. ასე დაიდვარა პირველად სისხლი კურთხეულ სამეფოში; რამეთუ მხოლოდ ფინუე შეხვედროდა მედგრად უბნელეს ბნელს. მელკორს ფორმენოსი დაენგრია და ნოლდორთა განძთსაცავი გაეძარცვა; სილმარილებიც გაეტაცა.

მაშინ წამოდგა ფეანორი, ხელი აღმართა და მანუეს წინაშე დაწყევლა მელკორი და უწოდა მას მორგოთი, ქვეყნიერების შავბნელი მტერი; მას აქეთ სწორედ ამ სახელით სცნობენ მას ელდარნი. ფეანორმა დაწყევლა ჟამი იგი, ოდეს ტანიქუეტილს ზედა მანუეს ეწვია. მწუხარებისა

და მრისხანებისგან შეშლილი ფიქრობდა, ფორმენოსში რომ ვყოფილიყავი, მელკორთან გამკლავებას შევძლებდიო. ბედისწერის რკალი დატოვა ფეანორმა და ღამის სიბნელში გაიქცა. ვალინორის ნათელსა და მის ხელთაგან ქმნილ სამკაულებზე უძვირფასესი იყო მისთვის მამა. ან კი რომელი ელფის ან კაცის ძე დაიკვებნიდა მისებრ დიდებული მამით?

მრავალი დაამწუხრა ფეანორის ტანჯვა-წამებამ, თუმცა, სილმარილნი მხოლოდ მას არ დაუკარგავს. ეუზლოჰარზე მოთქვამდა იავანა, რამეთუ ეშინოდა, წყვდიადი ვალინორის შუქის უკანასკნელ სხივებსაც შთანთქავსო. ჯერ არ უწყოდნენ, თავს რა უბედურება დაატყდათ, მაგრამ ვალარნი ხვდებოდნენ, რომ მელკორის შემწე არდას გარედან მოსულიყო. სილმარილები მოიპარეს და ახლა სულერთი ჩანდა, ფეანორი უარს იტყოდა თუ თანხმობას. ფორმენოსიდან ავი ცნობების მოტანამდე ფეანორს სილმარილები რომ დაეთმო, ვინ იცის, მოვლენები იქნებ სხვაგვარად განვითარებულყო. ახლა კი ნოლდოროთა მარცხი ახლოვდებოდა.

ვალართაგან დევნილი მელკორი არამანის უდაბნოს მიადგა. ეს უდაბნო პელორის მთათა და დიდ ზღვას შორის, ჩრდილოეთით მდებარეობდა; ხოლო ავათარი – სამხრეთით. ოღონდ არამანი უფრო განიერი იყო, მთათა და ზღვის ნაპირთა შორის დამზრალი, უდაბური მიწა გადაჭიმულიყო. სწრაფად გადაიარეს მელკორმა და უნგოლიანტიმა არამანი და ოიომურეს ნისლებში გავლით მიაღწიეს ჰეკარაქსეს, ამანისა და შუახმელეთის გამყოფ სრუტეს, რომელიც დრჰიალა ყინულით იყო სავსე. გადაკვეთა მელკორმა სრუტე და დიდი ხნის შემდეგ დაუბრუნდა გარე მიწების ჩრდილოეთს. უნგოლიანტიც თან ახლდა, რამეთუ მისგან დასხლტომას ვერ ახერხებდა; თავის ღრუბელი მელკორისთვის შემოეხვია და უამრავ თვალს არ აშორებდა. დრენგისტის უბის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას მიადგნენ. მორგოთი ანგბანდის, თავის დასავლეთ ციხესიმაგრის ნანგრევებს უახლოვდებოდა. მიხვდა უნგოლიანტი, რომ მელკორი აქ მისგან გაქცევას იმედოვნებდა; შეაჩერა იგი და პირობის შესრულება მოსთხოვა.

«გულშავო, აღვასრულე მოთხოვნა შენი, მაგრამ მაინც დამშეული ვარ!» – უთხრა მას უნგოლიანტიმა.

«მეტი რაღა გინდა?» – ჰკითხა მორგოთმა. – «მთელი ქვეყნიერება გინდა შესანსლო? ამას არ დაგპირებივარ. მე ქვეყნიერების მეუფე ვარ».

«ამდენს არა გთხოვ», – უპასუხა უნგოლიანტიმა. – «ფორმენოსიდან დიდი განძი წამოიღე; აი, ეგ მინდა. ორივე ხელით მოგართმევ, რასაც მოითხოვო, ხომ დამპირდი?»

სხვა რა გზა ჰქონდა, სათითაოდ დაუთმო უკმაყოფილო მეღკორმა უნგოლიანტს მოპარული ძვირფასი ქვები; უნგოლიანტიმა ყველა გადასანსლა და მათი ბრწყინვალეობა დააკლდა ქვეყნიერებას. გაიზარდა და უფრო გაშავდა უნგოლიანტი, მაგრამ მაინც ვერ გაძდა.

«მხოლოდ მარცხენა ხელით მაჭმევ», – თქვა მან, – «მარჯვენაც გაშალე».

მარჯვენაში მორგოთი სილმარილებს მალავდა; თუმც კი ბროლის ზარდანში ეწყო, სილმარილთა მხურვალეობამ ხელი დაუწვა მას და ტკივილისგან მომუჭა მარჯვენა.

«არა!» – მაინც არ გაშალა ხელი მორგოთმა. – «შენი წილი უკვე მიიღე. ჩემგან მონიჭებული ძალით აღასრულე შენ საქმე შენი. აღარ მჭირდება. ამათ ვერ მიიღებ და ვერც თვალს შეავლებ. იმას, რაც მარჯვენათი მიპყრია, სამუდამოდ ჩემად ვაცხადებ».

მაგრამ უნგოლიანტი გაზრდილიყო და გაძლიერებულიყო, ხოლო მორგოთს ნაწილი ძალისა გამოსცლოდა და დასუსტებულიყო. აღდგა უნგოლიანტი მის წინააღმდეგ და თავის ღრუბელში გაახვია, წებოვანი ბაწრების აბლაბუდაში სცადა მისი დახრჩობა. მორგოთის საშინელი კივილის ექომ შემოირბინა მთები. მას აქეთ იმ მხარეს ლამოთი ეწოდება; რამეთუ მეღკორის კივილის ექო სამუდამოდ დამკვიდრდა იქ; და თუ ლამოთში ვინმე დაიყვირებდა, ექო გაიღვიძებდა და მთებსა და ზღვის ნაპირებს შორის ტკივილით აღსავსე კივილი ისმოდა. შუახმელეთის ჩრდილოეთში არასოდეს გაქდერებულა ესოდენ ძლიერი და საზარელი ხმა. მთები შეირყა, მიწა იძრა და კლდეები დაიბზარა. ღრმა და მივიწყ-

ბულ ადგილებში ესმათ ეს კვილი. ანგბანდის ნანგრევების ქვეშ, ღრმა საცავებში, რომლებიც მოჩქარე ვალარებს არ შეუმოწმებიათ, ბალროგები იმალებოდნენ და ბატონის დაბრუნებას ელოდნენ; მსწრაფლ აღდგნენ ისინი, ჰითლუმი გადაიარეს და ცეცხლოვანი ქარიშხალივით მიიჭრნენ ლამოთში. აღმოდებული მათრახებით გაწყვიტეს უნგოლიანტის აბლაბუდა. შედრკა ობობა და უკუიქცა; შავი ოხშივარი ამოანთხია შიგ დასამალად. ჩრდილოეთიდან გამოქცეულმა ბელერიანდს შეაფარა თავი, ერედ გორგოროთის ქვეშ დაიმალა. იმ ბნელ ველს მას შემდეგ ნანდუნგორთები, საზარელი სიკვდილის ველი ეწოდა. ჯერ კიდევ ანგბანდის აშენებიდან მოყოლებული, ობობის სხეულის მქონე მრავალი ავიქმნილება სახლობდა იმ ველზე; უნგოლიანტი მათ უწყვილდებოდა და სანსლავდა; უნგოლიანტი ქვეყნიერების მივიწყებულ სამხრეთში გადაიკარგა, მაგრამ მისი ნაშიერნი ნანდუნგორთებს მოედვნენ და ყველგან საშინელ აბლაბულებს

აბამდნენ. უნგოლიანტის ბედი უცნობია. ზოგნი ამბობენ, დიდი ხნის წინ აღესრულა, როცა უსაზღვროდ დამშეულმა საკუთარი თავი შეჭამაო.

ამგვარად, შიში იავანასი, რომ სილმარილებს წყვდიადი შთანთქავდა და გაანადგურებდა, არ ახდა. თუმცა, ძვირფასი ქვები მორგოთის ხელში იყო. გათავისუფლებულმა მორგოთმა შეკრიბა ყველა მსახური, ვინც კი იპოვა და ანგბანდის ნანგრევებში დაბრუნდა. ხელახლა გაიყვანა გვირაბები და გამოთხარა გამოქვაბულები, ხოლო სიმაგრის კარიბჭეთა თავზე აღმართა სამმწვერვალნიანი თანგოროდრიმი; მუდამ შავ კვამლში იყო გახვეული მისი მწვერვალები. იქ შეიკრიბა მორგოთის მხეცთა და დემონთა ურიცხვი ლაშქარი, ხოლო დიდი ხნის წინ გამოყვანილი ორკთა მოდგმა მიწის წიაღში იზრდებოდა და მრავლდებოდა. წყვდიადის ჩრდილი გადაეფინა ბელერიანდს. ანგბანდში მორგოთმა რკინის გვირგვინი გამოჭედა თავისთვის და ქვეყნიერების მეუფედ გამოაცხადა თავი. ნიშნად ამისა, გვირგვინში სილმარილები ჩაიმაგრა. წმინდა ქვებთან შეხებისას დამწვარი ხელები სამუდამოდ შავი დარჩა; არასოდეს განელებია დამწვრობისგან გამოწვეული ტკივილი და არც ტკივილისგან

გამოწვეული სიბრაზე. გვირგვინს არასდროს იხსნიდა თავიდან, თუმცა კი ძლიერ ამძიმებდა. მხოლოდ ერთხელ და ისიც საიდუმლოდ და მცირე ხნით დატოვა თავისი ჩრდილოური სამფლობელო; ციხესიმაგრის უღრმესი პალატებიდანაც კი იშვიათად გამოდიოდა და ლაშქარს ჩრდილოეთის ტახტიდან განაგებდა. დიდხანს გაგრძელდა მისი ზეობა და მხოლოდ ერთხელ აიღო ხელში იარაღი.

უტუმნოს დანგრევას მოედრიკა მისთვის ქედი, მაგრამ ამპარტავნების დაკლებასთან ერთად, სიძულვილი მომატებოდა. ახლა მთელ ძალისხმევას მსახურებზე ბატონობას ახმარდა და სიავით აღავსებდა მათ. და მაინც, ვალას სიდიადე დიდხანს არ დაუკარგავს და მხოლოდ ძლევამოსილნი არ იბუზებოდნენ შიშით მისი საზარელი სახის დანახვაზე.

რაჟამს გაირკვა, რომ გაიქცა მორგოთი ვალინორიდან და ამას იყო მისი დევნა, ვალარნი ბედისწერის რკალში შეგროვდნენ და სიბნელეში დიდხანს ისხდნენ, მაიარნი და ვანიარნი მათ გვერდით იდგნენ და მოთქვამდნენ; ხოლო ნოლდორთა უმეტესობა ტირიონში დაბრუნდა და თავიანთი მშვენიერი ქალაქის დაბნელებას დასტიროდნენ. ჩრდილიანი ზღვებიდან წამომდგარმა ნისლმა კალაკირიას ვიწრო ხეობაში გამოაღწია და ტირიონის კოშკებს შემოეხვია. მინდონის ლამპარი მკრთალად ბჟუტავდა ბინდბუნდში.

უცრად ფეანორი გამოჩნდა ქალაქში და ნოლდორნი ტუნის თხემზე მეფის სასახლის კარზე იხმო; ვალარებს აუჯანყდა იგი, რამეთუ კვლავაც განდევნილად ითვლებოდა და ტირიონში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა. მისი სიტყვების მოსასმენად მსწრაფლ შეგროვდა მრავალი ნოლდო. ბორცვი და ზედ ამავალი კიბეები და ქუჩები გაანათა შუქმა ჩირადნებისა, რომლებიც ნოლდორთ ეპყრათ ხელთ; ფეანორი მჭევრმეტყველი იყო და, როცა სჭირდებოდა, ენით მსმენელთა გულსა და გონებას ატყვევებდა. იმ ღამით სიტყვით მიმართა მან ნოლდორთ და სიტყვა იგი ნოლდორთა მოდგმას არასოდეს დავიწყებია. მრისხანები-

თა და სიამაყით აღსავსე იყო ფეანორის სასტიკი და სიტყვამწირი გამოსვლა; მისი მოსმენისას

ბრაზით წამოენთენ ნოლდორნი. მრისხანება და სიძულვილი დიდწილად მორგოთისკენ მიემართა ფეანორს, თუმცა, თითქმის ყოველივე, რაც კი წარმოთქვა, მორგოთის ტყუილებით იყო შთაგონებული. მამის მკვლელობითა და სიღმარითა მოპარვით დამწუხრებულს გონება დაბინდვოდა. ვინაიდან ფინუე ცოცხალი აღარ იყო, ნოლდორთა მეფედ გამოაცხადა თავი და ვალართა განკარგულებები დაიწუნა.

«ძმანო, ნოლდორნო», – შეჰყვირა მან, – «რად უნდა ვმსახურებდე თურთან ვალართ, რომელნიც თვისსავე სამეფოში ვერ გვიცავენ მტრისაგან? ან კი მეტოქე მათი, განა მათივე გვარის არ არის? გინდ შურისძიების წყურვილს არ მივყავდე აქედან, მაინც არ დავრჩებოდი მამაჩემის მკვლელის ნათესავთა და ჩემი განძის მომპარავის მიწაზე. თუმცა, ამ მამაც ხალხში ოდენ მე როდი ვარ მამაცი. განა ყოველმა თქვენგანმა არ დაკარგა მეფე? განა მეფეზე მეტი არ დაკარგეთ მათათა და ზღვას შორის ამ ვიწრო მიწაზე გამოკეტილებმა? აქ ოდესღაც იყო სინათლე, რომელიც ვალარებმა შუახმელეთისთვის არ გაიმეტეს. ახლა კი სიბნელემ ყოველივე თანასწორად აქცია. აქ უქმად ვისხდეთ და სამუდამოდ ვიგლოვოთ, ჩრდილსა და ბურუსში მობინადრე ხალხად ვიქცეთ, ფუჭი ცრემლები ვღვაროთ უმადურ ზღვაში? თუ სამშობლოში დავბრუნდეთ? უღრუბლო და საამური არს ვარსკვლავთა ქვეშ მოლიცლიცე წყლები კუივიენენისა, რომლის გარშემო გადაშლილა ვრცელი მიწები, რათა ზედ თავისუფალმა ხალხმა იაროს. დაუფიქრებლად წამოვედით იქიდან, მაგრამ ის ქვეყანა ისევ ჩვენ გველოდება. მომყევით! დაე, ეს ქალაქი ლაჩრებს დარჩეთ!»

დიდხანს ლაპარაკობდა ფეანორი, ნოლდორთ მოუწოდებდა, მას გაჰყოლოდნენ და საკუთარი ვაჟკაცობით მოეპოვებინათ თავისუფლება და ვრცელი სამეფოები აღმოსავლეთში, ვიდრე ჯერ კიდევ გვიანი არ იყო; მეღკორის ჩაგონებულ ტყუილებს თავგზა აებნია ფეანორისთვის, მართლაც დაეჯერებინა, რომ ვალარნი ელდართ აბრიყვებდნენ და

ტყვეობაში ამყოფებდნენ, რათა შუახმელეთში ადამიანები გაბატონებულიყვნენ. მრავალმა ელდართაგანმა მაშინ პირველად შეიტყო მომღვეწოთა შესახებ.

«თუმცა, გრძელი და ძნელი გზა უნდა განვვლოთ, გზის ბოლო ბრწყინვალე იქნება!» – შესძახა ფეანორმა. – «დაემშვიდობეთ ბორკილებს! დაემშვიდობეთ სიმშვიდესაც! დაემშვიდობეთ სისუსტეს! დაემშვიდობეთ თქვენს განძს! უფრო დიდ განძს დავაგროვებთ. მსუბუქად იმგზავრეთ, ოღონდ ხმლები წამოიღეთ! რამეთუ წავალთ იმაზე შორს, ვიდრე ორომე და გავუძლებთ იმაზე მეტს, ვიდრე ტულკასი: არასოდეს შევწყვეტთ ღვენას. ღედამიწის კიდემდე მიყვებით მორგოთს! შევებრძოლებით და უსაზღვროდ შევიძულებთ მას. ხოლო როს სიღმარილებს ხელიდან გამოვგლეჯთ და დავიბრუნებთ, ჩვენ ერთადერთი ვიქნებით მეუფენი შეუბღალავი ნათელისა და მბრძანებელნი არდის მშვენიერებისა და ნეტარებისა. ვერც ერთი მოდგმა ვერ შეგვეცილება პირველობას!»

შემდეგ ფეანორმა საზარელი ფიცი დადო. შვიდივე ძე მყისვე გვერდით ამოუდგა და მათაც დაიფიცეს. სისხლივით წითლად აელვარდა მათი ხმლები ჩირაღდნის შუქზე. მათ დადეს ფიცი, რომელსაც ვერავინ გატეხდა, თუნდაც ილუვატარის სახელით – ვინც ამას იზამდა, მარადიულ უკუნს დაიტეხდა თავზე. მანუე და ვარდა და მათი წმინდა მთა ტანიქუეტილი დაიმოწმეს, ყველას წინაშე დაიფიცეს, რომ ქვეყნიერების

კიდემდე სდევნიდნენ და სასტიკად იძიებდნენ შურს ღემონზე, ელფსა თუ ჯერ გაუჩენელ კაცზე, ან სხვა ქმნილებაზე, დიდსა თუ მცირეზე, კეთილსა თუ ავზე, ვისაც ღროთა განმავლობაში გადაეყრებოდნენ და ვინც მათგან სიღმარილების წართმევას და დამალვას ეცდებოდა.

ერთიმეორის მიყოლებით წარმოთქვეს ფიცი მადროსმა, მაგლორმა, კელეგორმმა, კურუფინმა, კარანთირმა, ამროდმა და ამრასმა – ნოლდორთა უფლისწულებმა. ბევრი მოიბუზა შიშით ამ საზარელი სიტყვების გაგონებაზე. ამგვარი ფიცი, კეთილი თუ ავი, არ უნდა დაირღვეს და, ფიცის დამღებსა თუ ფიცის გამტეხს ქვეყნიერების აღსასრულამდე თა-

ნა სდევს იგი. ფინგოლფინი და მისი ვაჟი ტურგონი ფეანორის წინააღმდეგ გამოვიდნენ. კვლავ უხეში სიტყვები ითქვა და განრისხებულთ კვლავ ხმლებისკენ წაიღეს ხელი. ხოლო ფინარფინმა, ვითარც სჩვეოდა, მშვიდად ილაპარაკა და ნოლდორთა დაშოშმინება სცადა; თანამოდმეთ ურჩია, სანამ შეუქცევადს ჩაიდნეთ, დაფიქრება გმართებთო. მის ძეთაგან ოდენ ოროდრეთმა ილაპარაკა მსგავსად მამისა. ფინროდი ტურგონს, თავის მეგობარს მიემხრო. ხოლო გალადრიელმა, ნოლდორთაგან ერთადერთმა ქალმა, რომელიც იმ დღეს მოდავე უფლისწულთა და მთავართა შორის ამყად და მამაცურად იდგა, დაუყოვნებლივ გამგზავრება მოითხოვა. ფიცი არ დაუღვია, მაგრამ ფეანორის სიტყვებმა შუახმელეთისადმი ლტოლვით აუნთო გული; რამეთუ უპატრონო, ვრცელი მიწების დაუფლება და ბატონობა სწადადა მას. გალადრიელის აზრს იზიარებდა ფინგონი, ძე ფინგოლფინისა – ისიც შეეძრა ფეანორის სიტყვებს, თუმც დიდად არ უყვარდა ბიძამისი. როგორც ყოველთვის, ფინგონს ემხრობოდნენ ანგროდი და აეგნორი, ძენი ფინარფინისა. თუმცა, ისინი ჩუმად იდგნენ და მამათა წინააღმდეგ არ გამოსულან.

ბოლოს, ხანგრძლივი დავის შემდგომ, ფეანორმა იმარჯვა; იქ შეკრებილ ნოლდორთაგან მრავლის გულში დაანთო სიახლეებისა და უცხო ქვეყნებისკენ სწრაფვის ცეცხლი. ამგვარად, როცა ფინარფინმა კიდევ ერთხელ დაფიქრებისა და შეყოვნებისკენ მოუწოდა თანამოდმეთ, მის სიტყვებს შეძახილებით შეხვდნენ: «არა, გაგვიშვი აქედან!» ფეანორი და მისი ძენი მყისვე გამგზავრებისთვის მზადებას შეუდგნენ.

გამგზავრების მსურველნი წინასწარ ვერ ჭვრეტდნენ, რაოდენ ბნელი გზის გავლა მოუწევდათ. სამწუხაროდ, ყოველივე ნაჩქარევად გადაწყდა. ფეანორი დაუყოვნებლივ გაუძღვა მათ, შიშობდა, რაჟამს მათ გულებში აგიზგიზებული ცეცხლი განელდება, სხვათა რჩევებს შეისმენენ და აღარ გამომყვებიანო. ამყად ნათქვამი სიტყვების მიუხედავად, ვალართა სიდიადესა და ძალაუფლებას წამითაც არ ივიწყებდა. ვალმარიდან ჯერ არაფერი ისმოდა, მანუე დუმდა. ფეანორს გეგმის აღსრულებაში არც ხელს უშლიდა, არც გამგზავრებას უკრძალავდა. წუხდნენ ვალარ-

ნი, რომ ელდართათვის ავის ქმნაში დასდეს ბრალი, თითქოს ძალით მოიყვანეს ისინი ამანის მიწაზე და აქ ტყვეობაში ამყოფებდნენ. ახლა ისინი მხოლოდ თვალყურს ადევნებდნენ და იცდიდნენ, არ სჯეროდათ, რომ ფეანორი ნოლდორთა მიმხრობას შეძლებდა.

მართლაც, როცა ფეანორმა ნოლდორებს გამგზავრებისკენ მოუწოდა, მაშინვე განხეთქილება წარმოიშვა. შუკრებილნი შუახმელეთში დაბრუნებაზე კი დაითანხმა, მაგრამ ფეანორის მეფედ არჩევა ყველას როდი სწადა. ნოლდორნი უფრო მეტად ფინგოლფინსა და მის ვაჟებს ჰყვარობდნენ; ფინგოლფინის

საგვარეულომ და ტირიონის მკვიდრთა უმეტესობამ ფეანორის წინამძღოლობით გამგზავრება იუარეს, ჩვენ მხოლოდ ფინგოლფინს გავყვებითო. ამგვარად, ორად გაყოფილნი გაუდგნენ მძიმე გზას ნოლდორნი. წინ ფეანორი და მისი მიმდევარნი მიდიოდნენ, უკან – უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი ფინგოლფინის მეთაურობით. ფინგოლფინი წასვლაზე ფინგონმა, თავის ვაჟმა დაიყოლია; თანაც, მან საკუთარ ხალხთან დაშორება და სულსწრაფი და წინდაუხედავი ფეანორის ანაბარა მათი დატოვება არ მოინდომა. არც მანუეს ტახტის წინაშე თქმული სიტყვები დავიწყებია. ფინგოლფინთან ერთად მიდიოდა ფინარფინიც – ისიც ამავე მიზეზით. ყველაზე ნაკლებად მას სურდა გადასახლება. ვალინორში მცხოვრებ ნოლდორთაგან, რომელნიც დიდებულ ხალხად ქცეულიყვნენ, ოდენ მცირედმა იუარა გამგზავრება: ზოგს ვალარნი (გამორჩეულად აულე) შეჰყვარებოდა ძლიერ, ზოგს – ტირიონი და თავიანთი შექმნილი მშვენიერი ნივთები, ხოლო გზის შიშით უკან არც ერთს დაუხევია.

რაჟამს დასჭეჟა ბუკმა და ფეანორი ტირიონის კარიბჭიდან გამოვიდა, მაცნემ მანუეს სიტყვები მოიტანა: «ოდენ ერთს ვურჩევ ნოლდორთა მოდგმას, ფეანორის უგუნურ მოწოდებას ნუ აჰყვება! არ წახვიდეთ! ავიჟამი დგას და გზა თქვენი მიიწევს ტანჯვისკენ, რომელსაც ვერა სჭვრეტთ. ამ საქმეში ვალარნი აღარ შეგეწევიან, მაგრამ არც შეგაფერხებენ. ეს კი უწყოდეთ, ვითარცა მოხვედით აქ თავისუფლად, ეგრეც წახ-

ვალთ აქედან თავისუფლად. ხოლო შენ, ფეანორ, ძეო ფინუესი, შენივე ფიცის მიერ განიდევნები. ძვირად დაგიჯდება ის, რომ მელკორის სიცრუენი ირწმუნე. ისიც ვალა არისო, ამბობ შენ; მაშ, ფუჭი ყოფილა ფიცი შენი, რამეთუ ვერა სძლევ ვალას ვერც ახლა და ვერც ვერასოდეს ეას დარბაზთა შინა, თუნდ ერუმ, ვინც შენ მოიხმე, გადაგაქციოს სამგზის ძლიერად, ვიდრე ახლა ხარ».

ხოლო ფეანორმა გაიცინა და მაცნეს კი არა, ნოლდორებს მიმართა: «მაშ, ესეოდენ მამაცი ხალხი მარტო, ოდენ ვაჟებიტურთ გაუშვებს გადასახლებულ მეფეს თავისას, თავად კი ისევ ტყვეობაში დარჩება? ხოლო ვეტყვი იმ მცირეთ, ვინც გამომყვება: ავს გიწინასწარმეტყველებენ, მაგრამ განა უკვე არ იხილეთ ავი ამანში? ნეტარებაში ვიყავით და გასაჭირში აღმოვჩნდით. ახლა სხვაგვარად ვცდით: მწუხარენი სიხარულს ვპოვებთ; ან თავისუფლებას, სხვას თუ არაფერს».

შემდეგ მაცნისკენ მიტრიალდა იგი და შესძახა: «ეს გადაეცი მანუე სულიმოს, უზენაეს მეფეს არდისას: თუნდ ფეანორს არ შესწევდეს ძალა მორგოთის დამხობის, დაღონებული უქმად მაინც არ იჯდება და მტერს შეებრძოლება. ვინ იცის, იქნებ ერუმ მომანიჭოს ძალა თქვენთვის განუჭვრეტელი. ისეთ იარებს დავამჩნევ დაუძინარ მტერს ვალართა, რომ თვით ბედისწერის რკალში მსხდარნიც გაიკვირვებენ. ადრე თუ გვიან, ყველანი მე გამომყვებიან. მშვიდობით!»

ისე ძლევამოსილად და მბრძანებლურად ჟღერდა ფეანორის სიტყვები, რომ თვით ვალართა მაცნემ თავი დაუკრა ნიშნად იმისა, რომ პასუხი გასაგები იყო, და წავიდა. ძლეულ იქნენ ნოლდორნი და განაგრძეს სვლა. ფეანორის საგვარეულო მსწრაფლ მიუძღოდა მათ ელენდეს ნაპირების გასწვრივ. ერთხელაც არ მიუხედავთ უკან, რათა ტირიონისა და ტუნას ბორცვისთვის შეევლოთ თვალი. ნელა და უხალისოდ მიდიოდნენ ფინგოლფინის საგვარეულო და მისი ქვეშევრდომნი. მათ წინ ფინგონი მიუძღოდა, ხოლო

ყველაზე ბოლოს ფინარფინი და ფინროდი მიდიოდნენ ნოლდორთაგან უკეთილშობილესებთან და უბრძნესებთან ერთად. ხშირად იყუ-

რებოდნენ უკან, თავიანთი მშვენიერი ქალაქისკენ, ვიდრე მინდონ ელ-დალიევას სანათს ღამის სიბნელე შთანთქავდა. გადასახლებულთაგან ყველაზე მეტად სწორედ მათ ახსოვდათ ნეტარება, რომელიც დატოვეს და თან მიჰქონდათ ამანის მხარეში დამზადებული საოცარი ნივთები ნუგეშად და ტვირთად შორ გზაზე.

ფეანორი ჩრდილოეთით მიუძღოდა ნოლდორთ, რადგან თავდაპირველად მორგოთის ღევნა ჰქონდა განზრახული. გარდა ამისა, ტანიქუეტილის ძირში აღმართული ტუნა ახლო იყო არდის სარტყელთან და იქ დიდი ზღვა ძალიან განიერი იყო, ხოლო ჩრდილოეთით ზღვა ვიწროვდებოდა და არამანის უდაბნო და შუახმელეთის ნაპირები ერთმანეთს უახლოვდებოდა. თუმცა, თანდათან ფეანორის აღტყინება დაცხრა და ცივ გონებაზე გაიზრა ნაჩქარევი გადაწყვეტილება. ესოდენ მრავალრიცხოვან ნოლდორთ ამსიშორეზე სვლა გაუჭირდებოდათ, მით უმეტეს, ზღვას უხომალდოდ ვერ გადაცურავდნენ. ხოლო ხომალდთა აგებას, თუნდაც ნოლდორთა შორის ამ ხელობის მცოდნენი ყოფილიყვნენ, დიდი დრო და შრომა დასჭირდებოდა. ამის გამო ფეანორმა ტელერთა, ნოლდორთა მეგობრების მიმხრობა და მათი თან წაყვანაც მოინდომა. ვალარებზე გამწყრალი იმასაც ფიქრობდა, ვალინორის ბრწყინვალეობა დაკნინდება, ხოლო მორგოთის წინააღმდეგ ამხედრებულთა რაოდენობა გაიზრდებაო. ალქუალონდესკენ გაეშურა ფეანორი და, ვითარც ტირიონში ნოლდორებს, ტელერთაც სიტყვით მიმართა.

თუმცა მისმა გამოსვლამ ტელერნი ვერ შეძრა. ისინი ნათესავთა და მეგობართა ამანიდან აყრამ დაამწყხრა, მაგრამ დახმარება კი არა, მათთვის აზრის შეცვლა სცადეს. არც ხომალდები ათხოვეს და არც შენება ასწავლეს, რამეთუ არ სურდათ ვალართა ნების წინააღმდეგ წასულიყვნენ. ელდამარის ნაპირები ქვეუღიყო მათ ახალ სამშობლოდ და ოდენ ოლუე, ალქუალონდეს მთავარი, მიაჩნდათ თავიანთ მმართველად. ხოლო ოლუეს არასოდეს უთხოვებია ყური მორგოთისთვის, არც თავის სამფლობელოში მიუღია იგი გულთბილად; სჯეროდა, რომ უღმო და სხვა დიადი ვალარნი მორგოთის გაფუჭებულს გამოასწორებდნენ და

დამეს ახალი განთიადი მოჰყვებოდა. მაშინ განრისხდა ფეანორი, რამეთუ შიშობდა, დავაგვიანებო, და უხეშად ელაპარაკა ოლუეს: «გაჭირვების ჟამს აღარ გვიწვდით ხელს მეგობრობის, ხოლო როს პირველად მოხვედით ამ ნაპირებთან, უკანასკნელნი, ვით გულსუსტი მოყიალენი, ჩვენ უშურველად შეგეწიეთ ხელცარიელ თანამოძმეებს. ეს ნოლდორთ გამოგიჭრეს ნავსაყუდელი და აგიგეს კედლები, თორემ დღესაც ხის ქოხებში იცხოვრებდით».

ხოლო ოლუემ მიუგო: «მეგობრობაზე უარს როდი ვამბობთ. თუმცა, მეგობრისთვის სიბრიყვის გამო საყვედურის თქმაც ვალი არს მეგობრის. როცა პირველად შეგვეგებნენ და დაგვეხმარნენ ნოლდორნი, სულ სხვანაირიად ლაპარაკობდნენ: ამანის მიწაზე უნდა გვეცხოვრა სამუდამოდ, ვითარცა ძმებს, რომელნიც გვერდიგვერდ დასახლებულან. ხოლო ხომალდნი თეთრნი თქვენი ძღვენი არ არის. არც მათი აგება გისწავლებიათ თქვენ; ამ ხელობას ზღვის ბატონთაგან დავუფლეთ; ჩვენი ხელით გამოვთალეთ თეთრი მორები, ჩვენმა ცოლებმა და ასულებმა მოქსოვეს თეთრი აფრები. თუმც მეგობრებად მიგვაჩინხართ

ტელერთ ნოლდორნი, ჩვენს ხომალდებს არც გათხოვებთ და არც მოგყიდით. რამეთუ ისეთივე ძვირფასია ისინი ჩვენთვის, ვითარცა თვალნი პატიოსანნი – ნოლდორთათვის. ამ ხომალდთა მსგავსს ველარასოდეს შექმნიან ტელერნი».

მაშინ ზურგი აქცია ფეანორმა ოლუეს და აღქუალონდეს კედლებს შიგნით ბნელ ფიქრებს მიეცა, ვიდრე ნოლდორნი ქალაქში შეგროვებოდნენ. და როს იხილა, რომ რიცხობრივად სჭარბობდნენ ტელერთ, დუზაჩაშვებულ ხომალდებში ჩასხა თავისი ხალხი. წინ აღუდგნენ მათ ტელერნი და მრავალი ნოლდო გადაყარეს ზღვაში. მაშინ ხმლები იშიშვლეს მეტოქეებმა და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ხომალდებზე, ფარანთა შუქით განათებულ ნავმისადგომებსა და ნავსაყუდლის კარიბჭის თაღზე. სამგზის უკუაქციეს ფეანორის ხალხი და მრავალი მათგანი დახოცეს. ამასობაში ნოლდორთა მეწინავეებს ფინგონის მეთაურობით წინმავალი ფინგოლფინის ხალხიც წამოეწია. თანამოძმეთა ხოცვა-

ქლექტა რაკი იხილეს, დაუხანებლად ჩაებნენ ბრძოლაში, არც კი უკითხავთ ბრძოლის წამოწყების მიზეზი. ზოგიერთმა თავისთვის დაასკვნა, ვალართა ბრძანებით, ტელერნი უთუოდ ჩვენს დაბრკოლებას უნდა ლამობდნენო.

ამგვარად სძლიეს ტელერთ და აღქუალონდემი მოსახლე ზღვაოსანთა უმეტესობა ვერაგულად დახოცეს. სასოწარკვეთილი ნოლდორნი უღმობლად იბრძოდნენ, ხოლო შედარებით სუსტი ტელერნი დიდწილად წვრილი მშვილდებით შეიარაღებულიყვნენ. ჩასხდნენ ნოლდორნი ტელერთა თეთრ ხომალდებში, დაავლეს ხელი ნიჩბებს და ნაპირ-ნაპირ ჩრდილოეთით გაცურეს. ოლუემ ოსეს მოუხმო შემწედ, მაგრამ ოსე არ მოვიდა, რამეთუ ვალარებმა აუკრძალეს გაქცეულ ნოლდორთა ძალით შეყოვნება. ხოლო უინენი ტელერ ზღვაოსანთ დასტიროდა; განრისხებული ზღვა აღდგა მათ მკვლელთა წინააღმდეგ, მრავალი ხომალდი დაიმსხვრა და მათთან ერთად ხომალდში მყოფნიც ჩაიძირნენ. ძმათაკვლის შესახებ წვრილადაა მოთხრობილი სამგლოვიარო სიმღერაში, რომელსაც ნოლდოლანტე – «ნოლდორთა დაცემა» ჰქვია. მაგლორმა შეთხზა ეს სიმღერა, ვიდრე უგზო-უკვლოდ გაუჩინარდებოდა.

თუმცა, ნოლდორთა დიდი ნაწილი გადარჩა და, როცა ზღვა დამომშინდა, კვლავ გზას გაუდგნენ: ზოგი ზღვაში და ზოგი ხმელეთზე. რაც უფრო წინ მიიწევდნენ, გზა უფრო ძნელი და საშიში ხდებოდა. დაუსრულებელ დამეში დიდხანს იარეს, ვიდრე დაცული სამეფოს ჩრდილოეთ საზღვრებს მიაღებოდნენ. იქ მთაგორიანი და სუსხიანი არამანის უკაცრიელი უდაბნოს განაპირას კლდის წვერზე ბუნდოვანი ფიგურა დაინახეს, რომელიც ზღვის ნაპირს გადაჰყურებდა. ზოგის თქმით, ეს თავად მანდოსი იყო მანუესგან დესპანად გამოგზავნილი. საზარელი და შთამბეჭდავი ხმა მოესმათ ნოლდორთ, შესდევით და ყური დამიგდეთო! ყველანი გაჩერდნენ და გაჩუმდნენ. ყოველმა ნოლდომ გაიგონა წარმოთქმული წყევლა და წინასწარმეტყველება, რომელსაც ჩრდილოეთის წინასწარმეტყველებასა და ნოლდორთა სასჯელს უწოდებენ. ავს იუწყე-

ბოდა იგი და თქმულის სიმართლეში ნოლდორნი თავად დარწმუნდნენ, როცა მრავალი განსაცდელი დაატყდათ თავს. ხოლო მათ, ვინც წავიდოდა და ვალართაგან შენდობას არ ითხოვდა, წყევლა ამას უქადადა:

«ცრემლთ აურაცხელთ დაღვრით თქვენ; ვალარნი ვალინორისკენ დასაბრუნებელ გზას გადაგიღობავენ,

მთათა გადმოღმა ვერ მოაღწევს გოდებისა თქვენისა ექო. რისხვა ვალართა დასავლეთიდან უკიდურეს აღმოსავლეთამდე თანა სდევს ფეანორის საგვარეულოსა და მათ, ვინც ფეანორს მიჰყვება. ფიცი მიუძღვის მათ, მაგრამ ფიცივე უღალატებს და მუდამ წაჰგლეჯს ხელიდან განძს, რომლის დაბრუნებაც აღუთქვეს ერთმანეთს. ავად დასრულდება ყოველივე, რაც კარგად დაიწყო; უღალატებს ძმა ძმას და ღალატის შიშით მოხდება ესე. უმკვიდრონი იქნებიან ისინი მარად.

უსამართლოდ დაღვარეთ მოყვასთა სისხლი ამანის მიწაზე. სისხლით ზღავთ სისხლისა წილ, ამანისგან შორს სიკვდილის ჩრდილში იცხოვრებთ. თუმც, ერუსაგან კურთხეულთ ეას შიგა სიკვდილი და სწეულება არ გეკარებათ, თქვენი მოკვლა შესაძლებელ არს და მოკლულ იქნებით: ხმლით, წამებითა და დარდით; და სულნი თქვენი უსახლონი მივლენ მანდოსს. დიდხანს დაიცდით იქ და ინატრებთ სხეულებს თქვენსას; მცირედ მოწყალებას ეღირსებით, თუნდ თქვენგან მოკლულნი მოითხოვდნენ შენდობას თქვენთვის. ხოლო ისინი, ვინც შუახმელეთში გადარჩებიან და მანდოსს არ მოვლენ, დაიღლებიან ქვეყნიერებით, მძიმე ტვირთად დააწვებათ სიცოცხლე; შემცირდებიან და მონანიე ლანდებად იქცევიან ელდართ კვალდაკვალ მოსული უმცროსი მოდგმის წინაშე. ასეთი არს სიტყვა ვალართა!»

მრავალი შედრკა, მაგრამ ფეანორმა გული გაიმაგრა და თქვა: «ფიცი დავდეთ ჩვენ და მას აღარ გავტეხთ. ავს გვიქადიან, მათ შორის, ღალატს, მაგრამ ამას კი არავინ ამბობს, რომ სილაჩრისგან დავიტანჯებით, სიმხდალისგან ან შიშისგან სიმხდალის. და ამის გამო, ვიტყვი მე: ჩვენ გზას განვაგრძობთ! და ამას დავსძენ: საქმენი ჩვენნი საგმირონი არდის უკანასკნელ დღეებამდე ემახსოვრებათ!»

მაგრამ ფინარფინმა შეწყვიტა მსვლელობა და უკან გატრიალდა, რამეთუ მწუხარებით ადვსილიყო; ოლუე ალქუალონდელი ნათესავი იყო მისი და ტელერთა დახოცვისთვის ფეანორის საგვარეულოზე ბრაზობდა. მის ხალხთაგან მრავალი გაჰყვა ფინარფინს, ნაღვლიანად მიუყვებოდნენ თავიანთ ნაკვალევს, ვიდრე ტუნაზე მდგარი მინდონის სიბნელეში მანათობელ სხივს დაინახავდნენ. ვალინორში დაბრუნებულებმა ვალარებს სთხოვეს შენდობა და მათაც მიუტევეს. კურთხეულ სამეფოში დარჩენილ ნოლდორთა მმართველად ფინარფინი დანიშნეს. ხოლო ძენი ფინარფინისა არ დაბრუნებულან, რამეთუ ფინგოლფინის ვაჟებთან დაშორება არ სურდათ; ფინგოლფინის ხალხმაც წინსვლა განაგრძო, სისხლით ნათესაობით იყვნენ შებოჭილნი და ფეანორის ნებას ვერ ეურჩებოდნენ; გარდა ამისა, ვალართა რისხვასაც უფრთხოდნენ, რამეთუ ბევრს გაესვარა ხელი ძმათა სისხლით ალქუალონდეში. თანაც, ფინგონი და ტურგონი გულადნი და ფიცხნი იყვნენ, თუ საქმეს ხელს მოჰკიდებდნენ, უთუოდ მიიყვანდნენ, თუნდაც მწარე ბოლომდე. ამგვარად, უფრო მეტმა ნოლდომ გზა გააგრძელა და ნაწინასწარმეტყველები ავი მსწრაფლ ამოქმედდა.

ბოლოს არდის ჩრდილოეთამდე მიაღწიეს ნოლდორთ; შეამჩნიეს ზღვაში მოტივტივე ყინულის ეშვი და მიხვდნენ, რომ ჰელკარაქსეს უახლოვდებოდნენ. ამანის მიწის ჩრდილოეთი ბოლო აღმოსავლეთისკენ იხრებოდა, ხოლო ენდორის (ანუ შუახმელეთის) აღმოსავლეთი ნაპირები დასავლეთისკენ გადაჭიმულიყო. მათ შორის იყო ვიწრო სრუტე, რომელშიც გარემომცველი ზღვის სუსხიანი წყლები და

ბელეგაერის ტალღები ერთად მიედინებოდა, სრუტეზე ყინულივით ცივი ბურუსი და ნისლი იწვა. ზღვათა ნაკადები ყინულის მთებითა და ღრმად ჩაძირული ღრჭიალა ყინულის ნატეხებით იყო სავსე. ასეთი იყო ჰელკარაქსე და ჯერ ვერავის გაებედა ზედ გადასვლა, გარდა ვალართა და უნგოლიანტისა.

შედგა ფეანორი და ბჭობა გამართეს ნოლდორთ, რა გზას დასდგომოდნენ. სუსხსა და სქელ ბურუსში, რომელშიც ვერც ერთი ვარსკვლავის

სხივი ვერ აღწევდა, ძლიერ იტანჯებოდნენ ნოლდორნი. მრავალი შე-
წუხდა (განსაკუთრებით ფინგოლფინის მიმდევარნი) და აჩურჩულდა,
არ უნდა წამოვსულიყავითო; ფეანორს წყევლიდნენ და ელდართა ყოვე-
ლი გასაჭირის სათავედ მას ასახელებდნენ. ყველაფერი ესმოდა ფეა-
ნორს და თავის ვაჟებთან გამართა თათბირი. არამანისთვის თავის და-
საღწევად და ენდორში მოსახვედრად ოდენ ორი გზა არსებობდა: ან გა-
ყინული სრუტე უნდა გადაეჭრათ, ან ზღვა ხომალდებით გადაეცურათ.
თუმცა, ჰელკარაქსე გაუვალად მიაჩნდათ, ხოლო ხანგრძლივი მოგზაუ-
რობისას მრავალი ხომალდი ჩაძირულიყო და ყველა ნოლდოს ერ-
თდროულად გადასაყვანად საკმარისი არ ჰყავდათ; დასავლეთ ნაპირზე
დარჩენა და ლოდინი, ვიდრე სხვები გაღმა ნაპირზე გადავიდოდნენ,
არავის სურდა: ნოლდორთა შორის დალატის შიში გაჩენილიყო. მაშინ
ფეანორმა და მისმა ვაჟებმა განიზრახეს, ყველა ხომალდი გაეტაცათ და
მოულოდნელად გაეცურათ გაღმა ნაპირისკენ. გელთა ნავსაყუდლის
ბრძოლის შემდეგ ფლოტზე გავლენას ინარჩუნებდნენ, რამეთუ ხომალ-
დებზე მათი თანამებრძოლნი და ფეანორის მომხრენი იმყოფებოდნენ.
თითქოს მათი აზრი ესმოდ, ჩრდილო-დასავლეთიდან ქარიც წამოდგა.
ფეანორი ერთგულ მიმდევრებთან ერთად აიპარა ხომალდებზე და
ზღვაში შეცურა, ხოლო ფინგოლფინი არამანში დატოვა. ვინაიდან იმ
ადგილას ზღვა საკმაოდ ვიწრო იყო, უდანაკარგოდ გადაცურა სრუტე და
ნოლდორთაგან პირველმა კვლავ შუახმელეთის ნაპირზე დადგა ფეხი.
დრენგისტის უბეში ჩამოსხდნენ ფეანორი და მისი მიმდევარნი.

ხოლო როცა ხმელეთზე გადასხდნენ, უფროსმა ვაჟმა მადროსმა,
ოდესღაც მეგობარმა ფინგონისა, ვიდრე მორგოთის სიცრუეები ძმათა
შორის პულსს ჩამოაგდებდა, ჰკითხა ფეანორს: «რომელ ხომალდთ და
მენიჩბეთ გაუშვებ უკან და, უწინარეს ყოვლისა, ვის გადმოყვანას უბრძა-
ნებ აქეთ? გულადი ფინგონის?»

მაშინ შეშლილივით გადაიხარხარა ფეანორმა და შეჰყვირა: «არც
ერთ ხომალდს არ დავთმობ და არავის გადმოვიყვან! ის, რაც გაღმა ნა-
პირზე დავტოვე, ზარალად არ მიმაჩნია, მგზავრობისას გამოჩნდა, რომ

უსარგებლო ტვირთია. დაე, ვინც მწყევლიდა, მწყევლიდეს კვლავაც, და წუწუნით დაუბრუნდნენ ვალართ გალიას. დაწვით ხომალდნი!»

მხოლოდ მაედროსი გადაგა განზე, ფეანორმა ტელერთა თეთრ ხომალდებს ცეცხლი წაუკიდა. ასე იმსხვერპლა თვალისმომჭრელმა და საზარელმა ხანძარმა ლოსგარში, დრენგისტის უბის შესასვლელთან ჩინებული ხომალდნი, რომელთა მსგავსთ ზღვა ადარასოდეს გადაუცურავთ. ფინგოლფინმა და მისმა ხალხმა შორიდან დაინახეს დრუბელთა ქვეშ წითელი ნათება და მიხვდნენ, რომ უღალატეს. ეს იყო პირველი ნაყოფი ძმათაკვლისა და ნოლდორთა სასჯელისა.

იხილა ფინგოლფინმა, რომ არამანში დასაღუპად ან ვალინორში შერცხვენილად დასაბრუნებლად გაწირა ფეანორმა და ძლიერ განრისხდა. თუმცა, ახლა უფრო მეტად მოუნდა შუახმელეთში დაბრუნება და ფეანორთან კვლავ შეხვედრა. დიდხანს დაეხეტებოდნენ ის და მისი ხალხი, მრავალი განსაცდელი გამოიარეს, მაგრამ გასაჭირმა კიდევ უფრო გააძლიერა ისინი; უფროსი და უკვდავი შვილნი იყვნენ ისინი ერთი ილუვატარისა, ახალგამოსულნი კურთხეული სამეფოდან, ჯერ არ დაქანცულიყვნენ დედამიწის დამქანცველობით. ჯერაც მწველი ცეცხლი გიზგიზებდა მათ გულებში და ფინგოლფინისა და მისი ვაჟების, ფინროდისა და გალადრიელის წინამძღოლობით სუსხიან ჩრდილოეთს არ შეუშინდნენ და სხვა გზა რომ ვეღარ იპოვეს, ჰელკარაქსეს ყინულის მთები გადაიარეს. ამ მძიმე და ხიფათიანი მსვლელობის დარი ნოლდორებს შემდგომში ცოტა რამ თუ ჩაუდენიათ. სხვა მრავალთან ერთად ტურგონის ცოლი ელენუეც დაიღუპა ყინულზე სვლისას. ბოლოს და ბოლოს, ძლიერ შემცირებული ლაშქრით დადგა ფენი ფინგოლფინმა გარე მიწებზე. მცირე სიყვარული ჰქონდათ ფეანორისა და მის ვაჟთა მიმართ დაგვიანებულ ნოლდორთ, რომელნიც საყვირების გუგუნით შეეგებნენ მთვარის პირველ ამოსვლას შუახმელეთის ცაზე.

თავი მეთე. ამბავი სინდართა

როგორც ითქვა, შუახმელეთში ელუესა და მელიანის ძალაუფლება გაიზარდა და ყოველი ელფი ბელერიანდისა, დაწყებული კირდანის ზღვაოსნებითა და დამთავრებული მდინარე გელიონის გადღმა ლურჯ მთებში მოხეტიალე მონადირეებით, ელუეს თავის მბრძანებლად მიიჩნევდა. ქვეშევრდომნი ელუ თინგოლს უწოდებდნენ მას, «რუხმოსასხამიან მეფეს». ხოლო მისი ქვეშევრდომი ელფები იწოდებოდნენ სინდარებად, ვარსკვლავთუქმოფენილი ბელერიანდის რუხ ელფებად. აგრეთვე მორიქუნებად იხმობდნენ მათ; თინგოლის წინამძღოლობით, მელიანის დამოძღვრილნი შუახმელეთის ყველაზე განსწავლულ, ბრძენ და მშვენიერ ელფებად იქცნენ. მელკორის ტყვეობის პირველი საუკუნის მიწურულს, როცა დედამიწაზე მშვიდობას დაესადგურებინა და ვალინორის დიდების შუადღე იდგა, ქვეყნიერებას მოევლინა ლუთიენი, ერთადერთი შვილი თინგოლისა და მელიანის. შუახმელეთი ჯერ არ გამოფხიზლებულიყო იავანას მოგვრილი ძილიდან, მაგრამ ბელერიანდში მელიანის ძალის წყალობით, სიცოცხლე და სიხარული სუფევდა, ვერცხლისფრად ციმციმებდნენ მის ცაზე ვარსკვლავნი; იშვა ლუთიენი ტყეში ნელდორეთის და, ვითარცა ვარსკვლავნი, ნიფრედილის თეთრი ყვავილნი აღმოცენდნენ მიწიდან მასთან შესაგებებლად.

მელკორის ტყვეობის მეორე საუკუნეში ერედ ლუინის ლურჯი მთებიდან ბელერიანდში ჯუჯები მოვიდნენ. კჰაზადებს უწოდებდნენ საკუთარ თავს, ხოლო სინდარები – ნაუგრიმებს, ტანმორჩილ ხალხს და გონჭირიმებს, ქვის ოსტატებს. შორეულ აღმოსავლეთში იყო ნაუგრიმთა უძველესი სამოსახლო, მაგრამ ერედ ლუინის აღმოსავლეთ კალთებზე დიდი დარბაზები და სასახლეები გამოეკვეთათ, ვითარც მოდგმას მათსას სჩვეოდა. კჰაზადთა ენაზე იმ ქალაქებს გაბილგატჰოლი და ტუმუნზაჰარი ერქვა. მთა დოლმედის მწვერვალის ჩრდილოეთით მდებარებოდა გაბილგატჰოლი, რომელიც ელფებმა თავიანთ ენაზე გადათარგმნეს, როგორც ბელეგოსტი, ანუ ვეება სიმაგრე; ხოლო სამხრეთით მდებარე-

ობდა ტუმუნზაჰარი, რომელსაც ელფნი ნოგროდს, ანუ კვეთილ საცხოვრისს უწოდებდნენ. ჯუჯათა უდიდესი დასახლება იყო კჰაზად-დუმი, ჯუჯათქვაბული, ელფურად ჰადოდრონდი, რომელსაც შემდეგ მორია უწოდეს. თუმცა, ის შორეულ ნისლიან მთებში ვრცელი ერიადორის აღმოსავლეთ საზღვართან მდებარეობდა, და ელდართ მასზე მხოლოდ გაკვრით სმენოდათ ლურჯ მთებში მობინადრე ჯუჯათაგან.

ნოგორდიდან და ბელეგოსტიდან მოვიდნენ ნაუგრიმნი ბელურიანდში; ძლიერ გააკვირვა ელფნი ჯუჯათა დანახვამ, რამეთუ ეგონათ, მუახმელეთში მათ გარდა არავინ მეტყველებდა ან შრომობდა ხელებით და სხვა სულიერნი ოდენ ნადირ-ფრინველნი იყვნენ. თუმცა, ნაუგრიმთა ენა უცხო იყო მათთვის, უხეშად და უსიამოვნოდ ჟღერდა მათი მეტყველება; ელდართაგან ცოტა თუ დაუფლებია ნაუგრიმთა ენას. ხოლო ჯუჯანი სწრაფად და უფრო მონდომებით სწავლობდნენ ელფთა ენას, თავისას კი უცხოტომელებს იშვიათად ასწავლიდნენ. ელდართაგან ცოტა თუ ყოფილა ნოგროდში და ბელეგოსტში, გარდა ეოლ ნანემლოთელისა და მისი ვაჟი მაეგლინისა. ხოლო ჯუჯანი ხშირად სტუმრობდნენ ბელურიანდს. მთა

დოლმედის განშტოებების ქვეშ გაიყვანეს ფართო შარაგზა, რომელიც მდინარე ასკარს გასწვრივ მიუყვებოდა და მდინარე გელიონს სარნათრადთან, ქვების ფონთან კვეთდა. იმ ადგილას შემდგომში დიდი ბრძოლა გაიმართა. არასოდეს ყოფილან ნაუგრიმნი და ელდარნი გულითადი მეგობარნი, მაგრამ მათი ურთიერთობა ორივე მოდგმისთვის სარფიანი იყო. იმხანად ჯერ არ გადამტერებოდნენ ისინი ერთმანეთს და მეფე თინგოლიც თბილად ეგებებოდა ნაუგრიმთ. შემდგომში ჯუჯები კაცთა ან ელფთა სხვა ტომებზე მეტად ნოლდორთ უმეგობრდებოდნენ, რამეთუ ისინიც მათებრ ეთაყვანებოდნენ და ჰყვარობდნენ აულეს, ხოლო ნოლდორთა პატიოსან თვლებს ყოველგვარ სიმდიდრეზე ძვირად აფასებდნენ. არდის სიბნელეში დაიწყეს ჯუჯათ საოცარ ნივთთა ქმნა, რამეთუ ჰირველ მამათაგან გამოჰყოლოდათ ქვისა და ლითონის

დამუშავების ნიჭი; ოღონდ იმ უხსოვარ დროს ოქროსა და ვერცხლზე მეტად სპილენძი და რკინა უყვარდათ.

ვითარც მაიას შემვენის, შორსმჭვრეტელი იყო მელიანი; და როცა მიიწურა მეორე საუკუნე მელკორის ტყვეობისა, უთხრა თინგოლს, არდაში სიმშვიდე სამუდამოდ არ გაგრძელდებაო. ყურად იღო თინგოლმა რჩევა ცოლისა და გადაწყვიტა თავისთვის აეგო მეფური სამყოფელი და სიმაგრე, რათა თუ შუახმელეთში ავი გაიღვიძებდა, თავი დაეცვა. ბელეგოსტელ ჯუჯებს მიმართა დახმარების თხოვნით და ისინიც ხალისით დაპყაბულდნენ, რამეთუ დაუთალავნი იყვნენ იმხანად და შრომა არ ეზარებოდათ. ჯუჯანი უფასოდ არასოდეს მუშაობდნენ, სასიამოვნო თუ უსიამოვნო შრომის სანაცვლოდ მუდამ გასამრჯელოს ითხოვდნენ, მაგრამ ამჯერად ისინი მართლაც უხვად დააჯილდოვეს. მელიანმა მათ ბევრი რამ შეასწავლა, ხოლო თინგოლმა მშვენიერი მარგალიტები უბოძა. ეს მარგალიტები თინგოლს კირდანმა მისცა, ბალარის კუნძულის გარშემო თავთხელ წყლებში მრავლად მოიპოვებოდა. თუმცა, ნაუგრიმთ მათი მსგავსი არასოდეს ენახათ და ძალიან მოსწონდათ. ერთი მარგალიტი მტრედის კვერცხისოდენა იყო და ვარსკვლავის შუქით განათებული ზღვის ქაფივით ბზინავდა. ნიმფელოსი ერქვა იმ მარგალიტს და ბელეგოსტის ჯუჯათა ბელადისთვის ოქროს მთაზე უძვირფასესი იყო.

ამგვარად, დიდხანს და ხალისით იშრომეს ნაუგრიმთ თინგოლისთვის, ჯუჯათა ქალაქების მსგავსად მიწის ქვეშ აუგეს მას ღრმა სასახლე. იქ, სადაც ესგალდუინი ჩამოედინებოდა და ნელდორეთს რეგიონისგან განაცალკევებდა, ტყის შუაგულში კლდოვანი ბორცვი აღმართულიყო. ბორცვის ძირას მდინარე მიედინებოდა. სწორედ იქ გაჭრეს თინგოლის სასახლის კარიბჭე, ხოლო მდინარეზე ქვის ხიდი გადადეს. ოდენ იმ ხილით მიისვლებოდა კარიბჭემდე. კარიბჭე შედიოდა ქვაში გამოკვეთილი ჭერმაღალი პალატებისა და დარბაზებისკენ მიმავალ ფართო დერეფნებში. ვრცელი და მრავალდარბაზიანი იყო სასახლე თინგოლისა და ამის გამო ეწოდა მენეგროთი, ათასი გამოქვაბული.

ჯუჯებს შენებაში ელფებიც ეხმარებოდნენ და ერთად შეასხეს ხორცი მელიანის ნააზრევს, ზღვის გადაღმა მდებარე ვალინორის საოცარ და ლამაზ ხატებას. სვეტები მენეგროთისა გამოეჭრათ მსგავსად ორომეს წიფლებისა, მათ ღეროებს, ტოტებსა და ფოთლებს ოქროსფერი ლამპრები ანათებდა. იადონები გალობდნენ იქ, ვითარცა ლორიენის წალკოტში; ვერცხლისფერი შადრევნები, მარმარილოს აუზები და ფერადი ქვებით მოპირკეთებული იატაკი ამშვენებდა დარბაზებს. ნადირფრინველი ამოეჭრათ

კედლებზე, შემოხვეოდნენ სვეტებს და ყვავილებში გადახლართული ტოტებიდან იყურებოდნენ. დროთა განმავლობაში მელიანმა და მისმა მოახლეებმა დარბაზებში მრავალი ფარდაგი და გობელენი დაკიდეს. მათზე გამოსახული იყო ვალართა საგმირო საქმეები, მრავალი სხვა რამ, რაც დასაბამიდან მომხდარიყო არდაში და მოვლენები, რომელთა ჯერიც არ დამდგარიყო. ზღვის აღმოსავლეთით არც ერთ მეფეს არ ჰქონია ასეთი დიდებული სასახლე.

დასრულდა მენეგროთის შენება. თინგოლისა და მელიანის სამეფოში კვლავაც მშვიდობა სუფევდა. ლურჯ მთებში მცხოვრები ნაუგრიმები ხანდახან სტუმრობდნენ ამ მხარეს, ოღონდ ფალასში იშვიათად მიდიოდნენ, რამეთუ სძულდათ ხმაური ზღვისა და ეშინოდათ მისთვის თვალის შევლების. გარე სამყაროდან არანაირი ცნობები და ხმები არ აღწევდა ბელერიანდში.

მელკორის ტყვეობის მესამე საუკუნე იწურებოდა, როცა ჯუჯები შემფოთდნენ და მეფე თინგოლს შესჩივლეს, ვალართ ჩრდილოეთის ბოროტებანი ბოლომდე არ ამოუძირკვავთ, მათი ნარჩენები წყვდიადში გამრავლდნენ და ახლა კვლავ სათარეშოდ გამოვიდნენო.

«მთის აღმოსავლეთით სასტიკი მხეცები დაძრწიან», – ამბობდნენ ნაუგრიმნი, – «იქ მცხოვრები თქვენი ძველი ნათესავნი დაბლობებიდან მთებში გარბიან».

მალე ავი ქმნილებები ბელერიანდშიც შეიჭრნენ. ნაწილი მთებზე გადმოვიდა, ნაწილმა სამხრეთის უღრანი ტყეებიდან შემოაღწია. მათ

შორის მრავლად იყვნენ მგელნი, ან მგლის სხეულის მქონე წყვილიდის არსებანი; აგრეთვე ორკნიც, რომელთაც შემდგომში ბელერიანდი სრულებით ააოხრეს და გაატიალეს. თუმცა, იმხანად მცირე იყო რიცხვი ამ ავაზაკთა, მხოლოდ მიდამოებს რომ ზვერავედნენ და ბატონის დაბრუნებას ელოდნენ. საიდან მოვიდნენ ან ვინ იყვნენ ისინი, ელფთ არ უწყოდნენ, გაავებული და გაველურებული ავარნი ეგონათ.

თინგოლს თავისი ხალხის დასაცავად საბრძოლო იარაღი დასჭირდა. თავდაპირველად ნაუგრიმნი უჭედნენ საჭურველს. ნოგროდელები გამორჩეული მჭედლები იყვნენ. მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულს ტელხარი ერქვა. მებრძოლი ხალხი იყო ძველთაგანვე ნაუგრიმნი და წყენას არავის მოუთმენდნენ, სასტიკად გაუსწორებოდნენ მელკორის მსახურთ, ელდართ, ავართ, ველურ მხეცთა და თვით უცხოტომელ ჯუჯათ. მათგან სინდარნიც დაეუფლნენ სამჭედლო ხელოვნებას, მაგრამ რკინის გამოწრთობაში ჯუჯებს თვით ნოლდორნიც კი ვერ სჯობნიდნენ. ჯაჭვის პერანგი პირველად ბელეგოსტელმა მჭედლებმა მოქსოვეს და მათი ჯაჭვის პერანგების სადარი ქვეყნად არ მოიძებნებოდა.

შეიარაღდნენ სინდარნი და განდევნეს ავი ქმნილებანი ბელერიანდიდან; კვლავ მშვიდობამ დაისადგურა. თუმცა, ახლა თინგოლის ზარდახანები სავსე იყო ნაჯახებით, ხმლებით, შუბებით, მუზარადებით, ელვარე გრძელი ჯაჭვის პერანგებით (ჯუჯათა მოქსოვილი პერანგები არ ჟანგდებოდა, პირიქით, ახალგაპრიალებულივით უფრო ბზინავდა), რაც მას მომავალში ძალიან გამოადგა.

როგორც უკვე ითქვა, ლენუე ოლუეს ხალხთაგანი გამოეყო ელდართა მსვლელობას, როცა ტელერნი შუახმელეთის დასავლეთი მიწების მიჯნაზე დიდი მდინარის ნაპირებთან შეეკვდნენ. ლენუე თავის მიმდევრებითურთ ანდუნის დაუყვა, ცოტაა ცნობილი ნანდორთა მოგზაურობის შესახებ. როგორც ამბობენ, ზოგი დიდი მდინარის ხეობის ჭალებში დიდხანს ცხოვრობდა, ზოგი მდინარეს ზღვამდე დაუყვა და სანაპიროზე დასახლდა, ხოლო სხვებმა ერედ ნიმრაისზე, თეთრ მთებზე გადაიარეს და კვლავ ჩრდილოეთში დაბრუნდნენ, ერედ ლუნისა და ნის-

ლიან მთებს შორის უკაცრიელ ერიადორში შევიდნენ. ტყის ხალხნი იყვნენ ნანდორნი, რკინის საბრძოლო იარაღებს არ ფლობდნენ და, ვით ნაუგრიმთ აუწყეს მენეგროთში მეფე თინგოლს, ჩრდილოეთის სასტიკი მხეცების გამოჩენამ ისინი ძლიერ შეაძრწუნა. დენეთორის, ლენუეს ძის ყურამდე მიაღწია ხმებმა თინგოლის სიღიადისა და მისი უსაფრთხო სამეფოს შესახებ. მან შეკრიბა თავისი დაფანტული ხალხი და მთებს გადაღმა ბელერიანდში გაუძღვა მათ. გულთბილად მიიღო ისინი თინგოლმა, ვითარცა დიდი ხნის წინ დაკარგული და დაბრუნებული ნათესავნი. ოსირიანდში, შვიდი მდინარის მხარეში დასახლდნენ ნანდორნი.

დენეთორის მოსვლის შემდგომ მშვიდობიან წლებზე ბევრი ცნობები არ მოიპოვება. როგორც ამბობენ, სწორედ იმხანად თინგოლის სამეფოს მთავარმა მემატიანემ დაერონ მენესტრელმა რუნები გამოიგონა, ხოლო თინგოლის სტუმარმა ნაუგრიმებმა სინდართაგან გადაიღეს დამწერლობა და უფრო განავითარეს. ნაუგრიმებმა კირთი მთათა აღმოსავლეთით მრავალ ერსა და ხალხში გაავრცელეს. თავად სინდარნი დამწერლობას იშვიათად იყენებდნენ და მრავალი რამ, რაც ოდენ მესხიერებაში ინახებოდა, დორიათის აოხრებისას განადგურდა. თუმცა, ნეტარებასა და ბედნიერ ცხოვრებას მაშინ უფრო იხსენებენ, როცა მათ ბოლო მოეღება. რამეთუ ნივთნი საოცარნი და მშვენიერნი თავად მეტყველებენ თავიანთ დიდებაზე, სანამ მათთვის თვალის შევლება შეიძლება.

იმ დროს ბელერიანდში ელფები დააბიჯებდნენ, მდინარეები მოსჩქეფდა, ვარსკვლავები კიაფობდა და ღამის ყვავილები საამურ სურნელს აფრქვევდა. მელიანის სილამაზე შუადღესავით მშვენიერი იყო, ხოლო ლუთიენისა – გაზაფხულის განთიადივით წარმტაცი. ბელერიანდში მეფე თინგოლი იჯდა ტახტზე, ვითარცა მაიართა მთავარი, მშვიდად განაგებდა სამეფოს და მისი სიხარულით გაჟღენთილიყო ჰაერი, რომლითაც მისი ხალხი ყოველდღე სუნთქავდა, და ფიქრნი მისნი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ ცის სიმაღლეებიდან დედამიწის სიღრმეებამდე. ხანდახან ბელერიანდში ორომე დიადი დაჯირითობდა, ქა-

რივით გადაუქროლებდა მთებს, ხოლო მისი ბუკის გუგუნი ვარსკვლავთა შუქით განათებული ვრცელი სივრცეებიდან ეშვებოდა; ელფებს აფრთხოვდა მისი კუმტი, გორგოზი სახე და ნაპარის ფლოქვთა თქარუნი, მაგრამ, როცა მთებში ვალარომას ექოს გაიგონებდნენ, ელფნი ხვდებოდნენ, რომ ავსულნი უკანმოუხედავად გარბოდნენ.

ამასობაში მიიწურა ნეტარი ყოფა და ვალინორის დიდების მწუხრი მოახლოვდა, რამეთუ, როგორც ნათქვამია და იცის ყოველმან მათიანეუბიდან თუ სიმღერებიდან, მელკორმა უნგოლიანტის შემწეობით

შემუსრა ვალართა ხენი, გაიქცა და შუახმელეთს შეაფარა თავი. შორეულ ჩრდილოეთში გაიმართა მელკორისა და უნგოლიანტის ორთაბრძოლა, მაგრამ მორგოთის კივილის ექო ბელერიანდსაც მისწვდა და იქ მცხოვრებნი შიშით მოიბუზნენ; ჯერ არ იცოდნენ, რას მოასწავებდა ეს კივილი, მაგრამ სიკვდილის მაუწყებლად მიიჩნიეს. მალე ჩრდილოეთიდან გამოქცეული უნგოლიანტი მეფე თინგოლის სამეფოში მოვიდა და თან შემადრწუნებელი წყვილიაი მოიყოლა. თუმცა, მელიანის ძალამ შეაჩერა იგი და ნელდორეთში ფეხის შედგმა ვერ გაბედა, დიდხანს იმალებოდა ღორთონიონის სამხრეთ საზღვარზე აღმართულ ციცაბო კლდეთა ჩრდილში. იმ მთაგრეხილს ერედ გორგოროთი, შემზარავი მთები უწოდეს და იქ მოგზაურობას ან მათთან მიახლოებას ვერავინ ბედავდა. იქ სიცოცხლე და სინათლე ჩამკვდარი, ყოველი მდინარე თუ წყარო კი მოწამლული იყო. ხოლო მორგოთი, როგორც აღინიშნა, ანგბანდში დაბრუნდა და სიმაგრე ხელახლა ააშენა. მისი კარიბჭის თავზე აღმართა თანგოროდრიმის მხრჩოლავი კოშკები. მორგოთის სიმაგრის კარიბჭიდან მენეგროთის ხილამდე ოდენ ას ორმოცდაათი ეჯი იღო სავალი: მანძილი გრძელი იყო, მაგრამ იმავდროულად მეტისმეტად მოკლევ.

მიწისქვეშა წყვილიადაში გამრავლებული ორკნი დღითი დღე უფრო ძლიერნი და საზარელნი ხდებოდნენ, ხოლო ბნელი მეუფე ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტის სურვილით ადავსებდა მათ. მორგოთის წარმოქმნილ ღრუბელთა ქვეშ გამოვიდა მათი მრავალრიცხოვანი ლაშქარი ანგბანდიდან და უჩუმრად შეიპარა ჩრდილოეთის მალლობებში. იქიდან უეც-

რად შეიჭრნენ ბელერიანდში და მეფე თინგოლს თავს დაესხნენ. თინგოლის ვრცელ სამეფოში ელფნი გაფანტულად, მცირე ტომებად და გვარებად სახლობდნენ ტყე-ველად, მხოლოდ სამეფოს შუაგულში, მენეგროთის გარშემო და ფალასში, ზღვაოსანთა მხარეში ცხოვრობდნენ მრავლად. ორკნი ორი მხრიდან შემოურტყნენ მენეგროთს, აღმოსავლეთით კელიონსა და გელიონს შორის დასცეს ბანაკი, ხოლო დასავლეთით – სირიონსა და ნაროგს შორის, ვაკეზე. ამ ბანაკებიდან შეესივნენ ბელერიანდს და ნგრევასა და ძარცვა-გლეჯას შეუდგნენ. ელგარესტში კირდანისკენ მიმავალი გზა მოუჭრეს თინგოლს. ამიტომაც მან დახმარება დენეთორს სთხოვა. რეგიონიდან და ოსირიანდიდან მოვიდნენ ელფნი მრავალნი და გაჩაღდა პირველი ბრძოლა ბელერიანდის ომთაგან. ორკთა აღმოსავლეთის ლაშქარს ელდართა ჯარებმა ანდრამის ჩრდილოეთით, აროსსა და გელიონს შუა ორივე მხრიდან შეუტიეს და დაამარცხეს. ჩრდილოეთში გაქცეულ ორკებს მთა დოლმედიდან გამოსულმა ნაჯახიანმა ნაუგრიმებმა მოუჭრეს გზა; დევნილთაგან მხოლოდ მცირედი დაბრუნდა ანგბანდში.

თუმცა, გამარჯვება ელფებს ძვირად დაუჯდათ. რადგან ოსირიანდელნი მსუბუქად იყვნენ აღჭურვილნი და რკინისაბჯრიან და რკინისფარიან, ფართოპირიანი გრძელი შუბებით შეიარაღებულ ორკებთან ვერას გახდნენ. დენეთორს ამონ ერების ბორცვზე შემოარტყეს ალყა. ვიდრე თინგოლის მეომარნი მიეშველებოდნენ, ის და მისი ნათესავნი იქვე დაეცნენ. სასტიკად იძია შური თინგოლმა მისი სიკვდილის გამო, ორკებს ზურგიდან დაესხა თავს და უმოწყალოდ აჩეხა. დენეთორის ხალხმა გამოიგლოვა მეფე და ახალი ადარ აურჩევია. ბრძოლის შემდეგ მათი ნაწილი ოსირიანდში დაბრუნდა და მათმა ნაამბობმა თავზარი დასცა იქ მცხოვრებ მათ თანამოძმეთ. მას აქეთ, აღარასოდეს გამოსულან ისინი საომრად, ტყის სიღრმეებში ცხოვრობდნენ მალულად. ლაიქუნდნი უწოდეს მათ, მწვანე ელფნი, ფოთლისფერი სამოსის გამო. მრავალი მათგანი ჩრდილოეთში წავიდა, თინგოლის დაცულ სამეფოში დასახლდა და მის ხალხში აითქვიფა.

როცა თინგოლი მენეგროთში დაბრუნდა, შეიტყო, რომ ორკთა დასავლეთის ლაშქარს გაემარჯვა და კირდანი ზღვის ნაპირისკენ გაედევნათ. დაგზავნა მალემსროლნი თინგოლმა და ვისაც კი ხმა მიაწვდინა, ყველა თანამოძმე ნელდორეთისა და რეგიონის უღრან ტყეებში გახიზნა, ხოლო მელიანმა თავისი ძალის გამოყენებით ჩრდილთა უხილავი და ჯადოსნური ღობე შემოარტყა თინგოლის სამფლობელოს. მელიანისა და მეფე თინგოლის ნებართვის გარეშე ვერავინ გადალახავდა იმ ზღუდეს, თუკი თავად მაია მელიანზე ძლევამოსილი არ იყო. ზღუდის შიგნით მოქცეულ ქვეყანას, რომელსაც დიდხანს ეგლადორს უწოდებდნენ, დაერქვა დორიათი, დაცული სამეფო, სარტყელშემოვლებული ქვეყანა. დორიათში სიმშვიდე სუფევდა, ხოლო მის ფარგლებს გარეთ მორგოთის მსახურები დათარეშობდნენ და ყველგან საფრთხე იყო ჩასაფრებული, გარდა ფალასის გალავნიანი ნავსადგურებისა.

ახლოვდებოდა ჟამი, როცა ისეთი რამ მოხდებოდა, რაც შუახმელეთში არავის განეჭვრიტა, არც მორგოთს თავის ჯურღმულებში და არც მელიანს მენეგროთში. რამეთუ ხეთა სიკვდილიდან მოყოლებული, ამანიდან ახალი ცნობები აღარ მოდიოდა არც მაცნეთა და სულთა მეშვეობით და არც სიზმრად მოვლენილი ხილვების. სწორედ ამ დროს გადმოცურა ზღვა ტელერთა თეთრი ხომალდებით ფეანორმა, დრენგისტის უბეში გადაჯდა და ლოსგარში ხომალდები დაწვა.

თავი მეთერთმეტე. ამბავი მზისა და მთვარისა და ვალინორის დამალვისა

როგორც ამბობენ, მელკორის გაქცევის შემდეგ ვალარნი ბედისწერის რკალში დიდხანს ისხდნენ ტახტებზე გაუნძრევლად. თუმცა, ისინი უქმობას არ აპირებდნენ, რაშიც ფიცხმა ფეანორმა დაუფიქრებლად დასდო მათ ბრალი. ვალარნი გონებით უფრო მეტს იქმიან, ვიდრე ხელებით, უტყვად ეთათბირებიან ერთმანეთს. ფხიზლობდნენ ისინი ვალინორის ღამეში და მათი ფიქრები გასცდა ეას საზღვრებს და მისწვდა დასასრულს; ვერც სიძლიერემ და ვერც სიბრძნემ ვერ მოჰგვარა მათ შვება, რამეთუ უსაზღვრო იყო ის სიავე, რაც მათ თავს დაატყდა. ხეთა სიკვდილზე მეტად ფეანორის გარყვნას განიცდიდნენ, მელკორის სიავეთაგან უდიდესს. რამეთუ ილუვატარის ყოველ შვილთაგან ფეანორი გამორჩეოდა აღნაგობით, გონებით, გამბედაობით, გამძლეობით, სილამაზით, ცოდნით, ოსტატობით, ღონითა და გამჭრიახობით; კამკაშა ალი გიზგიზებდა მასში. მელკორის სიცრუენი რომ არა, მრავალ სიკეთეს მოუტანდა ფეანორი არდას, მრავალ საოცარ ნივთს შექმნიდა მისდა საღიდებლად – და ამას მანუე სხვებზე უკეთ ხვდებოდა. ვანიარნი, რომელნიც ვალარებთან ერთად ფხიზლობდნენ, ამბობენ, როცა მაცნეთ მანუეს ფეანორის პასუხი აუწყეს, მანუემ თავი დახარა და ატირდაო. ხოლო ფეანორის უკანასკნელ სიტყვებზე, ნოლდორთა საქმენი საგმირონი სიმღერებში იქნება უკვდავყოფილიო, მანუეს თავი აუწევია, თითქოს შორიდან ვიდაცის ძახილი მოესმაო და უთქვამს: «დე, იყოს ასე! ძვირად დაგიჯდებათ ეგ სიმღერები, მაგრამ საქმენი თქვენნი კეთილდღეობის მომტანი იქნება, რამეთუ ესე არს ფასი. და შესრულდება აღთქმა ერუსგან დადებული, გაჩნდება ეასა შინა მშვენიერება განუჭვრეტელი, ხოლო ბოროტისაგან კეთილი იშვება».

ხოლო მანდოსმა თქვა: «თუმცა, ბოროტი ბოროტად დარჩება. მალე ფეანორი ჩემთან მოვა».

რა შეიტყვეს ვალართ, რომ ნოლდორთ დაუტევეს ამანი და დაბრუნდნენ შუახმელეთს, აღდგნენ და მელკორის ჩადენილ სიავეთა აღმოფხვრას შეუდგნენ. მანუემ იავანასა და ნიენას ზრდისა და კურნების ძალის გამოყენება სთხოვა; ხეთა გაცოცხლება მოინდომეს მათ, მაგრამ ნიენას ცრემლებმაც კი ვერ შეახორცა ხეთა სასიკვდილო იარები; ხოლო იავანა დიდხანს უულად მღეროდა ღამის სიბნელეში. დაბოლოს, როცა სასოწარკვეთილი იავანა სიმღერის შეწყვეტას აპირებდა, ტელპერიონის უსიცოცხლო ტოტმა ვერცხლისფერი დიდი ყვავილი გამოიღო, ხოლო ლაურელინმა – ერთადერთი ნაყოფი ოქროსი.

მოწყვიტა იავანამ ყვავილი და ნაყოფი ხეთა; ხოლო ხეები გახმა. მათი უსიცოცხლო ღეროები კვლავაც დგას ვალინორში, გარდასულ დღეთა ნეტარების სახსოვრად. ხოლო ყვავილი და ნაყოფი იავანამ მისცა აულეს და აკურთხა ისინი მანუემ; აულემ და მისმა ხალხმა შექმნა ჭურჭელი მათი და მათი ნათების შესანახად: ამას გვიყვება ნარსილიონი, «სიმღერა მზისა და მთვარისა». ეს ჭურჭელნი ვალარებმა გადასცეს ვარდას, რათა ზეცის ლამპრებად ექცია მას; და ვინაიდან უფრო ახლოს იყვნენ არდასთან, ვარსკვლავებზე უფრო მეტად კამკაშებდნენ ისინი. ილმენის ქვედა მხარეების გადავლის ძალა მიანიჭა მათ ვარდამ და დედამიწის სარტყელს ზემოთ განუსაზღვრა გზა სავალი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და პირიქით.

ამგვარად, ბინდში დარჩენილმა ვალარებმა წყვდიადით მოცული არდის მიწათა განათება განიზრახეს, რათა მელკორის ბნელ საქმეთათვის ხელი შეეშალათ. გაახსენდათ ავარნი, რომელნიც კუივიენენის პირას დარჩნენ, სადაც გაიღვიძეს; და არც გადასახლებულ ნოლდორთა დავიწყებას აპირებდნენ ისინი. გარდა ამისა, მანუემ უწყოდა, რომ კაცთა მოსვლის ჟამი ახლოვდებოდა. და ამბობენ, რომ თუმც ქუენდთა გამო ვალარებმა მელკორს ბრძოლა გაუმართეს, ახლა თავს იკავებდნენ ჰილდორთა, მომღვენოთა, ილუვატარის უმცროს შვილთა გამო. უტუმნოს წინააღმდეგ ომში იმდენი ზიანი მიადგა შუახმელეთს, რომ შიშობდნენ ვალარნი, ახლა უარესად გავერანდებო, ხოლო ჰილდორნი მოკვდავნი

და ქუენდთა უსუსტესნი უნდა ყოფილიყვნენ და ვერ გაუძლებდნენ ესეოდენ შიშსა და მღელვარებას. გარდა ამისა, დაფარული იყო მანუეს-თვის, სად გაიდვიძებდნენ კაცნი – ჩრდილოეთით, სამხრეთით თუ აღ-მოსავლეთით. სწორედ ამიტომ შუქი მოჰფინეს არდას ვალარებმა, ხოლო ბრძოლის ნაცვლად თავისი სამოსახლო გაამაგრეს.

მბრწყინავ ისილს უწოდებდნენ ძველთაგან ვანიარნი მთვარეს, ყვა-ვილს ვალინორში მდგარი ტელპერიონისა; ხოლო ოქროსფრად მოელ-ვარე ანარს, ლაურელინის ნაყოფს – მზეს. ხოლო ნოლდორებმა შეარ-ქვეს რანა, თავნება და ვასა, გული ცეცხლისა, რომელიც აღვიძებს და ნთქავს; რამეთუ მზე იყო ნიშანი კაცთა გაღვიძებისა და ელფთა დასუს-ტებისა, მთვარე კი გულში ატარებს მათ ხსოვნას.

მხევალს, რომელიც ვალარებმა მაიართა შორის გამოარჩიეს შვის ჭურჭლის მეგზურად, ერქვა არიენი, ხოლო მას, ვინც მთვარის კუნძულს დაატარებდა, ერქვა ტილიონი. ხეთა ჟამს არიენი ვანას წალკოტში ოქ-როს ყვავილებს უვლიდა და ლაურელინის ბზინვარე ცვრით რწყავდა მათ; ხოლო ტილიონი ორომეს მონადირეთა რაზმში ირიცხებოდა და ვერცხლის მშვილდი ჰქონდა. ვერცხლი უყვარდა ტილიონს, ორომეს ტყეებიდან დასასვენებლად ლორიენში მიდიოდა და ტელპერიონის მოციმციმე შუქზე ესტეს წყაროებთან წამოწვებოდა ხოლმე დასაძინებ-ლად. მან თავად ითხოვა, სამუდამოდ ვერცხლისფერი ყვავილის მოვ-ლის ნება დამრთეთო. არიენი მასზე ძლიერი იყო და იმიტომ აარჩიეს, რომ ლაურელინის მხურვალეობა არ აფრთხოებდა და არც წვავდა, რამე-თუ დასაბამიდან ცეცხლის სული იყო, მაგრამ მელკორმა ვერც ნებითა და ვერც მოტყუებით ვერ მიიმხრო. ისე კამკამებდა არიენის თვალები, თვით ელდარნიც ვერ უსწორებდნენ მზერას. როცა ვალინორიდან სამუ-დამოდ წავიდა, მოიცილა სხეული და სამოსი, რომელთაც ვალართა და-რად ატარებდა კურთხეულ სამეფოში და მიიღო იერი შიშველი ცეც-ხლის, საზარელის თავისი ბრწყინვალეებით.

პირველად ისილი გაამზადეს და ავიდა ვარსკვლავთა საუფლოში, სწორედ ის იყო უფროსი ახალ შუქთაგან, ვითარც ტელპერიონი იყო

უფროსი ხეთა შორის. მთვარის შუქი მოეფინა ქვეყნიერებას და შეირხა და გაიღვიძა მრავალმა არსებამ, რომელსაც დიდხანს ეძინა იავანას მოგვრილი ძილით და იცდიდა. მორგოთის მსახურნი შეცბნენ, ხოლო გარე მიწებზე მცხოვრებმა ელფებმა სიხარულით აიხედეს ზევით. და სწორედ მაშინ, როცა დასავლეთით წყვდიადის თავზე მთვარე ამოვიდა, ფინგოლფინმა ვერცხლის საყვირებს ჩაჰბერა და შუახმელეთში დაიძრა მისი ლაშქარი. ძირს მისი ხალხის შავი და გრძელი ლანდები ეფინა.

შვიდგზის გადაიარა ტილიონმა ზეცა და აღმოსავლეთში იმყოფებოდა, როცა, როგორც იქნა, არიენის ჭურჭელიც გაამზადეს. ამოვიდა დიდებული ანარი და პირველმა განთიადმა თითქოს ცეცხლი წაუკიდა პელორის მწვერვალებს. განათდა შუახმელეთის ღრუბლები და გაისმა ხმაური მრავალ ჩანჩქერთა. მაშინ კი ქემმარიტად შემფოთდა მეღკორი და ანგბანდის უკიდურეს სიდრმეებში დაეშვა. უკუაქცია მსახურნი და დღის ვარსკვლავის შუქისაგან დასამალად მყრალი ოხშივრისა და შავი ღრუბლის საბურველში გახვია თავისი სამფლობელო.

ვარდას მიზანი იყო ორივე მნათობს ილმენში, არდის თავზე ემოგზაურა, ოღონდ არა – ერთად. თითოეული ვალინორიდან აღმოსავლეთში გაემგზავრებოდა და უკან დაბრუნდებოდა, მაგრამ როცა ერთი დასავლეთიდან გავიდოდა, მეორე აღმოსავლეთიდან დაიძვრებოდა ვალინორისკენ. ასე დაიწყო ახალ დღეთა აღრიცხვა მსგავსად ხეთა ჟამისა, როცა დედამიწის შუაგულში არიენისა და ტილიონის გზები პირველად გადაიკვეთა და მათი შუქი ერთმანეთს შეერწყა. თუმცა, თავნება და ზოზინა იყო ტილიონი, დაწესებულ გზას არ მიჰყვებოდა; არიენის ბრწყინვალეობა იზიდავდა და მუდამ მასთან მიახლოებას ცდილობდა; ხოლო ცეცხლი ანარისა წვავდა მას და კუნძული მთვარისა გაშავდა.

ტილიონის თავნებობისა და კიდევ იმის გამო, რომ ლორიენმა და ესტემ შესჩივლეს, დედამიწიდან ძილი და დასვენება განიდევნა და ვარსკვლავები აღარ ჩანსო, შეცვალა ვარდამ თავისი პირვანდელი განზრახვა და დაუშვა არსებობა ისეთი დროისა, როცა ქვეყნიერებას ჩრდილი ეფინებოდა და დედამიწაზე ნახევრად ბნელი ისადგურებდა. ანარი მცი-

რე ხნით ვალინორში ისვენებდა, გარეთა ზღვის ცივ მკერდზე იწვა; და საღამო, დრო მზის ჩასვლისა და დასვენებისა, უდიდესი სინათლისა და სიხარულის ჟამად იქცა ამანში. თუმცა, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. დაევაღათ ულმოს მსახურთ ჩაეძირათ მზე, მსწრაფლ გაეტარებინათ უხილავად მიწის ქვეშ და კვლავ აღმოსავლეთში აეშვათ იგი, რათა დამე მეტისმეტად გრძელი არ ყოფილიყო და მთვარის შუქზე ავი ქმნილებანი არ გამოსულიყვნენ სათარეშოდ. თუმცა, ანარი გარეთა ზღვის წყლებს ახურებდა და აბრჭყვიალებდა და არიენის წასვლის შემდეგ ვალინორში კიდევ ცოტა ხანს იყო ნათელი. ხოლო როცა ანარი მიწის ქვეშ მოგზაურობდა და აღმოსავლეთისკენ მიიწევდა, ნათელი ფერმკრთალდებოდა და ვალინორში ბნელი ისადგურებდა. ამ დროს ვალარნი მკვდარი ლაურელინის გლოვას იწყებდნენ. განთიადზე კურთხეულ სამეფოს გალავნად შემოვლებული მთების ჩრდილები მძიმედ აწვა ამანის მხარეს.

ვარდამ მთვარესაც ამ გზით მგზავრობა უბრძანა, მიწის ქვეშ გაიარე და აღმოსავლეთში ამოდი, ოღონდ მაშინ, როცა მზე ზეციდან დაეშვებაო. თუმცა, ტილიონი აუჩქარებლად მოგზაურობდა (ახლაც ასე დადის), რამეთუ არიენი იზიდავდა და მუდამ მიიზიდავს; ამიტომაცაა, რომ ცაში ხშირად ჩანს ორივე ერთდროულად; ხოლო ხანდახან ისე ახლოს მიდის ტილიონი არიენტან, რომ მისი ჩრდილი არიენის ბრწყინვალეობას ნახევრად აბნელებს და დღისით დედამიწა წყვდიადში ეხვევა.

ქვეყნიერების გარდაქმნამდე ვალარნი ანარის წასვლითა და უკან დაბრუნებით აღრიცხავდნენ დღეებს. რამეთუ ტილიონი ვალინორში იშვიათად ისვენებდა, სწრაფად გადაუვლიდა დასავლეთის მიწებს,

ავათარს, არამანს ან ვალინორს და გარეთა ზღვის მიღმა უფსკრულში ეშვებოდა და არდის საძირკვლებთან მღვიმეებსა და გამოქვაბულებს შორის უულად მიიკვლევდა გზას. ხშირად დახეტილებდა მიწის ქვეშ და ზემოთ დაგვიანებით ამოდიოდა.

თუმცა, ხანგრძლივი ღამის შემდეგ ვალინორში შუქი უფრო ბრწყინვალე და მშვენიერი იყო, ვიდრე შუახმელეთში; რამეთუ მზე იქ ისვენებდა და ზეცის ნათელი დედამიწის იმ არეში უფრო ახლოს იყო. და მაინც,

ვერც მზისა და ვერც მთვარის შუქი ვერ შეედრებოდა გარდასულ დღეთა ნათელს, რომელსაც ასხივებდა ვალინორის ხეები, ვიდრე უნგოლიანტის შხამი გაახმოებდა მათ. ის სინათლე ახლა ოდენ სიღმარაღებში ცოცხლობს.

მორგოთს შესძულდა ახალი სანათები და ვალართა მოულოდნელმა დარტყმამ კარგა ხნით შეაცბუნა. შემდეგ ტილიონს თავს დაესხა, წყვილადის სულები მიუსია მას. ვარსკვლავთა ბილიკების ქვეშ, მალა, ილმენში, ბრძოლა გაიმართა და ტილიონმა იმარჯვა. ხოლო არიენს მორგოთი ძლიერ უფრთხოდა და ახლოსაც ვერ ეკარებოდა, რამეთუ საკმარისი ძალა აღარ ჰქონდა. რაც უფრო ბოროტდებოდა იგი და მის ცრუ განზრახვათაგან შობილი ავი არსებებით ამძიმებდა ქვეყნიერებას, მით უფრო სუსტდებოდა; რამეთუ ძალას თავისას ავ ქმნილებებს უნაწილებდა. თავად კი უფრო და უფრო ეჯაჭვებოდა მიწას და ბნელი სიმაგრიდან იშვიათად გამოდიოდა. არიენს ის და მისი მსახურნი სიბნელეში ემალებოდნენ, რამეთუ ვერ უძლებდნენ მის კამკაშა მზერას. მორგოთის სამფლობელო ოხშივარსა და სქელ ღრუბლებს დაებურა.

ტილიონზე თავდასხმამ შეამფოთა ვალარნი, ვაითუ მორგოთმა ბოროტებითა და ცბიერებით მაინც დაგვჯაბნოსო. და მართალია, შუახმელეთში მის წინააღმდეგ ომის გაჩაღება არ სურდათ, აღმარენის განადგურება კარგად ახსოვდათ და ეშინოდათ, ვალინორსაც მსგავსი ბედი არ სწეოდა. და ამიტომ ხელახლა გაამაგრეს თავიანთი სამეფო; უფრო გაამაღლეს პელორის მთათა გალავანი და მიუდგომლად ციცაბოდ აქციეს მისი კალთები ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით. შავი და სიბი იყო მთათა ზღვისკენ მიქცეული კალთები, ფეხის მოსაკიდებელი შვერილი არ იყო არსად, ხოლო უმაღლეს, კოშკისებრ მწვერვალებს თეთრი ყინულის გვირგვინი ედგა თავზე. ფხიზლად დარაჯობდნენ მთებს და ოდენ ერთი კალაკირიას ხეობა გადიოდა მათ შორის. ეს ხსნილი გზა ვალარებმა ერთგულ ელდარებს დაუტოვეს, რამეთუ მწვანე ბორცვის თხემზე მდებარე ტირიონში დარჩენილ ნოლდორებს ფინარფინი განაგებდა; თანაც, ელფთა ყოველ მოდგმას, თვით ვანიართ და ინ-

გუეს, მათ მეფეს, ხანდახან მშობლიური მიწებიდან მონაბერი ქარისტვის სახის შეშვერა და გარე ჰაერის ჩასუნთქვა სწადია. და არც ვალართ სურთ თანამოძმეთ განაშორონ ტელერნი. თუმცა, კალაკირიას ხეობაში საგუშაგო კოშკები აღმართეს, ხოლო მის თავთან, ვალმარის დაბლობზე მრავალრიცხოვანი ლაშქარი დააბანაკეს. ვერც ფრინველი, ვერც ნადირი, ვერც ელფი თუ კაცი, ან შუანმელეთის რომელიმე არსება, ამ ზღუდეს უნებართვოდ ვერ გაივლის.

იმავე ჟამს (რომელსაც სიმღერებში ნურტალე ვალინორევას, ვალინორის დამალვის ჟამს უწოდებენ) მოჯადოებული კუნძულები დაამწკრივეს ზღვაში და წყლები მათ გარშემო გრძნებითა და ჩრდილებით

გაივსო. კუნძულები ბადესავით განალაგეს ჩრდილიან ზღვებში ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და მხოლოდ მათი გავლის შემდეგ მიადწევდა დასავლეთისკენ მცურავი ტოლ ერესეას, მარტოსულ კუნძულს. თუმცა, ვერც ერთი ხომალდი ვერ გაივლიდა კუნძულთა ჯაჭვს, რამეთუ სახიფათო სრუტეებში ტალღები ნისლში გახვეულ შავ კლდეებს ხმაურით ეხეთქებოდა. ბინდში ზღვაოსნებს დაღლილობა და ზღვის სიძულვილი ერეოდათ; ხოლო ვინც იმ კუნძულებზე ოდესმე ფეხი დაადგა, გამოემწყვდია იქ და ეძინა ქვეყნიერების გარდაქმნამდე. აღსრულდა მანდოსის არამანში წარმოთქმული წინასწარმეტყველება, კურთხეული სამეფოს კარი დაიხშო ნოლდორთათვის. შემდგომში მრავალი მაცნე და ელჩი გაგზავნეს მათ დასავლეთში, მაგრამ მხოლოდ ერთმა მიაღწია ვალინორს: ამ ძღვევამოსილ ზღვაოსანზე უძველესი სიმღერები გვიამბობენ.

თავი მეთორმეტე. ამბავი კაცთა

მთათა გალავნით დაცული ვალარნი სიმშვიდეში ცხოვრობდნენ და, მას შემდეგ, რაც შუახმელეთს სინათლე მოჰფინეს, მცირე ხნით შეწყვიტეს მასზე ზრუნვა. ოდენ გულადი ნოლდორნი არ ეპუებოდნენ მორგოთის მმართველობას. გადასახლებულ ელდარებს არ ივიწყებდა მხოლოდ ულმო, რომელიც დედამიწის წყლებში აგროვებს ახალ ცნობებს.

მას აქეთ მზის წლებით მიმდინარეობს ჟამთააღრიცხვა. ხეთა წლებზე სწრაფად გადიოდა და უფრო ხანმოკლე იყო წლები მზისა. იმხანად შუახმელეთის ჰაერი დაამძიმა სურნელებამ ზრდისა და სიკვდილისა, ხოლო გარდაქმნა და დაბერება ყოველი ქმნილებისა ფრიად აჩქარდა; არდის მეორე გაზაფხულზე ხმელეთსა თუ წყალში სიცოცხლე უხვობდა, ელდარნი გამრავლდნენ და ახალი მზის ქვეშ ბელერიანდი გამწვანდა და დამშვენდა.

მზის პირველი ამოსვლისას ილუვატარის უმცროს შვილებს გაედვიდათ შუახმელეთის აღმოსავლეთში, ჰილდორიენის მხარეში. პირველი მზე დასავლეთიდან ამოვიდა და, ვინაიდან სწორედ იქით მიაპყრეს კაცთ მზერა, მუდამ დასავლეთით მიილტვოდნენ ქვეყნიერების ზურგზე ხეტიალისას. ატანნი, მეორენი უწოდეს მათ ელდართ; ჰილდორებს, მომდევნოებსაც, უწოდებდნენ და სხვა მრავალ სახელსაც: აპანონარებს, ანუ ნაბოლარებს, ენგუარებს, ანუ ჯანსუსტებს და ფირიმარებს, ანუ მოკვდავებს; კიდევ: უზურპატორებს, უცხოებს, იღუმალებს, თავდაწყევლილებს, ღამის მოშიშრებსა და მზის შვილებს. კაცთა შესახებ მცირედია მოთხრობილი ამ ამბებში, რომელნიც აღგვიწერენ მოვლენებს აღრინდელ დღეთა, ვიდრე ელფთა ბრწყინვალეობა მიილეოდა, ხოლო მოკვდავთა – გაიზრდებოდა. ოდენ ატანატართა, კაცთა მამათა ამბებს შეიტყობთ, რომელნიც მზისა და მთვარის პირველ წლებში ჩრდილოეთში დაეხეტებოდნენ. ჰილდორიენს არც ერთი ვალა არ სტუმრებია, რათა დაემოდვრა კაცთა მოდგმა ან ვალინორისკენ გასდლოლოდა მათ; ხოლო კაცნი ნაცვლად სიყვარულისა, უფროთხოდნენ ვალართ და არ ესმო-

დათ მიზნები დიად ძალთა, რომელთაგან დიდად განსხვავდებოდნენ; და მტრობდნენ კაცნი მთელ ქვეყნიერებას. მიუხედავად ამისა, ულმო ზრუნავდა მათზე და მანუეს რჩევებსა და ნებას აცნობდა კაცთ; ულმოს ცნობები მდინარეებსა და ნაკადულებს მიჰქონდა მათთან. თუმცა, კაცნი მსგავს რამეებში ვერ ერკვეოდნენ, მით უმეტეს, მანამ, სანამ ელფთა მოდგმას დაუმეგობრდებოდნენ. ამგვარად, წყალთ კი ჰყვარობდნენ კაცნი და მათი ხშიანობა გულს უჩქროლებდათ, მაგრამ წყალთაგან მოტანილ ცნობების შინაარსს ვერა ხვდებოდნენ. როგორც ამბობენ, ძალიან მალე მრავალგან შეხვდნენ ისინი ბნელ ელფებს და დაიამხანაგეს ელფებმა კაცნი; თანამგზავრებად და შეგირდებად იქცნენ ისინი ელფთა იმ უძველესი მოდგმისა, რომელსაც ვალინორში არასოდეს დაედგა ფეხი და ვალართა შესახებ ოდენ გაკვრით სმენოდათ.

მაშინ მორგოთი ახალი დაბრუნებული იყო შუახმელეთში და მისი გავლენა შორს არ სწვდებოდა; გარდა ამისა, ბნელი მეუფე კაშკაშა სინათლის უეცარ გამოჩენას შეეფერხებინა. მთასა და ბარში ხიფათი მცირე იყო

და, ბოლოს და ბოლოს, აღმოცენდა და იყვავილა დიდი ხნის წინ იავანას გონებაში გაჩენილმა და მის მიერ სიბნელეში დათესილმა მცენარეებმა. შორს გაიფანტნენ კაცნი, დასავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში დაეხეტებოდნენ. ხარობდნენ ისე, ვითარცა ხარობენ ადრიანი დილით, სანამ ცვარი გაშრება და ყოველი ფოთოლი მწვანედ ხასხასებს.

თუმცა, ხანმოკლეა განთიადი და დღე ხშირად არაა ისეთი, როგორსაც ელოდი. ახლოვდებოდა ჟამი ჩრდილოეთის ძალთა დიდი ომების, როცა ნოლდორნი, სინდარნი და კაცნი მორგოთ ბაუგლირის ლაშქარს შეებრძოდნენ და სასტიკად დამარცხდნენ. აქამდე მიიყვანა საქმე მორგოთის ვერაგობამ და ტყუილებმა, რომელსაც ძველთაგან თესავდა თავის მტერთა შორის, და წყევლამ უწიათ ნოლდორთ ალქუალონდში ძმათაკვლისთვის და ფეანორის ფიცისთვის. მხოლოდ მცირედია აქ მოთხრობილი იმდროინდელ საქმეთა შესახებ, მათ შორის, უფრო მეტი ნოლდორთა, სილმარილთა და მათ ბედისწერასთან გადახლართულ

მოკვდავთა შესახებ. იმხანად ელფნი და კაცნი ძალითა და აღნაგობით ერთმანეთს ჰგავდნენ, ოღონდ ელფნი უფრო მშვენიერნი, გონიერნი და განსწავლულნი იყვნენ. ხოლო ის ელფნი, რომელნიც ვალინორში იყვნენ ნამყოფნი და დიადი ძალები ენახათ, ისევე აღემატებოდნენ ბნელ ელფთ ამ ყოველივეში, ვითარც ეს უკანასკნელნი აღემატებოდნენ მოკვდავთა მოდგმას. მხოლოდ სინდარნი დორიათისა, რომლის დედოფალი მელიანი ვალართა მონათესავე იყო, თუ იყვნენ თანასწორნი კურთხეული სამეფოს კალაქუნდთა.

უკვდავნი იყვნენ ელფნი და საუკუნეთა განმავლობაში მატულობდა მათი სიბრძნე. ვერანაირი ავადმყოფობა და სნეულება ვერ კლავდა მათ. თუმცა, მიწიერ ნივთიერებათაგან შედგებოდა მათი სხეული და მათი განადგურება შეიძლებოდა. იმ უხსოვარ ჟამს ტანად კაცთ ჰგავდნენ ელფნი, რამეთუ ახლად დანთებული იყო მათ სულებში მხურვალე ცეცხლი, რომელმაც დროთა განმავლობაში შიგნიდან გამოხრა ისინი. ხოლო კაცნი უფრო სუსტნი იყვნენ, იოლად იხოცებოდნენ იარაღითა და უბედობით და რთულად იკურნებოდნენ და იშუშებდნენ იარებს. ავადმყოფობდნენ და სენს ემონებოდნენ, ბერდებოდნენ და იხოცებოდნენ. ელფთ არ უწყიან, სად მიდიან კაცთა სულები. ზოგი ამბობს, რომ მანდოსის დარბაზებში მიემართებიან, მაგრამ ელფთაგან განცალკევებით იცდიან, გარდა მანუესი, ილუვატარისგან ოდენ მანდოსს ეუწყა, სად წავლენ ისინი მოგონებების ჟამის განსრულების შემდეგ გარე ზღვის პირას მდგარი მდუმარე დარბაზებიდან. მკვდართა სამყოფლიდან არავინ დაბრუნებულა, გარდა ბერენისა, ძისა ბარაჰირისა, რომლის ხელიც სილმარილს შეეხო; თუმცა, უკან დაბრუნებულ ბერენს კაცთა მოდგმასთან აღარასოდეს ულაპარაკია. სიკვდილის შემდგომ კაცთა ბედი, ალბათ, ვალართა ხელში არ არის და არც ყოველივე გაცხადებულა აინურთა მუსიკაში.

შემდგომ დღეებში, როცა მორგოთის გამარჯვების გამო, მტრისდა გასახარად, ელფნი და კაცნი ჩამოშორდნენ ერთმანეთს, შუახმელეთში მცხოვრებ ელფთა ტომები დასუსტდნენ და შემცირდნენ, მზის შუქს კაცნი დაეპატრონნენ. ხოლო ქუენდნი უკაცრიელ მიწებსა და კუნძულებზე

დასახლდნენ და მთვარისა და ვარსკვლავთ შუქს შესტრფოდნენ. ტყეებსა და მღიმეებში ცხოვრობდნენ ისინი და თანდათან ლანდებად და მოგონებებად იქცნენ, გარდა იმათი, ვინც დასავლეთში გაემგზავრა და შუახმელეთი

დატოვა. თუმცა, დღეთა გარიჟრაჟზე ელფნი და კაცნი მოკავშირენი იყვნენ და ერთმანეთთან მეგობრობდნენ; იყვნენ კაცთა შორის ისეთნიც, ვინც ელდართა ცოდნას დაუფლა და ნოლდორთა დიდებულ და მამაც მეთაურებად იქცნენ. ელფთა სილამაზისა და სიდიადის და მათი ხვედრის თანაზიარნი იყვნენ შთამომავალნი ელფთა და კაცთა ეარენდილი, ელუინგი და მათი შვილი ელრონდი.

თავი მეცამეტე. ამბავი ნოლდორთა დაბრუნებისა

როგორც ითქვა, გადასახლებულთაგან შუახმელეთში სხვებზე უწინ ფეანორი და მისი ვაჟები მივიდნენ და ლამოთის, დიდი ექოს, უდაბნოში, ღრენგისტის უბის შესასვლელთან გადასხდნენ. და როცა ფენი დადგეს ნოლდორთა მიწაზე, მათი შეძახილები მთებში ექოდ გავრცელდა, გამრავლდა და ურიცხვ ხმათა ყვირილი მოედო ჩრდილოეთის ნაპირებს. ხოლო ხომალდთა დაწვის მრისხანე გნიასი ზღვის ქარებმა შორს წარიტაცეს და ყველა, ვისაც კი ის საზარელი ხმა ესმა, შიშით აცახცახდა.

ხომალდებს წაკიდებული ცეცხლი არა მხოლოდ ფეანორის მიერ არამანში მიტოვებულმა ფინგოლფინმა შეამჩნია, არამედ ორკებმა და მორგოთის სხვა მსტოვრებმა. არავინ უწყის, რა გაიფიქრა მორგოთმა, როცა შეიტყო, რომ ფეანორი, მისი დაუძინარი მტერი, დასავლეთიდან ლაშქარს მოუძღოდა. შესაძლოა, თავიდან დიდად არ დამფრთხალა, რამეთუ ნოლდორთა ხმლების ძალა და სიბასრე ჯერ არ გამოეცადა; თუმცა, მალე გაირკვა, რომ ის ნოლდორთა ზღვაში გადაყრას გეგმავდა.

ცივ ვარსკვლავთა ქვეშ მთვარის ამოსვლამდე აუყვა ფეანორის ლაშქარი ღრენგისტის გრძელ უბეს, რომელიც ერედ ლომინის ექოიან გორებში იჭრებოდა და ამგვარად, ზღვის ნაპირებიდან ჰითლუმის ვრცელ მხარეში გადავიდა. დაბოლოს, მითრიმის გრძელ ტბას მიადგნენ და ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე დაბანაკდნენ; ამ ადგილსაც, მსგავსად ტბისა მითრიმი ერქვა. თუმცა, ლაშქარმა მორგოთისა, რომელიც ლამოთის ხმაურმა და ლოსგარის ხანძრის კაშკაშა აღმა შეაშფოთა, ერედ უეთრინის, წყვილიადის მთების უღელტეხილებზე გადმოიარა და უეცრად თავს დაესხა ფეანორს, სანამ ის თავის ბანაკის გამაგრებას მოასწრებდა. სწორედ იქ მითრიმის რუხ მინდვრებზე გაიმართა ბელერიანდის ომების მეორე ბრძოლა. დაგორ-ნუინ-გილიათი, ბრძოლა ვარსკვლავთა ქვეშ ასე ჰქვია მას; რამეთუ მთვარე მაშინ ჯერ არ ამოსულიყო. ამ ბრძოლაზე მრავალი სიმღერა შეუთხზავთ. მრავალრიცხოვანი მტრის უეცარმა იე-

რიშმა არ დააბნია ნოლდორნი და იმარჯვეს მათ, რამეთუ ამანის ნათელი ჯერ არ ჩამქრალიყო მათ თვალებში, სწრაფნი და ღონიერნი იყვნენ, სასტიკნი მრისხანებისას, ხოლო ხელთ გრძელი და საზარელი ხმლები ეპყრათ. უკუაქციეს ორკნი, მითრიმიდან გარეკეს და წყვდიადის მთებს გადადმა დაედევნენ, ღორთონიონის ჩრდილოეთით არდ-გალენის ვრცელ ვაკეზე უმოწყალოდ გაჟლიტეს ისინი. ორკთა დასახმარებლად გამოეშურა ლაშქარი მორგოთისა, რომელსაც ფალასის ნავსაყუდლებზე კირდანი მოექცია ალყაში; თუმცა, მაშველ ლაშქარს კელეგორმი, ფეანორის ძე ჩაუსაფრდა და ეითელ სირიონთან მაღლობებიდან შეუტია. მაშველებმა სასტიკი მარცხი იწვნის, ისინი სერეხის ჭაობებში ჩარეკეს. ავი ცნობები მიიტანეს ანგბანდში და საგონებელში ჩავარდა მორგოთი. ათი დღე გაგრძელდა ბრძოლა და ბელერიანდის დასაპყრობად გამზადებული მისი ჯარიდან მხოლოდ ერთი მუჭა მეომარი დაბრუნდა.

თუმცა, მალე მისთვის სასიხარულო რამ მოხდა, ოღონდ თავად მორგოთმა ჯერ არ უწყოდა. მტრის თავდასხმით განრისხებულმა ფეანორმა შეყოვნება არ მოინდომა და ორკთა ლაშქრის ნარჩენებს გამოუდგა იმ იმედით, რომ ისინი მორგოთთან მიიყვანდნენ. როცა ხმლის ვადას ჩავლო ხელი, სიხარულით

გადაიხარხარა მან, ვალართა რისხვასა და რთულ გზას გადავურჩი და ახლა ჩემი შურისგების ჟამი დგებაო. არაფერი უწყოდა ფეანორმა ანგბანდზე და მის მრავალრიცხოვან დამცველებზე, რომელნიც მორგოთმა მსწრაფლ შეკრიბა; თუნდაც რამე სცოდნოდა, ფეანორი მაინც არ გაჩერდებოდა, რამეთუ საკუთარი მრისხანების ცეცხლს შთაენთქა იგი და გონება დაბინდვოდა.

მოხდა ისე, რომ მეტისმეტად წინ გაიჭრა ფეანორი და ჩამოიტოვა თავისი ლაშქარი. მაშინ მოუტრიალდნენ მორგოთის მსახურნი და ბრძოლა გაუმართეს, მათ დასახმარებლად ანგბანდიდან ბალროგნი გამოვიდნენ. ღორ დაედულოთის, მორგოთის სამფლობელოს საზღვარზე გარს შემოერთყნენ ფეანორს და მის რამდენიმე მეგობარს. დიდხანს და მამაცურად იბრძოდა იგი, თუმც კი ცეცხლში იყო გახვეული და მრავალ-

გან დაჭრეს; ბოლოს ძირს დასცა გოთმოგმა, ბალროგთა მეუფემ, რომელიც შემდგომში ექთელიონმა განგმირა გონდოლინში. იქვე აღესრულებოდა ფეანორი, მაშველი ლაშქრით მის ვაჟებს რომ არ მოესწროთ; თავი ანებეს ბალროგებმა ფეანორს და ანგბანდში გაიქცნენ.

ხელში აიყვანეს შვილებმა დაჭრილი მამა და მითრიმისკენ დაიძრნენ. ეითელ სირიონის მისადგომებთან, როცა ზეკარით მთაზე გადადიოდნენ, ფეანორმა მათ გაჩერება სთხოვა. სასიკვდილოდ დაეჭრათ იგი და ხვდებოდა, რომ აღსასრულის ჟამი დამდგარიყო. ერედ უეთრინის კალთებიდან გადაიხედა ფეანორმა და მისი ბოლო მზერა მისწვდა თანგოროდრიმის მწვერვალებს, შუახმელეთის უმაღლეს კოშკებს; სიკვდილის პირას მყოფი დარწმუნდა, რომ ვერ შეძლებდნენ ნოლდორნი იმ კოშკთა დამხობას; სამგზის დაწყევლა მორგოთის სახელი და თავის ძეთ დააკისრა ფიცის აღსრულება და მამისთვის შურისძიება. შემდეგ კი გარდაიცვალა. არ დაუკრძალავთ იგი და არც აკლდამაში დაუსვენებიათ, რამეთუ ძლიერ მხურვალე იყო მისი სული და ცეცხლი წაეკიდა ცხედარს, ნაცარტუტად ქცეული კვამლად გაიფანტა ჰაერში. ფეანორის მსგავსი აღარ გაჩენილა არდამი, არც მის სულს დაუტოვებია მანდოსის დარბაზები. ასე აღესრულა ნოლდო ძლევაშოსილი. მისმა საქმეებმა გაუთქვა სახელი ნოლდორებს და, იმავდროულად, მძიმე განსაცდელში ჩაყარა ისინი.

მითრიმში რუხი ელფები სახლობდნენ; ბელერიანდული ტომი, რომელიც ჩრდილოეთში, მთებს იქით გადასულიყო. სიხარულით შეხვდნენ მათ ნოლდორნი, ვითარცა დიდი ხნის უნახავ ნათესავთ. თუმცა, თავიდან მათთან ლაპარაკი უჭირდათ, რამეთუ ხანგრძლივი განშორებისას სხვაგვარად ამეტყველებულიყვნენ ვალინორელი კალიქუენდნი და განსხვავდებოდა მათი ენა ბელერიანდელ მორიქუენდთა ენისგან. მითრიმის ელფებისგან შეიტყვეს ნოლდორებმა ელუ თინგოლის, დორიათის მეფისა და მის სამეფოს შემორტყმული ჯადონური ღობის შესახებ; ხოლო ცნობებმა ნოლდორთა და მორგოთის ბრძოლის შესახებ, მენეგროთამდე და ბრიტომბარისა და ეგლარესტის ნავსაყუდლებამდე

მიადწია. იმედითა და სიხარულით ადავსო ბელერიანდის ელფნი ძლე-
ვამოსილ თანამოძმეთა უეცარმა გამოჩენამ ზუსტად საჭიროების ჟამს;
თავდაპირველად, ისიც კი ეგონათ, უთუოდ ვალარებმა გამოგზავნეს
ჩვენს დასახსნელად.

ფეანორის სიკვდილის ჟამს მის ძეთ მორგოთის დესპანები ეახლნენ.
მორგოთი მარცხს აღიარებდა და ზავს სთავაზობდა მათ, ხოლო მშვი-
დობის ნიშნად ერთი სილმარილის დათმობაზეც თანახმა იყო. უფროს-
მა ძემ, მაედროს მაღალმა ძმები დაარწმუნა, მორგოთის ელჩობას დათ-
ქმულ ადგილას შევხვდეთ და მორგოთთან მოჩვენებითი ზავი დავდო-
თო. არ ენდობოდნენ ნოლდორნი მორგოთს და არც ის ენდობოდა მათ.
ამგვარად, ორივე მხარე შეხვედრის ადგილას დათქმულზე მრავალრიც-
ხოვანი რაზმით გამოცხადდა. მაგრამ მორგოთის წარგზავნილნი უფრო
მეტნი იყვნენ, მათ შორის ბალროგნიც. ჩაუსაფრდნენ მაედროსს და მი-
სი რაზმი გაჟლიტეს, ხოლო მაედროსი, მორგოთის ბრძანებით, ცოც-
ხლად შეიპყრეს და ანგბანდში მიჰგვარეს.

მაშინ უკან დაიხიეს მაედროსის ძმებმა, ჰითლუმში თავიანთი დიდი
ბანაკი გაამაგრეს; ხოლო მორგოთს მძევლად ჰყავდა მაედროსი და ხმა
გაავრცელა, არ გავათავისუფლებ, ვიდრე ნოლდორნი ომზე ხელს არ აი-
ღებენ და დასავლეთში დაბრუნდებიან ან ბელერიანდიდან შორს, ქვეყ-
ნიერების სამხრეთში არ გადაიხვეწებიანო. იცოდნენ ფეანორის ვაჟებმა,
რომ, რაც უნდა ექნათ, მორგოთი მაინც უღალატებდა მათ და მაედროსს
არ გაათავისუფლებდა; გარდა ამისა, ფიცი აბრკოლებდა მათ და ვერას-
დიდებით ვერ იტყოდნენ უარს დაუძინარი მტრის წინააღმდეგ ომზე. მა-
შინ მორგოთმა თანგოროდრიმის მწვერვალზე კლდეში ჩარჭობილ რკი-
ნის რგოლზე მარჯვენა ხელით მიაბა და უფსკრულის თავზე დაკიდა მა-
ედროსი.

ამასობაში ცნობა მოვიდა ჰითლუმის ბანაკში ფინგოლფინმა და მის-
მა მიმდევრებმა ღრჭიალა ყინულზე გადმოიარეს და შუახმელეთზე
დადგესო ფეხი. იმავდროულად მთელი ქვეყნიერება გაეკვირვებინა
მთვარის პირველ ამოსვლას. ხოლო როცა ფინგოლფინის ხალხმა მით-

ლუმს მიაღწია, დასავლეთიდან კაშკაშა მზე ამოიწვერა. ფინგოლფინმა ლურჯი და ვერცხლისფერი დროშები გაშალა და საყვირები დააგუგუნა, მის ფერხთით ყვავილები აღმოცენდა და ვარსკვლავთა ხანა დასრულდა. განათდა შუახმელეთი და მორგოთის მსახურთ ანგბანდში დაიხიეს. ფინგოლფინმა დაუბრკოლებლად გაიარა ღორ დაედულოთის საგუშაგო სიმაგრეები, ვიდრე მისი მტრები მიწის ქვეშ იმალებოდნენ და ელფნი ანგბანდის კარიბჭეს მიაღწენ. მათი საყვირების გუგუნმა შეარყია თანგოროდრიმი. მრავალტანჯულმა მაედროსმა გაიგონა ბუკთა ხმიანობა და ხმამაღლა შეჰყვირა, მაგრამ მისი ხმა კლდის ექოში ჩაიკარგა.

ფეანორივით ფიცხი როდი იყო ფინგოლფინი, მორგოთის ვერაგულ ხრიკებს უფრთხოდა, ღორ დაედულოთიდან უკან დაიხია და მითრიმისკენ გაუხვია, რამეთუ ხმები მისვლოდა, ფეანორის ძეთ იქ იპოვიითო. გარდა ამისა, წყვდიადის მთების კედელს მიღმა სურდა თავისი ხალხის დასვენება და გაძლიერება. რამეთუ საკუთარი თვალთ იხილა მან სიძლიერე ანგბანდისა და დარწმუნდა, ოდენ საყვირების გუგუნით ვერ დაანგრევდნენ მის კედლებს. დაბოლოს, მიაღწია ფინგოლფინმა და მისმა ხალხმა ჰითლუმს და მითრიმის ტბის ჩრდილოეთ ნაპირებთან დაბანაკდნენ. არ უყვარდათ ფინგოლფინის მიმდევრებს ფეანორის საგვარეულო, რამეთუ მათ გამო ფრიად ეწამნენ ყინულის უდაბნოზე გადმოსვლისას და ფინგოლფინი მამის თანამზრახველებად მიიჩნევდა მის ძეთ. მოქიშპე საგვარეულოთა და მათ მიმდევართა დაპირისპირების საფრთხე გაჩნდა; მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დაიღუპა

რთული გზით სვლისას, ფინგოლფინსა და ფინროდ ფინარფინის ძეს უფრო მეტი ხალხი ჰყავდა, ვიდრე ფეანორის ვაჟებს; ამის გამო უკან დაიხიეს ამ უკანასკნელებმა და სამხრეთ სანაპიროზე გადაიტანეს თავიანთი ბანაკი. ახლა მათ ბანაკებს ერთმანეთისგან ტბა ყოფდა. ფეანორის მიმდევართაგან მრავალი ნანობდა ლოსგარში ხომალდების დაწვას და აღფრთოვანებული იყო მამაცობით მიტოვებულ მეგობართა, რომელთაც ჩრდილოეთის ყინულზე გადმოიარეს; გულთბილად შეეგებებოდნენ მათ, მაგრამ ვერ გაბედეს, რამეთუ რცხვენოდათ.

ამგვარად, მათზე დადებული წყევლის გამო ნოლდორთ ვერაფერს მიაღწიეს, ხოლო მორგოთი იცდიდა; მის ორკებს სინათლის შიში განუ-ახლდათ და გაუძლიერდათ. გამოერკვა საგონებელს მიცემული მორგო-თი და რა იხილა თავის მტერთა დაქსასულობა, გადაიხარხარა. ანგბან-დის ჯურღმულებსა და უფსკრულებში მის მიერ წარმოქმნილი დიდი კვამლი და ოხშივარი რკინის მთების მწვერვალებიდან ამოიფრქვა. მითრინიდან შეამჩნიეს, როგორ დაისვარა მოწმენდილი ცა ქვეყნიერე-ბის პირველი დილებისა. აღმოსავლეთიდან ქარმა დაუბერა და თან წა-მოიღო შავი ლაქები. ჰითლუმის თავზე ახალი მზე დაბნელდა. მინ-დვრებსა და ხეებში ჩამოწვა და დაიხვა და მითრიმის წყლებს გადაეფა-რა მხუთავი კვამლი და ოხშივარი.

ფინგონ გულადმა, ფინგოლფინის ძემ, მოქიშპე ნოლდორთა შერი-გება და გაერთიანება მოინდომა, ვიდრე საერთო მტერი ომისთვის ემ-ზადებოდა; ჩრდილოეთში მიწას აზანზარებდა მორგოთის მიწისქვეშა სამჭედლოთა გრიალი. დიდი ხნის წინ, ვალინორის ნეტარების ჟამს, ვიდრე მელკორს განხსნიდნენ და მის სიცრუეთა გამო ერთმანეთს გადა-ემტერებოდნენ, ფინგონი მაედროსთან მეგობრობდა; და თუმც, არ უწყოდა ფინგონმა, რომ ხომალდთა დაწვამდე მაედროსმა არ დაივიწყა ის, ძველი მეგობრობის გახსენებაზე გული სტკიოდა. ამიტომაც ჩაიდინა საქმე გასაოცარი, რომელიც სამართლიანად მოიხსენიება უდიდეს გმი-რობად ნოლდო უფლისწულთა. ეულად და სხვათა დაუკითხავად გა-ემართა მაედროსის მოსაძებნად. მორგოთის წარმოქმნილი წყვდიადის წყალობით უჩინრად მიადგა მტრის სიმაგრეს. თანგოროდრიმის მალალ ქედებზე აცოცდა ის და სასოწარკვეთილმა გადახედა აოხრებულ მხა-რეს. ვერსად იპოვა გვირაბი ან ნაპრალი, რომლითაც მორგოთის ციხეში შეიპარებოდა. მაშინ მიუხედავად ორკთა, რომელნიც ჯერაც მიწის ქვეშ ბნელ გვირაბებში შიშით მობუზულიყვნენ, არფა ამოიღო და იმღერა სიმღერა ვალინორისა, რომელიც ნოლდორთ შეთხზეს, ვიდრე ფინუსს ძენი ერთმანეთს გადაემტერებოდნენ; გაჟღერდა მისი ხმა სევდიან გა-

მოქვაბულებში, რომელთაც ოდენ შიშისა და მწუხარების კვილი სმენოდათ.

ასე იპოვა ფინგონმა ის, რასაც ეძებდა. რამეთუ უეცრად მისი სიმღერა ვიღაცამ აიტაცა და ზემოდან სუსტი ხმით დაუძახეს. ეს მაედროსი მღეროდა ტკივილით შეპყრობილი. აძვრა ფინგონი იმ კლდის ძირამდე, რომელზეც მისი ნათესავი ეკიდა, მაგრამ ზემოთ ვეღარ ავიდა; მაშინ კი დაინახა მორგოთის სასტიკი ჩანაფიქრი და ატირდა. ხოლო დატანჯულმა და სასოწარკვეთილმა მაედროსმა სთხოვა ისარი ესროლა მისთვის. დაამაგრა ლარზე ისარი ფინგონმა და მოზიდა მშვილდი. და ვინაიდან გადაწუროდა ყოველგვარი იმედი, შესთხოვა მანუეს: «ოჰ, მეფეო, რომლისთვისაც ძვირფასი არს ყოველი ფრინველი, სწრაფად გააქანე ისარი ესე და მოიღე მოწყალება გაჭირვებულ ნოლდორთა ზედა!»

მისი ვედრება მსწრაფლ შეისმინეს. რამეთუ მანუეს, რომლისთვისაც ძვირფასია ყოველი ფრინველი და რომელთანაც ტანიქუეტილზე ფრინველთ შუახმელეთიდან ცნობები მიაქვთ, არწივთა მოდგმა გაეგზავნა ჩრდილოეთის კლდეებში დასასახლებლად, რათა ეთვალთვალათ მორგოთისთვის; რამეთუ მანუეს ეცოდებოდა გადასახლებული ელფები. და მიჰქონდათ არწივთ მრავალი სამწუხარო ცნობა მანუესთან. და როცა მოზიდა მშვილდი ფინგონმა, ციდან დაეშვა თორონდორი, მეფე არწივთა, ოდესმე ქვეყნად არსებულ ფრინველთაგან უღიადესი, რომლის გაშლილი ფრთების სიგრძე ორმოცდაათ ადლს აღწევდა. ისრის გასროლა არ დაანება თორონდორმა ფინგონს, ცაში აიტაცა იგი და აიყვანა კლდემდე, რომელზეც მაედროსი ეკიდა. თუმცა, ფინგონმა ვერ გატება ქვესკნელში ნაჭადი ბორკილი, ვერც გადაჭრა და ვერც კლდიდან გამოაძრო. ისევ შესთხოვა მაედროსმა, მომკალი და წამებისგან დამიხსენიო, ხოლო ფინგონმა მოჰკვეთა ხელის მტევანი, გაათავისუფლა იგი და თორონდორმა დააბრუნა ორივე მითრიმში.

გამოხდა ჟამი და შეუხორცდა იარა მაედროსს; რამეთუ სიცოცხლის ცეცხლი ძლიერად გიზგიზებდა მასში და უძველესი ხანის ძალ-ღონე ჰქონდა მას, ვითარცა აღზრდილს ბრწყინვალე ვალინორში. ნაგვემი

სხეული გაუმრთელდა და მოღონიერდა, მაგრამ წამების კვალი მის გულში დარჩა; მარჯვენა ხელი მოაჭრეს, მაგრამ მარცხენათი უფრო მძლავრად იქნევდა ხმალს. ამ გმირობით ფრიად განითქვა სახელი ფინგონმა, ყოველნი ნოლდორნი ხოტბას ასხამდნენ მას. განელდა შუღლი ფინგოლფინისა და ფეანორის საგვარეულოებს შორის. მადროსმა პატიება ითხოვა არამანში ნათესავთა მიტოვებისთვის და უარი თქვა მეფობაზე ნოლდორთა ზედა. და უთხრა მან ფინგოლფინს: «აღარ არს მტრობა ჩვენ შორის, მეუფევე ჩემო, და სამართლიანად გეკუთვნის მეფობა, ვინაითგან ახლა უფროსი ხარ ფინუეს გვარში და აღმატებული სიბრძნით». ძმანი მისნი მადროსს არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ ხმამაღლა არ დაუჩივლიათ.

ამგვარად, ახდა მანდოსის წინასწარმეტყველება და ფეანორის საგვარეულოს ეწოდა უმკვიდრონი, რამეთუ მმართველობის უფლება ელენდესა და ბელერიანდში მათგან, უფროსთაგან, ფინგოლფინის საგვარეულოს გადაეცა და კიდევ იმადაც, რომ სილმარილები დაკარგეს. ხოლო გაერთიანებულმა ნოლდორებმა დოლ დაედულოთის საზღვრებზე თვალთვალი დააწესეს და ანგბანდი ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან ალყაში მოაქციეს; შორს დაგზავნეს მზვერავნი ბელერიანდის მხარეთა გამოსაკვლევად და იქაურ მცხოვრებლებთან მოსალაპარაკებლად.

მეფე თინგოლს დიდად არ გახარებია დასავლეთიდან ამდენი დიდებული მთავრის მოსვლა, რამეთუ თავისი სამეფოს გაფართოება სწადდა მას. არც სამეფოს კარი გაუღია მათთვის და არც ჯადოსნური სარტყელი მოუსხნია, რამეთუ მელიანის სიბრძნით დაბრძენებულს მორგოთის უკან დახვევისა არა სჯეროდა. ნოლდორთა მთავართაგან ოდენ ფინარფინის საგვარეულოს რთავდა დორიათის საზღვრებზე გადაბიჯების ნებას. რამეთუ ახლო ნათესავნი იყვნენ ისინი თავად მეფე თინგოლისა, მათი დედა იყო ეარუენ ალქუალონდელი, ასული ოლუესი.

ანგროდი ძე ფინარფინისა იყო პირველი გადასახლებულთაგან, რომელიც მენეგროტს მივიდა და ძმისგან, ფინროდისგან წარგზავნილი ეახლა თინგოლს. დიდხანს ესაუბრა იგი მეფეს, უამბო ჩრდილოეთში

ნოლდორთა მიერ ქმნილ საქმეთა შესახებ და საბრძოლველად გამზადებულ მეომართა რაოდენობაც გაანდო. თუმცა ალაღმართალი და გონიერი იყო ანგროდი, ძმათაკვლაზე, ნოლდორთა გადმოსახლების მიზეზებსა და ფეანორის ფიცზე სიტყვა არ დასცდენია. მეფე თინგოლმა გულისყურით მოუსმინა ანგროდს და ვიდრე წავიდოდა იგი, ასე უთხრა: «ეს სიტყვები გადაეცი გამომგზავნელთა შენთა. ნებას ვრთავ ნოლდორთ ჰითლუმში, დორთონიონის მთიანეთსა და დორიათის აღმოსავლეთით მდებარე უკაცრიელ და უშენ მიწებზე ცხოვრების, ხოლო სხვაგან ქვეშევრდომნი ჩემნი სახლობენ და არა მსურს, მათი თავისუფლება შეიზღუდოს, მით უფრო, მშობლიური სახლებიდან ისინი ვინმემ განდევნოს. დასავლელ მთავართ სიფრთხილე მართებთ; ბელერიანდი ჩემი სამფლობელო არს და ყველა, ვისაც აქ დასახლება სწადია, სიტყვასა ჩემსა უნდა დაემორჩილოს. ხოლო დორიათში ვერვინ დარჩება, თვინიერ სტუმართა ჩემთა და გაჭირვებულთა, რომელთაც ჩემი შემწეობა სჭირდებათ».

ნოლდორთა მთავარნი ბჭობად დამსხდარიყვნენ მითრიმში. დორიათიდან იქ მივიდა ანგროდი და გადასცა მათ მეფე თინგოლის ნათქვამი. გაანაწყენა ფეანორის ძენი თინგოლის ცივმა დახვედრამ და სიტყვებმა, ხოლო მაედროსმა გაიცინა და თქვა: «მეფე არს იგი და უკეთუ არ დაიცავს საპყრობელს თავისას, ფუჭი ყოფილა წოდება მისი. ხოლო თინგოლმა გვიბოძა ქვეყანანი, სადაც არ ვრცელდება ძალაუფლება მისი. დასავლეთიდან ნოლდორნი რომ არ მოსულიყვნენ, ოდენ დორიათში იქნებოდა მისი სამეფო. დაე, იმეფოს იქ და იხაროს, რომ ფინუეს ძენი არიან მეზობელნი მისი მაგიერ ორკთა მორგოთისა, რომელთაც აქ გადავაწყდით. სხვაგან დავსახლდეთ, სადაც უკეთ მოგვეჩვენება».

ხოლო კარანთირმა, რომელსაც არ უყვარდა ვაჟნი ფინარფინისა და ძმათა შორის ყველაზე ფიცხი და სასტიკი იყო, ხმამაღლა შესძახა: «კმა-

რა! ნუღარ ირბენენ ფინარფინის ვაჟნი იმ ბნელ ელფთან გამოქვაბულებში! ან ვინ დანიშნა ისინი შუამდგომლად ჩვენსა და თინგოლს შორის? თუმცა, ბელერიანდს მოვიდნენ ისინი, ასე სწრაფად ნუ დაივიწყებენ, რომ მამა მათი მეუფე არს ნოლდორთა, თუნდაც ღედა ჰყავდეთ უცხოტომელი!»

განროსხდა ანგროდი და დატოვა საბჭო, ხოლო მაედროსმა დატუქსა კარანთირი; მრავალნი ნოლდორნი, ორივეს მომხრენი, ამ სიტყვების მოსმენაზე ფრიად შეწუხდნენ, რამეთუ იცოდნენ სიფიცზე ფეანორის ძეთა; მუდამ მზად იყვნენ სიტყვითა და საქმით ეძალადათ. მაგრამ მაედროსმა დააშოშმინა თავისი ძმები და დატოვეს მათ საბჭო. ხოლო მცირე ხანში მითრიმიდან აიყარნენ და აროსის აღმოსავლეთით, ჰიმრინგის ბორცვის მიმდებარე ვრცელ მიწაზე დასახლდნენ. იმ მხარეს მას აქეთ მაედროსის საზღვარს უწოდებდნენ; რამეთუ ჩრდილოეთით ანგბანდის იერიშისგან დასაცავი არც სხვა მთა იყო სადმე და არც – მდინარე. იქ დადგნენ დარაჯად მაედროსი და ძმანი მისნი, გარს ერთგული და უშიშარი მიმდევარნი შემოიკრიბეს და ოდენ საჭიროების ჟამს იჭერდნენ საქმეს თანამოძმეებთან. როგორც ამბობენ, მაედროსი განგებ მოიქცა ასე, რათა ძმათა შორის შუღლი აერიდებინა და კიდეც იმად, რომ მტრის იერიშს პირველი შეჰგებებოდა. თავად მაედროსი ფინგოლფინისა და ფინარფინის საგვარეულოებთან მეგობრობდა და, როცა ნოლდორთა მთავარნი ბჭობად სხდებოდნენ, მაედროსიც მათთან ერთად იჯდა ხოლმე. და მაინც, ისიც ფიცით იყო შეკრული, ოღონდ ჯერჯერობით არას იქმოდა.

ხოლო კარანთირის ხალხი უკიდურეს აღმოსავლეთით, გელიონის ზედა ნაპირებთან, მთა რერირის ქვეშ, ტბა ჰელევორნის ახლოს ცხოვრობდა. ერედ ლუინის მწვერვალებზე ავიდნენ ისინი და გაკვირვებით გადახედეს აღმოსავლეთს, რამეთუ ველური და უკიდუგანო მოეჩვენათ შუახმელეთის მიწები. ასე შეხვდა კარანთირის ხალხი ჯუჯებს, რომელთაც მორგოთის თავდასხმისა და ნოლდორთა მოსვლის შემდეგ ბელერიანდში მიმოსვლა შეეწყვიტათ. თუმცა, სწავლისა და ხელოსნობის

მოყვარული იყო ორივე მოდგმა, ელფნი და ჯუჯანი ვერ დამეგობრდნენ; რამეთუ იდუმალნი იყვნენ ჯუჯანი და იოლად ბრაზდებოდნენ, ხოლო კარანთირი ქედმაღალი იყო და ნაუგრიმთა მიმართ უპატივცემულობას არ მალავდა და ხალხიც თავის მეუფეს ჰბაძავდა. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ჯუჯებსა და ელფებს ერთნაირად სძულდათ და ეშინოდათ მორგოთის, კავშირი შეკრეს მათ და ამით ფრიადი სარგებელიც პოვეს. იმხანად ჯუჯები სამქედლო ხელობის მრავალ საიდუმლოს ჩასწვდნენ და ნოგროდელმა და ბელეგოსტელმა მჭედლებმა და კალატოზებმა ნაუგრიმთა შორის სახელი გაითქვეს. მალე ჯუჯებმა ბელერიანდში ვაჭრობა განაახლეს და, ვინაიდან იქამდე მისაღწევად, უწინარესად კარანთირის სამფლობელო უნდა გაევლოთ, ბაჟს უხდიდნენ მას. ასე დააგროვა კარანთირმა დიდი ქონება.

გავიდა მზის ოცი წელიწადი და ნოლდორთა მეფე ფინგოლფინმა დიდი ლხინი გამართა გაზაფხულზე. შეიკრიბნენ მომლხენნი ივრინის წყაროებთან, სადაც სწრაფი მდინარე იღებდა სათავეს, რადგან ის მხარე ამწვანებული და მშვენიერი იყო და ჩრდილოეთს აფარებული წყვიადის მთების ძირას მდებარეობდა. ის მხიარული ლხინი დიდხანს ახსოვდათ შემდგომ მწუხარე დღეებში. ზეიმს მერეთ აღერთადი, გაერთიანების ლხინი უწოდეს. ფინგოლფინისა და ფინროდის საგვარეულოების მრავალი ბელადი და ხალხი მივიდა ლხინზე. გამოცხადდნენ ფეანორის ძენი, მაედროსი და მაგლორი აღმოსავლეთ საზღვრის დამცველებითურთ; კირდანის წინამძღოლობით მრავლად მივიდნენ რუხი ელფნი, ბელერიანდის ტევრთა ბინადარნი და ნავსაყუდელთა მკვიდრნი. შორეული ერედ ლუინის მთისძირეთიდან მივიდნენ თვით მწვანე ელფნი ოსირიანდისა, შვიდი მდინარის მხარისა; ხოლო დორიათიდან ოდენ ორი მაცნე მოვიდა, მაბლუნგი და დაერონი და მეფე თინგოლის მოკითხვა მოიტანეს.

მერეთ აღერთაღზე მრავალ საკითხზე იბჭეს, ერთგულება და მეგობრობა შეჰფიცეს ერთმანეთს; როგორც ამბობენ, ლხინზე თვით ნოლდორნიც რუხ ელფთა ენაზე ლაპარაკობდნენ, რამეთუ იოლად სწავ-

ლობდნენ ბელერიანდელთა ენას, ხოლო სინდარნი, პირიქით, ვალინორელთა ენას ძნელად ითვისებდნენ. იმედიანად იყვნენ ნოლდორნი და მრავალ მათგანს ეგონა, რომ მართალს ამბობდა ფეანორი, როცა შუახმელეთში თავისუფლების მოპოვებისა და ახალ სამეფოთა დაარსებისკენ მოგვიწოდებდაო. დამანგრეველი მორგოთისგან ხმლები იცავდა ბელერიანდს და ის თავის სიმაგრეში იყო გამოკეტილი; ხანგრძლივმა მშვიდობამ დაისადგურა; იმხანად ახალი მზისა და მთვარის ქვეშ მთელი მხარე ხარობდა და ყველა ბედნიერი იყო; თუმცა, ჩრდილოეთს კვლავაც წყვდიადი გადაჰფარებოდა.

გამოხდა კიდევ ოცდაათი წელიწადი და ტურგონი, ძე ფინგოლფინისა, ნევრასტიდან, სადაც სახლობდა, კუნძულ ტოლ სირიონზე გაემგზავრა მეგობარ ფინროდთან შესახვედრად. ჩრდილოეთის მთები ორივეს

მოჰბეზრებოდა და სამხრეთში წასვლა გადაწყვიტეს. მდინარის გასწვრივ მიდიოდნენ და ბინდის ტბებს გასცდნენ თუ არა, დააღამდათ. სირიონის პირას ზაფხულის ვარსკვლავთა ქვეშ დაწვნენ დასაძინებლად. მდინარეს უღმოდ ამოუყვა, ორივეს ღრმა ძილი მოჰგვარა და ცუდი სიზმრები მოუვლინა; სიზმრებით შეწუხებულებმა გაიღვიძეს, მაგრამ ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ, რამეთუ სიზმრად ნანახი ცხადად აღარ ახსოვდათ და ეგონათ, უღმოს შეტყობინება ოდენ ჩემთვის იყო განკუთვნილიო. მას აქეთ, მუდმივად შემფოთებულნი იყვნენ ისინი და უბედურებას ელოდნენ, ეულად ხშირად დაეხეტებოდნენ გაუკვალავ ბილიკებზე და შორეულ, ვრცელ მხარეებში დაეძებდნენ ფარულ სიმაგრეებს; თითოეულს ეჩვენებოდა, რომ შავი დღისთვის მომზადება და თავშესაფრის მოწყობა დაავალეს, იმ შემთხვევისთვის, თუ მორგოთი ანგბადიდან გამოვიდოდა და ჩრდილოეთის ლაშქრებს დაამარცხებდა.

იმხანად ფინროდი და მისი და გალადრიელი მეფე თინგოლს, თავიანთ ნათესავს ესტუმრნენ ღორიათში. მენეგროთის სიდიდემ და სიმტკიცემ, მისმა საჭურჭლეებმა, ზარდახანებმა და მრავალსვეტიანმა ქვის დარბაზებმა განაცვიფრა ფინროდი; მან განიზრახა მთის ქვეშ ღრმა და ფარულ ადგილას თავადაც აეგო ვრცელდარბაზებიანი და მტკიცეკა-

რიბჭიანი სიმაგრე. გული გადაუშალა თინგოლს და სიზმრები გაანდო. თინგოლმა მდინარე ნაროგის ღრმა, ვიწრო ხეობისა და მდინარის დასავლეთი, ციცაბო ნაპირის ქვეშ მდებარე გამოქვაბულების შესახებ უამბო. წასვლისას ფინროდს მეგზურები გააყოლა, რათა იქამდე მიეყვანათ. ასე მივიდა ფინროდი ნაროგის მღვიმეებთან, რომლის შესახებ ცოტამ თუ იცოდა, და მენეგროთის მსგავსი ღრმა დარბაზებისა და ზარდახანების აგებას შეუდგა. იმ ციხესიმაგრეს ნარგოთრონდი უწოდეს. ფინროდს ლურჯი მთების ჯუჯები ეხმარებოდნენ; გაწეული სამსახურისთვის ნაუგრიმნი უხვად დაჯილდოვდნენ, რამეთუ ფინროდს უფრო მეტი განძი წამოედო ტირიონიდან, ვიდრე ნოლდორთა სხვა მთავრებს. სწორედ იმხანად დაამზადეს მისთვის ნაუგლამირი, ჯუჯათა ყელსაბამი, ადრინდელი დღეების ყველაზე სახელოვანი სამკაული. ეს იყო ვალინორიდან ჩამოტანილი პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ოქროს ძეწკვი. სელის ძაფივით უჩვეულოდ მსუბუქი იყო ნაუგლამირი, ნებისმიერ ყელს ამძვენებდა და აკოხტავებდა.

ნარგოთრონდში დასახლდა ფინროდი მრავალ მიმდევართან ერთად და ჯუჯათა ენაზე დაერქვა ფელაგუნდი, გამოქვაბულთა მკვეთელი; და ამ სახელს ატარებდა სიცოცხლის ბოლომდე. თუმცა ფინროდ ფელაგუნდი არ ყოფილა პირველი, ვინც მდინარე ნაროგის პირას გამოქვაბულებში დასახლდა.

გალადრიელი ძმას ნარგოთრონდში არ გაჰყვა, რამეთუ ღორიათში სახლობდა კელებორნი, ნათესავი თინგოლისა და ძლიერ უყვარდათ მათ ერთმანეთი. მის გამო დარჩა გალადრიელი დამალულ სამეფოში და დასახლდა მელიანთან, ვისგანაც დიდ ცოდნას დაეუფლა და შუახმელეთის შესახებ მრავალი რამ შეიტყო.

ხოლო ტურგონს არ ავიწყებოდა ბორცვის თხემზე გამენებული ტირიონი თავისი კოშკითა და ხით, მაგრამ ვერ იპოვა, რასაც ეძებდა; დაბრუნდა ნევრასტში და ზღვის პირას, ვინიამარში იცდიდა. შემდეგ წელს თავად ულმო გამოეცხადა მას და ურჩია, ეულად გამგზავრებულიყო სი-

რიონის ხეობაში; წავიდა ტურგონი და უღმოს მეგზურობით აღმოაჩინა ტუმლადენის ფარული ველი გარემომცველ მთებში; ველის

შუაგულში ქვის ბორცვი იდგა. აღმოჩენის შესახებ არავისთვის გაუმხელია, კვლავ ნევრასტში დაბრუნდა და დაიწყო დაგეგმვა ქალაქისა, რომელიც ტუნაზე გაშენებული ტირიონის მსგავსი იქნებოდა.

ცნობები მიჰქონდათ მსტოვრებს მორგოთთან, რომ ნოლდორნი დაფანტულიყვნენ და ომს არ აპირებდნენ და გადაწყვიტა, მეტოქეთა სიძლიერე და სიფხიზლე გამოეცადა. ამჯერადაც გაუფრთხილებლად გადავიდა იერიშზე. მოულოდნელად მიწისძვრებმა შეარყია ჩრდილოეთი, დედამიწის ნაპრალებიდან ცეცხლი ამოიჭრა, რკინის მთებმა ალი გადმოანთხიეს. არდ-გალენის ველს ორკები მოედვნენ. იქიდან სირიონის ხეობით დასავლეთში შეიჭრნენ, ხოლო მადროსის მთებსა და ერედ ლუინის განშტოებებს შორის მდებარე ვიწრობით – აღმოსავლეთში. თუმცა, ფინგოლფინსა და მადროსს არ ეძინათ და, სანამ სხვები ბელერიანდში მოთარეშე ორკთა მარბიელ რაზმებს დასდევენ, ამ ორმა დორთონიონს შესულ ორკთა მთავარ ლამქარს ორი მხრიდან შეუტია. დაამარცხეს მორგოთის მსახურნი, უკუაქციეს და არდ-გალენის ველზე, ანგბანდის კარიბჭის სიახლოვეს, ერთიანად გაჟლიტეს, ცოცხალი არავინ გაუშვიათ. ეს იყო მესამე ბრძოლა ბელერიანდის ომებისა. დაგორ აგლარები, ანუ დიდებული ბრძოლა უწოდეს მას.

ეს გამარჯვება იყო, მაგრამ, იმავდროულად, გაფრთხილებაც, რაც ნოლდორთა მთავრებმა უყურადღებოდ არ დატოვეს. თვალთვალი გადაძლიერეს, კავშირი განამტკიცეს და ანგბანდი ალყაში მოაქციეს. ალყა თითქმის მზის ოთხას წელიწადს გაგრძელდა. დაგორ აგლარებიდან მოყოლებული, კარგა ხანს მორგოთის არც ერთი მსახური არ გამოდიოდა ანგბანდის კარიბჭიდან, რამეთუ ნოლდორთა მმართველების ემინოდათ; ფინგოლფინი ტრაბახობდა, უკეთუ ელდარნი არ უდალატებენ ერთმანეთს, მორგოთი ალყას ვერ გაარღვევს და უეცრად თავს ვეღარ დაგვესხმებაო. თუმცა, ნოლდორებმა ანგბანდი ვერ დაიპყრეს და ვერც სილმარილები დაიბრუნეს; არც ომი შემწყდარა ალყისას, რამეთუ მორგოთი

ახალ სიავეებს იგონებდა და ხანდახან მეტოქეთ სცდიდა. ვერც მორგო-
თის სიმაგრე მოაქციეს ყველა მხრიდან ალყაში; ანგბანდს ორივე მხრი-
დან იცავდა რკინის მთები, რომელთა მრუდე კედელზე აღმართულიყო
თანგოროდრიმის კოშკები. ყინულიანი და თოვლიანი მთები გაუვალი
იყო ნოლდორთათვის. ამგვარად, ზურგს უკან და ჩრდილოეთში მორ-
გოთს მტერი არ ჰყავდა. სწორედ იმ გზით გადიოდნენ სიმაგრიდან მორ-
გოთის მზვერავნი და ფარული გზებით ბელერიანდში მიიპარებოდნენ.
ელდართა შორის შიშის დასათესად და განხეთქილების ჩამოსაგდებად,
მორგოთის ბრძანებით, ორკნი ცოცხლად იტაცებდნენ ელფებს და ან-
გბანდში მიჰყავდათ; მორგოთის მზერით დაზაფრულ ელფებს ხშირად
ბორკილები აღარ სჭირდებოდათ, მუდამ მისი შიშით დადიოდნენ და
ყოველ ბრძანებას უსრულებდნენ. ამგვარად შეიტყო მორგოთმა ბევრი
რამ, რაც ფეანორის ამბოხის შემდეგ მოხდა და გაიხარა მით, რომ თავის
მტერთა შორის უთანხმოების მარცვლები იხილა.

თითქმის ასი წელიწადი გავიდა დაგორ აგლარების შემდეგ; მორგო-
თი ფინგოლფინის მოულოდნელად შეპყრობას ცდილობდა (რამეთუ მა-
ედროსის სიფხიზლის შესახებ იცოდა) და ამისთვის გაგზავნა ლაშქარი
დათოვლილ ჩრდილოეთში, რომელმაც ჯერ დასავლეთით გაუხვია და
შემდეგ – სამხრეთით და იმავე

გზით დაეშვნენ დრენგისტის უბეში, რომლითაც დრჟიალა ყინულზე
გადმოსულიყო ფინგოლფინი. აქედან მორგოთის ლაშქარი ჰითლუმის
სამეფოს დასავლეთში აპირებდა შეჭრას, მაგრამ დროზე შეამჩნიეს და
უბის თავთან, გორაკებს შორის, მათ ფინგონი დაესხა თავს; მრავალი
ორკი ზღვაში ჩაყარეს. ამ ბრძოლას დიდ ბრძოლათა შორის არ იხსენი-
ებენ, რამეთუ მცირერიცხოვანი იყო ორკთა ლაშქარი და ჰითლუმის
მკვიდრთა მხოლოდ ნაწილი შეებრძოლა მათ. მას შემდეგ მრავალი
წლით მშვიდობამ დაისადგურა და ანგბანდიდან ღიად აღარ შემოუტე-
ვიათ, რამეთუ მიხვდა მორგოთი, რომ დახმარების გარეშე ორკნი ნოლ-
დორთ ვერ გაუმკლავდებოდნენ. და ამის გამო მორგოთმა ახალი გზების
ძიება დაიწყო.

კიდევ ასი წლის შემდეგ გლაურუნგი, პირველი ურულოკე, ჩრდილოეთის ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი გამოვიდა ანგბანდიდან ღამის საფარქვეშ. ჯერაც ახალგაზრდა და ზრდადაუსრულებელი იყო იგი, რამეთუ ხანგრძლივია დრაკონთა სიცოცხლე, მაგრამ შეძრწუნებული ელფნი ერედ უეთრინსა და დორთონიონში გაექცნენ მას. ააოხრა გლაურუნგმა არდ-გალენის მინდვრები. მაშინ ფინგონი, უფლისწული ჰითლუმისა, ცხენებზე ამხედრებული მშვილდოსნებით გავიდა მის წინააღმდეგ და მარდი მხედრებით ალყაში მოაქცია დრაკონი. გლაურუნგმა ვერ გაუძლო მათ ისრებს, რამეთუ ჯერ სრულად არ გამტკიცებოდა ჯავშანი. ანგბანდში გაიქცა და მრავალი წელი აღარ გამოსულა იქიდან. სახელი მოიხვეჭა ფინგონმა, გაიხარეს ნოლდორთ; რამეთუ ცოტამ თუ განჭვრიტა, რა საფრთხე ემუქრებოდათ ამ ახალი ურჩხულისგან. ხოლო მორგოთი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ გლაურუნგმა ნაადრევად გამოაჩინა თავი და მისი მარცხის შემდეგ მშვიდობა ორას წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ოდენ საზღვრებზე იმართებოდა მცირე შეტაკებები, გამდიდრდა და აყვავდა ბელერიანდი. ჩრდილოეთის ჯარებით დაცულმა ნოლდორებმა კომკები და სახლები აიშენეს, მრავალი მშვენიერი რამ შექმნეს იმხანად, მრავალი ლექსი, ნაწარმოები და მატთანე დაწერეს. ბევრგან ნოლდორნი და სინდარნი ერთმანეთს შეერწყნენ და ერთ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი; ოღონდ ამით განსხვავდებოდნენ: ნოლდორნი აღემატებოდნენ გონებითა და სხეულით, უფრო გამჭრიახნი იყვნენ და უკეთ იბრძოდნენ, ქვით აშენებდნენ და მთის კალთები და ტრიალი მინდვრები უყვარდათ, ხოლო სინდარნი უფრო ტკბილხმოვანნი იყვნენ და კარგად მღეროდნენ (ნოლდორთაგან მხოლოდ ფეანორის ვაჟი მაგლორი არ ჩამოუვარდებოდა მათ), ტყეები და მდინარის ნაპირები უყვარდათ. ზოგი რუხი ელფი ერთ ადგილას არ სახლდებოდა და შორს მიდიოდა, ხოლო მოგზაურობისას მუდამ მღეროდნენ.

თავი მეთოთხმეტე. ამბავი ბელერიანდისა და მის სამეფოთა

ასეთი იყო მოწყობა ქვეყანათა შუახმელეთის ჩრდილო-დასავლეთში იმ უძველეს ხანაში, როცა იქ ნოლდორნი ჩავიდნენ; აქვე მოთხრობილია დაგორ აგლარების, ბელერიანდის ომების მესამე ბრძოლის შემდეგ მორგოთის წინააღმდეგ შეკრული ელდარების ბელადთა და წინამძღოლთა კავშირის შესახებ.

ქვეყნიერების ჩრდილოეთში მელკორმა თავისი სიმაგრის, უტუმნოს გალავნად უხსოვარ ჟამს აღმართა ერედ ენგრინი, რკინის მთები. მარადიული ყინვის მხარეთა საზღვრად იდგა ერედ ენგრინი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაჭიმული მთაგრეხილი. ერედ ენგრინის დასავლეთ კედლის მიღმა, იქ, სადაც მთები ჩრდილოეთისკენ იხრებოდა, მელკორმა კიდევ ერთი სიმაგრე ააგო, ვალინორელთა შესაძლო თავდასხმისგან თავდასაცავად. როგორც აღინიშნა, შუახმელეთში დაბრუნებულმა მელკორმა ანგბანდის, რკინის ქვესკნელის, უსასრულო ჯურღმულებში დაიდო ბინა; რამეთუ ღიად ძალთა ომში უტუმნოს დიდი ციხესიმაგრის სწრაფად დანგრევის მოსურნე ვალართ ანგბანდის სრულად განადგურება და მისი ღრმა სამალავების გამოკვლევა ვერ მოასწრეს. ერედ ენგრინის ქვეშ მელკორმა გაიყვანა გრძელი გვირაბი, რომელიც მთაგრეხილის სამხრეთით გამოდიოდა; გასასვლელი მტკიცე კარიბჭით იყო დახშული. ხოლო კარიბჭის თავზე კოშკებივით აღმართა მიწისქვეშა ქურებიდან გამოყრილი ნაცრისა და წიდისგან და გვირაბის გაყვანისას დარჩენილი ნაგვისგან აგებული თანგოროდრიმი. შავი, უკაცრიელი და ერთობ მათალი იყო ის მწვერვალები. მყრალი და შავი მხუთრი ამოდიოდა იქიდან და ჩრდილოეთის ცას აბნელებდა. ანგბანდის კარიბჭიდან სამხრეთით არდ-გალენის ვრცელ დაბლობზე მრავალი ეჯის მანძილზე გაუდაბურდა და დანაგვიანდა მიწა; თუმცა, მზის გამოჩენამ იქ ბალახი ააბიბინა და ვიდრე ანგბანდი ალყაში იყო, ხოლო

მისი კარიბჭე – დახშული, თვით ქვესკნელის კარიბჭის სიახლოვეს დრმულებსა და ქვა-ლოდებს შორის იზრდებოდა მცენარეები.

თანგოროდრიმის დასავლეთით მდებარეობდა ჰისილომე, დანის-ლული მიწა – ასე უწოდეს ნოლდორთ თავიანთ ენაზე იმ მხარეს, სადაც პირველად დაბანაკდნენ, რამეთუ მორგოთის გამოგზავნილი ღრუბლებით იყო იგი დაბურული; ხოლო იმ მხარეში მცხოვრებ სინდართა ენაზე ეს სახელი ჰითლუმად გადაიქცა. ვიდრე ანგბანდის ალყა გრძელდებოდა, მშვენიერი მხარე იყო ჰითლუმი, მიუხედავად მუდმივი სიგრილისა და სუსხიანი ზამთრისა. დასავლეთით ერედ ლომინი, ზღვამდე გადაჭიმული ექოიანი მთები ესაზღვრებოდა ჰითლუმს, ხოლო აღმოსავლეთითა და სამხრეთით შემოსაზღვრული იყო ერედ უეთრინით, წყვდიადის მთებით, რომლებიც არდ-გალენსა და სირიონის ხეობას გადაჰყურებდა.

ფინგოლფინი და მისი ძმა ფინგონი ბატონობდნენ ჰითლუმში; ფინგოლფინის ხალხის დიდი ნაწილი დიდი ტბა მითრიმის ნაპირებთან სახლობდა; ხოლო ფინგონი მითრიმის მთების დასავლეთით მდებარე დორ-ლომინს განაგებდა. მათი მთავარი ციხესიმაგრე ერედ უეთრინის აღმოსავლეთით ეითელ სირიონში იდგა და იქიდან მთელ არდ-გალენს ადევნებდნენ თვალყურს. ფინგოლფინისა და ფინგონის მხედრები

თვით თანგოროდრიმის ჩრდილში მოქცეულ ველზე დაჯირითობდნენ; უხვი და მწვანე იყო ბალახი არდ-გალენისა და სწრაფად მრავლდებოდნენ ნოლდორთა ცხენნი. ლოსგარში ხომალდით გადმოყვანილ ვალინორულ ბედაურთა შთამომავალნი იყვნენ ის ცხენნი; ზიანისა და ზარალის ასანაზღაურებლად უბოძა ისინი მადროსმა ფინგოლფინს.

დორ-ლომინის დასავლეთით, მიღმა ექოიანი მთებისა, რომელიც დრენგისტის უბიდან სამხრეთით, შუახმელეთის სიღრმეში მიიწევდა, მდებარეობდა ნევრასტი, რაც სინდართა ენაზე აქეთა ნაპირს ნიშნავს. თავდაპირველად, ეს სახელი ერქვა დრენგისტის უბის სამხრეთით არსებულ ყველა ზღვისპირა ქვეყანას, მაგრამ საბოლოოდ სახელი შერჩა მხოლოდ იმ მიწას, რომლის სანაპირო ზოლიც დრენგისტსა და მთა ტა-

რასს შორის მდებარეობდა. იქ მრავალი წელი მეფობდა ბრძენი ტურგონი, ძე ფინგოლფინისა; მისი სამეფო შემოსაზღვრული იყო ზღვით, ერედ ლომინითა და მალლობებით, რომელიც ერედ უეთრინის ივრინიდან კონცხზე მდგარ მთა ტარასამდე გადაჭიმულ დასავლეთ განშტობას წარმოადგენდა. ბევრი ნევრასტს ბელერიანდს მიაკუთვნებდა, ვიდრე ჰითლუმს, რამეთუ უფრო თბილი მხარე იყო, ჰითლუმში მოპარპაშე ჩრდილოეთის ცივი ქარებისგან დაცული და ნესტიანი ზღვაურით შერბილებული ჰავით. ნევრასტის დაბლობი მთებსა და ზღვისპირა კლდეებს შორის იყო მოქცეული; იქ მდინარე არ მიედინებოდა, სამაგიეროდ ქვეყნის შუაგულში იყო დიდი ტბა, რომელსაც ვრცელი ჭაობები ერტყა გარს. ლინაუენი ერქვა იმ ტბას ლელიანისა და წყალმარჩხი გუბურების მოყვარულ ფრინველთა სიმრავლის გამო. ნოლდორთა დაბრუნებისას ნევრასტის სანაპიროებზე რუხი ელფები სახლობდნენ, განსაკუთრებით მრავლად – სამხრეთ-დასავლეთით აღმართული მთა ტარასის ახლოს, რამეთუ ძველად იმ ადგილს უღმომ და ოსე ხშირად სტუმრობდნენ. ნევრასტის მკვიდრებმა ბატონად ტურგონი გამოაცხადეს და ნოლდორნი და სინდარნი ყველაზე სწრაფად იქ შეერწყნენ ერთმანეთს; დიდხანს სახლობდა ტურგონი ზღვის პირას მთა ტარასის ძირას მდგარ სასახლეში, რომელსაც ვინიამარი უწოდა.

არდ-გალენის სამხრეთით დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ სამოც ეჯზე გადაჭიმულიყო ღორთონიონის მთიანეთი, რომლის ჩრდილოეთ და დასავლეთ კალთებზე ხშირი ფიჭვნარი შეფენილიყო. ვაკიდან თანდათან მალლა აღიოდა დამრეცი ფერდობები და იქცეოდა მოტიტვლებულ მალლობებად, სადაც ერედ უეთრინის მწვერვალებზე უმაღლესი კლდეების ძირას მრავალი პატარა ტბა მდებარეობდა. ხოლო სამხრეთით, საიდანაც დორიათის ხედი იშლებოდა, ეს ზეგანი იქცეოდა საზარელ უფსკრულებად და ხრამებად. ღორთონიონის ჩრდილოეთ ფერდობებიდან ფინარფინის ვაჟნი, ანგროლი და აეგნორი გადასცქეროდნენ არდ-გალენის ველს; ნარგოთრონდის გამგებელი ფინროდის, საკუთარი ძმის ვასალები იყვნენ ისინი. უნაყოფო და ვერან

დორთონიონში ცოტა ხალხი სახლობდა; თუმცა, იმ მხარეს მრავალი დამცველი არც სჭირდებოდა, რამეთუ ბურჯად იდგა ვეება მთიანეთი და მორგოთი მას იოლად ვერ გადმოლახავდა.

დორთონიონსა და წყვდიადის მთებს შორის ვიწრო ხეობა მდებარეობდა. მისი ციცაბო ფერდობები ფიჭვებს შეემოსა, ხოლო თავად ხეობა სიმწვანეში იყო ჩაფლული, რადგან მის შუაგულში ბელერიანდისკენ მოჩქარე მდინარე სირიონი მიედინებოდა. სირიონის ვიწრობს ფინროლი იცავდა და მდინარის შუაგულში,

კუნძულ ტოლ სირიონზე იდგა მისი საგუშაგო კოშკი მინას ტირითი. თუმცა, ნარგოთრონდის აშენების შემდეგ ფინროლმა მინას ტირითი თავის ძმას, ოროდრეთს დაუთმო.

დიდი მდინარე სირიონის ორივე ნაპირზე გადაშლილიყო ვრცელი და თვალწარმტაცი ბელერიანი. დიდი მდინარე ეითელ სირიონში იღებდა სათავეს, არდ-გალენის კიდეს მიჰყვებოდა, ვიწრობაში გაივლიდა და მთის ნაკადებშეერთებული თანდათან ივსებოდა. ვიწრობიდან ას ოცდაათი ეჯის მანძილზე მიედინებოდა იგი სამხრეთით და გზადაგზა მრავალი შენაკადით ძლიერდებოდა; დაბოლოს, ბალარის სრუტეში მრავალ ნაკადად იტოტებოდა და ქვიშიან ღელტად იქცეოდა. ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალი სირიონის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, დასავლეთ ბელერიანდში, მდინარეების სირიონსა და ტეიგლინს შუა ბრეთილის ტყე მდებარეობდა, ხოლო ტეიგლინსა და ნაროგს შუა – ნარგოთრონდის სამეფო. მდინარე ნაროგი დორ-ლომინის სამხრეთ კალთებზე ივრინის ჩანჩქერში იღებდა სათავეს და ოთხმოცი ეჯის მანძილზე მიედინებოდა, სანამ ნან-ტათრენში, ტირიფთა მხარეში, მდინარე სირიონს შეუერთდებოდა. ნან-ტათრენის სამხრეთით ყვავილოვან მინდვრებზე ცოტა ხალხი ცხოვრობდა; ხოლო მინდვრებს მიღმა, სირიონის შესართავების მიმდებარე ჭაობებში, ლერწმით დაფარულ პატარ-პატარა კუნძულებზე და ქვიშიან ღელტაში სულიერი არ ჭაჭანებდა, გარდა ფრინველებისა.

ნარგოთრონდის სამეფო ნაროგის დასავლეთითაც გრძელდებოდა და იმ მხარეს ეგლარესტთან ზღვაში ჩამდინარი ნენინგი ედო საზღვრად. სირიონსა და ზღვას შუა მცხოვრებ ბელერიანდის ელფთა უზუნაეს მმართველად იქცა ფინროდი. მხოლოდ ფალასში არ აღიარებდნენ მას მბრძანებლად, ზღვაოსნობის მოყვარული იქაური სინდარნი კირდან ხომალდთმშენებელს მიიჩნევდნენ თავიანთ ბატონად; თუმცა, ფინროდი და კირდანი მეგობრები და მოკავშირეები იყვნენ და სწორედ ნოლდორთა დახმარებით აშენდა ხელახლა ბრითომბარისა და ეგლარესტის ნავსადგურები და მაღალი კედლებით დაცულ დიდ ქალაქებად იქცა. ეგლარესტის დასავლეთით მდებარე კონცხზე ფინროდმა ბარად ნიმრასის საგუშაგო კოშკი ააგო, რათა დასავლეთ ზღვისთვის თვალყური ედევნებინა. ამოო გამოდგა მისი გარჯა, რამეთუ მორგოთს არასოდეს უცდია ხომალდების აგება და საზღვაო ომის გაჩაღება. მისი მსახურნი წყალს ძლიერ უფრთხოდნენ და გარდა უაღრესი საჭიროებისა, ზღვას ახლოსაც არ ეკარებოდნენ. ზღვაოსან ელფთა შემწეობით ნარგოთრონდელეებმა ახალი ხომალდები ააგეს და ბალარის კუნძულის გამოსაკვლევად გაემურნენ, რამეთუ იმ კუნძულზე შავი ღღისთვის თავშესაფრის აშენებას გეგმავდნენ; საუბედუროდ, იქ დასახლება ნარგოთრონდელეებს არ ეწერათ.

ამგვარად, ფინროდის სამეფო ყველაზე ვრცელი იყო, თავად ფინროდ ფელაგუნდი კი – ნოლდორთა დიდ მმართველთაგან ყველაზე უმცროსი. ნოლდორთა უზუნაეს მმართველად ფინგოლფინი ითვლებოდა, ხოლო რანგით მეორედ – ფინგონი, მიუხედავად იმისა, რომ მათი სამეფო ოდენ ჰითლუმის ჩრდილოეთი მხარე იყო. თუმცა, მათი ხალხი ყველაზე მტკიცე და უშიშარი იყო; ორკებს ყველაზე მეტად მათი ეშინოდათ და მორგოთსაც ყველაზე მეტად ისინი სძულდა.

მდინარე სირიონისგან მარცხნივ მდებარეობდა აღმოსავლეთ ბელერიანდი, რომლის სიგრძე ყველაზე

ფართო მონაკვეთში ას ეკს შეადგენდა სირიონიდან გელიონამდე და ოსირიანდის საზღვრებამდე. სირიონსა და მინდებს შორის, არწივთა

საბუდარ კრისაეგრიმის მწვერვალთა ქვეშ, დიმბარის უდაბნო მდებარეობდა, ხოლო მინდებისა და ესგალდუინის ზემოწელებს შორის – უკაცრიელი ნან ღუნგორთები; ხიფათი ბუდობდა იმ მხარეში, რამეთუ მის ცალ მხარეს მელიანმა დორიათის ჩრდილოეთი საზღვარი გაავლო, ხოლო მეორე მხარეს დორთონიონის მთიანეთიდან, ერედ გორგოროთის, შემზარავი მთების ციცაბო კლდეები და ხრამები ეშვებოდა ძირს. როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ იმ მხარეს შეაფარა თავი ბალროგებისგან დევნილმა უნგოლიანტმა; კარგა ხანს ბუდობდა ურჩხული იქ და ხეობებს თავის მომაკვდინებელი წყვდიადით ავსებდა. ხოლო უნგოლიანტის წასვლის შემდეგ მისი ნაშიერები დაიპარებოდნენ და ყველგან საშინელ აბლაბუდებს აბამდნენ. ერედ გორგოროთიდან ჩამოღვრილი წყლები ბინძური და დასალევად სახიფათო იყო, ვინც მას დალევდა, სიგიჟისა და სასოწარკვეთილების წყვდიადით ევსებოდა გული. არც ერთი სულიერი ახლოს არ ეკარებოდა იმ მხარეს, ნოლდორნი ნან ღუნგორთებში მხოლოდ აუცილებლობის ჟამს მგზავრობდნენ, ისიც დორიათის საზღვრისპირა, შემზარავი მთებიდან დაშორებული გზა-ბილიკებით. ის გზა დიდი ხნის წინ, მორგოთის შუახმელეთში დაბრუნებამდე გაეყვანათ; თუ ვინმე მასზე გავლას გაბედავდა, აღმოსავლეთში ესგალდუინის ნაპირამდე მივიდოდა, სადაც ჯერ კიდევ ალყის დროიდან იდგა იანტ ტაურის ქვის ხიდი. იქიდან გზა დორ დინენის, მდუმარე მიწას გაივლიდა, აროსიახს (რაც აროსის ფონს ნიშნავს) გადაკვეთდა და მიდიოდა ბელერიანდის ჩრდილოეთ საზღვრებამდე, სადაც ფეანორის ვაჟები სახლობდნენ.

სამხრეთით მდებარეობდა დორიათის დაცული ტყეები, სამყოფელი მეფე თინგოლისა, რომლის სამეფოში უნებართვოდ ვერავინ შევიდოდა. მისი ჩრდილოეთი და უმცირესი ნაწილი, ნელდორეთის ტყე, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ესგალდუინის მუქი წყლებით იყო შემოსაზღვრული; ესგალდუინი დორიათის შუაგულში დასავლეთით უხვევდა; ხოლო აროსსა და ესგალდუინს შორის რეგიონის ხშირი და დიდი ტყეები მდებარეობდა. ესგალდუინის სამხრეთ ნაპირზე, იმ ადგილას,

საიდანაც მდინარე სირიონთან შესაერთებლად მიიჩქაროდა, მენეგრო-
თის გამოქვაბულები იყო. მთელი დორიათი სირიონის აღმოსავლეთით
მდებარეობდა, გარდა ვიწრო, ტყიანი დაბლობისა ტეიგლინს, სირიონსა
და ბინდის ტბებს შესართავებს შორის. დორიათის მკვიდრნი იმ ტყეს
ნივრის, დასავლეთ საზღვარს უწოდებდნენ; დიდი მუხები იზრდებოდა
იქ და იმ მხარისთვისაც მელიანს შემოევლო თავისი სარტყელი, რათა
მდინარე სირიონი, რომელსაც ულმოს პატივისცემით ჰყვარობდა,
მთლიანად თინგოლის სამფლობელოში ყოფილიყო მოქცეული.

დორიათის სამხრეთ-დასავლეთში, სადაც აროსი სირიონს უერთდე-
ბოდა, მდინარის ორივე მხარეს გუბურები და ჭაობები მდებარეობდა;
შეფერხებული დინება ნელდებოდა და იტოტებოდა. იმ ნისლიან, დო-
რიათის ჯადოდადებულ ადგილს აელინ-უიალს, ანუ ბინდის ტბებს უწო-
დებდნენ. იქ, სამხრეთში ბელერიანდი ივაკებდა და კარგა მანძილზე სი-
რიონი მდორე მდინარედ იქცეოდა. თუმცა, აელინ-უიალის სამხრეთით
მიწა უეცრად ცერდებოდა და სირიონის ქვედა ჭალებს ზედასგან ყოფდა
სწორედ ეს დაქანება, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მაცქე-
რალს ნაროგის მიღმა, დასავლეთში მდებარე ეგლარესტიდან აღმოსავ-
ლეთით, ამონ ერებისკენ გადაჭიმული მთა-გორაკთა უწყვეტი ჯაჭვი
ეგონებოდა.

ნაროგი ამ გორაკთა შორის ვიწრო ხეობაში მოედინებოდა, ჭორო-
მებს წარმოქმნიდა, მაგრამ ჩანჩქერად არ ვარდებოდა, ხოლო მისი და-
სავლეთი ნაპირი ტაურენ-ფაროთის ტყიან ზეგნამდე აღიოდა. იმ ხე-
ობის დასავლეთ მხარეს, სადაც მოკლე და აქაფებული მდინარე რინგუი-
ლი მაღალი ფაროთიდან იღვრებოდა ნაროგში, ფინროდმა ნარგოთ-
რონდი დააარსა. ნარგოთრონდის ვიწრო ხეობიდან ოცდახუთი ეჯით
აღმოსავლეთით ჩრდილოეთიდან დაქანებული სირიონი მძლავრად
ვარდებოდა ტბებს ქვემოთ და დაცემის ძალით გამოდრუტუნულ მიწის-
ქვეშა გვირაბებში იღვრებოდა. მდინარე სამი ეჯით სამხრეთით ხმაური-
თა და მხეფების სროლით გამოედინებოდა გორაკების ძირას მდებარე
კლდოვანი თაღებიდან, რომელთაც სირიონის ბჭეებს უწოდებდნენ.

ამ გამყოფ ქედს ანდრამს, გრძელ კედელს უწოდებდნენ ნარგოთ-რონდიდან რამდალამდე, ანუ კედლის ბოლომდე. იმ მხარეს ქედი ნაკლებად დამრეცი იყო და მდინარე გელიონიც თანაბრად, მაგრამ სირიონზე სწრაფად მიედინებოდა. რამდალსა და გელიონს შორის ეული, დამრეცფერდობებიანი გორაკი იდგა და ეს სიმარტოვე უფრო დიდად წარმოაჩენდა. მას ამონ ერები ერქვა. ამონ ერებზე დაიდუპა დენეთორი, ოსირიანდში მცხოვრები ნანდორების მბრძანებელი. სწორედ ნანდორნი მიეშველნენ თინგოლს მორგოთთან ბრძოლისას, როცა ორკებმა პირველად დაარღვიეს ვარსკვლავთა შუქით განათებული ბელერიანდის სიმშვიდე. იმავე ბორცვზე დასახლდა მადროსი დიდი მარცხის შემდგომ. ხოლო ანდრამის სამხრეთით, სირიონსა და გელიონს შორის, უღრანი და დაბურული ტყე მდებარეობდა. იმ ტყეში არავინ შედიოდა, მხოლოდ თითო-ოროლა ბნელი ელფი თუ შეეხებებოდა; ტაურ-იმ-დუინათი ერქვა მას, მდინარეთაშორისი ტყე.

გელიონი დიდი მდინარე იყო და ორი სათავე ჰქონდა, თავიდან ორ შტოდ მოედინებოდა: პატარა გელიონი ჰიმრინგის ბორცვიდან, დიდი გელიონი მთა რერირიდან. შეერთების ადგილიდან ორმოცი უჯით სამხრეთით გელიონს პირველი შენაკადი უერთდებოდა. გელიონი სიგრძით ორჯერ აღემატებოდა სირიონს, ოღონდ ნაკლებად განიერი და წყალუხვი იყო, რამეთუ ჰითლუმსა და დორთონიონში, სადაც სირიონი მიედინებოდა, უფრო ხშირად წვიმდა, ვიდრე აღმოსავლეთში. ერედ ლუინის ციცაბო ფერდობებიდან გელიონის ექვსი სწრაფი შენაკადი მოსჩქეფდა: ასკარი (რომელსაც შემდეგში რათლორიელი უწოდეს), თალოსი, ლეგოლინი, ბრილთორი, დუილუენი და აღურანტი. ხოლო ასკარსა და აღურანტს და გელიონსა და ერედ ლუინს შორის მდებარეობდა მშვენიერი ოსირიანდი, შვიდი მდინარის სიმწვანეში ჩაფლული მხარე. ერთგან აღურანტის დინება ორ ნაკადად იყოფოდა და გარს უვლიდა ტოლ გალენს, მწვანე კუნძულს. სწორედ იქ დასახლდნენ შუახმელეთში დაბრუნებული ბერენი და ლუთიენი.

ოსირიანდში მწვანე ელფები სახლობდნენ, თავიანთი მდინარეებით დაცულნი; რამეთუ სირიონის შემდეგ ულმოს ყველა მდინარეზე მეტად გელიონი უყვარდა. ოსირიანდის ელფნი იმდენად კარგად იცნობდნენ ტყეებს და ისე ოსტატურად იმალებოდნენ, თუ დასჭირდებოდათ, უცნობის თვალს არ დაენახვებოდნენ. გაზაფხულზე და ზაფხულში მწვანით იმოსებოდნენ და მათი სიმღერის ხმა გელიონის გადაღმა ისმოდა; ამიტომაც შეარქვეს ნოლდორებმა იმ მხარეს ლინდონი, ანუ მუსიკის ქვეყანა, ხოლო მის მიღმა აღმართულ მთებს – ერედ ლინდონი, რამეთუ პირველად ოსირიანდიდან მოჰკრეს მათ თვალი.

დორთონიონის აღმოსავლეთით ბელერიანდის საზღვრები შედარებით დაუცველი იყო და მხოლოდ დაბალი გორაკები ეფარებოდა გელიონის ხეობას ჩრდილოეთიდან. იმ მხარეში, მაედროსის საზღვარზე და მის მიღმა მდებარე მიწებზე მრავალ ქვეშევრდომთან ერთად ფეანორის ვაჟები სახლობდნენ. მათი მხედრები ხშირად მიემგზავრებოდნენ არდ-გალენის აღმოსავლეთით ვრცლად გადაჭიმული ჩრდილოეთის დაბლობის, კიდევანერი და უკაცრიელი ლოთლანის დასაზვერად და იმის სანახავად, მორგოთი აღმოსავლეთ ბელერიანდზე იერიშისთვის ხომ არ ემზადებოდა. მაედროსის მთავარი ციხესიმაგრე ჰიმრინგის ბორცვის, მარადცივის მოტიტვლებულ ბრტყელ თხემზე იდგა. ჰიმრინგსა და დორთონიონს შორის იყო აგლონის ვიწრობი, კარიბჭე დორიანისა. ვიწრობიდან მუდამ ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი უბერავდა. კელეგორმმა და კურუფინმა გაამაგრეს აგლონი, მრავალრიცხოვანი ლაშქრით იცავდნენ მას და სამხრეთით მდებარე ჰიმლადის მხარეს, რომელიც დორთონიონიდან მდინარ აროსსა და ჰიმრინგიდან მდინარ მის შენაკადს, კელონს შორის იყო მოქცეული.

გელიონის შტოებს შორის მდებარე მიწას მაგლორი იცავდა; იქ ერთგან გორაკები საერთოდ ქრებოდა და სწორედ იქიდან შეიჭრნენ ორკები მესამე ბრძოლამდე აღმოსავლეთ ბელერიანდში. ამის გამო იმ ადგილს ნოლდორთა მხედრობა იცავდა; ხოლო მაგლორის კლდეკარის აღმოსავლეთით კარანთირის ხალხმა მთები გაამაგრა. იქ ერედ ლინ-

დონის მთავარ ქედს მთა რერირი და მის ირგვლივ აღმართული მრავალი მცირე მალეობი გამოეყოფოდა. იმ კუთხეში, რერირსა და ერედ ლინდონს შორის იყო სამი მხრიდან (გარდა სამხრეთისა) მთებით დაჩრდილული ტბა. ამ ღრმა და ბნელ ტბას ჰელევიორნი ერქვა და ტბის პირას კარანთირი სახლობდა; გელიონსა და მთებს და რერირსა და მდინარე ასკარს შორის მდებარე ვრცელ მიწებს ნოლდორნი თარგელიონს, ანუ გელიონსიქითა ქვეყანას და დორ კარანთირს, ანუ კარანთირის ქვეყანას უწოდებდნენ. სწორედ იქ შეხვდნენ ნოლდორნი პირველად ჯუჯებს. მანამდე რუხი ელფები თარგელიონს ტალათ რუნენს, აღმოსავლეთის ველს უწოდებდნენ.

ამგვარად, ფეანორის ვაჟნი მაედროსის წინამძღოლობით აღმოსავლეთ ბელერიანდის მმართველნი იყვნენ, მაგრამ მათი ხალხი იმხანად დიდწილად სამეფოს ჩრდილოეთში ცხოვრობდა და სამხრეთში მხოლოდ მწვანე ტყეებში სანადიროდ მიემართებოდა. ხოლო სამხრეთის ტყეებში ამროდი და ამრასი სახლობდნენ და ვიდრე ალყა გრძელდებოდა, ჩრდილოეთში იშვიათად მიდიოდნენ. იქაურობას სხვა ელფი დიდებულნიც სტუმრობდნენ, ხშირად შორიდანაც, რამეთუ ის მხარე ველური, მაგრამ მშვენიერი იყო. ამ დიდებულ მმართველთაგან ყველაზე ხშირი სტუმარი ფინროდ ფელაგუნდი იყო, მას მოგზაურობა ძლიერ უყვარდა, ოსირიანდშიც კი მივიდა და მწვანე ელფნიც დაიმეგობრა. თუმცა, არც ერთი ნოლდო არასოდეს გადასულა ერედ ლინდონს იქით, ვიდრე მათი სამეფო არსებობდა; ბელერიანდშიც მხოლოდ მცირედი ცნობები აღწევდა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან.

თავი მეოთხთმეტე. ამბავი ბელერიანდში მოსახლე ნოლდორთა

როგორც ითქვა, ულმოს მეგზურობით ტურგონ ნევრასტელმა ტუმლადენის ფარული ხეობა აღმოაჩინა. შემდგომ გაირკვა, რომ სირიონის ზემოწელის აღმოსავლეთით მდებარე ხეობა მაღალი და ციცაბო მთების რკალში იყო მოქცეული და ვერც ერთი სულიერი ვერ შეაღწევდა იქ, გარდა თორონდორის არწივებისა; მათა ქვეშ მიიწევდა საიდუმლო, ღრმა გზა, სირიონთან შესაერთებლად მოჩქარე წყალთა მიერ გათხრილი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქვეყნიერება წყვდიადში იყო ჩაფლული. სწორედ ამ გზას მიაგნო ტურგონმა და აღმოჩნდა მათა შუაგულში, მწვანე ველზე და იხილა გლუვი, მტკიცე ქვის ბორცვი, მსგავსი კუნძულისა, ვინაიდან ეს ველი უხსოვარ დროს დიდი ტბა ყოფილიყო. და აჰა, მიხვდა ტურგონი, რომ იპოვა ადგილი სასურველი, და გადაწყვიტა: ავაგებ აქ ქალაქს მშვენიერს, მოსაგონრად ტირიონისა ტუნას ზედა. დაბრუნდა ტურგონი ნევრასტში და დაიწყო ფიქრი, როგორ აღესრულებინა თავისი განზრახვა.

დაგორ აგლარების შემდეგ ულმოს მიერ მის გულში ჩანერგილი შფოთვა კვლავ გაუძლიერდა ტურგონს. შეკრიბა ყველაზე ღონიერი, მუყაითი და ხელმარჯვე ოსტატნი და ხელოსანნი და საიდუმლოდ გაუძღვა მათ საიდუმლო ველისკენ. და დაიწყეს იქ ტურგონის დაგეგმილი ქალაქის შენება. გარშემო გუშაგნი დააყენეს, რომ უეცრად თავზე არავინ წამოსდგომოდათ; სირიონში მდინარი ულმოს ძალა იფარავდა მათ. თავად ტურგონი მეტწილად ნევრასტში სახლობდა, ვიდრე ორმოცდათორმეტი წლის საიდუმლო, მძიმე შრომის შედეგად ქალაქს ააგებდნენ. ამბობენ, რომ ტურგონმა ქალაქს ვალინორელ ელფთა ენაზე ონდოლინდე, წყლის მუსიკის კლდე უწოდა, რამეთუ ბორცვზე მრავალი შადრევანი და წყარო ამოსჩქეფდა; ხოლო სინდართა ენაზე სახელი შეიცვალა და იქცა გონდოლინად, მალულ კლდედ. ტურგონი ზღვისპირა ვინიამარში თავისი დარბაზების დაცლასა და ნევრასტიდან გადასახლებას აპირებ-

და, როცა ულმო კიდევ ერთხელ გამოეცხადა და უთხრა: «აჰა, ბოლოს და ბოლოს, მიხვალ გონდოლინს, ტურგონ. დავინარჩუნებ ძალაუფლებას ჩემსას ველზე სირიონისა და წყალთა მას შინა, მით არავინ იხილოს წასვლა შენი და არავინ იპოვოს ფარული შესასვლელი შენდა უნებართვოდ. ელდალიეთ სამეფოთაგან ყველაზე დიდხანს გაუძლებს გონდოლინი მელკორის იერიშს. ხოლო ძლიერ ნუ შეიყვარებ ნახელავს და განზრახულს შენსას; მუდამ გახსოვდეს, ჭეშმარიტი ხსნა ნოლდორთა არს დასავლეთით და მოდის იგი ზღვით».

ულმომ ტურგონი გააფრთხილა, რომ მანდოსმა განაჩენი მასაც გამოუტანა და ულმო სასჯელისგან ვერ დაიხსნიდა.

«შესაძლებელ არს, ადრე თუ გვიან, შენც გიწიოს წყევლამ ნოლდორთა, დალატმა გაიღვიძოს კედელთა შენთა შინა. მაშინ ცეცხლს უფრთხოდნენ ნოლდორნი. უკეთუ საფრთხე ესე მართლაც მოგიახლოვდეთ, მოვა ნევრასტიდან ერთი ვინმე შენდა გასაფრთხილებად. და მისგან, ნგრევასა და ხანძარს შინა იშვება იმედი ელფთა და კაცთათვის. მაშ, დატოვე სახლსა ამას შინა საჭურველი და ხმალი, რათა იპოვოს მან ერთმან და ოდეს მოვიდეს შენთან, იცნო იგი და არა მოტყუვდე».

და უთხრა ულმომ ტურგონს, რამხელა უნდა ყოფილიყო მუზარადი, აბჯარი და ხმალი, რომელიც ვინიამარში უნდა დაეტოვებინა.

შემდეგ დაუბრუნდა ულმო ზღვას, ხოლო ტურგონმა გაგზავნა თავისი ხალხი გონდოლინს. ფინგოლფინის მიმდევარ ნოლდორთა მესამედი აიყარა ნევრასტიდან, სინდარნი კი უფრო მეტნი. ნაწილ-ნაწილ, ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ ისინი, ერედ უეთრინის ჩრდილქვეშ მალულად მიიპარებოდნენ და ასე უხილავად შეგროვდნენ გონდოლინში. არავინ უწყოდა, სად წავიდნენ ისინი. ბოლოს ტურგონი ადგა და თავის სახლეულობასთან უჩუმრად გადაიარა მთა-გორაკები, გაიარა კლდეკარები და სავალი გზები დაიხშო მის ზურგს უკან.

მრავალი წლის განმავლობაში არავის შეუღწევია იმ ფარულ ხეობაში გარდა ჰურიინისა და ჰუორისა; ხოლო ტურგონის ხალხი სამას ორმოცდაათ წელზე მეტს, ვიდრე მოთქმა-გოდების წლამდის, გარეთ აღარ გა-

მოსულა. მათათა რკალს შიგნით მრავლდებოდა და ყვაოდა ხალხი ტურგონის, დაუღალავად შრომობდნენ ისინი და გონდოლინი ამონ გუარეთს ზედა დამშვენდა და ჭუმმარიტად იქცა მსგავსებად ზღვისიქითა ტირიონისა. დიდი და თეთრი იყო მისი კედლები, გლუვი მისი კიბენი, მაღალი და მტკიცე კოშკი მეფისა. მზეზე ელვარებდნენ მისი მოხტუნავე შადრევანნი და ტურგონის ბაღებში იდგნენ სატებანი ძველ ხეთა, რომელნიც თავად ტურგონმა გამოკვეთა ელფური ოსტატობით. და ხეს ოქროსგან კვეთილს უწოდა გლინგალი, ხოლო ხეს ვერცხლისფოთლოვანს – ბელთილი. თუმცა, გონდოლინის საოცრებათაგან უმშვენიერესი იყო იდრილი, ასული ტურგონისა, რომელსაც კლებრინდალს, ვერცხლისფეხიანს უწოდებდნენ და რომლის თმაც ბზინავდა ოქროსფრად, ვითარცა ლაურელინი მელკორის მოსვლამდის. ამგვარად, დიდხანს ცხოვრობდა ტურგონი ნეტარებაში, ხოლო ნევრასტი დაცარიელდა და აღარავინ სახლობდა იქ ბელერიანდის განადგურებამდის.

ვიდრე გონდოლინს საიღუმლოდ აგებდნენ, ფინროდ ფელაგუნდი ნარგოთრონდის ღრმა დარბაზებში სახლობდა; ხოლო მისი და გალადრიელი, როგორც აღინიშნა, დორიათში, თინგოლის სამეფოში ცხოვრობდა. ხშირად საუბრობდნენ მელიანი და გალადრიელი ვალინორზე და გარდასულ დღეთა ნეტარებაზე; ხოლო უკეთუ ხეთა სიკვდილის შავი ჟამის უწინარეს დღეებს ახსენებდა მელიანი, ღუმდებოდა გალადრიელი. და ერთ დღეს უთხრა მას მელიანმა: «სადარდებელი გაგჩენიათ შენ და შენს ნათესავთ. ამას კი ვხედავ, სხვას ველარაფერს. რამეთუ ჩემი მზეურისა და აზრისთვის განუჭვრეტელ არს ყოველივე, რაც ყოფილა ან იქნება დასავლეთში. დაბურულ არს სრულიად ამანის მიწა და ჩრდილი ესე თვით ზღვასაც სწვდება. თავად რად არ მეტყვი უფრო მეტს?»

«იმად, რომ წარსულ არს სადარდებელი ესე», – უპასუხა გალადრიელმა, – «არა მსურს მოგონებებით ჩავიშხამო აქაური ბედნიერება. იქნებ გასაჭირი კვლავ წინ გველოდეს, თუმცა, იმელი ჯერაც კაშკაშებს».

მაშინ თვალელებში ჩახვდა მას მელიანმა და უთხრა: «არ მჯერა, ნოდორნი ვალართა მაცნეებად

მოსულიყვნენ, ვითარცა ითქვა. არც ჩვენი საჭიროების ჟამს მოსულან. რამეთუ არასოდეს ახსენებენ ვალარებს და არც რამ ცნობა მოუტანიათ თინგოლისთვის მანუესგან, ულმოსგან ან ოლუესგან, ძმისგან მეფისა და ზღვის გადაღმა წასული ხალხისგან. მითხარ, გალადრიელ, რად აყრილხართ დიდებულნი ნოლდორნი ამანის მიწიდან, ვითარცა განდევნილნი? ან რა ბოროტი აწევთ ძეებს ფეანორის, ასეთი მედიდურნი და ულმობელნი რომ გამხდარან? მითხარ, ხომ ახლოსა ვარ სიმართლესთან?»

«ახლოსა ხარ», – უპასუხა გალადრიელმა, – «ოღონდ დევნილნი როდი ვართ ნოლდორნი, ჩვენი ნებით ავიყარეთ და წამოვედით გარეშე ვალართა ნებართვისა: მორგოთზე შურის საძიებლად და ჩვენთვის მოპარულის წასართმევად».

შემდეგ მოუთხრო გალადრიელმა მელიანს ამბავი სილმარილებისა და ფორმენოსში მეფე ფინუეს მკვლელობისა; თუმცა, არაფერი უთქვამს ფიცის, ძმათაკვლისა და ლოსგარში ხომალდთა დაწვის შესახებ.

ხოლო მელიანმა უთხრა: «ბევრი რამ მიამბე, უფრო მეტსა ვჭვრეტ. ბნელით დაგიფარავთ ტირიონიდან გამოვლილი გრძელი გზა ნოლდორთ, მაგრამ ბოროტსა ვხედავ და თინგოლს უცილობლად უნდა ეუწყოს».

«ალბათ», – მიუგო გალადრიელმა, – «მაგრამ ჩემგან არა».

ამ საკითხებზე მელიანს გალადრიელთან აღარ ულაპარაკია; ხოლო მეფე თინგოლს სილმარილთა ამბავი მოუთხრო.

«თავად ნოლდორნი ვერა ხვდებიან, რაოდენ მნიშვნელოვან არს საქმე ესე; რამეთუ ნათელი ამანისა ფეანორის ნახელავში ინახება და ბედი არდისა მის სამკაულებთან არს გადაჯაჭვული. ხოლო ფეანორი უკვე მკვდარ არს და ვერც ერთი ელდართაგანი ველარაფერს შექმნის სილმარილთა დარს. მრავალი ბრძოლის შემდგომ თუ გამოვგლეჯთ მათ მორგოთს ხელიდან; დაიმსხვრევა ქვეყნიერება მათ გამო! ფეანორი და სხვა მრავალი უკვე შეიწირეს! ხოლო პირველი და არა უკანასკნელი

მსხვერპლი სიღმარილების იყო ფინუე, შენი მეგობარი! მორგოთმა განგმირა იგი, ვიდრე ამანიდან გაიქცეოდა!»

დაამწუხრა და დააღუმა თინგოლი მელიანის ცნობებმა და წინასწარმეტყველებამ. ბოლოს სიჩუმე დაარღვია და თქვა: «რა ხანია ვფიქრობ და ახლა ვხვდები დასავლეთიდან ნოლდორთა მოსვლის მიზეზს. ჩვენს დასახმარებლად როდი მოსულან (ეს დამთხვევა იყო); რამეთუ შუახმელეთის მკვიდრნი ვალართ ბედის ანაბარა დატოვეს და მხოლოდ უკიდურესი საჭიროების ჟამს დაეხმარებიან. შურის საძიებლად და წართმეულის დასაბრუნებლად მოვიდნენ ნოლდორნი. თუმცა, მით უფრო ერთგული მოკავშირენი იქნებიან მორგოთის წინააღმდეგ, რამეთუ ძნელად დასაჯრებელ არს, მასთან როდისმე პირი შეკრან».

ხოლო მელიანმა თქვა: «ჭეშმარიტად ეს იყო მათი მოსვლის მიზეზი; მაგრამ არსებობს სხვა მიზეზებიც. ფეანორის ვაჟებს უფრთხილდი! ვალართა რისხვის აჩრდილი გადაჰფენია მათ! ვგრძნობ, სიავე ჩაიღინეს მათ ამანს შინა და უბედურება დამართეს თავიანთ თანამოძმეთ. აღარ ქიშობენ ნოლდორთა უფლისწულნი და მთავარნი, მაგრამ არავინ უწყის, როდის გაიღვიძებს მტრობა მათ შორის».

თინგოლმა მიუგო: «მერედა, მე რა? ფეანორზე ოდენ გაკვრით მსმენია და ჭეშმარიტად დიადი ნოლდო ყოფილ არს იგი. მის ვაჟებზე მცირედი მესმის ჩემდა გასახარად. სამაგიეროდ, ჩვენი მტრის დაუძინებელი მტრები არიან».

«შესაძლებელ არს, ორი პირი ჰქონდეთ მათ ხმლებსა და რჩევებს», – თქვა მელიანმა; და ამ საკითხზე ბჭობა შეწყვიტეს.

მაღე სინდარებმა ჩურჩული დაიწყეს ნოლდორთა იმ საქმეებზე, რომელიც მათ ბელერიანდში გამოჩენამდე ჩაედინათ. ახლა ცხადია, ამ ხმებს ვინც ავრცელებდა და ავ სიმართლეს ტყუილებით ვინ წამლავდა, მაგრამ სინდარნი ჯერ არაფერს ეჭვობდნენ და ჭორების სჯეროდათ; როგორც მოსალოდნელი იყო, მორგოთმა სწორედ მათზე გადაწყვიტა პირველი იერიშის მიტანა, რამეთუ რუხი ელფები მას არ იცნობდნენ. რა შეიტყო კირდანმა ეს ავი ცნობები, შეწუხდა ფრიად: გონიერი იყო იგი და

მიხვდა, რომ გინდ მართალი ყოფილიყო ეს ხმები, გინდ – ტყუილი, მას, ვინც მათ ავრცელებდა, ავი განუზრახა. თუმცა, კირდანს თავიდან ეგონა, რომ ამ სიავის დამგვემავი ნათესავთა მოშურნე რომელიმე ნოლდო უფლისწული იყო. გაგზავნა კირდანმა მაცნენი თინგოლთან ამ ცნობების საუწყებლად.

ისე მოხდა, რომ იმჟამად თინგოლს ფინარფინის ვაჟნი სტუმრობდნენ, თავიანთი დის, გალადრიელის, სანახავად მისულიყვნენ. ძლიერ შეძრულმა თინგოლმა ბრაზით უთხრა ფინროდს: «ცუდი მიყავ, ნათესავო, რადგან მნიშვნელოვანი ცნობები დამიმალე. რამეთუ უკვე შევიტყვე ნოლდორთა ბოროტქმედებანი».

ხოლო ფინროდმა მიუგო: «ცუდი რა გიყავ, ჩემო მეუფევ? ან ნოლდორთ როდისა ქმნეს ბოროტი სამეფოსა შენსა შინა? არა გვიქმნია საქმე ბოროტი და არც გულში გაგვივლია ბოროტი ნათესავთა შენთა და ხალხის შენისა წინაშე».

«შენი გამკვირვებია, ფეანორის ძევ», – თქვა თინგოლმა, «დედაშენის ნათესავთა სისხლით დასვრილი ხელებით მიუჯექი სუფრას ნათესავის შენისა და თავი არც კი გაგიმართლებია, პატიებაც არ გითხოვია!»

მაშინ ძლიერ შეწუხდა ფინროდი, მაგრამ დადუმდა და აღარაფერი უთქვამს; რამეთუ ნოლდორთა სხვა მთავრების დადანაშაულების გარეშე ვერ იმართლებდა თავს, ხოლო თინგოლთან ამის გაკეთება არ

სურდა. ხოლო ანგროდს რა გაახსენდა კარანთირის სიტყვები, გამწარებულმა შესძახა: «მეუფევ ჩემო, არ ვიცი, სად რა ტყუილები მოისმინეთ, მაგრამ სისხლით დასვრილი ხელებით ჩვენ არ მოვსულვართ. უბრალონი ვართ, მხოლოდ ბრიყვნი, რამეთუ ულმობელ ფეანორს ვენდეთ და გამოვყევით. მისმა სიტყვებმა ღვინოსავით დაგვათრო და მცირე ხნით გაგვაბრუა. გზად ბოროტი არა გვიქმნია რა, თავად კი მრავალი ცუდი დაგმართეს; თუმცა, მივუტევეთ ავის მქმნელებს. ამისთვის ნოლდორნი ორპირებსა და ენის მიმტანებს გვიწოდებენ: სულ ტყუილად, რამეთუ კარგად მოგეხსენება, არაფერი გაგვიმხელია შენთვის და შენი

რისხვაც დავიტეხეთ თავს. კმარა, ამ ბრალდებებს ვეღარ ავიტანთ, სრულ სიმართლეს შეიტყობთ».

ანგროლმა ფეანორის ვაჟები დაადანაშაულა, შემდეგ თინგოლს აღქუალონდეში ძმათაკვლის, მანდოსის განაჩენისა და ლოსგარში ხომალდთა დაწვის შესახებ უამბო. დასასრულს, ხმამაღლა შესძახა: «რად უნდა გვეწოდოს ძმათამკვლელნი და ორგულნი მათ, ვინც ღრჭიალა ყინულის გადმოვლისას ვეწამეთ?»

«იმაღ, რომ მანდოსის აჩრდილი თქვენც გაფენიათ», – თქვა მელიანმა.

ხოლო თინგოლმა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა: «წადით! ბრაზისგან გულზე ცეცხლი მიკივია! სხვა დროს დაბრუნდით, თუკი ინებებთ. კარს არ მიუხურავ მე ჩემს ნათესავთ, რამეთუ უნებურად ქმენით ბოროტი. ფინგოლფინთან და მის ხალხთანაც არ გავწყვეტ მეგობრობას, რამეთუ მწარედ ზღვეს დანაშაულთა თავისთა გამო. დაე, განსაცდელთა ჩვენთა შემოქმედის სიძულვილით გავერთიანდეთ და დავივიწყოთ ეს გასაჭირი. ოღონდ ისმინეთ სიტყვები ჩემი! ამიერიდან აღარასოდეს მოვისმენ ენას იმათას, ვინც აღქუალონდეში ნათესავნი ჩემნი დახოცა! ნურც ჩემს სამფლობელოში იმეტყველებს ამ ენაზე ნურავინ! ყოველმან სინდარმან გაიგონოს ბრძანება ჩემი: ნუღარაფერს იტყვიან ნოლდორთა ენაზე და უკეთუ რამეს ჰკითხავენ, ნუ მიუგებენ. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, ძმათამკვლელად და ნათესავთა მოღალატედ გამომიცხადებია!»

გულდამძიმებულები წავიდნენ ფინარფინის ვაჟნი მენეგროთიდან, რამეთუ მიხვდნენ, რომ ახდებოდა მანდოსის წინასწარმეტყველება და ვერც ერთი ფეანორის მიმდევართაგანი ვერ გაექცეოდა წყევლას. ხოლო თინგოლის ბრძანება ასრულდა; დაემორჩილნენ სინდარნი მის სიტყვას და მას შემდეგ ბელერიანდში აღარ მეტყველებდნენ ნოლდორთ ენაზე; ხოლო მისგან, ვინც ნოლდორთა ენაზე ლაპარაკობდა, თავს შორს იჭერდნენ. შუახმელეთს შეხიზნულმა ნოლდორებმაც სინდართა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი, მხოლოდ მათი მთავარნი ესაუბრებოდნენ ერთმანეთს

დასავლეთის უზენაეს ენაზე. თუმცა, ენა იგი იქცა მეცნიერების ენად ყოველგან, სადაც კი ნოლდორნი სახლობდნენ.

ამასობაში ნარგოთრონდის მშენებლობა დასრულდა (იმხანად ტურგონი ჯერაც ვინიამარის დარბაზებში სახლობდა) და ფინარფინის ვაჟები იქ ლხინზე შეიკრიბნენ; დორიათიდან გალადრიელიც მოვიდა და ცოტა ხანს ნარგოთრონდში ცხოვრობდა. მეფე ფინროდ ფელაგუნდს ცოლი არ ჰყავდა და გალადრიელმა ამის მიზეზი ჰკითხა; ხოლო პასუხად იწინასწარმეტყველა ფინროდმა: «მეც დავდებ ფიცს და ვიქნები ეული, რათა აღვასრულო ფიცი და წავიდე წყვილიადში. არც ჩემი სამეფოსგან დარჩება რაიმე სამკვიდროდ».

როგორც ამბობენ, უწინ ასეთი გულცივი არასოდეს ყოფილა იგი; რამეთუ ამარიე ვანიართაგანს ჰყვარობდა; მაგრამ ამარიე ფინროდს არ გამოჰყვა და კურთხეულ მიწაზე დარჩენა არჩია.

თავი მეთექვსმეტე. ამბავი მაეგლინისა

არედელ არ-ფეინიელი, ნოდდორთა თეთრი ქალბატონი, ასული ფინგოლფინისა, ნევრასტში ტურგონთან – თავის ძმასთან ცხოვრობდა. შემდეგ მასთან ერთად დამალულ სამეფოში გადასახლდა. თუმცა, დაცულ ქალაქ გონდოლინში ყოფნა მალე მოჰბეზრდა, რამეთუ მინდორველად ხეტიალი და ტყეებში სეირნობა ეწადა, ვითარც ვალინორში სჩვეოდა; გონდოლინის დაარსებიდან ორასი წელი გამოხდა და დაელაპარაკა არედელი ტურგონს, წასვლის ნება სთხოვა მას. ტურგონს დის გაშვება არ სურდა და დიდხანს უარს ეუბნებოდა, ბოლოს დანებდა და უთხრა: «მაშ, წადი, თუმცა, გული მიგრძნობს, შენი წასვლა უბედურებას მოგვიტანს მეც და შენც. თუ წახვალ, ჩვენი ძმა ფინგონი მოძებნე, ხოლო მხლებელნი, რომელთაც თან გაგაყოლებ, უმალ გონდოლინში დაბრუნდნენ».

ხოლო არედელმა მიუგო: «მე შენი და ვარ და არა მხევალი. შენი სამფლობელოს საზღვრებს გარეთ, სადაც მომინდება, იქ წავალ. ხოლო თუ ჩემთვის მხლებელნი გენანება, სრულიად მარტო წავალ».

მაშინ ტურგონმა მიუგო: «რაც მაქვს, შენთვის არაფერს დავინანებ. მხოლოდ ის არ მსურს, ამ კედელთა მიღმა სახლობდეს ვინმე, ვისაც აქ მოსასვლელი გზა ეცოდინება. შენ კი გენდობი, დაო ჩემო, მაგრამ ნაკლებად მჯერა, რომ სხვები ენას კბილს დააჭერენ».

ტურგონმა თავისი სახლეულობის სამ დიდგვაროვანს დაავალა არედელის გაცილება და სთხოვა, თუ როგორმე დაარწმუნებთ, ჰითლუმში ფინგონთან მიიყვანეთო.

«ოლონდ გაფრთხილდით», – უთხრა მათ, – «მართალია, მორგოთი ჩრდილოეთში არის გამოკეტილი, მაგრამ შუახმელეთში მრავალი საფრთხეა, რომლებზეც თქვენმა ქალბატონმა არაფერი უწყის».

ასე წავიდა არედელი გონდოლინიდან. გული დასწყვიტა დასთან განშორებამ ტურგონს.

ხოლო როცა მდინარე სირიონზე ბრითიახის ფონს მიაღვნი, არედელმა უთხრა თანამგზავრებს: «სამხრეთით გავუხვიოთ და არა – ჩრდილოეთით, რამეთუ ჰითლუმში გამგზავრება არა მსურს; ფეანორის ძეთა, ჩემი ძველი მეგობრების ნახვა მწადაია».

ვინაიდან ვერაფრით გადაარწმუნეს, მხლებელნი მის ბრძანებას დამორჩილდნენ, სამხრეთით გაემართნენ და ღორიათში შესვლის ნებართვა ითხოვეს, მაგრამ საზღვრის მცველებმა არ გაატარეს; რამეთუ სარტყელის გადალახვის უფლებას არ აძლევდა თინგოლი ნოლდორთ, გარდა ფინარფინის სახლუელობისა, რომელნიც მისი ნათესავნი იყვნენ; მით უფრო არ შეუძებდა ღორიათში იგი ხალხს, ვინც ფეანორის ვაჟთა მეგობარი იყო. და ამის გამო საზღვრის მცველებმა უთხრეს არედელს: «კელეგორმის სამეფომდე, საითაც შენ მიემართები, ქალბატონო, თინგოლის სამფლობელოს გავლით ვერ გაგიშვებთ; მელიანის სარტყელს

ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან უნდა შემოუაროთ. უსწრაფესი და უმოკლესი გზა არის ბილიკნი, რომელნიც ბრითიახის აღმოსავლეთით, დიმბარის გავლით, ამ სამეფოს ჩრდილო საზღვრის გასწვრივ მიიწევს, ვიდრე ესგალდუინის ხილზე გაივლიდეთ და აროსის ფონს გახვიდოდეთ; ხოლო მდინარის გადაღმა ძვეს ჰიმრინგის ბორცვის უკან მდებარე მიწები და ვითარცა ამბობენ, სწორედ იქ სახლობენ კელეგორმი და კურუფინი; იმედია, მათ იპოვიოთ. თუმცა, გზა ხიფათით არის აღსავსე».

უკან გაბრუნდა არედელი და ღორიათის ჩრდილო საზღვარსა და ერედ გორგოროთის ურჩხულეებით დასახლებულ ხეობებს შორის გაუყვა სახიფათო გზას. ნან ღუნგორთების საზარელი მხარის მისადგომებთან მხედრებს წყვდიადში გზა დაებნათ, არედელი თანამგზავრებს ჩამორჩა და დაიკარგა. დიდხანს ამოდ ეძებდნენ მას, ვაითუ აბლაბულებში გაება ან მოწამლული წყაროს წყალი დალიაო; იმ ხეობებში მობინადრე უნგოლიანტის უმოწყალო ნაშიერებმა გაიღვიძეს და მათზე ნადირობას შეუდგნენ; არედელის მხლებლებმა თავს გაქცევით უშველეს. როცა საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდნენ და მომხდარის შესახებ განაცხადეს, გონ-

დოლინში მწუხარებამ დაისადგურა; ტურგონი დიდხანს იჯდა მარტო და დარდსა და სიბრაზეს მდუმარედ ებრძოდა.

ხოლო არედელმა, რაკი ამაოდ დაშვრა და ვერსად იპოვა თანამგზავრები, გზა განაგრძო, რამეთუ უშიშარი და გულადი იყო, ვითარცა ფინუეს ყოველი შვილი. სწორად დაკვალიანებულმა ესგალდუინი და აროსი გადაკვეთა და მივიდა აროსსა და კელონს შორის მდებარე ჰიმლადის მიწაზე, სადაც იმხანად, ვიდრე ანგბანდის ალყა გაირღვეოდა, კელეგორმი და კურუფინი სახლობდნენ. შინ არ დახვდნენ არედელს ისინი, კარანთირს გაჰყოლოდნენ თარგელიონში, აღმოსავლეთში. თუმცა, მათმა ხალხმა არედელი გულთბილად მიიღო და სთხოვა, ვიდრე ჩვენი მეუფენი დაბრუნდებიან, აქ დარჩითო. მცირე ხანს იქ ცხოვრობდა არედელი და ტყიან დაბლობებზე თავისუფლად სეირნობით ხარობდა, მაგრამ წელიწადი იწურებოდა, ხოლო კელეგორმი არ ბრუნდებოდა და კვლავ მოუსვენრობამ შეიპყრო; სულ უფრო შორს მიდიოდა იგი და გაუკვალავ ბილიკებსა და უცხო ველობებს დაეძებდა. და აი, ერთ დღესაც არედელი ჰიმლადის სამხრეთით, კელონის გადაღმა აღმოჩნდა და ნან ელმოთში გზა აებნა.

საუკუნეთა წინ, როცა ხეები ნორჩნი იყვნენ და შუახმელეთს ბინდი ეფინა, ამ ტყეში მელიანი დააბიჯებდა და მისი ჯადო კვლავაც მოქმედებდა ნან ელმოთის წიაღში. გაზრდილიყო და გამაღლებულიყო ხეები, ასეთი დაბურული ტყე ბელერიანდში სხვაგან არ იყო, მზის შუქი ვერ აღწევდა იქ. სწორედ ნან ელმოთში სახლობდა ეოლი, რომელსაც ბნელ ელფს უწოდებდნენ. ოდესღაც თინგოლის გვარს ეკუთვნოდა ეოლი, მაგრამ დორიათის სიმშვიდეში ცხოვრება მოჰბეზრდა და შფოთმა შეიპყრო და, როცა მელიანის სარტყლით შემოღობეს რეგიონის ტყე, მისი სამოსახლო, გამოიქცა და ნან ელმოთს შეაფარა თავი. ღამე და ვარსკვლავთა მკრთალი შუქი უყვარდა და სიბნელეში სახლობდა. ნოლდორებს თავს არილებდა, რამეთუ მორგოთის დაბრუნებასა და ბელერიანდის სიმშვიდის დარღვევას მათ აბრალებდა; ელფთა მოდგმას ჯუჯანი ბევრად ერ-

ჩივანა; სწორედ მისგან იგებდნენ ჯუჯები ცნობებს ელდართა სამეფოს შესახებ.

ჯუჯები ლურჯი მთებიდან ორი გზით ეშვებოდნენ აღმოსავლეთ ბელერიანდში. აროსის ფონისკენ

მიმავალი ჩრდილოეთის შარა ნან ელმოთის სიახლოვეს ჩაივლიდა; სწორედ იქ ხვდებოდა ეოლი ნაუგრიმთ და საუბარს უბამდა. თანდათან დაუმეგობრდა ჯუჯებს, ხანდახან ნოგროდსა და ბელეგოსტშიც სტუმრობდა მათ; ლითონის დამუშავების ხელოვნებას დაეუფლა მათგან და დაოსტატდა. ჯუჯური ფოლადივით მტკიცე ახალი ლითონი შექმნა; ის ლითონი ისეთი მოქნილი და დრეკადი იყო, რომ ეოლი მისგან თხელსა და მსუბუქ აბჯარს ქდავდა. მიუხედავად ამისა, ლითონი ნებისმიერ ხმალსა და ისარს უძლებდა. გაღვორნი უწოდა ეოლმა შავსა და გიშრისფრად მბზინავ ლითონს და როცა სადმე მიდიოდა, მუდამ მისგან გამოქვდილ აბჯარს აისხამდა ხოლმე. მიუხედავად სამჭედლო საქმეში გაწაფულობისა, ეოლი ჯუჯა როდი იყო, არამედ ტანმალალი ელფი წარჩინებულ ტელერთა ტომისა, პირქუმი, მაგრამ კეთილშობილი; უბნელეს წყვდიადს ჭვრეტდა მის თვალთა მზერა. და აჰა, შენიშნა ეოლმა ნან ელმოთის კიდესთან, მაღალი ხეების ქვეშ გზააბნეული არედელ არფეინიელი, ვითარცა თეთრი სხივი რომ კრთოდა მიმწუხრში. თვალწარმტაცი ეჩვენა იგი და მისი დაუფლება მოიწადინა. ჯადოში მოაქცია არედელი, რათა ტყიდან გზა ვერ გაეგნო, არამედ, პირიქით, მის საცხოვრისთან ახლოს მისულიყო. ტყის სიღრმეში იყო ეოლის სამჭედლო, დარბაზები და იქვე სახლობდნენ მისი მსახურნი, თავიანთი ბატონივით იღუმალნი და მდუმარენი. დაბოლოს, მისი სახლის კარს მიადგა დაღლილი არედელი, მიეგება ეოლი ქალს, თბილად მიესალმა და შინ შეიყვანა; იქვე დარჩა დიდხანს არედელი და ნათესავთ მის შესახებ დიდხანს აღარაფერი შეუტყვიათ, რამეთუ ცოლად შეირთო იგი ეოლმა.

არავინ ამბობს, რომ არედელი სრულიად წინააღმდეგი იყო ან ნან ელმოთში ცხოვრება ეჯავრებოდა. მართალია, ეოლის ბრძანებით, მზის შუქს გაურბოდა, მაგრამ ქმართან ერთად შორს და ბევრს დადიოდა ვარ-

სკვლავთა და ნამგალა მთვარის მკრთალ შუქზე; ხან მარტოც დასეირნობდა, ოღონდ ფეანორის ძეთა ან სხვა ნოლდორთა მოძებნას უკრძალავდა ცოლს ეოლი. არედელმა მას ნან ელმოთის წყვილიადში ვაჟი გაუჩინა და თავის გულში არედელმა ძეს ნოლდორთა ენაზე შეარქვა სახელი: ლომიონი, რაც ბინდის შვილს ნიშნავს. ხოლო მამამ ვაჟს მხოლოდ თორმეტი წლისას შეარქვა მამეგლინი, ანუ მზერამახვილი, რამეთუ შენიშნა, რომ მის ძეს უფრო გამჭოლი მზერა ჰქონდა და სიტყვათა ნისლში გახვეული აზრების მნიშვნელობის წაკითხვა ძალუძდა.

გაიზარდა და დავაჟკაცდა მამეგლინი, სახითა და აღნაგობით ნოლდორებს ჰგავდა, ხასიათითა და გონებით მამის ასლი იყო. სიტყვაძუნწი ხმას მხოლოდ მაშინ ამოიღებდა, თუ საქმე პირადად მას შეეხებოდა; ხოლო ხმა მისი შეძრავდა ნებისმიერ მსმენელს და დაამხოდა მედგარ მეტოქეს. ტანმაღალი და თმაშავი იყო იგი, თვალები მუქი ჰქონდა, მაგრამ ელვარე და გამჭრიახი ნოლდორთა მსგავსად, ხოლო კანი – თეთრი. ეოლთან ერთად ხშირად სტუმრობდა ჯუჯათა ქალაქებს ერედ ლინდონის აღმოსავლეთით; ხარბად ეუფლებოდა ცოდნას ნაუგრიმთაგან, ყველაზე მეტად კი მათათა წიაღში მადნეულის პოვნის ხელობას.

თუმცა, ამბობენ, მამეგლინს მამაზე ძლიერ დედა უყვარდაო; როცა ეოლი მიემგზავრებოდა, არედელი მამეგლინს გვერდით მოისვამდა და უყვებოდა ფინგოლფინის საგვარეულოს მთავართა და თავადთა დიდებასა და ბრწყინვალეობაზე ან მის ნათესავთა მიერ ელდამარში ჩადენილ საგმირო საქმეებზე. ამ

ყოველივეს მამეგლინი გულში ინახავდა, მაგრამ ყველაზე უფრო ტურგონის ამბებს იმახსოვრებდა და იმას, რომ ტურგონს მემკვიდრე არ ჰყავდა; რამეთუ ელენუე, მისი ცოლი ჰელკარაქსეს გადალახვისას დალუპულიყო და მხოლოდ ასული, იდრილ კვლებრინდალი დარჩენოდა მისგან ტურგონს.

ამ ამბების მოყოლისას არედელს ნათესავთა ხილვის სურვილი განუახლდა; უკვირდა, გონდოლინის ნათელი, მზის სხივთა შადრევნები და გაზაფხულის ქარიან ცათა ქვეშ გადაშლილი ტუმლადენის მწვანე

კორდი რამ მომაბეზრაო. გარდა ამისა, როცა მისი ქმარ-შვილი ჯუჯებს სტუმრობდა, ბინდში მარტო რჩებოდა. სწორედ დედის მოყოლილი ამბები გახდა მაეგლინისა და ეოლის მუდმივი დავის მიზეზი. არას-დიდებით არ უმხელდა არედელი შვილს ტურგონის ადგილსამყოფელს, არც მასთან მისასვლელ გზებს მიასწავლიდა, ხოლო მაეგლინი ხელსაყრელ დროს უცდიდა; ერთხელაც იქნება დედას საიღუმლოს გამოვტყუებ, ანდა მის დაუცველ აზრებს წავიკითხავო. ვიდრე ამას მოახერხებდა, ჯერ ახლოს მცხოვრებ ნათესავთა, ნოლდორთა ნახვასა და ფეანორთა ძებთან საუბარს ნატრობდა, მაგრამ როცა სურვილი მამას გაუმხილა, ეოლი განრისხდა.

«შენ ეოლის გვარისა ხარ, მაეგლინ, ძეო ჩემო», – თქვა მან, – «და არა გოლოდრიმთა. მთელი ეს მიწა ტელერთა მიწაა, არც მე და არც ჩემი ძე ძმათა მკვლელებთან, მომხდურებთან და ჩვენი სამშობლოს დამპყრობლებთან საქმეს არ დავიჭერთ. ან დამემორჩილები, ან ჯაჭვით შეგკრავ».

მაეგლინმა პასუხი არ გასცა, მამის სიტყვებს ცივად, დუმილით შეხვდა. იმ დღიდან მოყოლებული, ეოლთან ერთად ადარსად წასულა. ადარც ეოლი ენდობოდა მას.

ჯუჯათ შუაზაფხულის დღეს, როგორც სჩვეოდათ, ნოგროდში ლხინ-ზე მიიწვიეს ეოლი და ისიც გაემგზავრა. მაეგლინსა და დედამისს საშუალება მიეცათ თავისუფლად ევლოთ. ხშირად დასეირნობდნენ ტყის კიდესთან და მზის შუქს დაეძებდნენ; მაეგლინის გულში ნან ელმოთის სამუდამოდ დატოვების სურვილი დვივდებოდა და უთხრა არედელს: «ჩემო ქალბატონო, ხომ არ წავიდეთ, სანამ დრო არის? რა დაგვრჩენია ამ ტყეში მე და შენ? საპყრობილეში ვართ გამოკეტილი და ვერანაირ სარგებელს ვეღარ ვნახავ აქ; რამეთუ ვისწავლე ყოველივე, რაც მამას ჰქონდა ჩემთვის სასწავლი ან ნაუგრიმთ გამიმხილეს. წავიდეთ, გონდოლინი მოვძებნოთ! შენ მიმეგზურებ, მე კი დაგიცავ!»

გაიხარა არედელმა და სიამაყით შეხედა თავის ვაჟს; ეოლის მსახურთ დაუბარეს, ფეანორის ვაჟთა სანახავად მივდივართო და ნან ელ-

მოთის ჩრდილოეთ კიდისკენ გასწიეს. იქ კელონის ვიწრო ნაკადი გადაკვეთეს, ჰიმლაღში გადავიდნენ და დასავლეთით, აროსის ფონისკენ, ღორიათის ღობის გასწვრივ დაიძრნენ.

უფრო ადრე დაბრუნდა ეოლი აღმოსავლეთიდან, ვიდრე მაველინი ელოდა და ცოლ-შვილი ორი დღის წასული დაუხვდა. ძლიერ განრისხებული დღის შუქსაც კი არ მოერიდა, მყისვე მათ დაედევნა. როცა ჰიმლაღში დადგა ფეხი, მრისხანება დაიოკა და გზა ფრთხილად განაგრძო, რამეთუ საფრთხე ემუქრებოდა

– კელეგორმი და კურუფინი ძლევამოსილი მმართველნი იყვნენ და ეოლი დიდად არ მოსწონდათ; უფრო მეტიც, კურუფინი ერთობ ფიცხი იყო. ამასობაში აგლონელმა მზვერავებმა აროსის ფონისკენ მიმავალი არედელი და მაველინი შენიშნეს და კურუფინს აცნობეს; კურუფინს გულმა უგრძნო, უჩვეულო ამბები უნდა დატრიალდესო, ვიწრობით სამხრეთიდან გამოვიდა და ფონთან ახლოს დაბანაკდა. ღრმად არ შესულიყო ეოლი ჰიმლაღში, როცა კურუფინის მხედრებმა გადაუჭრეს გზა, შეიპყრეს და თავიანთ ბატონს მიჰგვარეს.

და უთხრა კურუფინმა ეოლს: «რამ მოგიყვანა ჩემს მიწაზე, ბნელო ელფო? უთუოდ საშური საქმე გამოგჩენია, მზის მოძულე დღის შუქზე რომ დაიარები!»

ეოლმა საფრთხის შიშით შეიკავა ავი სიტყვები, რომელთაც მსწრაფლ გაუელვეს გონებაში. ასე მიუგო: «შემიტყვია, მეუფე კურუფინ, რომ ვაჟი ჩემი და ცოლი ჩემი, თეთრი ქალბატონი გონდოლინისა, შენს სანახავად წამოსულან, ვიდრე შინ არ ვიყავი. მართებულად მივიჩინე ოჯახს ჩემსას შევერთებოდი».

მაშინ კურუფინმა დასცინა ეოლს და უთხრა მას: «შენთან ერთად რომ მოსულიყვნენ, ისეთ გულთბილ დახვედრას ვერ ეღირსებოდნენ, როგორსაც ელოდნენ. თუმცა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რამეთუ მათ სულ სხვა საქმე ჰქონიათ. ორი დღეც არ გასულა, რაც აროსიანზე გადავიდნენ და იქიდან დასავლეთით გაეშურნენ. როგორც ჩანს, მატყუებდნენ თავად მოგატყუეს».

ხოლო ეოლმა მიუგო: «მაშინ, მეუფევ ჩემო, ნება მომეცით, წავიდე და სიმართლე დავადგინო».

«ნებას გრთავ, წახვიდე», – უთხრა კურუფინმა, – «რაც უფრო მალე მოშორდები ჩემს სამფლობელოს, მით უფრო გამახარებ, რამეთუ არ მიყვარხარ».

ცხენზე ამხედრდა ეოლი და თქვა: «კარგია, მეუფე კურუფინ, როცა გასაჭირის ჟამს კეთილი ნათესავი დახმარების ხელს გამოგიწვდის. ამას გავიხსენებ, როცა დავბრუნდები».

პირქუში მზერა მიაპყრო კურუფინმა ეოლს და უთხრა: «ცოლისა შენის წოდებით კი ნუ მეტრაბახები! ისინი, ვინც ნოლდორთა ასულებს იტაცებენ და უნებართვოდ და ძღვენთა გარეშე ირთავენ ცოლად, ცოლთა ნათესავებს როდი უნათესავდებიან. წასვლის ნება დაგრთე, ჰოდა, სწრაფად გამეცალე. ელდართა რჯულის მიხედვით, ახლა შენი მოკვლის უფლება არ მაქვს. კიდევ ერთს გირჩევ: ნან ელმოთის წყვდიადში შენს სახლში დაბრუნდი; გული მიგრძნობს, თუ მათ დაეღვენები, ვისაც აღარ უყვარხარ, შინ დაბრუნება აღარ გეღირსება!»

სასწრაფოდ გაეცალა კურუფინს ეოლი და ზიზღით აღივსო ნოლდორთა მიმართ; მიხვდა იგი, რომ მაეგლინი და არედელი გონდოლინისკენ მიიჩქაროდნენ. გაბრაზებული და შერცხვენილი გავიდა აროსის ფონს და ცოლ-შვილის კვალს დაადგა; მართალია, მღევრის შესახებ არაფერი უწყოდნენ არედელმა და მაეგლინმა. ეოლს მათზე სწრაფი ცხენი ჰყავდა და ბრითიანთან დაეწია მათ. ფონთან ცხენებიდან ჩამოხტნენ დედა და შვილი და სწორედ ამ დროს უმუხთლა მათ ბედმა: მათმა ცხენებმა დაიჭიხვინეს. ესმა ჭიხვინი ეოლის რაშს და მყისვე იქით გაქუსლა. შორიდან დაინახა ეოლმა არედელის თეთრი სამოსი და დაიმახსოვრა მთებში მიმავალი საიღუმლო ბილიკი.

გონდოლინის გარეთა კარიბჭეს მიადგნენ არედელი და მაეგლინი და წინ მთისქვეშეთის შავი მცველები გადაეღობნენ. სიხარულით შეხვდნენ მათ, შვიდ კარიბჭეში გაატარეს და ამონ გუარეთზე აიყვანეს ორი-

ვე. ძლიერ გააოცა მეფე არედელის ნაამბობმა და კმაყოფილმა შეხედა დისწულ მანგლინს; ნოლდო უფლისწულთა სწორად მიიჩნია იგი.

«ჭემმარიტად მახარებს არ-ფეინიელის გონდოლინში დაბრუნება», – თქვა ტურგონმა, – «მასთან ერთად უფრო მშვენიერი იქნება ჩემი ქალაქი; ხოლო მანგლინს დიდ პატივს მიაგებენ მთელ სამეფოში».

ქედი მოიდრიკა მანგლინმა და თავის ბატონად და მეფედ აღიარა ტურგონი; მერე კი დადუმდა, რადგან ნეტარება და ბრწყინვალება გონდოლინისა იყო იმაზე აღმატებული, ვიდრე დედის მონაყოლიდან წარმოედგინა. გააკვირვა ქალაქის სიმტკიცემ, მცხოვრებთა სიმრავლემ და მრავალმა უჩვეულო და მშვენიერმა რამემ, რაც იქ იხილა. თუმცა, ყველაზე მეტად გვერდით მჯდარი მეფის ასული იდრილი იზიდავდა მის მზერას; რამეთუ დედამისის ნათესავთა – ვანიართა მსგავსად ოქროს-თმიანი იყო იდრილი და მზესავით ანათებდა სეფედარბაზში.

არედელის კვალდაკვალ მავალმა ეოლმა დამშრალ მდინარესა და საიდუმლო ბილიკს მიაგნო და კარიბჭესთან მიიპარა. იქ მცველებმა შეიპყრეს და დაჰკითხეს. ეოლი ამტკიცებდა, არედელის ქმარი ვარო და გაოგნებულმა მცველებმა მალემსრბოლი გაგზავნეს ქალაქში. მალემსრბოლი მეფეს ეახლა.

«მეუფევ ჩემო», – შესძახა მალემსრბოლმა, – «ბნელ კარიბჭესთან მცველებმა უცნობი შეიპყრეს. ეოლი მქვიაო, ასე იძახის, ტანმადალი ელფია იგი, შავგვრემანი და პირქუში, სინდართა ტომისა; თუმცა, ამტკიცებს, ქალბატონი არედელი ჩემი ცოლი არისო და მასთან მიყვანას ითხოვს. ძლიერ განრისხებულია და ძლივს ვაკავებთ; არ მოგვიკლავს, რამეთუ გვეკრძალება თქვენგან».

ხოლო არედელმა თქვა: «ვაგლახ! ვშიშობ, ეოლი უკან გამოგვყვა. უჩუმრად დაგვდევენებია. საიდუმლო გზაზე მდევრის ხმა არ გავგიგონია». მერე მალემსრბოლს მიუტრიალდა: «სიმართლეს ამბობს. მართლაც ეოლი ჰქვია, მე კი მისი ცოლი ვარ; მამაა იგი ჩემი ვაჟისა. ნუ მოკლავთ, აქ მოიყვანეთ, დაე, განსაჯოს მეფემ, თუკი ინებებს».

ასეც მოიქცნენ. ეოლი ტურგონს მიჰგვარეს და მისი მაღალი ტახტის წინ დააყენეს. ამაყად და კუმტად იყურებოდა იგი, თუმცა, თავისი ვაჟივით, ისიც გააოცა იქ დანახულმა. უფრო მეტი ბრაზითა და ზიზღით

განიმსჭვალა ნოლდორთა მიმართ. ხოლო ტურგონი ღირსეულად მოეპყრო, წამოდგა და ხელი გაუწოდა: «სალამი, ნათესავო, რამეთუ ამაღ მიმაჩნიხარ. აქ დასახლდი და იცხოვრე შენს ნებაზე, ოღონდ ჩემს სამეფოს ველარ დატოვებ; რამეთუ კანონისა ჩემის მიხედვით, ვინც აქაურობას მოაგნებს, აქედან ველარ წავა».

ხოლო ეოლმა ხელი უკან წაიღო და თქვა: «მე შენს კანონს არა ვცნობ. არც შენ და არც შენს რომელიმე ნათესავს არც აქ და არც სხვაგან სამეფოთა მითვისებისა და საზღვრების დაწესების უფლება არ გაქვთ. ტელერთ ეკუთვნით ეს მიწები, რომელთაც თქვენი ქედმაღლობითა და უსამართლობით ომი და მღელვარება დაატეხეთ თავს. თქვენი საიდუმლოებანი მე არ მადარდებს და არც თქვენს დასაზვერად მოვსულვარ, მხოლოდ ჩემი საკუთრების დაბრუნება მსურს. ჩემი ცოლ-შვილი შინ უნდა წავიყვანო. ხოლო თუ დასა შენსა არ გამატან, რაკი ძმა ხარ და ამის უფლება გაქვს, დაე, დარჩეს აქ. დაუბრუნდეს ჩიტი გალიას, უწინდელივით მალე მოჰბეზრდება და დაამწუხრებს აქ ჯდომა. ხოლო მაეგლინს მე წავიყვან, მას ვერ წამართმევ. წამოდი, მაეგლინ, ძევ ეოლისა! მამა გიბრძანებს. დატოვე ეს სახლი მტერთა შენთა და ძმათა მკვლელთა, ანდა წყეულ იყავ!»

მაეგლინმა პასუხი არ გასცა.

მაშინ ტურგონი თავის მაღალ ტახტზე დაჯდა, სამეფო კვერთხს ხელი მოჰკიდა და მკაცრად თქვა: «არ შეგედავები, ბნელო ელფო. მხოლოდ ნოლდორთა ხმლები იცავენ შენს უმზეო ტყეებს. ნათესავთა ჩემთა წყალობით დაეხეტები თავისუფლად იმ შენს ტევრში და თუ არა ნოლდორნი, ანგბანდის ჯურღმულებში მოგიწევდა მონური შრომა. ხოლო მე ვარ მეფე და მოგწონს თუ არა, ჩემი სიტყვა არის კანონი. უნდა აირჩიო: ან აქ დასახლდები, ან აქ მოკვდები. შენი ვაჟისთვისაც ამასვე გეტყვი».

თვალეებში უშიშრად ჩახედა ეოლმა ტურგონ მეფეს, მაგრამ დიდხანს ხმა არ ამოუღია და ფეხი არ მოუცვლია; მდუმარება გამეფდა სეფე-დარბაზში. დაფრთხა არედელი, იცოდა რა, რომ მისი ქმარი საშიში იყო. უეცრად, გველივით სხარტად, მოსასხამის ქვეშ დამალული ხელშუბი გამოიღო ეოლმა და ესროლა მათეგლინს ყვირილით: «მამ, სიკვდილს ვირჩევ ჩემთვისაც და ჩემი ვაჟისთვისაც! ჩემს საკუთრებას ვერ ეღირსები!»

ვაჟს არედელი გადაეფარა და შუბი მხარში დაეძგერა. ეოლი მცველებმა შეიპყრეს, შებორკეს და სეფედარბაზიდან გაათრიეს, სხვებმა არედელს უმკურნალეს. მათეგლინმა ჩუმი მზერით გააცილა დატყვევებული მამა.

დათქვეს, რომ მეორე დღეს მეფე ეოლს განაჩენს გამოუტანდა. არედელმა და იდრილმა ტურგონს ეოლის შეწყალება შესთხოვეს. თუმცა, სალამოს, მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობა მცირე ჩანდა, ავად გახდა არედელი, ბნელში დაინთქა და ღამით გარდაიცვალა. მოწამლული იყო ხელშუბის წვერი, მაგრამ მეტისმეტად გვიან მიხვდნენ მკურნალნი.

ამის გამო, როცა ეოლი ტურგონის წინაშე წარდგა, ვერ პოვა მოწყალება. წაიყვანეს იგი კარაგდურისკენ, გონდოლინის ბორცვის მარცხენა ფერდზე მდგარი შავი კლდის შვერილისკენ, რათა გადაეგდოთ ქალაქის ციცაბო კედლიდან. მათეგლინი მდუმარედ იდგა და არაფერს ამბობდა. ბოლოს ეოლმა დაუყვირა: «მამ, დაუტევებ მამას შენსა და ნათესავთა შენთა, ავადშობილო ძევ! აქ გაგიცრუვდება ყოველი იმედი და აქვე მოკვდები ჩემსავით!»

კლდიდან გადააგდეს ეოლი და სამართლიანად მიიჩნიეს მისი აღსასრული გონდოლინში; თუმცა, იდრილი შეწუხდა და მას შემდეგ აღარ ენდობოდა თავის ნათესავს. ხოლო მათეგლინმა ფრიალ გაითქვა სახელი გონდოლინდრიმთა შორის, მრავალნი აქებდნენ და ტურგონი დიდად აფასებდა მას; რამეთუ სწრაფად და ბეჯითად სწავლობდა იგი და სხვასაც ასწავლიდა; მჭედელნი და მალაროელნი შემოიკრიბა გარს და ეხორიათის (გარემომცველი მთების) წიაღში მრავალ ლითონთა საბადო აღმოაჩინა. განსაკუთრებით ფასეულად მიაჩნდა ეხორიათის ჩრდილო-

ეთში ნაპოვნი მტკიცე რკინის მადანი; ანგაბარის მაღაროში მოპოვებული რკინით უფრო მტკიცესა და ბასრ საჭურველს უჭედავდა გონდოლინდრით, რაც ფრიად გამოადგათ ომის დღეებში. ბრძენი მრჩეველი და წინდახედული იყო მაეგლინი, ხოლო გასაჭირის ჟამს – მეღვარი და გულადი, რაც შემდგომში თვალნათლივ დადასტურდა: რამეთუ ნირნაეთ არნოედიადის საშინელ წელს ტურგონმა კარები გახსნა და ჩრდილოეთში ფინგონის დასახმარებლად გაემართა, ხოლო მაეგლინი გონდოლინში მეფისნაცვლობას როდი დათანხმდა, არამედ ტურგონის მხარდამხარ საომრად წავიდა და ბრძოლაში დაამტკიცა თავისი სისასტიკე და სიმამაცე.

ბედი სწყალობდა მაეგლინს, ნოლდო მთავართა თანასწორად იქცა იგი, ნოლდორთა ყველაზე სახელგანთქმული სამეფოს მეორე კაცად მეფის შემდგომ. თუმცა, გულს არავის უხსნიდა მაეგლინი და, მართალია, ყოველივე ისე როდი იყო, როგორც მას სურდა, მაინც არაფერს ამბობდა; ოდენ მცირედნი თუ კითხულობდნენ საგულდაგულოდ დამალულ მის აზრებსა და სურვილებს, და ამ მცირეთა შორის იყო იდრილ კელებრინდალი. გონდოლინში მისვლის დღიდან გულით დაატარებდა სევდას მაეგლინი; ეს სევდა დღითი დღე იზრდებოდა და სიხარულისგან ცლიდა მის სულსა და გულს; იდრილის მშვენიერებას მოეხიბლა იგი და უიმედოდ შეჰყვარებოდა მეფის ასული. თუმცა, ელდარნი ახლო ნათესავზე არ ქორწინდებოდნენ და არც მსგავსი სურვილი გასჩენოდა უწინ რომელიმეს. ხოლო იდრილს დიდად არ უყვარდა მაეგლინი და ხვდებოდა რა, რომ მამიდაშვილი მასზე ფიქრობდა, ის მცირედი სიყვარულიც უნელდებოდა. რამეთუ ეჩვენებოდა იდრილს (და მას აქეთ ყოველ ელდას ამის მტკიცედ სწამდა), რომ მაეგლინის მისდამი უჩვეულო და მახინჯი ლტოლვა იყო ავი ნაყოფი ძმათაკვლისა, რომლითაც ნოლდორებმა მანდოსის წყევლა დაიტეხეს თავს და უკანასკნელი იმედი გადაიწურეს. წლები გადიოდა, მაგრამ მაეგლინს თვალი ეჭირა იდრილზე და იცდიდა, ხოლო სიყვარული წყვდიადად იქცა მის გულში. ჟინის დაკმა-

ყოფილებას სხვა საქმეებით ცდილობდა, შრომასა და სირთულეებს არ ერიდებოდა, ოღონდაც ამით უფრო მეტად გაძლიერებულიყო.

ამგვარად ჩაისახა ბოროტი გონდოლინში მისი ნეტარებისა და ტურგონის სამეფოს დიდების ჟამს.

თავი მეჩვიდმეტე. ამბავი დასავლეთში კაცთა მოსვლისა

გამოხდა სამას წელზე მეტი ნოლდორთა ბელერიანდში დასახლებიდან და ხანგრძლივი მშვიდობის ჟამს, ფინროდ ფელაგუნდი, მეუფე ნარგოთრონდისა, ფეანორის ვაჟებთან, მაგლორთან და მაედროსთან ერთად სანადიროდ გაემგზავრა სირიონის აღმოსავლეთით. დაიღალა ნადირის დევნით ფინროდი და გაემართა ერედ ლინდონის მბზინვარე მთებისკენ, რომელნიც შორიდან შენიშნა. ჯუჯათა გზით გადავიდა გელიონს გადაღმა სარნ ათრადის ფონთან, სამხრეთით გაუხვია მდინარე ასკარის ზემოწელთან და ჩრდილოეთ ოსირიანდში აღმოჩნდა.

მთების ძირას, თალოსის წყაროების ქვემოთ, ბინდგადაფენილ ხეობაში სინათლე დაინახა და შორიდან სიმღერა მოესმა. ამან ძლიერ გააკვირვა, რამეთუ ამ მხარეში მცხოვრები მწვანე ელფნი ცეცხლს არ ანთებდნენ და არც ღამღამობით მღეროდნენ. თავიდან იფიქრა, ორკთა რაზმს ჩრდილოეთის ალყა გაურღვევიაო, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა მომღერალთ, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ისინი არც ორკები იყვნენ და არც ჯუჯები, რამეთუ ენა მათი უცხო იყო და არასოდეს გაეგონა. ხეთა ჩრდილში მადლობზე ჩუმად მდგარი ფელაგუნდი შეკრებილთა ბანაკს დააცქერდა და უჩვეულო ხალხი დაინახა.

ეს იყო ნაწილი კაცთა მოდგმისა, რომელიც ბელადს, ბეორ უხუცესს (როგორც მას შემდგომ უწოდეს) გამოჰყოლოდა. აღმოსავლეთში მრავალწლიანი ხეტიალის შემდეგ ბეორს ლურჯ მთებზე გადმოეყვანა თავისი მიმღევარნი და კაცთაგან პირველად სწორედ მათ დადგეს ფენი ბელერიანდში; მღეროდნენ კაცნი, რამეთუ უხაროდათ და სჯეროდათ, ხიფათს თავი დავაღწიეთ და, ბოლოს და ბოლოს, უსაფრთხო მხარე ვიპოვეთო.

დიდხანს უცქერდა მათ ფელაგუნდი და კაცთა მიმართ სიყვარული აღეძრა გულში; მაგრამ ხეთა ქვეშ იმალებოდა და არ გამოსულა, ვიდრე ყველას არ დაეძინა. მძინარე კაცთ გამოერია იგი, ჩამოჯდა მინავლე-

ბულ კოცონთან, რომელიც უყურადღებოდ დაეტოვებინათ. აიღო უხეში არფა ბეორისა და დაუკრა მუსიკა საამური, რომლის მსგავსიც არასოდეს სმენოდა ყურს კაცისას. რამეთუ არავინ ჰყავდათ კაცთ მასწავლებელი მუსიკის ხელოვნებისა გარდა ველურ მხარეებში მოსახლე ბნელი ელფებისა.

გაიღვიძეს კაცთ და უსმენდნენ ფელაგუნდის დაკვრასა და მღერას; ყოველას ეგონა, რომ სიზმარში იყო, სანამ გვერდით მსხდარ მღვიძარე ამხანაგებს დაინახავდნენ. თუმცა, არ განძრეულან და არც ხმა ამოუღიათ, რამეთუ მოიხიბლნენ მუსიკის მშვენიერებითა და ფელაგუნდის ტკბილი სიმღერით. ბრძნული იყო სიტყვები ელფი მეფის სიმღერისა და, ვინც მას მოუსმინა, დაბრძენდა თავადაც; რამეთუ ნამღერი მისი, შექმნა არდისა და ნეტარება ამანისა ბინდგადაფენილი ზღვის გადაღმა, კაცთა თვალწინ ცოცხლდებოდა ვითარცა ნათელი ხილვა, ხოლო ელფურ მეტყველებას გონებაში თითოეული შეძლებისდაგვარად თარგმნიდა.

და ამგვარად, მეფე ფელაგუნდს, პირველ ელდართაგანს, რომელსაც შეხვდნენ, უწოდეს ადამიანებმა სახელად ნომი, რაც მათ ენაზე სიბრძნეს ნიშნავს, ხოლო ფელაგუნდის ხალხს უწოდეს ნომინნი, ბრძენნი. თავიდან ეგონათ, რომ ფელაგუნდი ვალა იყო, ვინაიდან გაკვრით სმენოდათ, ვალარები შორეულ დასავლეთში ცხოვრობენო; ზოგის აზრით, სწორედ მათ მოსაძებნად აიყარნენ კაცი აღმოსავლეთიდან. ხოლო ფელაგუნდი დასახლდა კაცთა შორის და ქეშმარიტება შეასწავლა; შეიყვარეს კაცთა ამის გამო, თავიანთ ბატონად გაიხადეს და მას შემდეგ მუდამ ფინარფინის საგვარეულოს ერთგულნი იყვნენ.

ელდარნი სხვა ხალხებზე უკეთ ეუფლებოდნენ უცხო ენას; ხოლო ფელაგუნდმა აღმოაჩინა, რომ კაცთა გონებაში წვდომა ძალუძდა და წინასწარ ხვდებოდა, რომელ აზრთა გამოთქმას ლამობდნენ; და ამიტომაც მათ სიტყვებს იოლად თარგმნიდა. იმასაც ამბობენ, მათათა აღმოსავლეთით კაცი ბნელ ელფებთან მეგობრობდნენ და მეტყველება დიდწილად მათგან ისწავლესო; და ვინაიდან, ქუენდთა ენას ერთი ძირი

ჰქონდა, ბეორისა და მისი ხალხის მეტყველება სიტყვებითა და აგებულებით ძლიერ ჰგავდა ელფთა ენასო. მალე ფელაგუნდმა ბეორთან გასაუბრება შეძლო და, ვიდრე მათთან ცნოვრობდა, ბევრ რამეზე ილაპარაკეს. თუმცა, როცა ფელაგუნდი კაცთა გაღვიძებასა და მათ მოგზაურობაზე ჰკითხავდა, ბეორი მოკლედ პასუხობდა. სინამდვილეში ბევრი არაფერი იცოდა, რამეთუ მისი ხალხის წინაპართ გარდასულ დღეთა შესახებ თქმულებები ცოტა შემოენახათ და მოსაგონარი არა ჰქონდათ რა.

«ჩვენ უკან სიბნელეა», – თქვა ბეორმა, – «და მას ზურგი ვაქციეთ; იქ დაბრუნებაზე ფიქრიც არა გვსურს. დასავლეთისკენ მიგვიწევს გული და გვწამს, რომ სინათლეს იმ მხარეს ვიპოვით».

შემდგომ ელდარნი ჰყვებოდნენ, როცა მზის პირველი ამოსვლისას ადამიანებმა ჰილდორიენში გაიღვიძეს, მორგოთის ფხიზლად მოდარაჯე მზვერავებმა მყისვე შეიტყვეს და უმალ ბატონს აცნობესო; იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია ეს მოვლენა მორგოთმა, რომ წყვილიადის საფარქვეშ უჩუმრად გამოვიდა ანგბანდიდან და აღმოსავლეთით გაემართა, ხოლო ომის სარდლობა საურონს დაავალა. იმხანად მორგოთისა და კაცთა ურთიერთობის შესახებ არაფერი უწყოდნენ და მოგვიანებითღა შეიტყვეს მცირედი; თუმცა, ის, რომ კაცთა გულებს ბნელი ეფინა (ვითარცა ძმათაკვლისა და მანდოსის წყევლის ჩრდილი – ნოლდორთ), ელფთა მეგობარ კაცთა ტომებს ელდარებმა ცხადად შეატყვეს. ყოველივე ახლისა და მშვენიერის წაბილწვა და განადგურება მუდამ იყო მორგოთის უმთავრესი მიზანი; და უთუოდ კაცთა გადაგვარებასაც ლამობდა: დაშინებითა და ტყუილებით ეცდებოდა ელდართა წინააღმდეგ კაცთა ამხედრებას და აღმოსავლეთიდან ბელერიანდზე თავდასხმას. თუმცა, მისმა მცდელობებმა სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო და მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწია; რამეთუ მცირერიცხოვანნი იყვნენ კაცნი თავიდან, ხოლო მორგოთი ელდართა გაძლიერებამ და ერთობამ დააფრთხო; იგი ანგბანდში დაბრუნდა, ხოლო აღმოსავლეთში ნაკლებ ძლევამოსილი და ცბიერი მსახურები დატოვა.

ფელაგუნდმა ბეორისგან შეიტყო, რომ დასავლეთით მათსავით მოაზროვნე სხვა კაცებიც მოემართებოდნენ.

«ჩემმა სხვა თანამოდმეებმაც გადმოლახეს მთები», – თქვა მან, – «შორიახლო დაეხეტებიან; ხოლო ჰალადინნი, კაცი, რომელნიც ჩვენებურად არ მეტყველებენ, კვლავაც მათა აღმოსავლეთ კალთების ხეობებში უცდიან ცნობებს, ვიდრე დაიძვრებიან. არიან სხვანიც, რომელთა ენა ჩვენსას ძლიერ ჰგავს და ხანდახან მათთან საქმე დაგვიჭერია. ისინი უფრო ადრე გამოემართნენ დასავლეთით, მაგრამ მრავალრიცხოვანნი არიან და ნელა მოდიან და ჩვენ გავასწარით. ერთი ბელადი ჰყავს ტომს მათსას და მარაზს უწოდებენ თავიანთ ბელადს».

კაცთა გამოჩენამ ოსირიანდელი ელფნი შეაწუხა და, რა შეიტყვეს, ზღვის გადაღმიდან მოსულ ელდართა მეუფე მათ შორის არისო, ელჩები გაუგზავნეს ფელაგუნდს.

«მეუფევ ჩვენო», – უთხრეს ელჩებმა ფელაგუნდს, – «უკეთუ ახალმოსულნი სიტყვასა თქვენსა შეისმენენ, სთხოვეთ მათ, დაბრუნდნენ იქ, საიდანაც მოსულან, ან გზა განაგრძონ. რამეთუ არა გვსურს, უცხოელთ დაგვირღვიონ მყუდროება. ხოლო ესენი არიან ხის მჭრელნი და მონადირენი და ვერ ვიქნებით მათი მეგობარნი; უკეთუ ნებით არ წავლენ, ძალით გავყრით».

მაშინ ფელაგუნდის რჩევით შეკრიბა ბეორმა დაფანტული ნათესავნი და თანატომელნი და გადავიდნენ გელიონს გადაღმა. ამროდისა და ამრასის სამფლობელოში, ნან ელმითის სამხრეთით, დორიათის საზღვრებთან ახლოს, კელონის აღმოსავლეთ ნაპირზე დაიდეს ბინა. მას შემდეგ იმ ადგილას ესტოლადს, ბანაკს უწოდებდნენ. გამოხდა ერთი წელი და ფელაგუნდმა შინ დაბრუნება გადაწყვიტა, ხოლო ბეორმა სთხოვა, მეც წამიყვანეო. ფელაგუნდი ასეც მოიქცა. ბეორი სიცოცხლის ბოლომდე ნარგოთრონდის მეფის სასახლის კარზე მსახურობდა. სწორედ ამიტომ უწოდეს ბეორი, მანამდე ბალანი ერქვა. ხოლო ბეორი კაცთა ენაზე ვასალს ნიშნავს. თავის ხალხის გამგებლად ბეორმა უფროსი ძე ბარანი დატოვა. თავად ესტოლადში აღარ დაბრუნებულა.

ფელაგუნდის წასვლიდან მცირე ხანში კაცთა სხვა ტომებიც მოვიდნენ ბელერიანდში. პირველად ჰალადინნი გამოჩნდნენ, მაგრამ ვინაიდან მწვანე ელფნი მტრულად შეხვდნენ, ჩრდილოეთით გაუხვიეს და ფვანორის ძის, კარანთირის ქვეყანაში, თარგელიონში დასახლდნენ. კარგა ხანს მშვიდად ცხოვრობდნენ, კარანთირის ხალხი მათ დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მომდევნო წელს მარახი გადმოუძღვა მთებზე თავის ხალხს; მალეები იყვნენ ისინი და მეომრებივით რაზმებად დაყოფილნი მოაბიჯებდნენ. ოსირიანდელი ელფნი დაემალნენ მათ და გზაზე არ გადაღობებინან. ხოლო მარახმა, რა შეიტყო ამ მწვანე და ნაყოფიერ მიწაზე ბეორის ხალხი სახლობსო, ჯუჯათა გზით დაეშვა და ბარან ბეორის ძის საცხოვრებლის სამხრეთითა და აღმოსავლეთით დაფუძნდა. დამეგობრდა მარახისა და ბარანის ორი ტომი.

ფელაგუნდი ხშირად სტუმრობდა კაცთ; დასავლეთ სამეფოთა ელფნიც, ნოლდორნიცა და სინდარნიც, გაემგზავრნენ ესტოლადში სანახავად კაცთა, რომელთა მოსვლას დიდხანს ელოდნენ. ატანნი, მეორედ მოსულნი, ეწოდებოდათ ადამიანებს ვალინორულ წინასწარმეტყველებაში, ხოლო ბელერიანდელ ელფთა

ენაზე ეს სახელი ედაინნად გადაიქცა. თუმცა, ბელერიანდში ასე მხოლოდ ელფთა მეგობარ კაცთა სამ ტომს უწოდებდნენ.

ყოველი ნოლდოს მეფემ – ფინგოლოფინმა ელჩები გაუგზავნა მათ და მეგობრობა შესთავაზა. მრავალი ძალ-ღონით აღსავსე ახალგაზრდა ედაინთაგანი ჩადგა ელდართა მეფეთა და მბრძანებელთა სამსახურში, მათ შორის, მალახი, ძე მარახისა; თოთხმეტი წელი ცხოვრობდა ის ჰითლუმში, ელფთა ენა შეისწავლა და არადანი შეარქვეს.

ესტოლადში დიდხანს არ ყოფილან მშვიდად ედაინნი, მრავალ მათგანს კვლავ დასავლეთში მიუწევდა გული, ოღონდ გზა არ იცოდნენ, წინდორიათი ეღობებოდათ, სამხრეთით – მდინარე სირიონი და მისი გუჰალი ჭაობები. მაშინ ნოლდორთა სამი საგვარეულოს მეფემ, რაკი იმედიანად განეწყვნენ კაცის ძეთა მიმართ, აცნობა მათ, ნებისმიერ ადანს უფლებას ვაძლევთ ჩვენს ხალხთა შორის დასახლდესო. ასე დაიწყო

ელაინთა მიგრაცია: თავიდან მცირე ჯგუფებად მიდიოდნენ, თანდათან ოჯახები და გვარები აიყარნენ ესტოლადიდან. ორმოცდაათი წლის შემდეგ მრავალი ათასი მათგანი ცხოვრობდა ნოლდორთა სამეფოებში. თავიდან გზები არ იცოდნენ და ჩრდილოეთის გრძელ ბილიკებს მიუყვებოდნენ. ბეორის ხალხი ღორთონიონში ფინარფინის საგვარეულოს სამფლობელოში დასახლდა, არადანის ხალხის (მამამისი მარახი სიცოცხლის ბოლომდე ესტოლადში დარჩა) უმეტესობა დასავლეთში წავიდა; ნაწილი ჰითლუმში მივიდა, მაგრამ მაგორი, ძე არადანისა და მისი მიმდევარნი სირიონს დაუყვნენ და მცირე ხნით ერედ უეთრინის სამხრეთი კალთების ხეობებსა და ხევებში დასახლდნენ.

როგორც ამბობენ, ფინროდ ფელაგუნდის გარდა, ნოლდორთა არც ერთ მთავარს არ უკითხავს აზრი მეფე თინგოლისთვის. ხოლო თინგოლი უკმაყოფილო იყო ამის გამოც და კიდევ იმადაც, რომ კაცთა მოსვლის შესახებ უსიამოვნო სიზმრები აწუხებდა დიდი ხნით აღრე, ვიდრე ელაინნი პირველად გამოჩნდებოდნენ. ბრძანება გასცა მან, რომ ჩრდილოეთის გარდა არსად დასახლებულიყვნენ კაცნი, ხოლო მათ ბელადებს პასუხი ეგოთ ქვეშევრდომთა ყოველ ქმედებაზე. ასე განაცხადა მან: «ვიდრე გრძელდება ზეობა ჩემი, ღორიათში კაციშვილი ვერ დადგამს ფეხს, მათ შორის, არც ბეორის სახლის კაცნი, რომელნიც ფინროდს მსახურობენ». მელიანს მაშინ მისთვის არაფერი უთქვამს, ხოლო მოგვიანებით გალადრიელს ეს უთხრა: «დიდი მოვლენები უახლოვდება ქვეყნიერებას. ერთი კაცთაგანი, ბეორის სახლიკაცი, მოვა და მელიანის სარტყელი ვერ შეაკავებს, რამეთუ ბედისწერა, ჩემს ძალაზე უძლიერესი, გამოგზავნის მას. ხოლო სიმღერები, რომელთაც მისი გამოჩენის შემდეგ შეთხზავენ, გასტანენ დიდხანს, ვიდრე შუახმელეთი სამუდამოდ არ შეიცვლება».

ესტოლადშიც მრავლად დარჩნენ კაცნი და ერთმანეთში შერწყმული სხვადასხვა ტომი დიდხანს ცხოვრობდა იქ, ვიდრე ბელერიანდის დაქვევით დამფრთხალნი კვლავ აღმოსავლეთში გაიქცეოდნენ. საქმე ის არის, რომ გარდა მოხუცებულთა, რომელთაც მომთაბარეობის ძალა და

სურვილი აღარ შერჩენოდათ, არცთუ მცირე იყო რიცხვი ახალგაზრდათა, რომელთაც საკუთარი გზით წასვლა ეწადათ;

ეშინოდათ მათ ელდართა და მათი მოელვარე თვალებისა. ასე დაიწყო განხეთქილება ელანთა შორის და ამაში უეჭველად მორგოთის ხელი ერია, რამეთუ კარგად უწყოდა მან კაცთა ბელერიანდში გამოჩენისა და ელფებთან დამეგობრების ამბავი.

შფოთის მოთავენი იყვნენ ბერეგი ბეორის სახლიდან და ამლახნი, მარახის შვილიშვილთაგანი; უკმაყოფილებას არ მალავდნენ ისინი: «გრძელი გზა გამოვიარეთ, რათა შუახმელეთის საფრთხეებსა და მის ბინადარ ბნელ ქმნილებებს გავრიდებოდით და გვეპოვა დასავლეთის ნათელი, რომელზეც ბევრი გვსმენოდა. ახლა კი შევიტყვეთ, რომ ეს ნათელი ზღვის გადაღმაა და იქ, სადაც ღმერთნი ნეტარებაში ცხოვრობენ, ჩვენთვის გზა არის დახშული. მხოლოდ ერთი მათგანი, ბნელი მეუფე დგას აქ ჩვენ წინაშე და მას ელდარნი, ბრძენნი, მაგრამ უღმობელნი, ებრძვიან. როგორც ამბობენ, ჩრდილოეთში ზეობს ბნელი მეუფე და სწორედ იქ სუფევს ტკივილი და სიკვდილი, რომელსაც გამოვექვებით. იქით ნუ წავალთ!»

მაშინ მრავალი კაცი შეიკრიბა და ბჭობა გამართეს. ელფთა მეგობრებმა მიუგეს ბერეგს: «ჭეშმარიტად ბნელი მეფისგან მოდის ბოროტებანი, რომელთაც გამოვექვებით; ხოლო ის მთელი შუახმელეთის დაპყრობას ლამობს, ვერსად გავექვევით, თუ არ დავამარცხებთ, ან ალყაში არ მოვაქცევთ! ოდენ ელდართა სიმამაცე აკავენ მას და იქნებ სწორედ გასაჭირში მათდა შემწედ მოგვავლინა ამ მხარეში ბელისწერამ?»

ხოლო ბერეგმა თქვა: «დაე, მასთან ელდარებმა იომონ! ისედაც ხანმოკლეა ჩვენი სიცოცხლე».

მაშინ წამოდგა ერთი ვინმე, რომელიც ყველამ ამლახად, იმლახის ძედ მიიჩნია, და წარმოთქვა სასტიკი სიტყვები, რომელთაც ყოველ მსმენელს გული გაუყინა: «ეს მხოლოდ ელფური თქმულებებია, უცოდინარ ახალმოსულთა მოსატყუებელი ზღაპრები. ზღვას ნაპირი არ აქვს. არანაირი ნათელი არ არის დასავლეთში. ელფთა მონაჩმახს ქვეყნიე-

რების კიდისკენ მიჰყვებით! რომელიმე თქვენგანს თუ გინახავთ თუნდ ერთი ღმერთი? ჩრდილოეთის ბნელი მეუფისთვის ვის მოგიკრავთ თვალი? ეს ელდარნი აპირებენ შუახმელეთზე გაბატონებას. სიმდიდრეს დახარბებულნი ღრმად იქექებოდნენ მიწის საიდუმლოებებში, მიწისქვეშა არსებები გააღვიძეს და მათი რისხვა დაიტეხეს თავს. მუდამ ამას აკეთებდნენ და მუდამ ამას იზამენ. დაე, ორკებს დაუთმონ მათი სამეფონი, ხოლო ჩვენ – ჩვენი საკუთარი. ამქვეყნად ყველა დავეტევიტ, თუ ელდარნი დაგვანებებენ!»

გაოგნებისგან ხმა ჩაუვარდათ მის მსმენელთ და შიშის აჩრდილი გადაეფარათ გულზე; ელდართა მიწებიდან აყრა გადაწყვიტეს. თუმცა, შემდგომ ამლახი დაბრუნდა მათ შორის და უარყო, თათბირს არ დასწრებივარ და არც ეგ სიტყვები მითქვამსო. დაიბნენ და გაოცდნენ კაცნი. მაშინ ელფთა მეგობრებმა თქვეს: «ახლა ეს მაინც დაიჯერეთ, რომ მართლაც არსებობს ბნელი მეუფე და მისი მსტოვარნი და მზვერავები ჩვენ შორის არიან; რამეთუ გვიფრთხის და ეშინია, რომ მტერნი მისნი არ გავაძლიეროთ».

ხოლო ზოგიერთმა მიუგო მათ: «კი არ გვიფრთხის, არამედ ვძულვართ და მით უფრო შეგვიძულებს, რაც უფრო დიდხანს დავრჩებით აქ და ელდართა მეფეებთან მის ჩხუბში ჩავერევიტ, რომლიდანაც კაცნი ვერანაირ სარგებელს ვერ ვპოვებთ».

ამგვარად, ესტოლადში დარჩენილთაგან მრავალი გადასასახლებლად გაემზადა; ბერეგი ბეორის ათასობით ხალხს გაუძღვა სამხრეთით და გაუჩინარდნენ ისინი იმ ხანის სიმღერებიდან. ხოლო ამლახმა შეინანა და თქვა: «ახლა უკვე ჩემი დავა მაქვს სიცრუეთა ოსტატთან და სიცოცხლის ბოლომდე შევებრძოლები!»

ჩრდილოეთში წავიდა ამლახი და მადროსის სამსახურში ჩადგა. ხოლო ბერეგის მომხრე მისმა ხალხმა ახალი წინამძღოლი აირჩია, მთები გადაიარა და ერიადორში დაბრუნდა. ყველამ დაივიწყა ისინი.

მთელი ეს ხანი ჰალადინნი თარგელიონში მშვიდად ცხოვრობდნენ. ხოლო მორგოთი, დარწმუნდა რა, რომ სიცრუისა და ცბიერების მეშვეო-

ბით ელფთა და კაცთა სრულად განცალკევებას ვერ ახერხებდა, მრისხანებამ მოიცვა და გადაწყვიტა, ყველანაირად ევნო კაცთათვის. მარბიელი ორკნი შეკრიბა მან; ორკთა რაზმმა აღმოსავლეთიდან შემოუარა მელაყეებს, ჯუჯათა გზებით პარვით გადმოიარეს ერედ ლინდონი, კვლავ დასავლეთში დაბრუნდნენ და კარანთირის სამფლობელოს სამხრეთ ტყეებში ჰალადინთ თავს დაესხნენ.

ერთი მმართველი არ ჰყავდათ ჰალადინთ, გაფანტულნი იყვნენ, ოჯახები ცალკე ცხოვრობდნენ და თავიანთ საქმეებს თვითონ აგვარებდნენ. კარგა ხანი დასჭირდათ გასაერთიანებლად. მათ შორის ერთი გულადი კაცი იყო, სახელად ჰალდადი, რომლის სიტყვასაც დიდად აფასებდნენ. შემოიკრიბა მან მამაცი თანატომელნი და ასკარსა და გელიონს შორის მდებარე მიწაზე გამაგრდა. მდინარიდან მდინარემდე გადღობეს მათ თავიანთი თავშესაფარი და ქალებთან და ბავშვებთან ერთად გაიხიზნენ. კუთხეში მიმწყვდეულნი დიდხანს იყვნენ ალყაში, ვიდრე საჭმელი არ გამოეღიათ.

ჰალდადს ტყუპი ქალ-ვაჟი ჰყავდა: ჰალეთი და ჰალდარი. ორივე მაცურად იბრძოდა, რამეთუ გულადი და ღონიერი ქალი იყო ჰალეთი. ბოლოს, ალყის გარღვევის მცდელობისას დაიღუპა ჰალდადი, ხოლო ჰალდარი, როცა მამის ცხედრის პატივის აყრისგან დახსნას ცდილობდა, მის გვერდით აჩეხეს. მაშინ ჰალეთი ჩაუდგა ხალხს სათავეში. ბევრი მათგანი უიმედოდ იყო და მდინარეში ირხრჩობდა თავს. შვიდი დღის შემდეგ კვლავ შეუტიეს ორკებმა მათ და მესერი გაარღვიეს, მაგრამ უცერად საყვირების გუგუნი გაისმა; ჩრდილოეთიდან კარანთირი და მისი ლაშქარი დაეშვა და ორკები მდინარეებში ჩაყარეს.

ახლა კი კეთილად შეხედა კარანთირმა მამაც კაცთა მოდგმას და დიდი პატივი მიაგო ჰალეთს და მამისა და ძმის სიკვდილის საზღაურად შესთავაზა: «თუ აიყრებით და შორეულ ჩრდილოეთში წამოხვალთ, ელდართა მეგობრობასა და მფარველობას დაიმსახურებთ და თავისუფალ მიწებს – დასასახლებლად».

ხოლო ჰალეთი ამაყი იყო და სხვისი მსახურება არ სურდა. ჰალადინ-
თა უმეტესობაც მისებრ ფიქრობდნენ. მადლობა გადაუხადა მან კარან-
თირს, მაგრამ მიუგო: «უკვე გადავწყვიტე, მეუფევ ჩემო, გამოვიდე მთა-
თა ჩრდილიდან და გავემართო დასავლეთში, საითაც თანამოძმენი
ჩვენნი წავიდნენ».

შეკრიბა ჰალეთმა მოთარეშე ორკთაგან ტყეში მიმოფანტული და
დამალული ჰალადინნი, შეაგროვა ყოველი ქონება, რაც ხანძარსა და
ნგრევას გადარჩენოდა და ხალხს ესტოლადისკენ გაუძღვა. ცოტა ხანს
სახლობდნენ იქ, მაგრამ სხვებისგან განირჩეოდნენ და ელფნი მათ ჰა-
ლეთის ტომის ხალხს უწოდებდნენ. სიკვდილამდე მათი ბელადი იყო
ჰალეთი, მაგრამ არასოდეს გათხოვილა და ტომის ბელადობა მისი სიკ-
ვდილის შემდეგ მისგან ძმისწულ ჰალდანს გადაეცა. ხოლო მალევე ჰა-
ლეთმა უფრო დასავლეთით წასვლა მოისურვა; წინააღმდეგი იყო მისი
ხალხის უმეტესობა, მაგრამ მაინც გაჰყვნენ ბელადს. ელდართა დახმა-
რებისა და მეგზურობის გარეშე მიდიოდნენ ისინი, კელონი და აროსი გა-
დაიარეს და საზარელ მთებსა და მელიანის სარტყელს შორის მდებარე
სახიფათო მხარეში აღმოჩნდნენ. ის მხარე მაშინ ჯერ ისეთი საშიში არ
იყო, როგორც შემდგომ გახდა, მაგრამ მოკვდავ კაცთათვის ის გზა-ბი-
ლიკნი მეტად ძნელი სავალი იყო. მართლაც გაუჭირდათ და მრავალი
დაიდუპა იმ მსვლელობისას. ჰალეთს მტკიცე ნების გამოვლენა დასჭირ-
და, რათა ხალხი გზის გაგრძელებაზე დაეთანხმებინა. როგორც იქნა,
ბრითიანის ფონს გავიდნენ და მრავალმა ინანა, რად წამოვედითო.
თუმცა, უკან ვეღარ გაბრუნდებოდნენ და ახალ მიწებზე ცხოვრებას შე-
უდგნენ; ტეიგლინს მიღმა ტალათ დირნენის ტყეებში დასახლდნენ, ხო-
ლო ზოგიერთი უფრო შორს, ნარგოთრონდის სამეფოში წავიდა. უფრო
მეტი, ვინაიდან ჰალეთი ძლიერ უყვარდათ, იქ მიდიოდა, საითაც ბელა-
დი გაუძღვებოდა. მისი წინამძღოლობით ტეიგლინსა და სირიონს შო-
რის მდებარე ბრეთილის ტყეში დასახლდნენ. იმ ტყეშივე შეგროვდნენ
ჰალეთის დაფანტული თანამოძმენი შემდგომში, ბელერიანდის შავ-
ბნელ დღეებში.

ბრეთილი მეფე თინგოლის სამეფოს ნაწილად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მელიანის სარტყელში არ იყო მოქცეული. თინგოლი ჰალეთს ტყეში დასახლებაზე უარს ეტყოდა, მაგრამ ფელაგუნდმა, რომელიც მეგობრობდა თინგოლთან, შეიტყო რა, რამდენი განსაცდელი გამოევლო ჰალეთის ხალხს, მათთვის მეფისგან ნებართვა მოიპოვა; ოღონდ ბრეთილის ტყეში თავისუფლად ცხოვრების სანაცვლოდ ჰალეთის ხალხს ელდართა მტრებისგან ტეიგლინის გადასალახი უნდა დაეცვა და არც ერთი ორკი ტყეში არ შეეშვა. ამაზე ჰალეთმა მიუგო: «სად არიან ჰალდადი, მამა ჩემი და ჰალდარი, ძმა ჩემი? თუ დორიათის მეფე იმას შიშობს, ჰალეთი მისი სისხლისა და ხორცის შთანმთქმელთ შეეკვრებაო, მაშინ უცხო ყოფილა კაცთათვის ელდართა ზრახვანი».

სიკვდილამდე ბრეთილში სახლობდა ჰალეთი; ტყის მადლობებში მწვანე გორასამარხი აღუმართა მას მისმა ხალხმა, ტურ ჰარეთა, ქალბატონის ყორღანი, ანუ ჰაულ-ენ-არუენი სინდართა ენაზე.

ასე დასახლდნენ ელაინი ელდართა მიწებზე, ზოგი აქ, ზოგი იქ, ზოგი მომთაბარეობდა, სხვანი გვარებად და მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ. მრავალმა სწრაფად შეისწავლა რუხ ელფთა ენა, რომელსაც ერთმანეთში სასაუბრო საერთო ენად იყენებდნენ; და თან, ელფთა ცოდნას ეუფლებოდნენ. მალე ელფთა

მეფენი მიხვდნენ, რომ ელფთა და კაცთა უწესრიგოდ ცხოვრება არ ივარგებდა და ადამიანებს საკუთარი მმართველები სჭირდებოდათ, ამიტომ გამოუყვეს კაცთა ტომებს მიწები, სადაც თავისუფლად იცხოვრებდნენ და დაუნიშნეს მათ ბელადები მმართველებად. კაცნი ელდართა მოკავშირენი იყვნენ, მაგრამ საომრად თავიანთი სარდლების მეთაურობით გამოდიოდნენ. თუმცა, მრავალი ელაინთაგანი მეგობრობდა ელფებთან და, თუ ელფნი ნებას დართავდნენ, მათ შორის ცხოვრობდნენ. ხოლო კაცთა ახალგაზრდა მეომრები ხშირად მსახურობდნენ ელფ მეფეთა ლაშქრებში.

ჰადორ ლორინდოლი, ძე ჰათოლისა, ძისა მაგორისა, ძისა მალახ არადანისა, ყმაწვილობისას ფინგოფლინის სახლის სამსახურში ჩადგა

და მეფემ ძლიერ შეიყვარა. ფინგოლფინმა მას სამფლობელოდ დორ-ლომინი უბოძა. იმ მხარეში შეკრიბა ჰადორმა თავის ნათესავთა და ხალხის უმეტესობა და ედაინთა ძლევა მოსილ ბელადად იქცა. მის სახ-ლში მხოლოდ ელფთა ენაზე ლაპარაკობდნენ; მაგრამ საკუთარი ენა არ დავიწყებიათ და შემდგომ მისგან ნუმენორელთა ენა წარმოიშვა. ხოლო დორთონიონში ბეორის ხალხსა და ლადროსის მხარეს განაგებდა ბო-რომირი, ძე ბორონისა, შვილიშვილი ბეორ უხუცესისა.

ძენი ჰადორისა იყვნენ გალდორი და გუნდორი; ხოლო ძენი გალდო-რისა იყვნენ ჰურინი და ჰუორი და ძე ჰურინისა იყო ტურინი წყევლა გლა-ურუნგისა; და ძე ჰუორისა იყო ტუორი, მამა ეარენდილ დალოცვილისა. ძე ბორომირისა იყო ბრეგორი, რომლის ვაჟები იყვნენ ბრეგოლასი და ბარაჰირი; და ძენი ბრეგოლასისა იყვნენ ბარაგუნდი და ბელეგუნდი. ასული ბარაგუნდისა იყო მორუენი, დედა ტურინისა, ხოლო ასული ბე-ლეგუნდისა იყო რიანი, დედა ტუორისა. ხოლო ძე ბარაჰირისა იყო ბე-რენ ცალხელა, ვინც მოიპოვა სიყვარული ლუთიენისა, თინგოლის ასუ-ლისა და აღდგა მკვდრეთით; მათ შვეს ელუინგი, ცოლი ეარენდილისა, ნუმენორის ყოველ მეფეთა წინაპრისა.

ნოლდორთა ხვედრი მათაც გაიზიარეს; ხოლო დიად საქმეთ, მათ რომ ჩაიდინეს, ელდარნი დღესაც იხსენებენ უძველეს მეფეთა მატთანე-ებში. კაცთა მოდგმასთან კავშირით გაძლიერებულ ნოლდორებს იმედი მიეცათ. მორგოთის ირგვლივ ალყა შემჭიდროვდა, რამეთუ ჰადორის ხალხი სიცივესა და ხანგრძლივ მგზავრობას არ უფრთხობდა და მტერზე სათვალთვალოდ ჩრდილოეთში ღრმად მიდიოდნენ. კაცთა სამი ტომი მრავლდებოდა და ყვაოდა, ხოლო უდიდესი მათ შორის იყო საგვარეუ-ლო ელფ მბრძანებელთა თანასწორი ჰადორ ოქროსთმიანისა. ღონიე-რი და ტანმაღალი იყო მისი ხალხი, გამჭრიახი, მამაცი და შეუდრეკელი, ფიცხი და ლაღი. მათგან უმეტესობა ყვითელთმიანი და ლურჯთვალეა იყო; ხოლო ტურინი, რომლის დედა იყო მორუენი ბეორის გვარიდან, სხვებს არა ჰგავდა. ბეორის სახლიკაცთ შავი ან წაბლისფერი თმა და რუ-ხი თვალეები ჰქონდა; კაცთაგან ყველაზე მეტად ისინი ჰგავდნენ ნოლ-

დორთ და ნოლდორთაც გამორჩეულად უყვარდათ; რამეთუ გონიერნი და ხელმარჯვენი იყვნენ, სწრაფად სწავლობდნენ და ნასწავლი დიდხანს ახსოვდათ, დაცინვას თანაგრძნობა ერჩივნათ. მათ ჰგავდა ტყეში მცხოვრები ჰალეთის ხალხი, მაგრამ ისინი უფრო ტანდაბალნი და სწავლებას ნაკლებად მოწყურებულნი იყვნენ. ბევრი ლაპარაკი და ხალხმრავლობა არ უყვარდათ; განმარტობაში პოვებდნენ ნეტარებას და უდარდელად დაეხეტებოდნენ მწვანე ტყეებში და ელდართა სამეფობის საოცრებათა ცქერით ტკებოდნენ. თუმცა, დასავლეთში მათ დიდხანს არ უცხოვრიათ და ხანმოკლე იყო მათი ბედნიერება.

ბელერიანდში მისვლის შემდეგ კაცნი უფრო დღეგრძელნი გახდნენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ბეორ უხუცესიც გარდაიცვალა ოთხმოცდაცამეტი წლისა, რომელთაგან ორმოცდაოთხი მეფე ფელაგუნდის სამსახურში გაატარა. და როცა განისვენა ბეორმა, განა ჭრილობისგან ან მწუხარებისგან, არამედ სიბერისგან, პირველად იხილეს ელდართ, რაოდენ სწრაფად ილეოდა სიცოცხლე კაცთა და შეიცნეს სიკვდილი დადლილობისგან, რომელიც უცხო იყო მანამდე ელფთათვის. ძლიერ განიცდიდნენ მეგობართა დაკარგვას. ხოლო ბეორმა ნებით დათმო სიცოცხლე და მშვიდობით გარდაიცვალა; ელდართ აკვირვებდა კაცთა უჩვეულო ხვედრი, რამეთუ გადმოცემებში მსგავსი არაფერი სმენოდათ.

სწრაფად ეუფლებოდნენ ელაინნი ელდართაგან ყველა ხელობასა და ცოდნას, რომლის მიღებაც ხელეწიფებოდათ; და მათი ძეები განსწავლულობითა და ოსტატობით აღემატებოდნენ მათთა აღმოსავლეთით მცხოვრებ სხვა კაცთა ტომებს, რომელთაც არასოდეს ენახათ ელდარნი და არც ვალინორის ნათელის მხილველთა სახეებისთვის შეევილოთ თვალი.

თავი მეთვრამეტე. ამბავი ბელერიანდის დაქცვისა და ფინგოლფინის დაცემისა

იხილა ფინგოლფინმა, ჩრდილოეთისა და ყოველ ნოლდორთა უზენაესმა მეფემ, რომ გამრავლდა და გაძლიერდა მისი ხალხი და კაცნი ბევრნი და მამაცნი ემხრობოდნენ ნოლდორთ და კვლავ მოინდომა ანგბანდზე თავდასხმა. კარგად უწყოდა ფინგოლფინმა, ვიდრე სრულად არ მოექციათ ალყაში ანგბანდი, საფრთხე ემუქრებოდათ, რამეთუ შეუფერხებლად მუშაობდა მორგოთი ღრმა მიწისქვეშეთში და რა ახალ ბოროტებას შექმნიდა და მოუვლენდა ქვეყნიერებას, ვერავინ განჭვრეტდა. ბრძნულად განსაჯა ფინგოლფინმა თავისი ცოდნის კვალობაზე; რამეთუ ნოლდორთ არაფერი უწყოდნენ მორგოთის ძლიერებაზე და ვერც იმას ხვდებოდნენ, რომ გინდაც ეჩქარათ ან შეყოვნებულიყვნენ, ვალართა დახმარების გარეშე ომში მარცხისთვის იყვნენ განწირულნი. ვრცელი და მშვენიერი იყო მათი სამეფოები, ნოლდორნი თავიანთ ყოფას არ უჩიოდნენ და ეგონათ, სამუდამოდ ასე გაგრძელდებოდა; ამიტომ არ ჩქარობდნენ ანგბანდზე შეტევას, რომელშიც მრავალი მათგანი დაიღუპებოდა, მიუხედავად გამარჯვებისა თუ დამარცხებისა. ფინგოლფინის მოწოდება ბევრმა არ იღო ყურად, მით უფრო ფეანორის ვაჟებმა. ნოლდო მთავართა შორის მხოლოდ ანგროდი და ავენორი ფიქრობდნენ მსგავსად მეფისა; რამეთუ თანგოროდრიმთან ახლოს სახლობდნენ ისინი და მორგოთისგან მომავალი საფრთხე წამითაც არ ავიწყდებოდათ. ამგვარად, ფინგოლფინის გეგმა ვერ შესრულდა და ბელერიანდში კიდევ ცოტა ხანს მშვილობა სუფევდა.

ბეორისა და მარახის შემდგომ კაცთა მეექვსე თაობა ვაჟკაცდებოდა და ოთხას ორმოცდამეთხუთმეტე წელი იწურებოდა ფინგოლფინის მოსვლიდან, როცა უეცრად ბელერიანდს ისეთი საზარელი უბედურება დაატყდა თავს, ფინგოლფინი უბნელეს ფიქრებშიც რომ ვერ წარმოიდგენდა. დიდხანს ეშზადებოდა ომისთვის მორგოთი ყველასაგან უჩუმრად, გული ღვარძლით ევსებოდა და უფრო და უფრო სძულდა ნოლ-

დორნი. არა მხოლოდ მტრებისთვის ბოლოს მოღება სწადდა მას, არამედ განადგურება და აოხრება ნოლდორთა მიერ მისაკუთრებული და დამშვენებული ქვეყნების. როგორც ამბობენ, სიძულვილმა გონება დაუბნელა მორგოთს, თორემ კიდეც ცოტა ხანს რომ დაეცადა და გეგმები ბოლომდე განეხორციელებინა, ნოლდორებს მთლიანად გაჟღეჭდა. თავისდა სამწუხაროდ, მორგოთმა ელფთა სიმამაცე არ გაითვალისწინა, ხოლო კაცნი საერთოდ სათვალავში არ ჩააგდო.

დადგა ზამთარი, როცა ღამე ბნელი და უმთვარო იყო; ცივ ვარსკვლავთა ქვეშ ნოლდორთა მალღობზე მდგარი საგუშაგო სიმაგრეებიდან თანგოროდრიმის ძირამდე გადაჭიმულ არდ-გალენის ვრცელ ველს ბინდი გადაჰფენოდა. გუშაგთა კოცონი ძლივს ბჟუტავდა და დარაჯთა რაოდენობაც ძალზე მცირე იყო. ველზე ჰითლუმის მხედართა ბანაკში ცოტანი ფხიზლობდნენ. უეცრად მორგოთმა ცეცხლის ნაკადი ამოტყორცნა თავისი სიმაგრიდან და თანგოროდრიმიდან გამოგზავნილ ბალროგებზე უსწრაფესად წააღწია ცეცხლის მდინარეებმა არდ-გალენის ველი. რკინის მთებიდანაც ამოხეთქა შხამიანი ელფერის

ცეცხლოვანმა ნაკადმა და მყრალი ოხშივრითა და მხუთრით გაიჟღინთა ჰაერი. ასე გატიალდა არდ-გალენის ველი და ცეცხლმა შთანთქა მისი ბალახოვანი მინდვრები. გადაბუგულ, ფერფლით დაფარულ უნაყოფო და უსიცოცხლო უდაბნოდ გადაქცეულ ველს ანფაუგლითი, სულთამხუთავი მტვერი უწოდეს. მრავალი დანახშირებული ძვლის უჭერო სამარხად იქცა უდაბნო, რამეთუ მრავალმა ნოლდომ ვერ მოასწრო გორაკებისთვის თავის შეფარება და ხანძარში ცოცხლად დაიწვა. დორთონიონისა და ერედ უეთრინის მალღობებმა შეაკავეს ცეცხლოვანი ნაკადი, მაგრამ ანგბანდისკენ მაცქერალ მათ კალთებზე შეფენილ ტყეებს ცეცხლი მოედო და კვამლმა გუშაგთა და საზღვრის დამცველთა შორის დაბნეულობა გამოიწვია. ასე დაიწყო მეოთხე დიდი ბრძოლა, დაგორ ბრაგოლახი, ბრძოლა უეცარი ცეცხლისა.

ცეცხლს წინ მოუძღოდა მთელი თავისი ძლევა მოსილებით გლაურუნგ ოქროსფერი, მამა დრაკონთა. მას მოჰყვებოდნენ ბალროგნი, ხო-

ლო ბალროგთ უკან – ორკნი ურიცხვნი. ნოლდორთა სიმაგრეებს შუუტია მორგოთის ლაშქარმა და ანგბანდის ალყა გაარღვია; სადაც კი ნოლდორნი და მათი მოკავშირეები იპოვეს, უმოწყალოდ მოსრეს ყოველი მათგანი, რუხი ელფნიც და კაცნიც. ომის პირველ დღეებში მორგოთის მრავალი მამაცი და შუუპოვარი მეტოქე დაიღუპა, რადგან გაოგნებულებმა და გაფანტულებმა ძალთა გაერთიანება ვერ მოასწრეს. მას შემდეგ ბელურიანდში ომიანობა აღარ დასრულებულა, მაგრამ უეცარი ცვცხლის ბრძოლა გაზაფხულის დადგომისას შეწყდა, როცა მორგოთის იერიში შენელდა.

ასე დამთავრდა ალყა ანგბანდისა. მორგოთის მტერნი დაიფანტნენ და ერთმანეთს მოსწყდნენ. რუხ ელფთა დიდი ნაწილი სამხრეთში გაიქცა და ჩრდილოეთის ომს გაერიდა; მრავალი მათგანი დორიათში მიიღეს და იმჟამად თინგოლის სამეფო ფრიად გაძლიერდა, რამეთუ დედოფალ მელიანის მიერ შემოქსოვილი ღობე იცავდა საზღვრებს და ბოროტისთვის დამალულ სამეფოში გზა დახშული იყო. სხვებმა ზღვისპირა ციხესიმაგრეებსა და ნარგოთრონდს შეაფარეს თავი; ზოგი ოსირიანდში დაიმალა ან მათთა გადაღმა გადავიდა და უსახლკაროდ დაეხეტებოდა უღრან ტყეებში. ხმები ომსა და ალყის გარღვევაზე შუახმელეთის აღმოსავლეთში მცხოვრებ კაცთა სმენას მისწვდა.

თავდასხის ძირითადი სიმძიმე ფინარფინის ძეებს დააწვათ; ანგროლი და ავენორი ბრძოლისას დაიღუპნენ, მათ გვერდით დაეცა ბრეგოლასი, ბეორის საგვარეულოს ბატონი, და მისი მრავალი მეომარი. ბრეგოლასის ძმა ბარაჰირი დასავლეთით, სირიონის ვიწრობის სიახლოვეს იბრძოდა. იქ სამხრეთიდან მცირე ამალით მომავალ მეფე ფინროდ ფელაგუნდს გზა გადაუღობეს და სერენის ჭაობებში ალყა შემოარტყეს. უთუოდ მოკლავდნენ ან ტყვედ წაიყვანდნენ ფინროდ ფელაგუნდს, მაგრამ ბარაჰირმა და მისმა მამაცმა მებრძოლებმა მიუსწრეს, დაიხსნეს და მის ირგვლივ შუბების კედელი აღმართეს; ალყა დიდძალი დანაკარგით გაარღვიეს. ასე გაიქცა ფელაგუნდი და ნარგოთრონდის ღრმა სიმაგრეში დაბრუნდა. ფიცი დადო მან, რომ სამუდამოდ მეგობარი იქნებოდა ბარა-

ჰირისა და მისი ხალხისა და გასაჭირში ყოველთვის დაეხმარებოდა მათ; ხოლო ნიშნად ერთგულებისა უბოძა ბარაჰირს ბეჭედი. ძმის სიკვდილის შემდგომ ბეორის საგვარეულოს ბატონი ბარაჰირი გახდა და ღორთონიონში დაბრუნდა; ხოლო მისი ხალხის უმეტესობა ჰითლუმში გადასახლდა.

იმდენად მძლავრი იყო მორგოთის იერიში, რომ ფინგოლფინმა და ფინგონმა ფინარფინის ვაჟთა დასახმარებლად მისვლა ვერ შეძლეს. ჰითლუმის ლაშქრებმა დიდძალი დანაკარგით უკან დაიხიეს და ერედ უეთრინის ციხესიმაგრეებში გამაგრდნენ; იქაც ძლივს იცავდნენ თავს ორკებისგან. ეითელ სირიონის კედლების წინ დაეცა ჰადორ ოქროსთმიანი, თავისი მბრძანებლის ფინგოლფინის ჯარის ზურგის დაცვისას. სამოცდაექვსი წლის ჰადორის გვერდით დაეცა მრავალი ისრით განგმირული მისი ვაჟი გუნდორიც; ორივე დაიტირეს ელფებმა. მოკლული მამისგან გალდორ მალალს გადაეცა ბატონის წოდება. მალალმა და მტკიცე წყვილიადის მთებმა შეაკავა ცეცხლის ნაკადი, ხოლო მამაც ელფთა და ჩრდილოელ კაცთა სძლიეს ორკნი და ბალროგნი და გადაურჩა დაპყრობას ჰითლუმში – გვერდი დაუცველი დარჩა მორგოთის შემტევ ლაშქარს. თუმცა, ფინგოლფინი მტერთა ზღვამ დააშორა თავის ნათესავთ.

თითქმის მთელი აღმოსავლეთი საზღვარი მტერმა დაიპყრო, რამეთუ ომში ცუდად წაუვიდათ საქმე ფეანორის ძეებს. მიუხედავად დიდი დანაკარგისა, მორგოთის ლაშქარმა აგლონის ვიწრობიცი აიღო. დამარცხებული კელეგორმი და კურუფინი გაიქცნენ, ღორიათის საზღვრებს სამხრეთითა და დასავლეთით დაუყვნენ და ფინროდ ფელაგუნდთან ნარგოთრონდს შეაფარეს თავი. მათი ხალხის შემატებამ ნარგოთრონდი გააძლიერა; თუმცა, როგორც მომავალში გამოჩნდა, უკეთესი იქნებოდა ძმები აღმოსავლეთში ნათესავთა შორის დარჩენილიყვნენ. მაედროსმა გასაოცარი გმირობა ჩაიდინა; ორკნი მის დანახვაზე უკანმოუხედავად გარბოდნენ, რამეთუ თანგოროდრიმის კლდეზე ნაწამები მისი სული თეთრი ცეცხლივით გიზგიზებდა სხეულში და მკვდრეთით აღმდგარივით იბრძოდა იგი. ამგვარად, ჰიმრინგის ბორცვზე მდგარი დიდი

ციხესიმაგრე მტერმა ვერ აიღო და დორთონიონისა და აღმოსავლეთი საზღვრების მრავალი გულადი მეომარი იქ, მაედროსის გარშემო, შეგროვდა. მცირე ხნით აგლონის ვიწრობი კვლავ ჩაკეტა მაედროსმა და იმ გზით ბელერიანდში ორკნი ვედარ შემოდიოდნენ. სამაგიეროდ, გლაურუნგის მეთაურობით ფეანორის ვაჟთა მხედრობას სძლიეს ლოთლანზე, მაგლორის კლდეკარში გამოიარეს და მდინარე გელიონის შტოებს შორის მდებარე ყველა მიწა ააოხრეს. მთა რერირის დასავლეთ კალთებზე მდგარი ციხესიმაგრე ორკებმა დაიპყრეს და მთელი თარგელიონი, კარანთირის ქვეყანა, გააჩანაგეს, ხოლო ტბა ჰელევორნი წაბილწეს. იქიდან მდინარე გელიონს გადაღმა გადავიდნენ და ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ აღმოსავლეთ ბელერიანდს. მაგლორი მაედროსს შუერთა ჰიმრინგის თხემზე, ხოლო კარანთირი გაიქცა და გადარჩენილ ქვეშევრდომებთან ერთად ამროდისა და ამრასის მოხეტიალე მონადირეებს შუერთდა. ერთად დაიხიეს მათ უკან და სამხრეთში რამდლის მთები გადაიარეს. ამონ ერების წვერზე დააყენეს გუშაგნი და მეციხოვნენი. მათ მწვანე ელფებიც მიეშველნენ და ამგვარად ორკებს ოსირიანდისკენ, ტაურ-იმ-დუინათისა და სამხრეთის სხვა უღრანი ტყეებისკენ მიმავალი გზა გადაუღობეს.

შეიტყვეს ჰითლუმში, რომ დორთონიონი დაეცა და ფინარფინის ვაჟები დაამარცხეს, ხოლო ფეანორის ვაჟები საკუთარი სამფლობელოებიდან განდევნეს. სასოწარკვეთილებითა და მრისხანებით აღავსო ფინგოლფინი ნოლდორთა სრულმა განადგურებამ (მაშინ ასე ეგონა) და მათ მმართველთა მარცხმა, ამხედრდა როხალორზე, თავის ვეება ცხენზე და ეულად გასწია, ვერავინ შეაკავა. ქარივით გადაიქროლა მტვრიან დორ-ნუ-ფაუგლითზე და მისი ჭენების ყოველმა მნახველმა ასე იფიქრა, თავად ორომე გამოჩნდაო შუახმელეთში: რამეთუ სიბრაზისგან გაშმაგებულ ფინგოლფინს თვალები ვალართა მსგავსად

უელვარებდა. სრულიად მარტო მიადგა ანგბანდის ბჭეებს, ბუკს ჩაჰბერა და კიდევ ერთხელ დასცხო ხმალი ბრინჯაოს კარიბჭეს. პირისპირ საბრძოლველად იხმო მორგოთი... და მორგოთიც გამოვიდა.

ეს იყო უკანასკნელი შემთხვევა ბელერიანდის ომებში, როცა მორგოთი ანგბანდიდან გამოვიდა და, როგორც ამბობენ, გამოწვევას სინარულით არ დასთანხმებია; თუმცა კი, უძლიერესი იყო მორგოთი ამქვეყნად, ვალართაგან მხოლოდ ის ცნობდა შიშს. სხვა გზა არ ჰქონდა მას, თავის სარდალთა წინაშე ორთაბრძოლაზე უარს ვერ იტყოდა; რამეთუ ფინგოლფინის ბუკის გუგუნი კლდეებს აზანზარებდა, ხოლო მისი ხმა მკაფიოდ და ცხადად ისმოდა ანგბანდის ჯურღმულებში. მხდალი და მონათა მბრძანებელი უწოდა მორგოთს ფინგოლფინმა. მაშინ კი ნელა ამოძვრა ღრმა საბრძანებლიდან მორგოთი და მისი ნაბიჯი გრგვინვად გაისმა მიწისქვეშეთში. შავაბჯარასხმული გამოვიდა იგი და, რკინისგვირგვინოსანი, მეფე ფინგოლფინის თავზე კოშკივით აღიმართა, ხოლო მოსევადებული ფარის ჩრდილი საავდრო ღრუბელივით გადააფარა ზედ. ვარსკვლავივით ასხივებდა ფინგოლფინი მის ჩრდილში; რამეთუ მისი საჭურველი ვერცხლით იყო მოპირკეთებული, ხოლო ლურჯი ფარი – ბროლით გაწყობილი. ყინულივით მბზინავი ხმალი რინგილი იშიშვლა ფინგოლფინმა.

ქვესკნელის ურო, გრონდი მოიქნია მორგოთმა და, ვით მეხი ზეცით ნატყორცნი, დაუშვა ძირს. ფინგოლფინი განზე გახტა, ძირს დაცემულმა გრონდმა კი მიწა გაბზარა და ნაპრალიდან ალი და კვამლი ამოიჭრა. მრავალჯერ სცადა მორგოთმა მეტოქის უროთი გასრესა, მაგრამ ყოველჯერზე ფინგოლფინი განზე ხტებოდა, ვითარცა შავ ღრუბელში გაკლაკნილი ელვა. შვიდგან დაჭრა მან მორგოთი და შვიდგზის იღრიალა ტკივილისგან მორგოთმა, რაზეც ანგბანდის გაწბილებული მეომრები მიწას განერთხნენ და მათი ყვირილისგან იძრა ჩრდილოეთი.

ვაი, რომ ბოლოს მეფე დაიქანცა და მორგოთმა ფარი თავში ჩასცხო. სამგზის დავარდა ფინგოლფინი მუხლებზე და სამგზის წამოდგა, დამტვრეული ფარი და მუზარადი აიღო. მაგრამ მის ფეხქვეშ მიწა დაბზარულიყო და ირგვლივ ორმოები მოჩანდა. წაბორძიკდა ფინგოლფინი და მორგოთის ფერხთით პირადმა დავარდა; მორგოთმა მარცხენა ფეხი კისერზე დააჭირა და ჩამოქცეულ მთასავით მძიმედ დააწვა ფინგოლფინს.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა ნოლდორთა მომაკვდავმა მეფემ, რინგილი მოიქნია და მეტოქეს ფეხში ჩასცა. ჭრილობიდან შავმა და მხრჩოლავმა სისხლმა ამოხეთქა და გრონდისგან მიწაზე დამჩნეული ორმოები გაავსო.

ასე აღესრულა ფინგოლფინი, ნოლდორთა უზენაესი მმართველი, უძველეს ელფ მეფეთაგან უამაყესი და უმამაცესი. ორკები ანგბადის კარიბჭესთან გამართული ორთაბრძოლით არ ტრიაბახობდნენ, არც ელფთ შეუთხზავთ საქებარი სიმღერა, რამეთუ უსაზღვროა მათი მწუხარება. თუმცა, თორონდორმა, მეფემ არწივთა, გონდოლინსა და შორეულ ჰითლუმში წაიღო მორგოთისა და ფინგოლფინის შერკინების ამბავი და დღესაც ახსოვთ. მორგოთმა ელფთა მეფის ცხედარი დაასახიჩრა და მგელთათვის უნდა მიეგდო საჯიჯგნად, მაგრამ კრისაეგრიმის მწვერვალებიდან თორონდორი დაეშვა, მორგოთს თავს დააცხრა და სახე ჩამოჰკაწრა; თორონდორის ფრთების ცემა მანუეს ქართა ღრიალს ჰგავდა, ვეება კლანჭებით აიტაცა

მეფის ცხედარი, ორკთა ნასროლ ისრებს ცაში გაექცა და გაფრინდა. ჩრდილოეთიდან გონდოლინის დამალული ველისკენ მაცქერალი მთის მწვერვალზე დაასვენა მან ფინგოლფინი. შემდგომ ტურგონი ავიდა მწვერვალზე და მაღალი პირამიდა ააგო მამის უკვდავსაყოფად. ვერც ერთი ორკი ვერ ბედავდა ფინგოლფინის მთაზე ასვლას ან მის სამარხთან მიახლოებას, ვიდრე გონდოლინის აღსასრული მოაწევდა და ფინგოლფინის ნათესავნი ერთმანეთს განუდგებოდნენ. ხოლო მორგოთი იმ დღის შემდეგ ცალი ფეხით კოჭლობდა და ჭრილობები არასოდეს შეხორცებია, თორონდორის მიერ ჩამოკაწრულ სახეზე კი ნაიარეუები ემჩნეოდა.

როცა ფინგოლფინის დაღუპვის ამბავი შეიტყვეს, ჰითლუმი გლოვამ და მწუხარებამ მოიცვა. ფინგოლფინის საგვარეულოს ბატონად და ნოლდორთა უზენაეს მეფედ ფინგონი გამოცხადდა; ხოლო ახალგაზრდა ძე ერეინიონი (რომელსაც შემდეგ გილ-გალადი უწოდეს) ფინგონმა ნავსაყუდლებში გაგზავნა.

მორგოთის ჩრდილი გადაეფინა ჩრდილოეთის მიწებს; თუმცა, ბარაჰირი არ გარბოდა დორთონიოდან და მიწის თითოეული გოჯისთვის ებრძოდა მტერს. უმოწყალოდ ჟლეტდა მორგოთი ბარაჰირის ხალხს და ამიტომ ცოტანიდა დარჩნენ. თანდათან დორთონიონის მთიანეთის ჩრდილოეთ კალთებზე ტყე შიშისა და ბნელი გრძნების საუფლოდ გადაიქცა, ორკებიც კი ვერ ბედავდნენ იქ შესვლას, თუ საჭიროება არ მოითხოვდა. და უწოდეს იმ ტყეს დელდუვათი, ანუ ტაურ-ნუ-ფუინი, ღამის ჩრდილებით მოცული ტყე. ხანძრის შემდეგ იქ შავი და პირქუში ხეები იზრდებოდა, მათი დაღვლარჭნილი ფესვები სიბნელეში მოღუნულ ბრჭყალებს ჰგავდა. ვისაც იმ ტყეში გზა აებნეოდა, ბრმავდებოდა და იკარგებოდა, და ბოლოს, სულშეხუთული იხრჩობდა ან საზარელი მოჩვენებები ქკუიდან შლიდა. ისე დამძიმდა ბარაჰირის მდგომარეობა, რომ ემელდირ მამაცმა, მისმა ცოლმა (რომელსაც გაქცევას, ქმრისა და ვაჟის გვერდიგვერდ ბრძოლა ერჩინა) შეკრიბა ცოცხლად გადარჩენილი ქალები და ბავშვები და იარაღი დაურიგა ყველას, ვისაც მისი ქერა შეეძლო. შემდეგ სახიფათო გზებით მათ მთებს გადაღმა გაუძღვა და დიდი დანაკარგებითა და ტანჯვა-წამებით ბრეთილის ტყემდე მიაღწიეს. ზოგი მათგანი იქ მოსახლე ჰალადინებმა შეიფარეს, ზოგმა გზა განაგრძო და მთების გადავლით დორ-ლომინამდე და გალდორის, ჰადორის ძის, ხალხამდე მიაღწიეს. მათ შორის იყვნენ რიანი, ასული ბელეგუნდისა და მორუენი, იგივე ელელუენი, ანუ ელფი ქალწული, ასული ბარაგუნდისა. არც ერთს აღარ უნახავს სამშობლოში დატოვებული მამაკაცები. ისინი სათითაოდ დახოცეს. ბოლოს, მხოლოდ თორმეტი მეომარი დარჩა ბარაჰირს: თავისი ძე ბერენი; ძმისწულები ბარაგუნდი და ბელეგუნდი, ძენი ბრეგოლასისა; და ცხრა ერთგული მსახური, რომელთა სახელები ნოლდორთა სიმღერებშია უკვდავყოფილი: რადრუინი და დაირუინი, დაგნირი და რაგნორი, გილდორი და გორლიმ უბედური, ართალდი და ურთელი, ჰათალდირ ყმაწვილი. უიმედო დევნილებად იქცნენ ისინი, მათი საძმო ვერც გარბოდა და არც ნებდებოდა, რადგან მათი სახელები დაანგრის, ხოლო მათი ცოლ-შვილი დაატყვევეს, დახოცეს ან გააქციეს.

ჰითლუმიდან არც ახალი ცნობები მოდიოდა და არც მაშველთა ლაშქარი; ბარაჰირსა და მის ხალხზე მხეცებივით ნადირობდნენ; ტყიდან უნაყოფო მთიანეთში დაიხიეს მათ და მთის ტბებსა და ჭაობებს შორის

დაეხეტებოდნენ, შორს მორგოთის მსტოვრებისა და ჯადოქრობისგან. მათი სარეცელი მანანა იყო, ხოლო ჭერი – ღრუბლიანი ცა.

თითქმის ორი წელიწადი გავიდა დაგორ ბრაგოლახიდან, მაგრამ ნოლდორნი კვლავ იცავდნენ დასავლეთის გასასვლელებს სირიონის სათავეებთან, რამეთუ ულმოს ძალა იფარავდა მდინარის წყლებს, და მინას ტირითმაც გაუძლო ორკთა შეტევებს. თუმცა, ფინგოლოფინის დაცემის შემდგომ, საურონი, მორგოთის მსახურთაგან უსაზარლესი, რომელსაც სინდართა ენაზე გორთაური ერქვა, თავს დაესხა ოროდრეთს, ტოლ სირიონზე მდგარი ციხე-კოშკის დამცველს. ძლევამოსილ გრძნეულად ქცეულიყო საურონი, ჩრდილთა და აჩრდილთა მბრძანებლად და მგელკაცთა მუუფედ; ვერაგი და ულმობელი იყო იგი, ამახინჯებდა ყოველივეს, რასაც ხელს შეახებდა და რყვნიდა ყველას, ვისაც განაგებდა. ჩაგვრასა და ტანჯვა-წამებაში ცხოვრობდნენ მისი ქვეშევრდომნი. მინას ტირითის დამცველებს შიშის ბნელი ღრუბელი შემოეხვია და ციხე-კოშკი აიღო საურონმა; დამარცხებული ოროდრეთი ნარგოთრონდში გაიქცა. ხოლო საურონმა მინას ტირითი მორგოთისთვის საგუშაგო კოშკად გადააკეთა, ბოროტისა და ავის სიმაგრედ. ტოლ სირიონის მშვენიერი კუნძული დაიწყევლა და ეწოდა ტოლ-ინ-გაურჰოთი, მგელკაცთა კუნძული. სულიერი ვერ გაივლიდა იმ ხეობაში ისე, რომ საურონს თავისი კოშკიდან არ დაენახა. დასავლეთის კარი ახლა მორგოთს უჭირა და მისი საზიზღარი ქმნილებები მოედვნენ ბელერიანდის მინდორ-ველებსა და ტყეებს. გარდა ჰითლუმისა, ყველგან უმოწყალოდ სდევნიდა მორგოთი თავის მტრებს, სამალავებს ეძებდა და ერთმანეთის მიყოლებით იპყრობდა მათ ციხესიმაგრეებს. ორკები უფრო გამბედავნი გახდნენ, ახლა უფრო შორს მიდიოდნენ სათარეშოდ, დასავლეთში სირიონს დაუყვებოდნენ ხოლმე, აღმოსავლეთში – კელონს, დორიათს თანდათან ალყაში იქცევდნენ. ისე აოხრებდნენ დაპყრობილ მიწებს, ნადირ-ფრინვე-

ლიც კი გაურბოდა მათ; მღუმარება და უდაბურება მოიწევდა ჩრდილოეთიდან. მრავალი ნოლდორთაგან და სინდართაგან შეიპყრეს ორკებმა და ტყვეები ანგბანდს წაასხეს; მონებად ამუშავებდნენ იქ, ცოდნასა და ოსტატობას მორგოთს ახმარდნენ. მორგოთმა მრავალი ჯაშუში დაგზავნა ყველა მხარეში, შენიღბულნი და გადაცმულნი დადიოდნენ ისინი და ცრუ ხმებს ავრცელებდნენ; ჯილდოს ჰპირდებოდნენ თანამოძმეთა და ამხანაგთა გამცემებს, გადაკრული სიტყვებით შიშსა და შურს აღვივებდნენ ხალხთა შორის, მათ მეფეებსა და ბელადებს სიხარბესა და ორპირობაში სდებდნენ ბრალს. აღქუალონდეში ძმათაკვლის წყევლის გამო ამ ცრუ სიტყვებს ხშირად იჯერებდნენ; სხვათა შორის, რაც უფრო მძიმდებოდა ვითარება, მათ სიტყვებში სიმართლის წილი თანდათან იმატებდა, რამეთუ ბელერიანდის ელფთა გულებში შიში და სასოწარკვეთილება ისადგურებდა. თუმცა, ყველაზე უფრო ნოლდორნი ანგბანდში დამონებულ თანამოძმეთა დალატს უფროთხოვდნენ; რამეთუ მორგოთი ავი მიზნებისთვის იყენებდა მათ და ხშირად ხელს არც უშლიდა, გაპარულიყვნენ: იცოდა რა, რომ მათი ნება სამუდამოდ გატეხილი ჰქონდა და აღრე თუ გვიან, კვლავ ანგბანდში დაბრუნდებოდნენ. ამგვარად, თუ რომელიმე მონა მართლაც თავისით გაიქცეოდა და სამშობლოში დაბრუნდებოდა, თანამოძმენი ცივად ხვდებოდნენ და თავიანთი რიგებიდან გარიყავდნენ ხოლმე.

კაცთა მოდგმას მორგოთი მოჩვენებითი სიბრაღულით აბრუებდა. თუ რომელიმე ყურს დაუგდებდა,

მორგოთი არწმუნებდა, ყოველი უბედურება მეამბოხე ნოლდორთა მსახურებამ დაგმართათო. ხოლო თუ მეამბოხეთა ზურგს აქცევთ, გამოჩენილი სიმამაცისთვის შუახმელეთის ჭეშმარიტი მეუფე ყველას ღირსეულ პატივს მოგაგებთო. თუმცა, ედანიტა სამი ტომის კაცნი მას ყურს არ უგდებდნენ, მაშინაც კი, როცა ანგბანდში დატყვევებულებს საშინლად აწამებდნენ. ამის გამო მძულვარედ სდევნიდა მათ მორგოთი.

როგორც ამბობენ, პირველად სწორედ მაშინ გამოჩნდნენ შავგვრემანნი ადამიანები ბელერიანდში. მათგან ზოგიერთი მორგოთს უკვე სა-

იღუმლოდ გადაებირებინა და მის მოწოდებას გამოეხმაურნენ; სხვები თავისით მოვიდნენ, რამეთუ ხმები ბელერიანდის მშვენიერებაზე, მის მიწათა და წყალთა, მის ომთა და სიმდიდრეზე შორს გავრცელებულიყო, ხოლო კაცთა მოდგმა იმხანად დასავლეთისკენ მიიღტვოდა. ეს კაცი ტანდაბალნი და ჩასკვნილნი იყვნენ, მუქი ან მოყვითალო კანი ჰქონდათ, ხოლო თმა და თვალები – შავი. მრავალი გვარისანი იყვნენ ისინი, ელფებზე უფრო მთებში მობინადრე ჯუჯებს ჰყვარობდნენ. თუმცა მადროსმა, კარგად იცოდა რა ნოლდორთა და ედაინთა სისუსტის შესახებ მაშინ, როცა ანგბანდის ჯურღმულებში მეომართა რიცხვი არ ილეოდა და მუდმივად იმატებდა, ახალმოსულ კაცთა ტომებთან კავშირი შეკრა და მათ გამორჩეულ ბელადებს, ბორსა და ულფანგს დაუმეგობრდა. კმაყოფილი დარჩა ამით მორგოთი, რამეთუ მისი მიზანიც ეს იყო. ხოლო ბორის ძენი იყვნენ ბორლადი, ბორლახი და ბორთანდი; ესენი მადროსისა და მაგლორის ერთგული მიმდევარნი გახდნენ და მორგოთს იმედი გაუცრუეს. ულფანგ შავის ძენი იყვნენ: ულფასტი, ულუორთი და ულდორ წყეული; მათ კარანთირს შეჰფიცეს ერთგულება, მაგრამ უპირონი აღმოჩნდნენ.

დიდად არ უყვარდათ ედაინებსა და აღმოსავლელებს ერთმანეთი და იშვიათად ხვდებოდნენ; რამეთუ ახალმოსულნი აღმოსავლეთ ბელერიანდში სახლობდნენ, ხოლო ჰადორის ხალხი ჰითლუმში იყო გამოკეტილი, ბეორის საგვარეულო კი თითქმის სრულიად განადგურებული. თავდაპირველად ჩრდილოეთის ომი ჰალეთის ხალხს არ შეხებია, მაგრამ ახლა მათსა და მოთარეშე ორკებს შორისაც გაჩაღდა შეტაკებები; გულადი მეომრები იყვნენ ისინი და საყვარელი ტყეების დატოვებას არ აპირებდნენ. იმ მარცხიან წლებში ჰალადინთა საგმირო საქმეებს დღესაც პატივით იხსენებენ: მინას ტირითის აღების შემდეგ ორკები დასავლეთის გასასვლელით შემოიჭრნენ და, რომ არა ჰალადინნი, ალბათ სირიონის შესართავებამდე ყველაფერს ააოხრებდნენ. მათი მმართველი ჰალმირი დორიათის საზღვრების მცველ ელფებთან მეგობრობდა და მათი მეშვეობით თინგოლს ორკთა შემოსევის ამბავი შეატყობინა. თინ-

გოლმა საზღვრის მცველთა მეთაურის, ბელეგ მშვილდმაგარის წინამძღოლობით ნაჯახებით შეიარაღებული სინდარები გაგზავნა ბრეთილის ტყეში. ტყის სიღრმიდან გამოიჭრნენ ჰალმირი და ბელეგი, მოულოდნელად შეუტიეს ორკთა ჯარს და გაანადგურეს. იმ მხარეში ჩრდილოეთიდან ბნელი ძალების შემოდენა შეწყდა, რადგან ორკები კიდევ მრავალ წელს ვეღარ ბედავდნენ ტეიგლინზე გადმოსვლას. ბრეთილის ტყეში ჰალეთის ხალხი ფხიზლად დარაჯობდა და მათი მეშვეობით ნარგოთრონდის სამეფოს სულის მოთქმის და ძალის მოკრების საშუალება მიეცა.

იმხანად ჰურინი და ჰუორი, გალდორ დორ-ლომინელის ძენი, ჰალადინთა შორის ცხოვრობდნენ, რამეთუ

მათი ნათესავნი იყვნენ. დაგორ ბრაგოლახამდელ დღეებში, ედაინთა ამ ორმა გვარმა დიდი ღხინი გამართა და იქვე დამოყვრდნენ კიდევ: ჰადორ ოქროსთმიანის შვილებმა გალდორმა და გლორედელმა ჰალადინთა მმართველი ჰალმირის შვილებზე, ჰარეთსა და ჰალდირზე იქორწინეს. როგორც იმხანად კაცთა მოდგმას სჩვეოდა, გალდორის ძენი ბიძასთან, ჰალდირთან იზრდებოდნენ ბრეთილის ტყეში; ისინიც გაჰყვნენ ჰალდირს ორკებთან საბრძოლველად; ჰუორიც კი ვერ შეაკავეს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ცამეტი წლის იყო. ორკებმა მათ მცირერიცხოვან რაზმს გზა მოუჭრეს და სხვებს ჩამორჩენილ ძმებს ბრითიახის ფონამდე სდიეს. სირიონის წყლებში კვლავაც უღმოს ძალაუფლება ვრცელდებოდა და დევნილნი ამან იხსნა, თორემ უთუოდ დახოცავდნენ ან შეიპყრობდნენ. მდინარიდან წამომდგარმა ნისლმა დაიფარა ისინი; მერე ფონს გავიდნენ და დიმიბარში კრისაეგრიმის ციცაბო კედლების ძირას გორაკებს შორის გზააბნეულნი დაეხეტებოდნენ. იქ თორონდორმა შენიშნა ძმები და ორი არწივი გაგზავნა მათ დასახმარებლად. არწივებმა ცაში აიტაცეს ჰურინი და ჰუორი და გარემომცველ მთათა გადაღმა, ტუმლადის საიდუმლო ველზე გადაიყვანეს. აქ მდებარეობდა მალული ქალაქი გონდოლინი, რომელიც კაცთაგან ჯერ არავის ენახა.

მათი წარმოშობის შესახებ რომ შეიტყო, პატივით მიიღო ისინი ტურგონმა; რამეთუ ულმოსაგან, ზღვათა მეუფისგან, ზღვიდან სირიონს მოეტანა მისთვის გამაფრთხილებელი ცნობები და ხილვები, უბედურება ახლოვდება და ჰადორის სახლისწულთ კეთილად მოეპყარო; ისინი ვალში არ დაგრჩებიან და გასაჭირის ჟამს თავადაც მოგეშველებიანო. თითქმის ერთი წელი სტუმრობდნენ ჰურიანი და ჰუორი მეფის სასახლეს. როგორც ამბობენ, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეისწავლა ჰუორმა ელფთაგან და მეფე ტურგონის მიზნებსა და გეგმებზეც შეიტყო. ტურგონს ძლიერ მოსწონდა გალდორის ძენი და ხშირად საუბრობდა მათთან; მათი დარჩენა გონდოლინში წრფელი გულით მოიწადინა და არა მისგანვე დაწესებული აკრძალვის გამო, რომ არც ერთი კაცი ან თუნდაც ელფი, რომელიც საიდუმლო სამეფოს მოაგნებდა და ქალაქ გონდოლინს თვალს შეავლებდა, უკან აღარ დაბრუნდებოდა, ვიდრე თავად მეფე კარიბჭეს არ გააღებდა და მალულ ხალხს გარეთ არ გაუშვებდა.

ხოლო ჰურიანსა და ჰუორს თანამოძმეებთან დაბრუნება სურდათ, რათა მათ მხარდამხარ ებრძოლათ და მათი ჭირი და ღხინი გაეზიარებინათ. და უთხრა ჰურიანმა ტურგონს: «მეუფევ ჩემო, ოდენ მოკვდავი კაცნი გახლავართ, ელდართ არ ვგავართ. ელდარნი მრავალ წელს ელიან იმ შორეულ დღეს, როცა მტერთან ბრძოლა მოუწევთ, მაგრამ კაცნი დღემოკლენი ვართ, ჩვენი იმედი და ძალა ძალზედ სწრაფად იღევა. გარდა ამისა, გონდოლინში მომავალი გზა თავად არ გვიპოვია და არც ის ვიცით, სად დგას ეს ქალაქი. მაღალი ცის ბილიკებზე გვატარეს და შიშითა და გაკვირვებით თვალედაბინდულნი დაგვსხეს ამ ველზე». ტურგონმა თხოვნა შეუსრულა მას და უთხრა: «რა გზითაც მოხვედით, იმითვე წახვალთ, თუკი თორონდორი ამას ინებებს. გული მწყდება, რომ თქვენთან განშორება მომიწევს; თუმცა, არ გავა დიდი დრო (ჩვენთვის, ელდართათვის) და აუცილებლად ისევ შევხვდებით».

ხოლო მაგლინს, მეფის დისწულს, რომელსაც გონდოლინში სახელი გაეთქვა, ძმების გამგზავრება სულ არ სწყენია. თუმცა, ის კი შეშურ-

და, რომ მეფემ მათთვის ამხელა მოწყალეობა გაიღო, რამეთუ კაცთა არც ერთი

ტომის მიმართ არ ჰქონდა სიყვარული. და უთხრა ჰურინს: «დიდსულოვან არს მეფე და უწინდელივით მკაცრად აღარ იცავს კანონს, თორემ სხვა არჩევანი არ გექნებოდათ, სიკვდილამდე აქ მოგიწევდათ ცხოვრება».

მაშინ ჰურინმა მიუგო: «ჭეშმარიტად გულმოწყალე არს მეფე, მაგრამ თუ ჩვენი სიტყვა არა კმარა, მზად ვართ დავიფიცოთ».

ფიცი დადეს ძმებმა, რომ არასოდეს გაამხელდნენ მეფე ტურგონის მიზნებს და საიდუმლოდ შეინახავდნენ ყოველივეს, რაც აქ იხილეს. მერე მეფეს გამოეთხოვნენ, ღამით არწივებმა თან წარიტაცეს და გამთენიისას ღორ-ლომინში ჩამოსხეს. მათმა ნათესავებმა ძლიერ გაიხარეს, რადგან ბრეთილელ მაცნეებს ამბავი მოეტანათ, ჰურინი და ჰუორი დაიკარგნენო. ძმებმა მამასაც კი არ გაუმხილეს, მთელი წელი სად ყოფილიყვნენ; მხოლოდ ის უთხრეს, უკაცრიელ მხარეში არწივებმა გვიხსნეს და შინ დაგვაბრუნესო. ხოლო გალდორმა ჰკითხა: «მთელი წელი უდაბნოში ცხოვრობდით თუ არწივებმა შეგიფარეს თავიანთ ბუდეებში? ნაშიმშილარებს არა ჰგავხართ და ჩინებულად შემოსილხართ, შინ ყმაწვილი უფლისწულებივით დაბრუნდით, განა როგორც უსახლკარო ტყიურები».

ჰურინმა მიუგო: «იკმარე ის, რომ შინ დავბრუნდით, რამეთუ ვიდრე გამოგვიშვებდნენ, დუმილის აღთქმა დავდეთ».

გალდორს მეტი აღარაფერი უკითხავს მათთვის, მაგრამ ის და სხვა მრავალიც მიხვდა სიმართლეს; და მალევე ჰურინისა და ჰუორის საოცარი თავგადასავლის ამბავმა მორგოთის ყურამდეც მიაღწია.

მას შემდეგ, რაც ანგბანდის ალყის გარღვევის შესახებ შეიტყო ტურგონმა, თავის ხალხს საომრად აღარ უშვებდა; რამეთუ გონდოლინის სიმტკიცის სწამდა და თან მიაჩნდა, მისი ადგილმდებარეობის გამხელის დრო ჯერ არ მომწიფებულაო. თუმცა, იმისაც სჯეროდა, რომ ანგბანდის ალყის დასასრული ნოლდორთა დამხობის დასაწყისი იქნებო-

და, თუკი მათ მშველელნი არ მოევლინებოდნენ. ტურგონმა გონდოლინდრიმთა რაზმები საიდუმლოდ გაგზავნა სირიონის შესართავებისკენ და ბალარის კუნძულზე. იქ მათ ხომალდები ააგეს და ტურგონის დავალებით, უკიდურესი დასავლეთისკენ გაცურეს ვალინორის საპოვნელად, რათა ვალართათვის პატიება და შემწეობა ეთხოვათ; ზღვის ფრინველთ შესთხოვდნენ, მეგზურობა გაგვიწიეთო. თუმცა, ვრცელსა და მღელვარე ზღვებს ბინდი გადაჰფენოდა და ვალინორამდე მისასვლელი გზები ჯადოსნობით დაემაღათ. და ამის გამო, ტურგონის ვერც ერთმა წარგზავნილმა ვერ მიაღწია კურთხეულ სამეფომდე, მრავალი დაიკარგა და შინ ცოტა დაბრუნდა; ხოლო გონდოლინის აღსასრული ახლოვდებოდა.

ამ ყოველივეს შესახებ შეიტყო მორგოთმა და მიუხედავად გამარჯვებებისა, შფოთმა შეიპყრო. ფელაგუნდისა და ტურგონის ასავალ-დასავლის დადგენა მოიწადინა. აღარსად ჩანდნენ ისინი, მაგრამ არც მკვდრები იყვნენ. დაფრთხა მორგოთი, ვაითუ ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებიანო.

ნარგოთრონდის ოდენ სახელი სმენოდა მას, არც ის იცოდა, სად მდებარეობდა და არც ის, რაოდენ მტკიცე იყო. ხოლო გონდოლინზე საერთოდ არაფერი უწყოდა. ამიტომაც უფრო მეტი მსტოვარი გაგზავნა ბელერიანდში; ხოლო ორკთა ძირითადი ლაშქარი ანგბანდში დააბრუნა, რამეთუ მიხვდა, რომ ბოლო და გადამწყვეტი გამარჯვების მოსაპოვებლად ძალის მოკრება სჭირდებოდა და, რომ ნოლდორთა სიმამაცე და მათ მოკავშირე კაცთა ბრძოლის უნარი სათანადოდ ვერ შეაფასა. თუმცა, დიდი იყო მისი გამარჯვება დაგორ ბრაგოლახსა და მის მომდევნო წლებში და ძლიერ ავნო თავის მტრებს, თავადაც დიდი ზიანი მიაღება. დორთონიონი და სირიონის ვიწრობი მორგოთს ეჭირა, ელდარნი თანდათან გონს მოდიოდნენ და დაკარგულის დაბრუნებას იწყებდნენ. ამგვარად, სამხრეთ ბელერიანდში რამდენიმე წლით მოჩვენებითმა სიჩუმემ დაისადგურა; მაგრამ ანგბანდის სამჭედლოებში უქმად არ ისხდნენ.

მეოთხე ბრძოლიდან შვიდი წელი გამოხდა და მორგოთმა იერიში განაახლა. მრავალრიცხოვანი ლაშქარი გაგზავნა ჰითლუმში. წყვილადის მთების ვიწრობებისა და უღელტეხილების დასაუფლებლად მძიმე ბრძოლა გაჩაღდა. ეთელ სირიონის ალყისას გალდორ მაღალი, დორ-ლომინის მბრძანებელი ისარმა იმსხვერპლა. იმ ციხესიმაგრეს უზენაესი მეფე ფინგონის სახელით განაგებდა იგი და მცირე ხნით ადრე იქვე მომკვდარიყო მამამისი ჰადორ ლორინდოლი. მისი ძე ჰურინი ჯერაც ჭაბუკი, მაგრამ გონიერი და ძლიერი იყო. სისხლისმღვრელი ბრძოლა გაუმართა ორკო, ერედ უეთრინიდან გაყარა და ქვიშიანი ანფაუგლითის მიღმა გადარქვა.

თავად მეფე ფინგონს ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ანგბანდის ლაშქრის შეკავება გაუჭირდა და ჰითლუმის ველებზე ბრძოლა გაიმართა. მტრის მეომრები რიცხოვნობრივად სჭარბობდნენ ფინგონისას, მაგრამ კირდანის ხომალდები ღრენგისტის უბეს ამოუყვანენ და იმ გაჭირვების ჟამს, ფალასის ელფებმა დასავლეთიდან შეუტიეს მორგოთის ლაშქარს. გატყდნენ ორკები და უკუიქცნენ. იმარჯვეს ელდარებმა და მათი მშვილდოსანი მხედრები რკინის მთებამდე მისდევდნენ ორკებს.

დორ-ლომინში ჰადორის საგვარეულოს მმართველად იქცა ჰურინი ძე გალდორისა, ვასალი ფინგონისა. ჰურინი წინაპრებივით ან თავის ძესავით ტანმაღალი არა, მაგრამ დაუღალავი და ამტანი იყო, დედის ნათესავთაგან სისხარტე და მოქნილობა გამოჰყოლოდა. ცოლად ჰყავდა მორუენ ელედეუნი, ასული ბარაგუნდისა, ბეორის საგვარეულოდან, ის, ვინც დორთონიონიდან ბელეგუნდის ასულ რიანთან და ბერენის დედა ემელდირთან ერთად გამოიქცა.

იმხანად დორთონიონელი დევნილნიც გაანადგურეს და ბერენმა, ბარაჰირის ძემ ძლივს მიაღწია დორიათამდე.

თავი მეცხრამეტე. ამბავი ბერენისა და ლუთიენისა

მწუხარებისა და ნგრევის მრავალმა ამბავმა მოაღწია ჩვენამდე იმ შავბნელი ხანიდან, მაგრამ ამ ამბავთა შორის არის ისეთიც, რომელშიც მოთქმა-გოდება სინარულით იცვლება და სიკვდილის წყვილად ნათელი ფანტავს. მსგავს თქმულებათაგან ელფთათვის ყველაზე საამო მოსასმენი არის ამბავი ბერენისა და ლუთიენისა. მათი ცხოვრება აღწერილია სიმღერაში ლეითიანისა, ტყვეობიდან გათავისუფლებისა, რომელიც უძველესი ხანის სიმღერებიდან მხოლოდ ერთს ჩამოუვარდება სიგრძითა და სიდიდით; თუმცა, აქ ამ ამბავს მოკლედ აღწერთ და თან, სიმღერის გარეშე.

როგორც უკვე ითქვა, ბარაჰირმა დორთონიონი არ დატოვა და მორგოთი მოსაკლავად დასდევდა მას. ბოლოს ბარაჰირს მხოლოდ თორმეტი თანამებრძოლი შერჩა. დორთონიონის სამხრეთი ზეგანი უშენი ადგილი იყო. ზეგანის აღმოსავლეთით იყო ტბა, ტარნ აელუინი, რომლის გარშემოც მანანა ხარობდა. ხანგრძლივი მშვიდობის ჟამსაც კი არავინ სახლობდა იმ მხარეში, ამიტომ იქაურობა ველური და გაუკვალავი იყო. თუმცა, ტარნ აელუინის წყლებს თაყვანს სცემდნენ, მისი წყალი ანკარა და ლურჯი იყო დღისით, ხოლო ღამით ვარსკვლავთა სარკედ იქცეოდა; ასე ამბობდნენ, უხსოვარ დროს თავად მელიანმა აკურთხაო ამ ტბის წყალი. ტარნ აელუინთან მოიწყვეს ბარაჰირმა და მისმა თანამებრძოლებმა თავშესაფარი. მათ საგმირო საქმეებზე ხმები შორს გავრცელდა და მორგოთმა საურონს მათი მოძებნა და განადგურება დაავალა.

ბარაჰირის თანამებრძოლთა შორის იყო გორლიმი ძე ანგრიმისა. მის ცოლს ეილინელი ერქვა და, ვიდრე ბელერიანდს უბედურება დაატყდებოდა თავს, ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. როცა გორლიმი საზღვრებთან გამართული ბრძოლიდან შინ დაბრუნდა, სახლი გაძარცვული და ცარიელი დახვდა, მისი ცოლი გამქრალიყო; ტყვედ წაიყვანეს თუ მოკლეს იგი, გორლიმმა არ იცოდა. შემდეგ ბარაჰირთან გაიქცა გორლი-

მი, მის მებრძოლთაგან ყველაზე სასტიკად და თავგანწირულად იბრძოდა. თუმცა, ეჭვი უღრღნიდა გულს, იქნებ ეილინელი ცოცხალი იყოსო. ხანდახან უჩუმრად და მარტო მიიპარებოდა ტყე-მინდვრების შუაგულში მდგარი სახლისკენ; ეს მორგოთის მსახურებმა შეიტყვეს.

შემოდგომის სადამო იყო, როცა ერთხელაც სახლთან მიახლოებულმა გორლიმმა ფანჯრიდან გამომავალი შუქი შენიშნა; ფანჯარასთან ფეხაკრეფით მივიდა და შიგნით შეიხედა. სახლში ეილინელი იჯდა, მწუხარებისა და შიმშილისგან სახეჩამომჭანარი. გორლიმს მოეჩვენა, რომ მისი ცოლი მოთქვამდა, ჩემმა ქმარმა რად მიმატოვაო. ხმამაღლა წამოიყვირა გორლიმმა, მაგრამ უეცრად წამონაბერმა ქარმა სანთელი ჩააქრო, მგლები აყმუვლდნენ და გორლიმს მხრებზე საურონის მონადირეებმა მძიმე ხელები დააწყვეს. ასე შეიპყრეს გორლიმი, მტრის ბანაკში წაათრიეს და იქ უმოწყალოდ აწამებდნენ, რათა მათთვის ბარაჰირის სამალავი და იქამდე მისასვლელი საიდუმლო გზა-ბილიკები მიესწავლებინა. თუმცა, გორლიმი არაფერს ამხელდა. მაშინ მწამებლები დაჰპირდნენ, გამოტყდი, გაგათავისუფლებთ და ცოლთან დაგაბრუნებთო. ტკივილისგან დაქანცული და ცოლს მონატრებული გორლიმი, ბოლოს და ბოლოს, შედრკა. მყისვე საურონს მიჰგვარეს იგი. ხოლო საურონმა უთხრა: «თურმე გარიგებას გვთავაზობ. მითხარი შენი ფასი?»

ხოლო გორლიმმა უპასუხა, ეილინელიც ჩემთან ერთად უნდა გაათავისუფლოთო, რამეთუ ეგონა, ისიც დაატყვევესო.

მაშინ საურონმა ღიმილით მიუგო: «ესეოდენი დალატისთვის ძალზედ მცირეს ითხოვ. მე თანახმა ვარ. მიდი, მოყვი!»

ახლა კი შეწუხდა გორლიმი, მაგრამ საურონის მზერით დამფრთხალმა, რაც კი იცოდა, ყველაფერი გაამხილა. მაშინ გადაიხარხარა საურონმა და დასცინა გორლიმს, რაც იხილე, შენს დასატყვევებლად ჯადოქრობით შექმნილი მოჩვენება იყო, რამეთუ ეილინელი უკვე მკვდარი არისო. «მიუხედავად ამისა, თხოვნას შეგისრულებ», – უთხრა მას საურონმა. – «ეილინელთან გაგიშვებ და ჩემი სამსახურიდან გაგათავი-

სუფლებს». – ამ სიტყვებით უმოწყალოდ მოუსწრაფა გორლიმს სიცოცხლე.

ასე გაცხადდა ბარაჰირის სამალავის ადგილმდებარეობა და მორგოთმა მის გარშემო ალყა შეავიწროვა; დილაუთენია უეცრად თავს დაესხნენ ორკნი დორთონიონელებს და ყველა დახოცეს, გარდა ერთისა. ბერენი, ძე ბარაჰირისა, მამას სახიფათო დავალების შესასრულებლად, მტრის დასაზვერად, გაეგზავნა და იმჟამად სამალავში არ იმყოფებოდა. გზაში შემოღამებულს ტყეში ეძინა და ესიზმრა, თითქოს ტბის პირას მდგარ ხეთა შიშველ ტოტებზე უამრავი ლეშისმჭამელი შემომგდარიყო და მათი ნისკარტებიდან სისხლი წვეთავდა.

უცებ ტბის ზედაპირი გორლიმის აჩრდილმა გადმოიარა და ბერენს თავისი დალატისა და სიკვდილის შესახებ აუწყა და უთხრა, ახლავე მამაშენის გასაფრთხილებლად გასწიეო. გაიღვიძა ბერენმა, მთელი ღამე გაუჩერებლად იარა და მეორე დილას მივიდა ღვენილთა სამალავში. თუმცა, სამალავთან მიახლოებისას, მიწიდან ლეშისმჭამელი ფრინველები წამოიშალნენ და ტბის პირას მდგარი მურყნების ტოტებზე ჩამომსხდარნი დამცინავად აჩხავლდნენ.

მამის ძვლების სამარხზე ქვების პირამიდა ააგო ბერენმა და ზედ დაიფიცა, შურს ვიძიებო. ჯერ მამისა და მის თანამებრძოლთა მკვლელ ორკებს დაედევნა და სერეხის ფონის ზემოთ, მდინარე რივილის სათავესთან დაბანაკებულებს წამოეწია. უჩუმრად მიიპარა მათ კოცონთან, სადაც ორკთა მეთაური ნამოქმედარით ტრაბახობდა და ბარაჰირის მოჭრილ ხელს იქნევდა, საურონს უნდა მივუტანო, ნიშნად იმისა, რომ მისი დავალება შევასრულეთო. მამის ხელის თითზე ფელაგუნდის ბეჭედი მოჩანდა. მაშინ ლოდს უკნიდან გამოხტა ბერენი, განგმირა ორკთა მეთაური, მამის ხელი და ბეჭედი აიტაცა და, იღბლის წყალობით, უვნებლად გაიქცა, რამეთუ დაბნეულ ორკებს მიზანი გაუცუდდათ და ისრები ვერ მიაწვდინეს.

მას შემდეგ ოთხი წელიწადი ეულად დახეტილებდა ბერენი დორ-
თონიონის მთიანეთში; ნადირ-ფრინველს დაუმეგობრდა, ისინიც ერ-
თგულად ემსახურებოდნენ და ეხმარებოდნენ. იმ დროიდან

მოყოლებული ბერენი არც ხორცს ჭამდა და არც სულიერს კლავდა,
გარდა მორგოთის მსახურებისა. სიკვდილის არ ეშინოდა, მხოლოდ
ტყვეობისა, და სიმამაცისა და თავზეხელაღებულობის წყალობით სიკ-
ვდილსაც გაურბოდა და ბორკილებსაც. მთელ ბელერიანდს მოედო ამ
ეული გმირის ამბავი და მასზე თვით დორიათშიც შეიტყვეს. ბოლოს
მორგოთმა ჯილდო დააწესა ბერენის თავის სანაცვლოდ და ნოლდორ-
თა უზენაესი მეფის, ფინგონის თავივით ძვირად დააფასა. თუმცა, ორკე-
ბი არათუ დაეძებდნენ ბერენს, მისი მოახლოებისას უკანმოუხედავად
გარბოდნენ. მაშინ მორგოთმა მის შესაპყრობად საურონის მეთაურო-
ბით ჯარი გაგზავნა; საურონმა თან წაიყვანა მგელკაცები, სასტიკი მხე-
ცები, რომელთა სხეულებში ავი სულელები იყო ჩამწყვდეული.

მთელი მხარე ბოროტებით გაივსო და ყოველი უმწიკვლო არსება
გარბოდა იქიდან. ბოლოს ბერენიც იძულებული გახდა დორთონიონი
დაეტოვებინა. თოვლიან ზამთარში დატოვა მთიანეთი და მამის სამარ-
ხი, ერედ გორგოროთს, შემზარავ მთებს ზედ მოექცა და იმ სიმაღლიდან
შეავლო თვალი დორიათს. სწორედ მაშინ გაუჩნდა სურვილი, დამა-
ლულ სამეფოში შეეტყნია, იქ, სადაც არც ერთ მოკვდავს არ დაედგა ფეხი.
რთული გამოდგა სამხრეთისკენ მისი მგზავრობა. ციცაბო იყო ერედ
გორგოროთის კლდეები, მათ ძირას გრძლად გაფენილიყო ჯერ კიდევ
მთვარის პირველ ამოსვლამდე მოქსოვილი შავი ჩრდილები. მათათა
მიღმა იყო ღუნგორთების უდაბნო, სადაც საურონის ჯადოქრობა და მე-
ლიანის გრძნეულება ერთმანეთს ხვდებოდა და სრული უგუნურება და
შიში მეფობდა. უნგოლიანტის ნაშიერი დიდი ობობები დაძრწოდნენ იქ
და მათ უხილავ ქსელებში ყოველი სულიერი იხლართებოდა; მზის პირ-
ველ ამოსვლამდე დიდი ხნით ადრე გაჩენილი მრავალთვალიანი ურ-
ჩხულები უჩუმრად ნადირობდნენ. იმ უდაბურ მხარეში ელფთა და კაც-
თათვის არანაირი საზრდო არ მოიპოვებოდა და მოგზაური სიკვდილის-

თვის იყო განწირული. ეს მოგზაურობა ბერენის ერთ-ერთ უდიდეს გმირობად მიიჩნევა, მაგრამ თავად ბერენს არ უყვარდა მისი გახსენება, რამეთუ იქ განცდილი შიში მყისვე ცოცხლდებოდა მის გონებაში. არავინ იცის, როგორ მიაღწია მან ღორიათის საზღვრებამდე ყველასთვის უცხო, გაუკვალავი ბილიკებით. თინგოლის სამეფოს ირგვლივ მელიანის მიერ შემოქსოვილი ლაბირინთიც გადალახა ბერენმა; რამეთუ როგორც მელიანმა იწინასწარმეტყველა, ბედისწერას მისთვის დიადი ხვედრი ერგუნებინა.

როგორც ლეითიანის სიმღერაშია ნათქვამი, მრავალჭირნახული ბერიკაცივით მოტეხილი და თავჩაქინდრული შებარბაცდა ბერენი ღორიათში, რამეთუ ფრიად დატანჯულიყო ხიფათიან გზებზე სიარულით. ზაფხულის მთვარიან ღამეს ნელდორეთის ტყეში ხეტიალისას, უეცრად გადააწყდა ესგალდუნის პირას მარადმწვანე ბალახით შემოსილ მდელოზე მოცეკვავე ლუთიენს, ასულს თინგოლისა და მელიანისას. ყოველგვარი კვალი განცდილი ტკივილისა წაიშალა ბერენის მეხსიერებიდან და მოინუსხა იგი; რამეთუ ლუთიენი იყო ულამაზესი ილუვატარის ყოველ შვილთაგან. უდრუბლო ცასავით ლურჯი კაბით მოსილი ცეკვავდა, ხოლო თვალები ჰქონდა ნაცრისფერი, ვითარცა მწუხრი, ვარსკვლავთ შუქით განათებული; მისი მანტია ოქროსფერი ყვავილებისგან იყო მოქსოვილი, ხოლო მისი თმა იყო მუქი, ვითარცა ბინდი. სიტურფე და სილამაზე მისი ჰგავდა ხის ფოთლებზე მოთამაშე მზის სხივს, მოჩუხჩუხე ნაკადულსა და ქვეყნიერების ნისლთა ზემოთ მოკიაფე ვარსკვლავებს; ხოლო სახეზე ნათელი გადაჰფენოდა.

ბერენის დანახვისთანავე გაუჩინარდა ლუთიენი; ხოლო ბერენი მოჯადოებულებით დამუნჯდა. დიდხანს დაეხეტებოდა ნადირივით გაველურებული და ფრთხილი და ლუთიენს დაეძებდა. ვინაიდან ნამდვილი სახელი არ იცოდა მშვენიერი ქალწულისა, გულში ტინუვიელი შეარქვა მას, რაც ბუღბულს, ბინდის ასულს ნიშნავს რუხ ელფთა ენაზე. ხანდახან შორიდან მოჰკრავდა მას თვალს, ვითარცა ფოთლებს შემოდგომაზე ქარში მოფარფატეს და ვითარცა ვარსკვლავს ზამთარში ბორცვის თავ-

ზე მოკიაფეს, მაგრამ ამ დროს ხელ-ფეხი შეეკვრებოდა და ვერ ინძროდა.

და აი, ერთხელ, ზამთრის მიწურულს, გამთენიისას, მწვანე გორაკზე ცეკვავდა ლუთიენი; მერე უეცრად ამღერდა. სევდიანი და გულის გამგმირავი იყო სიმღერა მისი, ვითარცა გალობა ტოროლასი, რომელიც ღამის კარიბჭიდან ცაში აიჭრება და, როცა ქვეყნიერების კედლებს მიღმა ამომავალ მზეს შეამჩნევს, მიღეულ ვარსკვლავთა შორის მიმოღვრის თავის ტკბილ ხმას. ლუთიენის სიმღერამ დაამსხვრია ზამთრის ბორკილები და აახმაურა გაყინული წყლები, ხოლო სადაც ფეხი დადგა, გაყინული მიწიდან ყვავილები აღმოცენდა.

სიმუნჯის ჯადო აქნსნა ბერენს და დაუძახა მას: «ტინუვიელ!» ტყე შემოირბინა მისი ძახილის ექომ. გაკვირვებული შედგა ლუთიენი და ბერენი მასთან მიიჭრა. და როგორც კი თვალი შეავლო ელფმა ქალწულმა მოკვდავ კაცს, მყისვე შეუყვარდა; მისი ბედი გადაწყდა. თუმცა, მკლავებიდან დაუსხლტა ბერენს და გაქრა სწორედ იმ წამს, როცა ინათა. ხოლო ბერენი გულწასული დაეცა მიწაზე, ვითარცა განგმირული მეტისმეტი ნეტარებისა და მწუხარებისგან; უგრძნობელობის წყვდიადში მთაინთქა იგი და დიდხანს ეძინა. როცა გაიღვიძა, ქვასავით ცივი იყო, გული გრძნობებისგან დასცლოდა. გონების სიღრმეში ხელის ცეცებით დაეხეტებოდა, ვითარცა უეცრად დაბრმავებული, გამქრალი სინათლის ხელში მოგდებას ამაოდ რომ ცდილობს. ასე დაიწყო ტანჯვა ბერენისა და ტანჯვით ზღო მისთვის განსაზღვრული დიადი მომავლისთვის. ხოლო ლუთიენის ბედი სამუდამოდ მისას დაუკავშირდა, უკვდავი ელფი მისი მოკვდავობის თანაზიარი გახდა; თავისუფალი, მისგან შეიბორკა; ელღალიეთაგან არავის განუცდია ტანჯვა, მსგავსი ლუთიენის ტანჯვისა.

წყვდიადში მჯდარ იმედგადაწურულ ბერენს კვლავ გამოეცხადა ლუთიენი და დიდი ხნის წინ დამალულ სამეფოში ჩაჰკვიდა ხელი. მას შემდეგ ხშირად სტუმრობდა იგი ბერენს და მთელ გაზაფხულსა და ზაფხულს ერთად დასეირნობდნენ ტყეებში. ილუვატარის შვილთაგან არა-

ვინ ყოფილა ასე ძლიერ გახარებული, მაგრამ მათი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა.

დაერონ მენესტრელსაც უყვარდა ლუთიენი და შეამჩნია, საიდუმლოდ როგორ ხვდებოდა ქალწული ბერენს. თინგოლთან დააბუზდა მან ლუთიენი. განრისხდა მეფე, რამეთუ ყოველივეზე მეტად უყვარდა თავისი ასული და ელფთა უფლისწულებისთვისაც არ ემეტებოდა იგი, ხოლო მოკვდავ კაცთ თინგოლი მსახურობის ღირსად არც მიიჩნევდა. დაღონებული და განცვიფრებული დაელაპარაკა ლუთიენს, მაგრამ მან არაფერი გაუმხილა, ვიდრე მამას სიტყვა არ მოაცემინა, რომ ბერენს არც მოკლავდა და არც დაატყვევებდა. მაშინ თინგოლმა მსახურები გაგზავნა ბერენის შესაპყრობად და მენეგროთში

სამართალდამრღვევივით მოსაყვანად. მათ ლუთიენმა დაასწრო და თინგოლის ტახტის წინაშე თავად წარადგინა ბერენი, ვითარცა პატივისცემი სტუმარი.

მკაცრად და მრისხანედ შეხედა თინგოლმა ბერენს, ხოლო მელიანს ხმა არ ამოუღია.

«ვინ ხარ შენ, რომელიც მოსულხარ აქ, ვითარცა მპარავი და უნებართვოდ ბედავ ჩემს ტახტთან მოახლოებას?» – ჰკითხა ბერენს მეფემ.

მენეგროთის ბრწყინვალეებითა და თინგოლის დიდებულებით დამფრთხალ ბერენს ენა ჩაუვარდა და მეფისთვის პასუხი არ გაუცია.

მის მაგივრად ლუთიენმა მიუგო მამას: «იგი არს ბერენი, ძე ბარაჰირის, კაცთა მბრძანებელი, ძლევამოსილი მტერი მორგოთის, მის საქმეთ საგმიროთ თავად ელფნი ასხამენ ხოტბას».

«დაე, ბერენმა ილაპარაკოს!» – მოითხოვა თინგოლმა. – «აქ რას აკეთებ, ბედკრულო მოკვდავო, რად დაგიტოვებია საკუთარი ქვეყანა და მოსულხარ მიწაზე, რომელიც დახშული არს შენს მსგავსათთვის? რით იმართლებ თავს, რათა არ დაგსაჯო მძიმედ შენი კადნიერებისა და სიბრყვისთვის?»

მაშინ თავი ასწია ბერენმა და დაინახა მზერა ლუთიენისა, მერე მელიანის სახეს მიაჩერდა და სიტყვები თავისთავად მოადგა ენაზე. და-

ტოვა შიშმა და კაცთა უძველესი გვარის სიამაყემ მოიცვა. და თქვა მან: «ბედისწერამ მომიყვანა აქ, ოჰ, მეფეო, თვით ელფთაც კი არ გამოუვლიათ ესეოდენ რთული განსაცდელი. და ვიპოვე ის, რასაც არ ვეძებდი, მაგრამ ნაპოვნს სამუდამოდ შევინარჩუნებ. ოქროსა და ვერცხლზე, ყოველ სამკაულზე ძვირფასი არს იგი ჩემთვის. ვერც ქვა, ვერც რკინა, ვერც ცეცხლი მორგოთისა, ვერც ელფ მეუფეთა ძლევამოსილება ვერ განმაშორებს სასურველ განძს. რამეთუ ლუთიენი, ასული შენი, უმშვენიერესი არს ქვეყნიერების შვილთაგან».

სიჩუმე ჩამოვარდა სეფედარბაზში, რამეთუ განცვიფრდნენ და დაფრთხნენ იქ შეკრებილნი; იფიქრეს, რომ ბერენს სიკვდილი არ ასცდებოდა. თუმცა, თინგოლმა დინჯად თქვა: «სიკვდილს იმსახურებ ამ სიტყვებისთვის; და მყისიერ სიკვდილს ჰპოვებდი; მაგრამ ვაი, რომ ნაჩქარევად დავდე მე ფიცი და ახლა ვნანობ, მდაბიო მოკვდავო, ვისაც მორგოთის სამეფოში მის მსტოვართა და მონათა დარად პარვით სიარული შეგისწავლია».

მაშინ ბერენმა მიუგო: «დამსახურებული თუ დაუმსახურებელი სიკვდილით დამემუქრე, ხოლო იმას კი ვერ მოვითმენ, მდაბიო, მსტოვარი და მონა მიწოდო. ბეჭედი ბარაჰირს, მამასა ჩემსა, ჩრდილოეთის ბრძოლის ველზე თავად ფელაგუნდისგან იმად როდი მიუღია, რომ ჩემი გვარი ელფმა, გინდ მეფე იყოს იგი და გინდ – არა, ასე შეურაცხყოს!»

ამაყად წარმოთქვა ბერენმა ეს სიტყვები და ყველამ მის ბეჭედს მიაპყრო მზერა. რამეთუ მალლა ასწია იგი ბერენმა და ნოლდორთა მიერ ვალინორში მოპოვებული ძვირფასი ქვა მწვანედ აკაშკაშდა. რკალად შეკრული ტყუპი გველის ფორმა ჰქონდა ბეჭედს, ხოლო გველთა თვალები ზურმუხტისა იყო, მათი თავები ოქროსფერ ყვავილთა გვირგვინის ქვეშ ეხებოდა ერთმანეთს, ერთი თავი ამაგრებდა გვირგვინს, მეორე ნთქავდა. ეს იყო სიმბოლო ფინარფინისა და მისი საგვარეულოსი. მაშინ მელიანი თინგოლისკენ გადაიხარა და ჩურჩულით ურჩია, დაშოშმინდით.

«რამეთუ ბერენი არ იქნება შენ მიერ მოკლული, შორს წაიყვანს მას ბედისწერა, მაგრამ ბედი მისი შენსაზე იქნება გადაჯაჭვული. მუდამ გახსოვდეს!» – უთხრა მელიანმა თინგოლს.

ხოლო თინგოლმა ჩუმად შეხედა ლუთიენს და გულში გაიფიქრა: «მამ, უბადრუკმა კაცმა, მცირე მმართველთა და დღემოკლე მეფეთა შვილმა ხელი დაგადოს და ის აქედან ცოცხალი გავეშვა?» მერე სიჩუმე დაარღვია და თქვა: «ვხედავ ბეჭედს, ბარაჰირის ძევ, და ვხვდები, ძალზედ ამაყი ხარ, თავი ძლიერად წარმოგიდგენია. თუმცა, საქმენი მამისა, თუნდაც ერთგული მსახური ყოფილიყო ის ჩემი, თინგოლისა და მელიანის ასულის მოსაპოვებლად არ კმარა. მისმინე! მეცა მსურს განძი მიუწვდომელი. კლდე, რკინა და ცეცხლი მორგოთისა მაშორებს ძვირფას ქვას, რომლისა გამოც ელფ მეუფეთა მტრობასაც არ შევუშინდები. მოხსენი მორგოთის გვირგვინს სილმარილი და საკუთარი ხელით მომართვი; ოდენ მაშინ, თუკი ინებებს, ლუთიენი შენს ხელში თავისას ჩადებს. ასე მიიღებ ჩემგან განძს შენთვის სასურველს. და თუმცა სილმარილებში ძვეს ბედი არდისა, ჩემი სულგრძელობა მაინც მუდამ გემანსოვრება!»

ასე გამოუტანა განაჩენი თინგოლმა ღორიათს და მანდოსის წყევლა დაატეხა თავს. ხოლო ვინც თინგოლის სიტყვები მოისმინა, მიხვდა, ასულისთვის მიცემული ფიცი აღასრულა მან, მაგრამ იმავდროულად სასიკვდილოდ გაგზავნა ბერენი; რამეთუ იცოდა ყველამ, თვით ალყის დარღვევამდე, ძლევამოსილ ნოლდორთ შორიდანაც კი ვერ მოხერხებინათ ფევანორის სილმარილებისთვის თვალის შევლება; ბალროგთა რაზმი, ურიცხვი ხმლოსანი, გაუვალი კედლები და მორგოთის ბნელი დიდებულება იცავდა რკინის გვირგვინში ჩასმულ ძვირფას ქვებს და ანგბანდში ყოველ განძზე მეტად უფრთხილდებოდნენ.

ხოლო ბერენმა გაიცინა და თქვა: «იაფად ყიდიან ელფი მეფენი თავიანთ ასულებს: პატიოსანი თვლებისა და ხელნაკეთი სამკაულების სანაცვლოდ. კეთილი, თუკი ესე არს ნება შენი, თინგოლ, ადვასრულებ მას. ჩვენი მორიგი შეხვედრისას ხელთ მეპყრება რკინის გვირგვინიდან ჩა-

მოჭრილი სილმარილი; ბერენ ბარაჰირის ძისთვის თვალი უკანასკნელად არ შევივლია!»

ბერენმა მელიანს შეხედა თვალებში, მაგრამ დედოფალს არაფერი უთქვამს. შემდეგ ლუთიენ ტინუვიელს გამოეთხოვა, თინგოლსა და მელიანს თავი დაუკრა, გარს შემოხვეული მცველები ჩამოიცილა და მენეგროთიდან მარტო გავიდა.

ამის შემდგომდა ამოიღო ხმა მელიანმა და უთხრა თინგოლს: «ოჰ, მეფეო, ცბიერი გეგმა კი მოიფიქრე,

მაგრამ თუ არ მტლათობს მზერა შორსმჭვრეტელი, გეტყვი, რომ ცუდი არს შენთვის, ბერენი დავალებას შენსას ადასრულებს თუ ვერ ადასრულებს, რამეთუ ან თავს შენსას გასწირავ, ან ასულს შენსას. ხოლო დორიათის ბედი ამიერიდან უფრო ძლიერი სამეფოს ბედს დაუკავშირდა!»

ხოლო თინგოლმა მიუგო: «ჩემს საყვარელ და უძვირფასეს განძს არც ელფს მივყიდი და არც კაცს. უკეთუ იმედი ან შიში მქონოდა იმისა, რომ ბერენი მენეგროთში ცოცხალი დაბრუნდება, გავტეხდი ფიცს და ნათელ ცას ველარასოდეს იხილავდა იგი».

ხოლო ლუთიენი დადუმდა და მას შემდეგ აღარ უმღერია დორიათში. ტყეებში მდუმარებამ დაისადგურა და თინგოლის სამეფოში ჩრდილები დაგრძელდა.

ლეითიანის სიმღერაში ნათქვამია, რომ ბერენმა დორიათიდან დაუბრკოლებლად გააღწია და ბინდის ტბებისა და სირიონის ჭაობების მხარეში აღმოჩნდა. თინგოლის სამეფოდან წამოსული სირიონის ქედებს ზედ მოექცა და ნისლისა და წვიმის ფარდის უკნიდან შეხედა დასავლეთს. დაინახა ტალათ ღირნენი, სირიონსა და ნაროგს შორის გადაჭიმული დაცული ვაკე. ხოლო მის გადაღმა მოჩანდა ტაურ-ენ-ფაროთის ტყიანი მთიანეთი და სასოწარკვეთილმა ბერენმა დახმარების ან რჩევის სათხოვნელად სწორედ იქით, ნარგოთრონდისკენ გასწია.

ვაკეს ფხიზლად დარაჯობდნენ ელფნი ნარგოთრონდისა, მის შემომსაზღვრელ ყოველ ბორცვზე ფარული საგუშაგო კოშკი იდგა, ხოლო გარშემო, ტყე-ველად მრავალი მშვილდოსანი იყო ჩასაფრებული. აუც-

დენელი და მომაკვდინებელი იყო მშვილდოსანთა ისრები, ვერვინ გაივლიდა იქ უნებართვოდ. შორიდანვე შეამჩნიეს ბერენი და მოკვლას უპირებდნენ, მაგრამ ბერენმა იცოდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა და ფელაგუნდის ბეჭელი მაღლა ასწია. თუმცა, არსად ჩანდნენ მონადირენი, გრძნობდა, როგორ უთვალთვალებდნენ და გზადაგზა ხშირად გაიძახოდა: «მე ვარ ბერენი, ძე ბარაჰირისა, ფელაგუნდის მეგობრისა. თქვენს მეფესთან მიმიყვანეთ!»

ამგვარად, მონადირეებმა ბერენი არ მოკლეს, სამაგიეროდ, გზა გადაუღობეს და გაჩერება უბრძანეს. თუმც კი, მოგზაურობისგან დაქანცული იყო ბერენი და ცუდად გამოიყურებოდა, ბეჭდის დანახვაზე თავაზიანად თავი დაუკრეს ელფებმა და ჩრდილო-დასავლეთით გაუძღვნენ; ოღონდ ღამით იარეს, რომ ბერენს საიღუმლო ბილიკების ადგილმდებარეობა ვერ დაემახსოვრებინა. იმხანად ნარგოთრონდის კარიბჭემდე ხიდი არ იყო გადაღებული და ამიტომ ჩრდილოეთით გინგლითისა და ნაროგის შესართავთან, შედარებით ნელ დინებაში გავიდნენ ფონს. მდინარის გადაღმა სამხრეთით გაუხვიეს და ბოლოს საიღუმლო დარბაზების ბნელ კარიბჭეს მიაღგნენ.

ასე ეახლა ბერენი მეფე ფინროდ ფელაგუნდს. ფელაგუნდმა მაშინვე იცნო ბეორისა და ბარაჰირის შთამომავალი, ბეჭდის ნახვა არც სჭირდებოდა. დახურულ კარს მიღმა დასხდნენ ისინი და ბერენმა

ბარაჰირის სიკვდილისა და ღორიათული თავგადასავლის შესახებ უამბო; ლუთიენისა და მასთან გატარებული ბედნიერი წუთების გახსენებაზე ცრემლები წასკდა. განაცვიფრა და შეაწუხა მისმა ნაამბობმა ფელაგუნდი; მიხვდა, რომ ახდებოდა დიდი ხნის წინ გალაღრიელისთვის ნათქვამი მისი წინასწარმეტყველება და მაშინ დაღებული ფიცი სიკვდილამდე მიიყვანდა. გულდამძიმებულმა უთხრა ბერენს: «ცხადი არს, თინგოლს შენი სიკვდილი სწადია; თუმცა, ვფიქრობ, რაც მოხდა, ბედისწერით იყო განსაზღვრული, კვლავ ფევანორის ფიცი ამოქმედდა. რამეთუ მძულვარე ფიცით დაიწყევლა სილმარილები და ის, ვინც მათ ახსენებს სურვილით შეპყრობილი, მთვლემარე დიად ძალას გამოაღვიძებს; ხო-

ლო ფეანორის ვაჟნი უმაღლესი ელფურ სამეფოს გაანადგურებენ, ვიდრე სილმარილისთვის სხვას ხელს დააკარებინებენ ან დაუთმობენ. ფიცი ამოდრავებს მათ. ახლა კელეგორმი და კურუფინი ჩემს დარბაზებში სახლობენ; და მართალია, მე, ფინარფინის ძე, ვარ ნოლდორთა უზუნაესი მეფე, ამ სამეფოში ძმებმა დიდი გავლენა მოიპოვეს. მათი ხალხის რიცხვიც ძალზე დიდი არს. გასაჭირის ჟამს მუდამ გვერდში მიდგანან, მაგრამ შენი დავალების შესახებ თუ შეიტყობენ, ვეჭვობ, შენ მიმართ სიყვარული ან მოწყალება გამოიჩინონ. საუბედუროდ, ჩემი ფიცი კვლავაც მოქმედებს და ამგვარად, ყველა მახეში ვართ გაბმული».

თავის ხალხს მიმართა მეფე ფელაგუნდმა, გაიხსენა საგმირო საქმენი ბარაჰირისა და მისთვის მიცემული სიტყვა; განაცხადა, გასაჭირში ბარაჰირის ძის შველა მევალებათ და ბელადებს დახმარება სთხოვა. მაშინ ბრბოს გამოეყო კელეგორმი, ხმალი იშიშვლა და შესძახა: «მეგობარსა თუ მტერს, მორგოთის ავსულს, ელფსა თუ კაციშვილს, ან არდის ნებისმიერ სულიერს, ვერც კანონი, ვერც სიყვარული, ვერც ქვესკნელის ძალები, ვერც ვალართა დიდება და ვერც გრძნეულება ვერ დაიფარავს ფეანორის ძეთა სიძულვილისგან, უკეთუ იპოვის ან დაისაკუთრებს სილმარილს იგი. რამეთუ სილმარილნი ჩვენი კუთვნილება არს და იქნების ქვეყნიერების აღსასრულამდის».

უფრო მეტი რამ თქვა კელეგორმმა და ეს გამოსვლა იყო მსგავსი ტირონში მამამისის გამოსვლისა, როცა ფეანორმა ნოლდორნი ააჯანყა. კელეგორმის შემდეგ კურუფინმა ილაპარაკა, უფრო რბილად, მაგრამ არანაკლებ დამაჯერებლად და მსმენელ ელფებს ომისა და ნარგოთრონდის ნგრევის ხილვა მოუვლინა. ისეთი შიში დათესა მათ გულებში, რომ ტურინის გამოჩენამდე, იმ სამეფოს ელფნი ნარგოთრონდიდან საომრად გასვლას ვეღარ ბედავდნენ; არამედ ნათესაობასა და მეგობრობას აღარ დაგიდევდნენ და ყოველ უცხოელს კლავდნენ, ზოგს ჩაუსაფრებოდნენ, ზოგს მიეპარებოდნენ, ზოგს ჯადოქრობით ან მოწამლული ისრით უსწრაფებდნენ სიცოცხლეს. უძველეს ელფთა ბრწყინვალეობა და თავისუფლება დაკარგეს მათ და წყვდიადმა მოიცვა მათი ქვეყანა.

ახლა აჩურჩულდნენ, ფინარფინის ძე ვალა არ არის, რომ ჩვენზე იმ-ბრძანებლოსო და ზურგი აქციეს მას. ხოლო მანდოსის წყევლამ გონება დაუბნელა ფვანორის ძეებს და ბნელი აზრები გაუჩნდათ, დაე, წავიდეს ფელაგუნდი მარტო და პოვოს სიკვდილი, ნარგოთრონდის ტახტს კი ჩვენ დავეპატრონოთო. რამეთუ ნოლდოროთა უფლისწულთაგან უფროს-ნი იყვნენ ისინი.

იხილა ფელაგუნდმა, რომ ყველამ მიატოვა, მოიხსნა ნარგოთრონ-დის ვერცხლის გვირგვინი და თავის

ფერხთით დააგდო: «თქვენ კი გატეხეთ ფიცი ერთგულების, მაგრამ პირობას ჩემსას მე არ დავარღვევ. ხოლო უკეთუ თქვენ შორის იყვნენ ისეთნი, ვისაც წყევლის აჩრდილი არ გადაჰყვინია, დაე, გამომყვინენ, რა-თა არ ვგავდე კინწისკვრით გაგდებულ უბადრუკ მათხოვარს».

ათი ერთგული ელფი დაუდგა გვერდით, ხოლო მათმა უფროსმა ედ-რაჰილმა აიღო ძირს დაგდებული გვირგვინი და სთხოვა, დაბრუნებამ-დე, დაე, მეფისნაცვალმა დაიდგას თავზეო.

«რამეთუ მეფე ხარ ჩემი და მათი, რაც უნდა მოხდეს», – უთხრა ფე-ლაგუნდს ედრაჰილმა.

მაშინ ფელაგუნდმა ნარგოთრონდის გვირგვინი თავის ძმას, ოროდ-რეთს გადასცა და მეფისნაცვლად დანიშნა. ხოლო კელეგორმსა და კუ-რუფინს არაფერი უთქვამთ, მხოლოდ ჩაიციენეს და დარბაზი დატოვეს.

შემოდგომის ერთ საღამოს ათი თანამგზავრის თანხლებით ფელა-გუნდი და ბერენი ნარგოთრონდიდან გავიდნენ; ნაროგის გასწვრივ და-იძრნენ და მის სათავემდე, ივრინის ჩანჩქერებამდე იარეს. წყვდიადის მთების ქვეშ ორკთა რაზმს გადააწყდნენ და ღამით, მძინარენი, ყველა დახოცეს, ხოლო მათი საჭურველი და იარაღი დაისაკუთრეს. ფელაგუნ-დის ხელმარჯვეობის წყალობით ორკებს დაემსგავსნენ და ასე შენიღ-ბულნი ჩრდილოეთისკენ გაუდგნენ გზას. გაიარეს დასავლეთის კარში, ერედ უეთრინსა და ტაურ-ნუ-ფუინის მთიანეთს შორის. საურონმა თავი-სი მაღალი კოშკიდან შეამჩნია ისინი და ეჭვმა შეიპყრო, რამეთუ არ გა-ჩერებულან და არც მგზავრობის მიზანი მოუხსენებიათ მისთვის, რო-

გორც მორგოთის მსახურთ ევალუბოდათ. მათი შეჩერებისა და მასთან მიგვრის ბრძანება გასცა.

სწორედ მაშინ გამართეს სახელგანთქმული შეჯიბრება სიმღერაში საურონმა და ფელაგუნდმა; ჯაღოსნური სიმღერით შეებრძოლა ფელაგუნდი საურონს, მაგრამ საურონმა დაამარცხა, როგორც ლეითიანის სიმღერაში არის ნათქვამი:

თქვა მან სიმღერა ავად გრძნეული,
გამგმირავი და ბოროტეული:
ღალატს უმღერეს ვერაგ ბაგეთა.
შეკრთა ფინროდი, მაინც ამღერდა:
სიმტკიცეს, მედგრად დგომას აქებდა.
ბოროტ ძალასთან ბრძოლა ახსენა,
საიდუმლო და ძალ-ღონე, რწმენა,
თქვა თავდახსნის და გადარჩენისა,
ფერისცვალების, განახლებისა,
აქო მახის და ხაფანგის მსხვრევა,
ციხის გაღება და ბორკილთ მტვრევა.
ერკინებოდა ურთიერთს ხმები,
იძალა ავმა, ეკვეთა გზნებით,
და ფელაგუნდიც დაუხვდა მედგრად:
ელფების მთელი ძალა და გრძნება
სიმღერის სიტყვებს ჩააწნა ფიცხლად.
ბინდში გაისმა ჭიკჭიკი ჩიტთა:
შორს, ნარგოთროდში გალობდნენ ჩიტნი,
სუნთქვა მოისმა ზღვის, სადღაც იქით,
დასავლის მხარის გაღმა, ქვიშაზე -
მარგალიტს რომ ჰგავს, ელფთა მიწაზე.
მერე - ავბედი: ვალინორს ბნელმა
გადაუარა, და სისხლმა ცხელმა
წალეკა ქვიშა იქ, სად ნოლდოროთა

თვისი მოძმენი ჟლიტეს ბოროტად,
წაჰგვარეს მერე თეთრი გემები
ყურეებიდან. და გავუშებით
აღმუვლდა ქარი, მგელი აყმუვლდა,
ზღვის უბეები ყინულმა გუდა.
სიმწრით აგმინდა ანგბანდის ციხე,
იქუხა, ცეცხლი ავარდა იქვე
და ფელაგუნდი დაემხო პირქვე.²

საურონმა გამოააშკარავა შენიღბულნი და სამოსელშემოდარცულნი და დამფრთხალნი დარჩნენ ისინი მის წინაშე. მართალია, საურონმა გარკვია, რომ ორკნი არ იყვნენ, მაგრამ მათი ვინაობა და განზრახვანი მაინც ვერ შეიტყო.

ღრმა, ბნელსა და ჩუმ დილეგში ჩაყარა მან ტყვეები და დაემუქრა, საშინელი ტანჯვით დაგზოცავთ, თუკი რომელიმე სიმართლეს არ გამიმხელთო. ხანდახან სიბნელეში ორი თვალი აელვარებოდა და მგელკაცი ფელაგუნდის თითო თანამებრძოლს სანსლავდა; თუმცა, თავიანთი ბატონი არც ერთს არ გაუცია.

იმ დროს, როცა საურონმა ბერენი დილეგში ჩააგდო, გულზე დარდი შემოაწვა ლუთიენს; მელიანთან მივიდა რჩევის საკითხავად და მისგან შეიტყო, რომ ბერენი ტოლ-ინ-გაურჰოთის საპყრობილეში იყო დამწყვდეული და მისი დახსნის იმედი არ არსებობდა. მიხვდა ლუთიენი ამქვეყნად ბერენის შემწე არავინ არისო და გადაწყვიტა, დორიათიდან მასთან გაქცეულიყო. დაერონს სთხოვა დახმარება, მაგრამ დაერონმა მეფესთან დააბეზდა. დამწუხრდა თინგოლი, რამეთუ არ სურდა, მისი ასული დღის შუეს მოკლებულ ბნელ დილეგში დამჭნარიყო და დაღუპულიყო; ამიტომ თავად დაატყვევა, ისეთი სახლი აუგო, რომლიდანაც

ვერ გაიქცეოდა. მენეგროთის კარიბჭის სიახლოვეს იდგა ნელდორეთის ტყის უმაღლესი ხე; ხოლო ამ უმაღლეს წიფელს ხშირი წიფლნარისა, რომელიც სამეფოს ჩრდილოეთ ნახევარს შეადგენდა, ერქვა ჰირი-

² ლექსები ინგლისურიდან თარგმნა ციცო ხოცუაშვილმა.

ლორნი. სამი ღერო ჰქონდა ჰირილორნს, სამივე თანაბარი სისქისა და სიმაღლისა და სამივე გლუვქერქიანი. მხოლოდ მიწიდან შორს, ძალიან მაღლა გამოზრდოდა ღეროებს ტოტები. იქ, ზემოთ, ჰირილორნის ღეროთა შორის ხის სახლი ააშენეს ლუთიენისთვის, ხოლო ხეს კიბეები მოაშორეს და გარს მცველები დაუყენეს; თინგოლის მსახურნიდა ადიოდნენ ზემოთ, როცა ლუთიენისთვის რამე მიჰქონდათ.

ლუთიანის სიმღერაში მოთხრობილია, როგორ გაიქცა ლუთიენი ჰირილორნიდან. მან ჯადოსნობა გამოიყენა, თმა ძალზე დაიგრძელა და მისგან მოქსოვა შავი მოსასხამი, რომელიც ჩრდილავდა მის მშვენიერებას; ხოლო თმა ძილისმომგვრელ ჯადოს ასხივებდა; დარჩენილი თმის ღერებისგან ლუთიენმა დაგრიხა ბაწარი და ფანჯრიდან გადაკიდა. ხის ძირას მსხდარი მცველების თავზე აქანავდა ბაწარი და მოაჯადოვა ისინი. შეიცადა ლუთიენმა, ვიდრე მცველებს ღრმად ჩაეძინებოდათ, მერე საპყრობილიდან ძირს ჩაცოცდა, შავ მოსასხამში გახვეული დაუსხლტა ყველას მზერას და დორიათიდან გაუჩინარდა.

ისე მოხდა, რომ იმ დროს კელეგორმი და კურუფინი დაცულ ვაკეზე გასულიყვნენ სანადიროდ; მიზეზი მათი ველად გასვლისა იყო ის, რომ ეჭვით აღვსილ საურონს ელფთა მიწებზე მრავალი მგელი გამოეგზავნა. თავიანთი მწევრებით წასულიყვნენ ფვანორის ვაჟები მგლებზე სანადიროდ, ამასთან, იმედოვნებდნენ, შინ დაბრუნებამდე მეფე ფელაგუნდის ამბავსაც შევიტყობთო. კელეგორმის მწევართა მეთაურს ერქვა ჰუანი. წარმოშობით კურთხეული სამეფოდან იყო იგი, დიდი ხნის წინ ვალინორში ორომეს ერუქებინა კელეგორმისთვის. ჰუანი ახალ ბატონს შუანმელეთში გამოჰყოლოდა და ერთგულად ემსახურებოდა. ამგვარად, ნოლდორთათვის გამოტანილი განაჩენი მასზეც გავრცელდა და თქმულ იქნა, ერთხელაც, როცა ამქვეყნად უძლიერეს მგელს შეხვდება, სიკვდილს პოვებსო ჰუანი.

სწორედ ჰუანმა შეამჩნია ლუთიენი, რომელიც აჩრდილივით მირბოდა დღის შუქზე, როცა კელეგორმი და კურუფინი დორიათის დასავლეთ მიჯნასთან, ხეთა ქვეშ დასასვენებლად ჩამომსხდარიყვნენ; რამეთუ

არაფერი გამოეპარებოდა ჰუანის მზერასა და ყნოსვას, ვერანაირი გრძნება ვერ დაუბრმავებდა თვალს, და არასოდეს ეძინა, ფხიზლობდა დღედაღამ. კელეგორმთან მიიყვანა მან ლუთიენი. ხოლო ლუთიენმა, რა შეიტყო, რომ ნოლდორთა უფლისწული და მორგოთის მტერი იყო კელეგორმი, ფრიად გაიხარა. მოსასხამი გადაიხადა მან და ვინაობა გამხილა. მისი სილამაზის უეცარმა გამოვლინებამ მონუსხა კელეგორმი და მყისვე ტრფობის ალი წაეკიდა მის გულს. კეთილად დაელაპარაკა მშვენიერ ქალწულს და დახმარებას დაჰპირდა, თუკი მასთან ერთად ნარგოთრონდში დაბრუნდებოდა. ხოლო ის არ უთქვამს, რომ ბერენისა და მისი დავალების შესახებ უკვე იცოდა და ეს საქმე მასაც ეხებოდა.

შეწყვიტეს ნადირობა და დაბრუნდნენ ნარგოთრონდში, ხოლო ლუთიენს უღალატეს; დაატყვევეს იგი, მოსასხამი გახადეს, სახლიდან არ უშვებდნენ და არავისთან დალაპარაკების ნებას არ რთავდნენ, გარდა ძმებისა. ვინაიდან საურონის მიერ შეპყრობილი ბერენისა და ფელაგუნდის დახსნის იმედი არ არსებობდა, ძმებმა გადაწყვიტეს, ნოლდორთა უზუნაესი მეფის სიკვდილს დალოდებოდნენ, ხოლო თინგოლი

იძულებით დაეთანხმებინათ, კელეგორმისთვის მიეთხოვებინა ლუთიენი. თინგოლთან დამოყრებით მათი ძლიერება გაიზრდებოდა და ნოლდო უფლისწულთა შორის ყველაზე გავლენიანები შეიქნებოდნენ. ხოლო სილმარილთა მოპოვებას ხერხითა თუ ომით ან სხვათა მეშვეობით, არავის დაანებებდნენ, ვიდრე ელფთა ყველა სამეფოს თვითონ არ დაუფლებოდნენ. ოროდრეტს მათთან შეწინააღმდეგება არ ძალუძდა, რამეთუ ნარგოთრონდის მკვიდრნი ფეანორის ვაჟთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კელეგორმმა ელჩები გაუგზავნა თინგოლს და თავისი მოთხოვნა წაუყენა.

თუმცა, ჰუანი გულკეთილი და ალაღმართალი იყო და პირველივე შეხვედრისას შეუყვარდა ლუთიენი; ძლიერ განიცდიდა მის დატყვევებას. ხშირად მიდიოდა მის პალატთან და ღამით კართან დარაჯობდა, რამეთუ გრძნობდა, ბოროტებას დაევანა ნარგოთრონდში. ხშირად ელაპარაკებოდა მარტოსული ლუთიენი ჰუანს, უყვებოდა ამბავს ბერე-

ნისა, მეგობრისა ყოველი ნადირ-ფრინველის, რომელიც მორგოთს არ ემსახურებოდა. ხოლო ჰუანი ხვდებოდა მის ნათქვამს, რამეთუ ყოველი სულიერის ენა ესმოდა.

ლუთიენის დახმარება გადაწყვიტა ჰუანმა. ერთხელ ღამით მოსასხამი მიუტანა და გეგმა გაუმხილა, მაშინ პირველად ამეტყველდა ის. შემდეგ საიდუმლო გზებით გაიყვანა ნარგოთრონიდან და ჩრდილოეთში ერთად გაიქცნენ; თავი დაიმცირა ჰუანმა და, თითქოს ცხენი ყოფილიყოს, ზურგზე შეისვა ლუთიენი, ვითარცა ორკნი შესხდებოდნენ ხანდახან მგლებზე. ასე უფრო სწრაფად გასწიეს, რამეთუ ფეხმალი და მოუქანცავი იყო ჰუანი.

საურონის დილეგში ეყარნენ ბერენი და ფელაგუნდი, მათი თანამგზავრნი უკვე დაეხოცათ. საურონი ფელაგუნდს ბოლოსთვის ინახავდა, რამეთუ ძლევამოსილი და გონიერი ნოლდო იყო იგი და ფიქრობდა საურონი, უთუოდ ის იქნება ტყვეთა მეთაური, ხოლო სხვანი – მისი თანამზრახველნიო. თუმცა, როცა მგელი ბერენის დასაგლეჯად მივიდა, ძაღლონე მოიკრიბა ფელაგუნდმა, ბორკილები გაწყვიტა და მგელკაცს შეეჭიდა; შიშველი ხელებითა და კბილებით მოკლა იგი, მაგრამ თავადაც სასიკვდილოდ დაიჭრა. ვიდრე სული ამოხდებოდა, ბერენს უთხრა: «ზღვათა და ამანის მათათა გადაღმა ხანგრძლივი მოლოდინის დარბაზებში მივემართები. დიდი ხანი გაივლის, ვიდრე კვლავ ნოლდორთა შორის მიხილავენ. იქნებ ისე მოხდეს, რომ ვედარასოდეს შევხვდეთ ერთმანეთს, ვერც მკვდარნი და ვერც ცოცხალნი, რამეთუ ელფთა და კაცთა ბედისწერა სხვადასხვა არს. მშვიდობით!» გარდაიცვალა ფელაგუნდი ბნელ დილეგში ტოლ-ინ-გაურჰოთისა, რომლის კოშკიც ოდესღაც თავად ააგო. ამგვარად, ფინროდ ფელაგუნდმა, უმშვენირესმა და უკეთილშობილესმა ფინუეს სახლიდან, ფიცვი აღასრულა. ხოლო ბერენი მის გვერდით დაჩოქილი დამწუხრებული მოთქვამდა.

სწორედ მაშინ მოვიდა ლუთიენი, დადგა საურონის კუნძულისკენ მიმავალ ხიდზე და ამღერდა; მის სიმღერას ვერა ქვის კედელი ვერ შეაკავებდა. გაიგონა მისი ხმა ბერენმა და იფიქრა, მომეჩვენაო, რამეთუ მის

თავზემოთ ვარსკვლავები აკიაფდნენ, ხოლო გარშემო ბუღბუღები ამღერდნენ. პასუხად გამომწვევი სიმღერა დაიწყო ბერენმა, ის თავად შეეთხზა სადიდებლად შვიდი ვარსკვლავისა და ვალართა ნამგლისა,

რომელიც ვარდამ დაკიდა ცაზე ნიშნად მორგოთის დამარცხებისა. მერე უეცრად ძალა წაერთვა და წყვდიადში დაინთქა.

თუმცა, ლუთიენმა გაიგონა მისი ხმა და უფრო ძლიერად ამღერდა. მგლები აყმუვლდნენ, კუნძული შეზანზარდა. ბნელი აზრებით მოცული წამოდგა საურონი თავის მაღალ კოშკში; მაგრამ ლუთიენის ხმის გაგონებაზე გაიღიმა, რამეთუ იცნო მელიანის ასული. ლუთიენის სილამაზისა და ტკბილხმოვანების ამბავი დორიათიდან შორს გავრცელებულიყო; ქალწულის შეპყრობა და მისი მორგოთისთვის გადაცემა გადაწყვიტა საურონმა, იცოდა რა, რომ სანაცვლოდ ბატონი გულუხვად დააჯილდოებდა. მგელი გაგზავნა ხიდზე საურონმა, მაგრამ ჰუანმა უხმაუროდ დაგლიჯა იგი. არც მეორე მგელი დაბრუნდა უკან ტყვესთან ერთად. სათითაოდ გზავნიდა მგლებს საურონი და სათითაოდ უღადრავდა მათ ყელს ჰუანი. მაშინ საურონმა დრაუგლინი გაუშვა, მხეცი საზარელი და ავი, მეთაური და წინაპარი ანგბანდის მგელკაცთა. ძალზე ღონიერი იყო იგი; ბრძოლა ჰუანისა და დრაუგლინისა იყო ხანგრძლივი და სასტიკი. ბოლოს დაუსხლტა ჰუანს დრაუგლინი, კოშკში გაიქცა და საურონის ფერხთით დავარდნილი მოკვდა. ხოლო სიკვდილის წინ ბატონს უთხრა: «იქ ჰუანია!» მაშინ საურონი და მისი ქვეშევრდომნი მიხვდნენ, რომ დამდგარიყო ჟამი ვალინორში გამოტანილი განაჩენის აღსრულებისა; იფიქრა საურონმა, ჩემი ხვედრი ყოფილათ ვეება მწევრისთვის ბოლოს მოღება. ამქვეყნად ყველაზე დიდ და ძლიერ მგელკაცად განსხეულდა საურონი და გამოვიდა კოშკიდან, რათა ხიდზე მდგარ ლუთიენამდე გზა გაეკაფა.

იმდენად შემადრწუნებელი იყო საურონის გამოჩენა, რომ ჰუანი განზე გახტა; ხოლო საურონი ლუთიენს დააცხრა. საურონის სასტიკად აბრიალებულმა თვალებმა და მისი ხახიდან ამოჭრილმა მყრალმა ოხშივარმა დააფრთხო ლუთიენი და გული წაუვიდა. თუმცა, წაქცევისას შავი მოსასხამის ნაკეცი თვალებზე აიფარა; წაბორძიკდა საურონი, რამეთუ

წამიერი თვლემა მოერია. მაშინ ჰუანმა შეუტია. გაჩაღდა ჰუანისა და მგელი-საურონის ბრძოლა, მათი ყმუილისა და ყეფის ექომ მთა-გორაკები შემოირბინა; ხეობის მეორე მხარეს ერედ უეთრინის კედლებზე გადმოდგარი გუშაგების სმენას მისწვდა ორთაბრძოლის ხმაური და დაიბნენ ისინი.

ვერც გრძნულებამ და ჯადომ, ვერც ბასრმა კბილებმა და შხამმა, ვერც ცბიერებამ და მხეცურმა ძალამ ვერ დაამარცხა ვალინორში შობილი ჰუანი; ყელში სწვდა იგი საურონს და ძირს დააგდო. მაშინ ჯერ გველად გადაიქცა საურონი, მერე ჩვეული იერი დაიბრუნა, მაგრამ მაინც ვერ დაუსხლტა ჰუანის ეშვებს. სხვა გზა აღარ დარჩა საურონს, მისი ავი სული სხეულის დასატოვებლად და აცახცახებული აჩრდილივით მორგოთთან გასაქცევად ემზადებოდა, როცა მასთან ლუთიენმა მიიბრინა და უთხრა: «იქ, მისი მზერით გამსჭვალულ შენს გამიშვლებულ სულს, მორგოთის საუკუნო დაცინვის მოსმენა მოუწევს, თუკი შენი კოშკის მმართველობას არ ჩაგვაბარებ».

დანებდა საურონი და კუნძული და ყველაფერი იმ კუნძულზე ლუთიენს ჩააბარა. მაშინ კი გაუშვა ჰუანმა საურონი, რომელმაც მყისვე ვამპირის იერი მიიღო, შავი ღრუბელივით გადაეფარა მთვარეს და გაფრინდა, მისი ყელიდან სისხლი ხეებს ეწვეთებოდა. ტაურ-ნუ-ფუინს შეაფარა მან თავი და იქაურობა საშინელებებით გაავსო.

ხოლო ლუთიენი ხიდზე დადგა და იქაურობა თავისად გამოაცხადა. აიხსნა ჯადო ქვისა ქვასთან დამაკავშირებელი, კარიბჭე ჩამოვარდა, გაიხსნა კედლები და ჯურღმულები გამოჩნდა. მრავალი მონა და ტყვე გამოვიდა დილეგიდან დაბნეული და გაკვირვებული, მთვარის მკრთალ შუქს იჩრდილავდნენ ხელებით, რამეთუ დიდხანს წოლილიყვნენ საურონის წყვდიადში. თუმცა, ბერენი არ გამოსულა. კუნძულზე შეუდგნენ მის ძებნას ჰუანი და ლუთიენი. ლუთიენმა ის ფელაგუნდის ცხედართან მოტირალი იპოვა. ისე ძლიერ დამწუხრებულიყო, რომ გაუნძრევლად იწვა და ლუთიენის ფეხის ხმა არ გაუგონია. ლუთიენს მკვდარი ეგონა იგი, მკლავები შემოახვია და გრძნობა დაკარგა. ამასობაში ბერენი სასო-

წარკვეთილების უფსკრულიდან კვლავ ნათელს დაუბრუნდა, გონს მოეგო, სატრფო აიყვანა და ერთმანეთს შეხედეს; ბნელი ბორცვების უკნიდან ამომავალი მზის სხივები მათ სახეებს დანათოდა.

მისივე კუნძულის ბორცვის თხემზე დამარხეს ფელაგუნდი; ბოროტისაგან გაიწმინდა იქაურობა. მწვანე სამარხი ფინროდ ფინარფინის ძისა, უმძვენიერესი ელფი მეუფისა, ხელუხლებელი იყო, ვიდრე ის ქვეყანა შეიცვლებოდა, დაინგრეოდა და აზვირთებულ ზღვაში ჩაინთქებოდა. ხოლო ფინროდი მამასთან, ფინარფინთან ერთად დასეირნობს ელდამარის ხეთა ქვეშ.

ბერენი და ლუთიენი კვლავ გათავისუფლდნენ და ცოტა ხანს ბედნიერი დაიარებოდნენ ტყეებში. ზამთარი მოვიდა, მაგრამ სუსხი მათ არ ვნებდათ, რამეთუ იქ, სადაც ლუთიენი ფეხს დაადგამდა, ყვავილები არ ხმებოდა და ჩიტნი თოვლით შემოსილ ფერდობებზე გალობდნენ. ხოლო ერთგული ჰუანი ბატონთან, კელეგორმთან დაბრუნდა; თუმცა, უწინდელივით ძლიერ აღარ უყვარდათ მათ ერთმანეთი.

არეულობა სუფევდა ნარგოთრონდში, რამეთუ საურონის კუნძულზე ტყვედ მყოფი მრავალი ელფი დაუბრუნდა სამშობლოს. კელეგორმის სიტყვები ვეღარ აცხრობდა მათ შეშფოთებას. თავიანთ მეფეს, ფელაგუნდს დასტიროდნენ ისინი და ამბობდნენ, ერთმა ქალწულმა ჩაიდინა ის, რაც ფეანორის ვაჟებმა ვერ გაბედესო; ბევრი უკვე ხვდებოდა, რომ კელეგორმმა და კურუფინმა ფინროდს უღალატეს. ამგვარად, ნარგოთრონდის ელფებმა ფეანორის ვაჟების ზეგავლენას თავი დააღწიეს და კვლავ ფინარფინის საგვარეულოსკენ იბრუნეს პირი, ოროდრეტს გამოუცხადეს მორჩილება. თუმცა, ოროდრეტმა ქვეშევრდომებს ძმების დახოცვის ნება არ დართო, რამეთუ ნათესავთა სისხლის დაღვრა კიდევ უფრო ძლიერ დაატეხდა მათ თავს მანდოსის წყევლას. სამაგიეროდ თავის სამეფოდან გააძევა კელეგორმი და კურუფინი და ფიცი დადო, ამიერიდან ნარგოთრონდსა და ფეანორის ვაჟებს შორის მეგობრობა არ იქნებაო.

«დაე, იყოს ასე!» – წამოიძახა კელეგორმა და თვალები ბრაზით აენ-
თო; ხოლო კურუფინმა გაიღიმა. მერე ცხენებზე ამხედრდნენ და ელვის
უსწრაფესად გაქუსლეს აღმოსავლეთში თავიანთი ნათესავების მოსა-
ძებნად. საკუთარ ხალხთაგან არავინ გაჰყოლია მათ, რამეთუ ცხადად
გამოჩნდა, დაწყევლილნი იყვნენ და უბედურება თან სდევდა ძმებს. ხო-
ლო კელებრიმბორი, ძე კურუფინისა, განუდგა მამას და ნარგოთრონდში
დარჩა, ჰუანი კი თავის ბატონს არ მოსცილებია.

ჩრდილოეთით მიიჩქაროდნენ, ჰიმრინგისკენ, სადაც მათი ძმა მაედ-
როსი სახლობდა. დორიათის საზღვრის გასწვრივ მიაჭენებდნენ ცხე-
ნებს და დიმბარის გავლას აპირებდნენ, რამეთუ ნან ღუნგორთებსა და
მუქარით მომზირალ შემზარავ მთებს თავს არიდებდნენ.

როგორც ამბობენ, თავისუფლად მოხეტიალე ბერენი და ლუთიენი
ბრეთილის ტყეში აღმოჩნდნენ და, ბოლოს, დორიათის საზღვრებს მი-
ადგნენ. მაშინ თინგოლისთვის მიცემული სიტყვა გაახსენდა ბერენს; და
როცა სამშობლოსთან ახლოს დაიგულა ლუთიენი, უხალისოდ გადაწ-
ყვიტა, კვლავ სილმარილის მოსაპოვებლად წასულიყო. თუმცა, ლუთიე-
ნი მასთან განშორებას უარობდა: «უნდა აირჩიო, ბერენ: ან დავალების
შესრულებაზე ხელს აიღებ, ფიცს გატეხ და სიცოცხლის ბოლომდე ქვეყ-
ნიერების ზურგზე იხეტიალე, ან პირობას შეასრულებ და ბნელ ძალას
მისსავე ტახტზე დაუპირისპირდები. რომელ გზასაც უნდა გაუყვე, თან
გამოგყვები და მეც შენს ბედს გავიზიარებ».

ვიდრე ლაპარაკით გართული მიჯნურნი ველარაფერს ამჩნევდნენ,
ტყეში კელეგორმი და კურუფინი გამოჩნდნენ. ძმებმა შორიდან შეამჩნი-
ეს და იცნეს ისინი. კელეგორმმა მოაბრუნა ცხენი და ღეზი ჰკრა, რათა
ბერენი გადაეთელა, ხოლო გამოცდილმა მხედარმა და ღონიერმა კურუ-
ფინმა ცხენდაცხენ აიტაცა ლუთიენი. თუმცა ბერენი კელეგორმის ცხენს
განზე გადაუხტა და, როცა კურუფინმა გვერდით ჩაუქროლა, უკნიდან შე-
ახტა მის ცხენს. ამ გმირულ «ნახტომს ბერენისას» ხშირად იხსენებდნენ
ელფნი თუ კანნი. უკნიდან კისერში სტაცა ხელი მან კურუფინს, ძლი-
ერად მოქაჩა და ცხენიდან გადმოაგდო. შეშინებული ცხენი ყალყზე

შედგა და დაეცა, მაგრამ ლუთიენი განზე გადაგორდა და ბალახზე და-
ვარდა.

ყელში სწვდა ბერენი კურუფინს და დახრჩობა მოუნდომა; ამ დროს
შუბმოღერებული კელეგორმი დაადგა თავზე და კიდეც მოკლავდა, ჰუ-
ანი რომ არა. ვეება ძალღი ბატონს განუდგა და შეუტია. კელეგორმის შე-
შინებულმა ცხენმა განზე გაუხვია და მწევარს აღარ უახლოვდებოდა. კე-
ლეგორმი ცხენსაც წყევლიდა და ჰუნსაც, მაგრამ მწევარი ფეხს არ იც-
ვლიდა. ამასობაში ლუთიენი წამოდგა და ბერენს სთხოვა, კურუფინს ნუ
დაახრჩობო. ბერენმა მას საჭურველი და იარაღი წაართვა, გვრდზე
უქარქამოდ დაკიდებული სატევარი, ანგრისტიც ჩამოჰგლიჯა; რკინას
ნორჩ ხესავით ჭრიდა ეს სატევარი. მერე წამოაყენა, ხელი ჰკრა და უთ-
ხრა, შენს კეთილშობილ ნათესავებთან დაბრუნდი, იქნებ მათ გასწავ-
ლონ, სიმამაცის ღირსეულად მოხმარებო.

«შენს ცხენს ლუთიენისთვის დავიტოვებ», – უთხრა კურუფინს ბე-
რენმა. – «აღბათ გაუხარდება შენნაირი ბატონისგან გათავისუფლება».

მაშინ დაწყევლა კურუფინმა ბერენი: «დაე, სწრაფსა და საზარელ
სიკვდილს შეჰყროდე!»

კელეგორმმა ძმა თავის ცხენზე შემოისვა და თითქოს წასასვლელად
გაემზადნენ; ხოლო ბერენი შეტრიალდა და მათი სიტყვებისთვის ყუ-
რადლება არ მიუქცევია. თუმცა, შერცხვენილმა და შურით აღვსილმა კუ-
რუფინმა კელეგორმის მშვილდი აიღო და ცხენდაცხენ გაისროლა ისა-
რი. მიზანში ლუთიენი

ჰყავდა ამოდებული, მაგრამ ჰუანი ახტა და ისარი ჰაერში დაიჭირა.
მეორედ მოზიდა მშვილდი კურუფინმა და მეორედ გაისროლა ისარი.
ამჯერად ლუთიენს ბერენი გადაეფარა და ისარი მკერდში ჩაერჭო.

როგორც ამბობენ, ჰუანი გაეკიდა ძმებს და ფეანორის შემინებული
ვაჟები გაიქცნენ; უკან დაბრუნებულმა ჰუანმა ტყიდან სამკურნალო ბა-
ლახი მოუტანა ლუთიენს. ფოთოლი დააკრა სატრფოს ელფმა ქალწულ-
მა და სიყვარულისა და კურნების ძალით შეუხორცა ბერენს ჭრილობა.
და აი, ამგვარად, ბოლოს და ბოლოს, დორიათში დაბრუნდნენ ისინი. იქ

არჩევანის წინაშე მდგარმა ბერენმა გადაწყვეტილება მიიღო; ვინაიდან ლუთიენს სამშობლოში საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ერთ დილას მზის ამოსვლამდე ადგა და ლუთიენზე ზრუნვა ჰუანს მიანდო, თავად კი დამწუხრებული წავიდა, ვიდრე ბალახზე მძინარე მისი სატროფო გაიღვიძებდა.

კვლავ ჩრდილოეთით, სირიონის ვიწრობისკენ გასწია მან, ტაურ-ნუფუინის კალთებიდან გახედა ანფაუგლითის უდაბნოს და შორს თანგოროდრიმის მწვერვალები დაინახა. იქ კურუფინის ცხენს გამოეთხოვა და სირიონის მწვანე ხეობებში თავისუფლად სანავარდოდ გაუშვა. მარტო დარჩენილმა და უკანასკნელი ფათერაკის ზღურბლზე მდგომმა განშორების სიმღერა შეთხზა ლუთიენისა და ნათელი ცის სადიდებლად; რამეთუ სწამდა მას, სიყვარულსა და სინათლეს სამუდამოდ ვეთხოვებო. მისი სიმღერის ეს მხოლოდ ნაწილია:

გემშვიდობები ცავ, ჩრდილოურო,
უტკბესო მიწავ, იმ ძველდროულო,
როს აქ ფეხმარდი დარბოდა მკვირცხლად,
ქვეშე მთვარისა და ქვეშე მზისა,
ტურფა ლუთიენ ტინუვიელი,
გამოუთქმელად სრულმშვენიერი.
ქვეყნიერება თუმც კი დაიქცა,
დაიშალა და უფსკრულს ჩაიქცა,
ამოა მაინც, რომ იყო, იშვა
აის-დაისი, წყალი და მიწა,
რათა ეხილა ხმელეთს ციერი:
მოვლენილიყო ტინუვიელი.

ხმამაღლა მღეროდა ბერენი და არ ენადვლებოდა, ვინმე თუ გაიგონებდა, რამეთუ სასოწარკვეთილი იყო და გაქცევას არ აპირებდა.

ხოლო ლუთიენმა გაიგონა მისი სიმღერა, უეცრად ტყიდან გამოვიდა და პასუხად თავადაც ამღერდა. ჰუანს კვლავ ზურგზე შეესვა ლუთიენი და მსწრაფლ წამოსულიყო ბერენის კვალდაკვალ. დიდხანს ფიქრობდა

ჰუანი, რით შეემსუბუქებინა ხიფათი, რომელიც მისთვის ძვირფას ბერენსა და ლუთიენს

ემუქრებოდა. ბერენისკენ მოჩქარებმა გზად საურონის კუნძულისკენ გაუხვიეს და ჰუანმა იქიდან საშინელი დრაუგლინის მგლის ტყავი და თურინგუეთილის დამურის კანი წამოიღო. თურინგუეთილი ერქვა შიკრიკს საურონისა, რომელიც ვამპირის იერით დაფრინავდა ანგბანდში. მისი ვეება აპკისებრი ფრთები ყოველ სახსართან რკინის კლანჭებით ბოლოვდებოდა. ამ საზარელი სამოსით შემოსილმა ჰუანმა და ლუთიენმა ტაურ-ნუ-ფუინი სწრაფად გამოიარეს, მათ დანახვაზე ყოველი სულიერი გარბოდა და იმალებოდა.

ბერენი მათმა დანახვამ დააბნია; ტინუვიელის ხმის გაგონებამ გააკვირვა და იფიქრა, მახეში გასაბმელად მოჩვენება გამომიგზავნესო. თუმცა, ჰუანი და ლუთიენი შედგნენ და ცრუ სამოსი გაიხადეს. ლუთიენი ბერენისკენ გაიქცა. ასე შეხვდნენ სატროფონი ერთმანეთს ტყესა და უდაბნოს შუა. ცოტა ხანს დუმდა ბერენი და ხარობდა. მერე ისევ ლუთიენის დარწმუნებას შეუდგა, ნუ გამომყვები, ხიფათს მარტო შევეჭიდებიო.

«სამგზის დავწყევლი თინგოლისთვის მიცემულ ფიცს», – თქვა ბერენმა. – «მორგოთის წყვდიადში შენს წაყვანას მერჩივნა, მეფეს მენეგროთში მოვეკალი».

მაშინ მეორედ ამეტყველდა ჰუანი და ურჩია ბერენს: «სიკვდილის წყვდიადიდან შენ ლუთიენს ვეღარ დაიხსნი; რამეთუ შენი შეყვარებით სიკვდილს დაემონა. თუ ზურგს შეაქცევ შენს ბედისწერას, ლუთიენტან ერთად სიცოცხლის ბოლომდე სიმშვიდის ძიებაში ამაოდ იხეტიალებ ქვეყნიერების ზურგზე; ხოლო თუ ბედისწერას დაუპირისპირდები, ან მიატოვებ ლუთიენს და ის სრულ სიმარტოვეში მოკვდება, ან არ მიატოვებ და ისიც შენს ხვედრს გაიზიარებს. არჩევანი მძიმეა, თავად უნდა გადაწყვიტო. სხვას ვერაფერს გირჩევ და ვეღარც თქვენთან ერთად განვაგრძობ გზას. თუმცა, გული მიგრძნობს იმას, რასაც ანგბანდის კარიბჭესთან შეხვდებით, მეც ვიხილავ. სხვა ყველაფერი დაფარულია ჩემთვის.

იქნებ ისე მოხდეს, რომ ჩვენ სამთა გზანი დორიათში გადაიყაროს და კიდევ ერთხელ შევხვდეთ ერთმანეთს».

მაშინ მიხვდა ბერენი, რომ განუყრელნი იყვნენ ის და ლუთიენი ერთმანეთისგან და მისი გადარწმუნება აღარ უცდია. ჰუანის რჩევითა და ლუთიენის ჯადოსნობის წყალობით დრაუგლინის ტყავში გაეხვია იგი, ხოლო ლუთიენმა ფრთოსანი თურინგუეთილის იერი მიიღო. მგელკაცს დაემსგავსა ბერენი, მხოლოდ თვალები ჰქონდა სუფთა, თუმც პირქუშად მოეღვარე. შიშმა მოიცვა იგი, როცა გვერდით მოფრთხილუ ვეება და-მურა იხილა. მთვარეს შეჰყმუვლა ბერენმა და ფერდობზე დაეშვა, ხოლო დამურა ფრთების ფართხუნით უკან მიჰყვა.

მრავალი დაბრკოლება გადალახეს და ბოლოს, ხანგრძლივი გზით დაღლილნი და გამტვრიანებულნი მიაღწენენ ანგბანდის კარიბჭის წინ გადაჭიმულ უჟმურ ვაკეს. გზის გასწვრივ შავი ნაპრალები მოჩანდა და იქიდან გველივით დაკლაკნილი ოხშივარი ამოდიოდა. მარჯვნივ და მარცხნივ კლდეები აღმართულიყო ქონგურებიანი კედლებივით, ზედ ლემისმჭამელი ფრინველები ჩამომსხდარიყვნენ და ავის მომასწავებლად ჩხაოდნენ. მოგზაურთა თვალწინ მოჩანდა შეუვალი კარიბჭე, მთის ძირას გამოკვეთილი

ვრცელი და ბნელი თაღი; კარიბჭეს ექვსასი წყრთის³ სიმაღლის კლდე დასცქეროდა.

აქ შიშმა მოიცვა ისინი, რამეთუ კარიბჭესთან იდგა გუმაგი, რომელ-ზეც არაფერი სმენოდათ. ელფ უფლისწულებს რაღაც განუზრახავთო, ხმები მისულიყო მორგოთთან, და ვინაიდან დიდი მწევრის, ვალართა მიერ დიდი ხნის წინ საომრად აშვებული ჰუანის ყეფა ხშირ-ხშირად ის-მოდა ტყიდან, მორგოთს ჰუანის სასჯელი გახსენებოდა და დრაუგლინის საზარელ ნაშიერთა შორის ერთი ლეკვი აერჩია. საკუთარი ხელით აჭმევდა მას ცოცხალ ხორცს და თავის ძალის ნაწილს გადასცემდა. სწრაფად გაიზარდა მგელი და ბუნაგში ველარ ეტეოდა, მუდამ დამშუ-ლი იწვა მორგოთის ფერხითით. იქ ქვესკნელის ცეცხლი და ტკივილი შე-

³ დაახლოებით 51 სანტიმეტრი.

იჭრა მასში და იქცა იგი უღმობელ, ძლიერ, გაუმაძღარ და ტანჯულ სულად. კარხაროთს, წითელ ხახასა და ანფაუგლირს, მწყურვალ ყბებს უწოდებდნენ მას ძველ თქმულებებში. მორგოთს ანგბანდის კარიბჭის ფხიზელ მცველად დაეყენებინა კარხაროთი, რათა ჰუანის გამოჩენას დალოდებოდა.

შორიდან შეამჩნია კარხაროთმა ბერენი და ლუთიენი და ეჭვმა შეიპყრო; რამეთუ დრაუგლინის სიკვდილის ცნობა დიდი ხნის წინ მიეტანათ ანგბანდში. როცა მოგზაურნი კარიბჭეს მიაღგნენ, შეჩერება და მოცდა უბრძანა მათ კარხაროთმა. რაღაც უჩვეულო იყნოსა მათ ირგვლივ და მრისხანედ მიუახლოვდა. უეცრად უცხო და ძველი ძალა გარდმოვიდა ღვთიური წარმოშობის ლუთიენზე. ამ ძალით მოცულმა საძაგელი სამოსი გაიძრო და თამამად პატარა, მაგრამ გაბრწყინებული გადაუდგა წინ კარხაროთს. ხელი ასწია ლუთიენმა და დაძინება უბრძანა ვეება მგელს: «სულო ბედკრულო, უგონობის წყვდიადში დაინთქი და მცირე ხნით დავიწყე სიცოცხლის მკაცრი სასჯელი». კარხაროთი მეხდაცემულივით დავარდა ძირს.

კარიბჭის თაღში გაიარეს ბერენმა და ლუთიენმა და მიხვეულ-მოხვეულ კიბეზე დაეშვნენ; მსგავსი გმირობა არც ერთ ელფს და ადამიანს არ ჩაუდენია. უდაბლეს პალატში ჩავიდნენ ისინი, მორგოთის სატახტო დარბაზში, რომელიც შიშს გაემაგრებინა, ცეცხლს გაენათებინა და სასიკვდილო და საწამებელი იარაღით გაევსოთ. მორგოთის ტახტის გვერდით წამოწვა მგლად გადაცმული ბერენი, ხოლო ლუთიენს მორგოთის ნებით, ცრუ სამოსელი შემოედარცვა. მკაცრად დახედა მორგოთმა ლუთიენს, მაგრამ ელფ ქალწულს მისთვის თვალი არ მოურიდებია; ვინაობა გაუმხილა და შესთავაზა, მენესტრელთა დარად სიმღერას გიმღერებო. მისი სილამაზის დანახვაზე ავი ნდომით აღევსო გული მორგოთს და უბნელესი აზრი გაუჩნდა გონებაში, როგორც ვალინორიდან გამოქცევის შემდეგ არ სწევოდა. ამგვარად, თავისსავე ღვარძლმა აცდუნა იგი, რამეთუ ხელი არ ახლო ლუთიენს, დაე, იმღეროსო, თავად კი თავდავიწყებას მიეცა. მაშინ დაუსხლტა მის მზერას ლუთიენი და წყვდიადიდან

მოსმა სიმღერა იმდენად საამური და დამაბრმავებელი, რომ მორგოთი უნებურად სმენად იქცა. თვალთ დაუბნელდა ბნელ მეუფეს, აქეთ-იქით იყურებოდა და ამოდ ეძებდა მომღერალს.

ძილი მოერია ყველა მის ქვეშევრდომს, ცეცხლი მიიღია და თანდა-თან ჩაქრა; ხოლო მორგოთის გვირგვინში ჩასმული სილმარილები უეცრად თეთრად აკაშკაშდა. თავი ჩამოუვარდა მორგოთს, თითქოს საზრუნავით, შიშითა და სურვილებით დამძიმებული მთელი ქვეყნიერება დასწოლოდეს ზედ. მაშინ ფრთიანი სამოსლით შეიმოსა ლუთიენი და ჰაერში აიჭრა; ზემოდან იფრქვეოდა მისი ხმა, ვითარცა წვიმა

ღრმა და ბნელ გუბურებში. თვალწინ აუფრიალა მოსასხამი მორგოთს და მოჰგვარა ძილი უბნელესი გარე სიცარიელეზე, სადაც მორგოთი ოდესღაც მარტო დაეხეტებოდა.

უეცრად წაიქცა მორგოთი, ვითარცა ზვავი მთის ფერდობზე ჩამოწოლილი, პირქვე დაემხო ქვესკნელის იატაკზე. რკინის გვირგვინი თავიდან მოსძვრა და გუგუნით გაგორდა. შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა.

მკვდარი მხეცივით ეგდო ბერენი ძირს; ლუთიენმა მსუბუქად შეახო ხელი და გააღვიძა. მგლის ტყავი გაიძრო ბერენმა, ანგრისტი იშიშვლა და გვირგვინიდან სილმარილი ჩამოქრა.

როცა ხელში აიღო ძვირფასი ქვა, მისმა ნათებამ ხორცში გამოადწია და ბერენის მუჭი მანათობელ ლამპრად გადაიქცა. თუმცა, ქვამ დაინდო და მისთვის კანი არ დაუწვავს. მაშინ იფიქრა ბერენმა, მხოლოდ ერთი სილმარილის მოპოვება კი დამავალეს, მაგრამ ანგბანდიდან ფეანორის სამივე ქვას გავიტანო. თუმცა, ბედისწერას სილმარილთათვის სხვა რამ განესაზღვრა. ანგრისტის პირი გატყდა და მისი ნატეხი მორგოთს ლოყაში ჩაერჭო. წამოიკვნესა მან და შეირხა, მასთან ერთად მთელი ანგბანდი გაინძრა ძილში.

დაფრთხნენ ბერენი და ლუთიენი და უკანმოუხედავად გაიქცნენ, აღარ შენიღბულან, მხოლოდ ღღის შუქის ხილვა ეწადათ. ანგბანდში დაბრკოლება არ შეხვედრიათ და არც არავის გაუჩერებია ისინი. თუმცა, კარიბჭე დახშული დახვდათ. კარხართს გაღვიძებოდა და განრისხებუ-

ლი იცდიდა ზღურბლზე. შორიდანვე შეამჩნია მორგოთის სატანტო დარბაზიდან გამოქცეულნი და მყისვე თავს დააცხრა.

დაქანცული იყო ლუთიენი და მგლის დასაძლევად ძალა აღარ შერჩენოდა. მას წინ ბერენი გადაეფარა და სილმარილი ასწია. შედრკა კარხაროთი და წამით შეშინდა.

«წადი, გამეცალე!» – დაუყვირა ბერენმა. – «ხელთ მიჰყრია ცეცხლი, რომელიც გმთანთქავს შენ და ყველა ავსულს!» – და კაშკაშა ქვა თვალწინ გაუქნია ვეებერთელა მგელს.

მაგრამ კარხაროთმა უშიშრად შეხედა წმინდა ქვას და მისი გაუმაძღარი სული უეცრად მხურვალედ აგიზგიზდა; პირი დააღო, ბერენს ეცა და ხელის მტევანი მოაჭამა. უცბად მისი შიგნეულობა მწველმა ცეცხლმა გაანათა და სილმარილმა წყეული ხორცი დაუწვა. წკმუტუნით მოწყდა ადგილიდან და გაიქცა. მისი შესაბრალისი ყმუილის ექო კლდოვან ხეობაში მეორდებოდა. სიმამისგან გადარეულს იმ ხეობაში მცხოვრები ან გზად შემხვედრი მორგოთის ყოველი ქმნილება გაურბოდა, ხოლო ვინც მოიხელთა, ყველა დაგლიჯა. ასე გამოვარდა ჩრდილოეთიდან კარხაროთი და ნგრევა მოუტანა ქვეყნიერებას. ანგბანდიდან ბელერიანდში შეჭრილ საშინელებათაგან შლეგი კარხაროთი ყველაზე უარესი იყო, რამეთუ მის წიაღში სილმარილის ძალა იმალებოდა.

გულწასული ეგდო ბერენი სახიფათო კარიბჭის წინ და კვდებოდა, რამეთუ მგლის ეშვები შხამიანი იყო.

ლუთიენმა ჭრილობიდან შხამი გამოსწოვა და უკანასკნელი ძალები მოიკრიბა სისხლდენის შესაჩერებლად. ამასობაში ანგბანდი მრისხანებისგან ათრთოლდა; მორგოთის ლაშქარმა გაიღვიძა.

სილმარილის მოპოვების მცდელობა უშედეგო და დამღუპველი აღმოჩნდებოდა, რომ არა გასაჭირის ჟამს ანაზღად გამოჩენილი სამი დიდი ფრინველი, რომლებიც ქარზე უსწრაფესად მოფრინდნენ ჩრდილოეთში. თავად ჰუნს ეთხოვა ნადირ-ფრინველთათვის ფხიზლად ყოფნა, ვაითუ ბერენს დახმარება დასჭირვებოდა. მორგოთის სამეფოს თავზე, მიუწვდომელ სიმაღლეზე ტრიალებდნენ თორონდორი და მისი ვასა-

ლები. ვეებერთელა მგლის სიშმაგისა და ბერენის დაცემის ხილვისთანავე, მყისვე დაეშვნენ ძირს და ბერენი და ლუთიენი დრუბლებში აიტაცეს.

უცებ მათ ქვემოთ დაიჭექა, გაიელვა და მთები შეირყა. თანგოროდრიმიდან ცეცხლი და კვამლი ამოიჭრა, ცეცხლის წვიმა დაატყდა თავს მიმდებარე მიწებს. ჰითლუმელი ნოლდორნი შიშით აცახცახდნენ. ხოლო თორონდორნი მიწისგან შორს, ზეცის მაღალ გზებს მიუყვებოდა, სადაც მზე მთელი დღე დაუბინდავად ანათებს, ხოლო მთვარე უღრუბლო ვარსკვლავთა შორის დაიარება. ამგვარად გადაუფრინეს დორ-ნუ-ფაუგლითსა და ტაურ-ნუ-ფუინს და ტუმლადენის დამალულ ველსაც მსწრაფლ გადაევლნენ. ცა მოწმენდილი იყო და ველზე ნისლი არ იწვა, ლუთიენმა ზემოდან დაინახა, როგორ ციმციმებდა გონდოლინი, ტურგონის ქალაქი, ვითარცა თეთრი სხივი მწვანე ქვიდან ფრქვეული. თუმცა, ატირდა ლუთიენი, რამეთუ ხმას არ იღებდა და თვალს არ ახელდა ბერენი და ეგონა, მოკვდებოდა. დაბოლოს, დორიათის საზღვრებთან ჩამოსხეს ისინი არწივებმა. სწორედ იმ ჭალაში მისულიყვნენ, სადაც ბერენმა მძინარე ლუთიენი დატოვა, თავად კი გაიპარა.

არწივები კრისაეგრიმის მწვერვალებსა და თავიანთ მაღალ ბუდეებს დაუბრუნდნენ. ხოლო ლუთიენს ჰუანი გამოუჩნდა მშველელად და ერთად უვლიდნენ ისინი ბერენს, როგორც უწინ, კურუფინის მიერ ისრით დაჭრილს. თუმცა, ეს იარა მძიმე და მომწამვლელი იყო. დიდხანს იწვა ბერენი, მისი სული კი სიკვდილის ბნელ მიჯნაზე დაეხეტებოდა. შემდეგ უეცრად, როცა ლუთიენსა და ჰუანს იმედი სრულად გადაეწურათ, გაიდვიდა მან, თვალები გაახილა და თავზემთ ამრიალებული ფოთლები დაინახა. ხოლო ფოთოლთა ქვეშ ნელა და ნაზად უმღეროდა ლუთიენ ტინუვიელი. კვლავ გაზაფხულდა.

მას შემდეგ ბერენს ერხამიონს, ანუ ცალხელას უწოდებდნენ; განცდილი ტკივილი სახეზე აღბეჭდოდა. თუმცა ლუთიენის სიყვარულით გაცოცხლებული აღდგა ის და ერთად დასეირნობდნენ მწვანე ხეთა ქვეშ. იმ ჭალიდან წასვლას აღარ ჩქარობდნენ. ლუთიენს საერთოდ აღარ

სურდა შინ დაბრუნება, სახლი, ხალხი და ელფთა სამეფოთა დიდება გადაავიწყდა და მცირე ხანს ბერენი ამით კმაყოფილი იყო. თუმცა, მალე გაახსენდა, რომ მენეგროთში დაბრუნების ფიცი ჰქონდა დადებული და არც ლუთიენის თინგოლთან სამუდამოდ დაშორებას აპირებდა. კაცთა ადათ-წესებს იცავდა ბერენი და აუცილებლობის გარეშე მამის ნების უგულუბელყოფა სახიფათოდ მიაჩნდა. იმასაც ფიქრობდა, არ ეგების მეფური წარმომავლობის მშვენიერი ლუთიენი ტყეში ცხოვრობდეს, ვითარცა უსახლკარო, მაწანწალა მონადირეებიო. მისი აზრით, ლუთიენი ელდალიეთა დედოფლების საკადრისი სასახლის, სამკაულებისა და პატივისცემის ღირსი იყო.

ამგვარად, თავის სატროფო შინ დაბრუნებაზე დაითანხმა და მათი ნაბიჯების ხმისგან დაიცალა ის უკაცრიელი მიწები. დორიათის საზღვრებს მიადგნენ და დაცულ სამეფოში შევიდნენ, რამეთუ ეს იყო მათი ბედისწერა.

დორიათს შავბნელი დღეები დასდგომოდა. ლუთიენის დაკარგვის შემდეგ თინგოლის სამეფოში სევდასა და მღუმარებას დაესადგურებინა. როგორც ამბობენ, სწორედ იმხანად დატოვა დორიათი თინგოლის მენესტრელმა დაერონმა და აღარავის უნახავს. სწორედ დაერონი ქმნიდა მუსიკას ლუთიენის ცეკვა-სიმღერისთვის, ვიდრე დორიათში ბერენი გამოჩნდებოდა. ლუთიენი უყვარდა დაერონს და მასზე ფიქრებს თავის მუსიკაში აქსოვდა. ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებ ელფთა შორის საუკეთესო მენესტრელად იქცა დაერონი და თვით ფვანორის ვაჟზე, მაგლორზე წინ აყენებდნენ. ლუთიენის ამათ ძიებისას მრავალ უცხო ბილიკზე იარა, ბოლოს მთები გადაიარა და აღმოსავლეთ შუახმელეთში აღმოჩნდა, სადაც ბნელი წყლების პირას მრავალი საუკუნე დასტიროდა ლუთიენს, ასულს თინგოლისას, ცოცხალთა შორის ულამაზეს არსებას.

მაშინ თინგოლმა მელიანს ჰკითხა რჩევა, მაგრამ მეუღლე ამასდა ეუბნებოდა, ის, რაც ბედისწერამ განგაზრახვინა, უნდა აღსრულდეს და ჩვენც იმ დრომდე უნდა დავიცადოთო. ამასობაში თინგოლმა შეიტყო, რომ დორიათიდან შორს წასულიყო ლუთიენი; რამეთუ, როგორც უკვე

ითქვა, კელეგორმისგან საიდუმლო ელჩები ეახლნენ, რომელთაც აუწყეს ბერენი და ფელაგუნდი დაიღუპნენ, ხოლო ლუთიენი კელეგორმს ჰყავს ტყვედ და მის ცოლად შერთვას აპირებდნენ. განრისხდა თინგოლი და მსტოვრები დაგზავნა, ნარგოთრონდის წინააღმდეგ ომის წამოწყებას აპირებდა. ჯაშუშებმა აცნობეს, რომ ლუთიენი ხელმეორედ გაქცეულიყო, ხოლო კელეგორმი და კურუფინი ნარგოთრონდიდან გაეძევებინათ. მაშინ კი შეყოყმანდა, ვინაიდან ფეანორის შვიდივე ვაჟს ერთდროულად ვერ შეებრძოლებოდა. სამაგიეროდ, ელჩები გაგზავნა ჰიმრინგში თხოვნით, ლუთიენის მოძებნაში დახმარებოდნენ, რადგან კელეგორმმა და კურუფინმა ქალიშვილი მამის სახლში არ დააბრუნეს და ვერც უსაფრთხოდ დაიცვეს.

ჩრდილოეთ დორიათში მისი ელჩები უეცარ სიფათს გადააწყდნენ: ანგბანდის მგელს, გაშმაგებულ კარხაროთს. ჩრდილოეთიდან გამოქცეულ კარხაროთს ტაურ-ნუ-ფუინი გადმოუარა და ესგაღდუნის სათავეებიდან გამანადგურებელი ცეცხლივით დაშვებულებოდა. წინ ვერავინ და ვერაფერი ეღობებოდა, ვერც მელიანის ჯადოსნობით დაცულმა საზღვრებმა შეაჩერეს, რამეთუ ბედისწერა და გადაყლაპული სილმარილის მტანჯველი ძალა მოერეკებოდა. დორიათის მშვიდობიან ტყეებში შევარდა კარხაროთი და ყველამ გაქცევით უშველა თავს. ელჩთაგან მხოლოდ მაბლუნგი, მეფის სარდალი გადარჩა და ცუდი ამბავი აუწყა თინგოლს.

სწორედ იმ შავბნელ ჟამს დაბრუნდნენ ბერენი და ლუთიენი; დასავლეთიდან მოიჩქაროდნენ ისინი და სიახლე მათი მოსვლისა წინ მიუძღოდა მათ, ვითარცა ჰანგი მუსიკისა ქარის შეტანილი ბნელ სახლებში, სადაც დაღონებული ხალხი ჩამომსხდარა. მენეგროთის კარიბჭეს მიაღგნენ სატრფონი, უკან ზღვა ხალხი მოჰყვებოდა მათ. ბერენმა მამის, თინგოლის ტახტის წინაშე მიიყვანა ლუთიენი; ხოლო თინგოლმა

გაკვირვებით დახედა ბერენს, რომელიც მკვდარი ეგონა. სიყვარული არ გასჩენია მის მიმართ, რადგან მრავალი უბედურება დაატეხა ბერენ-

მა დორიას. ხოლო ბერენმა მუხლი მოიყარა და თქვა: «დავბრუნდი, ვითარცა დაგპირდი. მოვედი და ვითხოვ იმას, რაც მე მეკუთვნის».

თინგოლმა მიუგო: «შენს დავალებასა და ფიცზე რას იტყვი?»

ხოლო ბერენმა უთხრა: «ერთიცა და მეორეც აღვასრულე. სილმარილი ახლაც ხელში მიჭირავს».

მაშინ თინგოლმა უბრძანა: «მაჩვენე!»

ბერენმა მარცხენა ხელი წინ გაიშვირა და მუჭი ნელ-ნელა გაშალა; ხელისგულზე არაფერი ედო. შემდეგ მარჯვენა ხელი გაიშვირა წინ და იმ წამიდან ეწოდა კამლოსტი, ხელცარიელი.

გული მოუღბა თინგოლს; ბერენი მისი ტახტის მარცხნივ დაჯდა, ლუთიენი მარჯვნივ და ერთად მოჰყვნიენ თავიანთ თავგადასავალს. ყველა გოცებული უსმენდა მათ. მოეჩვენა თინგოლს, რომ ბერენი სხვა მოკვდავ კაცთა არ ჰგავდა და არდის დიადი შვილი იყო; ახალი, უცხო სიყვარულით უყვარდა მას ლუთიენი; და მიხვდა თინგოლი, ვერა ძალა წინ ვერ აღუდგებოდა მათ ბედისწერას. ბოლოს დათმო მეფემ და ბერენმა მისი ტახტის წინამე ითხოვა ლუთიენის ხელი.

მზეთუნახავი ლუთიენის დაბრუნებით გამოწვეული სიხარული კარხაროთის გამოჩენამ დაჩრდილა; რამეთუ სილმარილის ძალით შეშლილი მგელი ძნელი დასამარცხებელი იყო და ძლიერ უფრთხოდნენ მას. კარხაროთის შემოჭრის ამბავი რომ შეიტყო, მიხვდა ბერენი, დავალება ბოლომდე არ შეესრულებინა.

კარხაროთი დღითი დღე მენეგროთს უახლოვდებოდა, ამიტომ მასზე ნადირობას შეუდგნენ. და ეს ნადირობა იყო ყველაზე სახიფათო, რაც ქვეყნიერების ზურგზე გაუმართავთ. მონადირეთა რაზმში მწევარი ჰუანი, მახლუნგ ხელმძიძე, ბელეგ მშვილდმაგარი, ბერენ ერხამიონი და თვით თინგოლ მეფე მონაწილეობდა. დილაადრიან გავიდნენ ციხესიმაგრიდან და მდინარე ესგალდუინის გადაღმა გაემართნენ, ხოლო ლუთიენი მენეგროთში დარჩა. ჩრდილი გადაეფინა მას, ეჩვენებოდა, რომ მზე დასნეულდა და გაშავდა.

მდინარის კალაპოტს აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით გაუყვნენ მონადირენი და კარხაროთს გადააწყდნენ ბნელ ხევში, რომლის ჩრდილოეთი გვერდობიდან ესგალდუინი ჩანჩქერად ვარდებოდა. ჩანჩქერის ძირას კარხაროთი წყალს დასწაფებოდა წყურვილის მოსაკლავად და ყმუოდა. ასე შეიტყვეს მისი ადგილსამყოფელი. კარხაროთმა შორიდან შეამჩნია მონადირეები, მაგრამ მათზე თავდასხმას არ ჩქარობდა. ესგალდუინის ანკარა წყალმა ალბათ მცირე ხნით დაუცხრო ტკივილი და ჩვეულმა ცბიერებამ გაიღვიძა მის გულში. სანამ მონადირეები მიუახლოვდებოდნენ, განზე გახტა და ბუჩქნარში ჩაიმალა.

ხოლო მონადირეებმა იმ ადგილს ალყა შემოარტყეს, გუშაგები დააყენეს და იცდიდნენ. მოსაღამოვდა და ტყეში ჩრდილები დაგრძელდა.

ბერენი თინგოლის გვერდით იდგა. უეცრად შენიშნეს, რომ ჰუანი აღარსად ჩანდა. ბუჩქნარიდან ყეფა მოისმა; ლოდინი მოჰბეზრებოდა ჰუანს და მარტო წასულიყო სამალავიდან კარხაროთის გამოსაღვენად. კარხაროთმა ჰუანს თავი აარიდა, ჯაგნარიდან გამოხტა და თინგოლს დაეძგერა. ბერენმა შუბი მოუქნია, მაგრამ კარხაროთმა აიცდინა, ბერენი წააქცია და მკერდში უკბინა. ამ დროს ჯაგნარიდან ჰუანი გამოვარდა და კარხაროთს ზურგზე შეახტა. გაჩაღდა სასტიკი ორთაბრძოლა. არასოდეს შემდგარა ძაღლისა და მგლის ასეთი შეტაკება, რამეთუ ჰუანის ყეფაში ორომეს ბუკთა ძახილი და ვალართა მრისხანება გამოსჭვიოდა, ხოლო კარხაროთის ყმუილში – მორგოთის მძულვარება და ღვარძლი. მათმა დამაყრუებელმა ხმაურმა კლდეები დაამსხვრია და ზემოდან ჩამოცვენილმა ლოდებმა ესგალდუინის ჩანჩქერი ჩახერგა. სასიკვდილოდ შეჰბმოდნენ ერთმანეთს კარხაროთი და ჰუანი, მაგრამ თინგოლი მათ ყურადღებას არ აქცევდა, რამეთუ ძალზე დამავებული ბერენის გვერდით დაჩოქილიყო.

მოკლა ჰუანმა კარხაროთი, მაგრამ იმ შავბნელ ჟამს დორიათის ხშირ ტყეში აღსრულდა წინასწარმეტყველება ღიღი ხნის წინ თქმული, და სასიკვდილოდ დაიჭრა ჰუანი, მორგოთის შხამმა შეაღწია მის სხეულში. ბერენის გვერდით დაეცა ჰუანი და მესამედ ამეტყველდა, სიკვდილის წინ

ბერენს გამოეთხოვა. ბერენს არაფერი უთქვამს, ოდენ ხელი დაადო მწევარს თავზე. ასე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს.

მეფის დასახმარებლად მახლუნგმა და ბელეგმა მოირბინეს, მაგრამ როცა იხილეს, რაც მომხდარიყო, შუბები დაყარეს და ატირდნენ. დანა აიღო მახლუნგმა, კარხაროთს მუცელი გაუფატრა. შიგნეულობა გამოსწვოდა ანგბანდის მგელს, მაგრამ ბერენის ხელი, რომელსაც სილმარილი ეჭირა, გაუხრწნელი დარჩენილიყო. მისი აღება მოინდომა მახლუნგმა, მაგრამ უეცრად ხელი მტვრად დაიშალა და სილმარილი მთელი ბრწყინვალეობით გამოჩნდა. ტყეში ჩამოწოლილი ბინდი გაანათა ქვის სიკაშკაშემ. სწრაფად და შიშით აიტაცა მახლუნგმა სილმარილი და ბერენს საღ ხელში ჩაუდო; სილმარილის შეხებამ გამოადვიდა ბერენი, ქვა ასწია და თინგოლს სთხოვა, გამომართვიო.

«დავალემა შევასრულე და ამით ჩემი ბედისწერაც აღსრულდა». – ეს თქვა ბერენმა და ხმა აღარ ამოუღია.

ხის ტოტებისგან დაწნულ საკაცეზე გვერდიგვერდ დაასვენეს ბერენ კამლოსტი და მწევარი ჰუანი. უკვე ღამდებოდა, როცა მენეგროთში დაბრუნდნენ. დიდი წიფლის ხის, ჰირილორნის ქვეშ შეხვდა ლუთიენი ნელა მომავალ მონადირეებს, რომელთაგან ზოგიერთს ჩირაღდანი ეჭირა. მკლავები შემოახვია ლუთიენმა სატრფოს და სთხოვა, დასავლეთ ზღვის გადაღმა დალოდებოდა მის მისვლას. უკანასკნელად შეხედა ბერენმა ლუთიენს თვალებში, ვიდრე სულს განუტევებდა. ვარსკვლავთა შუქი ჩამქრალიყო და წყვდიადი გადაჰფენოდა თვით ლუთიენს ტინუვიელს. ასე დასრულდა სილმარილის მოპოვების ამბავი, მაგრამ

სიმღერა ლეითიანისა, ტყვეობიდან გათავისუფლებისა, აქ არ მთავრდება.

რამეთუ ბერენის სული, ლუთიენის თხოვნისამებრ, მანდოსის დარბაზებში შეყოვნდა და ქვეყნიერება არ დატოვა, რათა უკანასკნელად დამშვიდობებოდა ლუთიენს გარე ზღვის მკრთალ ნაპირებთან, საიდანაც გარდაცვლილი კაცნი მიდიან და აღარ ბრუნდებიან. უგონობის წყვდიადში დაინთქა ლუთიენი და ბოლოს, სული განუტევა, ხოლო მისი

სხეული ესვენა, ვითარცა უეცრად მოწყვეტილი ყვავილი, რომელიც ბალახზე გდია და დიდხანს არ ჭკნება.

სუსხიანი მწუხარება დაატყდა თავს თინგოლს, ვითარცა სიბერე აღამიანებს. ხოლო ლუთიენი მივიდა ქვეყნიერების კიდეზე მდებარე მანდოსის დარბაზებში, სადაც ელდალიეთათვის ადგილებია გამოყოფილი. იქ მომლოდინენი ფიქრებში ღრმად არიან ჩაფლულნი. თუმცა სილამაზე ლუთიენისა აღემატებოდა სხვათა სილამაზეს, ხოლო მწუხარება მისი – სხვათა მწუხარებას. დაიჩოქა ლუთიენმა მანდოსის წინაშე და ამღერდა.

მანდოსისთვის ნამღერი ლუთიენის სიმღერა იყო ქვეყნად ოდესმე გაჟღერებულთა შორის უტკბილესი და უსევდიანესი. ამ შეუცვლელ და მარადიულ სიმღერას დღესაც მღერიან ვალარები ქვეყნიერების საზღვრებს მიღმა. მისმა მოსმენამ დააღონა ვალარნი, რამეთუ ელდართა მწუხარებასა და კაცთა სევდაზე იმღერა ლუთიენმა, ილუვატარის შვილებზე, რომელთაც ურიცხვ ვარსკვლავთა შორის არდაში, დედამიწის სამეფოში დაიმკვიდრეს ადგილი. მანდოსის წინაშე დაჩოქილი მღეროდა ლუთიენი და ცრემლები ფეხებზე ეწვეთებოდა, ვითარცა წვიმა – ქვებს. შეებრალა ლუთიენი მანდოსს, რომელიც ასეთი მოწყალე არც მანამდე ყოფილა და არც მას შემდეგ.

იხმო მანდოსმა ბერენი და, ვითარცა სიკვდილის ჟამს დაჰპირდა ლუთიენი, დასავლეთი ზღვის გადაღმა კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა, კაცთა სულების ქვეყნად დიდხანს დატოვების უფლება არ ჰქონდა მანდოსს; არც ილუვატართა შვილის ხვედრის შეცვლა ძალუძდა. მანუეს, ვალართა მეუფეს, ილუვატარის სახელით ქვეყნიერების გამგებელს მიმართა მანდოსმა; ფიქრებს მიეცა მანუე და პასუხს გონების სიღრმეში მიაგნო, იქ, სადაც ილუვატარის ნება გაცხადდებოდა ხოლმე.

არჩევანის უფლება მისცეს ლუთიენს. საგმირო საქმეთა და გადატანილი ტანჯვისა გამო მანდოსის დარბაზებიდან გაათავისუფლებდნენ და წავიდოდა ვალინორს, სადაც ქვეყნიერების აღსასრულამდე ვალართა შორის იცხოვრებდა და ყოველ საწუხარს დაივიწყებდა. ოღონდ ბე-

რენი იქ ვერ წაჰყვებოდა, რამეთუ ვალართ მისთვის ილუვატარის ძღვე-
ნის, მოკვდავობის, წართმევის ნება არ ჰქონდათ. თუმცა, ლუთიენს სხვა
რამეც შესთავაზეს: შეეძლო შუახმელეთში დაბრუნებულიყო და ბერე-
ნიც წაეყვანა, ოღონდ მარადიულ სიცოცხლესა და სიხარულს ვერ ეღირ-
სებოდნენ; ვინაიდან მოკვდავი შეიქნებოდა ლუთიენი და ისიც, მსგავ-
სად ბერენისა, ხელმეორედ მოკვდებოდა; და ამჯერად სამუდამოდ და-
ტოვებდა ქვეყნიერებას, მისი სილამაზე კი ოდენ მოგონებად დარჩებო-
და სიმღერებში.

ლუთიენმაც ეს აირჩია, დატოვა კურთხეული სამეფო და ყოველი ნა-
თესავი, ვინც იქ ცხოვრობდა. ამგვარად, რამდენი განსაცდელიც არ უნდა
დასტეხოდათ თავს, ბერენისა და ლუთიენის ბედი სამუდამოდ დაუკავ-
შირდებოდა ერთმანეთს და ერთად გასცდებოდნენ ქვეყნიერების საზ-
ღვრებს. ელდალიეტა შორის მხოლოდ ლუთიენი მოკვდა ჭეშმარიტად
და დიდი ხნის წინ დატოვა ქვეყნიერება. მისმა არჩევანმა ორი მოდგმა
გააერთიანა; თუმც კი მას შემდეგ მთელი ქვეყნიერება შეიცვალა, დღე-
საც მრავლად ცოცხლობენ მისი შთამომავალნი, რომლებშიც ელდარნი
უხსოვარ დროს დაკარგული ლუთიენის ხატებას ხედავენ.

თავი მეოცე. ამბავი მეხუთე ბრძოლისა, ნირნა- ეთ არნოედიადისა

ამბობენ, რომ ბერენი და ლუთიენი შუახმელეთში დაბრუნდნენ და მოკვდავი კაცივითა და ქალივით სახლობდნენ დორიათში. მათ მნახველებს ერთდროულად შიშისა და სიხარულის განცდა ეუფლებოდა. ლუთიენი მენეგროთში მივიდა და ერთი შეხებით განკურნა თინგოლი მწუნარებისგან. ხოლო მელიანმა თვალებში ჩახედა თავის ქალიშვილს, მათში განაჩენი ამოიკითხა და განზე გაიხედა; რამეთუ მიხვდა, საუკუნო განშორების ჟამი დამდგარიყო. ენით აუწერელია დანაკარგით გამოწვეული ის სიმძიმე, რომელიც მაშინ მელიანის სულს დააწვა. მარტო წავიდნენ ბერენი და ლუთიენი მენეგროთიდან, არც შიმშილს უფრთხოდნენ და არც წყურვილს; მდინარე გელიონის გადაღმა ოსირიანდში გადავიდნენ და შუაგულ აღურანტში, ტოლ გალენის მწვანე კუნძულზე დასახლდნენ. მას შემდეგ მათ შესახებ არავის არაფერი სმენია. ელდარებმა იმ მხარეს დორ ფირნ-ი-გუინარი, გაცოცხლებულ მკვდართა მიწა უწოდეს. იქ დაიბადა მშვენიერი მემკვიდრე თინგოლისა, დიორ არანელი, რომელსაც მოგვიანებით დიორ ელუხილი უწოდეს. არც ერთ მოკვდავს აღარ ულაპარაკია მას შემდეგ ბერენ ბარაჰირის ძესთან; არც არავის უნახავს როგორ გარდაიცვალნენ ბერენი და ლუთიენი, ან სად ასვენია მათი ცხედრები.

იმხანად მადროსმა, ფეანორის ძემ, მხნეობა მოიკრიბა და დაასკვნა, მორგოთი უძლეველი არ ყოფილაო; რამეთუ მთელ ბელერიანდში სიმღერებით ხოტბას ასხამდნენ ბერენისა და ლუთიენის სიმამაცეს. რაკი მორგოთს სათითაოდ ვერ გაუმკლავდებოდნენ, ელფნი გაერთიანდნენ და მათ ახალ ერთობას მადროსის კავშირი ეწოდა.

სამწუხაროდ, ფეანორის ფიცმა და მისმა ავმა საქმეებმა მადროსის ჩანაფიქრს ავნო და ერთობა არ ყოფილა ისეთი ძლიერი და მტკიცე, როგორიც უნდა ყოფილიყო. კელეგორმისა და კურუფინის ბოროტქმედებათა გამო ოროდრეთი ფეანორის ვაჟებს გადაემტერა და მათ სიტყვას

აღარ ემორჩილებოდა; ნარგოთრონდის ელფებს კვლავაც ჯადოსნობი-
სა და მალულობის იმედი ჰქონდათ და თავიანთ ციხესიმაგრეს აფარებ-
დნენ თავს; იქიდან მამაცი თავადის, გუინდორ გუილინის ძის სარდლო-
ბით მხოლოდ მცირე ლაშქარი მივიდა მაედროსის შეკრებაზე; ის
ოროდრეთის ნების საწინააღმდეგოდ ჩაერთო ჩრდილოურ ომში, რამე-
თუ დაგორ ბრაგოლახში მოკლული ძმის, გელმირის გამო შურისძიება
სურდა. ფინგონის ბაირაღების ქვეშ მიაბიჯებდნენ ისინი და ფინგოლ-
ფინის საგვარეულო სიმბოლოს ატარებდნენ. მათგან უკან აღარავინ
დაბრუნებულა, გარდა ერთისა.

ღორიათიდან მცირე დახმარება მიიღეს; რამეთუ ფიცით შეკრულ მა-
ედროსსა და მის ძმებს მანამდე თინგოლისთვის მკაცრი მოთხოვნა წა-
ეყენებინათ, სილმარილი დაგვითმე ან მტრად გამოგაცხადებთო. მელი-
ანმა მეუღლეს სილმარილის დათმობა ურჩია, მაგრამ ფეანორის ვაჟთა
მუქარანარევმა მოთხოვნამ განარისხა თინგოლი, გაახსენდა, როგორ
ეწამა ლუთიენი და რამდენი სისხლი დაღვარა ბერენმა, რათა მიუხედა-
ვად კელეგორმისა და კურუფინის ბოროტი განზრახვისა, სილმარილები
მოეპოვებინათ.

უყურებდა თინგოლი სილმარილს და დღითი დღე უძლიერდებოდა
მისი შენარჩუნების სურვილი; რამეთუ მომნუსხველი იყო ქვის ბრწყინ-
ვალება. ამგვარად, ცივი უარი შეუთვალა ფეანორის ძეებს. მაედროსს
ელფთა გაერთიანება და სამხედრო კავშირის შექმნა განუზრახა და არა-
ფერი უპასუხია, ხოლო კელეგორმმა და კურუფინმა ღიად დაიფიცეს, თუ
მორგოთის წინააღმდეგ ომში ვიმარჯვებთ და სილმარილს ნებით არ
დაგვითმობენ, თინგოლს მოვკლავთ და მის ხალხს გაჰყლევთო. თინ-
გოლმა ღორიათის საზღვრები გააძლიერა და საომრად არ წასულა. ხო-
ლო მახლუნგსა და ბელეგს ისე ძლიერ სურდათ ბრძოლაში მონაწილე-
ობა, რომ თინგოლმა მათ წასვლის ნება დართო, ოღონდ ერთი პირო-
ბით: ისინი ფეანორის ძეთა ბრძანებებს არ შეასრულებდნენ; და ამიტომ
მახლუნგი და ბელეგი ფინგონის ლაშქარს შეუერთდნენ.

სამაგიეროდ, მაედროსს დიდად დაეხმარნენ ნაუგრიმები; მეომრებიც მიეშველნენ და საბრძოლო იარაღითაც; დაუღალავად შრომობდნენ ნოგროდელი და ბელეგოსტელი მჭედლები. თავისი ძმები და მათი ხალხიც შეკრიბა მაედროსმა. ბორისა და ულფანგის ტომის კაცნიც გაწვრთნეს საომრად და აღმოსავლეთიდან მათი ნათესავნიც იხმეს. დასავლეთში მაედროსის მეგობარმა ფინგონმა ჰითლუმელი ნოლდორნი და ჰადორის საგვარეულო დარაზმა. ბრეთილის ტყეში ჰალმირმა ჰალეთის ხალხი შეკრიბა და ნაჯახები გააღესვინა; მაგრამ ჰალმირი ომის დაწყებამდე გარდაიცვალა და ჰალეთის ხალხის წინამძღოლი მისი ძე ჰალდირი გახდა. გონდოლინში დამალული ქალაქის მეფე ტურგონამდეც მიაღწია ცნობებმა საომარი მზადების შესახებ.

თუმცა, მაედროსმა იჩქარა და ძალების გამოცდა ნაადრევად მოინდომა; მართალია, ბელერიანდის ჩრდილოეთიდან ორკები გაეძვებინათ და მცირე ხნით თვით ღორთონიონიც გაეთავისუფლებინათ, მორგოთს ელდართა და ელფთა მეგობარი ადამიანების გაერთიანების შესახებ უკვე შეეტყო და მათთვის წინააღმდეგობის გასაწევად ემზადებოდა. მრავალი მსტოვარი და ჯაშუში გაგზავნა მტრის რიგებში შუღლის გასაღვივებლად; ამჯერად ეს უფრო უკეთ გამოუვიდა, რამეთუ ფეანორის ვაჟების სამსახურში მდგარი აღმოსავლელები სინამდვილეში მისი ერთგულები იყვნენ.

დაბოლოს, მაედროსმა ელფების, კაცებისა და ჯუჯების ლაშქრის შეკრება დაასრულა და გადაწყვიტა, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ერთდროულად შეეტია ანგბანდისთვის. ანფაუგლითის გავლას გამლილი ღროშებით დაუფარავად აპირებდა. მისი გეგმის მიხედვით, ასე მორგოთის ლაშქარს გამოიტყუებდა, ხოლო ამ დროს, ჰითლუმის ხეობებისა და კლდეკარების გავლით ფინგონის ლაშქარი შემოიჭრებოდა უდაბნოში და მორგოთის ძალებს გვერდიდან დაარტყამდა. ამგვარად ვარაუდობდნენ მორგოთის ლაშქრის ორ ცეცხლს შუა მოქცევას და განადგურებას. ფინგონის სანიშნებლად კი ღორთონიონის დიდ შუქურას აანთებდნენ.

დათქმულ დღეს, შუა ზაფხულის დილას, ელდართა საყვირები მზის ამოსვლას შეეგება; აღმოსავლეთში ფეანორის ძეთა დროშა აღმართეს, დასავლეთში – ფინგონისა, ნოლდორთა უზუნაესი მეფისა. ეითელ სირიონის კედლებიდან გადმოიხედა ფინგონმა. მისი ლაშქარი მტრის მზერისთვის მიუწვდომელ, ერთ

უეთრინის აღმოსავლეთ კალთების ხეობებსა და ტყეებში იდგა. ჰითლუმელ ნოლდორთა გვერდიგვერდ იდგნენ ფალასელი ელფნი და ნარგოთრონდელთა რაზმი გუინდორის მეთაურობით; მათ გარდა, ფინგონის ბრძანებას ელოდა კაცთა ლაშქარიც: მარჯვენა ფლანგზე დორლომინელები იყვნენ განლაგებულები. მათ გულადი ჰურინი და მისი ძმა ჰუორი სარდლობდნენ. დორლომინელებს შორის იდგნენ ჰალდირ ბრეთილელი და ტყის ბინადარი მისი მამაცი მეომრები.

შემდეგ თანგოროდრიმისკენ გაიხედა ფინგონმა. ანგბანდის კომკებს შავი ღრუბელი შემოხვეოდა და იქიდან შავი კვამლი ამოდიოდა; მიხვდა ფინგონი, რომ მორგოთი მრისხანებას მოეცვა და მათთან საბრძოლველად ემზადებოდა. ბნელი ეჭვი მოეძალა ფინგონს; აღმოსავლეთით გაიხედა, იქნებ ელფური მზერით დავინახო მაედროსის ლაშქრის მიერ ანფაუგლითის უდაბნოში წამოშლილი მტვრის ბუღიო. ვაგლახ, რომ არ უწყოდა მან: მაედროსი ულდორ წყეულის ცრუ ცნობას შეეფერხებინა, ანგბანდიდან უეცრად თავს დაგვესხნენო, და მისი ლაშქარი ჯერაც არ დაძრულიყო.

უცებ შედახილები გაისმა, ქარმა აიტაცა და ველიდან ველში გადაქონდა ელფთა და კაცთა მხიარული ყიჟინა. ყველასთვის მოულოდნელად, ტურგონს გონდოლინის კარიბჭე გაეღო და ელვარე აბჯრით, გრძელი ხმლითა და წვეტიანი შუბით საომრად შეჭურვილი ათი ათასი მეომრით გამოსულიყო. როცა ფინგონს ძმის, ტურგონის საყვირის ხმა ესმა შორიდან, მყისვე გაუქარვდა ეჭვები და მხნეობა შეემატა. ხმამაღლა შესძახა: «უტულიე’ნ აურე! აიია ელდარიე, არ ატანარი, უტულიე’ნ აურე! აჰა, დადგა ეს დღე! შეხედეთ, ელდარნო და მამანო კაცთა, დადგა ეს დღე!»

და ყველამ, ვინც მისი ომახიანი ძახილი გაიგონა, მჭექარედ უპასუხა: «აუტა ი ლომე! დამე დასრულდება!»

მორგოთმა მტრის გეგმის შესახებ იცოდა, სათანადო ჟამი შეარჩია და გულმოცემულმა იმით, რომ მოდალატე მსახურნი მადროსს შეაფერხებდნენ და მეტოქეთა ლაშქარს გაერთიანების საშუალებას არ მისცემდნენ, დიდძალი ჯარი (მხოლოდ ნაწილი საომრად გამზადებული მისი მრავალრიცხოვანი ლაშქრისა) ჰითლუმისკენ დაძრა. ნაცრისფრად შემოსილიყვნენ მორგოთის ჯარისკაცნი და მახვილები ქარქაშში ჩაეკოთ; და ამიტომაც ლამის მთელი ანფაუგლითი შეუმჩნევლად გადმოიარეს.

მტრის დანახვაზე წამოენთნენ ნოლდორნი და მათმა სარდლებმა მტერთან დაბლობზე შებმა მოინდომეს; ხოლო ჰურიინმა გააფრთხილა ისინი, მორგოთი ცბიერია, თავის ნამდვილ ძალასა და ზრახვებს არასოდეს აჩენსო. და მართალია, მადროსის მოახლოების მაუწყებელი შუქურა არ ინთებოდა, ფინგონის ლაშქარს მოუსვენრობა იპყრობდა; ჰურიინი კი დაჟინებით უჩიჩინებდა სარდლებს, მოიცადეთ, დაე, ორკები თავად შემოვიდნენ ხეობებში და დაიქსაქსონო.

მორგოთის დასავლეთის ლაშქრის სარდლისთვის ყველანაირი საშუალებით ფინგონის მთებიდან გამოტყუება დაევალებინათ. მან ლაშქრის წინა რიგი მდინარე სირიონის გასწვრივ, ეითელ სირიონის ციხესიმაგრის კედლებიდან სერუხის ჭაობებისა და მდინარე რივილის შესართავამდე განალაგა. ფინგონის ლაშქრის მეწინავენი უკვე მეტოქეთა სახეებს ხედავდნენ. თუმცა, მათ გამოწვევას არ გამოხმაურებიან და

მდუმარე კედლებისა და მუქარით მომზირალი ბორცვების შემხედვარე ორკებმა დაცინვა შეწყვიტეს. მაშინ მორგოთის სარდალმა მოსალაპარაკებლად მხედრები გაგზავნა. მათ თან მიჰყავდათ გელმირი, ძე გუილინისა, ნარგოთრონდელი თავადისა, რომელიც დაგორ ბრაგოლანში შეეპყროთ და ტყვეობაში დაებრმავებინათ. ბარად ეითელის წინა გალავანთან შედგნენ ანგბანდის მაცნეები და გელმირი გამოიყვანეს, შეძახილებით: «ამის მსგავსი სახლში კიდევ ბევრი გვყავს, მაგრამ უნდა

იჩქაროთ, თუ გინდათ, რომ ცოცხლები დაგხვდნენ; რადგან შინ დაბრუნებისთანავე ყველას დავხოცავთ». ამ სიტყვებით ელფთა თვალწინ ხელ-ფეხი მოაჭრეს გელმირს და ბოლოს თავიც მოჰკვეთეს; მერე მისი გვამი იქვე დააგდეს, თავად კი წავიდნენ.

საუბედუროდ, იმ დროს იქვე იდგა გუინდორ ნარგოთრონდელი, ძმა გელმირისა. მრისხანებისგან გამმაგებული შემოახტა იგი ცხენს, მრავალ მხედართან ერთად გაეკიდა ანგბანდელ მაცნეებს, დაეწია და დახოცა ისინი. შემდეგ მათი რაზმი მორგოთის მთავარ ლაშქარს ეკვეთა. მაშინ კი დაიძრნენ გულანთებული ნოლდორნი. ფინგონმა თეთრი მუზარადი დაიხურა და საყვირები აახმიანა; უეცრად ფერდობებიდან ჰითლუმელთა ლაშქარი დაეშვა. ხმლები იმიშვლეს ნოლდორებმა და თითქოს ცეცხლი წაეკიდა ლერწმიანს; ისეთი სასტიკი და სწრაფი იყო მათი იერიში, რომ მორგოთის ჩანაფიქრი კინალამ ჩაიშალა. დაამარცხეს მორგოთის დასავლეთის ლაშქარი და უკუაქციეს, ანფაუგლითი გადაკვეთეს ფინგონის მედროშეებმა და დროშები ანგბანდის კედლების წინ ააფრიალეს. წინა ხაზზე იბრძოდნენ გუინდორი და ნარგოთრონდელი ელფები, ვერავინ აკავებდა მათ. კარიბჭესთან მიიჭრნენ და ანგბანდის კიბის თავთან მდგარი მცველები აჩეხეს. ღრმა მიწისქვეშეთში ტახტზე მჯდარი მორგოთიც კი აცანცანდა ზემოდან ჩამომავალი ბრახუნისა და ჩახაჩუხის გაგონებაზე. თუმცა, მალე ალყაში მოიქცეეს თავზე ხელადებული მეომრები და ყველა დახოცეს, გარდა გუინდორისა, რომელიც ცოცხლად შეიპყრეს. ფინგონმა მათი შველა ვერ შეძლო. თანგოროდრიმის საილუმლო კარებიდან გამოუშვა მორგოთმა მთავარი ლაშქარი და ფინგონი დიდი დანაკარგებით უკუიქცა.

სწორედ ანფაუგლითის უდაბნოში, ომის მეოთხე დღეს დაიწყო ბრძოლა ნირნაეთ არნოედიადისა, ურიცხვი ცრემლისა, რამეთუ ვერც ერთი სიმღერა თუ თქმულება ვერ დაიტევს მთელ მის მწუხარებას. ფინგონის ლაშქარი უდაბნოში უკან იხევდა. ჰალდირი, წინამძღოლი ჰალადინთა ზურგის დაცვისას მოკლეს. მასთან ერთად დაეცა ბრეთილელ მეომართა უმეტესობა და მშობლიურ ტყეში აღარ დაბრუნებულა. მეხუთე

დღეს, როცა ღამე ჩამოწვა და ერედ უეთრინიდან ჯერაც შორს იმყოფებოდნენ, ჰითლუმელებს ორკებმა ალყა შემოარტყეს და შეუტიეს. ბრძოლა დილამდე გაგრძელდა და უკვე გადარჩენის იმედი გადაწურული ჰქონდათ, მაგრამ უეცრად საყვირების ხმა გაისმა და ტურგონის სარდლობით გონდოლინელთა ლაშქარი გამოჩნდა. სირიონის ვიწრობთან დადარაჯებულნი მდგარიყვნენ ისინი, ტურგონს თავისი მეომრებისთვის ნაჩქარევ იერიშზე გადასვლა აეკრძალა. ახლა ძმის საშველად მოემართებოდა იგი. აბჯარი აესხათ ძლიერ გონდოლინდრიმებს და მათი რიგები ფოლადის მდინარესავით ელვარებდა მზის შუქზე.

მეფის მცველთა რაზმმა ორკთა რიგები გაარღვია და ტურგონმა თავის ძმამდე გაიკაფა გზა. როგორც

ამბობენ, საამო იყო შეხვედრა ტურგონისა ჰურიანთან, რომელიც ფინგონის გვერდით იდგა შუაგულ ბრძოლის ველზე. მხნეობა შეემატათ ელფებს; და სწორედ მაშინ, მესამე ჟამს დილისა, ბოლოს და ბოლოს, გაისმა აღმოსავლეთიდან მომავალი მაედროსის საყვირების ხმა; ფეანორის ძეთა ლაშქარი მტერს ზურგიდან დაესხა თავს. ზოგს მიაჩნდა, მათ ლაშქარში მოღალატეები რომ არ ყოფილიყვნენ, იმ დღეს ელდარნი აუცილებლად გაიმარჯვებდნენო; ორკები შედრკნენ და უკვე უკან დახევას აპირებდნენ. თუმცა, სწორედ მაშინ, როცა მაედროსმა ორკებს ზურგიდან შეუტია, მორგოთმა ანგბანდი მთლიანად დაცალა და მისი უკანასკნელი, მგლების, მგლის მხედრების, ბალროგებისა და დრაკონების ლაშქარი გადმოვიდა იერიშზე. მათ შორის იყო დრაკონთა მამა გლაურუნგი, სასტიკი გველეშაპი, რომელსაც ვერც ერთი ელფი ან კაცი წინ ვერ აღუდგებოდა. მაედროსისა და ფინგონის ლაშქართა შორის შეიჭრა გლაურუნგი და ისინი ერთმანეთს დააშორიშორა.

თუმცა ვერც მგელი, ვერც ბალროგი და ვერც დრაკონი ვერ მოუტანდა მორგოთს გამარჯვებას, მოღალატე აღმოსავლელეები რომ არ დახმარებოდნენ. სწორედ იმ ჟამს გაცხადდა ულფანგის ავი ზრახვები. მრავალი შემინებული და სასოწარკვეთილი აღმოსავლელი შეტრიალდა და გაიქცა, ხოლო ულფანგის ვაჟები მოულოდნელად მორგოთს მიემხრნენ და

ფეანორის ვაჟთა ლაშქარს ზურგიდან შეუტიეს. შექმნილ არეულობაში მათ მადროსის დროშამდე მიაღწიეს. ისინი მორგოთის მიერ დაპირებული ჯილდოს ვერ ეღირსნენ, რამეთუ მაგლორმა განგმირა ულდორ წყეული, მოღალატეთა წინამძღოლი, ხოლო ბორის ძეებმა სიკვდილამდე ულფასტის და ულუორთის დახოცვა მოასწრეს. ამასობაში ულდორის მიერ საიდუმლოდ შეკრებილმა და მთებში დამალულმა ავმა ხალხმა მადროსს შეუტია. სამი მხრიდან ალყაშემორტყმული მადროსის ლაშქარი გატყდა, დაიქსაქსა და აქეთ-იქით მიმოიფანტა. ბედისწერამ ფეანორის ვაჟები დაინდო, ყველა დაიჭრა, მაგრამ არც ერთი არ მომკვდარა. ერთად დადგნენ გადარჩენილი ნოლდორები, ნაუგრიმები შემოიკრიბეს და აღმოსავლეთში მთა ღოლმედისკენ გაიქცნენ.

აღმოსავლეთის ლაშქარში ყველაზე მტკიცედ ბელეგოსტელი ნაუგრიმები იდგნენ და იმ ბრძოლაში სახელიც გაითქვეს. ჯუჯები ელფებზე და კაცებზე უკეთ უძლებდნენ ცეცხლს და ბრძოლისას შესახედავად საზარელ ნიღბებს იკეთებდნენ; ამიტომაც დრაკონებს მედგრად ებრძოდნენ. ნაუგრიმები რომ არა, გლაურუნგი და მისი ნაშიერები ნოლდორთა ლაშქარს სრულიად გაჟლეტდნენ. ნაუგრიმები გარს შემოერთყნენ გლაურუნგს და დრაკონი ვერც მისმა ჯავშანმა დაიცვა ნაჯახის მძლავრი დარტყმებისგან. განრისხებულმა გლაურუნგმა ბელეგოსტის მმართველი აზაგალი ძირს დასცა და მისი გასრესა მოინდომა, მაგრამ აზაგალმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და გველუშაჰს მუცელში დანა ჩასცა. დაჭრილი გლაურუნგი ბრძოლის ველიდან გაიქცა და ანგბანდის დამფრთხალი მხეცებიც უკან გაჰყვინენ. ჯუჯებმა აზაგალის ცხედარი აიტაცეს და წაიღეს. დაბალ, ბოხ ხმაზე მღეროდნენ ისინი სამგლოვიარო სიმღერას, მტრებს ყურადღებას აღარ აქცევდნენ და ვერც ვერავინ ბედავდა მათ შეჩერებას.

ფინგონისა და ტურგონის დასავლეთის ლაშქარი მკვეთრად შემცილებულიყო და მათ სამგზის მრავალრიცხოვანი მტერი უტევდა. მტერს გოთმოგი, ბალროგთა მეუფე, ანგბანდის მთავარსარდალი უძლოდა წინ.

შავი სოლივით შეიჭრნენ ელფთა ლაშქარში, მეფე ფინგონი ალყაში მოიქცევს, ხოლო

ტურგონსა და ჰურინს სერეხის ჭაობებისკენ დაახევინეს. შემდეგ გოთმოგმა ფინგონს შეუტია. ყველა მცველი დაუხოცეს ფინგონს და სრულიად მარტო დარჩა. შავი ნაჯახით აჩეხა გოთმოგმა იგი და თეთრი ცეცხლი ამოიჭრა მისი გაპობილი მუზარადიდან. ასე დაეცა ნოლდორთა უზუნაესი მეფე. ბალროგებმა გურუებით მტვრად აქციეს ფინგონი, ხოლო მეფის დროშა, ლურჯი და ვერცხლისფერი, მისივე სისხლის გუბეში ჩასრისეს.

ბრძოლა წაგებული იყო, მაგრამ ჰურინი და ჰუორი ჰადორის საგვარეულოს გადარჩენილი მეომრები ტურგონის გვერდით მტკიცედ იდგნენ და მტერს სირიონის ვიწროებს არ ანებებდნენ. მაშინ ჰურინმა უთხრა ტურგონს: «წადით, მეუფევ ჩემო, სანამ დრო არის! ვინაიდან თქვენში ცოცხლობს ელდართა უკანასკნელი იმედი და ვიდრე გონდოლინი არ დაცემულა, მორგოთის გულს შიში არ დატოვებს!»

ტურგონმა მიუგო: «გონდოლინს დიდხანს ვეღარ დავმაღავთ, ხოლო როცა აღმოაჩენენ, ის დაეცემა!»

მაშინ ჰუორმა თქვა: «თუ ცოტა ხანს კიდევ იდგება, შენი სახლიდან გამოვა იმედი ელფთა და კაცთათვის. ახლა, როცა სიკვდილს თვალებში ჩავცქერი, ამას გეუბნები, მეუფევ ჩემო: თუმცა, სამუდამოდ გმორდები და ვედარასოდეს ვიხილავ შენს თეთრ კედლებს, შენგან და ჩემგან ახალი ვარსკლავი ამობრწყინდება. მშვიდობით!»

მათ გვერდით მდგარმა მათეკლინმა, ტურგონის დისწულმა, გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ არაფერი უთქვამს.

შეისმინა ტურგონმა ჰურინისა და ჰუორის რჩევა, გონდოლინის ლაშქრისა და ფინგონის ხალხის ნარჩენები შეაგროვა და სირიონის ვიწროებისკენ დაიხია. უკუქცეულთა მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს გონდოლინელი სარდლები გლორფინდელი და ექთელიონი იცავდნენ. ხოლო ზურგის დამცველებად დორლომინელები დარჩნენ ჰურინისა და ჰუორის დაჟინებული მოთხოვნით; გულის სიდრმეში ჩრდილოეთის მიწე-

ბის დატოვება არ სურდათ მათ და, თუკი მტრის მოგერიებასა და სამშობლოს დაცვას ვერ მოახერხებდნენ, იქვე სიკვდილს აპირებდნენ. ასე გამოისყიდა კაცთა მოდგმამ ულდორის დალატი, რამეთუ ელდართა მეგობარი ადამიანების წინაპართა საგმირო საქმეებიდან დორლომინელთა ბოლო ბრძოლა ყველაზე სახელგანთქმულია.

ასე გაიკაფა გზა ბრძოლით ტურგონმა სამხრეთისკენ, ჰურინისა და ჰუორის მეომრებით ზურგდაცულმა სირიონის ვიწრობი გაიარა და გაიქცა. მთებში შევიდა იგი და გაუჩინარდა. ხოლო ძმებმა ჰადორის სახლის კაცნი შემოიკრიბეს და ნაბიჯ-ნაბიჯ დაიხიეს სერეხის ჭაობებისკენ, სადაც მათ გზა მდინარე რივილმა გადაუღობა. სწორედ იქ გამართეს თავგანწირული ბრძოლა.

ანგბანდის მთელი ლაშქარი მათ მიაწყდა, მდინარე კაცთა გვამებით ამოავსეს და დარჩენილ ჰითლუმელებს გარს შემოერტყნენ. როცა მეექვსე ღდის მიწურულს მზე დასავლეთით გადაიხარა და ერედ უეთრინის ჩრდილები გამუქდა, ჰუორი თვალში მოხვედრილი მოწამლული ისრით განგმირეს, ხოლო მის

ირგვლივ ჰადორის საგვარეულოს მამაცი მეომრები დაეცნენ. ორკებმა მათ თავები დააყრევინეს და ოქროსავით დაახვავეს დაისის შუქზე.

სრულიად მარტო დარჩა ჰურინი. ბოლოს, ფარი დააგდო და ორივე ხელით მოიმარჯვა მძიმე ნაჯახი. როგორც მღერინან, გოთმოგის მცველი ტროლების შავი სისხლის ოხშივარი ასდიოდა მისი ნაჯახის პირს. ნაჯახის ყოველი მოქნევისას ჰურინი ყვიროდა: «აურე ენტულუვა! დღე ისევ დადგება!» სამოცდაათჯერ შესძახა ეს სიტყვები. დაბოლოს, მორგოთის ბრძანებით ცოცხლად შეიპყრეს. ორკები ხელებით ჩააფრინდნენ გასაკავებლად და არ ეშვებოდნენ, თუმც, მათგან მრავალს მოასხიპა მკლავები. ბოლოს ჰურინი დახოცილთა ქვეშ მოექცა. მაშინ კი გაბაწრა იგი გოთმოგმა და ანგბანდში წაათრია.

ასე დასრულდა ნინრანეთ არნოედიადი, როცა მზე ზღვის მიღმა ჩაეშვა. დაღამდა ჰითლუმში და დასავლეთიდან ქარიშხალი მოვარდა.

დიდი გამარჯვება მოიპოვა მორგოთმა, ყოველივე ისე მოხდა, როგორც განეზრახა; რამეთუ ადამიანებმა ადამიანებს წაართვეს სიცოცხლე და ელდარებს უღალატეს და შიში და სიძულვილი ჩამოვარდა იმათ შორის, ვინც მის წინააღმდეგ უნდა გაერთიანებულიყვნენ. მას შემდეგ ელდარნი ეჭვით უყურებდნენ კაცთა მოდგმას და მხოლოდ ედაინთა სამ ტომთან მეგობრობდნენ.

ფინგონის სამეფო განადგურდა; ხოლო ფეანორის ვაჟნი აქეთ-იქით დაეხეტებოდნენ, ვითარცა ფოთლები ქარში მოფარფატე. მათი მეომრები დაიფანტნენ, მათი ერთობა დაიშალა. ერედ ლინდონის ძირას უღრან ტყეებში მომთაბარებივით ცხოვრობდნენ, ოსირიანდის მწვანე ელფებს შეერწყნენ ძველი ძლევაგამოსილებისა და ღიღებისგან განძარცულნი. ბრეთილში გადარჩენილი ჰალადინები აგრძელებდნენ ცხოვრებას და მათი მმართველი იყო ჰანდირი ძე ჰალდირისა. თუმცა, ჰითლუმში ფინგონის მეომრებიდან არავინ დაბრუნებულა, არც ჰადორის სახლისკაცნი გადარჩენილან, რომ შინ ცნობები მიეტანათ, როგორ დასრულდა ბრძოლა, ან რა ბედი ეწიათ მათი გვარის მმართველებს. მორგოთმა აღმოსავლელები ჰითლუმში გაგზავნა, ბელერიანდის ნაყოფიერი მიწები კი არ დაუთმო, როგორც მათ სურდათ; აღმოსავლელები ჰითლუმში გამოკეტა და იქიდან სხვაგან გადასვლა აუკრძალა. ასე დაჯილდოვდნენ ისინი მეადროსის ღალატისთვის: ჰადორის გვარის მოხუცების, ქალებისა და ბავშვების დარცვა-გლეჯითა და ტანჯვა-წამებით. ცოცხლად გადარჩენილი ჰითლუმელი ელდარები ჩრდილოეთის მაღაროებში წაიყვანეს და იქ მონებად ამუშავებდნენ. ვინც გაქცევა მოახერხა, მთებში ტყე-ღრეებს აფარებდა თავს.

მთელ ჩრდილოეთში ორკები და მგლები დათარეშობდნენ და ახლა სამხრეთით, ბელერიანდისკენ თამამად მოიწევდნენ. თვით ნან-ტათრენამდე, ტირიფების მხარემდე და ოსირიანდის საზღვრებამდე ბედავდნენ შემოსვლას და აღარავინ გრძნობდა თავს უსაფრთხოდ ტყე-ველად. დორიათი მტერს გადაურჩა, ნარგოთრონდი მტრისგან დამალული იყო; თუმცა, მორგოთი მათ დიდ ყურადღებას არ აქცევდა; შესაძლოა

იმად, რომ მათზე ბევრი არაფერი სმენოდა, ანდა მიაჩნდა, რომ მათზე თავდასხმის

დრო ჯერ არ დამდგარიყო. მრავალმა შეაფარა თავი კირდანის გალავნიან ნავსაყუდლებს. იქაური ზღვაოსნები ნაპირ-ნაპირ ზემოთ-ქვემოთ დაცურავდნენ და მტერს მოულოდნელად ესხმოდნენ თავს. მომღვეწო წელს, დაზამთრებამდე, მორგოთმა დიდი ლაშქარი გაგზავნა ჰითლუმსა და ნევრასტს გადაღმა, მდინარეებს ბრიტონსა და ნენინგს დაუყვნენ მისი მეომარნი და ფალასი ააოხრეს, ხოლო ბრიტომბარსა და ეგლარესტს ალყა შემოარტყეს. მჭედლები, მიწის მთხრელნი და ცეცხლის მსროლელნი მოიყვანეს მათ თან, უზარმაზარი სააღყე კომპეები და ლოდსატყორცნები ააგეს და, თუმცა, მეციხოვნენი გმირულად იბრძოდნენ, მტერმა კედლები მაინც დაანგრია. ნანგრევებად იქცა ნავსაყუდლები, ბარად ნიმრასის კომპი მიწასთან გაასწორეს. კირდანის ხალხის უმეტესობა დახოცეს ან ტყვედ წაასხეს. ზოგმა ხომალდებზე ასვლა და ზღვით გაქცევა მოასწრო. მათ შორის იყო ერეინიონ გილ-გალადი, ძე ფინგონისა, რომელიც მამამისს დაგორ ბრაგოლახის შემდეგ გაეგზავნა ნავსაყუდლებში. გაქვეულებმა კირდანთან ერთად ბალარის კუნძულს მიაღწიეს და იქ მოიწყვეს თავშესაფარი; ფალასელმა ელფებმა სირიონის შესართავებთან რამდენიმე მცირე კომპი ააგეს და იქ, ხშირ ლელიანში, მსუბუქსა და სწრაფ ნავებს მალავდნენ მათთვის, ვინც თავშესაფარში მისვლას დააპირებდა.

როცა ტურგონმა ამის შესახებ შეიტყო, სირიონის შესართავებთან თავისი ელჩები გაგზავნა და კირდანს დანმარება სთხოვა. ტურგონის თხოვნით კირდანმა შვიდი სწრაფი ხომალდი ააგო და ეს ხომალდები დასავლეთში გაგზავნეს; თუმცა, მათგან მხოლოდ ერთადერთი, ბოლოს გაგზავნილი ხომალდი დაბრუნდა უკან ბალარის კუნძულზე. იმ ხომალდის ზღვაოსანნი დიდხანს ამოოდ დაცურავდნენ ზღვაში და, როცა, ბოლოს და ბოლოს, უკან გამობრუნდნენ, შუახმელეთის ნაპირებს მიახლოებულნი, ქარიშხალში მოჰყვნენ და ჩაიძირნენ. მხოლოდ ერთი ზღვაოსანი იხსნა ულმომ ოსეს რისხვისგან, ზღვის ტალღებმა ნევრას-

ტის ნაპირებზე გარიყეს იგი. ვორონუე ერქვა მას და ტურგონის მიერ გონდოლინიდან გამოგზავნილ ელჩთაგანი იყო.

ახლა მორგოთმა ტურგონისკენ მიმართა თავისი მზერა; მხოლოდ ის ერთადერთი დაუსხლტა ხელიდან, არადა, ყველაზე მეტად მისი შუბ-ყრობა ან განადგურება სურდა. მასზე ფიქრი აწუხებდა, გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს უჩრდილავდა, რამეთუ ტურგონი, ფინგოლფინის გავლენიანი სახლისწული, ახლა ყოველთა ნოლდორთა კანონიერი მეფე იყო; ხოლო მორგოთს ეშინოდა და სძულდა ფინგოლფონის საგვარეულოსი, მის დაუძინარ მტერთან, ულმოსთან მეგობრობისა და ფინგოლფინის ხმლით მიყენებული ჭრილობების გამო. ყველაზე ძლიერ მორგოთი ტურგონს უფრთხობდა. ვალინორშიც კი ყოველთვის ეჭვის თვალთ უყურებდა ტურგონი მორგოთს და მისი სიახლოვეს მორგოთს მუდამ შიში უუფლებოდა; გული უგრძნობდა, რომ როგორღაც ტურგონი გახდებოდა მისი განადგურების მიზეზი.

ამიტომაც მიჰგვარეს ცოცხლად ჰურიანი მორგოთს; რამეთუ იცოდა მან, რომ ჰურიანი გონდოლინის მეფესთან მეგობრობდა. ჰურიანმა შეურაცხყო მორგოთი და დასცინა მას. მაშინ მორგოთმა დაწყევლა ჰურიანი და მორუენი და მათი შთამომავლები, დაე, წყვილიადასა და მწუხარებას ვერსად წაუვიდნენო; ხოლო ჰურიანი დილეგიდან თანგოროდრიმის მწვერვალზე აიყვანა და მოჯადოებულ ქვის სავარძელში

ჩასვა, რათა იქიდან ვეღარ წამომდგარიყო. გვერდით მდგარმა მორგოთმა კიდევ ერთხელ დაწყევლა ჰურიანი: «ამიერიდან იჯდები აქ და ამ მაღალი ადგილიდან იხილავ, ვით გავრცელდება სიავე და უსასოობა მოყვასთა და ნათესავთა შერთა შორის; რამეთუ გაბედუ და შეურაცხმყავ და არა ირწმუნე ძლევამოსილება მელკორისა, არდის ბედისწერის განმგებლისა, იხილავ თვალებითა ჩემითა და მოისმენ ყურებითა ჩემითა; და ვერ ადგები ამ სავარძლიდან, ვიდრე ჩემ მიერ თქმული არ აღსრულდება».

ასეც მოხდა; თუმცა, ჰურიანს მორგოთისთვის არასოდეს უთხოვია მოწყალეობა ან სიკვდილი თავისთვის ან თავის რომელიმე ნათესავისთვის.

მორგოთის ბრძანებით, ნირნაეთ არნოედიაღში დახოცილთა გვამები, მათი საჭურველი და იარაღი შეაგროვეს და ანფაუგლითის შუაგულში დაახვავეს. შორიდან ეს ზვინი გორასავით მოჩანდა. ჰაუდ-ენ-ნდენგინი შეარქვეს მას ელფებმა, გორა დახოცილთა, აგრეთვე ჰაუდ-ენ-ნირნაეთი, გორა ცრემლთა. ბალახი ამოვიდა იქ და გამწვანდა გორა შუაგულ უდაბნოში მორგოთისა. მორგოთის ვერც ერთი მსახური ვეღარ ბედავდა ფეხის დადგმას მიწაზე, რომლის ქვეშაც ელდართა და ედინთა დაჟანგული ხმლები მტვრად იქცა.

თავი ოცდამეერთე. ამბავი ტურინ ტურამბარისა

ცოლი ჰუორისა, ძისა გალდორისა იყო რიანი, ასული ბელეგუნდისა; ორი თვით ადრე შეირთო იგი ჰუორმა, ვიდრე ძმასთან, ჰურინთან ერთად ნირნაეთ არნოედიალში საბრძოლველად გაემართებოდა. ვინაიდან ქმრისგან აღარაფერი ისმოდა, რიანი ტყეში გაიქცა. მითრიმის რუხმა ელფებმა შეიფარეს რიანი და, როცა მისი ვაჟი ტუორი გაჩნდა, თავად იშვილეს. მაშინ რიანი ჰითლუმიდან წავიდა, ჰაუდ-ენ-ნდენგინამდე მიადწია, მის ფერდობზე დაწვა და გარდაიცვალა.

ცოლი ჰურინისა, დორ-ლომინის მმართველისა იყო მორუენი, ასული ბარაგუნდისა; ხოლო ვაჟს მათსას ერქვა ტურინი, რომელიც იშვა იმ წელს, როცა ბერენ ერხამიონი ნელდორეთის ტყეში ლუთიენს გადააწყდა. ასულიც ჰყავდათ ჰურინსა და მორუენს, სახელად ლალაითი, რაც კისკისას ნიშნავს; ძალზე უყვარდა ტურინს თავისი და, მაგრამ სამი წლის იყო ლალაითი, როცა ანგბანდიდან წამომდგარმა ავმა ქარმა შავი ჭირი მოიტანა, დასწულდა გოგონა და გარდაიცვალა.

ნირნაეთ არნოედიალის შემდეგ მორუენი ისევ დორ-ლომინში სახლობდა, რამეთუ ტურინი მხოლოდ რვა წლისა იყო, ხოლო მორუენი კიდევ ერთ შვილს ელოდებოდა. ავი დროება დაუდგა ჰითლუმს, რამეთუ აღმოსავლელთ სძულდათ ჰადორის მოდგმის კაცნი და ჩაგრავდნენ მათ; მათ მიწასა და ქონებას ეუფლებოდნენ, ხოლო მათ შვილებს იმონებდნენ. თუმცა, დორ-ლომინის ქალბატონის სილამაზე და ბრწყინვალეობა იმდენად დიდი იყო, რომ აღმოსავლელებმა მისთვის და მისი სახლულობისთვის ხელის ხლება ვერ გაბედეს. ხმები დადიოდა, მორუენი სახიფათოა, ელფებთან შეკრული გრძნეული და მჩხიბავი არისო. გადარიბდა მორუენი და არავინ ჰყავდა შემწე, გარდა აერინისა, ჰურინის ნათესავი ქალისა, რომელიც აღმოსავლელ ბროდას შეერთო ცოლად და საიდუმლოდ მფარველობდა. მორუენს ძლიერ ეშინოდა, ტურინს წამართმევნ და მონად წაიყვანენო. ამიტომაც გადაწყვიტა ტურინი უჩუმრად

გაგზავნა მეფე თინგოლთან; ვინაიდან ბერენი, ძე ბარაჰირისა, ნათესავი იყო მორუენის მამისა, ხოლო თავად ბერენი მეგობრობდა ჰურინთან, ვიდრე უბედურება მოხდებოდა, მორუენმა იფიქრა, ტურინს დორიათში შეიფარებნო. ამგვარად, მოთქმა-გოდების წლის შემოდგომაზე მორუენმა მათა გააღმა გაგზავნა ტურინი; თან ორი ხნიერი მსახური გააყოლა თხოვნით, როგორმე დორიათის სამეფოში შესასვლელი ეპოვათ. ასე გადაწყდა ბედი ტურინისა, რომლის ამბავიც სრულად მოთხრობილია სიმღერაში, რომელსაც ნარნ ი ჰინ ჰურინ, ანუ «ამბავი ჰურინის შვილთა» ჰქვია. ხოლო აქ ეს ამბავი მოკლედ არის მოთხრობილი, რამეთუ ტურინის ბედისწერა ელფებთან და სილმარილებთანაა გადაჯაჭვული; «სევდიან ამბავს» უწოდებენ ტურინის თავგადასავალს, რამეთუ მწუხარებითა სავსე და მასში მორგოთ ბუგლირის უსაზარლესი ბოროტქმედებანი გამოვლინდება.

წლის დასაწყისში მორუენს შვილი გაუჩნდა, ასული ჰურინისა, რომელსაც ნიენორი, ანუ დარდი დაარქვა. ხოლო ტურინი და მისი თანამგზავრები მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ დორიათის საზღვრებს მიაღწენ; ისინი ბელეგ მშვილდმაგარმა იპოვა, მეფე თინგოლის საზღვრის დამცველთა

მეთაურმა, და მენეგროთში წაიყვანა. თინგოლმა შეიფარა ტურინი და ჰურინ მედგარის პატივსაცემად იშვილა კიდევ. ბოლო დროს თინგოლი ელფთა მეგობარი ედაინების მიმართ კეთილად განწყობილიყო. ჩრდილოეთში, ჰითლუმში მორუენთან მალემსრბოლები გაგზავნა თინგოლმა, რათა დორ-ლომინიდან დორიათში გადასახლებაზე დაეთანხმებინათ იგი, მაგრამ მორუენმა არ ისურვა იმ სახლის დატოვება, რომელშიც ჰურინთან ერთად ცხოვრობდა. სამაგიეროდ, შინ მიმავალ ელფ შიკრიკებს დორ-ლომინის დრაკონის მუზარადი, ჰადორის საგვარეულოს უდიდესი რელიკვია გაატანა.

ტურინი დორიათში დამშვენდა და დავაჟკაცდა, მაგრამ მწუხარებით იყო დადაღული. თინგოლის სასახლეში ცხრა წელი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში მისი სადარდებელი თანდათან მცირდებოდა, რამეთუ

მეფის მაცნეები ხშირად მიდიოდნენ ჰითლუმში და იქიდან მორუენისა და ნიენორის კარგი ამბები ჩამოჰქონდათ.

თუმცა, ერთ დღესაც ჩრდილოეთიდან მაცნეები აღარ დაბრუნდნენ, ხოლო თინგოლს მათ მოსაძებნად არავინ გაუგზავნია. შეეშინდა ტურინს, დედაჩემსა და დას ცუდი ხომ არაფერი შეემთხვათო, გულდამძიმებული ეახლა მეფეს და ჯაჭვის პერანგი და ხმალი სთხოვა. დრაკონის მუზარადი დაიხურა მან და დორიათის საზღვრებზე საბრძოლველად გაემართა. იქ ბელეგ კუთალიონის თანამებრძოლი გახდა.

გამოხდა სამი წელი და ტურინი მენეგროთში დაბრუნდა; რაკი უღრანი ტყიდან მოვიდა, დაუბანელი და უსუფთაო იყო იგი, გაცვეთილი სამოსი ეცვა. დორიათში ერთი ნანდორთაგანი სახლობდა, მეფის უახლოესი მრჩეველი. საეროსი ერქვა მას და შურდა ტურინისა იმის გამო, რომ მეფემ იშვილა და მისგან ესეოდენი პატივი დაიმსახურა. მაგიდასთან ტურინის პირდაპირ მჯდარმა საეროსმა დასცინა ჰურინის ძეს: «თუკი კაცნი ჰითლუმელნი ესეოდენ ველურნი და ულმობელნი არიან, იქაური ქალნი როგორიღა არიან? ოდენ საკუთარი თმით შემოსილნი ნადირივით დარბიან?»

განრისხებულმა ტურინმა ღვინის თასი აიღო და საეროსს სახეში ესროლა. საეროსი მძიმედ დაშავდა.

მეორე დღეს მენეგროთიდან კვლავ საზღვრებისკენ მიმავალ ტურინს საეროსი ჩაუსაფრდა; მაგრამ ტურინმა სძლია მას, გააშიშვლა და აიძულა დევნილი მხეცივით ერბინა ტყეში. შიშით დაბრმავებულ საეროსს სირბილისას ფეხი დაუცდა, ხრამში გადავარდა, მდინარიდან ამოშვერილ ლოდს დაეცა და მოკვდა. მის სიკვდილს სხვა ელფები შეესწრნენ. თვითმხილველთა შორის იყო მახლუნგი, რომელმაც ტურინს სთხოვა, მეფის წინაშე წარმდგარიყო და დანაშაულისთვის მიტევება ეთხოვა. თუმცა, ტურინს სასჯელისა და დატყვევების შეეშინდა და მახლუნგს არ გაჰყვა. მიტრიალდა და გაიქცა. მელიანის სარტყელს გადააბიჯა და სირიონის დასავლეთით მდებარე ტყეს შეაფარა თავი. იქ მასავით უსახლკარო და თავზე ხელაღებულ კაცთა რაზმს გადააწყდა და შეუ-

ერთდა. ვინც მათ გზაზე გამოივლიდა, ელფი, კაცი თუ ორკი, ყველას ძარცვავდნენ.

როცა მომხდარის შესახებ თინგოლს აუწყეს, მეფემ ასე განსაჯა: ტურინი შეურაცხვეს და შეწყალებას

იმსახურებსო. ამ დროს ჩრდილოეთის საზღვრებიდან მენეგროთში ბელეგ მშვილდმაგარი დაბრუნდა და ტურინი იკითხა. ბელეგს თინგოლმა უთხრა: «სევდას შევუპყრივარ, კუთალიონ, რამეთუ ჰურინი საკუთარი ვაჟივით შევიყვარე და ვაჟიშვილი იქნება ჩემი, ვიდრე თავად ჰურინი არ დაბრუნდება წყვდიადიდან საკუთრების დასაბრუნებლად. არა მსურს, ვინმემ თქვას, ტურინი უსამართლოდ გააძევესო და სიხარულით შევხვდები მას, თუკი დაბრუნდება».

ხოლო ბელეგმა მიუგო: «აუცილებლად ვიპოვი ტურინს და მენეგროთში დავაბრუნებ, თუკი მოვახერხებ; რამეთუ მეც ძლიერ მიყვარს იგი».

წავიდა ბელეგი ნარგოთრონდიდან და მთელ ბელერიანდში ამაოდ დაეძებდა ტურინს.

ხოლო ტურინი ყაჩაღთა შორის ცხოვრობდა და მათ მეთაურად იქცა; ნეითანი, შეურაცხყოფილი, დაირქვა სახელად. ტეიგლინის სამხრეთით, ტყიან ველზე მალულად სახლობდნენ, თუმცა, ტურინის დორიათიდან წამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ მათ ბუნაგს ბელეგმა მიაგნო. ისე მოხდა, რომ იმ ღამით ტურინი ბანაკში არ იყო, ყაჩაღებმა ბელეგი შეიპყრეს, გაბაწრეს და სასტიკად მოეპყრნენ, რამეთუ დორიათის მეფის მსტოვარი ეგონათ. ამასობაში ტურინი დაბრუნდა და შეწუხდა იმით, რაც მის თანამზრახველთ ჩაედინათ; შეინანა ბოროტქმედებანი თავისი და დაიფიცა, ამიერიდან მხოლოდ ანგბანდის მსახურთ გავძარცვავთ და ჩავუსაფრდებითო.

მაშინ ბელეგმა უთხრა ტურინს, მეფე თინგოლმა შეგიწყალო და სცადა ნებისმიერი საშუალებით დორიათში დაბრუნებაზე დაეთანხმებინა. «სამეფოს ჩრდილოეთის საზღვრებს მამაცი და ძლიერი დამცვე-

ლები სჭირდება. ბოლო დროს ორკები ტაურ-ნუ-ფუინიდან ახალი გზით ეშვებიან», – თქვა ბელეგმა, – «ანახის ვიწრობიდან შემოდიან».

«ეგ გზა არ მახსოვს», – თქვა ტურინმა.

«ასე შორს საზღვრებს არასოდეს გავცილებივართ», – მიუგო ბელეგმა, – «მაგრამ კრისაეგრემის მწვერვალები და აღმოსავლეთით გორგოროთის ბნელი კედელი ხომ გინახავს? ანახი მათ შორის გადის, მდინარე მინდების სათავის ზემოთ. ძნელად სავალი, სახიფათო გზა არის, მაგრამ დღეს ბევრი სარგებლობს იმ ვიწრობით და დიშარს, რომელიც უწინ მშვიდობიანი მხარე იყო, ახლა შავი ხელი ეპოტინება. ბრეთილელი კაცნი შფოთავენ. ჩვენი დახმარება სჭირდებათ».

ამპარტავანმა ტურინმა მეფის შეწყალების მიუხედავად, დორიათში დაბრუნება იუარა და ბელეგმა ვერაფრით გადაარწმუნა. პირიქით, თავად ტურინმა დაუჟინა ბელეგს, ჩემთან დარჩიო. ბელეგმა უარი უთხრა და დასძინა: «შეუპოვარი და ჯიუტი ხარ, ტურინ, მაგრამ ახლა ჩემი ჯერია. თუკი ნამდვილად ბელეგ მშვილდმაგარის გვერდით დგომა გსურს, დიშარში მიპოვი. მე იქ ვბრუნდები».

მეორე დღეს ბელეგი ტურინმა გააცილა ბანაკიდან. ისრის სასროლ მანძილზე შედგნენ.

«მამ, მემშვიდობები, ჰურინის ძევ?» – ჰკითხა ბელეგმა.

ტურინმა დასავლეთით გაიხედა, ამონ რუდის მაღალი ბორცვი დაინახა და ბელეგს მიუგო: «შენ ამბობ, დიშარში მომძებნეო, მე კი გიპასუხებ: ამონ რუდზე მომძებნე! ან არადა, აქ სამუდამოდ დავემშვიდობებით ერთმანეთს!»

ამ სიტყვებით ერთმანეთს გამოეთხოვნენ მეგობრულად, მაგრამ დამწუხრებულნი.

ბელეგი მენეგროთში დაბრუნდა, თინგოლისა და მელიანის წინაშე წარდგა და უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა. მხოლოდ ის დაუმალა, როგორ ცუდად მოეპყრნენ ტურინის ამხანაგნი. მაშინ თინგოლმა ამოიოხრა და თქვა:

«ხომ შევიწყალე, მეტს რაღას ითხოვს ჩემგან ტურინი?»

«ნება დამრთეთ, მეუფევ ჩემო, რომ შეძლებისდაგვარად დავიცვა და დავარიგო იგი», – მიუგო ბელეგმა. – «მაშინ ველარავინ იტყვის, რომ ელფთა სიტყვას ფასი არა აქვს. არც ისა მსურს, ესეოდენი სიკეთე ამოოდ გაიფლანგოს უდრან ტყეში».

თინგოლმა ბელეგს ნება დართო და დასძინა: «ბელეგ კუთალიონ! მრავალგზის დაგიმსახურებია ჩემგან მაღლობა, მაგრამ ახლა უადრესად მაღლიერი ვარ შენი ჩემი შვილობილის მოძებნისათვის. ვიდრე დაგემშვიდობებოდე, უნდა დაგაჯილდოვო. მითხარ, რა გინდა, შენთვის არც ერთ ძღვენს არ დავინანებ».

«თქვენი ნებართვით, ღირებულ ხმალსა გთხოვთ», – მიუგო ბელეგმა. – «ორკნი ახლა უფრო ახლოს და მრავლად მოდიან, მხოლოდ ჩემი მშვილდით მათ ვერ მოვიგერიებ, ხოლო ჩემი ხმლით მათ მტკიცე აბჯართან ვერას გავაწყობ».

«აირჩიე ნებისმიერი ხმალი», – უთხრა თინგოლმა, – «გარდა არანრუთისა, რომელიც ჩემია».

ბელეგმა ანგლახელს დაადო ხელი; ღირებული ხმალი იყო ის, რამეთუ ზეციდან ცეცხლწყვილებული ვარსკვლავით ჩამოვარდნილი რკინისგან გამოეჭედათ; მიწის წიაღიდან ამოთხრილ ყოველ რკინას აპობდა. შუახმელეთში მისი მსგავსი ერთადერთი ხმალი არსებობდა. ის ხმალი ამ ამბავში ნახსენები არ არის, თუმც ისიც იმავე მჭედელს იმავე ლითონისგან გამოეჭედა. ხოლო ის მჭედელი იყო ეოლი, ბნელი ელფი, რომელმაც ტურგონის და, არედელი შეირთო ცოლად. ეოლმა ანგლახელი თინგოლს უხალისოდ დაუთმო, რათა ღორიათის მეფეს მისთვის ნან ელმობში დასახლების უფლება მიეცა; ხოლო ანგლახელის ძმას, ანგურიელს ეოლი თავისთან ინახავდა, ვიდრე მათეგლინი, საკუთარი ძე, მოჰპარავდა.

როცა თინგოლმა ანგლახელის ვადა მიუშვირა ბელეგს, მელიანმა ხმალს დახედა და თქვა: «სიძულვილი დევს ამ ხმალსა შინა. მჭედლის შავი გული ისევ შიგ სახლობს. არ შეიყვარებს ეს ხმალი მპყრობელს თავისას; დიდხანს არ დარჩება შენთან».

«და მაინც, თან მქონდეს, ვიდრე მემსახურება», – მიუგო ბელეგმა.

«მე სხვა ძღვენს მოგცემ, ბელეგ კუთალიონ», – უთხრა მელიანმა. – «უღრან ტყეში გამოგადგება შენ და შენს რჩეულთ».

და მისცა მარაგი ლემბასისა, ელფთა საგზაო პურისა, რომელიც ვერცხლისფერ ფოთლებში გაეხვიათ და ბაწრით შეეკრათ, ხოლო ნასკვი ბაწრისა დაებეჭდათ დედოფლის ბეჭდით – ტელპერიონის ყვავილის ფორმის თეთრი ცვილის ფირფიტით. ელდალიეთა ადათ-წესების მიხედვით, ლემბასს დედოფალი ინახავდა და გასცემდა. მელიანმა დიდი პატივი დასდო ტურინს, რამეთუ ასეთ ძვირფას ძღვენს, საგზაო პურს ელფნი კაცთა მოდგმას იშვიათად უწილალებდნენ.

ძვირფასი ძღვენით დატვირთული ბელეგი მენეგროთიდან ღორიათის ჩრდილოეთი საზღვრებისკენ გაემართა, სადაც მრავალი მეგობარი ელოდა. დიმბარიდან ორკნი უკუაქციეს და ქარქაშიდან ამოგებულმა ანგლახელმაც გაიხარა. თუმცა, როცა დაზამთრდა და ომი ჩაწყნარდა, ამხანაგებმა ბელეგი უეცრად მოისაკლისეს. ბელეგი აღარასოდეს დაბრუნებულა მათთან.

მას შემდეგ, რაც ბელეგი ტურინსა და მის ყაჩაღებს გამოეთხოვა და ღორიათში დაბრუნდა, ტურინი თავის რაზმს დასავლეთით გაუძღვა. სირიონის ხეობაში მუდმივი მალვა და სიფხიზლე მოჰბეზრებოდათ და გადაწყვიტეს, ახალი ბუნაგი ეპოვათ, სადაც თავდასხმის შიში არ ექნებოდათ. ერთ საღამოს, სრულიად შემთხვევით, სამ ჯუჯას გადააწყდნენ. ჯუჯები დაფრთხნენ და გაიქცნენ. ერთ-ერთი ჯუჯა დანარჩენებს ჩამორჩა, შეიპყრეს იგი და ძირს დასცეს, სხვები კი ბინდში მიიმაღნენ, ერთმა ყაჩაღმა მათ ზურგში ისარი მიაყოლა. შეპყრობილ ჯუჯას მიმი ერქვა. მიმმა ტურინს შეწყალება სთხოვა და გამოსასყიდად ფარულ დარბაზებამდე მიყვანა აღუთქვა, იქამდე მისასვლელი გზა მხოლოდ მე ვიცი და სხვა ვერავინ მოგაგნებთო. შეეცოდა ტურინს მიმი და დაინდო; ჰკითხა: «სად არის შენი სახლი?»

მიმმა მიუგო: «მალღა, დიდ ბორცვზე მდებარეობს სახლი მიმისა. მას შემდეგ, რაც ელფებმა ყოველივეს სახელი გადაარქვეს, ამონ რუდს უწოდებენ იმ ბორცვს».

ტურინი ჩაფიქრდა და დიდხანს უყურებდა მიმს. დაბოლოს, თქვა: «გაგვიძეხი იმ ადგილისკენ».

მეორე დღეს მიმის მეგზურობით ამონ რუდისკენ გაემართნენ. ბორცვი სირიონისა და ნაროგის ხეობებს შორის მდებარე უშენის განაპირას იდგა და მანანით დაფარულ მიდამოებს ამაყად დასცქეროდა. ბორცვის რუხი ციცაბო თხემი მოტიტვლებული იყო, მხოლოდ წითელ სერეგონს დაეფარა მისი ქვები.

ბორცვთან ახლოს იყვნენ, როცა დასავლეთით გადახრილმა მზემ დრუბლებიდან გამოანათა და მისი სხივები აყვავილებულ სერეგონებს დაეცა.

«ბორცვზე სისხლი დაუღვრიათ!» – წამოიძახა რომელიღაც ყაჩაღმა.

მიმმა საიდუმლო ბილიკებით აიყვანა ისინი ციცაბო ფერდობზე; თავისი გამოქვაბულის შესასვლელთან შედგა და ტურინს თავი დაუკრა: «შებრძანდით ბარ-ენ-დანუელში «სახლ-გამოსასყიდში»; ამიერიდან ასე ერქმევა ამ საცხოვრისს».

გამოქვაბულიდან სხვა ჯუჯა გამოვიდა სანათით ხელში, მიმს მიესალმა, გამოელაპარაკა და შემდეგ მასთან ერთად სწრაფად შეაბიჯა წყვილიადში; ტურინი უკან გაჰყვა მათ, კარგა ხანს იარა და ბოლოს შევიდა დრმა ოთახში, რომელიც ჯაჭვებზე ჩამოკიდებულ მკრთალ ფარნებს გაენათებინა. მიმი კედელთან მდგარ ქვის სარეცელთან დაჩოქილიყო, წვერს იგლეჯდა და მოთქვამდა, გაუთავებლად იმეორებდა ერთ სახელს; სარეცელზე მესამე ჯუჯა ესვენა. ტურინი მიმთან მივიდა და დახმარება შესთავაზა. მიმმა თავი ასწია და მიუგო: «ვერ დამეხმარები. ეს არის კვიმი, ჩემი ძე, ისრით მოკლული. დაისზე გარდაცვლილა. ასე მითხრა იბუნმა, ჩემმა ძემ».

შეებრალა ტურინს მიმი და უთხრა მას: «უკან გავიხმობდი ამ ისარს, მაგრამ ვაი, რომ არ შემიძლია! ჭეშმარიტად ბარ-ენ-დანუელი უნდა ერ-

ქვას ამ სახლს; თუკი ოდესმე გავმდიდრდები, ოქროთი გამოვისყიდი შენი ძის სიკვდილს, თუმცა, ოქრო მწუხარებას არ გაგიქარვებს».

მაშინ წამოდგა მიმი და დიდხანს უყურებდა ტურინს: «ჯუჯათა ძველი მბრძანებლებივით ლაპარაკობ», – თქვა მიმმა, – «და ეს მოცეხს. ცოტათი გულზე მომეშვა, მაგრამ დარდი სიხარულით როდი შემეცვალა. ამ სახლში იცხოვრეთ, თუკი ინებებთ; მე ჩემს გამოსასყიდს ასე გადავიხდი».

ამონ რუღზე მიმის ფარულ გამოქვაბულში დასახლდა ტურინი. გამოქვაბულის შესასვლელთან მდებარე მწვანე კორდიდან ათვალიერებდა აღმოსავლეთს, დასავლეთსა და ჩრდილოეთს. ჩრდილოეთით ბრეთილის მწვანე ტყე და მის შუაგულში აღმართული ამონ ობელი მოჩანდა. მზერა სულ იქით გაურბოდა, მაგრამ არ იცოდა, რატომ; რამეთუ გული ჩრდილო-დასავლეთით მიუწევდა, იქით, სადაც, მრავალი ეჯის მოშორებით წყვილიადის მთების, მისი სამშობლოს კედლის ბუნდოვანი მოხაზულობა იკვეთებოდა. სადამოობით ტურინი დასავლეთით ჩამავალ მზესა და ბინდგადაფენილ ნაროგის ხეობას აკვირდებოდა.

როცა მარტონი იყვნენ, ხშირად საუბრობდნენ ის და მიმი, მის თავდასასვლებს უსმენდა და მისგან ცოდნას ეუფლებოდა. მიმი იმ ჯუჯათა შთამომავალი იყო, რომლებიც უხსოვარ დროს გამოაძევეს აღმოსავლეთის ჯუჯათა დიდი ქალაქებიდან და ჯერ კიდევ მორგოთის შუახმელეთში დაბრუნებამდე გადმოსახლდნენ ბელერიანდში; ამ ჯუჯათა სამქედლო ოსტატობა და აღნაგობა დაკნინდა და მალულ ცხოვრებას შეუდგნენ; მხრებში მოხრილნი ფეხაკრეფით დააბიჯებდნენ. ვიდრე ნოგროდელი და

ბელეგოსტელი ჯუჯები გადმოვიდოდნენ მთების გადაღმიდან, ბელერიანდელი ელფები ამ არსებებს დევნიდნენ და ხოცავდნენ; თუმცა, შემდეგ შეეშვნენ და ჩია ჯუჯები, ანუ სინდარულად ნოეგით ნიბინი უწოდეს. ჩია ჯუჯებს მხოლოდ თავიანთი თავი უყვარდათ და ორკებზე არანაკლებ სძულდათ ელდარნი, მათ შორის ყველაზე მეტად ხიზანნი; რამეთუ ნოლდორებს მშობლიური მიწების მიტაცებას აბრალებდნენ. დი-

დი ხნით ადრე მეფე ფინროდ ფელაგუნდის გამოჩენამდე, ნარგოთრონდის გამოქვაბულები ჩია ჯუჯებმა აღმოაჩინეს და მათვე დაიწყეს იქ გათხრები. ამონ რუდის, მოტიტვლებული ბორცვის თხემის ქვეშ ჩია ჯუჯათა ღინჯმა ხელებმა გათხარეს და გააგანიერეს გამოქვაბულები და მრავალი წელი ცხოვრობდნენ იქ ისე, რომ ტყეთა ბინადარი რუხი ელფები არ აწუხებდნენ. თუმცა, შუახმელეთში მათმა რაოდენობამ თანდათან იკლო და ჩია ჯუჯათა მოდგმა ამოწყდა. მხოლოდ მიმი და მისი ორი ძედა დარჩნენ. მიმი ჯუჯათა კვალობაზეც ძალიან ასაკოვანი იყო, მოხუცი და დავიწყებული. მის დარბაზებში სამჭედლოები უქმობდა, ნაჯახები დაჟანგდა და მათი სახელები მხოლოდ დორიათისა და ნარგოთრონის ძველ თქმულებებში ახსოვდათ.

ამასობაში დაზამთრდა და ამონ რუდი სქელმა თოვლმა დაფარა; როგორც ამბობდნენ, ანგბანდის გავლენის გაძლიერებასთან ერთად ბელერიანდში ზამთარიც მკაცრდებოდა. ზამთარში მხოლოდ ტურინის ყველაზე მედგარი და მტკიცე ამხანაგები ბედავდნენ გარე-გარე ხეტი-ალს. ზოგი ავად გახდა, ყველა შიმშილობდა. ზამთრის ერთ მკრთალ დღეს მათ შორის ზორბა და ჯმუხი კაცი გამოჩნდა, თეთრი მოსასხამი წამოესხა და თეთრი ჩაჩი წამოეხურა; უსიტყვოდ მივიდა იგი კოცონთან. როცა შეშინებული კაცები წამოხტნენ, უცნობმა გაიცინა, ჩაჩი გადაიხადა და კოცონის შუქზე ტურინმა ბელეგ კუთალიონის სახე დაინახა.

ასე დაბრუნდა ბელეგი კიდევ ერთხელ ტურინთან და ბედნიერი იყო მათი შეხვედრა. დიმბარიდან დორ-ლომინის რელიკვია, დრაკონის მუზარადი წამოელო ტურინისთვის იმ იმედით, რომ უღრან ტყეში მოხეტიალე ყაჩაღებს ჩამოაშორებდა, მაგრამ ტურინი დორიათში დაბრუნებაზე მაინც უარს ამბობდა; მაშინ გონების კარნახს ყური არ დაუგდო ბელეგმა, გულისთქმას მიენდო და ტურინთან დარჩა. ამ ხნის განმავლობაში ტურინის რაზმს დიდად დაეხმარა, დაშავებულებსა და ავადმყოფებზე ზრუნავდა, დამშუულებს მელიანის ბოძებულ ლემბასს აჭმევდა. ყველა სწრაფად განკურნა. მართალია, რუხი ელფები ვალინოროიდან გადმოსახლებულებზე ნაკლებ განსწავლულნი და დახელოვნებულნი

იყვნენ, მაგრამ კაცთა მოდგმას ცოდნით დიდად აღემატებოდნენ. და ვინაიდან მტკიცე და გამძლე, მახვილი გონებისა და მზერის მქონე იყო ბელეგი, ყაჩაღები დიდ პატივს სცემდნენ. თუმცა, მიმს ბარ-ენ-დანუელში უეცრად გამოჩენილი ელფი ღლითი ღლე უფრო მეტად ეჯავრებოდა; ბნელ კუთხეში თავის ძესთან, იბუნთან იჯდა და არავის ელაპარაკებდა. ახლა ტურინი ჯუჯას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ამასობაში ზამთარი მიილია, გაზაფხული დადგა და მრავალი საქმეც გამოუჩნდათ.

ვინღა უწყის მორგოთის განზრახვანი? ვის ძალუძს ჩასწვდეს სიღრმეს მისი ფიქრებისა, ვინც ოდესღაც იყო მელკორი, დიდი მუსიკის შემოქმედი აინუ, ახლა კი ჩრდილოეთის შავბნელ ტახტზე იჯდა, ვითარცა შავბნელი მეუფე და ახალ ცნობებს განიხილავდა; მან უფრო მეტი იცოდა მეტოქეთა საქმეებსა და გეგმებზე, ვიდრე ისინი თავად ხვდებოდნენ. ოდენ დედოფალი მელიანი იყო მორგოთის მზერისთვის მიუწვდომელი, მის გონებაში ჩახედვას ვერ ახერხებდა.

კვლავ დაიდრა ანგბანდის ლაშქარი და წინამარბებმა ბელერიანდში შესაჭრელად ახალი გზების ძიება დაიწყეს. ანახიდან შემოვიდნენ და დიმბარი და ღორიათის ჩრდილოეთ საზღვრების გასწვრივ მდებარე მიწები დაიპყრეს. სირიონის ხეობიდან მომავალი უძველესი გზით ტეიგლინის გადასალახს მიადგნენ. აქედან გზა დაცული ვაკისკენ მიიწევდა, მაგრამ ორკები შორს წასვლას ვერ ბედავდნენ, რამეთუ უღრან ტყეებში ფარული საფრთხე იმალებოდა, ხოლო წითელ ბორცვზე ფხიზელი გუშაგები იდგნენ, რაზეც ორკები წინასწარ არ გაუფრთხილებიათ. ტურინმა ჰადორის მუზარადი კვლავ დაიხურა და საბრძოლველად გამოვიდა; მთელ ბელერიანდში გავრცელდა ხმა, დიმბარში დაცემული მუზარადი და მშვილდი ისევ აღმდგარაო. მაშინ უწინამძღოლოდ დარჩენილი და სამშობლოდან განდევნილი მრავალი მამაცი მეომარი ორი სარდლის მოსაძებნად გაემართა. ტეიგლინსა და ღორიათის დასავლეთ საზღვარს შორის მდებარე მიწას ღორ-კუართოლი, მშვილდისა და მუზარადის მხარე უწოდეს. ტურინმა ამჯერად გორთოლი, საზარელი მუზარადი დაირქვა. ორი სარდლის საგმირო საქმეებზე მენეგროთში, ნარგოთრონ-

დის ღრმა დარბაზებსა და გონდოლინშიც ესმოდათ. მრისხანე მეტოქეებზე ანგბანდშიც შეიტყვეს. მაშინ მორგოთმა გადაიხარხარა, რამეთუ დრაკონის მუზარადით გაცხადდა მისთვის ჰურიინის ვაჟის ვინაობა; და მალე ამონ რუდი ჯაშუშთა და მზვერავთა ალყაში მოექცა.

წლის მიწურულს ჯუჯა მიმი და მისი ძე იბუნი ბარ-ენ-დანუელიდან ტყეში წავიდნენ ზამთრისთვის ძირხვევნების მოსამარაგებლად. იქ ისინი ორკებმა შეიპყრეს. მაშინ მეორედ დაჰპირდა მიმი მტრებს, საიდუმლო ბილიკებით ამონ რუდზე მდებარე ჩემს სახლში მიგიყვანთო. ოღონდ პირობის შესრულებას აყოვნებდა და ორკებს მოსთხოვა, გორთოლი არ მოკლათო. ორკთა მეთაურმა სიცილით მიუგო: «გარწმუნებ, ტურიინი, ძე ჰურიინისა, არ მოკვდება».

ასე გასცეს ბარ-ენ-დანუელის ადგილსამყოფელი; მიმის მეგზურობით ორკები საიდუმლო თავშესაფარში შეცვივდნენ. ტურიინის რაზმის მძინარე წევრთაგან მრავალი დახოცეს. ნაწილმა შიგა კიბით ბორცვის წვერომდე აირბინა და თავგანწირულად იბრძოდნენ. მათი სისხლი სერეგონებს გადაესხა. ტურიინი ბადეში გახლართეს, სძლიეს და დაატყვევეს.

დაბოლოს, სიჩუმე ჩამოვარდა. დამალული ჯუჯა მიმი სახლის ბნელი კუთხიდან გამოვიდა. როცა მზე ნისლგადაფენილ სირიონს ამოსცდა, ბორცვის თხემზე ავიდა და დაცემულ მეომრებს გადახედა. მათგან ყველა არ აღმოჩნდა მკვდარი. ჯუჯას თვალებში უყურებდა ელფი ბელეგი. მიმის გულში დაგროვილმა ბოღმამ ამოხეთქა და ბელეგის გვერდით დაცემული მეომრის ქვეშ მოყოლილი ანგლახელი აიტაცა, მაგრამ ელფი ბარბაცით წამოდგა, ჯუჯას ხმალი გამოჰგლიჯა და მოუქნია. მიმი შეძრწუნებული დაეშვა ბორციდან. ბელეგმა უკნიდან მიაძახა: «ჰადორის საგვარეულოს შურისძიებას ვერსად გაექცევი!»

ბელეგი მძიმედ დაეჭრათ, მაგრამ მტკიცე შუახმელეთელი ელფი იყო იგი და კურნების ხელოვნებასაც ფლობდა. სიკვდილს გადაურჩა და თანდათან მოღონიერდა. ამაოდ ეძებდა მოკლულთა შორის ტურიინის

გვამს, რათა დაემარხა. რაკი ვერ იპოვა, მიხვდა, ჰურიანის ძე ჯერაც ცოცხალი იყო და ანგბანდში წაეყვანათ ტყვედ.

მცირე იმედმიცემული ბელეგი ამონ რუდიდან ჩრდილოეთით გაემართა და ტეიგლინის გადასალახამდე მიჰყვა ორკების კვალს; ბრიტაინის ფონით გადავიდა მეორე ნაპირზე და დიმბარის გავლით ანახის ვიწრობისკენ დაიძრა. ღამითაც კი არ იძინებდა, შეუსვენებლივ მისდევდა ორკებს და როგორც იქნა, დაეწია. ხოლო ორკები გზადაგზა ყოვნდებოდნენ და დასახლებებს დარცვავენ, რამეთუ ჩრდილოეთით მიმავლებს მდევრისა არ უშინოდათ. ტაურ-ნუ-ფუინის შემადრწუნებელ ტყეებშიც კი არ დაჰბნევია გზა ბელეგს, მთელ შუახმელეთში არ მოიძებნებოდა მისებრ გამოცდილი მზვერავი და გზამკვლევი. ერთხელ ღამით, როცა იმ ავ მხარეში მალულად მიაბიჯებდა, დიდი, ხმელი ხის ქვეშ ვიდაც მძინარეს გადააწყდა; ბელეგი შედგა და წესიერად შეათვალიერა უცნობი. ის ელფი აღმოჩნდა. ბელეგი მას გამოელაპარაკა და ლემბასი უწილადა, ჰკითხა, როგორ მოხდა, რომ ამ საშინელ ადგილას აღმოჩნდიო. ელფი გაეცნო, გუინდორი ვარ, გუილინის ძეო.

შეწუხდა ბელეგი, რამეთუ გუინდორი მხოლოდ წელში მოხრილი და დამფრთხალი აჩრდილიდა იყო მამაცი ნარგოთრონდელი სარდლისა, რომელიც ნირნაეთ არნოედიადში უშიშრად და დაუფიქრებლად მიადგა ანგბანდის კარიბჭეს და შეიპყრეს. დატყვევებულ ნოლდორთაგან მორგოთი ძალიან ცოტას თუ ხოცავდა, სამჭედლო და სამთო საქმეებში მათ ოსტატობას სათავისოდ იყენებდა; არც გუინდორი მოუკლავთ, ჩრდილოეთის მადაროებში მონური შრომა მიუსაჯეს. მადაროელი ელფები ზოგჯერ მხოლოდ მათთვის ცნობილი საიდუმლო გვირაბებით გარბოდნენ და გუინდორმაც თავს უშველა. აი, ასე შეხვდა ბელეგი ტაურ-ნუ-ფუინის ლაბირინთში გზააბნეულ და აქეთ-იქით ხეტიალით გადაქანცულ გუინდორს.

გუინდორმა უამბო ბელეგს, ხეებს უკან დამალულმა დავინახე, ორკთა რაზმმა როგორ ჩაიარაო. ორკები ჩრდილოეთით მიდიოდნენ და მგლების ხროვაც თან მიჰყვებოდათ, ხოლო ჯაჭვებით შეკრულ ტყვე

კაცს მათრახების რტყმით მიერეკებოდნენო. «ძალიან მაღალი კაცი იყო», – თქვა გუინდორმა, – «ჰითლუმის ნისლიანი მთიანეთის მკვიდრით მაღალი». მაშინ ბელეგმაც გაუშხილა, ტაურ-ნუ-ფუინში რად მოსულიყო. გუინდორმა მისი გადარწმუნება სცადა, მარტო ვერას გახდები და შენც ტურინის ავი ბელის გაზიარება მოგიწევსო. თუმცა, ბელეგი ტურინის მიტოვებას არ აპირებდა და მისმა შეუპოვრობამ გუინდორსაც შემატა მხნეობა. მათ ერთად განაგრძეს გზა. დაბოლოს, ტყიდან გამოვიდნენ და მაღალი ფერდობიდან გადახედეს ანფაუგლითის ქვიშის ბორცვებს. ერთგან, მოტიტვლებულ დარტაფში, საიდანაც თანგოროდრიმის მწვერვალები მოჩანდა, შებინდებისას ორკები დაბანაკდნენ და ბანაკის ირგვლივ დარაჯებად მგლები დააყენეს, თავად კი თავაშვებული ღრეობა გააჩადეს. დასავლეთის ძლიერი ქარი უბერავდა და წყვდიადის მთების თავზე ელავდა, როცა ბელეგი და გუინდორი დარტაფთან მიიპარნენ.

როცა ორკებმა დაიძინეს, ბელეგმა მშვილდი მოიმარჯვა და სათითაოდ და უჩუმრად დახოცა გუშაგი მგლები. შემდეგ, საფრთხის მიუხედავად, ბანაკში შეაღწიეს და ხმელ ხეზე მიბმული ხელფეხშებოროკილი ტურინი იპოვეს. არაქათგამოცლილს ღრმად ჩასძინებოდა. ბელეგმა და გუინდორმა თოკი გადაჭრეს, ტურინი ხელში აიტაცეს და დარტაფიდან ამოიყვანეს. თუმცა, ქარიშხალი ახლოვდებოდა და შორს ვერ წავიდნენ, ოდნავ მოშორებით ბუჩქებში ჩაიმაღნენ. ბელეგმა ანგლახელი იშიშვლა და ტურინის ბორკილები დააწყვიტა. თუმცა, განგებამ ყოველივეს კეთილად დასრულება როდი ინება, ბორკილების დაწყვეტისას

მახვილი ასხლტა და ტურინს ტერფში ჩაერჭო. ტკივილმა გამოადვიდა ტურინი და თავზე ხმლით დამდგარი მეომარი რომ იხილა, იფიქრა, ორკები მოსულან ჩემს საწამებლადო, განრისხებული წამოხტა, ყვირლით ეცა ბელეგს, წყვდიადში ანგლახელი გამოჰგლიჯა და განგმირა იგი, ვითარცა მტერი.

ხელფეხგახსნილი ტურინი მზად იყო, წარმოსახული მტრებისთვის შეეკლა თავი, მაგრამ უეცრად გაიელვა და ამ წამიერ შუქზე ბელეგის სა-

ხე დაინახა. მიხვდა ტურინი, რაც ჩაიდინა, გაქვავდა და ენა ჩაუვარდა; ხოლო გუინდორმა თავი ჩაქინდრა და მზერა მოარიდა მის გაფითრებულ სახეს.

ამასობაში ქვემოთ, ღარტაფში ორკებს გაეღვიძათ და ბანაკში ჩოჩქოლი ატყდა; დასავლეთიდან მოსულმა ქარიშხალმა დააფრთხო ისინი, ზღვის გადაღმა მცხოვრებმა დიადმა მტრებმა დაგვატეხესო თავს. თავსხმა წვიმა წამოვიდა, მდინარეები აღიღდა და ტაურ-ნუ-ფუინის კალთები ნიაღვარმა წალეკა. გუინდორმა ტურინს დაუძახა, ორკებს უფრთხილდიო, მაგრამ ბელეგ კუთალიონის გვამთან დაჩოქილი ტურინი არ ინძრეოდა და უხმოდ ტიროდა.

დილით ქარიშხალმა აღმოსავლეთში, ლოთლონისკენ გადაინაცვლა და შემოდგომის მზემ დააცხუნა. ორკებმა იფიქრეს, ტურინი ამ საშიშ ადგილს მოშორდებოდა და წვიმა მის ნაკვალევს წაშლიდაო, ამიტომ აღარ უძებნიათ. გუინდორი ხედავდა, როგორ მიაბიჯებდა მათი რაზმი ანფაუგლითის ოხშივარავარდნილ ქვიშაში. ხელცარიელნი დაბრუნდნენ ისინი მორგოთთან და გაექცათ ჰურიინის ძე, რომელიც ტაურ-ნუ-ფუინის კალთებზე მწუხარებისგან შეშლილი და ბორკილებზე ბევრად მძიმე ტვირთით დამძიმებული იჯდა.

გუინდორმა შეანჯღღრია ტურინი და თითქოს ღრმა ძილიდან გამოფხიზლდა იგი. ერთად დამარხეს ბელეგი არადრმა საფლავში და გვერდით მიუდეს ბელთრონდინგი, დიდი ურთხლის მშვილდი. ხოლო ანგრახელი გუინდორმა აიღო, მიწაში უსარგებლოდ დებას, აჯობებს, ამ ხმალმა მორგოთის მსახურებზე შური იძიოსო; საგზლად მელიანის მიერ ბელეგისთვის ნაბოძები ლემბასი წაიღეს.

ასე აღესრულა მისთვის ძვირფასი კაცის ხელით ბელეგ კუთალიონი, ერთგული მეგობარი. განცდილი მწუხარება სამუდამოდ აღიბეჭდა ტურინის სახეზე. ხოლო ნარგოთრონდელ ელფს მხნეობა და ღონე მოემატა და ტაურ-ნუ-ფუინიდან შორს გაუძღვა ტურინს. ხანგრძლივი და სახიფათო მოგზაურობის განმავლობაში ტურინს სიტყვა არ დაუძრავს. უხალისოდ და უმიზნოდ დაეხეტებოდა იგი. ამასობაში წელიწადი მიიწურა

და დაზამთრდა. გუინდორი გვერდიდან არ სცილდებოდა ტურინს, მეგ-
ზურობდა და იცავდა მას. სირიონს გადაღმა გადავიდნენ და დასავლე-
თით იარეს. დაბოლოს, წყვდიადის მთების ძირას ეითელ ივრინს მიაღ-
გნენ, სადაც მდინარე ნაროგი იღებდა სათავეს. და უთხრა გუინდორმა
ტურინს: «გამოფხიზლდი, ტურინ, ძევ ჰურინ თალიონისა! ივრინის ტბა-
ზე მუდმივად იცინიან! ულმო, წყალთა მეუფე იცავს მას, წყლები მისი
სუფთა და წაუბლიწავია».

დაიჩოქა ტურინმა და შესვა ტბის ანკარა წყალი; უეცრად ძირს დაეცა
და წასკდა ცრემლები, რომელთაც

დიღხანს იკავებდა. ასე განიკურნა იგი სიგიჟისაგან.

ტბის პირას შეთხზა სიმღერა ბელეგზე, რომელსაც ლაერ კუ ბელეგ,
«დიდი მშვილდის სიმღერა» უწოდა. საფრთხის მიუხედავად, ხმამაღლა
მღეროდა ტურინი. გუინდორმა ანგლახელი გადასცა. მძიმე და მტკიცე
მოეჩვენა ხმალი ტურინს, მაგრამ ხმლის პირი შავი და ბლავი იყო. მა-
შინ გუინდორმა უთხრა: «ეს ხმალი ერთობ უჩვეულოა. მისი მსგავსი შე-
ახმელეთში არსად შემხვედრია. შენსავით ისიც დასტირის ბელეგს. ნუ-
ღარ იღარდებ! მე ნარგოთრონდში ვბრუნდები და შენც თან გამომყვი,
იქ განიკურნები და მომჯობინდები!»

«ვინ ხარ?» – ჰკითხა მას ტურინმა.

«მოხეტიალე ელფი, გამოქცეული მონა, რომელსაც ბელეგი შეხვდა
და ნუგეში სცა». – მიუგო გუინდორმა. – «თუმცა, ოდესღაც ვიყავ გუინდო-
რი, ძე გუილინისა, ნარგოთრონდელი თავადი, ვიდრე ნირნაეთ არნო-
ვდიადში საბრძოლველად წავიღოდი და ანგბანდში დამატყვევებ-
დნენ».

«მამ, უთუოდ ნახავდი ჰურინს, ძეს გალდორისა, დორლომინელ მეო-
მარს!» – თქვა ტურინმა.

«მე არ მინახავს», – მიუგო გუინდორმა, – «მაგრამ მთელ ანგბანდში
დადის ხმები, რომ მელგრად ეურჩება მორგოთს; ხოლო მორგოთმა დას-
წყევლა ის და მისი ნათესავნი».

«ამის კი მჯერა», – თქვა ტურინმა.

ეითელ ივრინიდან სამხრეთით გაემართნენ მოგზაურნი, ნაროგის ნაპირებს მიუყვებოდნენ, ვიდრე ელფი მზვერავები შეამჩნევდნენ, შეიპყრობდნენ და დამალულ ციხესიმაგრეში წაიყვანდნენ. ასე აღმოჩნდა ტურინი ნარგოთრონდში.

თავიდან თანამოძმეებმა ვერ იცნეს გუინდორი, რომელიც ახალგაზრდა და ღონიერი წავიდა და მონური შრომისა და წამებისგან მოკვდავი კაცივით დაბერებული დაბრუნდა; ხოლო ფინდუილასმა, ასულმა ოროდრეთისა, იცნო და გულთბილად მიიღო. რამეთუ ნირნაეთ არნო-ედიადში წასვლამდე უყვარდა იგი და გუინდორსაც ისე ძლიერ უყვარდა, რომ უწოდა ფინდუილასს ფაელივრინი, ანუ «ივრინის ტბაზე აციმციმებული მზის სხივი». გუინდორის შუამდგომლობით დაუშვეს ტურინი ნარგოთრონდში და პატივში ცხოვრობდა იქ. როცა გუინდორმა მისი წარდგენა მოინდომა, ტურინმა შეაჩერა და თავად თქვა: «მე ვარ აგარუაენი ძე უმართისა (რაც ასე ითარგმნება: «სისხლით დასვრილი, ძე უბედოსი»), ტყეში მონადირე». ნარგოთრონდელ ელფებს მეტი აღარაფერი უკითხავთ.

დროთა განმავლობაში ტურინმა ოროდრეთის ნდობა დაიმსახურა და ნარგოთრონდში მრავალთა გულში დაიმკვიდრა ადგილი. რამეთუ ახალგაზრდა იყო იგი, ახალდავაჟკაცებული; დედისგან, მორუენ ელე-დუნისგან შავი თმა, თეთრი კანი და ნაცრისფერი თვალები გამოჰყოლოდა, ადრეულ დღეთა მოკვდავ კაცთა შორის მისებრ პირმშვენიერი ბევრი არ მოიძებნებოდა. დორიათში აღზრდილი, თავაზიანად ლაპარაკობდა და იქცეოდა და ბევრს ნოლდო დიდებული ეგონა იგი. ამიტომაც შეარქვეს ადანედელი, ელფკაცი. ნარგოთრონდის ხელმარჯვე მჭედ-ლებმა ანგლახელი ხელახლა გამოჭედეს; და უწოდეს მას გურთანგი, სიკვდილის რკინა. თავად ტურინი იმდენად თავდაუზოგავად იბრძოდა დაცული ვაკის საზღვრების დასაცავად, რომ შეარქვეს მორმეგილი, შავი ხმალი; ელფები ამბობდნენ: «მორმეგილს სიკვდილი არ ეკარება, უბედური შემთხვევა ან შორიდან ნასროლი მოწამლული ისარი თუ იმსხვერპლებს მას». თავის დასაცავად ჯუჯების ნაჭედი ჯაჭვის პერანგი და

მოოქრული ნიღაბი მისცეს; ბრძოლის ველზე ამგვარად შეჭურვილი გადიოდა ტურინი და მტერი შიშით გაურბოდა.

მაშინ ფინდულიასს გუინდორზე გული აუცრუვდა და, თავისდა უნებურად, შეუყვარდა ტურინი; თავად ტურინი ვერაფერს ხვდებოდა. დასევდიანდა ფინდულიასი, დასუსტდა და გულჩათხრობილი გახდა. ხოლო გუინდორი ბნელ ფიქრებს მისცემოდა. ერთ დღესაც უთხრა ფინდულიასს: «ასულო ფინარფინის გვარისა, დაე, წყენა ნუ იქნება ჩვენ შორის; რამეთუ მორგოთმა დამინგრია სიცოცხლე, მაგრამ მაინც მიყვარხარ. მისდღე სიყვარულს, საითაც გაგიძღვება; ოღონდ გაფრთხილდი! არ ეგების, ილუვატარის უფროსი შვილები უმცროსებზე ქორწინდებოდნენ; დღემოკლენი არიან ისინი, მალე გარდაიცვლებიან, ჩვენ კი ქვეყნიერების აღსასრულამდე დაგვაქვრივებენ. არც ბედისწერა შეიწყნარებს მსგავს კავშირს, გარდა იშვიათი შემთხვევებისა; მიზეზი ამისა დაფარულია ჩვენგან. თუმცა, ეს კაცი ბერენი არ არის. გეუბნები, სიკვდილი უწერია მას. მის ავ ხვედრს ნუ გაიზიარებ! მისი სიყვარული ოდენ მწუხარებასა და სიკვდილს მოგიტანს. თუმც კი სახელი, აგარუაენი ძე უმართისა, ქმმარიტად შეეფერება, მისი ნამდვილი სახელი არის ტურინი, ძე ჰურინისა, რომელიც მორგოთმა ანგბანდში დაატყვევა და ნათესავნი მისნი დასწყევლა. მორგოთ ბაუგლირის ძალა ნუ დაგაეჭვებს! განა მისი კვალი სახეზე არ მატყვია?»

ჩაფიქრდა ფინდულიასი და ხანგრძლივი ღუმილის შემდეგ მხოლოდ ეს თქვა: «ტურინს, ძეს ჰურინისას, არ ვუყვარვარ და არც შემიყვარებს».

ტურინმა ფინდულიასისგან შეიტყო, რაც მოხდა და განრისხდა. გუინდორს უთხრა: «ჩემი ხსნისა და დაცვისთვის მიყვარხარ, მეგობარო, მაგრამ ახლა ცუდი დამმართე და მიღალატე. ჩემი ნამდვილი სახელი გაამხილე და წყევლას დამატებ თავს».

ხოლო გუინდორმა მიუგო: «სახელი კი არა, თავად შენა ხარ წყეული».

როცა ოროდრეთმა შეიტყო, მორმეგილი სინამდვილეში ჰურინ თალიონის ძე ყოფილაო, ღირსეული პატივი მიაგო მას და ტურინი ნარგოთრონდელთა შორის ფრიად გამოჩენილი შეიქნა. თუმცა ტურინს არ მოსწონდა, ნარგოთრონდელნი ომს როგორც აწარმოებდნენ. ჩასაფრებას, მალვასა და უჩინრად ისრის

სროლას მას მტერთან პირისპირ შებრძოლება ერჩივნა. მის შეგონებას მეფემაც ყური დაუგდო. იმხანად ნარგოთრონდელი ელფები მალვას შეეშვნენ და ღია ბრძოლაზე გადავიდნენ. დიდძალი იარაღი დამზადდა. ტურინის რჩევით, ნოლდორებმა მდინარე ნაროგზე ფელაგუნდის კარიბჭემდე ხიდი გადეს, რათა საომარი საქურველი უფრო სწრაფად ეზიდათ. მდინარე ნაროგიდან მდინარე სირიონამდე აღმოსავლეთით და დასავლეთით ნენინგამდე და გაუდაბურებულ ფალასამდე მდებარე მიწები ანგბანდის მსახურებისგან გაწმინდეს. გუინდორი მეფეს უჩიჩინებდა, ტურინის რჩევებს ნუ უსმენთ, კარგს არაფერს მოგიტანთო, მაგრამ მას აღარავინ მიიჩნევდა მოსმენის ღირსად, რამეთუ ტყვეობას დაუძღურებინა გუინდორი და ბრძოლის ველზე აღარ მიიჩქაროდა. ამგვარად, ნარგოთრონდი მძულვარე და მრისხანე მორგოთის სამიზნედ იქცა. თუმცა, ტურინის თხოვნით, მის ნამდვილ სახელს არავინ ამხელდა და, მართალია, მის საგმირო საქმეთა შესახებ მოარულმა ხმებმა დორიათში მეფე თინგოლამდეც მიაღწია, მაგრამ ამ ცნობებში უცნობი გმირი ნარგოთრონდის შავ ხმლად მოიხსენიებოდა.

მორმეგილის საგმირო საქმეების წყალობით, მორგოთი სირიონის დასავლეთით შეაჩერეს და მცირე ხნით შვებით ამოისუნთქეს ნოლდორებმა და იმედი მიეცათ. სწორედ მაშინ მორუენი თავის ასულთან, ნიენოროთან ერთად დორ-ლომინიდან გაიქცა და თინგოლის სასახლისკენ მიმავალ გრძელ გზას დაადგა. იქ მისულმა სამწუხარო ამბავი შეიტყო, ტურინი წასულიყო და მასზე აღარაფერი სმენოდათ მას შემდეგ, რაც დრაკონის მუზარადი სირიონის დასავლეთით მდებარე მიწებიდან გაუჩინარდა. მორუენი და ნიენორი თინგოლმა და მელიანმა პატივით მიიღეს და თავისთან დაიტოვეს.

მთვარის პირველი ამოსვლიდან ოთხასოთხმოცდამეთხუთმეტე წლის გაზაფხულზე ნარგოთრონდში ორი ელფი მივიდა, გელმირი და არმინასი. ანგროდის ქვეშევრდომნი იყვნენ ისინი, მაგრამ დაგორ ბრაგოლახის შემდეგ სამხრეთში კირდან ხომალდმშენებელთან დასახლებულიყვნენ. შორეული მოგზაურობიდან ახალი ცნობები მოიტანეს, ერედ უეთრინის ძირას და სირიონის ვიწრობში ორკებისა და ავი ქმნილებების დიდი ლაშქარი იკრიბებაო. ისიც აუწყეს თინგოლს, კირდანს ულმო ეახლა და გააფრთხილა, ნარგოთრონდს საფრთხე უახლოვდებაო.

«ეს არის წყალთა მეუფის მიერ კირდან ხომალდმშენებლისთვის თქმული სიტყვები: ბოროტებამ ჩრდილოეთისა წაბილწა სათავე სირიონის და ძალაუფლება ჩემი თანდათან მცირდება მის წყალთა შინა. უარესი წინ გელოდებათ. მაშ, გადაეცით მმართველს ნარგოთრონდის: დაახშოს კარნი თვისი სიმაგრისა და ნუ გავა გარეთ. ჩაყარეთ საამაყონი ლოდნი თქვენნი ხმაურიან მდინარეში, რათა მცოცავმა ბოროტებამ ვერ მიაგნოს კარიბჭეს». – უთხრეს ელფებმა მეფეს.

ოროდრეთი შეაშფოთა მაცნეთა ბნელმა სიტყვებმა, მაგრამ ტურინმა მათ რჩევას ყური არ დაუგდო, არასდილებით არ სურდა ქვის დიდი ხიდის დანგრევა; რამეთუ ამჰარტავანი და ჯიუტი გამხდარიყო და მუდამ იმას ცდილობდა, თავისი გაეტანა.

მალე ბრეთილს ორკები შეესივნენ, მათ ჰანდირმა გაუმართა ბრძოლა და ბრძოლის ველზე დაეცა; ბრეთილელები დამარცხდნენ და ტყის სიღრეში უკუიქცნენ. იმავე წლის შემოდგომაზე მორგოთმა ნაროგის მხარეში გაგზავნა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომელსაც დიდხანს ამზადებდა. ურულოკე გლაურუნგმა ანფაუგლითი გადმოიარა, სირიონის ჩრდილოეთ ხეობებში შეიჭრა და მრავალი ბოროტება მოიმოქმედა. ერედ უეთრინის ჩრდილქვეშ ეითელ ივრინი წაბილწა. იქიდან გლაურუნგმა ნარგოთრონდის სამეფოში გადაინაცვლა და ნაროგსა და ტეიგლინს შუა, ტალათ დირნენი, დაცული ვაკე გადაბუგა.

მაშინ ნარგოთრონდელი გამოვიდნენ საბრძოლველად. ამაყად და მრისხანედ მიაბიჯებდა ტურინი ოროდრეთის მხარმარჯვნივ და მხნეობას მატებდა მისი ხილვა მეომრებს. თუმცა, უფრო დიდი აღმოჩნდა მორგოთის ლაშქარი, ვიდრე მსტოვრებმა დათვალეს და ჯუჯისნიღბიანი ტურინის გარდა, ვერავინ უძლებდა გლაურუნგის მოახლოებას. უკუიქცნენ ელფები, გინგლითსა და ნაროგს შორის, ტუმჰალადის მინდორზე მიიმწყვდიეს ისინი ორკებმა. ნარგოთრონდის მთელი ლაშქარი გაჟლიტეს, ოროდრეთი დაეცა, ხოლო გუინდორ გუილინის ძე სასიკვდილოდ დაიჭრა. მას ტურინი მიეშველა, ხელში აიტაცა, ბრძოლის ველიდან გაიყვანა და ტყეში ბალახზე დაასვენა. მისი შეჩერება ვერც ერთმა ორკმა ვერ გაბედა.

მაშინ გუინდორმა უთხრა ტურინს: «ორკთა ხელიდან დახსნისთვის იმავეთი მომიგე! უბედურების მომტანი აღმოჩნდა ჩემი ქმედება, ხოლო შენი – ამაო. ჩემი ჭრილობები ვერ შეხორცდება. უნდა დავტოვო შუახმელეთი. მიყვარხარ, ჰურინის ძევ, მაგრამ ვწყევლი იმ დღეს, როცა ტყვეობიდან გაგათავისუფლეს. შენი ქედმაღლობა და სიჯიუტე რომ არა, არც სიცოცხლესა და არც სიყვარულს არ დაკვარგავდი და ნარგოთრონდიც კიდევ ცოტა ხანს გაძლებდა! ახლა კი, თუ გიყვარვარ, დამტოვე! გასწი ნარგოთრონდში და ფინდუილასი გადაარჩინე. დასასრულს ამას გეტყვი: მხოლოდ ისა დგას შენსა და შენს წყევლას შორის. თუ ფინდუილასს ვერ უშველი, მაშინ წყევლას ვერსად გაექვევი. მშვიდობით!»

ნარგოთრონდისკენ გაუშურა ტურინი, თან, გზადაგზა დევნილ ელფებს კრებდა. შემოდგომა ცივ ზამთარს უთმობდა ადგილს. ძლიერი ქარი ხეთა ტოტებს ძარცვავდა. დრაკონმა გლაურუნგმა და ორკების ლაშქარმა დაასწრეს ტურინს. მოულოდნელად გამოჩნდნენ ისინი ნარგოთრონდის კარიბჭესთან. სიმაგრის დამცველებამდე ჯერ არ მიეტანათ ტუმჰალადის მინდორზე მარცხის ამბავი. ახლა კი ინანეს ნაროგზე ხიდის გადება, რამეთუ დიდი და მტკიცე იყო ის და უცბად დანგრევა ვერ მოახერხეს, მტერი ღრმა მდინარეზე სწრაფად გადმოვიდა. გლაურუნ-

გმა ფელაგუნდის კარიბჭეს მხურვალე ცეცხლი შეაფრქვია, ჩამოაგდო ის და შიგნით შევიდა.

როცა ტურიანი მოვიდა, ნარგოთრონდის ნგრევა უკვე დასრულებულიყო. სიმაგრის დამცველები ორკებს დაეხოცათ თუ დაეტყვევებინათ და ახლა დიდ დარბაზებსა და პალატებს ძარცვავდნენ; ქალები და ქალწულები, რომლებიც ხანძარსა და სიკვდილს გადარჩენოდნენ, კარიბჭის წინ შეეგროვებინათ, რათა მონებად გაერეკათ ანგბანდში. სწორედ ამ ნგრევისა და უბედურების ჟამს გამოჩნდა ტურიანი და ვერავინ აღუდგა წინ. ხიდი გადაირა მან და ტყვეებამდე ბრძოლით გაიკაფა გზა.

მარტო იდგა ის, რადგან მცირერიცხოვან რაზმს, მას რომ მოჰყვებოდა, გაქცევით ეშველა თავისთვის. სიმაგრიდან გლაურუნგი გამოვიდა და ტურიანის ზურგს უკან, მასა და ხიდს შორის გაწვა. უცებ მასში ჩაბუღებულმა ავმა სულმა დაილაპარაკა: «სალამი, ძეო ჰურიანისა, აი, ჩვენც შევხვდით!»

მისკენ გადახტა ტურიანი და გურთანგის პირი აღისფრად აელვარდა; გლაურუნგი არ შედრკა, ფართოდ გაახილა გველისებრი თვალები და ტურიანს მიაჩერდა. უშიშრად ჩახედა ტურიანმა თვალებში და ხმალი შემართა. თუმცა, დრაკონის მახვილმა მზერამ მყისვე მონუსხა და ისიც გაშეშდა. ნარგოთრონდის კარიბჭის წინ პირისპირ იდგნენ დრაკონი და ტურიანი და ერთმანეთს მღუმარედ უყურებდნენ. ბოლოს, გლაურუნგმა ამოიღო ხმა და ტურიანს დასცინა: «უკეთურ იყვნენ გზანი შენნი, ძეო ჰურიანისა, უმაღურო შვილობილო, ავაზაკო, მკვლელი მეგობრისა, მომპარავო სიყვარულისა, მიმთვისებულო ნარგოთრონდისა, უგუნურო სარდალო და ნათესავთა მიმტოვებულო. ვითარცა მონანი, სიდატაკესა და გაჭირვებაში ცხოვრობენ დედა შენი და და შენი ღორ-ლომინს შინა. შენ უფლისწულივით შემოსილხარ, იმათ ძონძები აცვიათ; იმათ შენი ბედი აღარდებთ, მაგრამ შენ მათი არ განაღვლებს. რარიგ გაიხარებს მამა შენი, როცა შეიტყობს, ასეთი ძე ჰყოლია».

მოკალოებულმა ტურინმა გლაურუნგის სიტყვები შეისმინა და იხილა თავისი ანარეკლი, ღვარძლისგან დამახინჯებული, და შესძულდა ნანახი.

ვიდრე დრაკონის მზერისგან გაშეშებული იდგა ტურინი და ვერ ინძრეოდა, ორკებმა ტყვეები წინ გაირეკეს. ტურინს გვერდით ჩაუარეს და ხიდზე გადავიდნენ. მათ შორის იყო ფინდულიასი, რომელმაც ტურინს დაუძახა; თუმცა, გლაურუნგმა ტურინი მხოლოდ მაშინ გაათავისუფლა, როცა ფინდულიასის ტირილი და ძახილი ჩრდილოეთის გზაზე შემდგარი ტყვეების ოხვრა-კვნესაში ჩაიძირა. მას შემდეგ გამუდმებით ჩაესმოდა ტურინს ფინდულიასის შესაბრალისი ძახილი და ეს ტანჯავდა.

გლაურუნგმა მზერა მოსწყვიტა ტურინს და დაიცადა. ტურინი ნელა შეირხა, თითქოს საზარელი სიზმრიდან გამოფხიზლდაო. შემდეგ გონს მოეგო და ღრიალით ეცა დრაკონს, თუმცა გლაურუნგმა დამცინავად უთხრა: «უკეთუ სიკვდილი გნებავს, მოგკლავ სიხარულით! თუმცა შენი სიკვდილით მორუენსა და ნიენორს რას უშველი? ელფი ქალის ძახილი ყურად არ იღე. ნუთუ სისხლით ნათესავთაც არად ჩააგდებ?»

პასუხად ტურინმა დრაკონს ხმალი თვალებშუა გაუქანა. მაშინ უკან დაიხია გლაურუნგმა, წამოიძარტა და ზემოდან დააცქერდა მას.

«არა! ჭეშმარიტად მამაცი ყოფილხარ! შენსავით მამაცი არავინ შემხვედრია. ტყუიან ისინი, რომელნიც ამბობენ, თითქოს ჩვენ მტერთა ჩვენთა პატივს არ ვცემდეთ. მაშ, მომისმინე! თავისუფლებას გთავაზობ. გასწი შენს ნათესავებთან და უშველე მათ, უკეთუ შეძლებ! წადი! უარს ნუ იტყვი ამ ძღვენზე!»

დრაკონის მზერით თავბრუდახვეულმა ტურინმა ირწმუნა გლაურუნგის სიტყვები, მიტრიალდა და ხიდისკენ გაიქცა. გლაურუნგმა უკნიდან ავად მიაძახა: «გაეშურე დორ-ლომინისკენ, ძეო ჰურინისა, თორემ ისევ ორკები დაგასწრებენ! ხოლო თუ ფინდულიასის გამო შეყოვნდები, ვეღარასოდეს იხილავ მორუენსა და საერთოდ ვერ ნახავ ნიენორს, დას შენსას; და დაგწყევლიან ისინი შენ!»

როცა ტურიანი თვალს მიეფარა, კიდეც ერთხელ ჩაიცინა გლაურუნგმა, რამეთუ მეუფის დავალება ადასრულა. შემდეგ კმაყოფილმა ცეცხლი ამოანთხია და თავის გარშემო ყველაფერი გადაწვა; ხოლო ორკები ნარგოთრონიდისგან გარეკა, რათა თავად დაუფლებოდა მთელ მის სიმიდირეს. ნარგის ხიდი დაანგრია და ნანგრევები მდინარეში ჩაყარა. როგორც კი თავი უსაფრთხოდ დაიგულა, ფელაგუნდის განძი უღრმეს დარბაზში დაახვავა და თვითონ ზედ გაწვა დასასვენებლად.

ხოლო ტურიანი ჩრდილოეთისკენ მიიჩქაროდა, ნაროგსა და ტეიგლინს შორის მდებარე აოხრებულ მიწებს უკან იტოვებდა, წინიდან კი ზამთარი უახლოვდებოდა, რამეთუ იმ წელს ნაადრევად, შემოდგომაზე მოთოვა. გზაში ეჩვენებოდა, რომ ტყე-ღრეებიდან ფინდუილასის ძახილი ესმოდა და ძლიერ იტანჯებოდა. თუმცა, გლაურუნგის სიტყვებით გულადულებული, მუდამ ორკთა მიერ მორუენისა და ნიენორის წამებასა და ჰურიანის სახლის დაწვას წარმოიდგენდა და გზიდან არ უხვევდა.

დაბოლოს, სწრაფი სვლითა და გრძელი გზით გადაქანცული (ორმაც ეჯზე მეტი იარა შეუსვენებლად) მიადგა ივრინის ტბას, სადაც ოდესღაც სიგიჟისგან განიკურნა. თუმცა, ტბა გაყინული იყო და მისი წყალი ვეღარ დალია. შემდეგ გაჭირვებით გადალახა დათოვლილი უღელტეხილები და სამშობლოში დაბრუნდა. დორ-ლომინი ცარიელი და გაპართახებული დახვდა; მორუენი წასულიყო. სახლი ცარიელი, დანგრეული და ცივი იყო. ახლომანლო სულიერი არ ცხოვრობდა. მაშინ ტურიანი აღმოსავლელ ბროდას მიადგა, მას, ვისაც ჰურიანის ნათესავი აერინი ჰყავდა ცოლად. იქ მოხუცი მსახურისგან შეიტყო, მორუენი დორ-ლომინიდან ნიენორთან ერთად გაქცეულა, მაგრამ სად, მხოლოდ აერინმა იცისო.

მაგიდასთან მჯდარ ბროდას დაადგა თავზე ტურიანი და ხმალი იმიშვლა, მკაცრად მოითხოვა, მითხარი, მორუენი სად წავიდაო. აერინმა უპასუხა, დორიათში შვილის მოსაძებნადო. «მაშინ სამხრეთელი შავი ხმლის წყალობით გზები ავისაგან თავისუფალი იყო», – თქვა აერინმა.

მაშინდა აეხილა თვალეები ტურინს და მიხვდა, რომ გლაურუნგმა გააცურა. ამით განრისხებულსა და მორუენის მჩაგვრელებზე გაჯავრებულს, სიშმაგე მოერია და მისსავე დარბაზში განგმირა ბროდა და მასთან სტუმრად მყოფი სხვა აღმოსავლელინი. შემდეგ ტყეს შუაფარა თავი. მას ჰადორის ხალხი დაეხმარა და ტურინი დორ-ლომინის სამხრეთ მთებში მდებარე განდევნილთა თავშესაფარში მიიყვანეს. იქიდან სირიონის ხეობაში გადავიდა და კვლავ დატოვა ქვეყანა, სადაც ბავშვობა გაატარა. ძლიერ გულნატკენი იყო, რამეთუ მხოლოდ უფრო მეტი უბედურება მოუტანა დორ-ლომინს და მისმა წასვლამ იქაურნი გაახარა. ერთადერთი რამ ანუგეშებდა: შავი ხმლის შეუპოვრობის მეშვეობით მორუენს ღორიათისკენ

გახსნოდა გზა. გულში გაიფიქრა: «მაშ, იმ საქმეებს ყველასთვის არ მოუტანია ავი. უკეთეს ადგილას სად წავიყვანდი ჩემს ნათესავთ, თუნდაც უფრო ადრე მოვსულიყავი? რადგან, თუ მელიანის სარტყელს დაარღვევენ, უკანასკნელი იმედიც გაქრება. არა, დაე, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის; რამეთუ სადაც მივალ, წყვდიადი თანა მდევს. მათ მელიანი დაიცავს! დაე, ცოტა ხანს მშვიდობაში იცხოვრონ!»

ერედ უეთრინიდან დაშვებული ტურინი ამაოდ ეძებდა ფინდულიასს, მთისძირა ტყეებში ნადირივით დაძრწოდა. ჩრდილოეთით სირიონის ვიწრობისკენ მიმავალი ყველა გზა გამოიკვლია, მაგრამ დაიგვიანა; ორკთა კვალი დაძველებულიყო ან ზამთარს წაეშალა. ერთ დღეს ტეიგლინის სამხრეთით ტურინი ორკების ალყაში მოქცეულ ბრეთილელთა მცირე რაზმს გადააწყდა. ორკები გურთანგის დანახვაზე უკანმოუხედავად გაიქცნენ. ტურინი ბრეთილელებს ტყიურის სახელით გაეცნო და მათ სთხოვეს, ჩვენთან დასახლდით. ტურინმა უთხრა, ჯერ ფინდულიასი უნდა დავიხსნა, ოროდრეთ ნარგოთრონდელის ასულიო. მაშინ ბრეთილელთა წინამძღოლმა, დორლასმა ფინდულიასის სიკვდილის საზარელი ამბავი აუწყა. ბრეთილელები ორკებს ტეიგლინის გადასალახთან ჩასაფრებოდნენ, რათა ნარგოთრონდელი ტყვეები დაეხსნათ, მაგრამ ორკებს შეპყრობილნი სასტიკად დაეხოცათ, ხოლო ფინდულიასი შუ-

ბით ხეზე მიელურსმათ. სიკვდილის წინ ეს სიტყვები ეთქვა: «უთხარით მორმეგილს, რომ ფინდუილასი აქ არის». იგი იმ ხის ახლოს დაეკრძალათ და მისი ყორღანისთვის ჰაუდ-ენ-ელეთი, ელფი ქალწულის გორასამარხი ეწოდებინათ.

ტურინმა სთხოვა მათ ყორღანთან მიეყვანათ და იქ უგონოდ ჩაიკეცა. მაშინ დორღასი სახელგანთქმულმა შავმა ხმალმა და ტურინის მიერ მეფის ასულის ძიებამ მიახვედრა, რომ ტყიური სინამდვილეში მორმეგილ ნარგოთრონდელი იყო, ის, ვისზეც ხმები დადიოდა, ჰურინ დორლომინელის ძე არისო. საკაცით წაიღეს მისი უგონო სხეული ამონ ებელზე მდებარე ეფელ ბრანდირში. ხშირი ომიანობისგან შემცირებულ ჰალეთის ხალხს ახლა ბრანდირი, ძე ჰანდირისა, განაგებდა. მშვიდობისმოყვარული კაცი იყო იგი, ბავშვობიდან კოჭლი, ჩრდილოეთთან ღიად დაპირისპირებას მალული ბრძოლა ერჩივნა. როცა ტურინი მიიყვანეს და დორღასმა ცული ამბები აუწყა, ავი წინათგრძნობა დაეუფლა, მაგრამ მაინც შეეცოდა უბედური მეომარი, თავის სახლში შეიფარა და უმკურნალა. გაზაფხულზე ტურინმა გულიდან წყვდიადი გადაიყარა და გამოჯანმრთელდა. ახალი სახელი დაირქვა, ტურამბარი, რაც უზენაეს ელფთა ენაზე ბედისწერის მბრძანებელს ნიშნავს. ტყის მკვიდრთ სთხოვა, დაივიწყეთ, რომ უცხოელი ვარ ან უწინ სხვა სახელი მერქვაო. ომზე ხელი საბოლოოდ არ აუღია. ვერ დაუშვებდა, რომ ორკნი ტეიგლინის გადასალახსა და ჰაუდ-ენ-ელეთს მიახლოებოდნენ. ორკები მისი შიშით იმ ადგილს ახლოს არ ეკარებოდნენ. თუმცა, ტურინმა შავი ხმალი გვერდზე გადადო და ორკებზე მშვილდითა და შუბით ნადირობდა.

ნარგოთრონდის ნგრევასა და ძარცვას გამოქცეულმა და სასტიკ ზამთარს გადარჩენილმა დევნილებმა დორიათის საზღვრებამდე მიაღწიეს და თავშესაფარი ითხოვეს. საზღვრის დამცველებმა ისინი მეფე თინგოლთან მიიყვანეს. დევნილებმა საშინელი მარცხის შესახებ აუწყეს მეფეს. ზოგი იძახდა, მტერმა ჩრდილოეთით დაიხიაო, სხვანი ამტკიცებდნენ, გლაურუნგმა ფელაგუნდის დარბაზში დაიდო ბინაო.

ერთნი ამბობდნენ, მორმეგილი მოკლესო, მეორენი ირწმუნებოდნენ, დრაკონმა მოაჯადოვა და გაქვავებული ახლაც იქ დგასო. თუმცა, ყველა ერთხმად იმეორებდა, ნარგოთრონდში ყველამ იცოდა, რომ მორმეგილი სხვა არავინ იყო, თუ არა ტურიანი, ძე ჰურიან დორლომინელისაო.

მაშინ დამწუხრებულმა მორუენმა მელიანის რჩევა არ შეისმინა და ვაჟის მოსაძებნად ან მასზე ნამდვილი ცნობების შესატყობად გაემართა. თინგოლმა მორუენის მოსაძებნად და დასაცავად მაბლუნგის მეთაურობით მრავალი გამოცდილი საზღვრის დამცველი გაგზავნა; ხოლო ნიენორს მენეგროთის დატოვება აუკრძალეს. თუმცა, წინაპართა სიმამაცე გადასცემოდა ნიენორს. იფიქრა მან, თავის ასულს საფრთხეში ჩავარდნილს რომ ნახავს, მორუენი დორიათში დაბრუნებას მოინდომებსო და თინგოლის მეომარივით გადაცმული ავბედით გზას დაადგა.

სირიონის ნაპირებთან დაეწივნენ მორუენს. მაბლუნგმა ქალს მენეგროთში დაბრუნება სთხოვა, მაგრამ ვერ დაითანხმა. ამასობაში გაირკვა, რომ მაბლუნგის რაზმს ნიენორიც გამოჰყოლოდა, მაგრამ მიუხედავად მორუენის ბრძანებისა, მან შინ წასვლაზე უარი განაცხადა. მაშინ მაბლუნგმა ძალით გადაიყვანა ისინი სირიონს გადაღმა და სამდღიანი მგზავრობის შემდეგ ამონ ეთირს, მსტოვართა ბორცვს მიადგნენ. ეს ბორცვი დიდი ხნის წინ აღემართა ფინროდ ფელაგუნდს, ნარგოთრონდის კარიბჭიდან ერთი ეჯის მოშორებით. მაბლუნგმა მორუენსა და მის ქალიშვილს მხედრები მიუჩინა მცველებად და ფეხის მოცვლა აუკრძალა. ხოლო თავად ბორცვიდან გადაიხედა და, რა დარწმუნდა, რომ მტრის ნიშანწყალი არსად ჩანდა, მზვერავებთან ერთად პარვით დაეშვა მდინარე ნაროგისკენ.

თუმცა, გლაურუნგმა შეიტყო მათი მოახლოების შესახებ და, რისხვით ანთებული, ნარგოთრონდიდან გამოვიდა და მდინარეში ჩაწვა. მყრალი ოხშივარი აიჭრა ცაში და სქელ ბურუსში დაიკარგნენ მაბლუნგი და მისი მხედრები. ხოლო გლაურუნგი ნაროგის აღმოსავლეთ ნაპირზე გადავიდა.

ამონ ეთირისკენ მომავალი დრაკონი რომ დაინახეს, გუშაგებმა მორუენისა და ნიენორის აღმოსავლეთში დაბრუნება მოინდომეს, მაგრამ დრაკონის ფრთების ცემამ თან მომწამვლელი ნისლი მოიყოლა, დრაკონის სიმყრალემ კი მათი ცხენები გააფიცხა. აქეთ-იქით მიმოიფანტნენ დაუმორჩილებელი ცხენები, ზოგიერთი მხედარი ჩამოვარდა და გადათელეს, ზოგი შორს წარიტაცა მისმა რაშმა. ასე დაიკარგნენ დორლომინელი ქალბატონები. მორუენის შესახებ დორიათში აღარაფერი შეუტყვიათ. ხოლო ნიენორი ცხენიდან ჩამოვარდა, მაგრამ არ დაშავებულა და ამონ ეთირზე დაბრუნდა, რათა იქ მაბლუნგს დალოდებოდა. როცა ბორცვის თხემზე ავიდა და ნისლიდან მზის შუქზე გააღწია, მისი მზერა გლაურუნგინისას შეეჩეხა. დრაკონს თავი ბორცვზე ჩამოედო.

კარგა ხანს ეურჩებოდა ნიენორი დრაკონის მომწუსხველ მზერას, მაგრამ ბოლოს ძლეული იქნა. გლაურუნგმა შეიტყო მისი ვინაობა და სრულებით დაუბინდა გონება, დაავიწყა, ვინ იყო ან რა გადახდენოდა თავს. იმდენად ძლიერი იყო ჯადო, რომ მრავალ დღეს ვედარ გაინძრეოდა ნიენორი, ვერაფერს გაიგონებდა და ვერაფერს დაინახავდა. შემდეგ გლაურუნგმა ამონ ეთირზე უულად მდგარი დატოვა იგი, თავად კი ნარგოთრონდში დაბრუნდა.

ვიდრე გლაურუნგი გასული იყო, მაბლუნგს ფელაგუნდის დარბაზების გამოკვლევა გაებდა, მაგრამ დრაკონის მოახლოების ხმა რომ გაიგონა, მყისვე გამოიპარა და ამონ ეთირზე დაბრუნდა. მზე უკვე ჩასულიყო და დამდებოდა, როცა ბორცვის თხემზე ავიდა. იქ არავინ დახვდა, გარდა ნიენორისა, რომელიც ქანდაკებასავით იდგა ვარსკვლავთა ქვეშ. ხმას არ იღებდა და არც არაფერი ესმოდა, მხოლოდ თან დაჰყვებოდა, თუკი ხელს მოჰკიდებდა. დაღონებული გაუძღვა მას წინ, თუმც კი, ფიქრობდა, სრულიად მარტონი, ამ უღრანში დასაღუპად განწირულნი ვართო.

საბედნიეროდ, ისინი მაბლუნგის სამმა თანამებრძოლმა იპოვა. მდინარე სირიონზე ერთად გადავიდნენ და ნელა გაუდგნენ გზას ჩრდილო-აღმოსავლეთით, დორიათის საზღვრებისა და სირიონისა და ეს-

გალღუინის შესართავთან გადებული დაცული ხიდისკენ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ დორიას, ნიენორს ძალ-ღონე ემატებოდა, მაგრამ ჯერაც ვერ ლაპარაკობდა და არაფერი ესმოდა, ბრმად მიდიოდა, სა-ითაც წაიყვანდნენ. დაბოლოს, როცა საზღვარს მიაღწენ, თვალეები და-ხუჭა ნიენორმა და დაეძინა. თანამგზავრებმა ბალახზე დააწვინეს იგი და, გადაქანცულები, თვითონაც დასასვენებლად ჩამოსხდნენ. მათ დო-რიასის საზღვრებთან მოთარეშე, გამბედავ ორკთა ხროვა დაეცა თავს. სწორედ ამ დროს დაუბრუნდა ნიენორს მხედველობა და სმენა, ორკთა დრიასის გაგონებაზე შეძრწუნებული წამოხტა და გაიქცა, ვიდრე და-იჭერდნენ.

ორკები მას გაეკიდნენ, ხოლო ორკებს – ელფები, დაეწივნენ მათ და დახოცეს, მაგრამ ნიენორი არ გაჩერებულა. შიშისგან შეშლილი ირემი-ვით სწრაფად მირბოდა; სირბილისას ტანსაცმელი შემოეხია და სრუ-ლიად მიშველი დარჩა; მალე თვალს მიეფარა. დიდხანს ამაოდ ეძებ-დნენ ნიენორს ელფები. დაღონებული მახლუნგი მენეგროთში დაბრუნ-და და მეფეს მოახსენა, რაც მოხდა. დამწუხრდნენ თინგოლი და მელი-ანი; ხოლო მახლუნგი კვლავ დაკარგული მორუენისა და ნიენორის მო-საძებნად გაემართა, მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნო.

ნიენორი ტყეში გარბოდა, ვიდრე დაიღლებოდა. შემდეგ ძალა გა-მოეცალა, წაიქცა და დაეძინა. როცა გაიღვიძა, უკვე დილა იყო. დღის შუქმა ისე გაახარა ნიენორი, თითქოს პირველად ხედავდა; ყველაფერი რასაც უცქერდა, ახალი და უცხო იყო მისთვის, რამეთუ მათი სახელები დავიწყებოდა. აღარაფერი ახსოვდა, გარდა განცდილი შიშისა და წყვდიადისა, რომელიც წარსულში დარჩა. მონადირეთაგან დევნილი მხეცივით ფრთხილად დაიპარებოდა ტყეში და დაიმბა, რამეთუ საჭმე-ლი არ ჰქონდა და არც ის იცოდა, როგორ მოეპოვებინა. ბოლოს ტეიგლი-ნის გადასალახს მიადგა, მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდა და ბრე-თილის დიდ ხეებს შეაფარა თავი, შეშინებულს ასე ეგონა, წყვდიადი, რომელსაც გამოვექეცი, უკან მომდევს და დამეწევას.

ეს ქარიშხალი მოიწევდა სამხრეთიდან. ჭექა-ქუხილით შეძრწუნებული ნიენორი ჰაუდ-ენ-ელეთის ყორღანზე დაეცა და ყურებზე ხელები აიფარა; წვიმამ დაასველა და გალუმპა იგი, მომაკვდავი ნადირივით ცანცახებდა. ასე იპოვა ტურამბარმა, რომელსაც ახლომახლო მოთარეშე ორკების შესახებ შეეტყო და ტეიგლინის გადასალახთან ჩასაფრებულიყო. გაელვებისას ფინდულიასის ყორღანზე მწოლიარე ნიენორის

სხეულს მოჰკრა მან თვალი და ეგონა, მშვენიერი ქალწული მოუკლავთო. მისმა თანამგზავრებმა ასწიეს უგონო ნიენორი, ტურინმა მოსასხამი გადააფარა და ახლომდებარე საცხოვრისში წაიყვანეს. იქ აჭამეს და გაათბეს ნიენორი და, როცა ქალწულმა ტურამბარს შეავლო თვალი, დამშვიდდა, იფიქრა, როგორც იქნა, ვიპოვე ის, რასაც წყვდიადში ვეძებდიო. სამუდამოდ მასთან დარჩენა მოუნდა. ხოლო როცა ტურამბარმა ჰკითხა, რა გვარისა ხარ, რა გქვია, ან რა შეგემთხვაო, დაიბნა ბავშვივით, რომელიც ვერ ხვდება, რას ეკითხებიან და არ იცის, რა უპასუხოს. ატირდა ნიენორი. მაშინ ტურამბარმა უთხრა: «ნუ ღელავ. სხვა დროს მომიყვები. მანამდე მე შეგარქმევ სახელს და გიწოდებ ნინიელს, ატირებულ ქალწულს. ამ სახელის გაგონებაზე ნიენორმა თავი დააქნია და გაიბეორა: «ნინიელი». ეს იყო პირველი სიტყვა, რომელიც მან უგონობის წყვდიადიდან გამოსვლის შემდეგ წარმოთქვა და ამ სახელს უწოდებდნენ ბრეთილის ტყის მკვიდრნი.

მეორე დღეს ეფელ ბრანდირისკენ გაუძღვნენ მას, მაგრამ როცა მიადგნენ დიმროსტს, წვიმიან კიბეს, საიდანაც მდინარე კელებროსის ნაკადი ტეიგლინისკენ ვარდებოდა, აკანკალდა ნიენორი. მას შემდეგ იმ ადგილს ნენ გირითი, აცახცახებული წყალი უწოდეს. ამონ ობელს, ბრეთილელთა სამოსახლოს რომ მიაღწიეს, ნიენორს უკვე ციებ-ცხელება შეჰყროდა. ლოგინად ჩავარდნილს, ბრეთილელი ქალები უვლიდნენ. ჩვილივით სწავლობდა მათგან მეტყველებას. ბრანდირმა უმკურნალა მას. შემოდგომაზე უკვე ფეხზე იდგა და ლაპარაკობდა. თუმცა, არაფერი ახსოვდა იმ დღემდე, როცა ტურამბარმა ჰაუდ-ენ-ელეთის ყორღანზე

იპოვა. ბრანდირს შეუყვარდა ნინიელი, მაგრამ თავად ნინიელს მთელი გული ტურამბარისთვის მიეძღვნა.

იმხანად ბრეთილელებს ორკები არ აწუხებდნენ და არც ტურამბარი მიდიოდა საომრად. ტყეში მშვიდობამ დაისადგურა. ტურამბარსაც შეუყვარდა ნინიელი და ცოლობა სთხოვა. ხოლო ნინიელი თანხმობის თქმას არ ჩქარობდა. რატომღაც ბრანდირს გული ცუდს უგრძნობდა და აფერხებდა ნინიელს, მისივე კეთილდღეობისთვის და არა ტურამბართან პირადი მტრობის გამო. ბრანდირმა ნინიელს გაუმხილა, სინამდვილეში ტურამბარი ტურინ ჰურიინის ძე არისო; და მართალია, უცხო იყო მისთვის ეს სახელი, ნინიელი მაინც შეშფოთდა.

გამოხდა სამი წელი ნარგოთრონდის დანგრევიდან და ტურამბარმა მეორედაც სთხოვა ნინიელს ცოლობა. ამჯერად აღთქმა დადო, ან ვიქორწინებ, ან კვლავ ტყე-ღრეში საომრად გავემართებიო. ნინიელი სინარულით დათანხმდა და შუა ზაფხულის დღეს იქორწინეს. ბრეთილელებმა დიდი ღხინი გამართეს. თუმცა, წლის მიწურულს გლაურუნგმა ორკები გაგზავნა ბრეთილის დასარბევად. ტურამბარი შინ უქმად იჯდა, რამეთუ ნინიელისთვის სიტყვა მიეცა, მხოლოდ მაშინ ვიომებ, თუკი მტერი ჩვენს დასახლებას დაესხმებაო თავს. ბრეთილის ტყის მკვიდრნი დამარცხდნენ და დორლასმა უსაყვედურა ტურინს, იმ ხალხს არ დაეხმარე, ვინც შეგიკედლაო. მაშინ კვლავ აიღო ტურინმა შავი ხმალი, შეკრიბა მეომრები და სრულად გაჟლიტეს ორკთა ლაშქარი. შეიტყო გლაურუნგმა, შავი ხმალი ბრეთილში ცხოვრობსო და ახალი ავაზაკობა მოიფიქრა.

იმავე წლის გაზაფხულზე ნინიელი დაორსულდა, დასევდიანდა და გაფერმკრთალდა; იმავე ჟამს ეფელ ბრანდირში ხმამ მიაღწია, გლაურუნგი ნარგოთრონდიდან გამოსულაო. მაშინ ტურამბარმა შორს გაგზავნა მზვერავები; ახლა ბრანდირის ბრძანებას ყურადღებას აღარ აქცევდა და საქმეთ ისე განაგებდა, როგორც თავად ინებებდა. ზაფხულის დამდეგს გლაურუნგი ბრეთილის საზღვრებს მიუახლოვდა და ტეიგლინის დასავლეთ ნაპირზე გაწვა. მღელვარებამ მოიცილა ბრეთილის ტყის

მკვიდრნი, ცხადი შეიქნა, გველუშაპი თავდასხმას და მათი ქვეყნის აოხრებას აპირებდა და არა მათთვის გვერდის ავლასა და ანგბანდში დაბრუნებას, როგორც ეგონათ. ტურამბარს ჰკითხეს რჩევა. ტურამბარმა უთხრა მათ, მთელი ლაშქრით მის წინააღმდეგ გასვლა არ ღირს, მხოლოდ ეშმაკობითა და იღბლის წყალობით თუ შევძლებთ მის დამარცხებასო. დანარჩენებს შესთავაზა, საზღვართან ჩასაფრებულ დრაკონს მე შევებრძოლები, ხოლო სხვები ეფელ ბრანდირში დარჩით და გასაქცევად გაემზადეთო; ვინაიდან, თუ ტურამბარი დამარცხდებოდა, გლაურუნგი ბრეთილელთა გასანადგურებლად გამოემართებოდა და მის შეჩერებას ვერავინ შეძლებდა. ხოლო თუ ბრეთილელნი მიმოიფანტებოდნენ, ბევრი გადაირჩენდა თავს, რადგან გლაურუნგი ტყეში დიდხანს არ დარჩებოდა და ისევ ნარგოთრონდში დაბრუნდებოდა.

შემდეგ ტურამბარმა იკითხა, ნებით ვინ გამომყვება გლაურუნგთან შესაბრძოლებლადო. მოხალისედ მხოლოდ დორლასი გამოვიდა. დორლასმა გაკიცხა თავისი თანამოძმეები და დასცინა ბრანდირს, ჰალეთის გვარის მემკვიდრე რა ლაჩარი ყოფილხარო. შერცხვა თავისი ხალხის წინაშე ბრანდირს და გული დასწყადა, მაგრამ მის ნაცვლად მისი ნათესავი ჰუნთორი გამოვიდა მოხალისედ. შემდეგ ტურამბარი ნინიელს დაემშვიდობა. ხოლო ნინიელს შიში და ავი წინათგრძნობა დაეუფლა. მწუხარე იყო მათი განშორება. ტურამბარი ორ თანამებრძოლთან ერთად ნენ გირითისკენ გაემართა.

იმდენად დიდი იყო შიში ნინიელისა, ვერ გაძლო ეფელში, სანამ ტურამბარის ამბავს შეიტყობდა და მის კვალდაკვალ გაემართა. თან მრავალრიცხოვანი რაზმი გაჰყვა. უფრო ძლიერ შეძრწუნდა ბრანდირი და სცადა ნინიელი და მისი თანმხლებნი გადაეწმუნებინა, მაგრამ არ მოუსმინეს. მაშინ ბრეთილელთა მმართველობასა და ხალხზე, რომელიც აბუჩად იგდებდა, უარი თქვა ბრანდირმა, ხმალი შეიბა და ნინიელის სიყვარულის ამარა დარჩენილი, მას უკან გაჰყვა. ოღონდ კოჭლობის გამო მთავარ რაზმს ჩამორჩა.

დაისზე მივიდა ტურამბარი ნენ გირითთან და იქ შეიტყო, რომ გლაურუნგი ტეიგლინის ციცაბო ნაპირებზე იყო გაწოლილი და, როგორც ჩანდა, დაღამებამდე განძრევას არ აპირებდა. კარგად ენიშნა ეს ცნობა, რამეთუ დრაკონი კაბედ-ენ-არასში ღრმა და ვიწრო ხეობაში იწვა და იმ ხეობას მონადირეთაგან ღვენილი ირემი ნახტომით გადაეკლებოდა. ტურამბარმა გადაწყვიტა დაბნელებამდე დაეცადა, სწრაფი ღინება უჩუმრად გადაელახა, საპირისპირო ნაპირამდე მიედღია და დრაკონს მიჰპაროდა.

სხვებსაც გაანდო თავისი გეგმა, მაგრამ, როცა ბნელში ტეიგლინს მიადგნენ, შედრკა დორლასი და მდინარის გადალახვა ვერ გაბედა. შერცხვენილმა უკან დაიხია და ტყეში დაიმალა. ხოლო ტურამბარი და ჰუნთორი უხიფათოდ გადავიდნენ მეორე ნაპირზე, მდინარის გრუხუნი სხვა ყოველგვარ ხმაურს ახშობდა

და მძინარე გლაურუნგს არაფერი გაუგონია. გვიან ღამით ღრიალით გაიღვიძა მან და ერთი ნაპირიდან მეორემდე ჯერ თავი და კისერი გადაიტანა და შემდეგ ტანის გადაზიდვას შეუდგა. მისმა სიმხურვალემ და სიმყრალემ ტურამბარსა და ჰუნთორს კინადამ თავბრუ დაახვია, სანამ ისინი გლაურუნგამდე მისადღწევ გზას დაეძებდნენ. უცებ ზემოდან დრაკონის ამოდრავებისას მორყეული ქვა ჩამოვარდა, ჰუნთორს თავში მოხვდა და წყალში გადააგდო. ასე აღესრულა მამაცი ჰუნთორი, ჰალეთის ხალხთაგანი.

მაშინ ტურამბარმა მთელი ძალ-ღონე და მხნეობა მოიკრიბა, კლდეზე მარტო აცოცდა და დრაკონის ქვეშ მოექცა. შემდეგ გურთანგი ძლიერად მოიქნია და გველუშაპს რბილ მუცელში ვადამდე ჩასცხო. სასიკვდილო დარტყმამ ააკივლა გლაურუნგი, სწრაფად გადასრიალდა ნაპრალზე და გადაღმა ნაპირზე კლაკნა-გრეხასა და კუდისცემას მოჰყვა. თავის გარშემო ყველაფერი მიღეწ-მოღეწა და ცეცხლის ალში გახვია. დაბოლოს, დაიშრიტა მისი ცეცხლი და გლაურუნგიც გაშუშდა.

გურთანგი გლაურუნგს მუცელში ჩარჩენოდა. ტურამბარმა კიდევ ერთხელ გადალახა მდინარე, რათა ხმალი დაებრუნებინა და მტრისთვის

დაეხედა. დრაკონი გვერდზე გადაწოლილიყო და მუცლიდან ხმლის ვა-
და ამოსჩროდა. ტურამბარმა ვადას ხელი ჩაავლო, გლაურუნგს მუცელ-
ზე ფეხი დაადგა და დამცინავად დასძახა: «სალამი, გველო მორგოთი-
სა! აი, ჩვენც შევხვდით! მოკვდი და წყვდიადში დაინთქი! ტურინმა, ძემ
ჰურინისა, შური იძია!»

როცა ხმალი ამოაძრო, დრაკონის ჭრილობიდან სისხლმა ამოხეთქა
და ხელზე შეეშხეფა. შხამმა კანი დაუწვა. მაშინ გლაურუნგმა თვალები
გაახილა და მძულვარე მზერა მიაპყრო ტურამბარს. შხამითა და დრაკო-
ნის მზერით თავბრუდახვეული ტურამბარი დაეცა და მკვდარივით გამე-
შებულმა ხმალი ქვეშ მოიყოლა.

გლაურუნგის კვილის ექომ ტყეები შემოირბინა და ნენ გირითში
მომლოდინე ხალხის ყურამდეც მიაღწია. როცა შორიდან მისგან გამოწ-
ვეულ ნგრევასა და ხანძარს მოჰკრეს თვალი, იფიქრეს, გლაურუნგს გა-
უმარჯვია და თავდამსხმელებს ანადგურებსო. ჩანჩქერის პირას ჩამოჯ-
და და აცანცახდა ნინიელი, გლაურუნგის კვილით დამფრთხალს
კვლავ გონება დაებინდა და ველარ დგებოდა.

ასეთი იპოვა იგი ბრანდირმა, რომელიც ყველაზე ბოლოს, დაქანცუ-
ლი, მილასლასდა ნენ გირითთან; როცა შეიტყო, დრაკონმა მდინარე
გადმოლახა და თავდამსხმელები დაამარცხაო, ძლიერ შეეცოდა ნინი-
ელი; ხოლო გულში გაიფიქრა: «ტურამბარი მოკვდა, ნინიელი ცოცხა-
ლია. ახლა კი ნამდვილად გამომყვება. აქაურობას გავარიღებ და დრა-
კონს გავექცევით». შემდეგ ნინიელთან მივიდა და უთხრა: «წამოდი! წას-
ვლის დროა! თუკი ინებებ, მე გაგიძღვები». – ბრანდირმა ნინიელს ხელი
მოჰკიდა, ის უხმოდ ადგა და გაჰყვა. სიბნელეში მათი წასვლა არავის და-
უნახავს.

როცა ტეიგლინის გადასალახს მიუახლოვდნენ, მთვარე ამოვიდა და
მიწაზე მკრთალი შუქი გააფინა. ნინიელმა იკითხა: «ეს არის გზა?» ხო-
ლო ბრანდირმა მიუგო, არანაირი გზა არ ვიცი, უნდა გავიქცეთ და

ტყეში დავიმალოთო, რაზეც ნინიელმა თქვა: «შავი ხმალი იყო ჩემი
ძვირფასი ქმარი. მხოლოდ მის მოსაძებნად წავალ. სხვა რამ როგორ გა-

იფიქრე?» – და ბრანდირს გაასწრო. როცა ტეიგლინის გადასალახთან მივიდა, მთვარის თეთრ შუქზე ჰაუდ-ენ-ელეთი დაინახა და შიში დაეუფლა. ყვირილით მიტრიალდა, მოსასხამი გადაიძრო და ნაპირ-ნაპირ სამხრეთით გაიქცა, მისი კაბა მთვარის შუქზე თეთრად ანათებდა.

ბრანდირმა ბორცვის ფერდობიდან დაინახა იგი და მისთვის გზის გადაჭრა მოინდომა, მაგრამ ჯერაც უკან იყო, როცა ნინიელმა კაბედ-ენ-არასამდე მიიღბინა. ქალს განგმირული დრაკონისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან გლაურუნგის გვერდით კაცი ეგდო. ტურამბართან მიიჭრა ნინიელი და ამაოდ ეძახდა. შემდეგ შეამჩნია, რომ მას დრაკონის შხამით ჰქონდა ხელი დამწვარი; დამწვრობა თავისი ცრემლებით ჩამოჰბანა და კაბის ნაგლეჯით შეუხვია. კოცნიდა და უხმობდა მას, გაიღვიძო. მაშინ უკანასკნელად შეირხა გლაურუნგი, ვიდრე მოკვდებოდა და ბოლო ამოსუნთქვას ეს სიტყვები ამოაყოლა: «სალამი, ნიენორ, ასულო ჰურინისა. უკანასკნელად ვხვდებით ერთმანეთს. გაიხარე, რამეთუ, აჰა, იპოვე ძმა შენი და ამიერიდან იცნობდე მას: ბნელში დამლახვრელს, ორგულ მეგობარს, სახიფათო მტერსა და ნათესავთა დამღუპველს, ტურინს, ჰურინის ძეს! ხოლო მის ბოროტქმედებათაგან უარესს მუცლით ატარებ!»

ამ სიტყვებით მოკვდა გლაურუნგი და მისი ჯადოთი დაბურული გონება გაუნათდა ნიენორს. გაახსენდა წარსული დღეები, ტურინს დახედა და შესძახა: «მშვიდობით, ორგზის ძვირფასო! ა ტურინ ტურამბარ ტურუნ ამბარტანენ: ბედისწერის მბრძანებლო ძლეულო ბედისწერით! ოჰ, რა ბედნიერი ხარ, რომ მოკვდი!»

ეს ყველაფერი მოისმინა წამოსწრებულმა ბრანდირმა და ნიენორისკენ გაეშურა, მაგრამ მწუხარებისგან გაგიჟებული ნიენორი გაექცა, კაბედ-ენ-არასის ნაპირთან მიიღბინა და სწრაფ და ღრმა მდინარეში გადახტა.

ბრანდირმა, თუმც სიცოცხლის სურვილი მასაც დაჰკარგოდა, ხევში გადახტომა ვერ გაბედა და შიშით უკან დაიხია. კაბედ-ენ-არასიდან მდინარეში არც ერთ სულიერს აღარ გადაუხედავს, ნადირ-ფრინველიც კი

ახლოს არ ეკარებოდა იქაურობას, არც ხე იზრდებოდა იქ. მას შემდეგ იმ ადგილს კაბედ ნაერამართი, ავბელითი ნახტომი უწოდეს.

ხოლო ბრანდირი ნენ გირითისკენ გაბრუნდა ბრეთილელეებისთვის მომხდარის საუწყებლად; ტყეში დორლასს შეხვდა და მოკლა იგი, სიცოცხლეში პირველად დაღვარა ბრანდირმა სხვისი სისხლი. ნენ გირითთან რომ გამოჩნდა, ხალხი მას მივარდა: «ნინიელი ხომ არ გინახავს? გაუჩინარდა!»

ხოლო ბრანდირმა მიუგო: «ნინიელი აღარასოდეს დაბრუნდება. დრაკონი მოკვდა. მოკვდა ტურამბარიც. და ეს კარგია».

ხალხი აჩურჩულდა, ბრანდირი გაგიჟებულაო, მაგრამ მან განაგრძო: «ბოლომდე მომისმინეთ! მშვენიერი ნინიელიც მკვდარია. სიცოცხლე აღარ სურდა და ტეიგლინში გადახტა; რამეთუ გაახსენდა, სინამდვილეში ნიენორი ყოფილა, ჰურინ დორ-ლომინელის ასული, ხოლო ტურამბარი ძმა იყო მისი, ტურინი, ძე ჰურინისა».

ბრანდირი დადუმდა. ხალხი ატირდა. და უცებ სიბნელიდან ტურინი გამოვიდა. დრაკონის სიკვდილს ჯადოსგან გაეთავისუფლებინა და ღრმად ეძინა. ახლა დამის სუსხსა და ქვეშ მოყოლილ გურთანგს შეეწუხებინა და გაღვიძებოდა. შეემჩნია, ვიღაცას მისი დამწვარი ხელისთვის ემკურნალა, მაგრამ რატომღაც მაინც ცივ მიწაზე დავარდნილი დაეტოვებინა. მის ძახილს რომ არავინ გამოეხმაურა, დახმარების მოსაძებნად წამოსულიყო, რამეთუ დაუძლურებული გახლდათ და თავს ცუდად გრძნობდა.

ხალხს ტურამბარი მშფოთვარე სული ეგონა და შიშით ყველამ უკან დაიხია. ხოლო მან თქვა: «ნუ გეშინიათ! გიხაროდენ, რამეთუ დრაკონი მკვდარია, მე კი – ცოცხალი. ჩემი რჩევა ყურად არ იღეთ და მაინც მოსულხართ, საფრთხეში თავი რად ჩაგიგდიათ? სად არის ნინიელი? მისი ნახვა მსურს. იმეღია, ისიც არ წამოგიყვანიათ!»

მაშინ ბრანდირმა მიუგო, ნინიელი წამოვიდა და თავი მოიკლაო. ხოლო დორლასის ცოლმა წამოიძახა: «არა, ბატონო, ბრანდირი გაგიჟდა.

აქ მოვიდა და ამბობდა, ტურამბარი მოკვდა და ეს კარგიაო. თუმცა შენ ცოცხალი ხარ!»

განრისხდა ტურამბარი, იფიქრა, ბრანდირმა რაც ჩაიდინა და თქვა, შურის გამო, ჩემი და ნინიელის სიყვარულზე გაბოროტებულმა ქნაო. გალანძღა ბრანდირი და ფეხმრუდი უწოდა. მაშინ ბრანდირმა უამბო ყველაფერი, რაც გაიგონა: რომ ნინიელი სინამდვილეში ნიენორი იყო, ასული ჰურიინისა და გლაურუნგის ბოლო სიტყვები გაიმეორა, ტურამბარს ნათესავთა და მოყვასთა დამღუპველი უწოდა.

გამძვინვარებულმა ტურამბარმა ბრანდირს ბრალი დასდო, ნინიელს თვითმკვლელობისკენ შენ უბიძგე და ახლა სიხარულით იმეორებ გლაურუნგის ტყუილებს, ან იქნებ ეს ტყუილები სულაც შენი მოგონილიაო. შემდეგ დაწყევლა ბრანდირი და მოკლა იგი, მის ხალხს კი ტყეში გაექცა. ცოტა ხნის შემდეგ მრისხანებამ გადაუარა და დამოშმინებული ჰაუდ-ენ-ელეთთან დაბრუნდა. ყორღანის გვერდობზე ჩამოჯდა და დაფიქრდა იმაზე, რაც კი ოდესმე ჩაედინა. ფინდუილასს შესთხოვდა რჩევას. აღარ იცოდა, რა ექნა: დორიათში ნათესავთა საპოვნელად წასულიყო თუ სამუდამოდ დაევიწყებინა ისინი და ბრძოლის ველზე სიკვდილი ეძებნა.

სწორედ ამ დროს რუხ ელფთა რაზმით მაბლუნგი მოადგა ტეიგლინის გადასალახს, იცნო ტურიინი და მისი ცოცხლად დანახვა ძალზე გაუხარდა; რამეთუ ცნობები მისვლოდა გლაურუნგი ნარგოთრონდიდან გამოსულა და ბრეთილისკენ მიიწევსო და ისიც სმენოდა, შავი ხმალი ახლა იმ ტყეში ბინადრობსო. ამიტომ ტურიინის გასაფრთხილებლად და დასახმარებლად წამოსულიყო. თუმცა, ტურიინმა უთხრა: «დაგაგვიანდა. დრაკონი მკვდარია».

ძლიერ გაოცდნენ ელფნი და შეაქეს ტურიინი; ხოლო ტურიინმა ჰკითხა მათ: «მხოლოდ ის მითხარით, ჩემი ნათესავნი სად არიან. დორ-ლომინში მათზე შევიტყვე, დაცულ სამეფოში გაემგზავრნენო».

შეცბა მაბლუნგი, მაგრამ ვერ დაუმალა ტურიინს, რომ მორუენი დაიკარგა, ხოლო დავიწყების ჯადოთი გონებადაბინდული ნიენორი დო-

რიათიდან ჩრდილოეთში გაექცათ. მაშინ მიხვდა ტურამბარი, რომ მუხთალი ბედი წამოეწია და უსამართლოდ მოკლა ბრანდირი. შეშლილივით გადაიხარხარა და წამოიძახა: «რა მწარე ხუმრობაა!» შემდეგ ბრანდირს უთხრა, ღორიათში დაბრუნებულიყო და მისი წყევლაც თან წაეყოლებინა. «დამიწყევლია შენი დახმარება!» წამოიყვირა ტურინმა. «ესლა მაკლდა. ახლა კი ყველგან ბნელი გამეფდება!»

ამ სიტყვებით მიტრიალდა და ქარის უსწრაფესად გაიქცა. გაოგნდნენ ელფნი, ტურინი სიგიჟეს შეუპყრიაო და უკან გამოუდგნენ. ტურინმა გაასწრო მათ, კაბედ-ენ-არასის პირას მივიდა და მდინარის გრუხუნი გაიგონა; ხეებს ფოთლები სცვიოდა, თითქოს უკვე ზამთარი დამდგარიყო. იშიშვლა ტურინმა ხმალი, რომლის გარდა ადარაფერი შერჩენოდა და თქვა: «სალამი, გურთანგ! მხოლოდ მისი ერთგული და მორჩილი ხარ, ვისაც უპყრინხარ. არავის სისხლი არ გეზიზღება. მაშ, მოუსწრაფე სიცოცხლე ტურინ ტურამბარს! ხომ მოკლავ მასაც?»

ხოლო მახვილიდან ცივი ხმა მოისმა: «ჰე, სიხარულით შევსვამ სისხლს შენსას, რათა დავივიწყო სისხლი ბელეგისა, ჩემი ბატონისა, და სისხლი ბრანდირისა, უსამართლოდ მოკლულისა. შენც სწრაფად მოგკლავ!»

ტურინმა ვადით დაასო გურთანგი მიწაში და თავად ზედ წამოეგო. შავმა ხმალმა მოუსწრაფა მას სიცოცხლე. ამასობაში მაბლუნგი და ელფები მოვიდნენ. დახედეს გლაურუნგის გვამს და ხმალზე წამოგებულ ტურინს და შეწუხდნენ; როცა ბრეთილელი კაცნიც გამოჩნდნენ და ტურინის სიგიჟისა და სიკვდილის მიზეზი შეიტყვეს, განცვიფრდნენ. ხოლო დაღონებულმა მაბლუნგმა თქვა: «ჰურინის შვილთა უბედობის მეც ვიყავ მონაწილე და აჰა, ჩემ მიერ მოტანილი ცნობებით მოკვალი იგი, ვინც ძლიერ მიყვარდა!»

შემდეგ ტურინი ასწია და გატეხილი ხმალი გამოაცალა. ელფებმა და კაცებმა შეშა მოაგროვეს, კოცონი გააჩადეს და დრაკონის გვამი ფერფლად აქციეს. ტურინი იმ გორაზე დამარხეს, სადაც დაეცა. გურთანგის ნამსხვრევები გვერდით მიუწყვეს. როცა ამ ყოველივეს მორჩნენ, ელ-

ფებმა ჰურიანის შვილებზე სამგლოვიარი სიმღერა იმღერეს. გორასამარ-
ხზე დიდი, რუხი ქვა დადგეს და ზედ დორიათის რუნებით ამოტვიფრეს:

ტურინ ტურამბარ დაგნირ გლაურუნგა

ხოლო ქვეშ მიაწერეს:

ნიენორ ნინიელ

თუმცა, ნიენორი იქ არ ესვენა და არავინ უწყის, ტელიგინის ცივმა დი-
ნებამ საით წაიღო მისი ცხედარი.

თავი ოცდამეორე. ამბავი დორიათის დაქცევისა

ასე დამთავრდა ამბავი ტურინ ტურამბარისა; ხოლო მორგოთი არ ისვენებდა და ავის ქმნას აგრძელებდა, ჰადორის საგვარეულოს ამოწყვეტა სურდა. თუმც ჰურინი ტყვედ ჰყავდა, ხოლო მორუენი შემლილი დაეხეტებოდა უღრან ტყეში, მათ მიმართ სიძულვილი მაინც არ დასცხრობოდა.

უსიხარულო იყო ხვედრი ჰურინისა, რამეთუ მორგოთის ყოველი ბოროტქმედება მყისვე ცნობილი ხდებოდა მისთვის, მაგრამ სიმართლესა და ტყუილს ხშირად ვერ ასხვავებდა, ხოლო კარგი დაფარული იყო მისთვის. მორგოთი ყველანაირად ცდილობდა თინგოლისა და მელიანის ყოველი ქმედებისთვის ჩირქი მოეცხო, რამეთუ სძულდა ისინი და ეშინოდა მათი. დაბოლოს, ჩათვალა მან, დრო მომწიფდაო და გაათავისუფლა ჰურინი და უთხრა, საითაც გინდა, წადიო. თავი ისე მოაჩვენა, თითქოს სრულიად დამარცხებული მტრის სიბრალულით აკეთებდა ამას. თუმცა, ტყუოდა. მხოლოდ ის სურდა, ჰურინს სიკვდილამდე უფრო მეტად შესძლებოდა ელფნი და კაცნი.

თავად ჰურინი მას არ ენდობოდა, რამეთუ კარგად იცოდა, მორგოთი შეუბრალეული იყო და ბნელი მეუფის მწარე სიტყვებით დაღონებული გაუდგა გზას. ერთი წელი გასულიყო მისი ვაჟის, ტურამბარის სიკვდილიდან. ანგბანდში ოცდარვაწლიანი ტყვეობის კვალი სახეზე აღბეჭდიდა. თმა-წვერი გასთეთრებოდა და დაგრძელებოდა, მაგრამ კვლავაც ქედმოუდრეკელი, დიდ შავ არგანზე დაყრდნობილი დააბიჯებდა. წელზე ხმალი შეება. ასე მიაღწია ჰითლუმამდე. აღმოსავლელ ბელადებს შეატყობინეს, ანფაუგლითის ქვიშიანი უდაბნო ანგბანდის სარდლებმა და შავმა ჯარისკაცებმა გადმოიარეს და მათთან ერთად პატივცემული მოხუცი მოდისო. მათაც ხელმეუხებლად გაატარეს იგი; ბრძნულად მოიქცნენ, რამეთუ ჰურინის ხალხი გაურბოდა ყოფილ მმართველს, რომე-

ლიც ანგბანდიდან მოდიოდა და ამის გამო მორგოთის მოკავშირედ მი-
აჩნდათ.

ამგვარად, თავისუფლებამ კიდევ უფრო გაამწარა ჰურინი; დატოვა
ჰითლუმი და მთებში წავიდა. დრუბლებში ჩაკარგული კრისაეგრიმის
მწვერვალებიდან გადახედა შორეთს და ტურგონი გაასხენდა; გონდო-
ლინის დამალულ სამეფოში სტუმრობა გადაწყვიტა. ერედ უეთრინიდან
დაეშვა. მან არ იცოდა, რომ მორგოთის მსახურები მის ყოველ ნაბიჯს
უთვალთვალეზდნენ. ბრითიანის ფონით გადალახა მდინარე სირიონი
და დიმბარში აღმოჩნდა. ეხორიათის ბნელ მთისძირეთს მიადგა. იქაუ-
რობა ცივი და უდაბური იყო. ფრიალო კლდის ქვეშ მალალ ქვაყრილთან
მდგარმა ჰურინმა უიმედოდ მიმოიხედა. მისდა სამწუხაროდ, გონდო-
ლინის საიდუმლო შესასვლელი ტურგონის მეფის ბრძანებით სამუდა-
მოდ დაეხშოთ. შემდეგ ცას ახედა ჰურინმა, იქნებ არწივებისთვის მოეკ-
რა თვალი, როგორც დიდი ხნის წინ, ყმაწვილკაცობისას, მაგრამ მხო-
ლოდ დრუბლებში გახვეული კრისაეგრიმის მიუწვდომელი მწვერვალე-
ბი დაინახა.

თუმცა ფხიზლად მოდარაჯე არწივებმა მალლიდან შეამჩნიეს
მკრთალ შუქზე მდგარი ჰურინი და თავად

თორონდორი გაფრინდა ტურგონისთვის ამ ამბის სახარებლად. ხო-
ლო ტურგონმა უთხრა მას: «მაშ, მორგოთს სძინავს? უთუოდ შემცდარ-
ხარ!»

«სულაც არა», – მიუგო თორონდორმა. – «მანუეს არწივნი ასე იოლად
რომ ცდებოდნენ, თქვენს სამალავს დიდი ხნის წინ იპოვიდნენ, ჩემო მე-
უფევს».

«მაშ, ავს იუწყება სიტყვები შენი», – თქვა ტურგონმა. – «რამეთუ ამას
ნიშნავს: თვით ჰურინ თალიონი დაჰმორჩილებია მორგოთის ნებას. ჩე-
მი გულის კარი დახშულია მისთვის!»

თორონდორის გაფრენის შემდეგ ტურგონი დიდხანს ფიქრობდა, ჰუ-
რინ დორლომინელის გმირობანი გაასხენდა და შეწუხდა; მაინც გახსნა
გულის კარი და არწივებს დაავალა ჰურინის მოძებნა და გონდოლინში

მოყვანა. დააგვიანდათ. არწივებს ჰურიანი აღარ უნახავთ არც ღღისით და არც ღამით.

რამეთუ ეხორიათის მდუმარე კლდეთა ქვეშ მდგარმა სასოწარკვეთილმა ხმამალა დასწყევლა შეუბრალებელი მხარე; შემდეგ მალალ ლოდზე ავიდა, გონდოლინისკენ გაიხედა და წარმოთქვა: «ტურგონ, ტურგონ, გაიხენე სერეხის ფონი! ოჰ, ტურგონ, ნუთუ არ გესმის შენს ფარულ დარბაზებში?» – პასუხად მხოლოდ ქარმა ააშრიალა ხმელი ბალახი. – «სწორედ ასე შრიალებდნენ სერეხში დაისზე», – თქვა ჰურიანმა. ამასობაში მზე წყვდიადის მთების მიღმა დაეშვა, გარშემო ჩამობნელდა და ქარი ჩადგა. უდაბნოში მდუმარება გამეფდა.

თუმცა ჰურიანის სიტყვები ანგბანდის მსახურებმა გაიგონეს და ჩრდილოეთში მორგოთს აცნობეს; მორგოთს გაეღიმა, რამეთუ შეიტყო, სად სახლობდა ტურგონი; ოღონდ მოდარაჯე არწივების შიშით ვერც ერთი მისი მზვერავი ვერ ბუდავდა გარემომცველ მთათა უკან მდებარე მხარეში შეპარვას. ეს იყო პირველი უბედურება, რომელიც ჰურიანის გათავისუფლებას მოჰყვა.

დაღამებისას ჰურიანი ლოდისაგან ჩამოვიდა და დამწუხრებულს ჩაეძინა. ძილში მორუენის გოდება ჩაესმა, ცოლი მის სახელს ხშირად იმეორებდა; ჰურიანს მოეჩვენა, რომ ხმა ბრეთილიდან ისმოდა. როცა გათენდა, ადგა, ბრითიანით ისევ სირიონის გადაღმა გადავიდა და ბრეთილის კიდის გასწვრივ იარა, ვიდრე შებინდებულზე ტეიგლინის გადასალახს მიაღებოდა. ღამის გუშაგებმა შეამჩნიეს იგი, მაგრამ უძველესი ძმათა სამარხიდან წამომდგარი აჩრდილი ეგონათ და დაფრთხნენ. ამიტომაც არ გააჩერეს და მიუშვეს იმ ადგილამდე, სადაც გლაურუნგი დაწვეს. იქ ჰურიანმა კაბედ ნაერამართის პირას მდგარი მაღალი ქვა დაინახა.

ჰურიანს ქვისთვის არ შეუხედავს, ისედაც იცოდა, ზედ რა ეწერა; მან შეამჩნია, რომ იქ ვილაც იყო. ქვის ჩრდილში ქალი დაჩოქილიყო; ჰურიანის მოახლოებაზე მან დაფლეთილი ჩაჩი გადაიხადა და თავი ასწია. ქალი მოხუცი და თმაგაჭაღარავებული იყო, მაგრამ როცა მათი მზერა ერ-

თმანეთს შეხვდა, ჰურიანმა მყისვე იცნო იგი. შიშითა და სიშლევით აღსავსე მის თვალებში ჯერაც კიაფობდა ის შუქი, რისთვისაც უძველეს დღეთა ულამაზესსა და უამაყესს მოკვდავ ქალს ოდესღაც ელედუენი უწოდეს.

«როგორც იქნა, მოხვედი», – თქვა მან. – «დიდხანს გელოდი».

«ბნელი გზა გამოვიარე. როგორც კი შევძელი, მოვედი». – მიუგო ჰურიანმა.

«კი, მაგრამ დაიგვიანე», – უთხრა მორუენმა. – «ისინი დაიღუპნენ».

«ვიცი», – თქვა ჰურიანმა. – «მაგრამ შენ ცოცხალი ხარ».

ხოლო მორუენმა უთხრა: «მალე აღარ ვიქნები. ძალა აღარ შემრჩა. მზის ჩასვლისას გარდავიცვლები. დრო ცოტა დარჩა: თუ იცი, მითხარი! როგორ იპოვა ტურიანმა ნიენორი?»

თუმცა ჰურიანმა არაფერი უპასუხა. ქვის გვერდით ხმის ამოუღებლად ისხდნენ. მზის ჩასვლისას მორუენმა ამოიოხრა, ჰურინს ხელზე ხელი მოუჭირა და გაშეშდა. ჰურინი მიხვდა, რომ მორუენი გარდაიცვალა. ბინდში მისი სახიდან ტანჯვისა და მწუხარების ნაკვალევი წაიშალა.

«ის ვერ დაიმორჩილეს», – თქვა ჰურიანმა, ცოლს თვალები დაუხუჭა და მის გვერდით დადამებამდე გაუნძრევლად იჯდა. კაბედ ნაერამართის წყლები გრუხუნებდა, მაგრამ ჰურინს არაფერი ესმოდა, არც რამეს ხედავდა ან გრძნობდა, რამეთუ მკერდში გული გაუქვავდა. უცებ სუსხიანმა ქარმა წვიმა შეასხურა სახეში და გამოარკვია. სიბრაზისგან ანთებული შურისძიების წყურვილმა შეიპყრო. მწუხარებისგან გონებადაბინდული თავისი და თავის ნათესავთა ტანჯვა-წამებასა და უბედურებას იმათ აბრალებდა, ვისაც კი ისინი ოდესმე შეხვედროდნენ. ადგა, მორუენი კაბედ ნაერამართზე საფლავის ქვის დასავლეთით დამარხა და ქვაზე ეს სიტყვები ამოკვეთა: აქვე განისვენებს მორუენ ელედუენი.

როგორც ამბობენ, ბრეთილელმა მისანმა და მგოსანმა გლირჰურიანმა სიმღერა შეთხზა, რომელშიც ნათქვამია, რომ ბედკრულთა ქვას ვერც მორგოთი წაბილწავდა და ვერც ვერავინ დაამხობდა, მუდამ იდგებოდა, თუნდაც ზღვას მთელი ხმელეთი შთაენთქა; მართლაც ასე მოხდა და ან-

ლა ტოლ მორუენი ვალართა რისხვის შედეგად წარმოქმნილი ახალი ნაპირებისგან მოშორებით აღმართულა. თუმცა ჰურიანი იქ არ ასვენია, რამეთუ ბედისწერა წინ მიერეკებოდა, ხოლო უკან წყვდიადი მიჰყვებოდა.

ჰურინმა ტეიგლინი გადალახა და უძველეს გზას სამხრეთით, ნარგოთრონდისკენ გაუყვა; შორს აღმოსავლეთით ამონ რუდის ეულ ბორცვს მოჰკრა თვალი და მიხვდა, იქ რაც მომხდარიყო. დაბოლოს, ნაროგის ნაპირებს მიადგა, სწრაფ დინებაზე დანგრეული ხიდის ლოდებზე ხტომა-ხტომით გადავიდა, როგორც უწინ მახლუნგ დორიათელი და, არგანზე დაყრდნობილი, ფელაგუნდის ჩამოგდებული კარიბჭის წინ დადგა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გლაურუნგის სიკვდილის შემდეგ ჩია ჯუჯა მიმმა ნარგოთრონდს მიაგნო და მის დანგრეულ დარბაზებში დაიდო ბინა; იქდა საგანძურში და ოქროსა და პატიოსან თვლებს იღებდა მუჭით. გლაურუნგის აჩრდილის შიშით განძის დასაპატრონებლად იქ შესვლას ვერავინ ბედავდა. თუმცა, აი, ჰურიანი გამოჩნდა და ზღურბლზე დადგა. შიგნიდან მიმი გამოვიდა და ჰკითხა, აქ რისთვის მოსულხარო. ხოლო ჰურინმა მიუგო: «თავად ვინ ხარ, რომ ფინროდ ფელაგუნდის სახლში შესვლას არ მანებებ?»

ჯუჯამ უპასუხა: «მე მიმი ვარ. ვიდრე ზღვის გადაღმიდან ქედმაღალი ელდარნი მოვიდოდნენ, ჯუჯებმა აქ ნულუკკიზდინის დარბაზები გამოკვეთეს. საკუთრების დასაბრუნებლად მოვედი, რამეთუ თანამოძმეთაგან მხოლოდ მედა ვარ ცოცხალი».

«ეგ მემკვიდრეობა მალე შენი აღარ იქნება», – უთხრა ჰურინმა, – «რამეთუ მე ვარ ჰურიანი, ძე გალდორისა, ანგბანდიდან დაბრუნებული; ხოლო ჩემი ძე იყო ტურინ ტურამბარი, რომელიც კარგად გახსოვს. სწორედ მან მოკლა დრაკონი გლაურუნგი, გამპარტახებული ამ დარბაზთა, სადაც ახლა ზინხარ. მე ისიც ვიცი, ვინ უღალატა დორლომინელ დრაკონის მუზარადს».

მაშინ დაფრთხა მიმი და უთხრა ჰურინს, რაც გნებავს, აიღე, ოღონდ მე ნურაფერს დამიშავებო; თუმცა ჰურინმა არ შეისმინა მიმის მუდარა

და ნარგოთრონდის კარიბჭესთან მოკლა იგი. შემდეგ შიგნით შევიდა და კარგა ხანს დარჩა იმ საზარელ ადგილას, სადაც ვალინორული განძი სიბნელეში იატაკზე იყო მიმოფანტული; როგორც ამბობენ, როცა ჰური-ნი ნარგოთრონდის ნანგრევებიდან გამოვიდა, საგანძურიდან მხოლოდ ერთი რამ გამოიყოლა.

აღმოსავლეთით გაემართა ჰურინი და ბინდის ტბებამდე მივიდა. იქ ღორიათის დასავლეთი საზღვრის მცველმა ელფებმა შეიპყრეს და მენეგროთში მეფე თინგოლს მიჰგვარეს. მისმა დანახვამ გააოცა და დაამწუხრა თინგოლი, რამეთუ პირქუმ ბერიკაცში ჰურინი თალიონი, მორგოთის პატიმარი ამოიცნო. თუმცა, კეთილად მიესალმა და ღირსეულად შეხვდა მას. ჰურინმა პასუხის ნაცვლად მოსასხამის ქვეშიდან ნარგოთრონდიდან წამოღებული ერთადერთი ნივთი გამოიღო და მეფეს უჩვენა. ეს ნაუგლამირი იყო, ჯუჯათა ყელსაბამი, რომელიც მრავალი წლის წინ ნოგროდელ და ბელეგოსტელ ოსტატებს ფინროდ ფელაგუნდისთვის დაემზადებინათ. ადრეულ დღეთა ამ უმშვენიერეს სამკაულს ფინროდ ფელაგუნდი ნარგოთრონდის მთელ საგანძურზე ძვირად აფასებდა. ჰურინმა ნაუგლამირი თინგოლის ფერხთით დააგლო და მკვახედ მიახალა: «მიიღე გასამრჯელო ჩემი ცოლისა და შვილების დაცვისთვის! აჰა, ნაუგლამირი, რომლის სახელიც ელფთა და კაცთა შორის მრავალთათვის არს ცნობილი. ბნელი ნარგოთრონდიდან გამოვიტანე, სადაც შენმა ნათესავმა ფინროდმა დატოვა, ვიდრე ბერენს, ბარაჰირის ძეს გაჰყვებოდა თინგოლ ღორიათელის დავალების შესასრულებლად!»

იცნო თინგოლმა ნაუგლამირი და მშვენივრად მიხვდა ჰურინის განზრახვას; თუმცა, სიბრალულით აღვსილმა მრისხანება შეიკავა და ჰურინის დაცინვას არ აჰყვა. მის მაგივრად მელიანმა თქვა: «ჰურინი თალიონი, მორგოთმა მოგაჯადოვა; რამეთუ ის, ვინც მორგოთის თვალებით ხედავს, ნებსით თუ

უნებლიეთ, ყველაფერს მრუდედ ხედავს. დიდხანს იზრდებოდა ტური-რინი, შვილი შენი, მენეგროთის დარბაზებში; პატივს მიაგებდნენ და ზრუნავდნენ მასზე, ვითარცა უფლისწულზე; არც მეფისა და არც ჩემი ნე-

ბა არ ყოფილა ის, რომ ტურიანი დორიათში აღარ დაბრუნდა. მისი წასვლის შემდგომ შევიფარეთ ცოლი და ქალიშვილი შენი და ღირსეულად ვეპყრობოდით; ყველანაირად ვეცადეთ მორუენი გადაგვერწმუნებინა და ნარგოთრონდის გზას არ დასდგომოდა. შენს ბაგეთაგან ახლა მორგოთი საყვედურობს მეგობრებს შენსას».

მელიანის სიტყვებს გაუნძრევლად უსმენდა ჰურიანი და დიდხანს მისჩერებოდა დედოფალს თვალებში; და იქ, მტრის წყვილიდან მელიანის სარტყლით დაცულ მენეგროთში, ჰურიანმა შეიტყო ქუმმარიტება და, ბოლოს და ბოლოს, სრულად იგემა მორგოთ ბაუგლირის მიერ მისთვის განკუთვნილი სიმწარე. წარსული აღარ გაუხსენებია, თინგოლის ტახტთან დაგდებული ნაუგლამირი აიღო და მეფეს მიაწოდა სიტყვებით: «მიიღე, მეუფე ჩემო, ჯუჯათა ყელსაბამი, მისგან, ვისაც სხვა არაფერი აბადია, სახსოვრად ჰურიან დორლომინელისა. რამეთუ აღსრულდა ჩემი ბედისწერა და მორგოთმა თავის მიზანს მიაღწია; თუმცა, ამ წამიდან მე მისი მონა აღარ ვარ».

შემდეგ მიტრიალდა და მენეგროთიდან გავიდა. მისი სახის შემხედვარე, ყველა გზიდან ეცლებოდა და არავინ აჩერებდა. ვერავინ შეიტყო, სად წავიდა იგი. როგორც ამბობენ, ყოველგვარ მიზანსა და სურვილს მოკლებული ჰურიანი დასავლეთ ზღვაში გადახტა და თავი მოიკლა; ასე აღესრულა მოკვდავ კაცთა შორის უღიადესი მეომარი.

ჰურიანის მენეგროთიდან წასვლის შემდეგ თინგოლი დიდხანს იჯდა ჩუმად და დაჰყურებდა მუხლებზე დადებულ სამკაულს. უცებ გადაწყვიტა, ნაუგლამირს გადავაკეთებ და შიგ სილმარილს ჩავსვამო. გადიოდა წლები, თინგოლი კი დღითი დღე უფრო და უფრო მეტს ფიქრობდა ფეანორის დამზადებულ ძვირფას ქვაზე; ყველაზე ღრმა და დაცულ საგანძურშიც კი ენანებოდა მისი დატოვება და ფხიზლობდა თუ ეძინა, სილმარილს გვერდიდან არ იშორებდა.

იმხანად ერედ ლინდონელმა ჯუჯებმა კვლავ დაიწყეს ბელერიანდში სტუმრობა. მდინარე გელიონს სარნ ათრადით, ქვების ფონით გადაკვეთდნენ და უძველესი გზით მიდიოდნენ დორიათში. ქვისა და ლი-

თონის დამუშავების უბადლო ოსტატებს მენეჯროთის დარბაზებში ხშირად დაიხმარდნენ ხოლმე. თუმცა, უწინდელისგან განსხვავებით, ჯუჯები მცირე ჯგუფებად კი არა, კარგად შეიარაღებული მეომართა რაზმების თანხლებით მგზავრობდნენ, რამეთუ აროსსა და გელიონს შორის მდებარე მიწები ხიფათით იყო სავსე. მენეჯროთში საგანგებოდ მათთვის აგებულ პალატებსა და სამჭედლოებში სხვებისგან განცალკევებით ცხოვრობდნენ. სწორედ მაშინ მენეჯროთში ნოგროდელ ხელოსანთა ჯგუფი იმყოფებოდა. იხმო თინგოლმა ოქრომჭედელნი, თავისი სურვილი გაუმხილა მათ და უთხრა, თუ შეძლებთ, ნაუგლამირი გადააკეთეთ და მასში სილმარილი ჩასვითო. წინაპართა ნამუშევრისა და ფეანორის მოკაშაშე ქვის დანახვამ განაცვიფრა ჯუჯები. მათი დაუფლებისა და მშობლიურ მთებში წაღების სურვილმა მოიცვა ისინი. თუმცა, დაუმაღეს მეფეს თავიანთი განზრახვანი და საქმეს შეუდგნენ.

დიღხანს შრომობდნენ ჯუჯები; თინგოლი ხშირად ჩადიოდა მიწისქვეშა სამჭედლოებში და მათ შორის იჯდა. ბოლოს და ბოლოს, აღსრულდა მისი გულისწადილი და ელფთა და ჯუჯათა უდიადესი ნახელოვნები შეერთდა და იქცა უმძვენიერეს სამკაულად, რამეთუ ნაუგლამირის ურიცხვი თვალი ახლა მის შუაში ჩასმული სილმარილის შუქს ირეკლავდა და ათასფრად ასხივებდა. თინგოლმა, მათ შორის მარტო მყოფმა, სამკაულის ყელზე შებმა მოინდომა, მაგრამ ჯუჯებმა არ მისცეს და მოსთხოვეს, ჩვენ დაგვითმეო: «რა უფლებით ითხოვს ელფთა მეფე ნაუგლამირს, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა აწ გარდაცვლილ ფინროდ ფელაგუნდს დაუმზადეს? მეფეს ნაუგლამირი ჰურინ დორლომინელმა, მოკვდავმა კაცმა გადასცა, რომელმაც ეს სამკაული ჩაბნელებულ ნარგოთრონდში მოიპარა».

თინგოლი მიხვდა, რომ ჯუჯები ნაუგლამირს საბაბად იყენებდნენ, სინამდვილეში კი სილმარილის დაუფლება ეწადათ; განრისხებულს, დაავიწყდა ხიფათი და დამცინავად უთხრა ჯუჯებს: «როგორ ბედავთ, თავხედო ნაუგრიმებო, რამე მომთხოვოთ მე, ელუ თინგოლს, მეუფეს ბელერიანდისა, რომლის სიცოცხლეს კუივიენენის წყალთა პირას დაიწყო

უამრავი წლით ადრე ტანმორჩილთა მოდგმის მამამთავართა გაღვიძებამდე?» – და მათ შორის ქედმაღლურად მდგარმა მკაცრად უბრძანა, გასამრჯელოს ვერ მიიღებთ და ღორიათიდან წაეთრიეთო.

მეფის სიტყვებით გაგულისებული ჯუჯები თინგოლს მისცვივდნენ და ზეზეულად მოკლეს. ასე აღესრულა მენეგროთის ღრმა სამჭედლოში ელუე სინგოლო, მეფე ღორიათისა, ერთადერთი ილუვატარის შვილთაგან, ვისაც აინუ ჰყავდა ცოლად; და ერთადერთმა მიტოვებულ ელფთაგან, ვისაც ვალინორის ხეთა ნათელი ენახა, უკანასკნელად სწორედ სილმარილს მიაპყრო მზერა.

ჯუჯებმა ნაუგლამირი აიღეს, მენეგროთიდან გაიპარნენ და რეგიონის გავლით აღმოსავლეთში გაიქცნენ. თუმცა, გაქცეულებს მღევარი წამოეწია და ჯუჯათაგან ცოტადა გადავიდა აროსს გადაღმა. მათ ნაუგლამირი წაართვეს და დამწუხრებულ დედოფალ მელიანს მიუტანეს. თინგოლის მკვლელთაგან ორი გადარჩა და შორეულ ლურჯ მთებში მდებარე მშობლიურ მიწისქვეშა ქალაქში დაბრუნდა. ნოგროდში მომხდარის შესახებ უამბეს თანამოძმეებს, ოღონდ ყველაფერი როდი გაამხილეს; ასე თქვეს: ელფთა მეფის ბრძანებით ღორიათში ჯუჯები დახოცეს, რამეთუ კუთვნილი გასამრჯელო არ გადაეხადათ მათთვის.

ძლიერ განარისხა და დაამწუხრა ნოგროდელი ჯუჯები ნათესავთა და ოქრომჭედელთა სიკვდილმა, წვერს იგლეჯდნენ და მოთქვამდნენ; დიდხანს გეგმავდნენ შურისძიებას. როგორც ამბობენ, ბელეგოსტელთათვის უთხოვიათ დახმარება, მაგრამ მათ უარი უთქვამთ და ნოგროდელთა გადარწმუნება უცდიათ; თუმცა ამაოდ. მალე ნოგროდიდან გამოსულმა ჯუჯათა დიდმა ლაშქარმა გელიონი გადალახა და დასავლეთით, ბელერიანდისკენ დაიძრა.

ღორიათში ვითარება დამძიმდა. მელიანი დიდხანს იჯდა თინგოლ მეფის გვერდით და იხსენებდა ვარსკვლავების შუქით განათებულ წლებს და უხსოვარ ღროს, ნან ელმითის ბუღბუღებს შორის მათ

პირველ შეხვედრას; მელიანი ხვდებოდა, რომ თინგოლთან მისი განშორება უფრო დიდი განშორების მომასწავებელი იყო და ღორიათის

აღსასრული ახლოვდებოდა. ვალართა ღვთიური მოდგმისა იყო მელიანი, დიდი ძალისა და სიბრძნის მფლობელი მაია, მაგრამ ელუე სინგოლოს სიყვარულით მიიღო მან ილუვატარის უფროს შვილთა იერი და მასთან ერთობით სამუდამოდ მიეჯაჭვა არდას ხორციელ სამყაროს. ამ იერით შვა მან ლუთიენ ტინუვიელი და მოიპოვა ძალაუფლება მთელ არდაზე. მრავალი საუკუნის განმავლობაში მელიანის სარტყელი იცავდა ღორიათს გარე ბოროტებისგან. თუმცა, თინგოლი მოკვდა და მისი სული მანდოსის დარბაზებში გაემგზავრა; მისმა სიკვდილმა შეცვალა მელიანიც. ამგვარად, ჯადო, რომელიც ნელდორეთისა და რეგიონის ტყეებს ედო, აიხსნა, მდინარე ესგალდუინიც სხვაგვარად ახმაურდა. ღორიათი მტერთათვის ხილული შეიქნა.

მას შემდეგ მელიანი მახლუნგის გარდა აღარავის დალაპარაკებია. მას სთხოვა, სილმარილს გაუფრთხილდი და მომხდარის შესახებ საჩქაროდ ოსირიანდში მყოფ ბერენსა და ლუთიენს შეატყობინეო, თავად კი შუახმელეთიდან გაუჩინარდა; იგი დასავლეთი ზღვის გადაღმა ვალართა მიწაზე გაემგზავრა, რათა ლორიენის წალკოტებში გაექარვებინა დარდი – იქ, საიდანაც ოდესღაც მოვიდა. ამ მათიანეში მელიანის შემდგომი ბედი არ არის მოთხრობილი.

ნაუგრიმთა ლაშქარმა აროსი გადმოკვეთა და შეუფერხებლად შევიდნენ ღორიათის ტყეებში; მათ წინ ვერავინ აღუდგა, რადგან ბევრნი და სასტიკნი იყვნენ. რუხ ელფთა სარდლები ეჭვებმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა, უმიზნოდ აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ხოლო ჯუჯებს გზიდან არ გადაუხვევიათ, მდინარეზე ხილით გადავიდნენ და ნარგოთრონდში შეიჭრნენ. ადრეულ დღეთა სამწუხარო მოვლენებიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურება ათას გამოქვაბულში დატრიალდა; მრავალი ელფი და ჯუჯა დაიხოცა. ჯუჯებმა იმარჯვეს, თინგოლის დარბაზები დაარბიეს და გაძარცვეს. განძთსაცავის კარებთან, სადაც ნაუგლამირი ინახებოდა, მოკლეს მახლუნგი. სილმარილი გაიტაცეს.

იმხანად ბერენი და ლუთიენი მდინარე ადურანტის შუაგულში ტოლ გალენზე, მწვანე კუნძულზე სახლობდნენ. მათ ვაჟს დიორ ელუხილს

ცოლად ჰყავდა ნიმლოთი, ნათესავი კელებორნისა, დორიათელი თავადისა, რომელიც გალადრიელზე დაქორწინებულიყო. დიორისა და ნიმლოთის ვაჟები იყვნენ ელურელი და ელურინი; ასულიც გაუჩნდათ და დაარქვეს ელუინგი, რაც ვარსკვლავის შხეფს ნიშნავს, რამეთუ უღრუბლო ღამეს დაიბადა იგი ლანთირ ლამათის პირას და ვარსკვლავთა შუქზე შადრევნის შხეფები ელვარებდა.

ოსირიანდელ ელფთა შორის ხმა გავრცელდა, ჯუჯათა ლაშქარი მთებიდან დაეშვა და მდინარე გელიონის გადაღმა ნაპირზე გადავიდაო. ეს ბერენმა და ლუთიენმაც შეიტყვეს. ამასობაში მენეგროთიდან გამოგზავნილი მაცნენიც მოვიდნენ და დორიათში დატრიალებულ უბედურებაზე აუწყეს. მყისვე დიორი, თავისი ძე, იხმო ბერენმა, ტოლ გალენი დატოვა და მრავალ ოსირიანდელ მწვანე ელფთან ერთად ჩრდილოეთით, მდინარე ასკარისკენ გასწიეს.

ამგვარად, მენეგროთიდან შინ მიმავალ, ნოგროდელ ჯუჯათა საგრძნობლად შემცირებულ ლაშქარს სარნ ათრადთან უხილავი მტერი დაესხა თავს. როცა ნადავლით დატვირთული ჯუჯები გელიონის ფლატეებზე მიცოცავდნენ, ტყეში ელფთა ბუკების გამაყრუებელი ხმა გაისმა და ყველა მხრიდან ისრები გამოფრინდა. პირველი იერიშისას მრავალი ჯუჯა დაიღუპა. ზოგიერთმა ჩასაფრებულთა ალყა გაარღვია, ერთად შეგროვდა და აღმოსავლეთით გაიქცა. როცა ჯუჯები მთა დოლმედის გრძელ ფერდობებზე მიცოცავდნენ, ხეთა მწყემსები დაესხნენ თავს და ისინი ერედ ლინდონის დაბურულ ტყეებში შერეკეს. როგორც ამბობენ, იქიდან არც ერთი ჯუჯა აღარ გამოსულა ცოცხალი.

სარნ ათრადის ბრძოლა ბერენისთვის უკანასკნელი იყო. მან საკუთარი ხელით მოკლა ნოგროდელ ჯუჯათა მეუფე და ხელიდან გამოჰგლიჯა ჯუჯათა ყელსაბამი. მომაკვდავმა ნოგროდის მეუფემ დაწყევლა სამკაული. განცვიფრებით დააცქერდა ბერენი ფეანორის ქვას, რომელიც თავად ჩამოჭრა მორგოთის რკინის გვირგვინიდან და ახლა, ჯუჯათა ხელმარჯვეობის წყალობით, ოქროსა და ბრილიანტებს შორის ბრწყინავდა. მდინარის წყლით ჩამორეცხა ზედ დაღვრილი სისხლი. ბრძოლა რომ

დასრულდა, დორიათის განძი მდინარე ასკარში ჩაყარეს. მას შემდეგ მდინარეს სახელი გადაარქვეს და უწოდეს რათლორელი, ოქროს კალაპოტი. ხოლო ნაუგლამირი ბერენმა ტოლ გალენზე წაიღო. ნოგროდის მეუფისა და მრავალი ჯუჯის სიკვდილის ცნობას ლუთიენისთვის სევდა არ გაუქარვებია, მაგრამ როგორც ამბობენ, ყელსაბამითა და უკვდავი ქვით დამშვენებული, მართლაც დიდებული სანახავი იყო და ასეთი მშვენიერება ვალინორის სამეფოს საზღვრებს გარეთ აღარასოდეს უხილავთ. მცირე ხნით გაცოცხლებულ მკვდართა მიწა ვალართა მხარეს დაემსგავსა. შუახმელეთში ამაზე უფრო ლამაზი, ნათელი და ნაყოფიერი ადგილი არსად იყო.

ხოლო დიორი, მემკვიდრე თინგოლისა, ბერენსა და ლუთიენს გამოეთხოვა და ნიმლოთთან, თავის ცოლთან, ერთად ლანთირ ლამათიდან მენეგროთში გადასახლდა; თან წაიყვანეს ახალგაზრდა ძეები ელურელი და ელურინი და ასული ელუინგი. სიხარულით შეხვდნენ მათ სინდარნი და ბრძოლაში დაცემულ თანამოძმეებზე, მოკლულ მეფესა და გაუჩინარებულ მელიანზე დარდი შეწყვიტეს. დიორ ელუხილმა დორიათის სამეფოს დიდების აღდგენა განიზრახა.

შემოდგომის ერთ ბნელ ღამეს ვიღაცამ მენეგროთის კარიბჭეზე დააბრახუნა და მეფესთან შეხვედრა ითხოვა. ოსირიანდიდან გამოგზავნილი მწვანე ელფთა ერთ-ერთი დიდებული აღმოჩნდა და კარიბჭის მცველებმა სამეფო პალატში უულად მჯდარ დიორთან შეიყვანეს. მან მღუმარედ მიაწოდა მეფეს ზარდანმა და გავიდა. ზარდანმაში იღო ჯუჯათა ყელსაბამი შიგ ჩასმული სილმარილით. დიორი მიხვდა, რომ ბერენი და ლუთიენ ტინუვიელი მართლაც გარდაიცვალნენ, გასცდნენ ქვეყნიერების მიჯნას და გაემგზავრნენ იქ, სადაც კაცთა მოდგმა უცნობ ბედს ეგებება.

დიდხანს დაჰყურებდა დიორი სილმარილს, რომელიც მისმა მშობლებმა ყველასთვის მოულოდნელად მორგოთის საზარელი სამფლობელოდან გამოიტანეს; გული ძლიერ დასწყდა, რომ მისი დედ-მამა ასე

ნაადრევად აღესრულნენ. ბრძენი ამბობდნენ, მათ სიცოცხლე სიღმარაღმარა მოუსწრაფაო; რამეთუ ყელსაბამით დამშვენებული ლუთიენის სილამაზე მეტისმეტად კაშკაშა იყო მოკვდავთა მიწებისთვის.

ადგა დიორი და თავად შეიბა ნაუგლამირი; ახლა ის, დიორი, ეღაინთა, ელდართა და მაიართა შთამომავალი, იქცა ამქვეყნად მცხოვრებთაგან ულამაზესად.

ამასობაში ბელერიანდის დაფანტულ ელფთა შორის ხმა გავრცელდა, რომ დიორი, მემკვიდრე თინგოლისა, ატარებდა ნაუგლამირს. და თქვეს მათ: «ფეანორის სიღმარაღმარა კვლავ ანთია ღორიათის ტყეებში». ფეანორის ვაჟებმა ფიცი გაიხსენეს. ვიდრე ლუთიენს ეკეთა ჯუჯათა ყელსაბამი, ვერც ერთი ელფი ვერ ბედავდა მასზე თავდასხმას, მაგრამ როცა ღორიათის აღდგენისა და დიორის სიამაყის შესახებ შეიტყვეს, შვიდი ძმა შეგროვდა და დიორს თავიანთი მოთხოვნა შეუთვალეს.

დიორისგან პასუხი რომ არ მიიღეს, კელეგორმმა ძმები ღორიათზე თავდასხმაზე დაითანხმა. შუა ზამთარში უეცრად გამოჩნდნენ ისინი და დიორს ათას გამოქვაბულში შეებრძოლნენ. ასე გაჩაღდა მეორე ძმათაკვლა ელფთა შორის. ასე დაეცა კელეგორმი დიორის ხელით, დაეცნენ კურუფინი და ავი კარანთირიცი; თუმცა დაიღუპა თავად დიორიცა და მისი ცოლი ნიმლოთიცი; ხოლო კელეგორმის ბოროტმა მსახურებმა დიორის ახალგაზრდა ძეები გაიტაცეს და ტყეში საშიმშილოდ დატოვეს. მაედროსმა ეს ძლიერ ინანა და დიდხანს ეძებდა მათ ღორიათის ტყეებში. მისმა ძიებამ ნაყოფი ვერ გამოიღო და ელურედისა და ელურიინის შემდგომ ბელზე აღარაფერია ცნობილი.

ასე დაიქცა ღორიათი და აღარასოდეს აღუდგენიათ.

თუმცა ფეანორის ძეებმა ხელთ ვერ იგდეს ის, რასაც ეძებდნენ. რამეთუ დაქცეული ღორიათიდან მცირე ამაღლასთან ერთად გაიქცა ელუინგი, დიორის ასული. მას თან მიჰქონდა სიღმარაღმარა. გაქცეულებმა ზღვის პირას მდინარე სირიონის შესართავებს შეაფარეს თავი.

თავი ოცდამესამე. ამბავი ტუორისა და გონდო- ლინის დაცემისა

როგორც უკვე ითქვა, ჰუორი, ძმა ჰურიინისა, ურიცხვი ცრემლის ბრძოლაში მოკლეს; და იმავე წლის ზამთარში რიანმა, მისმა ცოლმა, მითრიმის ტყეებში შვა ვაჟი, რომელსაც ტუორი დაარქვეს. ის ანაელმა, რუხმა ელფმა იშვილა. როცა ტუორი თექვსმეტი წლისა შესრულდა, იქაურმა ელფებმა ანდროთის გამოქვაბულების მიტოვება და შორეულ სამხრეთში, სირიონის ნავსაყუდლებში საიდუმლოდ გადასახლება მოინდომეს; თუმცა, მანამდე ორკები და აღმოსავლელები დაესხნენ თავს. ტუორი შეიპყრეს და ჰითლუმელ აღმოსავლელთა ბელადმა ლორგანმა დაიმონა. სამწლიანი მონობის შემდეგ ტუორი გაიქცა, ანდროთის გამოქვაბულებში დაბრუნდა და იქ მარტო ცხოვრობდა. ხშირ-ხშირად უსაფრდებოდა აღმოსავლელებს და იმდენი ავნო მათ, რომ ლორგანმა მისი თავის სასაცლოდ დიდძალი ჯილდო დააწესა.

ოთხი წელი იცხოვრა ტუორმა მარტოობაში, შემდეგ ულმომ შთააგონა, წინაპართა მიწიდან აყრილიყო, რამეთუ თავის განზრახვათა აღსასრულებელ იარაღად სწადდა მისი გამოყენება. ანდროთის გამოქვაბულებიდან დასავლეთით გაემართა ტუორი და მიადგა ანონ-ინ-გელიდს, ნოლდორთა კარიბჭეს, რომელიც ტურგონის ხალხს აეგო დიდი ხნის წინ, როცა ნევრასტში ცხოვრობდნენ. იქიდან ბნელი გვირაბი მიიწევდა მათათა ქვეშ და კირით ნინიახში გამოდიოდა. ამ ხეობის გავლით ბობოქარი ნაკადი დასავლეთი ზღვისკენ მიედინებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ტუორი ჰითლუმიდან კაცთა და ორკთათვის შეუმჩნევლად გაიქცა და მორგოთს არაფერი შეუტყვია.

ნევრასტის ნაპირებიდან ბელეგაერი, დიდი ზღვა, იხილა ტუორმა და მოიხიბლა მისით; ტალღების ხმაური და ზღვისდამი ლტოლვა ადარასოდეს განელებულა მის გულსა და გონებაში; მოუსვენრობამ შეიპყრო, რამაც ბოლოს ულმოს სამეფოთა სიღრმეებში ჩაიყვანა. ნევრასტში მარტო ცხოვრობდა. გავიდა ზაფხული, ნარგოთრონდის აღსასრუ-

ლი ახლოვდებოდა. შემოდგომაზე ტუორმა სამხრეთისკენ მფრინავი შვიდი დიდი გედი შენიშნა ცაში და მიხვდა, რომ ეს ნიშანი იყო; მეტად აღარ დააყოვნა და გედების კვალდაკვალ ნაპირ-ნაპირ დაიძრა. მთა ტარასის ქვეშ ვინიამარის დაცარიელებულ დარბაზებს მიადგა და შიგნით ის ფარი, აბჯარი, ხმალი და მუხარადი იპოვა, ულმოს ბრძანებით, ტურგონს რომ დაეტოვებინა დიდი ხნის წინ. საომრად შეჭურვილი ზღვის ნაპირთან მივიდა ტუორი. დასავლეთიდან ქარიშხალი მოიწევდა და აზვირთებულ ტალღებს წყალთა მეუფე ულმო გამოეყო, სრული დიდებით წარდგა იგი ტუორის წინამე. ულმომ ურჩია მას, იქაურობა დაეტოვებინა და გონდოლინის სამეფო მოეძებნა; მტერთა მზერისგან დასამალად ულმომ ტუორს ნაცრისფერი მოსასხამი მისცა.

დილით, როცა ქარიშხალი ჩადგა, ტუორმა ვინიამარის კედლებთან ეულად მდგარი ელფი დაინახა. ეს იყო ვორონუე, ძე არანუესი, გონდოლინელი, რომელიც ტურგონის მიერ დასავლეთში გაგზავნილი ბოლო ხომალდით მიცურავდა. თუმცა, როცა ქარიშხალს გადარჩენილმა იმ ხომალდმა ღრმა ოკეანიდან შუახმელეთის ნაპირებს მიაღწია, ულმომ სხვა მეზღვაურთაგან მხოლოდ ის აიყვანა და ვინიამართან

ახლოს ხმელეთზე ჩამოსვა. წყალთა მეუფის მიერ ტუორისთვის დაკისრებულმა დავალებამ განაცვიფრა ვორონუე და გონდოლინის ფარულ კარიბჭემდე ტუორის მეგზურობაზე უარი არ უთქვამს. ერთად გაუდგნენ გზას და, როცა ჩრდილოეთიდან მოსული სასტიკი ზამთარი წამოეწიათ, უკვე წყვდიადის მთების ძირას იყვნენ და აღმოსავლეთით მიიწევდნენ.

ბოლოს და ბოლოს, ეითელ ივრინს მიადგნენ და გლაურუნგის მიერ წაბილწულ წყაროებს დამწუხრებულებმა შეავლეს თვალი. უცებ ჩრდილოეთით მოჩქარე, შავით შემოსილი, შავხმლოსანი ტანმალაი კაცი შენიშნეს. ის კაცი ვერ იცნეს; არც ის იცოდნენ, სამხრეთში რა მოხდა. კაცმა უსიტყვოდ ჩაუარა მათ გვერდით.

ულმოსგან მომადლებული ძალის მეშვეობით მოგზაურებმა უხიფათოდ მიაღწიეს გონდოლინის დამალულ კარს, გვირაბში გაიარეს და ში-

და კარიბჭეს მიადგნენ. იქ მცველებმა ორივე შეიპყრეს, განიერი ხევის, ორფალხ ეხორის, შვიდ ჭიშკარში გაატარეს და აღმავალი გზის ბოლოს აღმართული დიდი კარიბჭის მცველს, ექთელიონს, შადრევნის გვარისას, მიჰგვარეს. ტუორმა მის წინაშე მოსასხამი გაიხადა და ვინამარში ნაპოვნი საჭურველი გამოაჩინა. მაშინ ყველა დარწმუნდა, რომ ის ულმოს გამოგზავნილი იყო. გარემომცველი მთების შუაში მწვანე თვალივით ჩასმულ ტუმლადენის მშვენიერ ველს დახედა ტუორმა და შორს თვალი მოჰკრა ამონ გუარეთის კლდოვან მალეობს, რომელზეც გაეშენებინათ გონდოლინი, შვიდსახელიანი ქალაქი, ყველაზე დიდებული და სახელოვანი დასახლება აქეთამიწელი ელფებისა. ექთელიონის თხოვნით, დიდი ჭიშკრის საყვირებს ჩაჰბერეს და მათმა ექომ შემოირბინა მთები. ხოლო ქალაქის თეთრი გალავნიდან საყვირთა საპასუხო შორეულმა, მაგრამ მკაფიო ხმამ მოაღწია.

ამგვარად, ჰუორის ძემ ტუმლადენის ველი გადაკვეთა და გონდოლინის კარიბჭეს მიადგა. ქალაქის გრძელ კიბეზე აიარა მან და, ბოლოს და ბოლოს, მეფის კოშკში შეუშვეს. იქ ვალინორის ხეთა სახებას შეავლო თვალი. შემდეგ ტუორი ნოლდორთა უზენაესი მეფის, ტურგონის, ფინგოლფინის ძის, წინაშე წარდგა. მეფის ხელმარჯვნივ იდგა მისი დისწული მაეგლინი, ხოლო ხელმარცხნივ – იდრილ კელებრინდალი, მისი ასული. გაკვირვებულნი უსმენდნენ ტუორს, ნუთუ ამას მართლაც მოკვდავი კაცი ამბობსო, რამეთუ სიტყვანი ტუორისა იყო სიტყვანი წყალთა მეუფის მიერ შთაგონებული. ტუორმა ტურგონი გააფრთხილა, მანდოსის წყევლა მალე აღსრულდება და ნოლდორთა ყოველი ნახელავი განადგურდებაო. სთხოვა მეფეს და მის ხალხს, ეს მშვენიერი და დიდებული ქალაქი დატოვეთ და სირიონს ზღვისკენ დაუყვიითო.

ულმოს რჩევამ დააფიქრა ტურგონი და გაახსენდა დიდი ხნის წინ ვინამარში მისთვის ნათქვამი სიტყვები: «ძლიერ ნუ შეიყვარებ ნახელავს და განზრახულს შენსას; მუდამ გახსოვდეს, ჭეშმარიტი ხსნა ნოლდორთა არს დასავლეთით და მოდის იგი ზღვიით». თუმცა, ამპარტავნობას მოეცვა ტურგონი, გონდოლინი ელფთა მშვენიერ ტირიონს აგონებდა

და მართალია, თავად ვალა აფრთხილებდა, ქალაქის ფარულობისა და სიმტკიცის მაინც სჯეროდა. ნირნაეთ არნოედიადის შემდეგ მისი ხალხი ელფთა და კაცთა გასაჭირში აღარ ერეოდა და არც ამანისკენ მიმავალი ხიფათიანი და ფათერაკიანი გზის გავლა სწაღდათ. უგზო-უკვლო და მოჯადოებული მთებით გარშემორტყმულნი, თავიანთ სამეფოში არავის

უშვებდნენ, თუნდაც საძულველი მორგოთის მიერ ყოფილიყო იგი დევნილი. სამეფოს საზღვრებს გარეთ მდებარე ქვეყნებიდან ცნობები მათთან იშვიათად აღწევდა და მცირე ყურადღებას აქცევდნენ, ხოლო მათი საიდუმლო სამყოფელი სხვათათვის უცნობი იყო და მის არსებობაზე მხოლოდ ყურმოკვრით სმენოდათ. მაგლინი ტუორს შეეწინააღმდეგა და მისი სიტყვები უფრო დამაჯერებელი ეჩვენა მეფე ტურგონს. ამგვარად, ულმოს რჩევა ყურად არ იღო მან და გონდოლინიდან გაქცევაზე უარი თქვა. თუმცა, ვალა გაფრთხილებამ დიდი ხნის წინ არამანის ნაპირზე წარმოთქმული სიტყვები გაახსენა და მის გულში ღალატის შიში გაჩნდა. ტურგონის ბრძანებით გარემომცველ მთებში შესასვლელი საიდუმლო კარი დაიხშო და ვიდრე გონდოლინი მტკიცედ იდგა, იქიდან აღარავინ გასულა – არც საომრად და არც სამშვიდობოდ. ახალი ამბები მათთვის არწივთა მეუფე თორონდორს მიჰქონდა. სწორედ მან აუწყა ტურგონს ჯერ ნარგოთრონდის დაცემის, ხოლო შემდეგ თინგოლისა და მისი მემკვიდრე დიორის მოკვლისა და ღორიათის დაქცევის შესახებ. თუმცა მეფემ ამ ავ ცნობებს წაუყრუა და დაიფიცა, ფეანორის არც ერთი ძის მხარდამხარ აღარასოდეს გავალ საბრძოლველად, ხოლო თავის ხალხს მთებს იქით გადასვლა სასტიკად აუკრძალა.

ტუორი გონდოლინში დარჩა. რამეთუ სილამაზემ და სიბრძნემ გონდოლინდრიმთა მოხიბლა იგი. გარეგნულად და გონებრივად კიდევ უფრო დამშვენდა ტუორი, ამანიდან გადმოსახლებულ ელფთა ცოდნას დაეუფლა და ღრმად განსწავლული შეიქნა. მაშინ შეიყვარა ტუორი იდრილმა და იდრილი – ტუორმა. ხოლო მაგლინის უფრო ძლიერ შესძულდა ტუორი, რამეთუ ამქვეყნად ყველაზე მეტად იდრილის, გონდოლი-

ნის მეფის ერთადერთი მემკვიდრის დაუფლება სურდა მას. თუმცა ტურგონი დიდ პატივს სცემდა ტუორს და იმდენად ღირსეულად მიაჩნდა იგი, რომ გონდოლინში დასახლებიდან მეშვიდე წელს, როცა ტუორმა ქალიშვილის ხელი სთხოვა, მეფე დათანხმდა; მართალია, ულმოს თხოვნა ყურად არ იღო ტურგონმა, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ ნოლდორთა ბედი ულმოს გამოგზავნილის ხელში იყო. არც ის სიტყვები დავიწყებოდა, ურიცხვი ცრემლის ბრძოლიდან გონდოლინის ლაშქრის უკან დახევამდე რომ უთხრა ჰუორმა.

ელფისა და ადამიანის მეორე შეუღლება, ტუორისა და იდრილის ქორწინება დიდი ღონისძიებით აღნიშნეს; ყველა ხარობდა მათი ბედნიერებით, გარდა მავგლინისა და მისი იღუმალი მიმღვერებისა.

მომღვენო წლის გაზაფხულზე გონდოლინში იშვა ეარენდილ ნახევარელფი, ძე ტუორისა და იდრილ კვლებრინდალისა. ნოლდორთა შუახმელეთში მოსვლიდან ხუთას სამი წელი გასულიყო. გამორჩეულად ლამაზ ეარენდილს ზეციური ნათელი დასთამაშებდა სახეზე; ელდართა მსგავსად მშვენიერი და გონიერი იყო და უძველეს კაცთა მსგავსად – ღონიერი და მტკიცე. მუდამ ტალღების ხმაური ჩაესმოდა ყურში და ზღვისკენ მიუწევდა გული, ვითარცა მამამისს.

სიხარულისა და მშვიდობის ხანა ედგა გონდოლინს; არავინ იცოდა ფარული სამეფოს სამყოფელი, ვიდრე გარემომცველ მთებთან მდგარი, ჩახერგილი და დახშული საიდუმლო შესასვლელის ამოდ მაძებარი

ჰურინის სასოწარკვეთილმა შეძახილმა არ გაამჟღავნა. მაშინ ანახსა და სირიონის ზემოწელს შორის მდებარე მთიან მხარეს მიაპყრო მორგოთმა მზერა. არწივთა სიფხიზლის გამო მისი მსტოვარნი და ურჩხულნი მთებთან მიახლოებას ჯერ ვერ ბედავდნენ და მორგოთის ბოროტი განზრახვის აღსრულება კარგა ხნით გადაიდო. ხოლო იდრილ კვლებრინდალი ბრძენი და წინდახედული იყო, ავი წინათგრძნობა გაუჩნდა და საავდრო ღრუბელივით გადაეფარა მის გულს. მისი ბრძანებით საიდუმლო გზა გაიყვანეს ტუმლადენის ველის ქვეშ. გზა ქალაქის გალავ-

ნიდან შორს, ამონ გუარეთის ჩრდილოეთით ამოდიოდა. გზის გაყვანი-
სას ისე ფრთხილობდნენ, რომ მაეგლინს არაფერი შეუტყვია.

ეარენდილის ბავშვობისას მაეგლინი დაიკარგა. როგორც უკვე ითქვა,
მაეგლინს ყველაფერზე მეტად ლითონთა მოპოვება და საომარ თუ სამ-
შვიდობო ნივთთა ჭედვა უყვარდა; მისი მეტაურობით ელფები ქალაქი-
დან მოშორებით აღმართული მთების მალაროებში მუშაობდნენ. ხში-
რად მაეგლინი და მისი შეგირდები გარემომცველი მთების იქითაც გა-
დადიოდნენ. მიხვდა ტურგონ მეფე, რომ მაეგლინმა მისი ბრძანება და-
არღვია. ბედმა ასე ინება, რომ მაეგლინი ორკებმა შეიპყრეს და ანგბან-
დში წაიყვანეს. მაეგლინი ლაჩარი და სუსტი არ იყო, მაგრამ ტანჯვა-წა-
მებას მაინც ვერ გაუძლო; გატყდა იგი, სიცოცხლისა და თავისუფლების
სანაცვლოდ მორგოთს გონდოლინის ადგილსამყოფელი გაუმხილა და
იქამდე მისასვლელი გზებიც მიასწავლა. ფრიად გაიხარა მორგოთმა, მა-
ეგლინს დაჰპირდა, ერთგულებასა და მორჩილებას თუ შემომფიცებ,
როცა ქალაქს დავიპყრობ, გონდოლინის მმართველად დაგნიშნავ და
იდრილ კელებრინდალს შენსას გავხდიო. იდრილისადმი ლტოლვამ და
ტუორის მიმართ სიძულვილმა მაეგლინს ადრეული დღეების უსაშინ-
ლესი დალატისკენ უბიძგა. მორგოთმა გონდოლინში გაგზავნა იგი, რა-
თა არავის არაფერი ეეჭვა და თან მაეგლინი შიგნიდან დახმარებოდა ან-
გბანდის ლაშქარს, როცა ქალაქზე თავდასხმის ჟამი მოაწევდა. სახეზე
ღიმილგადაფენილი და გულში ავიხაბულებული ცხოვრობდა მაეგლინი
მეფის სასახლეში, ხოლო იდრილი უფრო და უფრო ძლიერ გრძნობდა
წყვდიადის მოახლოებას.

დაბოლოს, როცა ეარენდილს შვიდი წელი შეუსრულდა, მორგოთმა
ბალროგების, ორკებისა და მგლების ლაშქარი გაგზავნა გონდოლინის
დასანგრევად; ანგბანდის ლაშქარს თან მიჰყვებოდნენ გლაურუნგის ნა-
შიერები – მრავალი მრისხანე დრაკონი. ჩრდილოეთის მხრიდან მიაღ-
გნენ გარემომცველ მთებს, რამეთუ ამ მხარეს მწვერვალები უფრო მაღა-
ლი იყო და ამით დაიმედებული გუმაგები არც ისე ფხიზლად დარაჯობ-
დნენ ქალაქს. იერიში დღესასწაულის, ზაფხულის ბჭეთა, დამდეგს და-

ამთხვიეს; გონდოლინის მცხოვრებლები აისის მოლოდინში ქალაქის გალავანზე შეგროვილიყვნენ, რათა სიმღერებით შეჰგებებოდნენ მზის ამოსვლას. თუმცა, წითელი ალი ჩრდილოეთით აენთო და არა – აღმოსავლეთით. მტერი გონდოლინის გალავანს შეუფერხებლად შემოერტყა. ელფ დიდებულთა და რაინდთა, მათ შორის, ტუორის, საქმენი საგმირონი დაწვრილებით გონდოლინის დაცემაშია მოთხრობილი. შეუპოვრად იცავდა მეფის კოშკს მისი საგვარეულო, სასახლის ეზოში ექთელიონ შადრევნისამ ბალროგთა მეუფე გოთმოგი განგმირა, მაგრამ თავადაც მისგანვე აღესრულა; ბოლოს კოშკი მაინც დაამხვეს და მის ნანგრევებში დაიღუპა ტურგონი.

ტუორმა დარბეული ქალაქიდან იდრილისა და ეარენდილის გაყვანა მოინდომა, მაგრამ მათ მაეგლინმა

დაადო ხელი. შეებრძოლა ტუორი მაეგლინს და ქალაქის გალავნიდან გადააგდო. სამჯერ შეენარცხა მაეგლინის სხეული ამონ გუარეთის კლდოვან კალთებს, ვიდრე ქვემოთ, ხანძარში დაინთქებოდა. შემდეგ ტუორმა და იდრილმა გადარჩენილები შეაგროვეს და იდრილის მომზადებული საიდუმლო გზით გაიპარნენ. იმ გზის შესახებ ანგბანდელმა სარდლებმა არაფერი იცოდნენ და არ ეგონათ, მათათა უმაღლესი მწვერვალებისკენ, ჩრდილოეთით, ანგბანდის მიმართულებით თუ ვინმე გაიქცეოდა. ხანძრის მხუთრი და ჩრდილოეთის დრაკონთა ცეცხლით აორთქლებული შადრევნებისა და წყაროების ოხშივარი სევდიან ნისლად ჩამოწვა ტუმლადენის ველზე. გვირაბიდან ამოსულ ტუორსა და სხვა გაქცეულებს ამ ნისლმა არგო, რამეთუ გვირაბის თავიდან მათათა ძირამდე შეუმჩნევლად მიაღწიეს და დიდი გაჭირვებითა და ტანჯვა-წამებით გადაიარეს სუსხიანი უღელტეხილი.

კირით თორონათი, არწივთა კლდეკარი ერქვა იმ საზარელსა და ვიწრო გასასვლელს, რომელიც უმაღლეს მწვერვალთა ჩრდილში მიიკლაკნებოდა; მისგან მარჯვნივ უფსკრული იყო, მარცხნივ ჩანჩქერი მიხტოდა სიცარიელეში. ვიწრობაში მათ ორკნი გადაეღობნენ, რამეთუ მორგოთს გარემომცველ მათათა ირგვლივ მეთვალყურენი დაეყენებინა; ჩასაფრე-

ბულთა შორის იყო ბალროგიც. ჩალისფერთმიანი გლორფინდელის, ოქროყვავილის გვარის გონდოლინელი დიდებულის სიმამაცეც კი ვერ უშველიდა დევნილთ, თორონდორი დროულად რომ არ გამოსჩენოდათ შემწედ.

მრავალი სიმღერა შეუთხზავთ მაღალი კლდის შვერილზე გამართული გლორფინდელისა და ბალროგის ორთაბრძოლის შესახებ; ორივენი უფსკრულში გადაიჩხენენ. ამასობაში ციდან არწივები დაეშვნენ და ორკები წივილ-კივილით უკუაქციეს. ყველანი დახოცეს ან ხრამში გადაყარეს და გონდოლინიდან გაპარულთა შესახებ მორგოთმა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შეიტყო. თორონდორმა უფსკრულიდან გლორფინდელის გვამი ამოიტანა და ვიწრობის გვერდით ქვათა ყორღანში დამარხეს; მოტიტვლებულ ქვებს შორის მწვანე ბალახმა და ყვითელმა ყვავილებმა გაიხარა და არ დამჭნარა, ვიდრე ქვეყნიერება გარდაიქმნებოდა.

ტუორის წინამძღოლობით გადარჩენილმა გონდოლინელებმა მთები გადაიარეს და სირიონის ველზე დაეშვნენ; დამქანცველი და საშიში ჭაობების გავლით სამხრეთისკენ იარეს, და ბოლოს, ნან-ტათრენს, ტირიფთა მხარეს მიაღწიეს. მდინარე სირიონში ჯერაც უღმოს ძალაუფლება ვრცელდებოდა და მისი ძალა იფარავდა დევნილთ. დაქანცულებმა მის ნაპირებთან მოითქვეს სული და ჭრილობები მოიშუშეს, მაგრამ გული მაინც სევდით ჰქონდათ სავსე. წლის მიწურულს ნან-ტათრენის ტირიფთა ქვეშ გონდოლინისა და იქ დახოცილ ელფთა, ქალწულთა, ცოლთა და მეფის მეომართა მოსახსენიებელი ნადიმი გამართეს და სიმღერებით ხოტბა შეასხეს გლორფინდელის გმირობას. ხოლო ტუორმა ეარენდილისთვის შეთხზა სიმღერა ნევრასტის ნაპირებთან წყალთა მეუფის, უღმოს გამოცხადების შესახებ. მასსა და მის ვაჟში კვლავ გაიდვიდა ზღვისადმი ლტოლვამ. ამიტომაც იდრილმა და ტუორმა დატოვეს ნან-ტათრენი და სამხრეთში სირიონის შესართავებისკენ გაემგზავრნენ. იქ მათი ხალხი ელუინგს, დიორის ასულსა და დორიათიდან გამოქცეულებს შეუერთდნენ. და როცა ბალარის კუნძულზე გონდოლინის დაცემისა და ტურგონის სიკვდილის შესახებ შეიტყვეს, შუახმელეთში მცხოვ-

რები ნოლდორების უზენაეს მეფედ გამოცხადდა ერეინიონ გილ-გალადი, ძე ფინგონისა.

ხოლო მორგოთმა იფიქრა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვა, რამეთუ ფეანორის ძეებსა და მათ ფიცს არ უფრთხოდა; პირიქით, მათ ქმედებებს მუდამ მორგოთისთვის მოჰქონდა სარგებელი. შავ გულში იცინოდა იგი, ერთი სილმარილის დაკარგვას არ ნანობდა, ასე ეგონა, მის გამო ელდართაგან უკანასკნელიც გაქრებიან შუახმელეთიდან და აღარ შემაწუნებენო. სირიონის შესართავებთან დასახლებულ ელფთა შესახებ იქნებ იცოდა კიდევ, მაგრამ მათ თავს არ ესმოდა და იცდიდა, ფიცი და ტყუილი როდის ამოქმედდებოდა. ხოლო დორიათიდან და გონდოლიდან დევნილთა ზღვისპირა სამოსახლო თანდათან იზრდებოდა; ბალარიდან მათ ხშირად სტუმრობდნენ კირდანის მეზღვაურნი და გემთა შენებასა და ზღვაოსნობას ასწავლიდნენ.

როგორც ამბობენ, სწორედ იმხანად წყალთა სიღრმეებიდან ამოვიდა ულმო და ვალინორს მივიდა, რათა ვალართათვის ელფთა გასაჭირი ეამბა. ვალარებს მოუწოდა, მიეტევებინათ ელფთათვის და მორგოთის ჩაგვრისაგან დაეხსნათ ისინი, ხოლო მორგოთისთვის წაერთმიათ სილმარილები, რამეთუ ახლა მხოლოდ მათში ყვაოდა ვალინორის ხეთა ნათელი. მანუე არ განძრეულა. თუმცა, აბა, ვის ძალუძს ჩასწვდეს მის განზრახვას?

როგორც ბრძენთ უთქვამთ, მაშინ დრო ჯერ არ მომწიფებულიყო და ქვეყნიერების დიად ძალთა გადარწმუნება შეეძლო მხოლოდ რჩეულს, რომელიც ელფთა და კაცთა სახელით წარდგებოდა ვალართა წინაშე და ითხოვდა შეწყალებასა და ცოდვათა მიტევებას; ხოლო ფეანორის ფიცისგან ნოლდორთა დახსნა აღბათ თვით მანუესაც არ შეეძლო, თუკი თავად ფეანორის ძეები არ იტყოდნენ უარს სილმარილებზე.

გამოხდა ხანი. სიბერის მოახლოება იგრძნო ტუორმა და უფრო გაუძლიერდა ზღვისადმი ლტოლვა. ააგო დიდი ხომალდი და უწოდა მას ეარამე, რაც ზღვის ფრთას ნიშნავს. იდრილ კვლებრინდალთან ერთად შორეულ დასავლეთში გაცურა მან და სამუდამოდ გაქრა თქმულებები-

დან და სიმღერებიდან. თუმცა, შემდგომ დღეებში მღეროდნენ, რომ მოკვდავ კაცთაგან ოდენ ტუორი მიაკუთვნეს უფროს მოდგმას და სათაყვანებელ ნოლდორთა შორის განამწესეს იგი. და ბედი მისი გამოეყო ბედისწერას კაცთა.

თავი ოცდამეოთხე. ამბავი ეარენდილის მოგზაურობისა და რისხვის ომისა

სირიონის შესართავებთან დასახლებულ ხალხთა მმართველი იყო ეარენდილი, რომელმაც ცოლად შეირთო მძვენიერი ელუინგი. ორი ძე ეყოლათ მათ, ელონდი და ელოსი – ნახევარელფნი. თუმცა, ეარენდილი მოუსვენრობას მოეცვა და აქეთა მიწების ნაპირების გამოკვლევა აღარ აკმაყოფილებდა. ის მთელი არსებით ილტვოდა ზღვის უკიდუგანო სივრცეებისკენ და ორი სურვილი გაუჩნდა გულში: ტუორისა და იდრილის საპოვნელად გაცურვა ეწადა და აღმოჩენა უკიდურესი ნაპირისა, რათა, ვიდრე მოკვდებოდა, ელფთა და კაცთა სახელით წარმდგარიყო დასავლეთში ვალართა წინაშე და მათთვის მოწყალება და შუახმელეთის გასაჭირისგან დახსნა ეთხოვა.

ეარენდილი სწრაფად დაუმეგობრდა ბრითომბარისა და ეგლარესტის ნავსაყუდლებიდან დევნილ და ბალარის კუნძულზე დასახლებულ კირდან ხომალდმშენებელსა და მის ხალხს. კირდანის დახმარებით ეარენდილმა ვინგილოტი – ქაფის ყვავილი, ულამაზესი ხომალდი ააგო, რომელსაც სიმღერებში ასხამენ ხოტბას: მისი ნიჩბები ოქროსფერი იყო, ნიმბრეთილის წიფლისგან გამოკვეთილი ფიცრები – თეთრი, ხოლო იალქნები – ვერცხლისფერი, ვითარცა მთვარე. «ეარენდილის სიმღერაში» წვრილადაა მოთხრობილი გამოუკვლევ ზღვებში და ფეხდაუდგმელ კუნძულებზე მისი მოგზაურობა; ხოლო ელუინგი ეარენდილს თან არ წაუყვანია და იგი სირიონის შესართავებთან დამწუხრებული ელოდა ძვირფასი მეუღლის დაბრუნებას.

ეარენდილმა ტუორი და იდრილი ვერ იპოვა; წყვდიადითა და გრძნეულებით დამარცხებულმა და პირქარებით უკუგდებულმა ვერც ვალინორის ნაპირებამდე მიაღწია. დაბოლოს, ისე ძლიერ მოენატრა ელუინგი, ბელერიანდის ნაპირებისკენ გაცურვა გადაწყვიტა. გული სიჩქარეს კარნახობდა, რამეთუ ავის მომასწავებელი სიზმრები ეხილა ძილში; ხოლო

ქარები, რომელთაც უწინ ფუჭად ებრძოდა, ახლა ისე სწრაფად აღარ უბერავდნენ, როგორც მას სურდა.

ამასობაში მადროსმა შეიტყო, რომ ელუინგი არ მომკვდარიყო, სირიონის შესართავებთან სახლობდა და სილმარილიც მას ჰქონდა. დორიათში ჩადენილი უღირსი საქციელის გამო თავიდან უქმად იცდიდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აღუსრულებელმა ფიცმა კვლავ შეაწუხა ის და მისი ძმები. მიმოფანტულნი კვლავ შეგროვდნენ და ნავსაყუდლებში მაცნეები გაგზავნეს მეგობრობის შესათავაზებლად, მაგრამ იმავდროულად სილმარილის მკაცრად მოსათხოვნად. ელუინგმა და მისმა ხალხმა უარი თქვეს დაეთმოთ სილმარილი, რომელიც ბერენს მოეპოვებინა და ლუთიენს ეკეთა; და რომლისთვისაც მშვენიერ დიორს სიცოცხლე მოუსწრაფეს. მით უმეტეს, ეარენდილი, მათი მმართველი ჯერაც არ დაბრუნებულიყო საზღვაო მოგზაურობიდან, ხოლო სილმარილს თავიანთი სახლებისა და გემებისთვის მშვიდობისა და წყალობის მომმადლებლად მიიჩნევდნენ. ელფთა შორის უკანასკნელად გაჩაღდა სასტიკი ძმათაკვლა; ეს იყო წყეული ფიცით გამოწვეული მესამე და ყველაზე დიდი უბედურება.

ფეანორის ცოცხალი ძეები გონდოლინიდან გადმოსახლებულთ და დორიათიდან დევნილთ მოულოდნელად დაესხნენ თავს და გაანადგურეს. იმ ბრძოლაში ფეანორის ძეებს ზოგიერთი მომხრე განუდგა, ზოგიც აუჯანყდა და, ბატონთა წინააღმდეგ ამხედრებულნი, ელუინგისთვის დახმარების შეთავაზებისთვის, დახოცეს. მადროსმა და მაგლორმა გამარჯვება მაინც მოიპოვეს. ფეანორის ძეთაგან ისინილა გადარჩნენ, რამეთუ ამროდი და ამრასი ბრძოლის ველზე დაეცნენ. სირიონის შესართავებთან მცხოვრებ ელფთა დასახმარებლად კირდანისა და ნოლდორთა უზენაესი მეფის გილ-გალადის ხომალდები გამოემუხრნენ, მაგრამ დაიგვიანეს. ელუინგი და მისი ვაჟები ვედარსად იპოვეს. იმ ბრძოლას გადარჩენილი ცოტა ხალხი გილ-გალადს შეუერთდა და ბალარის კუნძულზე გაჰყვა. მათგან შეიტყვეს, რომ ელრონდი და ელროსი დაექ-

ყვევებინათ, ხოლო სილმარილით მკერდდამშვენებული ელუინგი ზღვაში გადამხტარიყო.

ამგვარად, მეადროსმა და მაგლორმა სილმარილი ხელში ვერ ჩაიგდეს; თუმცა, ფეანორის ქვა არ დაკარგულა, რამეთუ ულმომ ტალღებიდან ამოიყვანა ელუინგი და დიდი, თეთრი ფრინველის იერი მისცა მას. ფრინველის გულმკერდზე ვარსკვლავით კამკაშებდა სილმარილი. ვრცელ წყლებს გადაუფრინა ელუინგმა და იპოვა ეარენდილი, ძვირფასი მეუღლე. ღამით, ხომალდის საჭესთან მდგარმა ეარენდილმა შეამჩნია იგი, ვინგილოტისკენ ქარის ფრთებით მფრინავი, ვითარცა თეთრი ღრუბელი სწრაფად დაღმავალი და, ვითარცა გზასაცდენილი ვარსკვლავი მკრთალად მოციმციმე. ასე მღეროიან, ციდან ჩამოვარდნილა ელუინგი, შეუსვენებლად ფრენისგან ძალაგამოცლილი, მაგრამ ეარენდილს დაუჭერია და გულში ჩაუკრავს. ხოლო მომდევნო დილას განცვიფრებულს უხილავს, რომ ფრინველი მის ცოლად გადაქცეულიყო და სახეზე თმაჩამოყრილს ღრმად ეძინა.

ძლიერ დაამწუხრა ეარენდილი და ელუინგი სირიონის ნავსაყუდლების დანგრევამ და ვაჟიშვილების შეპყრობამ; ეშინოდათ, ელონდსა და ელოროსს დაგვიხოცავნო. თუმცა, მაგლორმა შეიბრალა ბიჭები, კეთილად ეპყრობოდა მათ და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, შეუყვარდა ისინი.

თუმცა ეარენდილმა საბოლოოდ აიცრუა გული შუახმელეთზე, ხომალდი მიაბრუნა და კვლავ ვალინორის მოსაძებნად გაცურა, ოღონდ ამჯერად ელუინგი თან ახლდა. ეარენდილი ხშირად იდგა ხომალდის ცხვირზე და, რაც უფრო შორს მიიწევდნენ დასავლეთში, მით უფრო ძლიერ კამკაშებდა მის შუბლზე მიმაგრებული სილმარილი. ბრძენნი ამბობენ, სწორედ ამ წმინდა ქვამ გაუხსნა გზა მის ხომალდს იმ წყლებისკენ, სადაც ტელერთა გარდა არავის უცურავიაო. ეარენდილმა და ელუინგმა უკან მოიტოვეს მოჯადოებულ კუნძულთა ჯადო და ჩრდილიდან ზღვათა ჩრდილები და, ბოლოს და ბოლოს, თვალი შეავლეს ტოლ ერესეას, მარტოსულ კუნძულს, მაგრამ იქ არ შეყოვნებულან, ელდამა-

რის ყურეში ჩაუშვეს ღუზა. ტელერთ შორიდან შეამჩნიეს აღმოსავლეთიდან მცურავი ხომალდი და გაკვირვებულნი უყურებდნენ ელვარე სილმარილს. შემდეგ ეარენდილმა, პირველმა მოკვდავ კაცთაგან, უკვდავთა მიწაზე დადგა ფეხი და გამოუღლაპარაკა ელუინგსა და სამ ერთგულ ზღვაოსანს, რომლებიც მასთან ერთად დაცურავდნენ ვინგილოტით. ესენი იყვნენ: ფალათარი, ერელონტი და აერანდირი. და უთხრა ეარენდილმა მათ: «ჩემ გარდა ამ მიწაზე ფეხი არავინ დადგათ, თორემ ვალართა რისხვას დაიტუნთ! ელფთა და კაცთა მოდგმის სახელით, მხოლოდ მე ვეცდები ამ ხიფათის გავლას!»

ხოლო ელუინგმა მიუგო: «ასე ხომ ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყოფა. ყველა ხიფათს მეც შენთან ერთად გავივლი». და ამ სიტყვებით ხომალდიდან გადახტა და ეარენდილთან მიირბინა. ხოლო ეარენდილი დამწუხრდა, რამეთუ დასავლეთის მეუფეთ უფროთხოდა, ვაითუ ამანზე უნებართვოდ შეჭრისთვის შუახმელეთს განურისხდნენო. ცოლ-ქმარი ზღვაოსნებს გამოეთხოვნენ და ისინი აღარასოდეს უნახავთ.

შემდეგ ეარენდილმა უთხრა ელუინგს: «აქ დამელოდე; რამეთუ მხოლოდ ერთს ძალუძს წარდგეს მაცნედ ვალართა წინაშე და ეს მაცნეობა მე მადევს ვალად».

ეარენდილი მარტო გაუდგა გზას და მივიდა კალაკირიას, რომელიც ცარიელი და მდუმარე დახვდა. ვითარცა უხსოვარ დროს, მორგოთისა და უნგოლიანტის მოსვლისას, ახლაც ზეიმისა და ღვინის ჟამი იდგა ვალინორში. თითქმის ყველა ელფი ვალმარს წასულიყო ან ტანიქუეტილზე მანუეს დარბაზებში შეგროვილიყო; ტირიონის კედლებზე ცოტანი დაეტოვებინათ საგუშაგოდ.

გუშაგებმა შორიდან შენიშნეს ეარენდილი, რამეთუ ძლიერ ბრწყინავდა მისი სილმარილი. ვალიმარში გაეშურნენ გუშაგნი ნანახის საუწყებლად. ხოლო ეარენდილი ტუნის თხემზე ავიდა და იქაურობა დაცარიელებული აღმოაჩინა, ტირიონის ქუჩებში არავინ შეხვედრია. გული დაუმძიმდა, იფიქრა, კურთხეულ სამეფოს რაღაც ავი შემთხვევითი. გრძელ თეთრ კიბეზე ასვლა დაიწყო. საფეხურებზე მიაბიჯებდა და ტან-

საცმელსა და ფეხსაცმელზე ბრილიანტის მტვერდაფენილი, ბრწყინავდა და ანათებდა. კაცთა და ელფთა ენაზე ეძახდა ტირიოონის მკვიდრთ, მაგრამ არავინ პასუხობდა. ბოლოს ისევ ზღვისკენ მიტრიალდა და სანაპიროზე დაბრუნებას აპირებდა, როცა ბორცვზე ვიღაც ამოვიდა და ხმა-მალლა დაუძახა:

«სალამი, ეარენდილ, სახელგანთქმულო ზღვაოსანო, უეცრად გამოჩენილო ნანატრო სტუმარო, ვისაც ასე დიდხანს ველოდით! სალამი, ეარენდილ, მზესა და მთვარეზე უხნესი შუქის მპყრობელო! დედამიწის შვილთა მშვენებავ, სიბნელის გამნათებელო ვარსკვლავო, დაისის აღმასო და დილის სხივოსანო!»

ეს იყო ეონუე, მაცნე მანუესი, რომელიც ვალიმარიდან გამოეგზავნათ, რათა ეარენდილი არდის დიად ძალთა წინაშე წარსადგომად წაეყვანა. ეარენდილი ვალიმარის სასახლეში შევიდა და მას შემდეგ კაცთა მიწაზე აღარასოდეს დაუდგამს ფეხი. ვალარებმა ზღვიდან ულმო გამოიხმეს და ბჭობა გამართეს. ეარენდილმა მათ ილუვატარის უფროს და უმცროს შვილთა სათხოვარი აუწყა. ნოლდორთა სახელით შენდობა ითხოვა და შეემუდარა, შეეწყალებინათ გასაჭირში მყოფი ელფნი და კაცნი. მისი მუდარა შეისმინეს.

როგორც ამბობენ, როცა ეარენდილი ცოლის, ელუინგის, მოსაძებნად წავიდა, მანდოსმა მის სასაჯელზე ჩამოაგდო სიტყვა: «განა მოკვდავმა კაცმა უნდა იცოცხლოს მას შემდეგ, რაც უკვდავთა მიწაზე დადგა ფეხი?»

ხოლო ულმომ მიუგო: «ამისთვის გაჩნდა იგი ამქვეყნად. ერთი ეს მითხარ: ეარენდილი არს ძე ტუორისა ჰადორის სახლისა თუ ძე იდრილისა, ტურგონის ასულისა, ფინუეს სახლისა?»

მანდოსმა მიუგო: «თვით ნოლდორთ, რომელნიც ნებით გადასახლდნენ ამანიდან, ეკრძალებათ აქ ფეხის დადგმა!»

როცა ყველამ გამოთქვა აზრი, მანუემ განაჩენი გამოიტანა: «ილუვატარის შვილთა სიყვარულმა ეარენდილს ხიფათთან შეჭიდება გააბედვინა და არ ეგების, ამისთვის დაისაჯოს – არც ის და არც მისი ცოლი ელუ-

ინგი, რომელიც ქმრის სიყვარულით შეეჭიდა განსაცდელს. თუმცა, გარე მიწებზე ელფთა და კაცთა შორის ვედარასოდეს ივლიან ისინი. მაშ, მოისმინეთ ჩემი განაჩენი: ეარენდილს, ელუინგსა და მათ ვაჟიშვილებს ნებას ვრთავ, თავად აირჩიონ, რომელ მოდგმას დაუკავშირებენ თავიანთ სიცოცხლეს, რათა მათ მსგავსად განისაჯონ».

ეარენდილი დიდხანს არ დაბრუნებულა და შიშმა მოიცვა მართოდ დარჩენილი ელუინგი. ზღვის ნაპირზე ხეტიალისას ტელერთა ნავსაყუდელს ალქუალონდეს მიადგა. იქაური ტელერნი დაუმეგობრდნენ მას და ელუინგმა დორიათისა და გონდოლინის ამბები და ბელერიანდის გასაჭირის შესახებ მოუთხრო ტელერთ. სიბრალულითა და გაკვირვებით უსმენდნენ ელუინგს ისინი. ამასობაში ეარენდილიც დაბრუნდა და გედთა ნავსაყუდელში იპოვა ელუინგი. ცოტა ხნის შემდეგ ვალიმარში იხმეს ცოლ-ქმარი და იქ უხუცესი მეფის განაჩენი გააცნეს.

მაშინ ეარენდილმა უთხრა ელუინგს: «შენ აირჩიე, რამეთუ მე უკვე დამღალა ქვეყნიერებამ».

ელუინგმა ილუვატარის პირმშოთა ხვედრი აირჩია ლუთიენის გამო; და ეარენდილმაც ცოლს მიჰბაძა, თუმც კი კაცთა მოდგმასთან, მამის ხალხთა შორის ყოფნა ერჩია.

შემდეგ ვალართა თხოვნით, ეონუე ელდამარის ყურეში დატოვებულ სამ მეზღვაურთან მივიდა, ნავში ჩასხა და აღმოსავლეთში გაგზავნა ისინი, ვალარებმა ზურგის ქარი მოუვლინეს მათ ნავს. ხოლო ვინგილოტი აკურთხეს, ქვეყნიერების კიდესთან მიიტანეს და ღამის კარით ზეციურ ოკეანეებში საცურაოდ გაუშვეს.

შესახედად ლამაზი და უჩვეულო გაეხადათ ის ხომალდი; მოციმციმე, სუფთა და კაშკაშა შუქით იყო სავსე. საჭესთან ელფური პატიოსანი თვლების მტვრით აბრჭყვიალებული და სილმარილით შუბლდამშვენებული ეარენდილ ზღვაოსანი იდგა. შორს დაცურავდა ხომალდით ეარენდილი, უვარსკვლავებო სიცარიელეშიც ბედავდა შესვლას; ყველაზე ხშირად გამთენიისას ან შებინდებისას ჩანდა, აისზე და დაისზე აკიაფ-

დებოდა, როცა ქვეყნიერების მიღმიერი მოგზაურობიდან ვალინორში ბრუნდებოდა.

ზეციურ მოგზაურობაში ელუინგი ეარენდილს არ დაჰყვებოდა, რამეთუ ცივი და უგზო-უკვლო სიცარიელისა ეშინოდა, მიწა და ზღვასა და გორაკებზე მქროლავი საამო ნიავი ერჩივნა. მას ბელეგაერის კიდეზე თეთრი კოშკი აუშენეს და იმ კოშკისკენ დროდადრო დედამიწის ყველა ზღვის ფრინველი მიფრინავდა. ამბობენ, რომ ელუინგმა ფრინველთა ენა შეისწავლა; მას ხომ ერთხელ თავადაც ჰქონდა ფრინველის იერი, და ფრინველებისგან ფრენის ხელოვნებას დაეუფლა; ელუინგის ფრთები თეთრი და მოვერცხლისფრო-რუხი იყო. ზოგჯერ, როცა უკან დაბრუნებული ეარენდილი არდას უახლოვდებოდა, ელუინგი მასთან შესახვედრად მიფრინავდა. მაშინ მარტოსულ კუნძულზე მცხოვრებ რომელიმე მახვილთვალება ელფს იგი ეჩვენებოდა დაისზე ვარდისფრად აციმციმებულ თეთრ ჩიტად, რომელიც გახარებული დალივლივებდა ჰაერში ცაში გამოჩენილ ვინგილოტთან შესაგებებლად.

როცა ვინგილოტმა პირველად გაცურა ზეციურ ზღვაში, მის გამოჩენას არავინ ელოდა. შუახმელეთის მცხოვრებლებმა შორიდან დაინახეს მისი აკიაფება და გაოცდნენ; ნიშნად მიიღეს იგი და უწოდეს გილ-ესტელი, იმედის ვარსკვლავი. და როცა ახალი ვარსკვლავი სადამოსაც იხილეს, მადროსმა უთხრა მაგლორს, თავის ძმას: «უთუოდ სილმარილია, დასავლეთში რომ ანათებს!»

ხოლო მაგლორმა მიუგო: «თუკი ეს ის სილმარილია, ჩვენ თვალწინ ზღვაში რომ დაინთქა, მაშინ ვალარებს უნებებიან მისი ამოსვლა და დაე, გავიხაროთ; რამეთუ მის დიდებას ახლა მრავალი იხილავს და ავისაგან დაცული იქნება».

მაშინ ზეაღაპყრეს მზერა ელფებმა და სევდა გაუქარვდათ; ხოლო მორგოთი ეჭვებმა მოიცვა.

როგორც ამბობენ, მორგოთი დასავლეთიდან თავდასხმას არ ელოდა; გამარჯვებებით გაამპარტავნებულს ასე ეგონა, მასთან ღიად ომს ვერავინ გაბედავსო. ფიქრობდა, რომ ნოლდორნი სამუდამოდ გადაჰკიდა

დასავლეთის მეუფეებს, ნეტარებაში მცხოვრები ვალარნი თავიანთი კურთხეული სამეფოდან გარეთ აღარ იყურებოდნენ და არც შუახმელეთის ბედი ანაღვლებდათ. მისთვის, ვინც შეუბრალებელია, სიბრალული უცხო და წარმოუდგენელია. თუმცა ვალარებმა ლაშქარი შეკრიბეს, მათი თეთრი დროშების ქვეშ მიაბიჯებდნენ ვანიარნი, ინგუეს ხალხი, და ვალინორში დარჩენილი ნოლდორნი, რომელთა წინამძღოლი იყო ფინარფინი, ძე ფინუესი. ტელერთა უმეტესობას საომრად წასვლა არ სურდა, რამეთუ ალქუალონდში ძმათაკვლა და ხომალდთა დაწვა არ დავიწყებოდათ, მაგრამ დიორ ელუხილისა და მათივე მოდგმის ელფის, ელუინგის თხოვნა შეისმინეს და მეზღვაურები გამოგზავნეს. სწორედ მათ გადააცურეს ხომალდებით ვალინორის ლაშქარი ზღვის გადაღმა. თუმცა, თავად ზღვაოსნები ხომალდებზე დარჩნენ და აქეთა მიწებზე ფეხი არ დაუდგამთ.

შუახმელეთის ჩრდილოეთში ვალინორელთა ლაშქრობას ძველი თქმულებები მწირად აღგვიწერენ, რამეთუ მათთან ერთად აქეთა მიწებზე მცხოვრები და დატანჯული არც ერთი ელფი არ იბრძოდა; თუკი ოდესმე არსებობდა იმ დამანგრეველი ომის მატთანე, მას ჩვენამდე არ მოუღწევია. ის, რაც ცნობილია,

ელფებმა დიდი ხნის შემდეგ ამანში მოსახლე თანამოძმეებისგან შეიტყვეს. დასავლეთიდან მოსული ძღვევამოსილი ლაშქარი შუახმელეთში გადავიდა და ეონუეს საყვირების ხმამ შეძრა ცა. მათი საჭურვლის ელვარებამ ბელერიანდი გააჩახჩახა; ჭაბუკებივით მშვენიერი მრისხანე რაინდების ფეხქვეშ მთები ზანზარებდა.

დასავლეთისა და ჩრდილოეთის ლაშქართა შეტაკებას დიდ ბრძოლას ან რისხვის ომს უწოდებენ. მორგოთმა ურიცხვი მეომარი გამოიყვანა და ანფაუგლითმა ვერ დაიჭია ისინი. მთელი ჩრდილოეთი ომის ქარცეცხლში გაეხვია.

მორგოთმა დასავლეთის ლაშქარს მაინც ვერ სძლია. ბალროგები განადგურეს, მხოლოდ რამდენიმე გაიქცა და მიწის საძირკვლებთან მდებარე უღრმეს გამოქვაბულებს შეაფარა თავი. ორკთა უამრავი ლეგიონი

ჩალის ღერივით დაიწვა ხანძარში თუ ხმელი ფოთლებივით მოხვეტა მწველმა ქარმა. ცოტადა გადარჩა და დიდხანს აღარ შეუწუხებია ქვეყნიერება მათ სიმრავლეს. ელფთა მეგობარი ადამიანების სამი საგვარეულო, კაცთა წინაპარნი, ვალართა მხარეს იბრძოდნენ. ბარაგუნდისა და ბარაჰირის, გალდორისა და გუნდორის, ჰუორისა და ჰურიინის და სხვა მრავალი მმართველის სიკვდილის გამო შური იძიეს მათ. ხოლო აღმოსავლელი ადამიანები, ულდორისა და სხვა ბელადების მეთაურობით, მტრის ლაშქრის რიგებში იბრძოდნენ. ელფებს ეს არასოდეს დაავიწყდებათ.

საკუთარი ლაშქრის მარცხის შემხედვარე მორგოთი დაფრთხა და ანგბანდიდან გამოსვლას ვერ ბელავდა. სასოწარკვეთილმა უკანასკნელად გაიბრძოლა და ჯურღმულებიდან ფრთოსანი დრაკონები ამოუშვა. მეხვიით დაატყდნენ დრაკონები ვალართა ლაშქარს და უკუაქციეს.

თუმცა, დასავლელებს მშველელად ეარენდილი მოევიდინა. მის ხომალდს, ვინგილოტს, გარს ცის დიდი ფრინველნი შემოხვეოდნენ თორონდორის მეთაურობით. მთელი დღე და ღამე გრძელდებოდა ბრძოლა. მზის ამოსვლამდე ეარენდილმა დრაკონთა ლაშქრის სარდალი ანკალაგონ შავი განგმირა და ციდან ჩამოაგდო. თანგოროდრიმის კოშკებს დაენარცხა ანკალაგონი და ნანგრევად აქცია. ამასობაში მზე ამოვიდა და ვალართა ლაშქარმა იმარჯვა. თითქმის ყველა დრაკონი მოკლეს. მორგოთის ჯურღმულებს ჭერი ახადეს და დაანგრიეს. ვალართა მეომრები მიწის ქვეშ ჩაეშვნენ. მორგოთმა ლაჩრულად სცადა გაპარვა, მაგრამ უღრმეს მადაროებში კუთხეში მოიმწყვდიეს. მშვიდობა და შეწყალება ითხოვა. მას ფეხები მოჰკვეთეს და პირქვე დაამხვეს. როგორც მრავალი საუკუნის წინ, ახლაც ანგაინორის ჯაჭვით შეკრეს; მისი რკინის გვირგვინი გადაჭედეს და კისერზე უღლად დაადგეს, მუხლებამდე დაახრევიანეს თავი. გვირგვინიდან ორი სილმარილი მოხსნეს და, აკამკამებულნი, ეონუეს გადასცეს შესანახად.

ასე მოედო ბოლო ჩრდილოეთში მორგოთის მმართველობას და ანგბანდის ავი სამეფო დაიქცა. ღრმა დილეგებიდან ურიცხვი მონა გაათა-

ვისუფლეს; დღის სინათლეზე გამოსული ტყვეები განცვიფრებულები უყურებდნენ გარდაქმნილ ქვეყნიერებას. იმდენად სასტიკი იყო ჯახნი მეტოქეთა, რომ დასავლეთ შუახმელეთის ჩრდილოეთში მიწა დაიბზარა და უფსკრულებში ზღვის წყლები ჩაიღვარა. ყველგან

არეულობა და ხმაური მეფობდა; მდინარეებმა გეზი იცვალეს, ზოგი საერთოდ გაუჩინარდა. მთები ჩამოიქცა და მათ ადგილას ხეობები გაჩნდა; სირიონი სამუდამოდ გაქრა.

შემდეგ ეონუმ, უხუცესი მეფის მეზარაღემ ბელერიანდის ელფებს შუახმელეთის დატოვებისკენ მოუწოდა. მაედროსმა და მაგლორმა მისი მოწოდება არ შეისმინეს და, მართალია, უხალისოდ და ზანტად, მაგრამ ფიცის აღსასრულებლად მზადებას მაინც შეუდგნენ. თუკი სილმარილებს არ დაუთმობდნენ, ვალინორის გამარჯვებულ ლაშქართან შებრძოლებას აპირებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ მოუწევდათ ამხედრება. ძმებმა ელჩები გაუგზავნეს ეონუს და სთხოვეს, გადმოეცა მათთვის ძვირფასი ქვები, რომლებიც მათმა მამამ შექმნა საუკუნეთა წინ და მორგოთმა მოიპარა.

ეონუმ ფეანორის ძეებს შემოუთვალა, ფიცით დაბრმავებულებმა, იმდენი სიავე და სისასტიკე ჩაიღინეთ (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად დიორის მკვლელობასა და ნავსაყუდლების დანგრევას მიიჩნევდნენ), ამ ქვების ფლობის უფლება დაკარგეთო. ეონუე მაედროსსა და მაგლორს ვალინორში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა, რათა იქ ვალართა წინაშე წარმდგარიყვნენ და მათ განესაჯათ. სილმარილებსაც სამშობლოში დააბრუნებდნენ და იქ ვალარები გადაწყვეტდნენ, მათთვის რა ექნათ. მაგლორი დათანხმებას აპირებდა, რამეთუ სევდით დამძიმებოდა გული. და თქვა მან: «ფიცი მოცდას არ გვიკრძალავს, ხოლო ვალინორში შესაძლოა, შეცოდებანი შეგვინდონ და კუთვნილება უომრად დაგვიბრუნონ».

ხოლო მაედროსმა მიუგო, თუ ამანში დავბრუნდებით და ვალარნი არ შეგვიწყალებენ, ფიცისგან არ გავთავისუფლდებით, ხოლო მისი აღსრულების ყველანაირი იმედი გადაიწურებაო. და თქვა მან: «არავინ უწ-

ყის, რა საშინელი ბედი გვეწევა, თუკი ვალარებს მათსავე სამეფოში არ დავემორჩილებით ან ომის წამოწყებას მოვინდომებთ».

მაგლორი შეესიტყვა: «იქნებ თავად მანუემ და ვარდამ, რომელნიც დავიმოწმეთ, გაგვათავისუფლონ ფიცისგან?»

ხოლო მაედროსმა მიუგო: «კი მაგრამ, ქვეყნიერების მიჯნებს მიღმა ილუვატარს ვით მივაწვდენთ ხმას? ისიც ხომ დავიმოწმეთ სიმშაგით შეპყრობილებმა; თუ სიტყვას გადავიდეთ, დაე, მარადიული უკუნი დაგვატყდესო თავს, ასე დავიფიცეთ. ვინდა გაგვათავისუფლებს?»

მაშინ მაგლორმა უთხრა მას: «თუკი არავინ განგვხსნის ფიცისგან, ჭემმარიტად მარადიული უკუნი ყოფილა ჩვენი ხვედრი – თუნდ ადვასრულოთ ფიცი და თუნდ გავტეხოთ. ფიცის გატეხით ნაკლებ სიავეს ჩავიდენტ».

მაედროსმა მაინც დაითანხმა მაგლორი და სილმარილის ხელში ჩასაგდებად გეგმა დასახეს. შუნიდბულები მიადგნენ ღამით ეონუეს ბანაკს და სილმარილების საცავში შეიპარნენ. მცველები დახოცეს და

სილმარილები ხელთ იგდეს. მთელი ბანაკი წინ აღუდგა მათ და ძმები სიკვდილამდე ბრძოლისთვის გაემზადნენ. თუმცა, ეონუემ თავის მეომრებს ფეანორის ძეთა დახოცვის ნება არ დართო და მაედროსი და მაგლორი შორს გაიქცნენ. თითოეულს თითო სილმარილი მიჰქონდა. ასე თქვეს: «რაკი ერთი სილმარილი ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია, ხოლო ძმათაგან მხოლოდ ორნიდა დავრჩით, მამის დანატოვარ საგვარეულო რელიკვიას შუაზე გავიყოფთ».

თუმცა სილმარილმა ხელი დასწვა მაედროსს. მაშინ მიხვდა იგი, რომ ეონუეს სიმართლე ეთქვა, ძვირფასი ქვის ფლობის უფლება დაპყრობდათ ფეანორის ძეებს და ფიცისგან გათავისუფლებულიყვნენ. მწველი ტკივილითა და მწუხარებით შეპყრობილი მაედროსი ცეცხლით სავსე უფსკრულში გადახტა და ასე აღესრულა. მისი სილმარილი დედა-მიწის წიაღში დაინთქა.

ხოლო მაგლორმა, როგორც ამბობენ, სილმარილისგან გამოწვეულ ტკივილს ვერ გაუძლო და ზღვაში გადააგდო ძვირფასი ქვა. მას შემდეგ

ნაპირ-ნაპირ დაეხეტებოდა და დაღონებული, სინანულით უმღერდა ტალღებს. დაერონ დორიათელის შემდგომ ადრეულ დღეთა უპირველეს მომდერლად მიიჩნევდნენ მაგლორს. ის აღარასოდეს დაბრუნებულა ელფებთან. ამგვარად, მრავალწლიანი მოგზაურობის შემდეგ სილმარილებმაც პოვეს თავშესაფარი: ერთმა – ჰაერში, მეორემ – დედამიწის ცეცხლოვან გულში, მესამემ – წყლის სიღრმეში.

იმხანად დასავლეთი ზღვის ნაპირებზე მრავალი ხომალდი ააშენეს და იქიდან მრავალმა ელდამ გაცურა ამანში და ტანჯვითა და ომით აღსავსე მიწებზე აღარასოდეს დაბრუნებულა. ვანიარნი გამარჯვებულნი დაბრუნდნენ ვალინორში; თუმცა, გამარჯვების სიხარულს მორგოთისთვის წართმეული სილმარილების დაკარგვა აკნინებდა; ხოლო სამივე სილმარილის პოვნა და გაერთიანება მხოლოდ ქვეყნიერების დანგრევითა და გარდაქმნითა იყო შესაძლებელი.

დასავლეთში დაბრუნებული ელფები ამანსა და შუახმელეთს შორის მდებარე ტოლ ერესეაზე, მარტოსულ კუნძულზე დასახლდნენ. იქიდან ვალინორსაც სტუმრობდნენ. ვალარებმა შეიწყალეს ისინი და კვლავ მანუეს სიყვარული დაიმსახურეს. ტელერებმა მიუტევეს ძველი ბოროტქმედებანი მათ და წყევლა აქნსნათ.

თუმცა, ელდალიეთაგან ყველამ როდი მოისურვა დატოვება აქეთა მიწებისა, სადაც დიდხანს იტანჯებოდნენ და ცხოვრობდნენ. მრავალი მათგანი კიდევ მრავალ საუკუნეს ცხოვრობდა შუახმელეთში. მათ შორის იყო კირდან ხომალდმშენებელი, კვლებორნ დორიათელი და მისი ცოლი გალადრიელი – ამბოხებულ ნოლდორთა წინამძღოლებიდან ისდა გადარჩა ცოცხალი. შუახმელეთში სახლობდა გილ-გალადი, უზენაესი მეფე; მასთან იყო ელრონდ ნახევარელფი, რომელმაც მისთვის ბოძებული უფლება გამოიყენა და ელდართა ხვედრი აირჩია. ხოლო ელროსმა, მისმა ძმამ, კაცთა შორის ყოფნა არჩია. სწორედ ამ ძმათაგან გადაეცა კაცთა მოდგმას პირველშობილთა სისხლი და მათი მეშვეობით არდაზე უხნეს სულებს ენათესავებიან. რამეთუ ისინი იყვნენ ძეები ელუინგისა, დიორის ასულისა, ძისა ლუთიენისა,

თინგოლისა და მელიანის შვილისა; ხოლო ეარენდილი, მათი მამა იყო ძე იდრილ კელებრინდალისა, ტურგონ გონდოლინელის ასულისა.

ხოლო მორგოთი, ვალა, დამის კარით ქვეყნიერების კედლებს მიღმა უდროო სიცარიელეში გააძვევს. კედლებზე გუშაგნი დააყენეს, ხოლო ცის გალავანს ეარენდილი სდარაჯობს. თუმცა ტყუილები, რომლებიც მელკორმა, დიადმა და წყუელმა მორგოთ ბაუგლირმა კაცთა და ელფთა გულებში დათესა, კვლავაც ღვივის და არასოდეს ამოიძირკვება; ზოგჯერ ხელახლა აღმოცენდება და ბნელ ნაყოფს გამოიღებს უკანასკნელ დღეებამდე.

აქ მთავრდება სილმარილიონი. დიდებითა და მშვენიერებით დაიწყო იგი და სიბნელითა და ნგრევით დასრულდა, რამეთუ ასეთი იყო ბედისწერა წახდენილი არდისა. შესაძლოა, ერთხელაც წახდენილი კვლავ გამოსწორდეს და გამოკეთდეს, მაგრამ როდის, მხოლოდ მანუესა და ვარდასთვის არის ცნობილი და არავის უმხელენ. ეს არც მანდოსის წინასწარმეტყველებებში გაცხადებულა.

აკალაბეთი. ნუმენორის დაცემა

როგორც ელდარნი ამბობენ, კაცნი მორგოთის სიბნელის ჟამს მოველინენ ქვეყნიერებას და მალევე მოექცნენ მისი გავლენის ქვეშ. მორგოთმა ჯაშუშები გაგზავნა მათთან და კაცთა მოდგმამ მისი ავი და ცბიერი სიტყვები შეისმინა. წყვილიად ეთაყვანებოდნენ ისინი და, იმავდროულად, უფრთხოდნენ. თუმცა, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ბოროტს რომ განუდგნენ, კაცთა ქვეყნები დატოვეს და დასავლეთით გაემგზავრნენ, რამეთუ ყური მოეკრათ, დასავლეთში დაუბნელებელი ნათელი სუფევსო. მორგოთის მსახურები სასტიკად დევნიდნენ მათ და გრძელი და ფათერაკებიანი გზის გავლა მოუხდათ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ზღვისპირა მხარეებამდე მიაღწიეს და სილმარილების ომის ჟამს ბელერიანდში შევიდნენ. სინდართა ენაზე კაცთა ამ ტომებს ელაინნი უწოდეს; ელდართა მეგობრებად და მოკავშირეებად იქცნენ ისინი და მორგოთთან ომში გასაოცარი გმირობანი ჩაიდინეს.

მამის მხრიდან კაცთა შთამომავალი იყო კაშკაშა ეარენდილი; ეარენდილის სიმღერაში მოთხრობილია, როგორ ააგო მან ხომალდი ვინგილოტი, რომელსაც კაცნი როთინზილს უწოდებდნენ და, როცა მორგოთის სრული გამარჯვება ყველას გარდაუვალი ეგონა, გაუკვალავი ზღვებით ვალინორისკენ გაცურა. ილუვატარის უფროს და უმცროს შვილთა სახელით წარდგა ვალართა წინაშე და მიტევება და გასაჭირიდან დახსნა სთხოვა მათ. ეარენდილმა საწაღელს მიაღწია და დასავლეთის მეუფეებმა ვალინორიდან ლაშქარი გამოგზავნეს. ამის გამო ელფნი და კაცნი ეარენდილ დალოცვილს უწოდებენ. თავად ეარენდილი შუახმელეთში აღარ დაბრუნებულა.

დიდ ბრძოლაში, როცა მორგოთი დაამხვეს და თანგოროდრიმი დაანგრის, ვალართა მხარეზე მხოლოდ ელაინნი იბრძოდნენ, ხოლო კაცთა სხვა ტომები მორგოთს ემხრობოდნენ. დასავლეთის მეუფეთა გამარჯვების შემდეგ მორგოთის მომხრეთაგან გადარჩენილნი აღმოსავლეთში გაიქცნენ. იქ ჯერ კიდევ მომთაბარეობდნენ მათი ველური თანა-

მოდმეები, რომლებიც არც ვალართა და არც მორგოთის მოწოდებას არ გამოხმაურებიან. ბელერიანდიდან დაბრუნებულმა ავმა ადამიანებმა დააშინეს ისინი, დაიმორჩილეს და თავი მათ მეფეებად გამოაცხადეს. ვალართაგან მცირე ხნით მივიწყებული ეს ადამიანები ბედის ანაბარა ცხოვრობდნენ წყვდიადში და მორგოთის მიერ მისი მეუფების ჟამს შექმნილ ბოროტ არსებათაგან – დემონთაგან, დრაკონთაგან, ურჩხულთა და ილუვატარის შვილთა უხემ მინაბაძთაგან, ბინძურ ორკთაგან – იდევნებოდნენ. უბედური ხვედრი ერგოთ ადამიანებს.

ხოლო მანუემ მორგოთი ქვეყნიერების მიჯნებს გარეთ, სიცარიელეში გააძევა. სანამ დასავლეთის მეუფენი მბრძანებლობენ, მორგოთი ხილული იერით ქვეყნიერებაში ვეღარ დაბრუნდება. თუმცა, მისი დათესილი ბოროტება კვლავაც ხარობდა და ყვავილობდა, და თუკი ვინმე მოუვლიდა, შავ ნაყოფსაც გამოიღებდა. მორგოთის ნება შუახმელეთში დარჩა და მის მსახურებს მეგზურობდა, ვალართა და მათ მომხრეთა წინააღმდეგ აღძრავდა. დასავლეთის მეუფეებს ეს კარგად მოეხსენებოდათ და მორგოთის გაძევების შემდგომ მომავალ ეპოქებზე სათათბიროდ შეიკრიბნენ. ელდარებს დასავლეთში უხმეს და ვინც მოვიდა,

კუნძულ ერესეაზე დაასახლეს. იმ კუნძულზე ერთი ნავსადგურია, რომელსაც ავალონე ჰქვია, და ვალინორთან უახლოესია; ზღვაოსანი, რომელიც უკვდავთა მიწებს უახლოვდება, უწინარესად ავალონეს კომკს მოჰკრავს თვალს. კაცთა წინაპრები, ედაინთა ერთგული სამი საგვარეულო უხვად დაჯილდოვდა. ეონუე ასწავლიდა მათ და დიდ ცოდნასა და სიბრძნეს დაეუფლნენ; სხვა მოკვდავებზე უფრო ხანგრძლივი სიცოცხლეც მიენიჭათ. ედაინთა დასასახლებლად კუნძული შეიქმნა, რომელიც ვალინორსა და შუახმელეთს შორის, მაგრამ ვალინორთან უფრო ახლო მდებარეობდა. ოსემ ამოსწია იგი დიდი წყლის სიღრმიდან, აულემ გაამყარა და იავანამ გაანოყიერა; ელდარებმა ტოლ ერესეადან ყვავილები და შადრევენები მოიტანეს. ვალარებმა მას ანდორი, ნაჩუქარი ქვეყანა უწოდეს. დაბოლოს, დასავლეთში, ეარენდილის ვარსკვლავი

მკვეთრად აკაშკაშდა ნიშნად ყოველივეს მზაობისა და მეგზურად ზღვა-ოსანთა.

ვარსკვლავის მეგზურობით კუნძულისკენ გაცურეს ედაინებმა. ვალარებმა ზღვის მღელვარება მრავალი ღლით დააცხრეს და მზის შუქი და ზურგის ქარი მოუვლინეს მოგზაურთ. მრავალი ეჯი გადალახეს ედაინებმა და როგორც იქნა, შორიდან შეამჩნიეს მათთვის გამზადებული კუნძული, თხელ ნისლში ოქროსფრად მოციმციმე ანდორი, ნაჩუქარი ქვეყანა. ნაპირზე გადასხდნენ ედაინი, იხილეს მშვენიერი და ნაყოფიერი ქვეყანა და გაიხარეს. იმ მიწას ელენა, ვარსკვლავის მხარეს მდებარე, უწოდეს; აგრეთვე ანადუნე, რაც ნუმენორედ, შორდასავლეთად ითარგმნება ელდართა უხენაეს ენაზე.

ეს იყო დასაბამი ნუმენორელებისა, კაცთა შორის მეფეებისა, ხალხისა, რომელთა რუხი ელფები ღუნედაინებს უწოდებენ. მართალია, ილუვატარმა კაცთა მოღგმა მოკვდავად შექმნა და ვერც ღუნედაინი გაუბოდნენ სიკვდილს, მაგრამ სხვა ტომთა ხალხზე ხანგრძლივად ცოცხლობდნენ და არ ავადმყოფობდნენ, ვიდრე წყვილი არ გადაეფინებოდათ. დიდად განსწავლულნი შეიქნენ და სხვა კაცთაგან სწორედ ისინი დაემსგავსნენ პირველშობილთ ყველაზე მეტად. ტანად შუახმელეთში მოსახლე ადამიანებზე მაღლები იყვნენ, ღია ფერის თვალები ვარსკვლავებოვით უკიაფებდათ. თუმცა, ძალიან ნელა მრავლდებოდნენ – მშობლებზე უმშვენიერესი ძეები და ასულები ჩნდებოდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა მცირე იყო.

ნუმენორის მთავარი ქალაქი-ნავსადგური მის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა და ანდუნე ერქვა, რამეთუ დასავლეთს გაჰყურებდა. კუნძულის შუაგულში მაღალი და ციცაბო მთა იდგა – მენელტარმა, ანუ ზეცის ბურჯი. მის მწვერვალზე ღია და უჭერო ტაძარი იდგა. ერუ ილუვატარს ეკურთხებინა ის და მის გარდა ნუმენორში სხვა წმინდა სახლი არ იყო. მთის ძირას მეფეთა აკლდამები აეშენებინათ, ხოლო იქვე ახლოს, ბორცვის ფერდობებზე უმშვენიერესი ქალაქი არმენელოსი იყო შეფენი-

ლი. არმენელოსში ვალართა მიერ ღუნედაინთა პირველ მეფედ დანიშნული ელროსის, ეარენდილის ძის აგებული კოშკი და სიმაგრე იდგა.

ელროსი და ელრონდი ედაინთა სამი საგვარეულოს შთამომავლებად ითვლებოდნენ, მაგრამ ნაწილობრივ – ელდარებისა და მაიარებისადაც; რამეთუ იდრილ გონდოლინელი და ლუთიენი, ასული მელიანისა, მათი წინაპრები იყვნენ. ვალარებს კაცთა მოდგმისთვის სიკვდილის ძღვენის წართმევა არ ძალუძდათ,

მაგრამ ნახევარელების შემთხვევაში ილუვატარმა მათ საკუთარი სურვილისამებრ განსჯის უფლება მისცა. და ვალარებმაც არჩევანი შესთავაზეს ეარენდილის ძეებს. ელრონდმა პირველშობილებთან დარჩენა აირჩია და მას პირველშობილთა უკვდავება მიანიჭეს; ხოლო ელროსი, რომელმაც კაცთა მეფობა აირჩია, ხანგრძლივი სიცოცხლით დააჯილდოვეს. მისი შთამომავლები, მეფეები და სამეფო გვარის დიდებულები, ნუმენორელთა კვალობაზეც კი დიდხანს ცოცხლობდნენ. ელროსმა ხუთას წელს იცოცხლა და ოთხას ათი წელი განაგებდა ნუმენორს.

გადიოდა წლები, შუახმელეთი კნინდებოდა, მისი ნათელი და სიბრძნე მცირდებოდა, ხოლო ღუნედაინნი ვალართა მფარველობის ქვეშ სახლობდნენ, ელდარებთან მეგობრობდნენ და ტანად და გონებრივად იზრდებოდნენ და მშვენიდებოდნენ. მართალია, საკუთარი ენა გააჩნდათ, მაგრამ მათი მეფეები და დიდებულები ელდართა ენაზეც მეტყველებდნენ და ერესეაზე ან შუახმელეთის დასავლეთ ქვეყნებში მცხოვრებ ელფებს ესაუბრებოდნენ. ნუმენორელმა მემატიანებმა და მწიგნობრებმა კურთხეული სამეფოს ელდართა უზენაესი ენაც შეისწავლეს და ყველა იმ თქმულებასა და სიმღერას გაეცნენ, რაც კი ქვეყნიერების დასაბამიდან შეეთხზათ. მრავალი წიგნი, გრაგნილი და ჩანაწერი დაიწერა მათი სამეფოს დიდების ჟამს, თუმც დღეს ყოველივე დავიწყებულია. ამიტომაც იყო, რომ საკუთარი სახელების გარდა, ნუმენორელი დიდებულები და მთავრები ელდარულ სახელებსაც ირქმევდნენ; ორორი სახელი ერქვა ნუმენორსა და აქეთა მიწების ნაპირებზე მათ მიერ დაარსებულ ქალაქებსა და დასახლებებს.

იმდენად დახელოვნებული ოსტატები გახდნენ ნუმენორელები, რომ მოენდომებინათ, ომის და საომარი იარაღების წარმოებაში შუახმელეთის ბოროტ მეფეებსაც გადააჭარბებდნენ; მაგრამ საბედნიეროდ, მშვიდობის მოყვარულები იყვნენ. ყველაზე უკეთ გამომშენებლობასა და ზღვაოსნობაში გაიწაფნენ; მათი მსგავსი მეზღვაურები აღარ არსებობენ ამჟვეყნად. შორს დაცურავდა ნუმენორელთა ხომალდები, მხოლოდ დასავლეთით ეკრძალებოდათ გაცურვა. ეს აკრძალვა ვალინორის მეუფეებმა დაუწესეს და ნუმენორელებიც ემორჩილებოდნენ მათ ბრძანებას, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზს ვერ ხვდებოდნენ. მანუეს არ სურდა, ნუმენორელებს ამანი მოეძებნათ და კურთხეულ სამეფოში მცხოვრებ ვალართა და ელდართა უკვდავების შეშურებოდათ.

იმხანად ვალარები ჯერაც ხილულ სამყაროში ცხოვრობდნენ; ილუვატარმა ნება დართო ვალარებს, დედამიწაზე ჰქონოდათ საცხოვრისი, მოსაგონრად იმ არდისა, რომლის შექმნაშიც ვალარებს მორგოთის წყვდიადმა შეუშალა ხელი. ნუმენორელებმა ეს მშვენივრად იცოდნენ; ხანდახან უღრუბლო ამინდში მზერამახვილ ნუმენორელთაგან ყველაზე შორსმხედველი მენელტარმის მწვერვალიდან ან ხომალდის მაღალი ანძიდან, აისზე, შორს, დასავლეთით თეთრად მოქათქათე ქალაქს, დიდ ნავსადგურსა და კომკს მოჰკრავდა თვალს. თუმცა, ბევრი ვერ ხვდებოდა, რომ ეს ვალინორის კურთხეული სამეფო კი არა, ავალონე იყო, უკვდავთა მიწების აღმოსავლეთით მდებარე ტოლ ერესეაზე მცხოვრებ ელდართა ნავსაყუდელი. იქიდან ზოგჯერ პირველშობილნი უნიჩბო ხომალდებით მოცურავდნენ ნუმენორში და მრავალი ძღვენი მოჰქონდათ: მგალობელი ჩიტები, სურნელოვანი ყვავილები და სამკურნალო მცენარეები. კელებორნის, ერესეას შუაგულში მზარდი თეთრი ხის ნერგიც მოიტანეს; ხოლო კელებორნი თავის მხრივ,

ტუნაზე მდგარი გალათილიონის, ტელპერიონის ხატების ნერგისგან იყო გაზრდილი. გამაღლდა და აყვავილდა ხე მეფის არმენელოსის სასახლეში და უწოდეს ნიმლოთი. საღამომობით შლიდა ყვავილებს და ღამის სიბნელეს კეთილსურნელებით ატკბობდა.

ამგვარად, ვალართა აკრძალვის გამო იმხანად ღუნედაინნი აღმოსავლეთით მიცურავდნენ და არა – დასავლეთით, ბნელი ჩრდილოეთიდან ცხელ სამხრეთში მიემართებოდნენ, ხოლო სამხრეთს იქით – ქვედა წყვდიადში; შიგა ზღვებამდეც მიაღწიეს და შუახმელეთს გარს შემოუარეს. ხანდახან დიდ მიწებზეც დგამდნენ ფეხს ღუნედაინნი; მიტოვებული შუახმელეთი ებრალებოდათ, იქ მცხოვრებ ადამიანებს კი ნუმენორის მმართველების ეშინოდათ. ნუმენორელებმა მათ ხვნა-თესვა, მარცვლეულის ფქვა, ხის ჭრა, ქვის თლა და საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგება ასწავლეს; შორდასავლეთიდან ხორბალი და ღვინო ჩამოიტანეს; ყოველ მხრივ ეხმარებოდნენ დღემოკლე და ბედნიერებას მოკლებულ თანამოძმეებს.

ნუგეშცემული შუახმელეთის ადამიანები გამხნევდნენ; დაუსახლებელ ნაპირებზე ალაგ-ალაგ ხშირმა ტყეებმა უკან დაიხია; კაცთა ტომებმა მორგოთის ნაშიერთა უღელი გადაიგდეს და წყვდიადის აღარ ეშინოდათ. ზღვიდან მოსულ ტანმაღალ მეფეებს ეთაყვანებოდნენ და, როცა ისინი წავიდნენ, ღმერთებად შერაცხეს; იმედს არ კარგავდნენ, რომ ღმერთები კვლავ დაბრუნდებოდნენ. იმჟამად ნუმენორელები შუახმელეთში დიდი ხნით არ რჩებოდნენ და არც დასახლებებს აარსებდნენ; აღმოსავლეთისკენ მიცურავდნენ, მაგრამ გული მუდამ დასავლეთისკენ მიუწევდათ.

ეს ლტოლვა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ძლიერდებოდა; ნუმენორელები შურით შეჰყურებდნენ უკვდავ ქალაქს და მარადიულ სიცოცხლეს ნატრობდნენ. სიკვდილისა და სიხარულის დასრულებისთვის თავის არიდების სურვილი მით უფრო მატულობდა მათში, რაც უფრო იზრდებოდა ნუმენორის დიდება და ძლევამოსილება. მართალია, ვალარებმა ხანგრძლივი სიცოცხლით დააჯილდოვეს, მაგრამ ამქვეყნიური დაღლილობით ძლეული ღუნედაინნი, ადრე თუ გვიან მაინც იხოცებოდნენ. იხოცებოდნენ ეარენდილის გვარის მეფენიც. ელდართათვის მათი სიცოცხლეც კი ხანმოკლე ჩანდა. ამგვარად, წყვდიადი გადაეფინა ნუმენორელთა გულსა და გონებას: მორგოთის ნება კვლავაც

მძლავრობდა ქვეყანაზე. ნუმენორელები ჯერ ჩურჩულით, შემდეგ კი ხმამაღლა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას კაცთა ხვედრისა და იმ ბრძანების გამო, რომელიც მათ დასავლეთში გაცურვას უკრძალავდა.

ერთმანეთს ეუბნებოდნენ: «რად უნდა ისხდნენ დასავლეთის მეუფენი იქ მარადიულად, ხოლო ჩვენ დავიხრცოთ, დავტოვოთ სახლი და ყოველივე, რაც კი შეგვიქმნია და წავიდეთ ყველასთვის უცნობ მხარეში? არც ელდარნი იხოცებიან, ისინიც კი, ვინც თავიანთ მეუფეებს აუჯანყდნენ! ყოველი ზღვა გამოვიკვლიეთ, არც ერთი არ არის იმდენად მღელვარე და ვრცელი, ჩვენმა ხომალდებმა რომ ვერ გადალახონ, რად არ უნდა წავიდეთ ავალონეში და ჩვენს მეგობრებს შევხვდეთ?»

ზოგი იმასაც კი ამბობდა, ამანში უნდა წავიდეთ და თუნდაც ერთი დღით მაინც ვიგემოთ ვალართა ნეტარებაო. ასე დასძენდნენ: «განა არდის ხალხთა შორის უძლიერესნი არა ვართ?»

ელდარებმა ამის შესახებ ვალარებს აცნობეს. მანუე დამწუხრდა, რამეთუ მიხვდა, ნუმენორის თავზე საავდრო დრუბლები გროვდებოდა. მან დუნედაინებს ელჩები გაუგზავნა. ელჩები მეფესა და მის ხალხს ქვეყნიერების ბედსა და მოწყობაზე ელაპარაკნენ.

«ქვეყნიერების ბედისწერის შეცვლა ოდენ მის შემოქმედს ძალუძს. თუნდაც დაუსხლტეთ ყოველ ხაფანგს და გადალახოთ ყოველი დაბრკოლება და მიაღწიოთ ამანის კურთხეულ სამეფოს, მაინც არას გარგებთ. რამეთუ მანუეს ქვეყანა კი არ აქცევს მის მცხოვრებთ უკვდავად, არამედ იქ მცხოვრებ უკვდავთაგან არის კურთხეული ქვეყანა იგი. იქ უფრო სწრაფად დაჭკნებით და დაიქანცებით, ვითარცა ფარვანები მეტისმეტად კამკაშა შუქზე».

ხოლო მეფემ ჰკითხა ელჩებს: «განა ეარენდილი, ჩემი წინაპარი, ცოცხალი არ არის? თუ ის ამანის მიწაზე არ ცხოვრობს?»

ელჩებმა მიუგეს: «კარგად უწყი, რომ მისი ხვედრი განსხვავდება კაცთა ხვედრისგან, უკვდავ პირველშობილთ მიაკუთვნეს იგი. თუმც თვით მასაც ეკრძალება უკვდავთა მიწაზე დაბრუნება. ხოლო შენ და შენი ხალხი პირველშობილნი არა ხართ, არამედ ხართ კაცნი მოკვდავნი, ილუვა-

ტარის მიერ შექმნილნი. ვატყობთ, ორივე მოდგმის სიკეთის ფლობა მოგსურვებიათ: როცა ინებებთ, ვალინორისკენ გაცუროთ და, თუ მოგინდებათ, ისევ სამშობლოში დაბრუნდეთ. ეს შეუძლებელი არის. ილუვატარის ძღვენს ვალარნი ვერ წაგართმევენ. ამბობთ, ელდარნი დაუსჯელნი არიან, აჯანყებულნიც კი არ იხოცებიანო. ეს არც ჯილდო არის და არც სასჯელი, არამედ აღსრულება მათი არსისა. ელდარნი ვერსად გაიქცევიან, რამეთუ ქვეყნიერებას არიან მიჯაჭვული და, ვიდრე ქვეყნიერება არსებობს, ისინიც იარსებებენ. ხოლო ჩვენ სხვა კაცთა აჯანყების გამო ვისჯებით და ამაღ ვკვდებითო, ამბობთ, მაგრამ ეს სასჯელი არ არის. პირველითგან ასე დაწესდა, რომ თქვენ მიდიხართ და ქვეყნიერებას ტოვებთ, რამეთუ არც იმედითა და არც ტკივილით მასთან მიჯაჭვული არა ხართ. მაშ, რომელ ჩვენგანს უნდა შურდეს მეორის?»

ხოლო ნუმენორელებმა მიუგეს: «რად არ უნდა გვშურდეს ვალართა ან თუნდაც უკვდავთაგან უმცირესთა? ჩვენგან ბრმა ნლობასა და სათუო იმედს მოითხოვენ; არავინ ვუწყით, წინ რა გველოდება. ხოლო დედამიწა ჩვენც გვიყვარს და მისი დატოვება არა გვსურს».

მაშინ ელჩებმა თქვეს: «რა დაუწესა ილუვატარმა კაცთა მოდგმას, ქეშმარიტად დაფარულ არის ვალართათვის და მომავალი სრულად არავისთვის გაუმხელია მას. ეს კი იცოდეთ, თქვენი სახლი არც აქ არის, არც ამანის მიწაზე და არც ამ ქვეყნიერებასა შინა. ილუვატარმა დასაბამიდანვე ეს ხვედრი არგუნა კაცთა მოდგმას, რომ ისინი უნდა წავიდნენ. ეს ძღვენი მორგოთის წყვდიადში გექცათ სადარდებლად, რამეთუ თქვენს წინაპრებს ეჩვენებოდათ, რომ უკუნი სიბნელით იყვნენ გარემოცულნი და ეშინოდათ ამ სიბნელისა; ხოლო ზოგი ამაყი და ჯიუტი იყო, არ ნებდებოდა, ვიდრე სიცოცხლე არ წაერთმეოდა. ჩვენ, წელთა მარადმზარდი ტვირთით დამძიმებულნი, ამას ცხადად ვერ ვხვდებით, მაგრამ თუ ეს უწინდელი

სადარდებელი კაცთა მოდგმას კვლავ დაუბრუნდა, მაშ, წყვდიადი კვლავ აღმდგარა და ძლიერდება თქვენს გულებში. და თუ ასეა, თუმც თქვენა ხართ დუნედაინნი, კაცთა შორის უმშვენიერესნი და უბრძენეს-

ნი, ამას გეტყვი: გაფრთხილდით! ერუს ნებას წინ ვერავინ აღუდგება; ვალარნი მკაცრად გთხოვენ, თქვენთვის გამოცხადებულ ნდობას ნუ უარყოფთ, თორემ მალე ისევ თქვენს შემაკავებელ ჯაჭვად გადაიქცევა. იმედს ნუ დაკარგავთ, რომ დასასრულს, თქვენი უმცირესი სურვილიც კი აღსრულდება. არდის სიყვარული გულში ილუვატარმა ჩაგინერგათ, ის კი უმიზეზოდ არაფერს აკეთებს. თუმცა, კაცთა მრავალი საუკუნე გაივლის, ვიდრე მისი განზრახვანი გაცხადდება; და ამ განზრახვას თქვენ, კაცნი, შეიტყობთ და არა – ვალარნი».

ეს შეხვედრა შედგა ტარ-კირიატან გემთმშენებლისა და მისი ძის, ტარ-ატანამირის მმართველობის დღეებში. ისინი ქელმაღალნი იყვნენ, სიმდიდრის მოყვარულნი, შუახმელეთის მკვიდრთ ხარკი დაუწესეს და კი აღარ გასცემდნენ, ართმევდნენ. ელჩები ტარ-ატანამირს ეახლნენ; ის მეცამეტე მეფე იყო, ნუმენორის სამეფო არსებობის ორი ათას წელზე მეტს ითვლიდა და დიდების ზენიტში იმყოფებოდა. ვალართა დესპანთა რჩევა ატანამირს არ ესიამოვნა და არც შეისმინა. ნუმენორის მცხოვრებთა უმეტესობაც მეფეს ემხრობოდა, რამეთუ გაურკვეველ იმედს სიკვდილისთვის თავის არიდება ერჩივნათ. ატანამირი ძალიან დაბერდა, მაგრამ ყოველგვარ ხალისდაკარგული, მაინც სიცოცხლეს ებლაუჭებოდა; ნუმენორელთაგან ის იყო პირველი, ვინც სიბერისგან დაჩლუნგებული და დაძაბუნებულიც უარობდა სიკვდილს და თავის ძეს მეფობა საუკეთესო წლებში არ გადააბარა. დღეგრძელ ნუმენორელ დიდებულებს ცოლის გვიან შერთვა სჩვეოდათ, ხოლო როგორც კი მათი ძეები ტანად და გონებრივად გაიზრდებოდნენ, მმართველობის უფლებას მათ უთმობდნენ.

ატანამირის შემდეგ მისი ძე ტარ-ანკალიმონი გახდა მეფე. ისიც მამისივიით აზროვნებდა; მისი მეფობის ჟამს ნუმენორელნი ორად გაიყვნენ. უმრავლესობა ანკალიმონს უჭერდა მხარს და მათ მეფის კაცთ უწოდებდნენ. მეფის კაცნი ელდარებსა და ვალარებს ეჭვით უყურებდნენ და არ ენდობოდნენ. უმცირესობას ელენდილებს, ელფთა მეგობრებს, უწოდებდნენ. მართალია, ისინი მეფისა და ელროსის საგვარეუ-

ლოს ერთგულნი რჩებოდნენ, მაგრამ ელდარებთან მეგობრობის შენარჩუნებისა და დასავლეთის მეუფეთა რჩევის შეგონების მომხრენი იყვნენ. თუმცა, თვით ამ ერთგულთაც კი გადაედოთ თანამოძმეთა სენი და სიკვდილზე ფიქრი მათაც აწუხებდათ.

შორდასავლეთის ნეტარება თანდათან იკლებდა; სამაგიეროდ, მათი დიდება და ბრწყინვალეობა იმატებდა. ნუმენორის მეფეებსა და მცხოვრებთ ჯერაც არ დაეკარგათ ჭკუა და კეთილგონიერება და, მართალია, ვალარნი აღარ უყვარდათ, მათი მაინც ეძინოდათ. ვალართაგან დაწესებული საზღვრების დარღვევასა და აკრძალულ დასავლეთში გაცურვას ვერ ბედავდნენ; აღმოსავლეთისკენ მიცურავდა მათი დიდი ხომალდები. სიკვდილის შიში ღლითი ღლე უძლიერდებოდათ და მის გადავადებას ყველანაირი საშუალებით ცდილობდნენ; მკვდართათვის მაღალი სახლების აგება დაიწყეს, ხოლო ნუმენორელი ბრძენნი და მეცნიერნი მკვდართა გაცოცხლებისა და სიცოცხლის განანგრძლივების გზებს ეძებდნენ. თუმცა, მხოლოდ გარდაცვლილთა ცხედრების განრწმინსაგან დაცვაში გაიწაფნენ. მთელი ქვეყანა გაივსო

სიბნელეში დასვენებულ მკვდართა მდუმარე აკლამებით. ხოლო ცოცხალნი ღროს ტარებასა და ღრეობას მიეცნენ, უფრო მეტ ქონებასა და სიმდიდრეს იხვეჭდნენ; ტარ-ანკალიმონის შემდგომ წლებში ერუსათვის პირველ ნაყოფთა შეწირვის ჩვეულება მოიშალა და ნუმენორელი იშვიათად მიდიოდნენ კუნძულის შუაგულში აღმართული მენელტარმის მწვერვალზე მდგარ ტაძარში.

იმხანად ნუმენორელებმა შუახმელეთის ნაპირებზე დასახლებები დააარსეს, რამეთუ თავიანთი კუნძული უკვე მცირედ ეჩვენებოდათ და იქ ვეღარ ისვენებდნენ. ვინაიდან დასავლეთისკენ მათთვის გზა დაბნეული იყო, შუახმელეთის სიმდიდრის ხელში ჩაგდება და მასზე ბატონობა მოისურვეს. დიდი ნავსადგურები და მტკიცე კოშკები ააგეს და იქ დასახლდნენ. ამჯერად მმართველებად, ბატონებად და ხარკის ამკრეფებად მოველინენ შუახმელეთის მკვიდრთ და არა – შემწეებად და მოძღვრებად. მუდამ დატვირთული ბრუნდებოდა ნუმენორელთა გემები შორდა-

სავლეთის კუნძულზე, მათი მეფეების ძალაუფლება და დიდება იზრდებოდა; ოქროთი და ვერცხლით შემკულნი და მდიდრულად შემოსილნი, უზომოდ სვამდნენ და თავდავიწყებით ილხენდნენ.

ელფთა მეგობრები ამ ყოველივეში არ მონაწილეობდნენ; ისინი მხოლოდ ჩრდილოეთს, გილ-გალადის სამეფოს სტუმრობდნენ, ელფებთან მეგობრობას ინარჩუნებდნენ და საურონის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდნენ; მათი ნავსადგური ანდუინ დიდის შესართავებს ზემოთ მდებარე პელარგირი იყო. ხოლო მეფის კაცნი უფრო შორს, სამხრეთში დაცურავდნენ; მათი ბატონობისა და ციხესიმაგრეების შესახებ შუახმელეთის კაცთა შორის მრავალი თქმულებაა შემორჩენილი.

როგორც სხვაგან არის ნათქვამი, ამ ეპოქაში შუახმელეთში საურონი აღზევდა, გაძლიერდა და მორგოთის სამსახურში განდიდებული და ყოფილი ბატონისგან დამოძღვრილი კვლავ ბოროტის ქმნას შეუდგა. ტარ-მინასტირის, ნუმენორის მეთერთმეტე მეფის ზეობისას ის მორდორის მიწაზე გამაგრდა და ბარად-დურის კოშკი ააშენა. მას შემდეგ სულ შუახმელეთზე გაბატონებას ლამობდა, რათა მეფეთ მეფე გამხდარიყო და კაცთა მოდგმას ღმერთად ეღიარებინა. ნუმენორელნი სძულდა საურონს, რამეთუ მათ წინაპართა საქმენი, ელფებთან მათი უძველესი კავშირი და ვალართა ერთგულება კარგად ახსოვდა. არც ის დავიწყებოდა, რომ, როცა ძალაუფლების ბეჭედი დამზადდა და საურონსა და ერიადორის ელფთა შორის ომი გაჩაღდა, ტარ-მინასტირი გილ-გალადს დაეხმარა. საურონმა შეიტყო, რომ ნუმენორის მეფეთა ძლიერება და დიდება იმატებდა და კიდევ უფრო შესძულდა ისინი. არათუ სძულდა, ეშინოდა კიდევ მათი, ვაითუ, ჩემს სამფლობელოში შემოიჭრნენ და აღმოსავლეთზე ბატონობაში შემეცილონო. ვინაიდან ზღვის მეუფეებზე თავდასხმას ვერ ბედავდა, შუახმელეთის ნაპირებიდან დროებით უკან დაიხია.

თუმცა საურონი ყოველთვის ვერაგი და მუხანათი იყო. როგორც ამბობენ, იმ დიდებულთაგან, რომელნიც ცხრა ბეჭდით მახეში გააბა, სამი ნუმენორული წარმოშობისა იყო. და როცა ულაირნი, ანუ ბეჭდის აჩ-

რდილნი მის მსახურებად აღდგნენ, კაცთა მოდგმაზე საურონის ბატონობა და გავლენა ძალზე გაძლიერდა. მალე მან ნუმენორელთა ზღვისპირა სიმაგრეებზე მიიტანა იერიში.

იმხანად ნუმენორში წყვდიადი ძლიერდებოდა; ელროსის გვარის ამბოხებულ მეფეთა დღეგრძელობა მცირდებოდა და ეს მით უფრო ზიზღით განაწყობდა მათ ვალართა მიმართ. მეცხრამეტე მეფემ წინაპართა სკიპტრა აიღო და სამეფო ტახტზე აღუნახორის, დასავლეთის მეუფის სახელით ავიდა; მან ელფური ენები დაივიწყა და მათი გამოყენება აკრძალა, თუმცა მეფეთა გრაგნილში მისი სახელი უზენაეს ელფურ ენაზე ჰერუნუმენად ჩაიწერა, როგორც უძველესი ადათ-წესი მოითხოვდა. ამ ადათ-წესის დარღვევას მეფეებიც კი უფრთხოდნენ, უბედურება დაგვატყდებოაო. ერთგულებმა ეს წოდება ამპარტავნობის გამოვლინებად მიიჩნიეს, რამეთუ მეფემ ვალართა წოდება მიითვისა. ისინი მძიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ. ერთი მხრივ, ელროსის გვარის მმართველებს ვერ დალატობდნენ, მეორე მხრივ ვალარებს ეთაყვანებოდნენ. თუმცა, უარესი ჯერ წინ ელოდათ. არ-გიმილზორი, ოცდამეორე მეფე, ერთგულებს გადაემტერა. მისი ზეობისას თეთრ ხეს არ უვლიდნენ და ხემ ხმობა დაიწყო. მან ელფთა ენების გამოყენება სრულებით აკრძალა და სჯიდა მათ, ვინც სიხარულით შეხვდებოდა ერესეადან საიდუმლოდ მოსულ ხომალდებს.

ელენდილები მეტწილად დასავლეთ ნუმენორში ცხოვრობდნენ და ერესეული ხომალდებიც დასავლეთ ნავსადგურებში მიცურავდნენ. არ-გიმილზორის ბრძანებით, ერთგულების დასავლეთიდან აყრა და აღმოსავლეთში დასახლება დაიწყეს. აღმოსავლეთში მათ გამუდმებით თვალყურს ადევნებდნენ. ერთგულთა მთავარ სამოსახლოდ რომენა იქცა. იქიდან მრავალი მათგანი მიცურავდა შუახმელეთის ჩრდილოეთი ნაპირებისკენ, რათა გილ-გალადის სამეფოში მცხოვრებ ელდარებთან ურთიერთობის საშუალება ჰქონოდათ. ნუმენორების მეფეებმა ეს იცოდნენ, მაგრამ ელენდილებს წასვლაში ხელს არ უშლიდნენ, ოღონდაც უკან არასოდეს დაბრუნებულნიყვნენ. მეფეები ერესეაზე მცხოვრებ

ელდარებს ვალართა ჯამუშებს უწოდებდნენ და სურდათ, მათსა და ერთგულთა შორის მეგობრობა დაესრულებინათ. ნუმენორელ მეფეთა განზრახვებისა და საქციელის შესახებ მანუემ შეიტყო; გაუწყრნენ ვალარნი ნუმენორელებს, რჩევებს აღარ აძლევდნენ და აღარ იცავდნენ მათ; ერესეადან გემები აღარ მოცურავდა და ანდუნის ნავსაყუდლები დაცარიელდა.

მეფეთა შემდეგ ყველაზე წარჩინებულებად ანდუნის მმართველნი ითვლებოდნენ; ისინიც ელროსის გვარიდან იყვნენ, ნუმენორის მეოთხე მეფის ტარ-ელენდილის ასულის – სილმარიენის შთამომავალნი. ეს მმართველნი ერთგულად ემსახურებოდნენ ნუმენორის მეფეებს; ანდუნის მმართველი მეფის საბჭოს მთავარი მრჩეველი იყო. თუმცა ისინი თავიდანვე გამორჩეულად ჰყვარობდნენ ელდარებსა და ვალარებს ეთაყვანებოდნენ. წყვილის მატებასთან ერთად ერთგულთა ცხოვრება უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდებოდა; ანდუნის მმართველნი ფარულად ეხმარებოდნენ მათ და მეფეთა გამოსწორებას კეთილი შეგონებებით ცდილობდნენ.

არ-საკალთორის ზეობისას ანდუნის მმართველი იყო ეარენდური. არ-საკალთორის ძემ არ-გიმილზორმა ცოლად შეირთო ეარენდურის დის, ლინდორის ასული ინზილბეთი. იძულებითი იყო ეს ქორწინება, რამეთუ სილამაზით განთქმულ ინზილბეთს გიმილზორი არ უყვარდა – ერთ-ერთი ერთგულთაგანი იყო იგი. არც მათ ძეებს უყვარდათ ერთმანეთი. უფროსი, ინზილადუნი, ტანადაც და გონებრივაც დედას დაემსგავსა, ხოლო უმცროსი, გიმილხადი – მამას. ეს კი არა, მამაზე ქედმაღალი და თავნება იყო. არ-გიმილზორი სწორედ უმცროს ძეს გადასცემდა სკიპტრას, კანონით აკრძალული რომ არ ყოფილიყო.

როცა ინზილადუნი ტახტზე ავიდა, კვლავ ელფთა ენაზე დაირქვა სახელი და თავის თავს ტარ-პალანტირი უწოდა, რამეთუ შორსმჭვრეტელი იყო თვალითაც და გონებითაც. მან ერთგულთა დევნა შეწყვიტა და დღესასწაულებზე მენელტარმაზე არ-გიმილზორისგან მივიწყებულ ერუს ტაძარშიც დადიოდა. ინზილადუნი თეთრ ხესაც უვლიდა; იწინას-

წარმეტყველა, როცა ხე გახმება, მეფეთა მმართველობაც დასრულდებაო. თუმცა ინზილადუნის სინანული ვალართა წყენის გასაქარვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა, მით უმეტეს, ნუმენორელთა უმეტესობას არ მოუნანიებია. ძლიერი და შურიგებელი გიმილხადი მეფის კაცთ ჩაუდგა სათავეში და ძმას ზოგჯერ ღიად, უმეტესად კი ფარულად მტრობდა. ამგვარად, ტარ-პალანტირის ზეობის დღეები დარდმა და მწუხარებამ დაჩრდილა. მეფე უმეტეს დროს დასავლეთში ატარებდა, ანდუნისთან ახლოს ორომეტის ბორცვზე მდგარი მინასტირ მეფის კოშკიდან გაჰყურებდა დასავლეთს და ოცნებობდა, ნეტავ ზღვაში იალქანს დავინახავდეთ. თუმცა დასავლეთიდან ნუმენორში ხომალდები აღარ მოცურავდა და ავალონე ღრუბლებს დაეფარა.

გიმილხადი ორასი წლის შესრულებამდე ორი წლით ადრე გარდაიცვალა (ელროსის გვარის დიდებულისთვის ეს ნაადრევ სიკვდილად ითვლებოდა), მაგრამ ამან მეფეს შვება ვერ მოჰგვარა. რამეთუ ფარაზონი, ძე გიმილხადისა, მამამისზე უფრო დაუოკებელი და სიმდიდრისა და ძალაუფლების მოყვარული იყო. ნუმენორელებთან ერთად ხშირად მიემართებოდა შუახმელეთის ნაპირების დასალაშქრავად და იქაურ ხალხზე გასაბატონებლად. ზღვაშიც და ხმელეთზეც დიდი სარდლის სახელი დაიგდო ფარაზონმა და, როცა მამის დასაკრძალად შინ დაბრუნდა, ნუმენორელები მას მიემხრნენ; რამეთუ ფარაზონმა დიდძალი სიმდიდრე მოიტანა თან და უშურველად გასცემდა.

ამასობაში სადარებლისგან გადაქანცული ტარ-პალანტირი გარდაიცვალა. მას ძე არ ჰყავდა, მხოლოდ ასული, რომელსაც ელფური სახელი მირიელი დაარქვა. ნუმენორელთა კანონების მიხედვით, ტახტზე მისი მემკვიდრე ავიდა. თუმცა ფარაზონმა მისი ნების საწინააღმდეგოდ ცოლად შეირთო მირიელი და ამით არა მხოლოდ იძალადა, ნუმენორელი ადათ-წესებიც დაარღვია: ახლო ნათესავების, თუნდაც ისინი სამეფო გვარისანი ყოფილიყვნენ, ქორწინება მკაცრად იკრძალებოდა. ქორწინების შემდეგ ფარაზონმა მირიელს სკიპტრა წაართვა და არ-ფარაზონ-

ნი (ტარ-კალიონი ელფურ ენაზე) დაირქვა, ხოლო დედოფალს არ-ზიმ-რაფელი უწოდა.

მათ შორის, ვისაც ოდესმე ნუმენორის ზღვაოსან მეფეთა სკიპტრა სჭერია, არ-ფარაზონ ბრწყინვალე უამაყესი და უღიადესი იყო; ოცდასამი მეფე და დედოფალი განაგებდა ნუმენორს მანამდე და ახლა მენელ-ტარმის ქვეშ, ღრმა აკლდამების ოქროს სარეცლებზე განისვენებდნენ.

არმენელოსში მარმარილოსგან გამოკვეთილ მოჩუქურთმებულ ტახტზე დიდებით მჯდარი არ-ფარაზონი შავბნელ ფიქრებს მოეცვა და ომის წამოწყებას გეგმავდა, რამეთუ შუახმელეთში საურონის სამეფოს ძლიერებასა და შორდასავლელთა მიმართ მის სიძულვილზე შეეტყო. ზღვაოსნებმა და მენავეთუხუცესებმა შუახმელეთიდან ამბავი მოიტანეს, რომ არ-ფარაზონის წასვლის შემდეგ საურონი იერიშზე გადმოსულიყო და ზღვისპირა ქალაქებს თავს ესხმოდა; მას თავი კაცთა მეფედ გამოეცხადებინა და არა მხოლოდ ნუმენორელთა შუახმელეთიდან გაყრას, თავად ნუმენორის განადგურებასაც აპირებდა.

ამის მოსმენამ არ-ფარაზონი ძლიერ განარისხა; მას მიაჩნდა, რომ კაცთა მეფის წოდებასა და მათზე ბატონობას თავად იმსახურებდა. ამიტომაც ვალართა ნებართვის გარეშე, მათთვის რჩევის დაუკითხავად, საურონის დამარცხება და თავის ყმად და მსახურად ქცევა გადაწყვიტა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეარენდილის ძლევამოსილ მემკვიდრეს ვერა მეფე ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას და აუცილებლად გაიმარჯვებდა. მისი ბრძანებით სამხედრო საჭურვლის ჭედვა და საბრძოლო ხომალდების შენება დაიწყო. როცა საომრად ყველაფერი მზად იყო, ლაშქარს თავად გაუძღვა აღმოსავლეთში.

როცა შუახმელეთის ზღვისპირა მხარეების მკვიდრებმა შორიდან თვალი მოჰკრეს დაისზე მეწამულად, ვერცხლისფრად და ოქროსფრად აციმციმებულ იალქნებს, შეშინებულები შორს გაიქცნენ. ხოლო ნუმენორელთა ლაშქარი უმბარში გადმოვიდა. შვიდი დღე იარა მეფის ლაშქარმა ისე, რომ არსად წინააღმდეგობა არ შეხვედრია; ყველა დასახლება დაცარიელებული ხვდებოდა. მეშვიდე დღეს ბორცვს მიადგნენ. არ-ფა-

რაზონი მის თხემზე ავიდა, იქ სამეფო კარავი გაშალა და ტახტი დადგა. ბორცვის ირგვლივ მისი ლაშქარი დაბანაკდა: ლურჯი, ოქროსფერი და თეთრი კარვები მწვანე ბალახში აღმოცენებულ ყვავილებს ჰგავდა. მეფემ ელჩები გაუგზავნა საურონს და შეუთვალა, ჩემ წინაშე მუხლი მოიყარე და ერთგულება შემომფიცეო.

საურონიც დამორჩილდა, ბარად-დურიდან ნებით გამოვიდა. ბრძოლა არც კი უცდია. მიხვდა, რომ ნუმენორის მეფეს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, არ-ფარაზონის ურიცხვ ლაშქართან მისი უძლიერესი მსახურნიც კი ვერას გახდებოდნენ. საურონი ვერაგი იყო, სადაც ძალა არ ჭრიდა, იქ ხერხს იყენებდა. ამიტომაც თავი დაიმცირა არ-ფარაზონის წინაშე და ქედმორეკილმა ლიქნა დაუწყო; მისმა ბრძნულმა და მშვენიერმა სიტყვებმა განაცვიფრა მსმენელი.

თუმცა, არ-ფარაზონი არ მოტყუვდა და, ვინაიდან მისი ერთგულები-საჯერ არ სჯეროდა, გადაწყვიტა, საურონი ნუმენორში მძევლად წაეყვანა. საურონი უხალისოდ დათანხმდა, თითქოს ძალდატანებას ძლიერ დაემწუხრებინოს, მაგრამ გულის სიღრმეში გაუხარდა, რამეთუ მისი მიზანიც ეს იყო. ამგვარად, ზღვა გადაცურა საურონმა და ნუმენორის მიწაზე დადგა ფეხი. იხილა ქალაქი არმენელოსი მისი დიდების დღეებში და ნანახმა გააოგნა; იმავდროულად, შურით აღივსო და უფრო მეტად შესძულდა ნუმენორელნი.

სამი წელი არ გასულა, რომ ცბიერი გონებისა და ენამჭევრობის წყალობით საურონი მეფის უახლოეს მრჩევლად იქცა და ფარული ნება თავს მოახვია; ყველას დათაფლული ენით ელაპარაკებოდა და მსმენელს კაცთათვის უცნობ მრავალ ცოდნას უზიარებდა. რა იხილეს, რომ მეფე გამორჩეულად პატივს სცემდა საურონს, სხვა მრჩევლები ფეხქვეშ გაეგნენ და ლაქუცი დაუწყეს. მხოლოდ ამანდილი, ანდუნიეს მმართველი, მას ეჭვის თვალით უყურებდა. ნუმენორში ვითარება უარესდებოდა, ელფთა მეგობართა ყოფა გაუსაძლისი გახდა და მრავალი მათგანი შიშით გარბოდა, ხოლო დარჩენილებს მემამბოხეებს უწოდებდნენ. საურონმა ნუმენორელთა ნდობა დაიმსახურა და მათ გასაგონად ვალარ-

თა სწავლებების უარყოფა დაიწყო. ასე ამბობდა, აღმოსავლეთსა და დასავლეთში მრავალი ზღვა და მიწაა გამოუკვლევია და იმ მიწებზე დიდძალი სიმდიდრე ელოდება მპოვნელსო. ხოლო ზღვებისა და მიწების მიღმა, მისი თქმით, უძველესი

წყვდიადი მდებარეობდა: «მისგან შეიქმნა ქვეყნიერება. ოდენ წყვდიადი იმსახურებს თაყვანისცემას. დიადი მეუფე თავის მსახურთ წყვდიადისგან ახალ ქვეყნებს შეუქმნის და ძალაუფლებას მათსას ზღვარი არასოდეს დაედება».

არ-ფარაზონმა ჰკითხა: «ვინ არის წყვდიადის მეუფე?»

მაშინ საურონი განმარტობით დაელაპარაკა მეფეს და მოატყუა: «ის, ვისი სახელიც არ ითქმის; ხოლო ვალართ მოგატყუეს, როცა გითხრეს, მას ერუ ჰქვიაო. ერუ ზმანებაა, მათი წარმოსახვის ნაყოფი, რომლის მეშვეობით კაცთა მოდგმის დამონებას ლამობენ. ხოლო თვითონ ვითომ მისანნი არიან ამ ერუსი, რომელიც ოდენ იმას ამბობს, რაც ვალარებს სურთ. დიადი ბატონი მაინც სძლევს ვალართ და დაგიხსნით ამ ზმანებისაგან. მას ჰქვია მელკორი, მეუფე ყოველთა, მომნიჭებელი თავისუფლებისა; იგი უფრო ძლიერს გაგზდით, ვიდრე ვალარნი».

მაშინ არ-ფარაზონმა წყვდიადისა და მისი მეუფის, მელკორის, თაყვანისცემა დაიწყო. თავიდან საიდუმლოდ, შემდეგ დაუფარავად და თავისი ხალხის დასანახავად; ქვეშევრდომთა უმეტესობამაც მას მიჰბაძა. თუმცა რომენასა და ახლომდებარე დასახლებებში ჯერაც ცხოვრობდნენ ერთგულნი. მათი წინამძღოლი, ვისაც გასაჭირის ჟამს დასანმარებლად და რჩევის სათხოვნელად მიმართავდნენ, იყო ამანდილი, მეფის მრჩეველი. ამანდილის ძე იყო ელენდილი, რომელსაც ორი ძე ჰყავდა: ისილდური და ანარიონი, ნუმენორელთა კვალობაზე ჯერაც ყმაწვილკაცნი. ისინი ელროს ტარ-მინიატურის შთამომავლები იყვნენ, ოღონდ არაპირდაპირი ხაზის. ჭაბუკობისას ფარაზონი და ამანდილი მეგობრობდნენ და, თუმცა, ამანდილი ელფთა მეგობართაგანი იყო, საურონის გამოჩენამდე მეფის მრჩეველთა საბჭოს წევრი იყო. საურონს ნუმენორელში ყველაზე ძლიერ ამანდილი სძულდა და იგი საბჭოდან

გარიცხვინა. ვინაიდან ამანდილი დიდგვაროვანი და სახელგანთქმული ზღვაოსანი იყო, მას კვლავაც პატივს სცემდნენ და ვერც მეფე და ვერც საურონი მისთვის ხელის ხლებას ვერ ბედავდნენ.

ამანდილი რომენაში გადასახლდა და სანდო მეგობრები და ერთგულნი საიდუმლოდ გარს შემოიკრიბა, რამეთუ უბედურების მოახლოებას გრძნობდა და შიშობდა, ელფთა მეგობრებს საფრთხე ემუქრებათო. უბედურებამაც არ დაახანა. იმხანად მენელტარმა ყველამ დაივიწყა. მართალია, თვით საურონიც ვერ ბედავდა მაღალი ტაძრის წაბიღწვას, მაგრამ არ-ფარაზონი მთის მწვერვალზე ასვლას ყველას უკრძალავდა და ურჩებს სიკვდილით სჯიდა. საურონი მეფეს ჩასჩიჩინებდა, თეთრი ხე მოეჭრა, რამეთუ ნიმლოთი ელდართა და ვალინორის ნათელის მოსაგონარი იყო.

თავიდან მეფე უარობდა, ფიქრობდა, ჩემი გვარის სიმდიდრე და იღბალი ამ ხესთან არის დაკავშირებულიო, როგორც ტარ-პალანტირმა იწინასწარმეტყველა. ბედის ირონიით, ის, ვისაც ელდარნი და ვალარნი შესძულებოდა, მათთან დამაკავშირებელ უძველეს ძაფს ებღაუჭებოდა. ამანდილმა შეიტყო საურონის განზრახვის შესახებ და დაღონდა; მიხვდა, ადრე თუ გვიან, საურონი საწაღელს მიაღწევდა. ამანდილი ელენდილსა და მის ძეებს დაელაპარაკა და ვალინორის ორი ხის ამბავი შეახსენა; ისილდურს

არაფერი უთქვამს, ხოლო ღამით სახლიდან გავიდა და ჩაიდინა გმირობა, რომელმაც სამუდამოდ გაუთქვა სახელი. სრულიად მარტო, გადაცმული შეიპარა არმენელოსის სასახლის ეზოში, სადაც ერთგულები არ დაიშვებოდნენ, და მივიდა ხესთან, რომელთანაც მიახლოება, საურონის ბრძანებით, ყველას ეკრძალებოდა. ხეს დღედაღამ დარაჯობდნენ საურონის მსახურნი. შემოდგომის მიწურული იყო, ზამთარი ახლოვდებოდა და ხეს ყვავილები არ ესხა. ისილდური მცველებს შორის უჩუმრად გასხლტა და ტოტზე უულად ჩამოკიდებული ნაყოფი მოსწყვიტა. ის იყო, შეტრიალდა და გაქცევას აპირებდა, რომ მცველებს გაედვიდათ და თავს დაესხნენ. ისილდურმა ბრძოლით გაიკაფა გზა და მრავალ-

გან დაჭრილი გაიქცა. ვინაიდან გადაცემული იყო, ვერავინ შეიტყო, ხესთან ვინ მიიპარა. ხოლო ისილდური დიდი გაჭირვებით დაბრუნდა რომენაში და თეთრი ხის ნაყოფი ამანდილს გადასცა, შემდეგ კი ძალაგამოცლილი დაეცა. ხის ნაყოფი საიდუმლოდ ჩაფლეს მიწაში და ამანდილმა აკურთხა. გაზაფხულზე თესლმა დივი გამოიტანა. ხოლო როცა პირველი ფოთოლი გაიშალა, ისილდური, რომელიც ლოგინად ჩავარდნილიყო და სიკვდილს ებრძოდა, უეცრად მომჯობინდა, ადგა და ჭრილობებს აღარ შეუწუხებია.

მისი გმირობა დროული აღმოჩნდა; სასახლის ეზოში მისი შეპარვის შემდგომ მეფე საურონს დამორჩილდა და თეთრი ხე მოაჭრევინა, რითაც სრულიად განუდგა მათ, ვისაც მისი წინაპრები ერთგულობდნენ. საურონის რჩევით, არმენელოსის შუაგულში მდგარ ბორცვზე მაღალი ტაძარი ააგეს. ტაძრის საძირკველს წრის ფორმა ჰქონდა, მისი კედლები ოცდაათი წყრთის სისქის იყო, ხოლო საძირკველის სიგანე – სამასი წყრთა; კედლებიც სამასი წყრთის სიმაღლის იყო და დიდი გუმბათი ამშვენებდა. გუმბათი ვერცხლით გადაეხურათ და მზეზე ისე ბრწყინავდა, შორიდანაც მოჩანდა. თუმცა, ბრწყინვალეობა მალე გამკრთალდა და ვერცხლი გაშავდა. ტაძრის შუაგულში სამსხვერპლო იდგა, ხოლო გუმბათში დიობი დაეტანებინათ, საიდანაც კვამლი ამოდიოდა. საურონმა სამსხვერპლოზე პირველი ცეცხლი დაჩეხილი ნიმლოთის შუბით დაანთო. შუბა ტკაცატკუცით დაიწვა; მისგან ავარდნილი კვამლის ღრუბელი შვიდი დღე ფარავდა მთელ კუნძულს, სანამ თანდათან გაიფანტებოდა და დასავლეთით წავიდოდა.

მას შემდეგ ტაძარში ცეცხლი არ ჩამქრალა და იქიდან გამუდმებით კვამლი ამოდიოდა. საურონის ძალაუფლება და გავლენა იმატებდა, ნუმენორელნი სისხლის შესაწირავს სწირავდნენ მელკორს და სიკვდილისგან დახსნას სთხოვდნენ. მეტწილად ერთგულებს სწირავდნენ მსხვერპლად; ხშირად მეფის ღალატსა და ამბოხში, თანამოძმეთა მოტყუებასა და მოწამვლაში ადანაშაულებდნენ და მათ შესაპყრობად ამას იმიზეზებდნენ და არა იმას, რომ ერთგულებს მელკორის, განმათავი-

სუფლებლის, არ სწამდათ. ბრალდებები, მეტწილად, ყალბი იყო, მაგრამ მაშინ ავი დროება იდგა, ხოლო სიძულვილი მუდამ სიძულვილს წარმოშობს.

სიკვდილი არათუ შორდებოდა ნუმენორს, არამედ უფრო სწრაფად და ხშირად მოდიოდა. თუ უწინ ნუმენორელნი ნელა ბერდებოდნენ და ქვეყნიერებისგან გადაღლილნი, საუკუნოდ იძინებდნენ, ახლა სიგიჟე და სნეულება ხდებოდა მათი აღსასრულის მიზეზი; ეშინოდათ სიკვდილის, წყვიადის საუფლოში შესვლისა, მიუხედავად იმისა, რომ წყვიადის მეუფეს ეთაყვანებოდნენ; სულთმობრძავენი თავებს იწყევლიდნენ. ხალხი ერთმანეთს უმნიშვნელო რამეებისთვის კლავდა, რამეთუ გულფიცხნი

გამხდარიყვნენ და იოლად ბრაზდებოდნენ. საურონი და მისი მიმდევარნი კაცს კაცის წინააღმდეგ განაწყობდნენ. ხალხი მეფისა და დიდებულების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა; ერთიმეორისა შურდათ. გავლენიანნი და ძალაუფლების მქონენი სხვებს ჩაგრავენ.

მართალია, ნუმენორის მცხოვრებნი უფრო და უფრო უბედურად გრძნობდნენ თავს, მაგრამ სამეფო ძლიერდებოდა და ყვაოდა. საურონის დახმარებისა და რჩევის წყალობით მდიდრები უფრო მეტ ქონებას იხვეჭდნენ; საბრძოლო მანქანებსა და დიდ ხომალდებს აგებდნენ. შუახმელეთში საჩუქრების დასარიგებლად ან თუნდაც მმართველებად როდი მიდიოდნენ, არამედ დაუნდობელ მეომრებად. შუახმელეთელ ადამიანებს დევნიდნენ, ძარცვავდნენ და იმონებდნენ, მრავალს უმოწყალოდ სწირავდნენ მსხვერპლად. თავიანთ ციხესიმაგრეებში ტაძრებსა და დიდ აკლდამებს იშენებდნენ. შუახმელეთის მკვიდრნი უფროთხოვდნენ მათ; მოგონებები კეთილ მეფეებზე თანდათან გაუფერულდა და საზარელმა თქმულებებმა ჩაანაცვლა.

ამგვარად, არ-ფარაზონი – ვარსკვლავის ქვეყნის მეფე, იქცა უდიდეს ტირანად, რომელიც კი ქვეყნიერებას მორგოთის შემდეგ ჰყოლოდა. სინამდვილეში ქვეყნიერებას მეფის ხელით საურონი განაგებდა. წლები გადიოდა და მეფეს ასაკი ემატებოდა; რაც უფრო უახლოვდებოდა სიკ-

ვდილი, მით უფრო მეტად იპყრობდა შიში და მრისხანება. და აჰა, დად-
გა ჟამი, რომლისთვისაც საურონი დიდხანს ემზადებოდა. საურონი მე-
ფეს დაელაპარაკა და უთხრა, ახლა იმდენად ძლიერი ხარ, ნებისმიერ
სურვილს აისრულებ და არანაირმა დაბრკოლებამ და აკრძალვამ არ უნ-
და შეგაჩეროსო.

და თქვა საურონმა: «ვალარებს უპყრიათ მიწა, სადაც სიკვდილი არ
არის; მის შესახებ გატყუებენ, სიმართლეს გიმალავენ, რამეთუ ხარბნი
არიან და შიშობენ, ვაითუ, უკვდავების მხარე კაცთა მეფემ ხელიდან გა-
მოგვგლიჯოს და ქვეყნიერებას თავად დაეპატრონოსო. დიახ, საუკუნო
სიცოცხლის ძღვენი ყველასთვის როდი არის განკუთვნილი, ის მხო-
ლოდ ძლევამოსილ და ღირსეულ დიდგვაროვანთა ხვედრია; უსამარ-
თლობაა, ეს ძღვენი ჩამოერთვას დედამიწის უძლიერეს შვილს, მეფეთ
მეფე არ-ფარაზონს, რომელსაც ოდენ მანუე თუ შეედრება. თუმცა, დიდი
მეფეები უარს არასოდეს მოითმენენ და კუთვნილს აუცილებლად აიღე-
ბენ».

სიკვდილის შიშით შეშლილმა არ-ფარაზონმა საურონის სიტყვები
შეისმინა და ვალართა წინააღმდეგ საომრად მზადება დაიწყო. გეგმებს
საიღუმლოდ აწყობდა, მაგრამ ამანდილმა როგორღაც შეიტყო მეფის
განზრახვა და ძრწოლამ მოიცვა, რამეთუ კარგად იცოდა, რომ კაცნი ვა-
ლართ ვერასოდეს დაამარცხებდნენ; თუკი მეფეს არ შეაჩერებდნენ, ეს
ომი ქვეყნიერებას ნგრევასა და უბედურებას მოუტანდა. იხმო ელენდი-
ლი, თავისი შვილი და უთხრა: «წყვდიაღმა დაისადგურა, ნუმენორს აღა-
რაფერი ემველება, რამეთუ ერთგულნი ცოტანი არიან. განზრახული
მაქვს, ჩვენს წინაპარ ეარენდილს მივბაძო. მიუხედავად აკრძალვისა,
დასავლეთში გავცურო, ვალართა წინაშე წარვდგე, თუ მოვახერხებ, პი-
რადად მანუეს ველაპარაკო და დახმარება ვთხოვო, ვიდრე ყოველივე
დაქცეულა».

«მაშ, მეფეს უღალატებ?» – მიუგო ელენდილმა. – «რა ხანია მოღა-
ლატეობასა და ჯაშუშობას გვაბრალებენ და შენ კარგად იცი, რომ დღემ-
დე ეს ბრალდებები ცრუ იყო».

«უთუოდ რომ ვიცოდე, მანუე ნუმენორელ მაცნეს ელოდება, მეფეს ვულალატებდი», – გადაჭრით თქვა ამანდილმა. – «ვალართა ერთგულება ყოველი კაცის ვალია და არანაირი მიზეზით არ გეპატიება მათგან განდგომა. ხოლო მე, მცირეოდენ ერთგულთა სახელით, კაცთა შეწყალებისა და საურონ ცრუსგან მათი დახსნის სათხოვნელად მივდივარ. რაც შეეხება აკრძალვას, უმჯობესია, მე დავისაჯო, ვიდრე მთელი ჩემი ერი დამნაშავედ ცნონ».

«კი მაგრამ, მამაჩემო, რა ბედი ეწევა შენს სახლეულობას, როცა საქმენი შენნი გაცხადდება?»

«არ გაცხადდება», – თქვა ამანდილმა. – «საიდუმლოდ გავემზადები და ნავსადგურიდან აღმოსავლეთით გავცურავ, ხოლო შემდგომ, ვითარც ქარი ინებებს და მომიხერხდება, ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან დასავლეთით გავუხვევ და ჩემს გზას ვეძიებ. ხოლო შენ და შენს ჯალაბს, შვილო ჩემო, გირჩევთ გაიმზადოთ ხომალდნი და აზიდოთ ზედ ყოველივე, რასთანაც განშორება არ ძალგიძთ. გამზადებული ხომალდები რომენაში დააყენეთ და ხელსაყრელ დროს დაელოდეთ, ხმა გაავრცელეთ, თითქოს ჩემს კვალდაკვალ გაცურვას აპირებთ. ჩვენი ტახტზე მჯდომი ნათესავისთვის ამანდილი იმდენად ძვირფასი აღარ არის, რომ ჩვენმა დროებითმა ან სამუდამო გამგზავრებამ დაამწუხროს. ოღონდ იმას კი ნუ გააგებინებ, რომ მრავალთა წაყვანა განგიზრახავს, რამეთუ დიდ ომს გეგმავს და მეომრების მოსაკლისება გააჯავრებს. იპოვე ერთგულნი, ვისაც ენდობი და გაუმხილე მათ შენი საიდუმლო, თუკი წამოსვლას მოინდომებენ და შენს განზრახვას მოიწონებენ».

«რომელ განზრახვას?» – ჰკითხა ელენდილმა.

«ნუ იომებენ და დაიცადონ», – მიუგო ამანდილმა. – «მეტს ველარაფერს ვიტყვი, ვიდრე დავბრუნდებოდე. ხოლო ის კი ცხადი არის ჩემთვის, რომ ვარსკვლავის ქვეყნიდან ვარსკვლავის მეგზურობის გარეშე მოგიწევს გაქცევა; რამეთუ ეს მიწა წაბილწულია. დაკარგავ ყოველივეს, რაც კი გიყვარდა, სიცოცხლეში სიკვდილს იგემებ და უცხო მიწას შეეხიზ-

ნები. ოღონდ აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, ეს მხოლოდ ვალარებმა უწყიან!»

შემდეგ ამანდილი სახლეულს გამოემშვიდობა, ვითარცა მომაკვდავი.

«შესაძლებელია, ვედარასოდეს მიხილოთ და ვერც ნიშანი მოგცეთ, ვითარცა ეარენდილმა დიდი ხნის წინ; თუმცა მზად იყავით, რადგან მალე ბოლო მოეღება ქვეყნიერებას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ».

როგორც ამბობენ, ამანდილი პატარა გემით ღამით მალულად გავიდა ნავსადგურიდან; ჯერ

აღმოსავლეთით გაცურა, მერე კი მოტრიალდა და დასავლეთისკენ აიღო გეზი. მას თან სამი ერთგული მეგობარი ახლდა. მათი ნიშანწყალი აღარავის უნახავს და მათზე არავის აღარაფერი სმენია. ადამიანებმა ხელმეორედ ვედარ გადალახეს აკრძალული წყლები, მით უმეტეს, ნუმენორელთა ღალატი იოლად მისატყვებელი არ ყოფილა.

ხოლო ელენდილმა მამის რჩევას მისდია. ერთგულებმა ცოლ-შვილი ზღვაში მომლოდინე ხომალდებში ჩასხეს და საგვარეულო რელიკვიები და ნივთებიც აზიდეს. ნუმენორელთა დიდებისა და კეთილგონიერების ქამს შექმნილი მრავალი ლამაზი და უჩვეულო ძალის მქონე რამ მიჰქონდათ თან: ჭურჭელი და სამკაულები, შავი და ალისფერი მელნით ნაწერი გრაგნილები. არც ელდართა ნაჩუქარი შვიდი ქვა დავიწყებიათ. ისილდურის ხომალდზე ინახავდნენ და მკაცრად იცავდნენ ნორჩ თეთრ ხეს, ნიმლოთის ნათესარს. ამგვარად ელენდილი მზად იყო და იმ გარდასულ დღეთა ავ საქმეებში არ ერეოდა; მუდამ ნიშანს ელოდა იგი, მაგრამ ამაოდ. მაშინ საიდუმლოდ გაემგზავრა დასავლეთ ნუმენორში და იქაური ნაპირებიდან ზღვას გახედა; მწუხარება და სევდა მორეოდა მას, მამა ძლიერ უყვარდა და ენატრებოდა. თუმცა, ვერც იქიდან დაინახა რამე, გარდა არ-ფარაზონის დიდი ფლოტისა, რომელიც დასავლეთზე გასალაშქრებლად იკრიბებოდა.

უწინ ნუმენორის კუნძულზე ამინდი მუდამ კაცთა საჭიროებებისა და სურვილების შესაბამისი იყო; თავის ღროზე წვიმდა, თან ზომიერად;

ხან თბილოდა, ხან გრილოდა, ზღვაური უბერავდა. დასავლეთის ქარს მოკვდავთათვის უცნობი, უკვდავთა მინდვრებზე გაფურჩქნილი ყვავილების კეთილსურნელება მოჰქონდა. თუმცა, ახლა ყოველივე შეცვლილიყო. ცა მოქუფრულიყო, წვიმა და სეტყვა მოდიოდა და ქარიშხლები მძვინვარებდა; ხანდახან ხომალდები იძირებოდა და ნავსადგურში ველარ ბრუნდებოდა – მსგავს რამეს ნუმენორელნი მიუჩვეველნი იყვნენ. ზოგჯერ საღამოობით დასავლეთიდან დიდი, აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ ფრთებგაწვდილი არწივის ფორმის ღრუბელი მოცურავდა, თანდათან ნათელს ნთქავდა და ნუმენორში უკუნი წყვდიადი ისადგურებდა. არცთუ იშვიათად არწივის ფრთებქვეშ ელვა იკლავებოდა და ზღვასა და ცას შორის გრგვინვა ისმოდა.

ამ დროს ნუმენორელთ შიში ეუფლებოდათ. «შეხედეთ, დასავლეთის მეუფეთა არწივები!» – ყვიროდნენ ისინი, – «მანუეს არწივები ნუმენორს დასტრიალებენ!» – და პირქვე ემხოზოდნენ.

ზოგნი დროებით მოინანიებდნენ, სხვანი გულს გაიმაგრებდნენ, ზეცას მუშტს მოუღერებდნენ და შესძახებდნენ: «დასავლეთის მეუფენი ჩვენ წინააღმდეგ შეიკვრნენ. მათ პირველებმა შემოგვიტიეს. მალე ჩვენც ვუპასუხებთ!»

ამ სიტყვებს თავად მეფეც იმეორებდა, მაგრამ ეს სიტყვები სინამდვილეში საურონისგან იყო შთაგონებული.

სულ უფრო და უფრო ხშირად ელავდა, მეხი მინდვრებში, გორაკებსა და ქალაქის ქუჩებში ეცემოდა ხალხს.

მენმა ტადრის გუმბათივ შუაზე გააპო და ცეცხლში გახვია, ხოლო ტადარი არც შერყეულა. იმ ჟამს საურონი ქიმზე იდგა და მეხს უვნებლად გადაურჩა. ამის შემხედვარე ხალხმა იგი ღმერთად შერაცხა და მის ყოველ ნება-სურვილს ასრულებდა. ამიტომაც იყო, რომ ავისმაუწყებელ ბოლო ნიშანს ყურადღება აღარ მიაქციეს. მიწა იძრა, მიწის გუგუნი ზღვის გრიალს შეუერთდა და მენელტარმის მწვერვალიდან კვამლი ამოიჭრა. არ-ფარაზონი კი მაინც შეიარაღებას განაგრძობდა.

ნუმენორის დასავლეთ ნაპირებთან ზღვა ნუმენორელთა ხომალდებს გაეშავებინა, არ-ფარაზონის ფლოტი ათასობით კუნძულისგან შემდგარ არქიპელაგს ჰგავდა, ხომალდის ანძები – მთის კალთებზე შეფენილ ტყეს, იალქნები – ჩამოწოლილ ღრუბელს; ყველგან შავი და ოქროსფერი ბაირალები ფრიალებდა. ახლა ყველა არ-ფარაზონის ბრძანებას ელოდა. საურონი ტაძრიდან აღარ გამოდიოდა; შესაწირი მსხვერპლი მასთან ნუმენორელებს მიჰყავდათ.

შემდეგ დასავლეთის მეუფეთა არწივები გამოჩნდნენ, საბრძოლოდ დაწყობილნი მოიწევდნენ ისინი და ბოლო არ უჩანდა მათ რიგებს, მათი ფრთები ზეცას ფარავდა. ხოლო დასავლეთი წითლად ელვარებდა და ღრუბლები თითქოს რისხვით ანთებულებიყვნენ; ნუმენორს ალური მოედო.

არ-ფარაზონმა გული გაიმაგრა და თავის დიდ ხომალდზე, მრავალნიჩბიან და მრავალანძიან, შავ-ოქროსფერ ზღვის ციხესიმაგრეზე, ალკარონდასზე ავიდა. გემბანზე მისთვის ტახტი იდგა. არ-ფარაზონმა აბჯარი აისხა და გვირგვინი დაიდგა, ბაირაღი გაშალა და ღუზის ამოწევის ნიშანი მისცა. ნუმენორელთა საყვირების გუგუნმა ჭექა-ქუხილი გადაფარა.

ნუმენორელთა ფლოტი დასავლური საფრთხის წინააღმდეგ დაიძრა; ზურგის ქარი არ უბერავდა, მაგრამ მრავალი მონა მათრახის შიშით შეუსვენებლად უსვამდა ნიჩბებს. მზე ჩავიდა და სრულმა სიჩუმემ დაისადგურა. ხმელეთზე წყვდიადი ჩამოწვა, მღელვარე ზღვა დაცხრა – ქვეყნიერება ავის მოლოდინში გაირინდა. ნავსადგურებში დარჩენილთა თვალწინ საბრძოლო ხომალდები სიბნელეში დაინთქა, მათი სინათლეები გაფერმკრთალდა და ჩაქრა; დილას არც ერთი აღარ ჩანდა. აღმოსავლეთის ქარმა დაუბერა და ხომალდები წარიტაცა. არ-ფარაზონის ფლოტმა აკრძალულ ზღვებში შეცურა. ნუმენორელებმა ვალარებს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს და მათთვის უკვაავების ძალით წართმევა მოინდომეს, რათა მარად ეცოცხლათ ამქვეყნად.

დასავლეთით მიიწევდა არ-ფარაზონის ფლოტი, გვერდი აუქცია ავალონესა და ტოლ ერესეას. დაღონდნენ ელდარნი, რამეთუ ჩამავალი მზე დააბნელა ნუმენორულმა ღრუბელმა. დაბოლოს, ამანს, კურთხეულ სამეფოს მიადგა არ-ფარაზონი. ვალინორის ნაპირებზეც სიჩუმე მეფობდა. ქვეყნიერების ბედი ბეწვზე ეკიდა. ბოლო წუთს შედრკა არ-ფარაზონი და კინადამ უკან გაბრუნდა, როცა თოვლზე უთეთრესსა და სიკვდილზე უცივესს, მდუმარე, უცვლელ, ილუვატარის სინათლის ჩრდილივით საზარელ ტანიქუეტილს შეავლო თვალი, გულმა ცუდი უგრძნო. თუმცა სიამაყემ სძლია, როგორც იქნა, მხნეობა მოიკრიბა და

ნაპირზე გადავიდა. ვინაიდან მოწინააღმდეგე არსად ჩანდა, მიწა თავის სამფლობელოდ გამოაცხადა. ნუმენორელთა ლაშქარი ელდართაგან დაცლილი ტუნის გარშემო დაბანაკდა.

მაშინ ტანიქუეტილის მწვერვალიდან მანუემ ილუვატარს შესთხოვა შველა და ვალარებმა არდის მმართველობა დროებით დათმეს. ხოლო ილუვატარმა თავისი ძალა გამოაჩინა და ქვეყნიერება გარდაქმნა; ნუმენორსა და უკვდავთა მიწებს შორის მდებარე ზღვაში ნაპრალი გაჩნდა და წყლები შიგ ჩაიღვარა; ვარდნილი წყლის ხმაური და ოხშივარი ზეცას მისწვდა; ქვეყნიერება იძრა. ნუმენორელთა ხომალდები უფსკრულში ჩაცვივდა და სამარადისოდ ჩაიძირა. ხოლო მეფე არ-ფარაზონი და მისი მოკვდავი მეომრები ჩამოქცეული მთების ქვეშ დაიმარხნენ: როგორც ამბობენ, დავიწყებულთა გამოქვაბულში გამოკეტილნი ელიან ისინი ბოლო ბრძოლასა და განკითხვის დღეს.

ილუვატარმა ამანი და ტოლ ერესეა არდას მოსწყვიტა და კაცთათვის მიუწვდომელ ადგილას გადაიტანა, ხოლო ანდორი, ნაჩუქარი ქვეყანა, ანუ ნუმენორი, ელენა ეარენდილის ვარსკვლავისა სრულიად განადგურდა; ვინაიდან კუნძული ზღვაში გაჩენილ განიერ ნაპრალთან ახლოს მდებარეობდა, საძირკვლები გამოეცალა, ჩაიძირა და წყვდიადში შთაინთქა. დედამიწაზე აღარ არსებობს ადგილი, სადაც ბოროტისაგან თავისუფალი დროის მოგონებებია შემონახული. ილუვატარმა დიდი ზღვა შუახმელეთის დასავლეთით გადაისროლა, ხოლო ცარიელი მიწები –

აღმოსავლეთით; ახალი მიწები და ზღვები წარმოიშვა; ქვეყნიერება შემცირდა, რამეთუ ვალინორმა და ტოლ ერესემ უხილავთა სამეფოში გადაინაცვლა.

ნუმენორის ფლოტის ნავსადგურიდან გასვლის ოცდამეცხრამეტე დღეს დაატყდა კაცთა მოდგმას ეს უეცარი უბედურება. მენელტარმადან ცეცხლმა ამოფეთქა, ქარიშხალი ამოვარდა, მიწა იძრა და ზეცა დატრიალდა, მთა-გორაკები დაემხო და ნუმენორი ზღვაში ჩაიძირა ბავშვებთან, ქალებთან, ქალწულებსა და ამაყ ბანოვანებთან ერთად; კუნძულს უფსკრულში ჩაჰყვა წალკოტები, სასახლეები და კოშკები, აკლდამები და განძთსაცავები, სამკაულები, მონატული და მოჩუქურთმებული ნაკეთობები, ნუმენორის მეცნიერება და ხელოვნება: ეს ყოველივე სამუდამოდ გაქრა. სულ ბოლოს აქაფებულმა, ცივმა ტალღამ ოქრო-ვერცხლსა თუ მარგალიტზე უმშვენიერესი დედოფალი ტარ-მირიელი ჩაიკრა გულში. მენელტარმის ციცაბო ბილიკებით მწვერვალზე მდგარი ტაძრისკენ მიიჩქაროდა იგი, როცა წყლის ნიაღვარი წამოეწია და მისი კივილი ქარის ღრიალში ჩაიკარგა.

არავინ უწყის, ამანდილმა ვალინორამდე მართლაც მიაღწია და მანუემ მისი მუდარა შეისმინა თუ არა, მაგრამ ვალართა მოწყალებამ დაღუპვისგან იხსნა ელენდილი, მისი ძენი და მათი ერთგული ქვეშევრდომნი. ელენდილი რომენაში იცდიდა, მეფეს საომრად არ წაჰყოლია; საურონმა მის შესაპყრობად ჯარისკაცები გამოგზავნა, რათა ტაძარში მიეყვანათ და მსხვერპლად შეეწირათ, მაგრამ ელენდილი ჯარისკაცებს გაექცა, ხომალდზე ავიდა და ზღვაში უცდიდა დათქმული დროის დადგომას. წყალთა მსრუტავი უფსკრულისკენ დაძრული ზღვის ნაკადისა და ქარიშხლის პირველი მძვინვარებისგან იგი კუნძულმა დაიცვა; თუმცა შემდეგ ზღვის ტალღებმა ნუმენორი წალეკეს და ჩაძირეს და ელენდილიც

საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. იმდენად დიდი იყო სამშობლოს განადგურების შემხედვარე ელენდილის მწუხარება, რომ სიკვდილს არც შეუშინდებოდა, მაგრამ დასავლეთიდან ძლიერმა ქარმა დაუბერა და

ელენდილის ხომალდები თან წარიტაცა. ქარისგან დახეული იალქნები და გადატეხილი ანძები წყალში ჩაცვნილ უბედურ ნუმენორელებს ზედ ეცემოდა.

სულ ცხრა ხომალდი გადარჩა: ოთხი ელენდილისა, სამი ისილდურისა და ორი ანარიონისა. ნგრევასა და ქარიშხალს გამოექცნენ ისინი და მრავალი დღის შემდეგ შუახმელეთის ნაპირებამდე მიაღწიეს. იმხანად ქვეყნიერების დასავლეთში ყოველი ზღვისპირა მხარე და სანაპირო გარდაიქმნა ან განადგურდა; ზღვებმა ხმელეთი წალეკეს, ნაპირები დაიბზარა, უძველესი კუნძულები ჩაიძირა და სიღრმიდან ახლები ამოიმართა; მთები დაიმსხვრა და დაიშალა, ხოლო მდინარეებმა უცხო მხარეებისკენ დაიწყო დენა.

ელენდილმა და მისმა ვაჟებმა შუახმელეთში ახალი სამეფოები დაარსეს; მართალია, მათი ცოდნა და ოსტატობა მხოლოდ სუსტი გამოძახილი იყო იმისა, ნუმენორელთ საურონის გამოჩენამდე რომ გააჩნდათ, მაგრამ ველურ კაცთა ტომები მათ სასწაულთმოქმედებად მიიჩნევდნენ. სხვა თქმულებებსა და მატიანეებში წვრილადაა აღწერილი ელენდილის მემკვიდრეთა და შთამომავალთა საქმეები და საურონთან მრავალწლიანი ბრძოლები.

ვალართა რისხვამ და მიწისა და ზღვისთვის დადებულმა სასჯელმა ძლიერ დააფრთხო საურონი. ის მხოლოდ ნუმენორელთა დაღუპვასა და მათი ამაყი მეფის მარცხს ელოდა. ტაძრის შუაგულში შავ ტახტზე მჯდარი საურონი ხარხარებდა, როცა არ-ფარაზონმა საყვირებში ჩააბერვინა და ხომალდებს დაძვრის ნიშანი მისცა. მეორედ მაშინ გადაიხარხარა, როცა ჭექა-ქუხილი და აღელვებული ზღვის გუგუნი მოესმა; ხოლო მესამედ კმაყოფილმა გადაიხარხარა იმაზე ფიქრისას, რომ მალე ეღაინებს თავიდან მოიცილებდა და ქვეყნიერებას დაეპატრონებოდა. თუმცა, სწორედ მაშინ, განარებულს ტახტი და ტაძარი გამოეცალა და მათთან ერთად უფსკრულში ჩავარდა. საურონი ხორციელი მოკვდავი არ იყო, ამიტომ არ მომკვდარა, მაგრამ სამუდამოდ შემოეძარცვა მშვენიერი იერი, რომლითაც კაცთა მზერას აბრმავებდა და უამრავ ბოროტებას

სჩადიოდა. სიღრმეებიდან აჩრდილივით ამოიჭრა მისი სული, შავი ქარივით გადაუქროლა ზღვას და დაბრუნდა მორდორში, თავის სამფლობელოში. კვლავ გაიკეთა ძალაუფლების ბეჭედი და ბარად-ღურში დასახლდა ბნელი და მღუმარე, ვიდრე ახალ იერს შეიძენდა. ამჯერად სახეზე ცხადად აჩნდა ღვარძლი და სიძულვილი და საურონ საზარლის თვალს მხოლოდ ცოტანი უსწორებდნენ მზერას.

თუმცა ეს ამბები სხვაგან არის მოთხრობილი, ხოლო «ნუმენორის ჩადირვა» ამით სრულდება. თვით სახელიც კი იმ ქვეყნისა ყველამ დაივიწყა. აღარავინ ახსენებდა ელენას, არც ანდორს, ძღვენს, რომელიც ედინებს წაართვეს და არც – ნუმენორს. ხოლო შუახმელეთში გადასახლებულნი, თუკი გულისთქმას აჰყვებოდნენ და დასავლეთს გახედავდნენ, იხსენებდნენ ტალღებქვეშ მოქცეულ მარ-ნუ-ფალმარს, დაცემულს, ანუ აკალაბეთს, რაც ელდართა ენაზე ატალანტედ ითარგმნება.

შუახმელეთში გადასახლებულ ნუმენორელთაგან ბევრს სწამდა, რომ მენელტარმის, ზეცის ბურჯის, მწვერვალი სამუდამოდ არ ჩადირულა, არამედ კვლავ ამოიმართა ტალღებიდან, ვითარცა უკიდუგანო წყლებით გარემოცული ეული კუნძული; რამეთუ წმინდა იყო მთის მწვერვალი და ვერც საურონის დღეთა უკეთურებამ წაბილწა იგი. შემდგომში ეარენდილის შთამომავალნი დაეძებდნენ იმ კუნძულს; ბრძენნი და მემატიანენი ამბობდნენ, მენელტარმის მწვერვალიდან ძველად შორსმხედველი და მზერამახვილი კაცი უკვდავთა მიწის ციალს ჰკიდებდა თვალსო. თვით ნგრევის შემდეგაც კი ღუნედაინთ დასავლეთისკენ მიუწევდათ გული; და თუმცა იცოდნენ, რომ ქვეყნიერება გარდაიქმნა, ასე ამბობდნენ: «ავალონე გაქრა ღედამიწიდან და ამანის მიწაც მოსწყვიტეს ქვეყნიერებას. ამ მუდმივი წყვდიადის საუფლოში მათ ვეღარ იპოვი. თუმცა, ოდესღაც არსებობდნენ და ისევ არსებობენ ჰირვანდელი აგებულებითა და ჭმშიარითი არსით».

ღუნედაინთ სჯეროდათ, რომ თვით მოკვდავ კაცთ, ნიჭით მომადლებულთ, ძალუძდათ ხილვა გარდასულ დღეთა, რომელთაც თავად არ მოსწრებოდნენ; მუდამ იმას ლამობდნენ, გაქცეოდნენ წყვდიადს გადა-

სახლებისა და როგორმე ეხილათ ნათელი, რომელიც არასოდეს ქრება. სიკვდილზე ფიქრი ზღვის გადმოღმაც სულს უმძიმებდა მათ. და ამის გამო ღუნედაინთა შორის გამორჩეული ზღვაოსანნი შორს მიცურავდნენ უკაცრიელი ზღვების გამოსაკვლევად იმ იმედით, რომ მენელტარმის კუნძულს იპოვიდნენ და იქიდან იხილავდნენ იმას, რაც უწინ იყო. თუმცა, კუნძულს ვერსად მიაგნეს; მხოლოდ უცხო მიწებს პოულობდნენ, მაგრამ იმ მიწებზეც სიკვდილი მეფობდა. ხოლო ისინი, ვინც ყველაზე შორს მიცურავდნენ, მხოლოდ გარს უვლიდნენ დედამიწას და დაქანცულნი ბრუნდებოდნენ იქ, საიდანაც მოგზაურობა დაიწყეს.

«ყველა გზა მრუდეა», – ამბობდნენ ისინი.

თანდათან ზღვაოსან მკვლევართა, ვარსკვლავთმრიცხველთა და მეცნიერთა წყალობით, კაცთა მეფეებმა დაადგინეს, რომ დედამიწა დამრგვალდა. თუმცა, ელდარებს, თუკი მოისურვებდნენ, კვლავაც ნებას რთავდნენ შუახმელეთიდან უძველეს დასავლეთში ან ავალონეში გადასახლებულიყვნენ. მეცნიერნი და სწავლულნი ამბობდნენ, პირდაპირი გზა უნდა არსებობდეს, ოღონდ მხოლოდ მათთვის, ვისაც უკვდავთა მიწებზე ელიანო. ასე ასწავლიდნენ, რომ ახალი ქვეყნიერების გზები კი გამრუდდა, მაგრამ დასავლეთის მოგონებებისკენ მიმავალი ძველი გზა ჯერაც არსებობდა, უჩინარი ხიდივით იყო გადებული ჰაერში, სადაც სუნთქავენ და დაფრინავენ, და ილმენის გავლით, სადაც ცოცხალი ვერა ძლებს, მიდიოდა ტოლ ერესეამდე, მარტოსულ კუნძულამდე და შესაძლოა, ვალინორამდეც, საიდანაც ვალარნი ქვეყნიერებას დღესაც თვალყურს ადევნებენ. ზღვისპირა მხარეებში მცხოვრებთა შორის თქმულებები გაჩნდა ზღვაში დაკარგულ ზღვაოსნებსა თუ მოგზაურებზე, რომლებმაც ბედისა თუ ვალართა სულგრძელობის წყალობით პირდაპირ გზას მიაგნეს, ქვეყნიერების ზედაპირი ქვეშ მოიტოვეს და ლამპრებით განათებულ ავალონეს ნავსაყუდლებს მიადგნენ; ზოგმა ამანის ნაპირებამდეც კი მიაღწია და სიკვდილის წინ პირქუშსა და მშვენიერ თეთრ მთას შეავლო თვალი.

ამბავი ძალაუფლების ბეჭდებისა და მესამე ეპოქისა, რომლითაც თხრობა სრულდება

ცხოვრობდა ოდესღაც მაია, სახელად საურონი, რომელსაც ბელერიანდელმა სინდარებმა გორთაური შეარქვეს. არდის დასაბამს აცდუნა იგი მელკორმა და მიიმხრო. საურონი მტრის უდიდეს და უერთგულეს მსახურად იქცა; იგი ყველაზე სახიფათოც იყო, რამეთუ მრავალი იერის მიღება შეეძლო და დიდხანს მოჩვენებითი კეთილშობილებითა და მშვენიერებით აცდუნებდა ყველას, გარდა უადრესად ფრთხილებისა.

როცა თანგოროდრიმი დაანგრის და მორგოთი დაამხვეს, საურონმა ისევ მშვენიერი იერი მიიღო და ქედმოდრეკილი ეახლა ეონუეს, მანუეს მაცნეს, რათა მისთვის ჩადენილი ბოროტქმედებანი ეპატიებინა. ზოგი ამბობს, რომ მაშინ საურონი არ ცრუობდა და ჭეშმარიტად მოინანია, თუნდაც შიშით, ვინაიდან მორგოთის დაცემასა და დასავლეთის მეუფეთა რისხვას ძლიერ შეეშფოთებინა. თუმცა ეონუეს მისივე თანასწორი მაიას შეწყალების უფლება არ ჰქონდა და საურონს უბრძანა, ამანში დაბრუნდი და დაე, მანუემ განგსაჯოსო. შერცხვა საურონს, არ ისურვა თავის დამცირება, რამეთუ ფიქრობდა, არდაში მორგოთის ბატონობისას ძალმოსილი მმართველი ვიყავი და ვალარებისთვის ერთგულების დამტკიცება გამიჭირდებაო. ამიტომ, როცა ეონუე წავიდა, საურონმა შეახმელეთს შეაფარა თავი და ისევ ავის ქმნას მიჰყო ხელი; მორგოთის ბოროტების ბორკილებს ძლიერად შეეკრა იგი.

დიდმა ბრძოლამ და თანგოროდრიმის დანგრევამ მიწა შეძრა, ბელერიანდი დაინგრა და აოხრდა. ბელერიანდის ჩრდილოეთსა და დასავლეთში მრავალი ქვეყანა დიდი ზღვის ტალღებმა წალეკა და შთანთქა. აღმოსავლეთით, ოსირიანდში, ერედ ლუინის კედლები დაინგრა და მათში სამხრეთით გამავალი დიდი ნაპრალი და ზღვის წყლით გავსებული ყურე გაჩნდა. იმ მხარეს ნოლდორნი ლინდონს უწოდებდნენ და ეს სახელი შერჩა მას შემდეგაც. მრავალი ელფი განაგრძობდა ლინდონ-

ში ცხოვრებას, რამეთუ არ სურდათ დატოვება ბელერიანდისა, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ და იღვწოდნენ. მათი მეფე იყო გილ-გალადი, ძე ფინგონისა. მას მუდამ გვერდით ედგა ელრონდ ნახევარელფი, ძე ეარენდილ ზღვაოსნისა და ძმა ელროსისა, ნუმენორის პირველი მეფისა.

ლუნის ყურის ნაპირებზე ელფებმა ნავსაყუდლები ააგეს და უწოდეს მითლონდი. იქიდან ელდარნი დროდადრო დედამიწის დღეთა წყვილადს გაურბოდნენ. ვალართა წყალობით, პირველშობილნი, თუკი მოისურვებდნენ, პირდაპირი გზით ბრუნდებოდნენ გარემომცველ ზღვათა მიღმა მდებარე ტოლ ერესეაზე ან ვალინორში, სადაც მათი ნათესავნი სახლობდნენ.

იმ ეპოქაში ელდართა ნაწილი ერედ ლუნის მთებს მიღმა მდებარე შიდა მიწებზე დასახლდა. მათ შორის

უმეტესობა ღორიათიდან და ოსირიანდიდან გამოქცეული ტელერები იყვნენ. ისინი ტყის ელფებს შეუერთდნენ და ზღვისგან მოშორებულ ტყეებსა და მთებში დააარსეს ახალი სამეფოები, თუმცა, ზღვისადმი ლტოლვა არასოდეს განელებიათ გულში.

შუახმელეთში დარჩენილ ნოლდორებს ერედ ლუნის გადაღმა ერთადერთი სამეფო ჰქონდათ – ერეგიონი, ანუ ბაძგნარი, როგორც მას კაცნი უწოდებდნენ. ერეგიონი ჯუჯათა ვრცელი მიწისქვეშა დარბაზების, კჰაზად-დუმის, ანუ ელფთა ენაზე ჰადოდრონდის სიახლოვეს მდებარეობდა. იმ ადგილს ელფებმა მოგვიანებით მორია უწოდეს. ოსტ-ინ-ედლიდან, ელფთა ქალაქიდან კჰაზად-დუმის დასავლეთ კარიბჭემდე შარაგზა მიიწევდა, რამეთუ ელფთა და ჯუჯათა შორის მანამდე გაუგონარი მეგობრობა გაიბა და ამ კავშირს ორივე მოდგმის ხალხისთვის დიდი სარგებელი მოჰქონდა. გუაით-ი-მირდაინნი, ერეგიონელი ოქრომჭედელნი ოსტატობით მხოლოდ ფეანორს თუ ჩამოუვარდებოდნენ; მათ შორის გამორჩეული იყო კელებრიმბორი, ძე კურუფინისა. როგორც ქუენტა სილმარილიონში არის მოთხრობილი, კელებრიმბორი მამამისს გა-

ნუღა და, როცა კურუფინი და კელეგორმი გააძევეს, ის ნარგოთრონდში დარჩა.

შუახმელეთში ხანგრძლივი მშვიდობა გამეფდა; თუმცა, უმეტესი ქვეყანა და მხარე, სადაც ბელერიანდელი ელფები არ სახლობდნენ, ველური და უკაცრიელი იყო. იმ ზღვისაგან დაშორებულ მიწებზე ავარები ცხოვრობდნენ უწინდელივით ლაღად და თავისუფლად; ბელერიანდისა და ვალინორის ამბებსა და დიდ მოვლენებზე მათ მხოლოდ გაკვრით სმენოდათ. ხოლო სამხრეთსა და შორეულ აღმოსავლეთში კაცთა მოდგმა მრავლდებოდა. მათი უმრავლესობა ავს ემხრობოდა, რამეთუ საურონი უქმად არ იჯდა.

აოხრებული ქვეყნიერების შემხედვარე საურონმა გულში გაიფიქრა, ვალარებმა მორგოთის დამხობით გული იჯერეს და შუახმელეთი ისევ მიივიწყესო და სწრაფად შეიპყრო ამპარტავნობამ. მას სძულდა ელდარები და ეშინოდა ნუმენორელების, რომლებიც დიდი ხომალდებით მოცურავდნენ შუახმელეთის ნაპირებთან; თუმცა, თავის აზრებსა და ავზრახვებს დიდხანს საიდუმლოდ ინახავდა.

არდის მკვიდრთაგან ყველაზე იოლად ადამიანები გადაიბირა; თუმცა ყველაზე დიდხანს ელფთა მიმხრობასა და თავის სამსახურში ჩაყენებას ცდილობდა, რამეთუ კარგად უწყობდა, პირველშობილნი უფრო ძლიერები იყვნენ. ელფთა შორეულ სამეფოებში მიემგზავრებოდა და კეთილშობილისა და ბრძენის იერით ეცხადებოდა მათ. მხოლოდ ლინდონში არ მისულა, რამეთუ გილ-გალადსა და ელრონდს აექვებდათ მისი კეთილგანწყობა და, თუმცა, მისი ნამდვილი ვინაობა არ იცოდნენ, სამეფოში შესვლის ნებას მაინც არ აძლევდნენ. ხოლო სხვაგან ელფნი მას თბილად ეგებებოდნენ და ლინდონელ ელჩთა გაფრთხილებებს ყურადღებას არ აქცევდნენ. საურონმა ანატარი, ძღვენთა მეუფე დაირქვა და მასთან მეგობრობით ელფებმა თავიდან დიდად იხეირეს. და უთხრა საურონმა მათ: «ვაი, რომ თვით დიადნიც ხშირად უძლურებას გამოავლენენ! დიადი მეფე არს გილ-გალადი და ფრიად განსწავლული არს

ელრონდი, მაგრამ დაუღალავად მშრომელს კი არ შემეწევია! იქნებ არა სურთ, იყოს სხვაგანაც სამეფონი

ლინდონისებრ ნეტარი და ბედნიერი? რად უნდა იყოს შუახმელეთი მარად უღაბური და ბნელი, თუკი ელფებს ძალუძთ ტოლ ერესეასებრ ან თუნდ ვალინორისებრ მისი დამშვენება? იქ არ დაბრუნდით, რამეთუ ვიცე, აქეთა მიწები ჩემსავით გიყვართ. ჩვენი ვალი არს ვიღვწოდეთ ერთად მათდა დასამშვენებლად და გასამდიდრებლად, და ყოველთა ელფთა განსასწავლებლად, მსგავსად მათდა, რომელნიც ზღვის გადაღმა ცხოვრობენ!»

ყველაზე მეტად საურონის რჩევებს ერეგიონში უგდებდნენ ყურს, რამეთუ იმ მხარის ნოლდორნი ოსტატობისა და ხელოსნობის სრულყოფას ესწრაფოდნენ. შუახმელეთის სიყვარულმა მათ დასავლეთში დაბრუნებაზე უარი ათქმევინა, თუმცა წასულთა ნეტარებისა შურდათ. ამიტომაც შეისმინეს საურონის სიტყვები და მისგან მრავალი რამ ისწავლეს. იმხანად ოსტ-ინ-ედილის მჭედლებმა საოცარი რამეები დაამზადეს. მათ შორის ყველაზე გასაოცარი იყო ძალაუფლების ბეჭდები. თუმცა, ერეგიონელ მჭედლებს საურონი ხელმძღვანელობდა და რასაც აკეთებდნენ, ყველაფერი იცოდა. მას ელფთა დამორჩილება და დამონება განუზრახა.

ელფებმა მრავალი ბეჭედი დაამზადეს; ხოლო საურონმა საიდუმლოდ გამოჭედა მმართველი ბეჭედი, ყველა დანარჩენი მას ემორჩილებოდა და მხოლოდ იმდენ ხანს გაძლებდა, რამდენსაც მთავარი ბეჭედი. საურონმა ელფთა ძლიერი ბეჭდების დასაპატრონებლად მმართველ ბეჭედში თავისი ძალისა და ნების ნაწილი ჩააქსოვა. წყვილიაღის ქვეყნის ცეცხლოვან მთაში გამოჭედა საურონმა მმართველი ბეჭედი; როცა ის ეკეთა, ამჩნევდა ყოველივეს, რაც უმცირეს ბეჭედთა მეშვეობით კეთდებოდა და კითხულობდა და განაგებდა იმათ აზრებს, ვისაც ის ბეჭედი ეკეთა.

ელფები ასე იოლად როდი მოტყუვდნენ. როგორც კი საურონმა მმართველი ბეჭედი გაიკეთა, მყისვე იგრძნეს, იცნეს იგი და მიხვდნენ,

რომ საურონს მათზე და მათ მიერ შექმნილზე ბატონობა ეწადა. გაბრაზებულებმა და შეშინებულებმა მოიხსნეს ბეჭდები. საურონი მიხვდა, რომ ელფები არ მოტყუვდნენ და მისი მუხანათობა გამჟღავნდა და რისხვით აღივსო; მან ელფებს ომი გამოუცხადა და მოითხოვა, ყველა ბეჭედი გადმომეცით, რამეთუ ელფი მჭედლები ჩემი ცოდნისა და დანმარების გარეშე მათ ვერ დაამზადებდნენო. ხოლო ელფები გაექცნენ საურონს, სამი ბეჭედი გადაარჩინეს, თან წაიღეს და დამალეს.

ეს სამი ბეჭედი სულ ბოლოს გამოჰქედეს და სხვებზე ძლიერი იყო. ნარია, ნენია და ვილია უწოდეს ლალის, ადამანტისა და საფირონის-თვლიან ბეჭდებს – ცეცხლის, წყლისა და ჰაერისა. ელფთა ბეჭდებიდან სწორედ ამ სამის დაპატრონება სურდა ყველზე მეტად საურონს, რამეთუ ისინი ჟამთა სვლის ხრწნადობისა და ქვეყნიერების დამღლელობისგან იცავდა მფლობელებს. თუმცა, საურონმა მათი ჰოვნა ვერ მოახერხა, რამეთუ ელფების სამივე ბეჭედი ბრძენთ გადასცეს შესანახად, ხოლო ბრძენნი ღიად აღარ იყენებდნენ მათ, სანამ საურონს მმართველი ბეჭედი ჰქონდა. ამგვარად, თავად კელებრიმბორის მიერ გამოქვდილი სამი ბეჭედი საურონის შეხებისგან არასოდეს წაბილწულა. თუმცა, ისინიც მმართველ ბეჭედს ემორჩილებოდნენ.

იმ დროიდან მოყოლებული, საურონსა და ელფებს შორის დაუსრულებელი ომი გაჩაღდა. ერეგიონი აოხრდა, კელებრიმბორი მოკლეს და მორიის კარიბჭე დაიხშო. სწორედ იმხანად დააარსა ელრონდ ნახევარელფმა ციხესიმაგრე და თავშესაფარი იმლადრისისა, რომელსაც კაცნი შუაველს უწოდებდნენ; იმლადრისმა დიდხანს გაძლო. ხოლო საურონმა დანარჩენი ძალაუფლების ბეჭდები ხელში ჩაიგდო და შუახმელეთის სხვა მოდგმის ხალხს დაურიგა იმ იმედით, რომ მათთვის შეუსაბამო იდუმალი ძალის ფლობას მოწყურებულთ დაიმონებდა. შვიდი ბეჭედი ჯუჯებს მისცა, ხოლო ცხრა – ადამიანებს, რომლებიც უფრო იოლად დაჰყვებოდნენ ხოლმე მის ნებას. საურონს იმ ბეჭდების გამოქვდაში წილი ედო და მისგან წაბილწულებმა და დაწყევლილებმა, საბოლოოდ, თავიანთ მფლობელებს უღალატეს. ჯუჯები საკმაოდ მტკიცენი

და ძნელად მოსათვინიერებელნი აღმოჩნდნენ; ჯუჯებს სხვათა მორჩილება არ უყვართ, ვერც მათი გულის სიღრმეს ჩასწვდებით და არც აჩრდილებად იქცევიან. ისინი მხოლოდ სიმდიდრის მოსახვეჭად იყენებდნენ თავიანთ ბეჭდებს; თუმცა, ბეჭდებმა მათ გულებში სიხარბისა და ოქროს სიყვარულის ცეცხლი ააგიზგიზა; ამან, საურონისდა სასარგებლოდ, ჯუჯებს უამრავი ბოროტება ჩაადენინა. როგორც ამბობენ, ჯუჯათა მეფეების შვიდი საგანძურის შექმნას საფუძველი სწორედ იმ შვიდი ოქროს ბეჭდით ჩაეყარა. თუმცა, ის საგანძურები დიდი ხნის წინ გაძარცვეს და გაანადგურეს დრაკონებმა, ხოლო შვიდი ბეჭდიდან ზოგი ცეცხლმა შთანთქა, ზოგიც საურონმა დაიბრუნა.

კაცნი უფრო იოლად გაებნენ საურონის მახეში. ცხრა ბეჭდის მფლობელები თავიანთი დროის დიადი მეფეები, გრძნეულები და მეომრები შეიქნენ. დიდება და სიმდიდრე მოიხვეჭეს, მაგრამ თავიც დაიღუპეს. უკვდავება მოიპოვეს, მაგრამ სიცოცხლე მათთვის გაუსაძლისი გახდა. თუ მოინდომებდნენ, დღისით, მზისით, სხვათა მზერისთვის უჩინრად დადიოდნენ და იმას ხედავდნენ, რაც მოკვდავთათვის უხილავია; თუმცა, დიდწილად ეს საურონის მოვლენილი მოჩვენებები და ცრუ ხილვები იყო. ერთიმეორეზე მიყოლებით, ზოგმა ადრე, ზოგმა გვიან – იმის გათვალისწინებით, რამდენად ძლიერნი იყვნენ წარმოშობით ან რამდენად კეთილნი ან ბოროტნი ბუნებით, თავიანთ ბეჭდებს დაემონნენ და საურონის მმართველ ბეჭედს დაემორჩილნენ. აჩრდილებად იქცნენ და წყვდიადის სამეფოში შეაბიჯეს. მათ მხოლოდ ის ხედავდა, ვისაც მმართველი ბეჭედი ეკეთა. წყვდიადი თან სდევდა საურონის უერთგულეს მსახურებს, ბეჭდის აჩრდილებს, ანუ ნაზგულებს და მუდამ სიკვდილის ხმაზე გაჰკიოდნენ.

უსაზღვროდ გაამპარტავანდა საურონი, მცირედი აღარ აკმაყოფილებდა, მთელ შუახმელეთზე გაბატონება, ელფების განადგურება და, თუ მოახერხებდა, ნუმენორის დამხობა სურდა. მეტოქეებს არ ინდობდა და იმონებდა, თავი დედამიწის მეუფედ გამოაცხადა. იერის შეცვლის ძალა ჯერაც შერჩენოდა და, როცა კაცთა გაცურებას განიზრახავდა, მათ

პირმშვენიერი ბრძენის სახით ეცხადებოდა. ძალმომრეობასა და სისასტიკეს იყენებდა დამონებულთა სამართავად; მისი სამეფოდან წყვდიადი თანდათან შორს გავრცელდა და თავისუფალმა ხალხმა მას შავბნელი მბრძანებელი და საყოველთაო მტერი უწოდა. საურონმა მიმოფანტული და მიწის ქვეშ დამალული მორგოთის ბოროტი მსახურები კვლავ გარს შემოიკრიბა; მის სამსახურში მდგარი ორკები ბუზებივით მრავლდებოდნენ. ასე დაიწყო შავბნელი წლები, რომლებსაც ელფები გაქცევის დღეებს უწოდებენ. იმხანად შუახმელეთის მრავალი ელფი გაიქცა ლინდონში, იქიდან კი – ზღვის გადაღმა და უკან აღარ დაბრუნებულა. მრავალი ელფი საურონმა და მისმა მსახურებმა დახოცეს.

თუმცა, ლინდონში კვლავაც გილ-გალადი ბატონობდა. საურონი ერედ ლუინის მთებზე გადასვლასა და მითლონდზე თავდასხმას ჯერ ვერ ბედავდა. გილ-გალადს ნუმენორელები ეხმარებოდნენ. სხვაგან საურონი ბატონობდა, ხოლო თავისუფლების მოსურნენი შიშით გაურბოდნენ და ტყეებსა და მთებს აფარებდნენ თავს. აღმოსავლეთსა და სამხრეთში მცხოვრები ადამიანები მას ემორჩილებოდნენ; იმ დღეებში ისინი მეტად გაძლიერდნენ და ქვისგალავნიანი მრავალი ქალაქი ააშენეს. მათი მეომრები სასტიკად იბრძოდნენ რკინის იარაღებით. ისინი საურონს მეფე-ღმერთად მიიჩნევდნენ და ძლიერ უფრთხობდნენ, რამეთუ მისი საცხოვრისი ცეცხლის აღში იყო გახვეული.

თუმცა, საურონმა დასავლეთით გალაშქრება ვედარ მოასწრო, რამეთუ როგორც აკალაბეთში არის მოთხრობილი, მორდორს ნუმენორის სამეფო დაუპირისპირდა. იმდენად დიდი და ძლიერი იყო ნუმენორელთა ლაშქარი, რომ საურონის მსახურნი მას წინ ვერ აღუდგებოდნენ, ამიტომ ცბიერმა საურონმა ხერხს მიმართა. მან ღროვებით დატოვა შუახმელეთი და მეფე ტარ-კალიონს ნუმენორში მძევლად გაჰყვა; იქ ვერაგობის მეშვეობით კუნძულის მოსახლეობის უმეტესობა აცდუნა და გარყვნა და ვალართა წინააღმდეგ აამხედრა – ამგვარად გულის წაღილი აისრულა და ნუმენორი დააქცია. თუმცა, ნგრევა იმაზე საზარელი გამოდგა, ვიდრე საურონს წარმოედგინა, რამეთუ დავიწყებოდა, რაოდენ სასტიკ-

ნი იყვნენ დასავლეთის მეუფენი მრისხანების ჟამს. ნუმენორის კუნძუ-
ლი ზღვამ ჩანთქა და თავად საურონიც ჩაიძირა. წყლის სიღრმიდან მის-
მა სულმა ამოაღწია და გაფრინდა შუახმელეთში, ვითარცა შავი გრიგა-
ლი. შინ დაბრუნებულმა საურონმა აღმოაჩინა, რომ მისი მრავალწლია-
ნი არყოფნისას გილ-გალადის გავლენა ნისლიანი მთებისა და დიდი
მდინარის გადაღმა გავრცელებულიყო, დიდ მწვანე ტყეს სწვდებოდა და
საურონის უწინდელ სამფლობელოს უახლოვდებოდა. მაშინ საურონი
მორდორში, თავის ციხე-კოშკში გამაგრდა და ომისთვის მზადება დაიწ-
ყო.

როგორც აკალაბეთში არის მოთხრობილი, ნუმენორელები, რომლე-
ბიც ჩაძირვას გადაურჩნენ, შუახმელეთში გამოიქცნენ. მათ წინამძღო-
ლობდა ელენდილ მაღალი და მისი ძენი, ისილდური და ანარიონი. ისი-
ნი ნუმენორის მეფის ნათესავები იყვნენ, ელროსის შთამომავლები, მაგ-
რამ საურონს არ დაუჯერეს და დასავლეთის მეუფეებთან საომრად არ
გაემართნენ. ვალართა და ელდართა ერთგული ნუმენორელები შეკრი-
ბეს და ვიდრე ნუმენორი ჩაიძირებოდა, ხომალდებით გამოიქცნენ. აზ-
ვირთებულმა ზღვამ ლამის ღრუბლებამდე აიტაცა მაღალი და მძლავრი
გემები, რომლებიც შუახმელეთის ნაპირებზე ფრინველებივით დაემ-
ვნენ.

ელენდილი ტალღებმა ლინდონში გარიყეს. იგი გილ-გალადს და-
უმეგობრდა. იქიდან მდინარე ლუნს აუყვა და ერედ ლუნის გადაღმა თა-
ვისი სამეფო დააარსა, მისი ხალხი ერიადორში, მდინარეების ლუნისა
და ბარანდუნის ნაპირებზე მრავალგან დასახლდა; თუმცა, ელენდი-
ლის სატახტო ქალაქი ანუმინასი ტბა ნენუილის გვერდით მდებარეობ-
და. ჩრდილოეთის მადლობებზე გაშენებულ ფორნოსტში, კარდოლანსა
და რუდაურის მთა-გორაკებშიც ნუმენორელები ცხოვრობდნენ. ემინ ბე-
რაიდსა და ამონ სულზე კოშკები აღმართეს; იქ დღემდე შემორჩენილია
მრავალი ყორღანი და ნანგრევი, ხოლო ემინ ბერაიდის კოშკები კვლავ-
ვაც ზღვას გადაჰყურებენ.

ისილდური და ანარიონი ზღვის ტალღებმა სამხრეთით წარიტაცეს და, ბოლოს და ბოლოს, ანდუინამდე მიაღწიეს. ეს დიდი მდინარე როვანიონში იღებდა სათავეს და ბელფალასის ყურეში ზღვაში ჩაედინებოდა. იმ მხარეში მათ თავიანთი სამეფო დააარსეს. სამხრეთის სამეფოს მოგვიანებით გონდორი უწოდეს, ხოლო ჩრდილოეთისას – არნორი. დიდი ხნით ადრე, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთით საურონის შავი ქვეყანა ესაზღვრებოდა, ნუმენორელ ზღვაოსნებს ანდუინის შესართავებთან ნავსადგური და სიმაგრეები აეშენებინათ. გვიანდელ ხანაში იქ მხოლოდ ნუმენორელი ერთგულები სახლდებოდნენ და ზღვისპირა მხარეში მცხოვრებმა ელფთა მეგობართა და ერთგულთა ნათესავებმა ელენდილის ძეები გულთბილად მიიღეს. სამხრეთის სამეფოს სატახტო ქალაქი იყო ოსგილიათი, რომლის შუაგულშიც ანდუინი მიედინებოდა; ნუმენორელებმა მდინარეზე დიდი ხიდი ააგეს, რომელზეც სანახავად საკვირველი ქვის კოშკები და სახლები იდგა. ზღვიდან მაღალი ხომალდები მოცურავდა ქალაქის ნავსადგურებში. ოსგილიათის აღმოსავლეთით და დასავლეთით ორი ციხესიმაგრე ააგეს: მინას ითილი, ანუ ამომავალი მთვარის კოშკი – წყვდიადის მთების ქედზე მორდორისგან მომავალი საფრთხის შესაკავებლად და მინას ანორი, ანუ ჩამავალი მზის კოშკი – მთა მინდოლუინის ძირას, მინდორ-ველებზე მცხოვრებ ველურ კაცთაგან თავის დასაცავად. მინას ითილში ისილდური სახლობდა, ხოლო მინას ანორში – ანორიენი, თუმცა, სამეფოს ერთად მართავდნენ და მათი ტახტები ოსგილიათის სეფედარბაზში გვერდიგვერდ იდგა. ესენი იყო ნუმენორელთა უმთავრესი სამოსახლოები, მაგრამ თავიანთი ძლიერების ჟამს მათ გონდორი სხვა გასაოცარი და მტკიცე ნაგებობებითაც დაამშვენეს არგონათში, აგლარონდსა და ერეხში; ხოლო ანგრენოსტის რკალში, რომელსაც კაცნი იზენგარდს უწოდებდნენ, უტეხი ქვისგან ორთაწკის კოშკი გამოთალეს.

ნუმენორიდან გამოქცეულებმა მრავალი საკვირველი და ძვირფასი ნივთი და რელიკვია მოიტანეს შუახმელეთში; ამათგან ყველაზე გამორჩეული შვიდი ქვა და თეთრი ხე იყო. თეთრი ხე არმენელოსში, ოდესღაც

ნუმენორის მეფის ბაღში მდგარი ნიმლოთის ნაყოფისგან იყო გაზრდილი; თავის მხრივ, ნიმლოთი ტირიონის ხის შთამომავალი იყო, ხოლო ტირიონის ხე – სახება უხუცესი ხისა, თეთრი ტელპერიონისა, რომელიც იავანამ გაახარა ვალართა მიწაზე. თეთრი ხე, მოსაგონარი ელდართა და ვალინორის ნათელისა, ისილდურის სასახლის ეზოში დარგეს, ვინაიდან ხის ნაყოფი სწორედ მან გადაარჩინა; ხოლო შორსაჭრეტი ქვები გაინაწილეს.

სამი ელენდილმა წაიღო, ორ-ორი მისმა ვაჟებმა. ელენდილმა ქვები ემინ ბერაიდის კოშკებში, ამონ სულზე და ქალაქ ანუმინასში დააწყო, ხოლო ისილდურმა და ანარიონმა – მინას ითილში, მინას ანორში, ორ-თანკსა და ოსგილიათში. ვინც ამ ქვებში ჩაიხედავდა, შორეულ სივრცეებსა ან დროს მიაწვდენდა მზერას. უმეტესად მონათესავე ქვასთან უახლოეს რამეებს დაინახავდით, რამეთუ ქვები ერთმანეთს ეხმიანებოდნენ; თუმცა, დიდი ნებისყოფისა და ძალის მქონენი ქვებს იმორჩილებდნენ და მზერას იქით მიმართავდნენ, საითაც მათ სურდათ. ამგვარად, ნუმენორელები მტრების იდუმალ განზრახვას წინდაწინ შეიტყობდნენ ხოლმე და მათ ფხიზეულ თვალს იშვიათად თუ რამე გამოეპარებოდა.

როგორც ამბობენ, ემინ ბერაიდის კოშკები ნუმენორიდან გადმოსახლებულებმა კი არა, გილ-გალადმა ააგო

თავისი მეგობრისთვის, ელენდილისთვის. ემინ ბერაიდის შორსაჭრეტი ქვა უმაღლეს კოშკში, ელოსტირიონში იღო. იქიდან ელენდილი, როცა გარდასულ დღეთა მოგონებებით გამოწვეული სევდა შემოაწვებოდა, ზღვათა გადაღმა იყურებოდა და, ასე ამბობენ, ხანდახან ტოლ ერესეაზე მდგარი ავალონეს კოშკს ხედავდაო. სწორედ იქ იღგა და ახლაც დგას მთავარი შორსაჭრეტი ქვა. ეს ქვები ელდარებმა ელენდილის მამას, ამანდილს აჩუქეს სანუგეშებლად ნუმენორელი ერთგულებისა, როცა კუნძული საურონის წყვდიადში გაეხვია და ელფებმა იქ მისვლა შეწყვიტეს. ელდართა ენაზე შორსაჭრეტი ქვებს პალანტირებს უწოდებდნენ. შუახმელეთში მოტანილი ქვები დიდი ხნის წინ განადგურდა და დაიკარგა.

ასე დააარსეს გადმოსახლებულმა ნუმენორელებმა არნორისა და გონდორის სამეფოები; მალე გაცნადა, რომ საურონი, მათი მტერიც, დაბრუნებულიყო შუახმელეთში. როგორც აღინიშნა, მან უჩუმრად გადაიარა ეფელ დუათი, წყვდიადის მთები და აღმოსავლეთით გონდორის მოსაზღვრე მორდორის უძველეს სამეფოში გამაგრდა. მისი დიდი და მტკიცე ციხესიმაგრე ბარად-დური, ბნელი კოშკი, გორგოროთის ხეობას გადაჰყურებდა. იმ შავბნელ ქვეყანაში იდგა ცეცხლოვანი მთა, რომელსაც ელფნი ოროდრუინს უწოდებდნენ. საურონი სწორედ ამ მთის გამო დასახლდა მორდორში, რამეთუ მიწის წიაღში დაგროვილ ცეცხლს გრძნულებისა და ჭედვისთვის იყენებდა; მორდორის შუაგულშივე გამოჭედა მან მმართველი ბეჭედი. ახლაც იმ წყვდიაღში იცლიდა, ვიდრე ახალ იერს შეიძენდა; საზარლად გამოიყურებოდა იგი, რამეთუ ნუმენორის დაქვევისას ზღვაში ჩაძირულმა მშვენიერი გარეგნობა სამუდამოდ დაკარგა. კვლავ გაიკეთა ძალაუფლების ბეჭედი და ძალით შეიმოსა. საურონის თვალის ბოროტ მზერას ელფთა და კაცთაგან მხოლოდ მცირედნი თუ უძლებდნენ.

საურონმა ელდართა და შორდასავლელ კაცთა წინააღმდეგ საომრად მზადება დაიწყო, ოროდრუინში ცეცხლმა გაიღვიძა. მთიდან ამომავალი კვამლი რომ იხილეს და მიხვდნენ, საურონი დაბრუნებულიაო, ნუმენორელებმა ოროდრუინს ამონ ამართი, ბედისწერის მთა უწოდეს. საურონმა აღმოსავლეთსა და სამხრეთში თავისი მსახურები შეკრიბა. მის მრავალრიცხოვან ლაშქარში ახლა ნუმენორული წარმოშობის ხალხიც ირიცხებოდა. მძევლად წაყვანილმა საურონმა მრავალ ნუმენორელს დაუბნელა გონება და წყვდიადის თაყვანისმცემლებად აქცია ისინი; საურონის ტყვეობისას შუახმელეთის ზღვისპირა ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში დასახლებულმა ნუმენორელებმა მორდორში დაბრუნებული საურონის მსახურება განაგრძეს. თუმცა, გილ-გალადის გავლენა იმდენად შორს ვრცელდებოდა, რომ ეს განდგომილები მეტწილად სამხრეთშიდა ცხოვრობდნენ; მორდორის სამხრეთით, ანდუინის შესართავებს მიღმა მდებარე ვრცელ მიწებზე მცხოვრებ მრავალრიცხოვან და

სასტიკ ჰარადრიმებს შორის ორმა განდგომილმა ნუმენორელმა მოიპოვა სახელი და დიდება: ჰერუმორმა და ფუინურმა.

საურონი სამზადისს მორჩა, დიდძალი ლაშქრით თავს დაესხა გონდორის ახალდაარსებულ სამეფოს, მინას ითილი აიღო და ისილდურის დარგული თეთრი ხე გაანადგურა. ისილდური გაიქცა, ცოლ-შვილთან ერთად ხომალდით დიდ მდინარეს დაუყვა და ანდუინის შესართავებიდან ელენდილთან გაცურა. მას თან მიჰქონდა თეთრი ხის ნერგი. ანარიონი ოსგილიათში გამაგრდა და მტერი დროებით უკუაქცია; თუმცა,

საურონმა კვლავ მოიკრიბა ძალა და ანარიონი მიხვდა, რომ დახმარების გარეშე მისი სამეფო დიდხანს ვერ გასტანდა.

გილ-გალადი და ელენდილი საურონის გაძლიერებას შეეშფოთებინა და მოითათბირეს, თუ არ გავერთიანდებით, მტერი სათითაოდ ყველას დაგვამარცხებსო. ამიტომაც შეკრეს კავშირი, რომელსაც უკანასკნელ კავშირს უწოდებენ და ელფთა და კაცთა მრავალრიცხოვანი ლაშქრით აღმოსავლეთისკენ გაემართნენ. გზად, მცირე ხნით იმლადრისში შეჩერდნენ. როგორც ამბობენ, ის ლაშქარი მხოლოდ ვალართა მიერთანგოროდრიმის დასამხობად გამოგზავნილ ლაშქარს ჩამოუვარდებოდა სიძლიერით და მისებრ მშვენიერი და ბრწყინვალე შუახმელეთში აღარასოდეს უნახავთ.

იმლადრისიდან უღელტეხილებით ნისლიან მთებზე გადავიდნენ, მდინარე ანდუინს დაუყვნენ და საურონის ლაშქარს მორდორის კარიბჭის წინ, დაგორლადზე, ბრძოლის ველზე, შეებრძოლნენ. იმ დღეს ყოველი სულიერი ერთმანეთს დაუპირისპირდა, თვით ნადირ-ფრინველიც, გარდა ელფებისა – ისინი მხოლოდ გილ-გალადის გვერდით იდგნენ. ჯუჯები ორივე მხარეზე იყვნენ; თუმცა, ღურინ მორიელის ხალხი საურონს ებრძოდა.

გილ-გალადისა და ელენდილის ლაშქარმა გაიმარჯვა, რამეთუ ელფნი ჯერაც ძლიერნი იყვნენ იმხანად, ხოლო ნუმენორელნი ღონიერნი, მალაღნი და მრისხანენი. გილ-გალადის შუბს, აეგლოსს, ვერავინ უმ-

კლავდებოდა, ელენდილის ხმალი, ნარსილი კი, ორკებსა და კაცებს ში-
შით აღავსებდა, რამეთუ მზესა და მთვარესავით ელვარებდა.

გილ-გალადი და ელენდილი მორდორში შეიჭრნენ და საურონის ცი-
ხესიმაგრეს გარს შემოერტყნენ. ალყა შვიდ წელიწადს გრძელდებოდა.
საურონი უეცარი თავდასხმებით ხშირად არბევდა მოალყეებს, ცეცხლი-
სა და ისრების წვიმით დიდძალი ზიანი მიაყენა მათ. გორგოროთის ხე-
ობაში ანარიონი, ელენდილის ძე და მრავალი მეომარი დაიღუპა. ბო-
ლოს, როცა მდგომარეობა დამძიმდა, თავად საურონი გამოვიდა ბარად-
დურიდან; ის გილ-გალადსა და ელენდილს შეებრძოლა და ორივე მოკ-
ლა. ნარსილი დაცემული ელენდილის ქვეშ მოყვა და დაიმსხვრა. თუმცა,
საურონსაც სძლიეს და ვადაში გადატეხილი ნარსილით ისილდურმა ხე-
ლიდან მმართველი ბეჭედი მოჰკვეთა და დაისაკუთრა. საურონი დრო-
ებით დამარცხდა, მისმა სულმა სხეული დატოვა და შორეულ უდაბნო-
ებს შეაფარა თავი. მრავალი წლის განმავლობაში ადარ მიუღია ხილუ-
ლი იერი.

ასე დასრულდა ადრეული დღეები და შავი წლები და დაიწყო ქვეყ-
ნიერების მესამე ეპოქა. იმხანად ჯერ ისევ არსებობდა იმედი და მოგო-
ნებები ბედნიერ წარსულზე, ხოლო ელდართა თეთრი ხე დიდხანს ყვა-
ოდა კაცთა მეფეთა სასახლის ეზოში, რამეთუ მინას ითილიდან წაღებუ-
ლი ნერგი ისილდურმა დაღუპული ძმის სახსოვრად ანორის ციტადელ-
ში დარგო, ვიდრე გონდორიდან გაემგზავრებოდა. საურონის მსახურები
დამარცხდნენ და მიმოიფანტნენ, მაგრამ სრულად არ განადგურებუ-
ლან; მართალია, მათგან

მრავალმა ზურგი აქცია ბოროტებასა და ელენდილის მემკვიდრეთა
ქვეშევრდომები გახდნენ, გულის სიღრმეში საურონი მაინც ახსოვდათ
და დასავლური სამეფოები სძულდათ. ბნელი კოშკი მიწასთან გაასწო-
რეს, მაგრამ მისი საძირკვლები გადარჩა და ეს არ დავიწყებიათ. ნუმე-
ნორელებმა მორდორის საზღვრებზე გუმაგები დააყენეს, მაგრამ შავ
ქვეყანაში დასახლებას ვერავინ ბედავდა იქ დასადგურებული საურონის
საზარელი მოგონებებისა და ბარად-დურის ახლოს აღმართული ცეც-

ხლოვანი მთის გამო; ხოლო გორგოროთის ველი ფერფლით იყო სავსე. მრავალი ელფი, ნუმენორელი და მათი მოკავშირე ადამიანი დაიდუბა ალყის ბრძოლაში; აღარც ელენდილ მაღალი და უზენაესი მეფე გილგალადი იყვნენ ამქვეყნად, აღარასოდეს შეკრებილა ესეოდენ ბრწყინვალე ლაშქარი და აღარც ელფებსა და ადამიანებს შეუკრავთ კავშირი; რამეთუ ელენდილის ზეობის შემდგომ ამ ორმა მოდგმამ ურთიერთობა გაწყვიტა.

იმ ეპოქაში მმართველი ბეჭედი გაქრა და ის თვით ბრძენებმა და სწავლულებმა დაივიწყეს. ისილდურმა ბეჭედი ბრძოლის ველზე გვერდით მდგარ ელრონდსა და კირდანს არ დაუთმო. მათ ისილდურს ურჩიეს, ბეჭედი ოროდრუინის ცეცხლში ჩაეგდო, იქ, სადაც გამოჰედეს, რათა განადგურებულიყო და სამუდამოდ ძალაგამოცლილი საურონი უდაბნოში დავანებულ ბოროტ აჩრდილაღდა ქცეულიყო. თუმცა, ისილდურმა ელრონდისა და კირდანის რჩევა არ შეისმინა. ასე შეესიტყვა: «ამას მამის ჩემისა და ძმის ჩემის ნასისხლად ავიღებ. განა მე არ ვაწვნიე მტერს სასიკვდილო დარტყმა?» თანაც, ბეჭედი ისეთი მშვენიერი ჩანდა, რომ ისილდურს მისი განადგურება დაენანა. ამიტომ მინას ანორში დაბრუნებულმა ბეჭედი თან წაიღო. იქ ისილდურმა ძმის, ანარიონის, სახსოვრად თეთრი ხე დარგო, ძმისწული მენელდილი დაარიგა, სამხრეთის სამეფო მას დაუმტკიცა და გონდორიდან ჩრდილოეთში გაემგზავრა იმ გზით, რომლითაც ელენდილი მოვიდა. მას ურიადორში, მორდორის წყვდიადისგან შორს მდებარე მამის სამეფოს ტახტზე ასვლა განეზრახა. მმართველი ბეჭედი თან მიჰქონდა, ვითარცა საგვარეულო რელიკვია.

თუმცა, ისილდურს ნისლიან მთებთან ჩასაფრებულმა ორკებმა გადაუჭრეს გზა. დიდ მწვანე ტყესა და დიდ მდინარეს შორის, ლოგე ნინგლორონის, ზამბახის მინდვრებთან უშიშრად და მცველების გარეშე დაბანაკებულს (რამეთუ მტერი სრულად განადგურებული ეგონა) უეცრად თავს დაესხნენ ეს ავი არსებები. იქ თითქმის მთელი ისილდურის ამაღა გაჟლიტეს, მათ შორის, მისი სამი უფროსი ძე: ელენდური, არატა-

ნი და კირიონი; ხოლო ცოლი და უმცროსი ძე, ვალანდილი, ისილდურს საომრად წასვლამდე იმლადრისში დაეტოვებინა. ისილდური ბეჭდის მეშვეობით დაუსხლტა ორკებს, რამეთუ, როცა ის თითზე ეკეთა, უხილავი ხდებოდა. თუმცა, ორკები მის სუნსა და ნაფეხურებს მიჰყვებოდნენ. ბოლოს, ისილდური ანდუინს მიადგა და მდინარეში ჩახტა. იქ ბეჭედმა უღალატა მას და ბატონის შური იძია, ისილდურს თითიდან მოსძვრა და წყალში დაიკარგა. ორკებმა დაინახეს მდინარეში მცურავი ისილდური და ისრები დააყარეს. ასე აღესრულა ისილდური, ძე ელენდილისა. მისი ამალიდან მხოლოდ სამმა ადამიანმა მოახერხა მთებზე გადასვლა და ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ არნორს მიაღწია. ერთ-ერთი მათგანი იყო ისილდურის საჭურველთმბტვირთველი ოჰტარი, რომელსაც ისილდურმა ელენდილის ხმლის ნამსხვრევები გადასცა შესანახად.

ამგვარად, თავის დროზე, ნარსილი იმლადრისში ვალანდილს, ისილდურის ძეს გადაეცა; თუმცა,

გატეხილი ხმალი აღარ ელვარებდა და არც გაუმრთელებიათ. ელრონდმა იწინასწარმეტყველა, რომ ამის დრო მხოლოდ მაშინ დადგებოდა, როცა მმართველ ბეჭედს კვლავ იპოვიდნენ და საურონი დაბრუნდებოდა. ოღონდ ელფნი და კაცნი იმედოვნებდნენ, რომ ეს არასოდეს მოხდებოდა.

ვალანდილი ანუმინასში დასახლდა, მაგრამ მისი ხალხი შემცირდა, ნუმენორელი და ერიადორელი ადამიანები ელენდილის აგებული ქალაქებისა და ციხე-კოშკების დასასახლებლად აღარ კმაროდნენ; დაგორლადში, მორდორსა და ზამბახის მინდვრებზე მრავალი დაღუპულიყო. ისე მოხდა, რომ ვალანდილის მომდევნო მეფეთაგან მეშვიდეს, ეარენდურის ზეობის შემდგომ, შორდასავლელნი, ჩრდილოელი ღუნედაინნი პატარა სამეფოებად და სამთავროებად დაიქსაქსნენ და მტრებმა სათითაოდ გაანადგურეს. დროთა განმავლობაში ისინი უფრო და უფრო სუსტდებოდნენ, მათი დიდების მზე ჩაესვენა და მათი სამეფოებისგან მხოლოდ მწვანე გორასამარხები დარჩა. ბოლოს, ღუნედაინები ტყეებსა და ღრეებში მცხოვრებ იღუმალ ხალხად გადაიქცა, არავინ იცოდა,

სად ცხოვრობდნენ ან დაეხეტებოდნენ; მხოლოდ იმლაღრისში, ელრონდის სახლში ახსოვდათ მათი წარმომავლობა და წინაპრები. ისილდურის მემკვიდრეები ხმლის ნატეხებს ძლიერ უფრთხილდებოდნენ და მამიდან ძეს გადასცემდნენ; და არც მათი საგვარეულო ხაზი გამწყდარა.

სამხრეთში გონდორის სამეფომ დიდხანს გაძლო; თავიდან მისი ბრწყინვალეობა იზრდებოდა, მისი სიმდიდრე და დიდებულება ნუმენორისას ჰგავდა. გონდორელებმა მრავალი მაღალი კოშკი, ციხესიმაგრე და ნავსადგური ააშენეს. უცხო ტომისა და უცხო ენაზე მეტყველ უამრავ ადამიანს აოცებდა გონდორის მეფეთა ფრთიანი გვირგვინი. დიდხანს ყვაოდა გაზრდილი თეთრი ხე მინას ანორში, მეფის სასახლის ეზოში.

თუმცა, შუახმელეთის სწრაფად წარმავალმა ღრომ გონდორიც დაასუსტა, ანარიონის ძის, მენელდილის საგვარეულო ხაზი გაწყდა. ნუმენორელთა სისხლი სხვა ტომის ხალხთა სისხლში აღირია, მათი სიბრძნე და ძლიერება შემცირდა, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა შემოკლდა და მორდორის მეთვალყურეებმა სიფხიზლე მოადუნეს. ტელემნარის, მენელდილის გვარის ოცდამესამე მეფის ზეობისას, აღმოსავლეთიდან მოსულმა ჭირმა გონდორის მოსახლეობის დიდ ნაწილთან ერთად, მეფე და მისი შვილებიც შეიწირა. მორდორის საზღვრებზე მდგარი სიმაგრეები და მინას ითილი ხალხისგან დაიცალა; შავ ქვეყანაში კვლავ ბოროტება შეიპარა და გორგოროთის ფერფლი თითქოს ცივმა ქარმა წამოშალა, რამეთუ იქ ავსულები შეგროვდნენ. როგორც ამბობენ, სინამდვილეში, ეს ავსულები იყვნენ ულაირები, რომლებსაც საურონი ნაზგულებს უწოდებდა. დიდხანს იმალებოდა ცხრა ბეჭდის აჩრდილი, მაგრამ საურონი ძალას იკრებდა და ისინი ბატონისთვის გზის გასაკვალად დაბრუნდნენ.

ეარნილის ზეობის დღეებში მათ პირველი მარცხი აწვნიეს გონდორს. შუაღამისას წყვდიადის მთების უღელტეხილებით მორდორიდან გამოვიდნენ და მინას ითილი აიღეს; ულაირებმა იქაურობა შესახედად საზარელ ადგილად გადააქციეს. მას შემდეგ მინას ითილს მინას მორგული, ანუ გრძნების კოშკი ეწოდა. მინას მორგული გამუდმებით ეო-

მებოდა დასავლეთით მდებარე მინას ანორს. ოსგილიათი გაუკაცრიელდა

და ნანგრევებად და მოჩვენებათა ქალაქად გადაიქცა. მინას ანორმა გაძლო. მას სახელი გადაარქვეს და უწოდეს მინას ტირითი, საგუშაგო კოშკი; რამეთუ მეფეებმა იქ მაღალი თეთრი კოშკი ააშენეს, რომლიდანაც მზერა შორს სწვდებოდა. ქალაქი სიმტკიცესა და სიდიადეს ინარჩუნებდა და მეფეთა სასახლის ეზოში თეთრი ხე კიდევ კარგა ხანს ყვაოდა. ნუმენორელთა შთამომავლებს მდინარე ანდუინი ეჭირათ და მინას მორგულიდან მომავალი საფრთხისგან და ორკების, ურჩხულებისა და ავი კაცებისგან იცავდნენ დასავლეთს. მათი წყალობით დასავლეთის სამეფოები ომსა და ნგრევას გადაურჩნენ.

მინას ტირითმა ეარნილის ძის, ეარნურის, გონდორის ბოლო მეფის შემდგომაც დიდხანს გაძლო. სწორედ ეარნურმა მიიღო ბეჭდის აჩრდილთა მეუფის გამოწვევა და მინას მორგულის კარიბჭისკენ უულად გაემართა მეტოქესთან პირისპირ შესაბრძოლებლად. თუმცა, ნაზგულთა მთავარმა მოატყუა ეარნური, ცოცხლად შეაპყრობინა და მინას მორგულში შეათრევინა იგი. მას შემდეგ ეარნურზე არავის აღარაფერი სმენია. ეარნურს მემკვიდრე არ ჰყავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფეთა საგვარეულო ხაზი გაწყდა, ქალაქსა და გონდორის თანდათან დაპატარავებულ სამეფოს მარდილ ერთგულის გვარის მოურავები მართავდნენ. კალენარდონის მწვანე მხარეში, რომელიც გონდორის სამეფოს ნაწილი იყო, ჩრდილოელი მეცხენენი – როჰირიმები დასახლდნენ და იქაურობას როჰანი ეწოდა. როჰირიმები მინას ტირითის მოურავებს ომიანობისას შველოდნენ. ჩრდილოეთით, რაუროსის ჩანჩქერისა და არგონათის კარიბჭის მიღმა, ბოროტებისთვის გზა სულ სხვა, კაცთათვის უცხო და უძველეს ძალებს დაეხშოთ და, ვიდრე ბნელი მეუფის, საურონის დაბრუნების დრო დადგებოდა, ეარნილის დღეებიდან მოყოლებული, ნაზგულები ანდუინზე გადასვლას ან მინას მორგულიდან კაცთათვის ხილული იერით გამოსვლას ვერ ბედავდნენ.

მესამე ეპოქაში, გილ-გალადის დაცემის შემდეგ, ელრონდ ნახევარელფი იმლადრისში სახლობდა. იქ მან მრავალი ელფი და შუახმელეთის ყოველ ხალხთა შორის სიბრძნითა და ძლიერებით გამორჩეულნი შემოიკრიბა. კაცთა მრავალ თაობას შემოუნახა მან მოგონებები ყოველივე მშვენიერზე, რაც ოდესღაც ყოფილა. ელრონდის სახლი იყო თავშესაფარი დაღლილთა და ჩაგრულთა და საცავი კეთილი რჩევისა და ცოდნისა. იმ სახლში ცხოვრობდნენ ისილდურის მემკვიდრენი ბავშვობისას და სიბერისას, იმიტომ, რომ ელრონდი მათი სისხლით ნათესავი იყო და იმიტომაც, რომ იცოდა, ერთ დღესაც მათ გვარში გაჩნდებოდა რჩეული, რომელიც მესამე ეპოქის უდიდეს გმირობებს ჩაიდენდა. ხოლო სანამ ეს დრო დადგებოდა, დასუსტებულმა და მოხეტიალე ხალხად ქცეულმა დუნედაინებმა ნარსილის ნამსხვრევები ჩააბარეს შესანახად.

ერიადორის უზუნაეს ელფთა მთავარი სამოსახლო იმლადრისი იყო; ლინდონის რუხ ნავსაყუდლებში გილ-გალადის ხალხი დარჩენილიყო. ისინი ხანდახან ერიადორის სიღრმეში შეეხეტებოდნენ ხოლმე, მაგრამ მეტწილად ზღვის პირას ცხოვრობდნენ და ელფურ ხომალდებს აშენებდნენ ქვეყნიერებისგან დაღლილი იმ პირველშობილებისთვის, რომლებიც უკიდურეს დასავლეთში გაცურვას მოინდომებდნენ. მითლონდის მმართველი და ბრძენთა შორის გამორჩეული იყო კირდანი.

იმ სამი ბეჭდის შესახებ, ელფებმა რომ შეინარჩუნეს, ბრძენნი სიტყვას არ ძრავდნენ და ელდართაგან ცოტამ თუ იცოდა, სად ინახებოდა. თუმცა, საურონის დაცემის შემდეგ, ბეჭდები კვლავ ამოქმედდნენ. იქ, სადაც ბეჭდები ინახებოდა, ნეტარება სუფევდა და სწრაფმავალი დროის შეხებისგან ყველაფერი დაცული იყო. სწორედ ამგვარად შეიტყვეს ელფებმა მესამე ეპოქის დასრულებამდე, რომ საფირონის ბეჭედი ელრონდს ჰქონდა თვალწარმტაც შუაველში, რომლის თავზეც ვარსკვლავები ყველაზე ძლიერ კამკაშებდნენ; ადამანტის ბეჭედი ლორიენში იყო ტყის ელფთა დედოფალ გალადრიელთან, კელებორნ ღორიათელის მეუღლესთან, ნოლდოსთან, რომელიც ვალინორში მუდმივ დღეს მოსწრებოდა. შუახმელეთში დარჩენილ ელფთაგან უდიადესი და უმშვენიე-

რესი იყო გალადრიელი. ხოლო წითელი ბეჭდის ადგილსამყოფელი და მისი მცველის ვინაობა ბოლომდე დაფარული იყო და ელრონდის, გალადრიელისა და კირდანის გარდა არავინ იცოდა.

ამგვარად, მესამე ეპოქაში ელფთა ბრწყინვალეობა და ნეტარება ამ ორ ადგილას შენარჩუნდა: იმლადრისსა და ლოთლორიენში, კელებრანტსა და ანდუინს შორის მდებარე დამალულ მხარეში, სადაც ხეებს ოქროსფერი ფოთლები ესხა და ვერც ერთი ორკი ან ავსული ვერ ბედავდა შესვლას. თუმცა, ელფთა შორის წინასწარმეტყველური ხმები გავრცელდა, ან საურონი დაბრუნდება და მმართველ ბეჭედს იპოვის, ან მოწინააღმდეგენი უფრო ადრე იპოვიან და გაანადგურებენ, მაგრამ ასეც და ისეც, მმართველი ბეჭდის განადგურება ელფთა სამ ბეჭედსაც ძალას გამოაცლისო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყოველივე, რაც მათი მეშვეობით შეიქმნა და არსებობდა, გაფერმკრთალდებოდა და გაქრებოდა, ხოლო ელფნი გავლენას დაკარგავდნენ და დასუსტებოდნენ და კაცთა ბატონობის ხანა დადგებოდა.

მართლაც ასე მოხდა: მმართველი ბეჭედი, ჯუჯათა შვიდი ბეჭედი და კაცთა ცხრა ბეჭედი განადგურებულა; ელფთა სამი ბეჭედი შუახმელეთიდან წაიღეს და ამით მესამე ეპოქაც მიიწურა და შუახმელეთის ელდართა ამბებიც დასასრულს მიუახლოვდა. ეს იყო ჭკნობის წლები, როცა დიდი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებ ელფთა ზამთარი დადგა. აქეთა მიწებზე ჯერაც დააბიჯებდნენ ნოლდორნი, ქვეყნიერების უღიადესი და უმშვენიერესი შვილნი, მათი მეტყველება ჯერაც სწვდებოდა მოკვდავთა სმენას; ჯერაც მრავალი ლამაზი და საოცარი რამ შემორჩენილიყო დედამიწაზე, და მრავალი ავი და საზარელი რამეც: ორკები, ტროლები, დრაკონები, ურჩხულები და ტყის უცხო და გონიერი არსებები, რომელთა სახელები აღარავის ახსოვს; მთებში ჯუჯები შრომობდნენ და ქმნიდნენ ლითონისა და ქვის ნაკეთობებს, რომელთა მსგავსს დღეს ვეღარავინ დაამზადებს. თუმცა, კაცთა ბატონობის ხანა ახლოვდებოდა და ყველაფერი იცვლებოდა, ვიდრე ბოლოს, ბნელტევრში ბნელი მეუფე ხელახლა აღზევდებოდა.

ბნელტევრს ძველთაგან დიდი მწვანე ტყე ერქვა. მის მაღალ ხეებსა და ხშირ ჯაგნარებში მრავალი მგალობელი ფრინველი და ნადირი ბინადრობდა; მუხებისა და წიფლების ქვეშ თრანდუილის სამეფო მდებარეობდა. თუმცა, თანდათან, როცა ქვეყნიერების მესამე ეპოქის თითქმის ნახევარი მიიწურა, სამხრეთიდან ტყეში წყვდიადი შეიპარა და ბნელ ველობებში შიშმა დაისადგურა; სასტიკი მხეცები მომრავლდნენ ტყეში და ავმა არსებებმა დაიწყეს ნადირობა.

ამიტომ ტყეს სახელი გადაარქვეს და ბნელტევრი უწოდეს, რამეთუ იქაურობას ღამის სიბნელე გადაეფინა. ბევრი ვერ ბედავდა ტყეში შესვლას. მხოლოდ ჩრდილოეთი ბნელტევრი იყო შედარებით უსაფრთხო, რადგან იქ თრანდუილის ხალხი ბოროტებას აკავებდა და მიახლოების საშუალებას არ აძლევდა. წყვდიადის წარმოშობის მიზეზი ბრძენთა და სწავლულთ მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შეიტყვეს. ეს იყო საურონის წყვდიადი და მისი დაბრუნების ნიშანი. აღმოსავლეთის უდაბნოებიდან დაბრუნებულმა საურონმა სამხრეთ ბნელტევრში დაიდო ბინა და ნელ-ნელა დაიბრუნა ძალა და იერი. თავისი ბნელი ბორცვიდან ჯადოქრობას მიჰყო ხელი. ყველას ეშინოდა დოლ გულდურის გრძნეულისა, მაგრამ არავინ უწყოდა, სინამდვილეში რაოდენ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა იგი.

როცა ბნელტევრს წყვდიადი გადაეფინა, შუახმელეთის დასავლეთში პირველად გამოჩნდნენ ისტარები, რომელთაც კაცნი ჯადოსნებს უწოდებდნენ. იმხანად არავინ იცოდა მათი ვინაობა, გარდა კირდან ხომალდმშენებლისა, რომელმაც ელრონდსა და გალადრიელს გაუმხილა, რომ ისტარები ზღვის გადაღმიდან მოვიდნენ. მხოლოდ მოგვიანებით გავრცელდა ელფთა შორის ხმა, რომ ისინი დასავლეთის მეუფებმა გამოგზავნეს, რათა საურონს წინ აღდგომოდნენ, თუკი ის კვლავ გაძლიერდებოდა, და ელფნი, კაცნი და ყოველი კეთილი სულიერი საგმირო საქმეებისკენ წაექუზებინათ. კაცთა გარეგნობით მოვიდნენ ისტარები, ბერიკაცებს ჰგავდნენ, ოღონდ ღონიერნი და დაუღლელნი იყვნენ; მრავალი საზრუნავი აწვათ, მაგრამ ნელა ბერდებოდნენ და ნელა იცვლე-

ბოდნენ; ბევრს მოგზაურობდნენ კაცთა და ელფთა შორის, ნადირ-ფრინველთ ელაპარაკებოდნენ; შუახმელეთის მკვიდრებმა მათ მრავალი სახელი შეარქვეს, რამეთუ ნამდვილ ვინაობას არავის უმხელდნენ. უმთავრესნი მათგან იყვნენ მითრანდირი და კურუნირი, რომლებსაც ჩრდილოელი კაცნი განდალფსა და სარუმანს უწოდებდნენ. ამ ორიდან უფროსი კურუნირი იყო და პირველი გამოჩნდა, მას მითრანდირი და რადაგასტი მოჰყვნენ; სულ ბოლოს მოსული ორი ისტარი აღმოსავლეთში გაემგზავრა და მათზე აქ არაფერია მოთხრობილი. რადაგასტი ყოველი ნადირ-ფრინველის მეგობარი იყო; კურუნირი კაცთა შორის ცხოვრობდა, ენამჭვარი და სამჭედლო საქმეში გაწაფული იყო. მითრანდირი ელრონდისა და ელფების უახლოესი მრჩეველი იყო. ჩრდილოეთსა და დასავლეთში ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ არსად მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდა; ხოლო კურუნირი შორეული აღმოსავლეთიდან დაბრუნების შემდეგ იზენგარდის რკალში მდგარ, ნუმენორელების მიერ თავიანთი დიდების ჟამს აგებულ ორთანკში დასახლდა.

ისტართაგან ყველაზე ფხიზელი მითრანდირი იყო; სწორედ იგი დააექვა ბნელტევრის წყვდიადმა. ბევრს ეგონა, რომ წყვდიადი ბექდის აჩრდილებმა გააჩინეს, მაგრამ მითრანდირი მას საურონის დაბრუნების პირველ ნიშნად მიიჩნევდა. ის დოლ გულდურში შევიდა, მაგრამ იღუმალი გრძნეული გაექცა და კარგა ხნით საექჟო მშვიდობამ დაისადგურა. ბოლოს, წყვდიადი მაინც დაბრუნდა და გაძლიერდა. მაშინ პირველად შეიკრიბა ბრძენთა საბჭო, რომელსაც თეთრ საბჭოს უწოდებენ; საბჭოს წევრები იყვნენ ელრონდი, გალადრიელი, კირდანი, სხვა ელფი დიდებულები და მითრანდირი და კურუნირი. კურუნირი (ანუ სარუმან თეთრი) საბჭოს თავად აირჩიეს, რამეთუ საურონის ავაზაკობანი და ბნელი ზრახვანი ყველაზე უკეთ მას შეესწავლა. გალადრიელს საბჭოს უფროსად მითრანდირის დანიშვნა სურდა, მაგრამ სარუმანმა უკმაყოფილება გამოთქვა, რამეთუ ამპარტავნობასა და განდიდების სურვილს შეეპყრო;

მითრანდირმა თანამდებობაზე უარი თქვა, ვინაიდან არ უნდოდა, თავის გამომგზავნელთა გარდა, ვინმეს წინაშე ვალდებული ყოფილიყო

ან ერთ ადგილას ეცხოვრა. ხოლო სარუმანმა ძალაუფლების ბეჭდების კვლევა და მათი ისტორიის შესწავლა დაიწყო.

წყვდიანი ძლიერდებოდა და ელრონდსა და მითრანდირს შიში იპყრობდა. მითრანდირმა გაბედა და ხელმეორედ შეიპარა დოლ გულდურსა და გრძნეულის დილეგებში; იქ აღმოაჩინა ის, რისიც ეშინოდა და გამოიქცა. იმლადრისში ელრონდს ესტუმრა და უთხრა: «ვაი, რომ სწორად მივმხვდარვართ. ეს ერთ-ერთი ულაირთაგანი არ არის, როგორც ბევრს ეგონა, არამედ თავად საურონი, რომელიც განსხეულებულა და სწრაფად ძლიერდება; ძალაუფლების ბეჭდებს აგროვებს; განსაკუთრებით, იმის ცოდნა სურს, რა ბედი ეწია მმართველ ბეჭედს ან ისილდურის მემკვიდრეები თუ შემორჩენენ ამქვეყნად».

ხოლო ელრონდმა მიუგო: «სწორედ იმ ჟამს, როცა ისილდურმა ბეჭედი მიისაკუთრა და არ დათმო, გადაწყდა, რომ საურონი დაბრუნდებოდა».

«თუმცა, მმართველი ბეჭედი დაიკარგა და, სანამ მისი ადგილსამყოფელი დაფარულია, მტრის დამარცხებას შევძლებთ, თუკი ძალას მოვიკრებთ და არ დავაყოვნებთ».

თეთრი საბჭო შეიკრიბა. მითრანდირმა სხვებს სწრაფქმედებისკენ მოუწოდა, მაგრამ სარუმანი შეეწინააღმდეგა და ყველას ლოდინი და თვალყურის დევნება ურჩია.

«არ მჯერა, რომ მმართველ ბეჭედს შუახმელეთში ოდესმე ვიპოვით», – თქვა მან. – «ის ანდუინში ჩავარდა და ვფიქრობ, დიდი ხნის წინ მდინარემ ზღვაში ჩაიტანა. იქვე იდება ქვეყნიერების აღსასრულამდე, როცა ხმელეთი დაიმსხვრევა, ხოლო ზღვის ფსკერი ზედაპირზე ამოვა».

ამგვარად, მაშინ არაფერი მოიმოქმედეს. თუმცა, ელრონდს გული ცუდს უგრძნობდა და მითრანდირს უთხრა: «მე მაინც მგონია, რომ მმართველ ბეჭედს იპოვიან, შემდეგ ისევ ომი გაჩაღდება და ამ ომით ეს ეპოქა დასრულდება. თუკი ჩემი მზერისთვის ჯერ უხილავი ხსნა არ გამოჩნდება, დასასრულს წყვდიანი ხელმეორედ დაისადგურებს».

«ამქვეყნად ბევრი უცნაური რამ ხდება», – თქვა მითრანდირმა, – «ხშირად, როცა ბრძენნი შედრკებიან, სუსტი გამოგიწვდის დახმარების ხელს».

შეწუხებული იყვნენ ბრძენნი, მაგრამ ჯერ ვერავინ ხვდებოდა, რომ კურუნირი ბნელ ფიქრებს მისცემოდა და გულის სიდრმეში დალატს გეგმავდა: რამეთუ მმართველი ბეჭდის პოვნა და პყრობა განუზრახა, რათა ქვეყნიერების მბრძანებელი გამხდარიყო. მეტისმეტად დიდხანს სწავლობდა იგი საურონის ბნელ ხელობას, რათა მისი ძლევის გზებისთვის მიეკვლია, და ახლა საურონი კი არ სძულდა, მისი

ნამოქმედარის შურდა. სარუმანი დარწმუნებული იყო, რომ მმართველი ბეჭელი, რომელიც საურონისა იყო, ბატონის გამოჩენისთანავე თვითონ დაიწყებდა მის ძებნას; ხოლო თუ საურონს კვლავ გააძვებდნენ, ბეჭელი სამალავში დარჩებოდა. ამიტომ სარუმანი ხიფათს ნებით ეთამაშებოდა და საურონს არ სდევნიდა იმის იმედით, რომ მეგობრებსაც დაასწრებდა და მტერსაც და, როცა ბეჭელი გამოჩნდებოდა, მას თვითონ დაუფლებოდა.

სარუმანმა ზამბახების მინდვრებზე მეთვალყურეობა დააწესა; მალე აღმოაჩინა, რომ დოლ გულდურის მსახურნიც საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ მდინარეს იმ მხარეში. სარუმანი მიხვდა, რომ საურონს ისილდურის დაღუპვის ადგილის შესახებ შეეტყო, შეშინებულმა უკან დაიხია და იზენგარდში გამაგრდა. იქ კიდე უფრო დრმად გამოიკვლია ძალაუფლების ბეჭდების ჭედვის ხელოვნება. თუმცა, საბჭოს წევრებს არაფერს უმხელდა, რამეთუ იმედს არ კარგავდა, ბეჭდის შესახებ სიახლეებს მეპირველი შევიტყობო. ბევრი ჯაშუში შეკრიბა, მათ შორის, უმეტესობა ფრინველი იყო; რადაგასტი უშურველად დაეხმარა, ვინაიდან სარუმანის დალატზე არაფერი იცოდა და ეგონა, ფრინველები მტერზე სათვალთვალოდ სჭირდებოდა.

ბნელტევრში წყვილია დლიერდებოდა, დოლ გულდურში ქვეყნიერების ყველა კუთხიდან ავსულები გროვდებოდნენ; ისინი ერთ ბრძანებას ემორჩილებოდნენ და მათი სიძულვილი ელფებისა და ნუმენორე-

ლების შთამომავლებისკენ იყო მიმართული. კიდევ ერთხელ შეიკრიბა საბჭო და ძალაუფლების ბეჭდები განიხილეს. მითრანდირმა საბჭოს წევრებს განუცხადა: «ბეჭდის პოვნა საჭირო არ არის, სანამ ის ქვეყნად არსებობს და არ განადგურებულა, მისი ძალა ცოცხლობს, ხოლო საურონი გაძლიერდება და იმედს არ დაკარგავს. ელფნი და ელფთა მეგობარნი ისეთი ძლიერნი აღარ არიან, როგორც ძველად. მალე საურონი მმართველი ბეჭდის გარეშეც შეძლებს თქვენს დამარცხებას; რამეთუ კაცთა ცხრა ბეჭედს იგი განკარგავს, ხოლო ჯუჯათა შვიდი ბეჭდიდან სამი დაიბრუნა. უნდა შევუტიოთ».

ამას კურუნირიც დათანხმდა, რადგან დოლ გულდური ანდუინთან ახლოს მდებარეობდა და იმისთვის, რომ საურონს მდინარის ჩხრეკის საშუალება არ ჰქონოდა, მისი იქიდან გაძევება სურდა. ამიტომ ბოლოჯერ დაეხმარა საბჭოს და ერთად შეუტიეს დოლ გულდურს, საურონი ციხესიმაგრიდან გააქციეს. ბნელტევრში მცირე ხნით სიმშვიდემ დაისადგურა.

თეთრი საბჭოს იერიში დაგვიანებული აღმოჩნდა. ბნელ მეუფეს ყოველივე წინასწარ განეჭვრიტა და საპასუხო სვლები დაეგეგმა. თანაც, ულაირთ, მის ერთგულ მსახურთ, ბატონის დასაბრუნებლად ხანგრძლივი სამზადისი უკვე დაესრულებინათ. საურონმა მხოლოდ თავი მოაჩვენა, თითქოს გაიქცა, სინამდვილეში მალევე დაბრუნდა და, ვიდრე ბრძენნი მის შეჩერებას მოასწრებდნენ, თავის უძველეს სამფლობელოში, მორდორში შეიჭრა და ბარად-დურში გამაგრდა. იმ წელს თეთრი საბჭო უკანასკნელად შეიკრიბა. კურუნირი იზენგარდში დაფუძნდა და რჩევას აღარავის ეკითხებოდა.

ორკები საომრად გროვდებოდნენ, შორეულ სამხრეთსა და აღმოსავლეთში ველური ხალხი იარაღდებოდა.

საშიში ღროება დადგა, ომი ახლოვდებოდა და სწორედ ამ დროს ელრონდის წინასწარმეტყველება ახდა: მმართველი ბეჭედი იპოვეს, ოღონდ სრულიად შემთხვევით, რასაც თვით მითრანდირი ვერ წარმოიდგენდა. ბეჭდის პოვნის ამბავი კურუნირსა და საურონს არ შეუტყვიათ.

ისინი ამაოდ ეძებდნენ ბეჭედს ანდუინში, იქიდან დიდი ხნის წინ ამოღო გონდორის დასუსტებამდე მდინარის პირას მცხოვრებ მეთევზეთა ტანმორჩილ მოდგმას. მოვწვლმა ბეჭედი ბნელ მთისქვეშეთში გადამალა და იქ ინახავდა, ვიდრე ზუსტად დოღ გულდურზე თავდასხმის წელს ბეჭედი ორკებისგან დევნილი და გზას აცდენილი მოგზაურის ხელში გადაინაცვლებდა. ახალმა მფლობელმა ბეჭედი დასავლეთ ურიადორში, პერიანათთა, პატარა ხალხის, ანუ ნახევარკაცების ქვეყანაში წაიღო. მანამდე ელფნი და კაცი ნახევარკაცებს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და არც საურონი ან რომელიმე ბრძენი, გარდა მითრანდირისა, მათ სათვალავში არ აგლებდა.

შემთხვევითობისა და სიფხიზლის წყალობით, მითრანდირმა ბეჭედის პოვნის შესახებ საურონზე უწინ შეიტყო. თუმცა, ეჭვმა და შიშმა მოიცილა, რამეთუ ბეჭედის ავი ძალა იმდენად ძლიერი იყო, ვერც ერთი ბრძენი ვერ დაიმორჩილებდა, თუ სარუმანის მსგავსად ტირანად ან ბნელ მეუფედ გადაქცევა არ სურდა. საუბედუროდ, ბეჭედს საურონისგან სამუდამოდ ვერ დამალავდნენ და არც ელფთა ოსტატობა კმაროდა მის გასანადგურებლად. მითრანდირმა ჩრდილოელი ღუნედაინი პერიანათთა ქვეყნის დასაცავად განამწესა, რათა დრო მოეგოთ. თუმცა, საურონს მრავალი ჯაშუში ჰყავდა, მალევე შეიტყო ესეოდენ სასურველი მმართველი ბეჭედის პოვნის შესახებ და ნაზგულნი გაგზავნა მის დასაბრუნებლად. გაჩადდა ომი და მესამე ეპოქა როგორც დაიწყო, საურონთან ბრძოლითვე დასრულდა.

იმ გასაოცარი გმირობების შემოქმედებმა და მონაწილეებმა ბეჭედის ომის ამბავი სხვაგან აღწერეს. ომი მოულოდნელი გამარჯვებითა და დიდი ხნის წინ განჭვრეტილი სამწუხარო მოვლენებით დასრულდა. აქ მოკლედ ვიტყვით, რომ ჩრდილოეთში ისილდურის მემკვიდრე გამოჩნდა და იმლადრისში ელენდილის ხმლის ნამსხვრევები გადააჭედვინა. სწორედ მან უსარდლა დასავლეთის ლაშქარს. ეს იყო არაგორნი, ძე არათორნისა, ისილდურის პირდაპირი ხაზის ოცდამეცხრამეტე მემკვიდრე, რომელიც წინამორბედებზე მეტად ჰგავდა ელენდილს. ბრძოლა როჰან-

ში გაიმართა, მოღალატე კურუნირი დაამარცხეს და იზენგარდი დაანგრინეს; გონდორის მთავარქალაქის წინ დიდი ბრძოლა შედგა და იმ ვრცელ მინდორზე მორგულის მეუფე, საურონის მთავარსარდალი წყვდიადში დაინთქა; ხოლო ისილდურის მემკვიდრე დასავლეთის ლამქარს მორდორის შავი კარიბჭისკენ გაუძღვა.

იმ ბოლო ბრძოლაში მითრანდირი, ელრონდის ძეები, როჰანის მეფე, გონდორის მთავარი და ჩრდილოელ ღუნადანებთან ერთად ისილდურის მემკვიდრე მონაწილეობდა. ისინი მარცხისა და სიკვდილის წინაშე აღმოჩნდნენ, მათი სიმამაცე ლამის ფუჭი აღმოჩნდა, რამეთუ საურონი მეტისმეტად ძლიერი იყო. თუმცა, სწორედ იმ გადამწყვეტ ჟამს მითრანდირის სიტყვები დადასტურდა და, როცა ბრძენნი შედრკნენ, ყველას სუსტნი მოევლინენ მშველელად. ქვეყნიერება ბნელი მეუფისგან მინდვრებსა და გორაკებზე მოსახლე ნახევარკაცებმა – პერიანათებმა დაიხსნეს.

როგორც ამბობენ, მითრანდირის თხოვნით, ნახევარკაცა ფროდომ იტვირთა ამ მძიმე დავალების შესრულება და ერთგული მსახურის თანხლებით ფათერაკებიანი გზა განვლო, წყვდიადი გადალახა და, საზარელი საურონის მიუხედავად, ბედისწერის მთამდე მიაღწია. მან მმართველი ბეჭედი ორდროუინის ცეცხლში ჩააგდო, იქ, სადაც გამოჭედეს. ასე განადგურდა საურონის ბეჭედი და მისი ბოროტი ძალა.

საურონს სძლიეს, იგი სრულიად დამარცხდა და მისგან მძულვარე აჩრდილიდა დარჩა. ბარად-დური ნანგრევებად იქცა და ამ ცნობამ მრავალი ქვეყანა შეარყია. კვლავ მშვიდობამ დაისადგურა და დედამიწაზე ხელახლა გაზაფხულდა. ისილდურის მემკვიდრე გონდორისა და არნორის მეფედ აკურთხეს, ღუნადანინი კვლავ გაძლიერდნენ და განდიდდნენ. მითრანდირმა მინდოლუინის დათოვლილ ფერდობზე თეთრი ხის ნათესარს მიაგნო და მინას ანორის სასახლის უზომი ხე ისევ აყვავილდა. ვიდრე ის მაღალი ხე ხარობდა, მეფეთა გულებში აღრეულ დღეთა მოგონებები ისევ ცოცხლობდა.

ამ ყოველივეს მითრანდირის სიფხიზლისა და ბრძნული რჩევების წყალობით მიაღწიეს. ბოლოს, გადამწყვეტ დღეებში მან დიდებულ წინამძღოლად წარმოაჩინა თავი და თეთრით მოსილი გავიდა ბრძოლის ველზე. თუმცა, მხოლოდ შუახმელეთიდან მისი გამგზავრების წინ გამჟღავნდა, რომ ცეცხლის წითელი ბეჭდის მცველი ის იყო. თავიდან ცეცხლის ბეჭედი კირდანისთვის, მითლონდის მეუფისთვის ჰქონდათ მინდობილი, ხოლო კირდანმა მითრანდირს გადასცა, რადგან იცოდა, ვინ იყო და სად დაბრუნდებოდა იგი.

«გამომართვი ბეჭედი, რამეთუ მძიმე შრომა მოგიწევს და ბევრი საზრუნავი გექნება», – უთხრა მითრანდირს კირდანმა, – «ეს დაგეხმარება და დალღობისგან დაგიფარავს. რამეთუ ეს არის ბეჭედი ცეცხლისა და ვიმედოვნებ, ამ გაყინული ქვეყნიერების მკვიდრთ გულებს ძველებურად სიმამაცით აღუნთებ. ხოლო ჩემი მზერა ზღვისკენ არს მიპყრობილი, ამ რუხ ნაპირებზე დავრჩები და უკანასკნელი ხომალდის გაცურვამდე დავიცავ მითლონდს. აქ დაგელოდები!»

თეთრი იყო ის ხომალდი, დიდხანს აშენებდნენ და დიდხანს ელოდა იმ დასასრულის დადგომას, რომელიც კირდანმა ახსენა. როცა ყოველივე ზემოთ თქმული აღსრულდა, ისილდურის მემკვიდრე კაცთა მმართველი გახდა და დასავლეთზე გაბატონდა, ცხადი შეიქნა, რომ ელფთა სამმა ბეჭედმა ძალა დაკარგა; პირველშობილთათვის ქვეყნიერება გაუფერულდა და მოსაბეზრებელი გახდა. მაშინ უკანასკნელმა ხომალდმა გაცურა მითლონდის ნავსადგურიდან და შუახმელეთი დატოვა. სულ ბოლოს სამი ბეჭდის მცველი გაემგზავრა კირდანის აგებული ხომალდით. მათ შორის იყო ელრონდი. ხომალდმა შემოდგომის საღამოს გაცურა ნავსაყუდლიდან, მალე მოხრილი ქვეყნიერება ძირს დატოვა და მრგვალი ცის ქარებს გაერიდა; ნისლებს ზემოთ, მალლა ჰაერში ავიდა და უძველეს დასავლეთში გადაინაცვლა. ამით სრულდება ელდართა ამბავი თქმულებებსა და სიმღერებში.

სახელთა ნუსხა

ა

აგარუაენი – «სისხლით დასვრილი», ეს სახელი დაირქვა ნარგოთრონდში ტურინმა.

აგლარონდი – «ელვარე მღვიმე» ჰელმის ხრამში (იხ. «ორი ციხე-კოშკი», კარი III, თავი მერვე).

აგლონი – «ვიწრო გასასვლელი» დორთონიონსა და ჰიმრინგის დასავლეთით მდებარე მაღლობებს შორის.

ადანედელი – «ელფკაცი», ასე უწოდეს ტურინს ნარგოთრონდში.

ადრინდელი დღეები – პირველი ეპოქა.

ადუნახორი – «დასავლეთის მბრძანებელი», ეს სახელი დაირქვა ნუმენორის მეცხრამეტე მეფემ. ეს იყო ნუმენორელ მეფეთა პირველი ტიტული ადუნაურ (ნუმენორულ) ენაზე. ქუენიაზე მას ჰერუნუმენი ერქვა.

ადურანტი – მდინარე გელიონის მეექვსე და ყველაზე სამხრეთით მდებარე შენაკადი ოსრიანდში. ეს სახელი «ორმაგ დინებას» ნიშნავს. ადურანტი კუნძულ ტოლ გალენს ორად გაყოფილი უვლიდა გარს.

აეგლოსი – «თოვლივით თეთრი წვეტი», გილ-გალადის შუბი.

აეგნორი – ფინარფინის მეოთხე ძე, რომელიც თავის ძმასთან ანგროდთან ერთად დორთონიონის ჩრდილოეთ კალთებს იცავდა; დაგორ ბრაგოლახში მოკლეს. მისი სახელი «სასტიკ ცეცხლს» ნიშნავს.

აელინ-უიალი – «ბინდის ტბები», დაჭაობებული მხარე, სადაც აროსი სირიონს უერთდებოდა.

აერანდირი – ეარენდილის თანმხლები სამი ზღვაოსნიდან ერთ-ერთი.

აერინი – ჰურინის ნათესავი ქალი; ცოლად შეირთო ბროდა აღმოსავლელმა; ნირნაეთ არნოდიადის შემდეგ მორუენს ეხმარებოდა.

ავალონე – ელდართა ნავსადგური და ქალაქი კუნძულ ტოლ ერესეაზე. აკალაბეთის მიხედვით, ასე იმიტომ ერქვა, რომ ვალინორთან ყველაზე ახლოს მდებარეობდა.

ავათარი – «ჩრდილები», მივიწყებული მხარე ელდამარის ყურის სამხრეთით, ამანის სანაპიროზე, პელორის მთებსა და ზღვას შორის, სადაც მელკორი უნგოლიანტს შეხვდა.

ავარნი – «არამოსურნენი, უარმყოფელნი», ასე უწოდებდნენ ყველა იმ ელფს, რომელთაც კუივიენენიდან აყრასა და დასავლეთში გამგზავრებაზე უარი თქვეს.

აზაგალი – ბელეგოსტის ჯუჯათა მბრძანებელი; მან ნირნაეთ არნო-ელდალში გლაურუნგი დაჭრა, თუმცა იმავე ბრძოლაში დრაკონმა მოკლა.

ათასი გამოქვაბული – იხ. მენეგროთი.

აინულინდალე – «აინურთა მუსიკა», აგრეთვე «დიდ მუსიკასა» და «დიდებულ სიმღერას» უწოდებენ.

აინურნი – «წმინდანი» (მხ. რ. აინუ): ილუვატარის პირველი ქმნილებები, ვალარნი და მაიარნი ეამდე შეიქმნენ.

აკალაბეთი – «დაცემული», აღუნაური (ნუმენორული) სიტყვა ქუენიაზე ატალანტედ ითარგმნება.

ალდარონი – «ხეთა მეუფე», ვალა ორომეს სახელი ქუენიაზე.

ალდუდენიე – «მოთქმა-გოდება ორ ხეზე»; ვანია ელფის, ელემირეს მიერ შეთხზული სიმღერა.

ალკარინქუე – «ბრწყინვალე», ვარსკვლავის სახელი.

ალკარონდასი – არ-ფარაზონის დიდი ხომალდი, რომლითაც ამანისკენ გაცურა.

ალმარენი – ვალართა პირველი სამოსახლო არდაში, რომელიც მელკორის მეორე შეტევისას განადგურდა: კუნძული შუახმელეთის შუაგულში მდებარე დიდ ტბაში.

ალქუალონდე – «გელთა ნავსაყუდელი», ტელერთა მთავარი ქალაქი და ნავსადგური ამანის ნაპირებზე.

ამანი – «კურთხეული, ავისგან დაცლილი», დასავლეთში, დიდი ზღვის გადაღმა მდებარე კონტინენტის სახელი. სწორედ იქ დასახლდნენ კუნძულ ალმარენიდან აყრილი ვალარები. ხშირად «კურთხეულ სამეფოს» უწოდებენ.

ამანდილი – «ამანის მოყვარე», ანდუნიეს უკანასკნელი მმართველი, ელროსის შთამომავალი და მამა ელენდილისა; ვალინორში ჩასვლა განიზრახა, მაგრამ საზღვაო მოგზაურობიდან ვეღარ დაბრუნდა.

ამარიე – ვანია ელფი, ფინროდ ფელაგუნდის სატროფო, რომელიც ვალინორში დარჩა.

ამლახი – ძე იმლახისა, ძისა მარახისა; ესტოლადის კაცთა შორის განხეთქილების მოთავე, ბოლოს მოინანია და მაედროსის სამსახურში ჩადგა.

ამონ ამართი – «ბედისწერის მთა», ასე უწოდეს ოროდრუინს, როცა საურონი ნუმენორიდან დაბრუნდა და მიძინებულმა ცეცხლმა გაიდვიდა.

ამონ გუარეთი – ტუმლადენის ველის შუაგულში მდგარი ბორცვი, რომელზეც გაშენებული იყო გონდოლინი.

ამონ ეთირი – «მსტოვართა ბორცვი», რომელიც ფინროდ ფელაგუნდმა აღმართა ნარგოთრონდის კარიბჭის აღმოსავლეთით.

ამონ ერები – «მარტოსული ბორცვი» (მარტივად, ერები), რამდალსა და მდინარე გელიონს შორის.

ამონ ობელი – ბორცვი ბრეთილის ტყის შუაგულში, რომელზეც ეფელ ბრანდირი იდგა.

ამონ რუდი – «მოტიტვლებული ბორცვი», ბრეთილის სამხრეთით აღმართული მაღლობი, სადაც მიმი ცხოვრობდა და ტურინის ყაჩაღთა რაზმის ბუნაგი იყო.

ამონ სული – «ქარიანი ბორცვი» არნორის სამეფოში (ავდარწვერო «ბეჭდების მბრძანებელში»).

ამონ უილოსი – ოიოლოსეს სინდარული ვარიანტი.

ამრასი – ამროდის ტყუპისცალი ძმა, ფეანორის უმცროსი ვაჟი; სირიონის შესართავებთან ეარენდილის ხალხზე თავდასხმისას მოკლეს.

ამროდი – იხ. ამრასი.

ანაელი – მითრიმელი რუხი ელფი, მამობილი ტუორისა.

ანადუნე – შორდასავლეთი: ნუმენორის სახელი აღუნაურ (ნუმენორულ) ენაზე.

ანარი – მზის სახელი ქუენიაზე.

ანარიმა – თანავარსკვლავედის სახელი.

ანარიონი – ელენდილის უმცროსი ძე, რომელიც მამასა და ძმასთან, ისილდურთან ერთად ჩაძირული ნუმენორიდან გამოიქცა და შუახმელეთში გადასახლებულ ნუმენორელთა სამეფოები დააარსა; მინას ანორის მმართველი; ბარად-დურის ალყისას დაიღუპა.

ანატარი – «ძღვენთა მეუფე», ასე შეარქვეს საურონს მეორე ეპოქაში, როცა შუახმელეთში მცხოვრებ ელდარებს მშვენიერი სახით გამოეცხადა.

ანახი – გზა, რომელიც ტაურ-ნუ-ფუინიდან (დორთონიონიდან) ერედ გორგოროთის დასავლეთი კიდისკენ მიიწევდა.

ანგაბარი – რკინის საბადო გარემომცველ მთებში.

ანგაინორი – აულეს გამოჭედილი ჯაჭვი, რომლითაც მელკორი ორჯერ შეკრეს.

ანგბანდი – «რკინის საპყრობილე», «რკინის ტახტი», მორგოთის საპყრობილე-სიმაგრე შუახმელეთის ჩრდილო-დასავლეთში.

ანგლახელი – მეტეორული რკინისგან გამოჭედილი ხმალი, რომელიც ეოლმა თინგოლს მისცა, ხოლო ამ უკანასკნელმა – ბელეგს. მას შემდეგ, რაც ხმალი ტურიინისთვის ხელახლა გამოჭედეს, გურთანგი უწოდეს.

ანგრენოსტი – «რკინის ციხესიმაგრე», ნუმენორელთა სიმაგრე გონდორის დასავლეთ საზღვარზე. შემდგომ იქ ჯადოსანი კურუნირი (სარუმანი) დასახლდა. იხ. იზენგარდი.

ანგრიმი – გორლიმ უბედურის მამა.

ანგრისტი – «რკინის მჭრელი», ტელხარ ნოგროდელის მიერ დამზადებული დანა, რომელიც კურუფინს ბერენმა წაართვა და ამ დანით მორგოთის გვირგვინიდან სილმარილი ჩამოჭრა.

ანგროლი – ფინარფინის მესამე ძე, რომელიც ძმასთან, აენგორთან ერთად დორთონიონის ჩრდილოეთ კალთებს იცავდა; დაგორ ბრაგოლახში მოკლეს.

ანგურიელი – ეოლის ხმალი, რომელიც ანგლახელის მსგავსად მეტეორული რკინისგან გამოიქედა.

ანდორი – «ნაჩუქარი ქვეყანა»; იხ. ნუმენორი.

ანდრამი – «გრძელი კედელი», ბელერიანდის გამყოფი ქედი.

ანდროთი – გამოქვაბულები მითრიმის მთებში, სადაც რუხმა ელფებმა ტუორი გაზარდეს.

ანდუინი – «გრძელი მდინარე» ნისლიანი მთების აღმოსავლეთით; ხშირად დიდ მდინარესაც უწოდებდნენ.

ანდუნიე – ნუმენორის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი და ნავსადგური.

ანკალაგონი – მორგოთის ფრთოსან დრაკონთა შორის უღიადესი, მოკლა ეარენდილმა.

ანფაუგლითი – ასე უწოდეს არდ-გალენის ველს მას შემდეგ, რაც მორგოთმა ააოხრა «უეცარი ცეცხლის ბრძოლაში».

ანფაუგლირი – მგელი კარხაროთის სახელი, რაც ტექსტში ნათარგმნია, როგორც «მწყურვალე ყბები».

ანონ-ინ-გელიდი – «ნოლდორთა კარიბჭე». კირით ნინიახისკენ მიმავალი მიწისქვეშა არხის შესასვლელი.

ანორი – იხ. მინას ანორი.

ანუმინასი – «დასავლეთის კოშკი»; არნორის მეფეთა ქალაქი ტბა ნუნუილის პირას.

აპანონარნი – «ნაბოლარები». ელფთა მიერ კაცთათვის შერქმეული სახელი.

არაგორნი – ისილდურის პირდაპირი ხაზის ოცდამეცხრამეტე მემკვიდრე; «ბეჭდის ომის» შემდეგ გაერთიანებული არნორისა და გონდორის მეფე; ცოლად შეირთო არუენი, ასული ელრონდისა.

არადანი – მალახის, მარახის ძის სინდარული სახელი.

არათორნი – არაგორნის მამა.

არამანი – უდაბნო ამანის სანაპიროზე, პელორის მთებსა და ზღვას შორის, ჩრდილოეთით მისი ბოლო ჰელკარაქსეს სწვდებოდა.

არანელი – სახელი დიორისა, თინგოლის მემკვიდრისა.

არანუე – გონდოლინელი ელფი, ვორონუეს მამა.

არანრუთი – «მეფის რისხვა», თინგოლის ხმლის სახელი. არანრუთი ღორიათის ნგრევას გადაურჩა და ნუმენორის მეფეები ატარებდნენ.

არატანი – ისილდურის მეორე ძე, მასთან ერთად მოკლეს ზამბახის მინდვრებზე.

არატარნი – «მაღალნი», ვალართაგან რვა უძლიერესი.

არ-გიმილზორი – ნუმენორის ოცდამეორე მეფე, ელენდილის მდეუ-ნელი.

არგონათი – «მეფეთა ქვები», მეფეთა სვეტები, ისილდურისა და ანა-რიონის დიდი ქანდაკებები, რომლებიც ანდუინს გადაჰყურებდნენ, გონ-დორის ჩრდილოეთ საზღვრების მისადგომებთან (იხ. «ბექდის საძმო», კარი II, თავი მეცხრე).

არდა – «სამეფო», სახელი დედამიწისა, რომელიც მანუეს სამეფოდ ითვლებოდა.

არდ-გალენი – დიდი ბალახოვანი ველი დორთონიონის ჩრდილო-ეთით, აოხრების შემდეგ ანფაუგლითი და დორ-ნუ-ფაუგლითი უწოდეს; ეს სახელი «მწვანე მხარეს» ნიშნავს; იხ. კალენარდონი (როჰანი).

არედელი – «კეთილშობილი ელფი», ტურგონ გონდოლინელის და, რომელიც ეოლმა ნან ელმთში ხაფანგში შეიტყუა; ეოლისგან მაეგლი-ნი გააჩინა; მას აგრეთვე არ-ფეინიელს, ნოლდორთა თეთრ ქალბატონს ან გონდოლინის თეთრ ქალბატონს უწოდებდნენ.

არვერნიენი – შუახმელეთის სანაპირო მიწები სირიონის შესართავე-ბის დასავლეთით.

არ-ზიმრაფელი – იხ. მირიელი (2).

ართადი – დორთონიონში მყოფი ბარაჰირის თორმეტ თანამგზავ-რთაგან ერთ-ერთი.

არიენი – ვალართაგან მზის ჭურჭლის მეგზურად შერჩეული მაია.

არმენელოსი – მეფეთა ქალაქი ნუმენორში.

არმინასი – იხ. გელმირი (2).

არნორი – «მეფის მიწა», შუახმელეთში ნუმენორელთა ჩრდილოეთის სამეფო, რომელიც ჩაძირული ნუმენორიდან გამოქცეულმა ელენდილმა დააარსა.

აროსი – მდინარე სამხრეთ დორიათში.

აროსის ფონი – იხ. აროსიახი.

აროსიახი – აროსის ფონი დორიათის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეში.

არ-საკალთორი – არ-გიმილზორის მამა.

არ-ფარაზონი – «ბრწყინვალე», ნუმენორის ოცდამეოთხე და ბოლო მეფე. ქუენიაზე ტარ-კალიონი ერქვა; დაატყვევა საურონი, მაგრამ საურონმა აცდუნა სარდალი ფლოტისა, რომელიც ამანის დასაპყრობად დაიძრა.

არ-ფეინიელი – იხ. არედელი.

ასკარი – ოსირიანდში მდინარე გელიონის ყველაზე ჩრდილოური შენაკადი (შემდეგ რათლორიელი უწოდეს). სახელი «სწრაფს, ჩქარს» ნიშნავს.

ასტალდო – «მამაცი», ვალა ტულკასის სახელი.

ატალანტე – «დაცემული». აკალაბეთის შესატყვისი ქუენიაზე.

ატანამირი – იხ. ტარ-ატანამირი.

ატანატარნი – «კაცთა მამანი»; იხ. ატანნი.

ატანნი – «მეორე ხალხი», კაცი, ადამიანი. ვინაიდან ბელერიანდელი ნოლდორნი და სინდარნი დიდხანს მხოლოდ ელფთა მოყვარე კაცთა სამ ტომს იცნობდნენ, ეს სახელი (სინდარული ფორმაა ელაინნი, მხ. რ. ადან) სწორედ მათ აღმნიშვნელად იქცა და ამ სახელით იშვიათად მოიხსენიებდნენ ბელერიანდში შემდგომ მოსულ ან მთებს გადაღმა მცხოვრებ ადამიანებს. თუმცა, ილუვატარის სიტყვაში «კაცი» საზოგადოდ ადამიანს აღნიშნავს.

აულე – ვალა, ერთ-ერთი არატართაგანი, მჭედელი და ხელოსანი, მეუღლე იავანასი.

ადმოსავლელნი – აგრეთვე «შავგვრემანებს, მუქკანიანებს» უწოდებენ. დაგორ ბრაგოლახის შემდეგ ადმოსავლეთიდან მივიდნენ ბელერიანდში; ნირანეთ არნოედიადში მორგოთის მხარეზეც იბრძოდნენ და ნოლდორებისაზეც. მორგოთმა მათ ჰითლუმი უბოძა სამკვიდროდ, სადაც ადმოსავლელნი ჰადორის ხალხის ნარჩენებს ჩაგრავენ და ავიწროებდნენ.

ბ

ბალანი – ასე ერქვა ბეორ უხუცესს, ვიდრე ფინროდის სამსახურში ჩადგებოდა.

ბალარი – დიდი უბე ბელერიანდის სამხრეთით, სადაც მდინარე სირიონი ჩაედინებოდა. ასე ერქვა იმ უბეში მდებარე პატარა კუნძულსაც, რომელიც, როგორც ამბობენ, ტოლ ერესეას ადმოსავლეთი განშტოება იყო. იმ კუნძულზე ნირანეთ არნოედიადის შემდეგ კირდანი და გილ-გალადი სახლობდნენ.

ბალროგი – «ძღვევამოსილი დემონი». მორგოთის მსახური ცეცხლოვანი დემონების სახელის სინდარული ფორმა (ქუენიაზე ვალარაუკო).

ბარაგუნდი – მამა მორუენისა, ჰურინის ცოლისა; ძმისწული ბარაჰირისა და ღორთონიონის მთიანეთში მის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი.

ბარად-დური – «შავბნელი კოშკი» საურონისა მორდორში.

ბარად ეითელი – «წყაროს კოშკი», ნოლდორთა ციხესიმაგრე ეითელ სირიონთან.

ბარად ნიმრასი – «თეთრი რქის კოშკი», რომელიც ეგლარესტის დასავლეთით მდებარე კონცხზე ფინროდ ფელაგუნდმა აღმართა.

ბარანი – ბეორ უხუცესის უფროსი ძე.

ბარაჰირი – მამა ბერენისა, დაგორ ბრაგოლახში იხსნა ფინროდ ფელაგუნდი და მისგან ბეჭედი მიიღო; ღორთონიონის მთიანეთში მოკლეს. ბარაჰირის ბეჭდის (რომელიც ისილდურის გვარის რელიკვიად იქცა) შემდგომი ბედის შესახებ იხ. «ბეჭდების მბრძანებლის» დანართი «ა».

ბარ-ენ-დანუელი – «სახლი-გამოსასყიდი», ასე უწოდა ჯუჯა მიმმა ამონ რუდზე თავის საცხოვრისს, როცა ის ტურინს დაუთმო.

ბაუგლირი – ერთ-ერთი სახელი მორგოთისა; «მჩავგრელი».

ბედისწერის რკალი – იხ. მაჰანაქსარი.

ბედკრულთა ქვა – ტურინისა და ნიენორის საფლავის ქვა მდინარე ტეიგლინის ნაპირზე.

ბელეგაერი – დასავლეთის «დიდი ზღვა» შუახმელეთსა და ამანს შორის. უფრო ხშირად დიდ ზღვას, დასავლეთ ზღვას ან დიდ წყალს უწოდებენ.

ბელეგი – დორიათის საზღვრის მცველთა მეთაური და ჩინებული მშვილდოსანი; მეტსახელად კუთალიონს, «მშვილდმაგარს» უწოდებდნენ; მეგობარი და თანამებრძოლი ტურინისა. ამ უკანასკნელმა მოკლა იგი.

ბელეგოსტი – «ვეება სიმაგრე», ლურჯი მთების ჯუჯათა ორი ქალაქიდან ერთ-ერთი. ჯუჯური გაბილგატჰოლის თარგმანი სინდარულზე.

ბელეგუნდი – მამა რიანისა, ჰუორის ცოლისა; ძმისწული ბარაჰირისა და დორთონიონში მის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი.

ბელერიანდი – როგორც ამბობდნენ, ეს სახელი «ბალარის ქვეყანას» აღნიშნავდა და თავიდან ასე უწოდებდნენ სირიონის შესართავთან მდებარე მიწებს, საიდანაც კუნძული ბალარი მოჩანდა. შემდეგ ეს სახელი ეწოდა დრენგისტის უბის სამხრეთით მდებარე შუახმელეთის ჩრდილო-დასავლეთ ზღვისპირეთსა და ჰითლუმის სამხრეთით მდებარე, ლურჯ მთებამდე გადაშლილ შიგა მიწებს. მდინარე სირიონი ამ მხარეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ბელერიანდებად ყოფდა. ბელერიანდი პირველი ეპოქის მიწურულს დიდი ომიანობისას განადგურდა და ზღვამ მთან-თქა, მხოლოდ ოსირიანდი (ლინდონი) გადარჩა.

ბელთილი – «ღვთიური ნათება», ტელპერიონის ხატება, რომელიც ტურგონმა გონდოლინში დადგა.

ბელთრონდინგი – ბელეგ კუთალიონის მშვილდი, რომელიც მასთან ერთად დამარხეს.

ბელფალასი – ზღვისპირა მხარე გონდორის სამხრეთში. იგივე სახელი ერქვა დიდ ყურესაც.

ბეორი – მეტსახელად უხუცესი, ბელერიანში მისულ კაცთა პირველი ტომის ბელადი; ვასალი ფინროდ ფელაგუნდისა; მამამთავარი ბეორის საგვარეულოსი. იხ. ბალანი.

ბერეგი – შვილიშვილი ბარანისა, ძისა ბეორ უხუცესისა (ეს ტექსტში მითითებული არაა). ესტოლადელ ადამიანთა შორის განხეთქილების მოთავე. მთებს გადაღმა გადავიდა და ერიალორში დაბრუნდა.

ბერენი – ძე ბარაჰირისა; მორგოთის გვირგვინიდან სილმარილი ჩამოჭრა, რათა საპატარძლო გამოსასყიდად მიეცა თინგოლისთვის ლუთიენის სანაცვლოდ; ანგბანდის მგელმა კარხაროთმა მოკლა; მოკვდავ კაცთაგან ის ერთადერთი აღდგა მკვდრეთით და ლუთიენტან ერთად ოსირიანდში ტოლ

გალენზე ცხოვრობდა; სარნ ათრადთან ჯუჯებს შეებრძოლა. დიდი პაპა ელრონდისა და ელროსისა და წინაპარი ნუმენორელი მეფეებისა. უწოდებდნენ კამლოსტს, ერხამიონსა და ცალხელას.

ბეჭდის აჩრდილები – კაცთა ცხრა ბეჭდის მონები და საურონის უმთავრესი მსახურები; აგრეთვე ნაზგულებსა და ულაირებს უწოდებდნენ.

ბინდის ტბები – იხ. აელინ-უიალი.

ბნელტევრი – იხ. დიდი მწვანე ტყე.

ბნელი ელფი – იხ. ეოლი.

ბნელი მბრძანებელი – იხ. ბნელი მეუფე.

ბნელი მეუფე – ასე უწოდებდნენ მორგოთსა და საურონს.

ბორი – აღმოსავლელთა ბელადი, თავის სამ ძესთან ერთად მაედროსისა და მაგლორის მიმდევარი.

ბორლახი – ბორის სამ ძეთაგან ერთ-ერთი, ძმებთან ერთად ნირნაეთ არნოედიადში მოკლეს.

ბორლადი – ბორის სამ ძეთაგან ერთ-ერთი. იხ. ბორლახი.

ბორთანდი – ბორის სამ ძეთაგან ერთ-ერთი. იხ. ბორლახი.

ბორომირი – ბეორ უხუცესის შვილთაშვილი, პაპა ბარაჰირისა, ბერენის მამისა. ლადროსის პირველი მთავარი.

ბორონი – მამა ბორომირისა.

ბრაგოლახი – იხ. დაგორ ბრაგოლახი.

ბრანდირი – მეტსახელად «კოჭლი», ჰალეთის ხალხის მმართველი, მამის, ჰანდირის სიკვდილის შემდგომ. ნიენორი უყვარდა. ტურინმა მოკლა.

ბრეგოლასი – მამა ბარაგუნდისა და ბელეგუნდისა. დაგორ ბრაგოლახში მოკლეს.

ბრეგორი – მამა ბარაჰირისა და ბრეგოლასისა.

ბრეთილი – ტეიგლინსა და სირიონს შორის მდებარე ტყე, ჰალადინთა (ჰალეთის ხალხის) სამოსახლო.

ბრილთორი – «ელვარე ნაკადი», მდინარე გელიონის მეოთხე შენაკადი.

ბრითიახი – ფონი ბრეთილის ტყის ჩრდილოეთით, რომელიც მდინარე სირიონს კვეთდა.

ბრითომბარი – ბელერიანდის ზღვისპირეთში ფალასის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ნავსადგური.

ბრითონი – მდინარე, რომელიც დიდ ზღვაში ბრითომბართან ჩაედინებოდა.

ბროდა – ჰითლუმში მცხოვრები აღმოსავლელი, რომელმაც ნირნაეთ არნოედიადის შემდეგ ცოლად შეირთო აერინი, ნათესავი ჰურინისა; ტურინმა მოკლა.

გ

გაბილგატჰოლი – იხ. ბელეგოსტი.

გალადრიელი – ასული ფინარფინისა და და ფინროდ ფელაგუნდისა; ვალართა წინააღმდეგ აჯანყებულ ნოლდორთა ერთ-ერთი წინამძღოლი.

გალათილიონი – ტირიონის თეთრი ხე, სახება ტელჰერიონისა, რომელიც იავანამ ვანარებსა და ნოლდორებს უძღვნა.

გაღდორი – მეტსახელად მაღალი; ძე ჰაღდორ ლორინდოლისა და მის შემდგომ დორ-ლომინის მმართველი; მამა ჰურიინისა და ჰუორისა. ეითელ სირიონში მოკლეს.

გაღვორნი – ეოლის მიერ გამოწრთობილი ლითონი.

გარეთა ზღვა – იხ. ეკაია.

გარე მიწები – შუახმელეთი (აქეთა მიწებსაც უწოდებენ).

გარემომცველი ზღვა – იხ. ეკაია.

გარემომცველი მთები – იხ. ეხორიათი.

გედთა ნავსაყუდელი – იხ. აღქუალონდე.

განდალფი – ასე უწოდებდნენ კაცნი მითრანდირს, ერთი ისტართა-განი, ანუ ჯადოსანთაგანი; იხ. ოლორინი.

გაცოცხლებულ მკვდართა მიწა – იხ. დორ-ფირნ-ი-გუინარი.

გელიონი – დიდი მდინარე აღმოსავლეთ ბელერიანდში, რომელიც ერთდროულად ჰიმრინგსა და მთა რერირში იღებდა სათავეს და ოსირიანდის მდინარეებს ასაზრდოებდა.

გელმირი (1) – ნარგოთრონდელი ელფი, ძმა გუინდორისა, დაგორ ბრაგოლახში შეიპყრეს და ნირნაეთ არნოუდიადის დაწყებამდე ეითელ სირიონის წინ მეციხოვნეთა გამოსაწვევად სიკვდილით დასაჯეს.

გელმირი (2) – ანგროდელი ელფი, რომელიც არმინასსთან ერთად მივიდა ნარგოთრონდში ოროდრეთის გასაფრთხილებლად.

გიღდორი – ღორთონიონის მთიანეთში ბარაჰირის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი.

გიღ-გალადი – «ვარსკვლავის შუქი», ასე იწოდებოდა ერეინიონი, ძე ფინგონისა. ტურგონის სიკვდილის შემდეგ შუახმელეთს შეხიზნულ ნოღდორთა უკანასკნელ უზენაეს მეფედ იქცა და მეორე ეპოქაში ლინდონში სახლობდა; ელენდილთან ერთად კაცთა და ელფთა უკანასკნელ სამხედრო კავშირს მეთაურობდა და საურონთან ორთაბრძოლისას დაიღუპა.

გიღ-ესტელი – «იმედის ვარსკვლავი», სინდარული სახელი ეარენდილისა.

გიმილზორი – იხ. არ-გიმილზორი.

გიმილხადი – უმცროსი ძე არ-გიმილზორისა და ინზილბეთისა და მამა არ-ფარაზონისა, ნუმენორის უკანასკნელი მეფისა.

გინგლითი – მდინარე დასავლეთ ბელერიანდში, რომელიც ნარ-გოთრონდის ზემოთ ნაროგში ჩაედინებოდა.

გლაურუნგი – მორგოთის პირველი დრაკონი, «დრაკონთა მამად» წოდებული; მონაწილეობდა დაგორ ბრაგოლახში, ნირანეთ არნოელი-აღსა და ნარგოთრონდის ნგრევაში; ტურინი და ნიენორი მოაჯადოვა; კაბედ-ენ-არასში ტურინმა მოკლა. აგრეთვე გველეშაპსა და მორგოთის მატლს უწოდებდნენ.

გლინგალი – «დაკიდებული ალი», ხატება ლაურელინისა გონდოლინში.

გლირჰუინი – ბრეთილელი მენესტრელი.

გლორედელი – ასული ჰადორ ლორინდოლისა და და გალდორისა; მისთხოვდა ჰალდირ ბრეთილელს.

გლორფინდელი – გონდოლინელი ელფი; დარბეული გონდოლინი-დან გამოქცეული, კირით თორონათში ბალროგთან ბრძოლისას დაიღუპა. მისი სახელი «ოქროსთმიანს» ნიშნავს.

გოლოდრიმნი – ნოლდორნი. გოლოდ ქუენიური ნოლდოს სინდარული ფორმაა. -რიმ კრებით სახელებში მრავლობითი რიცხვის დაბოლოებაა.

გონდოლინი – «დამალული კლდე» (იხ. ონდოლინდე), გარემომცველი მთების (ეხორიათით) რკალში მოქცეული ტურგონის საიდუმლო ქალაქი.

გონდოლინდრიმნი – გონდოლინის მცხოვრებლები.

გონდორი – «ქვის ქვეყანა», ნუმენორელთა სამეფო სამხრეთ შუახმელეთში, რომელიც ისილდურმა და ანარიონმა დააარსეს.

გონჰირიმნი – «ქვის ოსტატნი», ჯუჯების სახელწოდება სინდარულად.

გორგოროთი (1) – იხ. ერედ გორგოროთი.

გორგოროთი (2) – ზეგანი მორღორში, წყვდიადისა და ფერფლიან მთებს შორის.

გორთაური – საურონის სახელის სინდარული ფორმა.

გორთოლი – «საზარელი მუზარადი», მეტსახელი ტურინისა, რომელიც დორ-კუართოლში დაირქვა.

გორლიმი – მეტსახელად «უბედური»; დორთონიონის მთიანეთში ბარაჰირის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი, რომელიც ცოლის – ეილინელის მოჩვენების მეშვეობით მახეში გააბეს და დატყვევებულმა, საურონს ბარაჰირის სამალავი გაუმხილა

გოთმოგი – ბალროგთა მეუფე, ანგბანდის ლაშქრის მთავარსარდალი, ფეანორის, ფინგონისა და ექთელიონის მკვლელი (ასე ერქვა მესამე ეპოქაში მინას მორგულის მმართველს. «მეფის დაბრუნება», კარი V, თავი მეექვსე).

გრონდი – მორგოთის ურო, რომლითაც იგი ფინგოლფინს ებრძოდა. «ქვესკნელის ურო» – ასე უწოდებდნენ ტარანს, რომლითაც მინას ტირითის კარიბჭე შეამტვრიეს («მეფის დაბრუნება», კარი V, თავი მეოთხე).

გუაით-ი-მირდაინნი – «ოქრომჭედელნი», ერეგიონელ ხელოსანთა საძმო, რომელთა შორის უდიადესი იყო კელებრიმბორი, ძე კურუფინისა.

გუილინი – მამა გელმირისა და გუინდორისა, ნარგოთრონდელი ელფებისა.

გუინდორი – ნარგოთრონდელი ელფი, ძმა გელმირისა; ანგბანდში დაატყვევეს, მაგრამ გაიქცა და ბელეგს ტურინის გადარჩენაში დაეხმარა; ტურინი ნარგოთრონდში მიიყვანა; ოროდრეთის ასული ფინდულიასი უყვარდა; ტუმჰალადის ბრძოლაში მოკლეს.

გუნდორი – უმცროსი ძე ჰადორ ლორინდოლისა; მამამისთან ერთად მოკლეს დაგორ ბრაგოლახში.

გურთანგი – «სიკვდილის რკინა», ასე უწოდეს ბელეგის ხმალს, ანგლახელს, მას შემდეგ, რაც ნარგოთრონდში ტურინისთვის გადაჭედეს. ამ ხმლის ფლობისთვის ტურინს მორმეგილი შეარქვეს.

დ

დაგორ აგლარები – «დიდებული ბრძოლა», ბელერიანდის ომებიდან მესამე და დიდი ბრძოლა.

დაგორ ბრაგოლახი – «უეცარი ცეცხლის ბრძოლა» (ზოგჯერ უბრალოდ ბრაგოლახი), ბელერიანდის ომებიდან მეოთხე და დიდი ბრძოლა.

დაგორლადი – «ბრძოლის ველი», ადგილი მორდორის ჩრდილოეთით, სადაც მეორე ეპოქის მიწურულს საურონსა და ელფთა და კაცთა უკანასკნელ კავშირს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა.

დაგორ-ნუინ-გილიათი – «ბრძოლა ვარსკვლავთა ქვეშ», ბელერიანდის ომებიდან მეორე ბრძოლა, რომელიც ფეანორის შუახმელეთის მოსვლის შემდეგ მითრიმში გაიმართა.

დაგნირ გლაურუნგა – «გლაურუნგის შემმუსვრელი», ტურინი.

დაგნირი – დორთონიონში ბარაჰირის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი.

დაერონი – მეფე თინგოლის მენესტრელი და მემატთანე; კირთის (რუნების) გამომგონებელი; შუეყვარდა ლუთიენი და ორჯერ გასცა იგი.

დაირუინი – დორთონიონში ბარაჰირის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი.

დასავლეთის მეუფენი – იხ. ვალარნი.

დაცული ვაკე – იხ. ტალათ დირნენი.

დაცული სამეფო – იხ. ვალინორი.

დალდუვათი – ასე უწოდეს მოგვიანებით დორთონიონს (ტაურ-ნუფუინს); ეს სახელი «დამის ჩრდილებით მოცულ ტყეს» ნიშნავს.

დანეთორი – ძე ლენუესი; წინამძღოლი ნანდორებისა, ელფებისა, რომლებმაც ყველაზე ბოლოს გადმოიარეს ლურჯი მთები და ოსირიანდში დასახლდნენ; ამონ ერებზე მოკლეს ბელერიანდის პირველ ბრძოლაში.

დიდი გელიონი – გელიონის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც სათავეს იღებდა ჩრდილოეთში, მთა რერირში.

დიდი მიწები – შუახმელეთი.

დიდი მდინარე – იხ. ანდუინი.

დიდი მწვანე ტყე – დიდი ტყე ნისლიანი მთების აღმოსავლეთით; შემდგომ ბნელტევრი უწოდეს.

დიმბარი – მდინარეებს სირიონსა და მინდებს შორის მდებარე მიწა.

დიმროსტი – კელებროსის ჩანჩქერი ბრეთილის ტყეში; ტექსტში თარგმნილია როგორც «წვიმიანი კიბე».

დიორი – უწოდებდნენ არანელს, აგრეთვე ელუხილს, «თინგოლის მემკვიდრეს»; ძე ბერენისა და ლუთიენისა და მამა ელუინგისა, ელრონდის დედისა; თინგოლის სიკვდილის შემდეგ ოსირიანდიდან დორიათში გადასახლდა და გარდაცვლილი ბერენისა და ლუთიენისგან სილმარილი ერგო; მენეგროთში ფეანორის ძეებმა მოკლეს.

დოლ გულდური – «გრძნების ბორცვი», მესამე ეპოქის მიწურულს სიმაგრე ნეკრომანტიისა (საურონისა) სამხრეთ ბნელტევრში.

დოლმედი – «სველი თავი», ერედ ლუინის დიდი მთა, ჯუჯათა ქალაქების ნოგროდისა და ბელეგოსტის სიახლოვეს.

დორ დაედელოთი – «საშინელი წყვდიადის მხარე», მორგოთის ჩრდილოეთი სამფლობელო.

დორ დინენი – «მდუმარე მხარე» ესგალდუინისა და აროსის ზემოწელებს შორის, სადაც არავინ სახლობდა.

დორთონიონი – «ფიჭვების მხარე», დიდი ტყიანი მთიანეთი ბელერიანდის ჩრდილოეთ საზღვრებზე, შემდგომ ტაურ-ნუ-ფუინი ეწოდა. იხ. ხისწვერას სიმღერა («ორი ციხე-კოშკი», კარი III, თავი მეოთხე): «დორთონიონის მადლობებს შვენოდა ფიჭვნარი მარადჟამმწვანე...»

დორ კარანთირი – «კარანთირის ქვეყანა». იხ. თარგელიონი.

დორ-კუართოლი – «მშვილდისა და მუზარადის მხარე», რომელსაც ბელეგი და ტურიინი იცავდნენ ამონდ რუდის საიღუმლო ბუნაგიდან.

დორ-ლომინი – მხარე სამხრეთ ჰითლუმში, ფინგონის სამფლობელო, რომელიც ჰადორის ხალხს გადასცა სამკვიდროდ; სამშობლო ჰურიინისა და მორუენისა.

დორ-ნუ-ფაუგლითი – «სულთამხუთავი ფერფლით დაფარული მხარე». იხ. ანფაუგლითი.

დორ ფირნი-ი-გუინარი – «გაცოცხლებულ მკვდართა მიწა» ოსირიანდში, სადაც შუახმელეთში დაბრუნებული ბერენი და ლუთიენი დასახლდნენ.

დორიათი – «შემოღობილი ქვეყანა» (დორ იათ), ასე მელიანის სარტყლის შემოვლების შემდეგ უწოდეს; მანამდე ეგლადორი ერქვა; თინგოლისა და მელიანის სამეფო ნელდორეთისა და რეგიონის ტყეებში, რომელსაც მდინარე ესგალდუინის პირას აგებული მენეგროთიდან განაგებდნენ. აგრეთვე «დაცულ სამეფოსაც» უწოდებდნენ.

დორლასი – ბრეთილელი კაცი; ტურინსა და ჰუნთორს გლაურუნგზე თავდასასხმელად გაჰყვა, მაგრამ შეშინებულმა უკან დაიხია; ბრანდირ კოჭლმა მოკლა.

დრაუგლუინი – დიდი მგელკაცი, რომელიც ჰუანმა მოკლა ტოლ-ინგაურჰოთზე; მის ტყავში გახვეული ბერენი დრაუგლუინისვე იერით ანგბანდში შეიპარა.

დრენგისტი – ერედ ლომინში შეჭრილი გრძელი ყურე, ჰითლუმის დასავლეთი ზღუდე.

დუილუენი – ოსირიანდში მდინარე გელიონის მეხუთე შენაკადი.

დუნგართები – იხ. ნან დუნგართები.

დუნედაინნი – «დასავლელი ედაინები». იხ. ნუმენორელები.

დურიინი – კჰაზად-დუმის (მორიის) ჯუჯათა მეუფე.

ე

ეა – ქვეყნიერება, ნივთიერი სამყარო; სწორედ ეს სიტყვა (ელფურად: «არის» ან «იყოს») წარმოთქვა ილუვატარმა მაშინ, როცა ქვეყნიერება გაჩნდა.

ეარამე – «ზღვის ფრთა», ტუორის გემის სახელი.

ეარუენი – ასული ოლუე აღქუალონდელისა, თინგოლის ძმისა; ცოლად გაჰყვა ნოლდო ფინარფინს. ეარუენის მხრიდან ფინროდი, ოროდ-

რეთი, ანგროდი, აეგნორი და გალადრიელი ტელერებს ენათესავებოდნენ და ამიტომ დორიათში შესვლის ნება დართეს.

ეარენდელი – მეტსახელად «ნახევარელფი», «დალოცვილი», «კამკაშა», «ზღვაოსანი», ძე ტუორისა და იდრილისა, ტურგონის ასულისა. დანგრეული გონდოლინიდან გამოიქცა და სირიონის შესართავებთან ცოლად შეირთო ელუინგი, ასული დიორისა; მასთან ერთად ამანში გაემგზავრა და მორგოთის წინააღმდეგ ომში დახმარება ითხოვა; თავის ხომალდით, ვინგილოტით ზეცაში საცურაოდ განამწყესეს, შუბლზე მიმაგრებული აქვს ბერენისა და ლუთიენის მიერ ანგბანდიდან წამოღებული სილმარილი. მისი სახელი «ზღვის მოყვარეს» ნიშნავს.

ეარენდური (1) – ანდუნიეს მმართველი ნუმენორში.

ეარენდური (2) – არნორის მეათე მეფე.

ეარნილი – გონდორის ოცდამეთორმეტე მეფე.

ეარნური – ძე ეარნილისა; გონდორის ბოლო მეფე, რომელზეც ანარინონის საგვარეულო ხაზი გაწყდა.

ეგლადორი – ასე უწოდებდნენ დორიათს, ვიდრე გარს მელიანის სარტყელს შემოარტყამდნენ; სავარაუდოდ, დაკავშირებულია სახელთან ეგლათი.

ეგლათი – «მიტოვებული ხალხი», ასე დაირქვეს ტელერებმა, რომლებიც ბელერიანდში დარჩნენ თავიანთი წინამძღოლის ელუეს (თინგოლის) მოსაძებნად, როცა ტელერთა მთავარი დასი ამანში გაემგზავრა.

ეგლარესტი – ფალასის ნავსაყუდელთაგან ყველაზე სამხრეთით მდებარე.

ედაინნი – იხ. ატანნი.

ედრაჰილი – ნარგოთრონდელი ელფი, რომელიც ფინროდსა და ბარაჰირს გაჰყვა დავალების შესასრულებლად; ტოლ-ინ-გაურჰოთის დილეგში დაიღუპა.

ეზელოჰარი – მწვანე ბორცვი, რომელზეც ვალინორის ორი ხე იდგა; აგრეთვე კოროლაირეს უწოდებდნენ.

ეთელ ივრინი – «ივრინის წყარო», მდინარე ნაროგის სათავე ერედ უეთრინის ძირას.

ეთელ სირიონი – «სირიონის წყარო» ერედ უეთრინის აღმოსავლეთ კალთებზე, სადაც ფინგოლფინისა და ფინგონის დიდი ციხესიმაგრე იდგა. იხ. ბარად ეთელი.

ელინელი – გორლიმ უბედურის ცოლი.

ეკაია – ელფთა ენაზე ასე ერქვა არდის გარემომცველ ზღვას; აგრეთვე გარეთა ოკეანეს უწოდებდნენ.

ელბერეთი – ვარდას სახელი სინდართა ენაზე, «ვარსკვლავთა ქალბატონი». იხ. ელენტარი.

ელდალიენი – «ელფნი», ელდართა მნიშვნელობით იხმარებოდა.

ელდამარი – «ელფთსახლი», მხარე ამანში, სადაც ელფები სახლობდნენ; ასევე ერქვა იქ მდებარე ყურეს.

ელდარნი – ელფური ლეგენდის მიხედვით, ელდარნი ანუ «ვარსკვლავთა ხალხი» ვალა ორომემ შეარქვა ელფებს. თუმცა, მოგვიანებით, ასე იმ სამი მოდგმის ელფებს (ვანიარებს, ნოლდორებს და ტელერებს) უწოდებდნენ, რომლებიც კუივიენენიდან აიყარნენ და დასავლეთში გაემართნენ (თუმცა, ზოგიერთმა იქამდე ვერ ჩააღწია). ავარებს ელდარებს აღარ მიათვლიან. ამანის ელფებსა და იმათაც, ვისაც ოდესმე

ამანში უცხოვრიათ, უზენაეს ელფებს (ტარელდარებს) ან სინათლის ელფებს (კალაქუნდებს) უწოდებდნენ.

ელდარული – ელდართა ენა.

ელედუენი – იხ. მორუენი.

ელემირე (1) – ვარსკვლავის სახელი.

ელემირე (2) – ვანია ელფი, შემთხვეული აღდუდენიესი.

ელენდე – ელდამარის სახელი.

ელენდილი – მეტსახელად «მაღალი»; ძე ამანდილისა, ანდუნის უკანასკნელი მმართველი, ეარენდილისა და ელუინგის შთამომავალი, ოდონდ არა მეფეთა პირდაპირი ხაზის; ძეებთან: ისილდურთან და ანა-

რიონთან ერთად ჩადირული ნუმენორიდან გაიქცა და შუახმელეთში ნუმენორული სამეფოები დააარსა; მეორე ეპოქის მიწურულს, საურონის დამხობისას ბრძოლაში მოკლეს. მისი სახელი შეიძლება ითარგმნოს როგორც «ელფთა მეგობარი» (იხ. ელენდილნი) ან «ვარსკვლავის მოყვარე».

ელენდილნი – «ელფთა მეგობარნი», ასე შეარქვეს იმ ნუმენორელებს, რომლებსაც ტარ-ანკალიმონისა და სხვა მეფეთა ზეობის ხანაში ელდარებთან ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ. აგრეთვე ერთგულებსაც უწოდებდნენ.

ელენდური – ისილდურის უფროსი ძე, რომელიც მასთან ერთად ზამბახების მინდვრებზე მოკლეს.

ელენა – ნუმენორის სახელი ქუენიაზე, «ვარსკვლავის მხარეს მდებარე» – ასე იმიტომ შეარქვეს, რომ მეორე ეპოქის დასაწყისში ნუმენორის კუნძულისკენ მცურავ ედაინებს ეარენდილი მეგზურობდა.

ელენუე – ცოლი ტურგონისა; ჰელკარაქსეს გადალახვისას დაიღუპა.

ელენტარი – «ვარსკვლავთა დედოფალი», ვარდას – ვარსკვლავთა შემოქმედის მეტსახელი. ასე უწოდებს მას გალადრიელი ლორიენში ნამღერ სიმღერაში («ბეჭდის საძმო», კარი II, თავი მერვე). იხ. ელბერეთი, ტინტალე.

ელერინა – «ვარსკვლავთგვირგვინოსანი», ტანიუქუეტილის სახელი.

ელოსტირიონი – ემინ ბერაიდზე მდგარ კომკთაგან უმაღლესი, სადაც პალანტირი იდო.

ელრონდი – ძე ეარენდილისა და ელუინგისა, რომელმაც პირველი ეპოქის მიწურულს პირველშობილთა ხვედრი აირჩია და მესამე ეპოქის დასასრულამდე შუახმელეთში რჩებოდა; მმართველი იმლადრისისა (შუაველისა) და მცველი ვილიისა, ჰაერის ბეჭდისა, რომელიც გილ-გალადისგან მიიღო. მისი სახელი «ვარსკვლავის გუმბათს» ნიშნავს.

ელროსი – ძე ეარენდილისა და ელუინგისა, რომელმაც პირველი ეპოქის მიწურულს კაცთა ხვედრი აირჩია და ნუმენორის პირველ მეფედ

დაინიშნა (ტარ-მინიატური უწოდეს). დიდხანს იცოცხლა. მისი სახელი «ვარსკვლავის ქაფს» ნიშნავს.

ელუ – ელუეს სინდარული ფორმა.

ელუე – გვარად სინგოლო – «რუნმოსასხამიანი»; კუივიენენიდან დასავლეთისკენ დაძრულ ტელერთა დასის წინამძღოლი ძმასთან, ოლუესთან ერთად, ვიდრე ნან ელმოთში დაიკარგებოდა; შემდგომში სინდართა მეუფე; მელიანთან ერთად ღორიათს განაგებდა; ბერენისგან სილმარილი მიიღო; მენეგროთში ჯუჯებმა მოკლეს. სინდარულად (ელუ) თინგოლი ეწოდება. იხ. სიბნელის ელფნი, თინგოლი.

ელუინგი – ასული დიორისა, რომელიც ღორიათიდან სილმარილიანად გაიქცა და სირიონის შესართავებთან დასახლდა; იქ ეარენდილს მისთხოვდა და მასთან ერთად ვალინორში გაცურა; დედა ელრონდისა და ელროსისა. მისი სახელი «ვარსკვლავის შხეფს» ნიშნავს; იხ. ლანთირ ლამათი.

ელურედი – დიორის უფროსი ძე; ღორიათზე თავდასხმისას ფეანორის ძეებმა მოკლეს. მისი სახელი იმავეს ნიშნავს, რასაც ელუხილი.

ელურინი – დიორის უმცროსი ძე; ძმასთან, ელურედთან ერთად დაიღუპა. მისი სახელი «ელუს (თინგოლის) მოსაგონარს» ნიშნავს.

ელუხილი – «მემკვიდრე ელუსი (თინგოლისა)»; სახელი დიორისა, ბერენისა და ლუთიენის ძისა.

ელფთა მეგობარნი – ბეორის, ჰალეთისა და ჰადორის სახლიკაცნი, ედაინნი; «აკალაბეთსა» და «ძალაუფლების ბეჭდებში» უწოდებდნენ იმ ნუმენორელებს, რომლებსაც ელდარებთან ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ.

ელფნი – ილუვატარის უფროსი შვილნი. ელდარნი.

ელფთასახლი – იხ. ელდამარი.

ემელდირი – მეტსახელად «მამაცი»; ცოლი ბარაჰირისა და დედა ბერენისა; დაგორ ბრაგოლახის შემდგომ ბეორის სახლი ქალთა და ბავშვთ დორთონიონიდან გაუძღვა (ბეორ უხუცესის პირდაპირი შთამომავალი იყო და მამამისს ბერენი ერქვა; ეს ტექსტში არ არის ნახსენები).

ემინ ბერაიდი – «კომპის ბორცვები» დასავლეთ ერიადორში; იხ. ელოსტირიონი.

ენგუარნი – «ჯანსუსტნი». ელფების მიერ კაცთათვის შერქმეული ერთ-ერთი სახელი.

ენდორი – «შუამიწა»; შუახმელეთი.

ეოლი – მეტსახელად «ბნელი ელფი»; მარჯვე მჭედელი, რომელიც ნან ელმოთში სახლობდა და ცოლად არედელი, ტურგონის და, შეირთო; ჯუჯების მეგობარი; ანგლახელის (გურთანგის) გამომჭედი; მამა მაეგ-ლინისა; გონდოლინში სიკვდილით დასაჯეს.

ეონუე – მაიართაგან ერთ-ერთი უდიადესი; მანუეს მაცნე; პირველი ეპოქის მიწურულს მორგოთის წინააღმდეგ გაგზავნილი ვალინორის ლაშქრის სარდალი.

ერეგიონი – «ბაძგების მხარე» (კაცნი ბაძგნარს უწოდებენ); მეორე ეპოქაში ნოლდორთა სამეფო ნისლიანი მთების ძირას, სადაც ელფური ბეჭდები ჩამოასხეს.

ერედ გორგოროთი – «შემზარავი მთები» ნან დუნგორთების ჩრდილოეთით; აგრეთვე გორგოროთსაც უწოდებდნენ.

ერედ ენგრინი – «რკინის მთები» შორეულ ჩრდილოეთში.

ერედ ლინდონი – «ლინდონის მთები»; ერედ ლუინი, ლურჯი მთები.

ერედ ლომინი – «ეპოიანი მთები», ჰითლუმის დასავლეთ საზღვრად აღმართული მთაგრეხილი.

ერედ ლუინი – «ლურჯი მთები», აგრეთვე ერედ ლინდონს უწოდებდნენ. პირველი ეპოქის მიწურულის ნგრევების შემდეგ შუახმელეთის ჩრდილო-დასავლეთის ზღვისპირა მთაგრეხილად იქცა.

ერედ ნიმრაისი – «თეთრი მთები» (ნიმრაისი – «თეთრი რქები»), აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადაჭიმული მთაგრეხილი ნისლიანი მთების სამხრეთით.

ერედ უეთრინი – «წყვდიადის მთები», დიდი მორკალული მთაგრეხილი, რომელიც დასავლეთით დორ-ნუ-ფაუგლითს (არდ-გალენს) ესაზღვრებოდა და ჰითლუმსა და დასავლეთს ერთმანეთისგან ყოფდა.

ერეინიონი – «მეფეთა შთამომავალი», ძე ფინგონისა, რომელსაც გილ-გალადის სახელით უფრო იცნობდნენ.

ერელონტი – ეარენდილის თანმხლები სამი ზღვაოსნიდან ერთ-ერთი.

ერესეა – იხ. ტოლ ერესეა.

ერეხი – ბორცვი დასავლეთ გონდორში, სადაც ისილდურის ქვა იდო (იხ. «მეფის დაბრუნება», კარი V, თავი მეორე).

ერთგულნი – იხ. ელენდილნი.

ერიადორი – მიწა ნისლიან და ლურჯ მთებს შორის, სადაც არნორის სამეფო (და ჰობიტების მაზრა) მდებარეობდა.

ერუ – «ის, ვინც მარტოა», «ერთი»; ილუვატარი.

ერხამიონი – «ცალხელა», ეს სახელი უწოდეს ანგბანდიდან გამოქცეულ ბერენს.

ესგალდუინი – მდინარე დორიათში, რომელიც ნელდორეთისა და რეგიონის ტყეებს ერთმანეთისგან ყოფდა და სირიონს უერთდებოდა. სახელი «საბურველში გახვეულ მდინარეს» ნიშნავს.

ესგალდუინის ხიდი – იხ. იანტი იანური.

ესტე – ერთ-ერთი ვალიერთაგანი, მეუღლე ირმოსი (ლორიენისა); მისი სახელი «დასვენებას» ნიშნავს.

ესტოლადი – ნან ელმოთის სამხრეთით მდებარე ქვეყანა, სადაც ლურჯი მთების გადაღმიდან ბელერიანდში გადმოსული ბეორისა და მარახის მიმდევარი კაცნი დასახლდნენ. ტექსტში ნათარგმნია, როგორც «ბანაკი».

ეველ ბრანდირი – «ბრანდირს გარს შემოვლებული ზღუდე», ბრეთილელ კაცთა სამოსახლო ამონ ობელზე; აგრეთვე ეველსაც უწოდებდნენ.

ეველ დუათი – «წყვიდიადის ზღუდე», მთაგრეხილი გონდორსა და მორდორს შორის; აგრეთვე «წყვიდიადის მთებსაც» უწოდებდნენ.

ექთელიონი – გონდოლინელი ელფი დიდებული, რომელმაც ქალაქის დარბევისას მოკლა ბალროგთა მეუფე გოთმოგი და თავადაც დაიღუპა.

ექოიანი მთები – იხ. ერედ ლომინი.

ენორიათი – «გარემომცველი მთები» გონდოლინის ველის ირგვლივ.

3

ვაირე – «მქსოველი», ერთ-ერთი ვალიერთაგანი, მეუღლე ნამო მანდოსისა.

ვალაკირკა – «ვალართა ნამგალი», დიდი დათვის თანავარსკვლავედის სახელი.

ვალანდილი – ისილდურის უმცროსი ძე, არნორის მესამე მეფე.

ვალართა ნამგალი – იხ. ვალაკირკა.

ვალარაუკარნი – «ძღვევამოსილი დემონები» (მხ. რ. ვალარაუკო). სინდარული ბალროგის შესატყვისი ქუენიაზე.

ვალარნი – «ძალმოსილნი», «ძალნი»; ასე უწოდებენ აინურთ, რომლებიც ჟამთა დასაბამს შევიდნენ ეაში და არდის დამცველნი და გამგებელნი გახდნენ. მათი წოდებებია: დიადნი, არდის მბრძანებელნი, დასავლეთის მეუფენი, ვალინორის მეუფენი; აგრეთვე იხ. აინურნი, არატარნი.

ვალარომა – ვალა ორომეს ბუკი.

ვალაქუენტა – «ამბავი ვალართა», მოკლე თხზულება, რომელიც საკუთრივ «სილმარილიონისგან» განცალკევებულ ნაშრომად განიხილება.

ვალიერნი – «ვალართა დედოფალნი» (მხ. რ. ვალიე); ტერმინი მხოლოდ ვალაქუენტაში გამოიყენება.

ვალიმარი – იხ. ვალმარი.

ვალინორი – პელორის მათათა გადაღმა მდებარე ვალართა ქვეყანა ამანში; აგრეთვე დაცულ სამეფოს უწოდებენ.

ვალმარი – ვალართა ქალაქი ვალინორში; სახელი ვალიმარის ფორმითაც გვხვდება. ლორიენში გალადრიელის საგალობელში (ბეჭდის საძმო, კარი II, თავი მერვე) ვალმარი ვალინორის შესატყვისად გამოიყენება.

ვანა – ერთ-ერთი ვალიერთაგანი, იავანას და და ორომეს მეუღლე; მას მარადყმაწვილს უწოდებენ.

ვანიარნი – ელდართა პირველი დასი, რომელიც კუივინენიდან აიყარა და ინგუეს წინამძღოლობით დასავლეთში გაემგზავრა. სახელი (მხ. რ. ვანია) «ნათელს» ნიშნავს და ვანიართა ოქროსფერ თმაზე მიანიშნებს. იხ. ფინარფინი.

ვარდა – «დიდებული», «მაღალი»; აგრეთვე ვარსკვლავთა დედოფალს უწოდებენ. ვალიერთა შორის უდიადესი, მანუეს მეუღლე და მასთან ერთად ტანიქუეტილზე მცხოვრები. ვარდას, ვითარცა ვარსკვლავთა შემოქმედის, სხვა სახელებია: ელბერეთი, ელენტარი, ტანტალე.

ვარსკვლავის მიწა – ნუმენორი.

ვასა – «შთანთქმელი», ასე უწოდებდნენ მზეს ნოლდორნი.

ვეება სიმაგრე – ბელეგოსტის თარგმანი.

ვილია – ელფთა სამი ბეჭდიდან ერთ-ერთი, ჰაერის ბეჭედი, რომელიც გილ-გალადს, ხოლო მის შემდგომ ელრონდს ეკეთა.

ვინგილოტი – (სრული ფორმა ქუენიაზე ვინგოლოტე) «ქაფის ყვავილი», ეარენდილის ხომალდის სახელი. იხ. როთინზილი.

ვინიამარი – სახლი ტურგონისა ნევრასტში მთა ტარასის ქვეშ. სავარაუდოდ, «ახალ საცხოვრისს» ნიშნავს.

ვორონუე – «მტკიცე», გონდოლინელი ელფი, ერთადერთი გადარჩენილი იმ შვიდი ხომალდის ზღვაოსანთაგან, ნირნაეთ არნოედიადის შემდეგ დასავლეთში რომ გაგზავნეს; ვინიამარში ტუორს შეხვდა და მას გონდოლინისკენ გაუძღვა.

ზ

ზაფხულის ბჭენი – დიდი დღესასწაული გონდოლინში, რომლის დამდეგს მორგოთის ლაშქარი გონდოლინს თავს დაესხა.

ზამბახის მინდვრები – ლოგ ნინგლორონის ნაწილობრივი თარგმანი; მდინარე ადნუინისა და მისი ნაპირების ლერწმითა და ზამბახებით დაფარული გრძელი მონაკვეთი, სადაც ისილდური მოკლეს და ძალაუფლების ბეჭედი დაიკარგა.

თ

თალიონი – «შუპოვარი», «ძლიერი». იხ. ჰურინი.

თალოსი – ოსირიანდში მდინარე გელიონის მეორე შენაკადი.

თანგოროდრიმი – «ტირანიის მთები», რომელიც მორგოთმა ანგბანდის თავზე აღმართა; პირველი ეპოქის მიწურულს დიდ ბრძოლაში დაამხვეს.

თარგელიონი – «მიწა გელიონს გადაღმა» მთა რერირსა და მდინარე ასკარს შორის, სადაც კარანთირი სახლობდა; აგრეთვე დორ კარანთირსა და ტალათ რუნენს უწოდებდნენ.

თეთრი ხე – იხ. ტელპერიონი, გალათილიონი, ნიმლოთი (1). მინას ითილისა და მინას ანორის თეთრი ხეები.

თინგოლი – «რუხი მოსასხამი», «რუხი მანტია» (ქუენიაზე სინდაკოლო, სინგოლო), სახელი, რომლითაც ელუეს, ოლუესთან ერთად კუივიენენელ ტელერთა წინამძღოლსა და შემდგომში დორიათის მეფეს ბელერიანდში იცნობდნენ. აგრეთვე დამალულ მეფესაც უწოდებდნენ. იხ. ელუე.

თორონდორი – «არწივთა მეფე». (იხ. «მეფის დაბრუნება», კარი VI, თავი მეოთხე). «...ძღვევამოსილი შთამომავლები დიადი თორონდორისა, ვინც შუახმელეთის სიყრმის ჟამს გარემომცველი მთების მიუწვდომელ მწვერვალებზე იშენებდა ბუდეს». იხ. კრისაეგრიმი.

თრანდულილი – სინდა ელფი, დიდი მწვანე ტყის (ბნელტევრის) ჩრდილოეთში მობინადრე ტყის ელფთა მეფე; მამა ლეგოლასისა, რომელიც ბეჭდის საძმოს წევრი იყო.

თურინგუეთილი – «იღუმალჩრდილიანი ქალი», საურონის შიკრიკი ტოლ-ინ-გაურჰოთიდან, რომელსაც დიდი ღამურის ფორმა ჰქონდა; მისი იერით შეიპარა ლუთიენი ანგბანდში.

ი

იავანა – «ნაყოფთა მბოძებელი», ვალიერთა და არატართაგან ერთ-ერთი; მეუღლე აულესი; უწოდებენ კემენტარის.

იანტი იანური – ღორიათის ჩრდილოეთის საზღვრებზე, მდინარე ეს-გალდუინზე გადებული «ძველი ხიდი».

იბუნი – ჩია ჯუჯა მიმის ერთ-ერთი ძე.

იდრილი – მეტსახელად კელებრინდალი, «ვერცხლისფეხიანი», ასული (და ერთადერთი შვილი) ტურგონისა და ელენუესი; ცოლი ტუ-ორისა, დედა ეარენდილისა, რომელთანაც ერთად გონდოლინიდან სი-რიონის შესართავებში გაიქცა; იქიდან ტუორთან ერთად დასავლეთში გაემგზავრა.

ივრინი – ტბა და ჩანჩქერი ერედ უეთრინის ქვეშ, სადაც მდინარე ნა-როგი იღებდა სათავეს. იხ. ეითელ ივრინი.

იზენგარდი – თარგმანი (როჰირითა ენაზე) ელფური ანგრენოსტი-სა.

ილმარე – მაია, მოახლე ვარდასი.

ილმენი – ჰაერს ზედა არე, სადაც ვარსკვლავებია.

ილუვატარი – «მამა ყოველთა», ერუ.

ილუინი – აულეს მიერ ვალართათვის დამზადებული ერთ-ერთი სა-ნათი. ილუინი შუახმელეთის ჩრდილოეთში იდგა და მელკორის მიერ მთის ჩამოქცევის შემდეგ იმ ადგილას ჰელკარის შიგა ზღვა გაჩნდა.

იმლადრისი – შუაველი (სიტყვასიტყვით «მთებს შორის ჩავარდნი-ლი ღრმა ველი»).

იმლახი – ამლახის მამა.

ინგუე – წინამძღოლი ვანიართა, ელდართა პირველი დასისა, რომე-ლიც კუივიენენიდან დასავლეთში გაემგზავრა. ამანში ტანიქუეტილზე სახლობდა და ყოველ ელფთა უზენაეს მეფედ ითვლებოდა.

ინდისი – ვანია ელფი, ინგუეს ახლო ნათესავი; მეორე ცოლი ფინუ-ესი, დედა ფინგოლფინისა და ფინარფინისა.

ინზილადუნი – არ-გიმილზორისა და ინზილბეთის უფროსი ძე; მოგვიანებით ტარ-პალანტირი ეწოდა.

ინზილბეთი – ცოლი არ-გიმილზორისა; ანდუნიეს მმართველთა გვარისა.

ირმო – ვალა, რომელსაც უფრო ხშირად მისი სამოსახლოს სახელს, ლორიენს, უწოდებდნენ. ირმო «მსურველს» ან «სურვილთა მეუფეს» ნიშნავს.

ისილდური – ელენდილის უფროსი ძე, რომელიც მამასა და ძმასთან, არანიონთან ერთად ჩაძირული ნუმენორიდან გამოიქცა და ნუმენორელ ხიზანთა სამეფოები დააარსა შუახმელეთში; მინას-ითილის მმართველი; საურონს მმართველი ბეჭედი მოჰკვეთა ხელიდან; ანდუინში მოკლეს ორკებმა, როცა თითიდან ბეჭედი წასძვრა.

ისილი – მთვარის სახელი ქუენიაზე.

ისტარნი – ჯადოსანნი. იხ. კურუნირი, სარუმანი; მითრანდირი, განდალფი, ოლორინი; რადაგასტი.

კ

კაბედ-ენ-არასი – მდინარე ტეიგლინის ღრმა ხევი, სადაც ნიენორი გადახტა და თავი მოიკლა და ტურინმა გლაურუნგი მოკლა. იხ. კაბედ ნაერამართი.

კაბედ ნაერამართი – «ავბედითი ნახტომი», ასე უწოდეს კაბედ-ენ-არასს მას შემდეგ, რაც ნიენორმა თავი მოიკლა.

კალაკირია – «ნათელი ვიწრობი», გასასვლელი პელორის მთებს შორის, სადაც ტუნას მწვანე ბორცვი იყო აღმართული.

კალაქუნდნი – «სინათლის ელფნი», «ნათელი ელფნი»; ელფები, რომლებიც ოდესღაც ცხოვრობდნენ ამანში (უზუნაესი ელფები). იხ. მორიქუნდნი და სიბნელის ელფნი.

კალენარდონი – «მწვანე პროვინცია», სახელი როჰანისა, როცა ის გონდორის ჩრდილოეთი ნაწილი იყო. იხ. არდ-გალენი.

კამლოსტი – «ხელცარიელი», ეს მეტსახელი დაირქვა ბერენმა მას შემდეგ, რაც მეფე თინგოლს სილმარილის გარეშე ეახლა.

კარაგდური – შვერილი ამონ გუარეთისა (გონდოლინის ბორცვი) ჩრდილოეთ გვერდობზე, საიდანაც სიკვდილმისჯილი ეოლი გადაადგედეს.

კარანთირი – ფეანორის მეოთხე ძე, მეტსახელად «ბნელი»; ძმებს შორის ყველაზე ფიცხი და სასტიკი. თარგელიონის მმართველი. დორიათზე თავდასხმისას მოკლეს.

კარდოლანი – მხარე სამხრეთ ერიადორში, არნორის სამეფოს ნაწილი.

კარნილი – (წითელი) ვარსკვლავის სახელი.

კარხაროთი – ანგბანდის დიდი მგელი, რომელმაც ბერენს სილმარლის მპყრობელი ხელი მოაჭამა; დორიათში ჰუანმა მოკლა. სახელი ტექსტში ნათარგმნია, როგორც «წითელი ხახა». აგრეთვე ანფაუგლირს უწოდებდნენ.

კელებორნი (1) – «ვერცხლისფერი ხე», ასე ერქვა ტოლ ერესეაზე მდგარ ხეს; გალათილიონის სანამყენესგან გაზრდილი.

კელებორნი (2) – დორიათელი ელფი, თინგოლის ნათესავი; ცოლად შეირთო გალადრიელი და პირველი ეპოქის დასრულების შემდეგ მასთან ერთად შუახმელეთში დარჩა.

კელებრანტი – მდინარე ვერცხლისა. სარკისებური ტბიდან ლოთლორიენის გავლით ანდუინთან შესაერთებლად მიედინებოდა.

კელებრიმბორი – «ვერცხლის ხელი», ძე კურუფინისა, რომელიც ნარგოთრონდში დარჩა მას შემდეგ, რაც მამამისი იქიდან გააძევეს. მეორე ეპოქაში ერეგიონში მცხოვრებ მჭედელთაგან გამორჩეული; ელფთა სამი ბეჭდის შემქმნელი; საურონმა მოკლა.

კელებრინდალი – «ვერცხლისფეხიანი». იხ. იდრილი.

კელებროსი – «ვერცხლისფერი ქაფი» ან «ვერცხლისფერი წვიმა», მდინარე ბრეთილის ტყეში, რომელიც გადასალახთან ახლოს მდინარე ტეიგლინს უერთდებოდა.

კელეგორმი – ფეანორის მესამე ძე, მეტსახელად «მშვენიერი»; დაგორ ბრაგოლახამდე ჰიმლადის მმართველი თავის ძმასთან, კურუფინ-

თან ერთად; ნარგოთრონდში დასახლდა და ლუთიენი დაატყვევა; ბატონი ნაგაზი ჰუნისა; მენეგროთში დიორმა მოკლა.

კელვარნი – ელფური სიტყვა, რომელიც გვხვდება მეორე თავში იავანასა და მანუეს საუბრისას: «ცხოველები, მოძრავი არსებები».

კელონი – მდინარე აროსის შენაკადი. სახელი «მალლობიდან მჩქეფარ ნაკადს» ნიშნავს.

კემენტარი – «მიწის დედოფალი», იავანას წოდება.

კირდანი – «ხომალდმშენებელი», ტელერი ელფი, მმართველი ფალასისა (დასავლეთ ბელერიანდის ზღვისპირეთისა); ნირნაეთ არნო-ედიადში ნავსაყუდლების დანგრევის შემდეგ გილ-გალადთან ერთად ბალარის კუნძულზე გაიქცა. მეორე და მესამე ეპოქებში ლუნის ყურეში მდებარე რუხი ნავსაყუდლების დამცველი; შუახმელეთში მოსულ მითრანდირს ნარია, ცეცხლის ბეჭედი მიანდო.

კირით თორონათი – «არწივთა კლდეკარი», მაღალი უღელტეხილი გონდოლინის ჩრდილოეთით მდებარე მთებში, სადაც გლორფინდელი ბალროგს შეებრძოლა და უფსკრულში გადავარდა.

კირით ნინიახი – «ცისარტყელას ვიწრობი», რომლითაც ტუორი დასავლეთი ზღვის ნაპირზე გავიდა.

კირიონი – მესამე ძე ისილდურისა, რომელიც მასთან ერთად მოკლეს ზამბახების მინდვრებზე.

კირთი – რუნები, რომელიც დაერონ დორიათელმა გამოიგონა.

კოროლაირე – «მწვანე ბორცვი», რომელზეც ვალინორის ორი ხე იდგა; აგრეთვე ეზულოჰარსაც უწოდებდნენ.

კრისაეგრიმი – მთის მწვერვალები გონდოლინის სამხრეთით, სადაც თორონდორის არწივთა ბუდეები იყო.

კუთალიონი – «მშვილდმაგარი». იხ. ბელეგი.

კუივიენენი – «გამოღვიძების წყალი», ტბა შუახმელეთში, სადაც პირველმა ელფებმა გაიღვიძეს და ისინი ორომემ იპოვა.

კულურიენი – ლაურელინის სახელი.

კურთხეული სამეფო – იხ. ამანი.

კურუფინი – ფეანორის მეხუთე ძე, მეტსახელად «მარჯვე»; მამა კელბრიმბორისა. მისი სახელის წარმოშობის შესახებ იხ. ფეანორი.

კურუნირი – «ცბიერი, გაქნილი», ელფური სახელი სარუმანისა, ერთ-ერთი ისტართაგანისა (ჯადოსანთაგანისა).

კურუფინუე – იხ. ფეანორი.

კჰაზად-დუმი – დურინის მოდგმის ჯუჯათა ვრცელი საცხოვრისი ნისლიან მთებში (ჰადოდრონდი, მორია).

კჰაზადნი – ასე ეწოდებათ ჯუჯებს მათსავე ენაზე (კჰუზდულზე).

კჰიმი – ჩია ჯუჯა მიმის ძე, ტურინის ერთ-ერთმა თანამზრახველმა ყაჩაღმა მოკლა.

ლ

ლადროსი – დორთონიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მიწები, რომლებიც ნოლდორთა მეფეებმა ბეორის საგვარეულოს გადასცეს.

ლაერ კუ ბელეგი – «დიდი მშვილდის სიმღერა», რომელიც ეითელ ივრინში ტურინმა ბელეგ კუთალიონის სახსოვრად შეთხზა.

ლალაითი – «კისკისა», ასული ჰურიინისა და მორუენისა, რომელიც ბავშვობისას გარდაიცვალა.

ლალიქუნდნი – «მწვანე ელფნი» ოსირიანდისა.

ლამოთი – «დიდი ექო», დრენგისტის უბის ჩრდილოეთით მდებარე მხარე, სადაც უნგოლიანტთან მებრძოლი მორგოთის ყვირილის ექო ისმოდა.

ლანთირ ლამათი – «მქუხარე ხმების შადრევანი» ოსირიანდში, სადაც დიორი სახლობდა. ამ შადრევნის პატივსაცემად ერქვა სახელი მის ასულს – ელუინგს («ვარსკვლავთა შხეფი»).

ლაურელინი – «ოქროს სიმღერა», ვალინორის ორ ხეთაგან უმცროსი.

ლეგოლინი – მდინარე გელიონის მესამე შენაკადი.

ლეითიანის სიმღერა – ბერენისა და ლუთიენის ცხოვრების ამსახველი გრძელი პოემა, რომლის პროზაულ ვერსიას «სილმარილიონში» ერ-

თი თავი ეთმობა. ლეითიანი «ტყვეობიდან გათავისუფლებად» ითარგმნება.

ლემბასი – ელდართა საგზაო პურის სინდარული სახელი (ადრეული ვარიანტიდან ლენმბასი; ქუენიაზე კოიმასი – «მაცოცხლებელი პური»)

ლენუე – ტელერთა იმ დასის (ნანდორთა) წინამძღოლი, რომელთაც კუივიენენიდან დასავლეთში მგზავრობისას ნისლიან მთებზე გადასვლა იუარეს; მამა დენეთორისა.

ლინაეუენი – «ჩიტთა ტბა», დიდი ტბა ნევრასტში.

ლინდონი – ოსირიანდის სახელი პირველ ეპოქაში. პირველი ეპოქის მიწურულის ნგრევასა და წყალში ჩაძირვას მხოლოდ ლურჯი მთების აღმოსავლეთით მდებარე მიწები გადაურჩა.

ლინდორიე – დედა ინზილბეთისა.

ლოდინის დარბაზები – მანდოსის დარბაზები.

ლოეგ ნინგლორონი – «ოქროსფერი წყლის ყვავილების გუბურები»; იხ. ზამბახების მინდვრები.

ლოთლანი – «ვრცელი და ცარიელი», დიდი ვაკე მაედროსის საზღვრის ჩრდილოეთით.

ლოთლორიენი – «აყვავებული ლორიენი». იხ. ლორიენი (2).

ლომელინდი – ქუენიაზე «მწუხრის მომღერლებს» ნიშნავს, ბულბულები.

ლომიონი – «მწუხრის ძე», ასე უწოდა ქუენიაზე არედელმა მაეგლინს.

ლორგანი – ნირნაეთ არნოდიადის შემდეგ ჰითლუმში გაბატონებულ აღმოსავლელთა ბელადი, რომელმაც ტუორი დაატყვევა.

ლორელინი – ტბა ვალინორის ლორიენში, სადაც დღისით ვალა ესტეს სძინავს.

ლორიენი (1) – ქუენიაზე: სახელი წალკოტისა და სამოსახლოსი ვალა ირმოსი, რომელსაც თავადაც ლორიენს უწოდებენ.

ლორიენი (2) – ქვეყანა მდინარეებს კელებრანტსა და ანდუინს შორის, რომელსაც კელებორნი და გალადრიელი განაგებდნენ. სავარა-

უდოდ, ამ ადგილის თავდაპირველმა სახელმა დროთა განმავლობაში ვალა ირმოს წალკოტის ფორმა მიიღო. ლოთლორიენში თავსართად გამოყენებულია სინდარული სიტყვა ლოთ «ყვავილი».

ლორინდოლი – «ოქროსთმიანი»; იხ. ჰალორი.

ლოსგარი – ადგილი დრენგისტის უბის შესასვლელში, სადაც ფეანორმა ტელერთა ხომალდები დააწვევინა.

ლუთიენი – ასული მეფე თინგოლისა და მაია მელიანისა, რომელმაც სილმარილის მოპოვებისა და ბერენის სიკვდილის შემდეგ მოკვდავობა და მეუღლის ხვედრის გაზიარება აირჩია.

ლუინილი – სახელი ვარსკვლავისა (რომელიც ლურჯად ანათებს).

ლუმბარი – სახელი ვარსკვლავისა.

ლუნი – მდინარე ერიადორში, რომელიც ლუნის ყურეში ჩაედინებოდა ზღვაში.

ლურჯი მთები – იხ. ერედ ლუინი და ერედ ლინდონი.

მ

მაბლუნგი – დორიათელი ელფი, თინგოლის სარდალი, ტურინის მეგობარი; «ხელმძიმეს» უწოდებდნენ (სწორედ ასე ითარგმნება მამბლუნგი); მენეგროთში ჯუჯებმა მოკლეს.

მაგლორი – ფეანორის მეორე ძე, სახელგანთქმული მომღერალი და მენესტრელი; მაგლორის კლდეკარის სახელით ცნობილი მიწები ეჭირა; პირველი ეპოქის მიწურულს მან და მადროსმა შუახმელეთში დარჩენილი ორი სილმარილი ჩაიგდეს ხელთ. მაგლორმა თავისი სილმარილი ზღვაში გადააგდო.

მაგლორის კლდეკარი – მხარე გელიონის ჩრდილოეთ განშტოებებს შორის.

მაგორი – ძე მალახ არადანისა; წინამძღოლი მალახის მიმდევართა, რომელნიც დასავლეთ ბელერიანდში დასახლდნენ.

მაეგლინი – «მზერამახვილი», ძე ეოლისა და არედელისა, ტურგონის დისა; იშვა ნან ელმოთში; გონდოლინში სახელი გაითქვა და, ბო-

ლოს, მისი ადგილსამყოფელი მორგოთს გაუმხილა; ქალაქის ნგრევისას ტუორმა მოკლა.

მაედროსი – ფეანორის უფროსი ძე, მეტსახელად «მაღალი»; თანგოროდრიმიდან ფინგონმა დაიხსნა; ჰიმრინგის ბორცვი და მიმდებარე მიწები ეჭირა; მაედროსის კავშირი შექმნა, რომელიც ნირნაეთ არნოედიადში დაირღვა. პირველი ეპოქის მიწურულს თავი მოიკლა და უფსკრულში გადამხტარმა სილმარილიც თან წაიყოლა.

მაედროსის კავშირი – მაედროსის მიერ მორგოთის დასამარცხებლად შექმნილი ერთობა, რომელიც ნირნაეთ არნოედიადისას დაირღვა.

მაედროსის საზღვარი – მდინარე გელიონის სათავეების ჩრდილოეთით მდებარე დია მიწები, რომლებიც მაედროსსა და მის ძმებს ეპყრათ, აღმოსავლეთ ბელერიანდიდან მტრის შემოტევის შესაკავებლად. აგრეთვე აღმოსავლეთ საზღვარს უწოდებდნენ.

მაიარნი – ვალარებზე ქვემდგომი აინურნი (მხ. რ. მაია).

მალახი – ძე მარახისა; ელფთა ენაზე არადანი უწოდეს.

მალდუინი – ტეიგლინის შენაკადი; ეს სახელი, სავარაუდოდ, «ყვითელ მდინარეს» ნიშნავს.

მალინდალა – «ოქროს ხე», ლაურელინის სახელი.

მანდოსი – სამოსახლო ვალა ნამოსი, მსაჯულისა, ამანში. ნამოს ნამდვილი სახელით იშვიათად მოიხსენიებდნენ და ჩვეულებრივ, მანდოსს უწოდებდნენ.

მანუე – ვალართა მთავარი, აგრეთვე სულიმოს, უხუცეს მეფეს და არდას მმართველს უწოდებდნენ.

მარახი – ბელადი ბელერიანდში გადმოსახლებულ კაცთა მესამე ტომისა, წინაპარი ჰადორ ლორინდოლისა.

მარდილი – მეტსახელად «ერთგული». გონდორის პირველი მმართველი მოურავი.

მარ-ნუ-ფალმარი – «ტალღების ქვეშ მოქცეული ქვეყანა». ასე უწოდეს ნუმენორს დაქცევის შემდეგ.

მარტოსული კუნძული – იხ. ტოლ ერესეა.

მაჰალი – ასე შეარქვეს აულებს ჯუჯებმა.

მაჰანაქსარი – ბედისწერის რკალი ვალმარის კარიბჭესთან, სადაც ვალართა ტახტები იდგა და სათათბიროდ იკრიბებოდნენ.

მაჰტანი – ნოლდო დიდოსტატი და მჭედელი, მამა ნერდანელისა, ფეანორის ცოლისა.

მელიანი – მაია, რომელიც ვალინორიდან შუახმელეთში გადასახლდა; შემდგომში მეფე თინგოლს მისთხოვდა და დორიათის დედოფალი გახდა. დორიათს ჯადოსნური სარტყელი შემოავლო; დედა ლუთიენისა და წინაპარი ელრონდისა და ელროსისა.

მელკორი – მუამბოხე ვალას სახელი ქუენიაზუ. საწყისი ავისა; წარმოშობით აინურთაგან უძლიერესი; შემდგომ მორგოთი, ბაუგლირი, ბნელი მეუფე, მტერი და ა. შ. უწოდეს. მელკორი «ძალმოსილებით განდიდებულს» ნიშნავს; მისი სინდარული ფორმა იყო ბელეგური, მაგრამ გაცილებით იშვიათად იყენებდნენ, ვიდრე საგანგებოდ გადაკეთებულ მის ვარიანტ ბელეგურტს, რაც «დიდ სიკვდილს» ნიშნავს.

მენეგროთი – «ათასი გამოქვაბული», თინგოლისა და მელიანის საილუმლო დარბაზები მდინარე ესგალდუინის პირას დორიათში.

მენელდილი – ძე ანარიონისა, გონდორის მეფისა.

მენელმაკარი – «ზეციური ხმლოსანი», ორიონის თანავარსკვლავედი.

მენელტარმა – «ზეცის ბურჯი», ნუმენორის შუაგულში აღმართული მთა, რომლის მწვერვალზეც ერთ ილუვატარის ტაძარი იდგა.

მერეთ ადერთადი – «გაერთიანების ღვინი», რომელიც ფინგოლფინმა ივრინის წყაროსთან გადაიხადა.

მეფის კაცნი – ელდართა და ელენდილთა მიმართ მტრულად განწყობილი ნუმენორელები.

მითლონდი – «რუხი ნავსაყუდლები» ლუნის ყურეში მოსახლე ელფებისა.

მითრანდირი – «რუხი მწირი», ელფური სახელი განდალფისა (ოლორინისა), ერთ-ერთი ისტართაგანი (ჯადოსანთაგანი).

მითრიმი – საერთო სახელი აღმოსავლეთ ჰითლუმში მდებარე დიდი ტბის, მისი მიმდებარე მიწისა და დასავლეთით აღმართული მთებისა, რომლებიც მითრიმს დორ-ლომინისგან ყოფდა.

მიმი – ჩია ჯუჯა, რომელმაც ამონდ რუღზე მდებარე თავის სახლში ტურიანი და მისი ყაჩაღთა ხროვა შეიფარა; შემდგომ თავშესაფრის ადგილსამყოფელი ორკებს გაუმხილა; ნარგოთრონდში ჰურიმა მოკლა.

მინას ანორი – «მზის კოშკი» (ან მარტივად ანორი); მოგვიანებით მინას-ტირითი უწოდეს; ანარიონის ციხე-ქალაქი მთა მინდოლუინის ძირას.

მინას ითილი – «მთვარის კოშკი»; მოგვიანებით მინას-მორგული უწოდეს; ისილდურის ციხე-ქალაქი ეფელ-დუათის კალთაზე.

მინას მორგული – «გრძნების კოშკი» (ან მარტივად მორგული); მინას ითილის სახელი მას შემდეგ, რაც ის ბეჭდის აჩრდილებმა დაიპყრეს.

მინასტირი – იხ. ტარ-მინასტირი.

მინას ტირითი (1) – «საგუშაგო კოშკი», რომელი ფინროდ ფელაგუნდმა ტოლ სირიონზე ააშენა; იხ. ტოლ-ინ-გაურჰოთი.

მინას ტირითი (2) – მინას ანორის გვიანდელი სახელი.

მინდები – სირიონის შენაკადი დიმბარსა და ნელდორეთის ტყეს შორის.

მინდოლუინი – «კოშკისებრი თავლურჯა», მინას ანორის უკან აღმართული დიდი მთა.

მინდონ ელდალიევა – «ელდალიეთა მაღალი კოშკი», ინგუეს კოშკი ქალაქ ტირიონში; შემოკლებით მინდონს უწოდებდნენ.

მირიელი (1) – პირველი ცოლი ფინუესი, დედა ფეანორისა; ფეანორის გაჩენის შემდეგ გარდაიცვალა. სერინდეს, «მქარგველს» უწოდებდნენ.

მირიელი (2) – ასული ტარ-პალანტირისა, არ-ფარაზონმა ძალით შეირთო ცოლად და არ-ზიმრაფელის წოდება მიიღო.

მიტოვებული ელფნი – იხ. ეგლათი.

მოთქმა-გოდების წელი – ნირნაეთ არნოედიადის წელი.

მომღევნონი – ილუვატარის უმცროსი შვილნი, ადამიანნი, კაცნი. თარგმანი ჰილდორნისა.

მორგოთი – «შავბნელი მტერი»; ასე უწოდა ფვანორმა მელკორს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა სილმარილები მოიპარა.

მორგული – იხ. მინას მორგული.

მორდორი – «შავი მიწა», «შავი ქვეყანა»; საურონის სამეფო ეფელ დუათის მთების აღმოსავლეთით.

მორია – «შავი უფსკრული», კჰაზად-დუმის (ჰადოდრონდის) გვიანდელი სახელი.

მორმეგილი – «შავი ხმალი», ასე შეარქვეს ნარგოთრონდის ლამპრის სარდლად დანიშნულ ტურინს; იხ. გურთანგი.

მორიქუენდნი – იხ. სიბნელის ელფნი.

მორუენი – ასული ბარაგუნდისა, ბარაჰირის ძმისწულისა; ცოლი ჰურინისა და დედა ტურინისა და ნიენორისა; უწოდებდნენ ელედუენს, «ელფ ქალწულსა» და დორ-ლომინის ქალბატონს.

მოჯადოებული კუნძულები – კუნძულები, რომლებიც ვალარებმა დიდ ზღვაში, ტოლ ერესეას აღმოსავლეთით განალაგეს ვალინორის დამალვის ჟამს.

მუსიკა აინურთა – იხ. აინულინდალე.

მშვილდმაგარი – ბელეგის მეტსახელი. კუთალიონის თარგმანი.

მწვანე ელფნი – ლალიქუენდნი; ოსირიანდში მცხოვრები ნანდორნი.

ნ

ნაზგულნი – იხ. ბეჭდის აჩრდილები.

ნამო – ვალა, ერთ-ერთი არატართაგანი; ჩვეულებრივ მანდოსს უწოდებენ, მისი საცხოვრისის სახელს. ნამო «განმსაზღვრელს», «მსაჯულს» ნიშნავს.

ნანდორნი – როგორც ამბობენ, «უკან გაბრუნებულთ» ნიშნავს; ასე უწოდებდნენ ელფებს, რომლებიც კუივიენენიდან დასავლეთში მიმავალ ტელურთა დასს გამოეყვნენ და ნისლიანი მთების გადავლა იუარეს;

მათი ნაწილი დიდი ხნის შემდეგ ღუნეთორის წინამძღოლობით გადმოვიდა ლურჯ მთებზე და ოსირიანდში დასახლდა.

ნან ღუნგორთები – აგრეთვე ღუნგორთები; ტექსტში თარგმნილია, როგორც «საზარელი სიკვდილის ველი». ერედ გორგოროთსა და მელიანის სარტყელს შორის მდებარე ხეობა.

ნან ელმოთი – ტყე მდინარე კელონის აღმოსავლეთით, სადაც ელუე (თინგოლი) მელიანმა მოაჯადოვა და დაიკარგა; შემდგომ იქ ეოლი დასახლდა.

ნან-ტათრენი – «ტირიფების ხეობა». ტექსტში ნათარგმნია, როგორც «ტირიფთა მხარე», სადაც ნაროგი სირიონს უერთდებოდა. ხისწვერას სიმღერაში («ორი ციხე-კოშკი», კარი III, თავი მეოთხე) ამ სახელის ქუენიური ფორმაა გამოყენებული: «ტასარინანის ტირიფების ტყეს ვსტუმრობდი ხშირად...»

ნარგოთრონდი – «დიდი მიწისქვეშა სიმაგრე მდინარე ნაროგის პირას», რომელიც ფინროდ ფელაგუნდმა ააგო და გლაურუნგმა დაანგრია; ნარგოთრონდის სამეფო მდინარე ნაროგის აღმოსავლეთითა და დასავლეთით ვრცელდებოდა.

ნარია – ელფთა სამი ბეჭდიდან ერთ-ერთი, ცეცხლის ბეჭედი ან წითელი ბეჭედი; ჯერ კირდანს ეკეთა, შემდეგ მითრანდირს.

ნარნ ი ჰინ ჰურინ – «ამბავი ჰურინის შვილთა», პოემა, რომელსაც ეფუძნება ოცდამეერთე თავი; შეთხზა პოეტმა ღირჰაველმა, კაცმა, რომელიც სირიონის ნავსაყუდლებში ცხოვრობდა ეარენდილის მმართველობის ჟამს და ფეანორის ძეთა თავდასხმისას დაიღუპა

ნაროგი – დასავლეთ ბელერიანდის უდიდესი მდინარე, სათავეს იღებდა ერედ უეთრინის ძირას ივრინში და ნან-ტათრენში სირიონს უერთდებოდა.

ნარსილი – ელენდილის ხმალი, ტელხარ ნოგროდელის გამოჭედილი; ელენდილის საურონთან ორთაბრძოლისას დაიმტვრა; მისი ნამსხვრევები არაგორნისთვის ხელახლა გაამრთელეს და ხმალს ანღურილი უწოდეს.

ნარსილიონი – სიმღერა მზისა და მთვარისა.

ნაუგლამირი – «ჯუჯათა ყელსაბამი», რომელიც ჯუჯებმა ფინროდ ფელაგუნდისთვის დაამზადეს; ნარგოთრონდიდან ჰურინმა თინგოლს მიუტანა და მისი სიკვდილის მიზეზად იქცა.

ნაუგრიმნი – «ტანმორჩილი ხალხი»; ასე უწოდებდნენ სინდარულად ჯუჯებს.

ნახევარელფნი – თარგმანი სინდარული პერედელისა (მრ.რ. პერედელი); ასე უწოდებდნენ ელრონდსა და ელროსს.

ნახევარკაცნი – თარგმანი პერიანათისა (ჰობიტები).

ნაჰარი – ვალა ორომეს ცხენი.

ნევრასტი – ღორ-ლომინის დასავლეთით, ერედ ლომინის მიღმა მდებარე მხარე, სადაც გონდოლინში გადასახლებამდე ტურგონი ცხოვრობდა. ეს სახელი «აქეთა ნაპირს» ნიშნავს და თავიდან შუახმელეთის მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირს ერქვა (მისი საპირისპირო იყო ჰა-ერასტი ამანის «მორეული ნაპირი»).

ნეითანი – მეტსახელი, რომელიც ტურინმა დაირქვა ყაჩაღთა შორის ყოფნისას. ითარგმნება, როგორც «მურაცხყოფილი».

ნელდორეთი – დიდი წიფლნარი, რომელიც დორიათის ჩრდილოეთ ნაწილს შეადგენდა; ხისწვერას სიმღერაში («ორი ციხე-კოშკი», კარი III, თავი მეოთხე) ტაურ-ნა-ნელდორი ჰქვია.

ნენარი – ვარსკვლავის სახელი.

ნენ გირითი – «აცანცანებული წყალი». ასე შეარქვეს დიმროსტს, კელბროსის ჩანჩქერს ბრეთილის ტყეში.

ნენია – ელფთა სამი ბექდიდან ერთ-ერთი, წყლის ბექდი, რომელიც გალადრიელს ეკეთა. აგრეთვე ადამანტის ბექედს უწოდებდნენ.

ნენინგი – მდინარე დასავლეთ ბელერიანდში, რომელიც ელგარესტის ნავსადგურთან ჩაედინებოდა ზღვაში.

ნენუალი – «ბინდის ტბა» ერიადორში, სადაც მდინარე ბარანდუინი იღებდა სათავეს და რომლის გვერდითაც ქალაქი ანუმინასი გააშენეს.

ნერდანელი – მეტსახელად «ბრძენი»; მაჰტან მჭედლის ასული, ცოლი ფვანორისა.

ნესა – ერთ-ერთი ვალიერთაგანი; და ორომესი და მეუღლე ტულკასისა.

ნიენა – ერთ-ერთი ვალიერთაგანი, არატარებს მიათვლიან.

ნიენორი – «დარდი», ასული ჰურიინისა და მორუენისა და და ტურიინისა; ნარგოთრონდში გლაურუნგმა მოაჯადოვა და, მეხსიერებადაკარგული, ნინიელის სახელით ცოლად გაჰყვა ტურიინს ბრეთილში; ტეიგლინში გადახტა და თავი მოიკლა.

ნივრიმი – დორიათის ის ნაწილი, რომელიც მდინარე სირიონის დასავლეთ ნაპირზე მდებარეობდა.

ნიმბრეთილი – არყნარი არვერნიენში, სამხრეთ ბელერიანდში. იხ. შუაველში ნამდერი ბილბოს სიმღერა: «ხეტყე ჩეხა და თვითონვე აიგო საზღვაოსნოდ გემი ნიმბრეთილში...» («ბექდის საძმო», კარი II, თავი პირველი).

ნიმლოთი (1) – ნუმენორის თეთრი ხე. ხის გახმობამდე მისი ნაყოფი ისილდურმა მოწყვიტა და მისგან მიწას ითილის თეთრი ხე გაიზარდა. ნიმლოთი «თეთრი ყვავილი» სინდარული ფორმაა ქუენიური ნინქუელოტესი, ტელპერიონის ერთ-ერთი სახელის.

ნიმლოთი (2) – დორიათელი ელფი, რომელიც ცოლად გაჰყვა დიორს, თინგოლის მემკვიდრეს; დედა ელუინგისა; მოკლეს მენეგროთზე ფვანორის ძეთა თავდასხმისას.

ნიმფელოსი – დიდი მარგალიტი, რომელიც თინგოლმა ბელეგოსტელ ჯუჯათა მბრძანებელს გადასცა.

ნინიელი – «ატირებული ქალწული», ასე უწოდა ტურიინმა ნიენორს, როცა მისი ვინაობა არ იცოდა. იხ. ნიენორი.

ნინქუელოტე – «თეთრი ყვავილი», სახელი ტელპერიონისა; იხ. ნიმლოთი (1).

ნირნაეთ არნოედიადი – «ურიცხვი ცრემლი» (შემოკლებით ნირნაეთი), მეხუთე, გამანადგურებელი ბრძოლა ბელერიანდის ომებისა.

ნისლიანი მთები – იხ. ჰითაეგლირი.

ნიფრედილი – თეთრი ყვავილი, რომელიც ვარსკვლავთა შუქზე დორიათში აღმოცენდა ლუთიენის დაბადებისას.

ნოგროდი – ლურჯი მთების ჯუჯათა ორი ქალაქიდან ერთ-ერთი; ჯუჯური ტუმუნზაჰარის სინდარული თარგმანი, «კვეთილი საცხოვრისი».

ნოეგით ნიბინი – «ჩია ჯუჯები».

ნოლდოლანტე – «ნოლდორთა დაცემა», ფეანორის ძის, მაგლორის მიერ შეთხზული სამგლოვიარო სიმღერა.

ნოლდორნი – «განსწავლული ელფები». მესამე დასი ელდართა, რომლებიც კუივიენენიდან დასავლეთში გაემგზავრნენ ფინუეს წინამძღოლობით. ქუენიური ნოლდო და სინდარული გოლოდ «ბრძენს, მცოდნეს» ნიშნავს.

ნომ, ნომინნი – «სიბრძნე» და «ბრძენნი», ასე შეარქვეს ბეორის ტომის ადამიანებმა ფინროდსა და მის ხალხს.

ნულუკკიზდინი – ნარგოთრონდის სახელი ჯუჯათა ენაზე.

ნუმენორი – (სრული ფორმა ქუენიაზე: ნუმენორე) «შორდასავლეთი», «დასავლეთის ქვეყანა»; ვალართა მიერ პირველი ეპოქის მიწურულს ედაინთა სამოსახლოდ გამზადებული დიდი კუნძული. აგრეთვე ანადუნეს, ანდორს, ელენას, ვარსკვლავის ქვეყანას უწოდებდნენ, ხოლო დაქცევის შემდეგ – აკალაბეთს, ატალანტესა და მარ-ნუ-ფალმარს.

ნუმენორელნი – ნუმენორელი ადამიანები, აგრეთვე ღუნედაინებს უწოდებდნენ.

ნურტალე ვალინორევა – «ვალინორის დამალვა».

ო

ოიოლოსე – «მარად თოვლივით თეთრი», ყველაზე ხშირად ასე უწოდებდნენ ელდარნი ტანიქუეტილს, ხოლო სინდარულად ასე ითარგმნებოდა: ამონ უილოსი; თუმცა, «ვალაქუენტას» თუ დავუჯერებთ, სინამდვილეში ასე ერქვა ტანიქუეტილის უმაღლეს მწვერვალს.

ოიომურე – ნისლოვანი მხარე ჰელკარაქსესთან ახლოს.

ოლვარი – ელფური სიტყვა, რომელიც მეორე თავში იავანასი და მანუეს საუბარშია შენარჩუნებული და ნიშნავს «მზარდ რამეებს, რასაც ფესვი აქვს».

ოლუე – კუივიენენიდან დასავლეთისკენ დაძრულ ტელურთა დასის წინამძღოლი ძმასთან, ელუესთან (თინგოლთან) ერთად.

ოლორინი – მაია, ერთ-ერთი ისტართაგანი (ჯადოსანთაგანი); იხ. მითრანდირი, განდალფი და «ორი ციხე-კოშკი», კარი IV, თავი მეხუთე: «როცა შორეულ დასავლეთში ვცხოვრობდი, ოლორინი მერქვა».

ონდოლინდე – «ქვის სიმღერა», თავდაპირველად ასე ერქვა ქუენიაზე გონდოლინს.

ორთანკი – «განტოტვილი მწვერვალი», ნუმენორელთა კოშკი იზენგარდის რკალში.

ორკნი – მორგოთის არსებები.

ორმალი – აულეს მიერ ვალართათვის შექმნილი ერთ-ერთი სანათი, ორმალი სამხრეთ შუახმელეთში იდგა.

ორფალხ ეხორი – ხეობა, რომლითაც გარემომცველი მთების რკალში მოქცეულ გონდოლინში შეისვლებოდა.

ოროდრეთი – ფინარფინის მეორე ძე; ტოლ სირიონზე მდგარი მინას ტირითის კოშკის მცველი მეფე ნარგოთრონდისა, ძმის – ფინროდის სიკვდილის შემდეგ; მამა ფინდულიასისა; ტუმჰალადის ბრძოლაში მოკლეს.

ოროდრუინი – «მწველი ცეცხლის მთა» მორდორში, სადაც საურონმა მმართველი ბეჭედი გამოაწრთო; აგრეთვე ამონ ამართი, «ბედისწერის მთა» ეწოდება.

ოროკარნი – მთები აღმოსავლეთ შუახმელეთში (ეს სახელი «წითელ მთებს» ნიშნავს).

ორომე – ვალა, ერთ-ერთი არატართაგან; დიდი მონადირე, კუივიენენის ელფთა წინამძღოლი და ვანას მეუღლე. მისი სახელი «ბუკის ხმას» ნიშნავს. იხ. ვალარომა.

ორომეტი – ბორცვი ნუმენორის დასავლეთში, ანდუნიეს ნავსადგურთან, რომელზეც ტარ-მინასტირის კომპი იდგა.

ოსგილიათი – «ვარსკვლავთა ციხესიმაგრე», ძველი გონდორის მთავარი ქალაქი, რომელიც მდინარე ანდუინის ორივე ნაპირზე იყო გაშენებული.

ოსე – მაია, ვასალი ულმოსი, ვისთან ერთადაც არდას წყლებში ჩაემვა; მოყვარე და დამრიგებელი ტელურთა.

ოსირიანდი – «შვიდი მდინარის ქვეყანა» (შვიდ მდინარეში გელიონი და ლურჯ მთებში სათავადადებული მისი შენაკადები იგულისხმება), მწვანე ელფთა ქვეყანა. იხ. ხისწვერას სიმღერა («ორი ციხე-კომპი», კარი III, თავი მეოთხე): «ოსირიანდის თელიანებში დავსეირნობდი მე ყოველ ზაფხულს. აჰ! რა კარგი იყო ცეკვა-სიმღერა შვიდი მდინარის პირას, იქ ყოფნას ვნატრობ მე კვლავაც». იხ. ლინდონი.

ოსტ-ინ-ედილი – «ელდართა სიმაგრე», ელფთა ქალაქი ერეგიონში.

ოჰტარი – «მეომარი». ისილდურის საჭურველთმშენებელი, რომელმაც ელენდილის ხმლის ნამსხვრევები იმლადრისში მიიტანა.

პ

პალანტირები – «შორიდან მჭვრეტელები», შვიდი შორსსაჭვრეტი ქვა, რომელიც ელენდილმა და მისმა ძეებმა ჩამოიტანეს ნუმენორიდან; ქვები ამანში ფეანორმა დაამზადა (იხ. «ორი ციხე-კომპი», კარი III, თავი მეთერთმეტე).

პატარა გელიონი – მდინარე გელიონის ორი შესართავიდან ერთ-ერთი.

პელარგირი – «სამეფო ხომალდთა უზო», ნუმენორელთა ნავსადგური ანდუინის დელტის ზემოთ.

პელორის მთები – «ზღუდე» ან «დამცველი მალღობები»; აგრეთვე უწოდებენ ამანის მთებსა და დამცველ მთებს. ვალარებმა აღმართეს აღმარენზე მათი საცხოვრისის განადგურების შემდეგ; ნახევარმთავრის ფორმის მთაგრეხილი ამანის აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივ.

პერიანათნი – ნახევარკაცები (ჰობიტები).

პირდაპირი გზა, სწორი გზა – უძველესი, ანუ ჭეშმარიტი დასავლეთისკენ მიმავალი საზღვაო გზა, რომლითაც ელფთა ხომალდები მიცურავენ ვალინორში ნუმენორის დაქცევისა და ქვეყნიერების გარდაქმნის შემდეგ.

პირველშობილნი – ილუვატარის უფროსი შვილები, ელფები.

რ

რაგნორი – დორთონიონში ბარაჰირის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი.

რადაგასტი – ერთ-ერთი ისტართაგანი, ჯადოსანი.

რადრუინი – დორთონიონში ბარაჰირის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი.

რათლორიელი – «ოქროს კალაპოტი», ასე უწოდეს მდინარე ასკარს მას შემდეგ, რაც შიგ დორიათის განძი ჩაიძირა.

რამდალი – «კედლის ბოლო» (იხ. ანდრამი), სადაც ბელერიანდის ორად გამყოფი ქედი სრულდებოდა.

რანა – «მოხეტიალე», ასე უწოდებდნენ ნოლდორნი მთვარეს.

რაუროსი – «ხმაურიანი მხეფები», დიდი ჩანჩქერი მდინარე ანდუინში.

რეგიონი – ხშირი ტყე, რომელიც დორიათის სამხრეთ ნაწილს შეადგენდა.

რერირი – მთა ტბა ჰელევორნის ჩრდილოეთით, სადაც სათავეს იღებდა გელიონის ორი შენაკადი.

რიანი – ასული ბელეგუნდისა (ძმისწული ბარაჰირისა, ბერენის მამისა); ცოლი ჰუორისა და დედა ტუორისა; ჰუორის სიკვდილის შემდეგ ჰაუდ-ენ-ნდეგინზე მწუხარებისგან მოკვდა.

რივილი – ნაკადი, რომელიც დორთონიონიდან ჩრდილოეთში მიედინებოდა და სერუხის ჭაობში სირიონს უერთდებოდა.

რინგილი – ფინგოლფინის ხმალი.

რინგუილი – მდინარე, რომელიც ნარგოთრონდთან ნაროგს უერთდებოდა.

რკინის მთები – იხ. ერენ ენგრინი.

როვანიონი – ვრცელი «ველური მხარე» ნისლიანი მთების აღმოსავლეთით.

როთინზილი – ეარენდილის გემის, ვინგილოტის, ალუნაური (ნუმენორული) სახელი; ასევე, «ქაფის ყვავილს» ნიშნავს.

რომენა – ნავსადგური ნუმენორის აღმოსავლეთ ნაპირზე.

როხალორი – ფინგოლფინის ცხენი.

როჰანი – «ცხენთა ქვეყანა», ასე უწოდეს მოგვიანებით კალენარდონის ვრცელ ბალახოვან ველს გონდორში.

როჰირიმნი – როჰანის «ცხენთა ბატონნი».

რუდაური – ქვეყანა ერიადორის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

რუმილი – ტირიონელი ბრძენი ნოლდო, დამწერლობის გამომგონებელი (იხ. «ბეჭდების მბრძანებლის» დანართი); მას მიაწერენ აინულდალეს შეთხზვას.

რუხ ელფთა ენა – იხ. სინდარული.

რუხი ელფნი – იხ. სინდარნი.

რუხი მოსასხამი – იხ. სინგოლო, თინგოლი.

ს

საეროსი – ნანდო ელფი, დორიათში თინგოლის ერთ-ერთი მთავარი მრჩეველი; მენეგროთში ტურინი შეურაცხყო და ამ უკანასკნელმა იმსხვერპლა.

სალმარი – მათა, რომელიც უღმოსთან ერთად შევიდა არდაში; უღმოს ბუკების, ულუმურების, შემქმნელი.

სარნ ათრადი – «ქვების ფონი», სადაც ნოგროდიდან და ბელეგოსტიდან მომავალი ჯუჯების გზა მდინარე გელიონს კვეთდა.

სარუმანი – «მარჯვე, გონიერი კაცი», ასე უწოდებდნენ კაცნი კურუნირს (რაც იმავეს ნიშნავს), ერთ-ერთი ისტართაგანი (ანუ ჯადოსანი).

საურონი – «საზიზღარი, საძულველი» (სინდართა ენაზე გორთაური); მელკორის მსახურთაგან უღიადესი, წარმოშობით მათა აულესი.

სერეგონი – «ქვის სისხლი», მუქწითელყვავილებიანი მცენარე, რომელიც ამონ რუდზე იზრდებოდა.

სერეხი – დიდი ჭაობი სირიონის ვიწრობის ჩრდილოეთით.

სერინდე – «მქარგველი»; იხ. მირიელი (1).

სიბნელის ელფნი – ამანის ენაზე ყველა იმ ელფს, ვისაც დიდი ზღვა არ გადაულახავს, სიბნელის ან ბნელ ელფებს (მორიქუენებს) უწოდებდნენ.

სილმარილები – სამი ძვირფასი ქვა, რომელიც ფეანორმა ვალინორის ორი ხის განმობამდე დაამზადა და შიგ ხეთა შუქი მოათავსა.

სილპიონი – სახელი ტელპერიონისა.

სინგოლო – «რუხი მოსასხამი», «რუხი მანტია». იხ. სინდარნი, თინგოლი.

სინდარნი – «რუხი ელფები»; ასე უწოდეს ყველა ტელერ ელფს (გარდა ოსირიანდელი მწვანე ელფებისა), რომლებიც ბელერიანდში ცხოვრობდნენ, როცა შუახმელეთში ნოლდორები დაბრუნდნენ. სავარაუდოდ, ეს სახელი ნოლდორებმა იმიტომ შეარჩიეს, რომ მსგავსი წარმოშობის პირველ ელფებს ჩრდილოეთში, ნაცრისფერი ცის ქვეშ, ნისლში გახვეულ ტბა მითრიმთან (იხ. მითრიმი) შეხვდნენ. ან შეიძლება იმიტომ, რომ რუხი ელფები სინათლისა (ვალინორელნი) არ იყვნენ, მაგრამ არც ბნელნი (ავარები), არამედ – ბინდისანი. მსგავსი წარმოშობისაა ელუეს სახელი თინგოლი (ქუენიაზე სინდაკოლო, სინგოლო «რუხი მოსასხამი»). თავად სინდარები თავიანთ თავს ედელებს (მხ. რ. ედილი) უწოდებდნენ.

სინდარული – ბელერიანდის ელფთა ენა; წარმოიქმნა საერთო ელფური ენისგან და თანდათან გამოეყო ვალინორელ ელფთა ქუენიას; ბელერიანდში დასახლებულმა ნოლდორებმაც სინდარულის გამოყენება დაიწყეს.

სირიონი – «დიდი მდინარე», რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიედინებოდა და დასავლეთ ბელერიანდს აღმოსავლეთისგან ყოფდა.

სორონუმე – თანავარსკვლავედის სახელი.

სულიმო – მანუეს სახელი. ვალაქუნტაში ნათარგმნია, როგორც «მეუფე არდის სუნთქვისა». სიტყვასიტყვით «მსუნთქავს» ნიშნავს.

ტ

ტალათ დირნენი – «დაცული ვაკე» ნარგოთრონდის ჩრდილოეთით.

ტალათ რუნენი – «ადმოსავლეთი ვაკე», თარგელიონის უწინდელი სახელი.

ტანიქუეტილი – «მაღალი თეთრი მწვერვალი», პელორის მთაგრეხილისა და მთელი არდის უმაღლესი მწვერვალი, რომელზეც ილმარინი, მანუესა და ვარდას სასახლე დგას; აგრეთვე თეთრი მთა, წმინდა მთა და მანუეს მთა ეწოდება. იხ. ოიოლოსე.

ტარ-ანკალიმონი – ნუმენორის მეთოთხმეტე მეფე, რომლის მეფობისას ნუმენორში განხეთქილება წარმოიშვა.

ტარასი – მთა ნევრასტის კონცხზე; მის ქვეშ მდებარეობდა ვინიამარი, სადაც გონდოლინში გადასახლებამდე ტურგონი ცხოვრობდა.

ტარ-ატანამირი – ნუმენორის მეცამეტე მეფე, რომელსაც ვალართა ელჩები ეახლნენ.

ტარ-კალიონი – არ-ფარაზონის სახელი ქუენიაზე.

ტარ-კირიატანი – ნუმენორის მეოცე მეფე, «ნავსე».

ტარ-ელენდილი – ნუმენორის მეოთხე მეფე, მამა სილმარიენისა, რომლის შთამომავალიც იყო ელენდილი.

ტარ-მინასტირი – ნუმენორის მეთერთმეტე მეფე, რომელიც გილ-გალადს საურონთან ბრძოლაში ეხმარებოდა.

ტარ-მინიატური – სახელი, რომელიც ელროს ნახევარეღვს ეწოდა ნუმენორის ტახტზე ასვლისას.

ტარ-მირიელი – იხ. მირიელი (2).

ტარნ აელუინი – ტბა დორთონიონის მთიანეთში, სადაც ბარაჰირმა და მისმა თანამებრძოლებმა თავშესაფარი მოიწყვეს; დევნილები იქვე დახოცეს.

ტარ-პალანტირი – ნუმენორის ოცდამესამე მეფე, რომელმაც მეფეთა ტრადიციაზე უარი თქვა და სახელი ქუენიაზე დაირქვა: «წინდახედული, შორსმჭვრეტელი». იხ. ინზილადუნი.

ტაურ-ენ-ფაროთი – ტყიანი მალლობები მდინარე ნაროგის დასავლეთით, რომლის ქვეშ ნარგოთრონდი მდებარეობდა.

ტაურ-იმ-დუინათი – «ტყე მდინარეთა შორის», ასე უწოდებდნენ სირიონსა და გელიონს შორის, ანდრამის სამხრეთით მდებარე ველურ მხარეს.

ტაურ-ნუ-ფუინი – ასე უწოდეს მოგვიანებით დორთონიონს: «ღამის ჩრდილებით მოცული ტყე». იხ. დელდუვათი.

ტაურონი – «მეტყევე, ტყის მცველი» (ვალაქუნტაში «ტყეთა მეუფე»), ასე უწოდებდნენ ორომეს სინდარნი. იხ. აღდარონი.

ტეიგლინი – სირიონის შენაკადი, რომელიც სათავეს იღებდა ერედუეთრინში და ბრეთილის ტყეს სამხრეთით ესაზღვრებოდა.

ტელემარი – გონდორის ოცდამეექვსე მეფე.

ტელერნი – მესამე და ყველაზე მრავალრიცხოვანი დასი იმ ელდართა, რომლებიც კუივიენენიდან დასავლეთში გაემგზავრნენ. მათ ელუე (თინგოლი) და ოლუე მიუძღოდნენ. თავიანთ თავს ლინდარებს, «მომდერლებს» უწოდებდნენ. ტელერები «ბოლოს მისულებს, უკანასკნელებს» ნიშნავს და ასე მათზე წინ მისულმა ელდარებმა შეარქვეს. ტელერთა უმეტესობას შუახმელეთი არ დაუტოვებია; სინდარები და ნანდორები წარმოშობით ტელერები იყვნენ.

ტელპერიონი – ვალინორის ორი ხიდან უფროსი.

ტელუმენდილი – თანავარსკვლავედის სახელი.

ტელხარი – სახელგანთქმული ნოგროდელი ოსტატი; მჭედელი ანგრისტისა (არაგორნის თქმით, იხ. «ორი ციხე-კოშკი», კარი III, თავი მეექვსე) და ნარსილისა.

ტილიონი – მათა, მესაჭე მთვარისა.

ტინტალე – «ამნთები», ასე შეარქვეს ვარდას ვარსკვლავთა შექმნისთვის. სწორედ ასე უწოდებს მას ლორიენში გალადრიელი თავის საგა-

ლობელში («ბექდის საძმო», კარი II, თავი მერვე). იხ. ელბერეთი, ელენ-ტარი.

ტინუვიელი – სახელი, რომელიც ბერენმა ლუთიენს შეარქვა; პოეტური მეტსახელი ბულბულისა, «მწუხრის ასული». იხ. ლუთიენი.

ტირიონი – «დიდი საგუმაგო კოშკი», ამანში ტუნის თხემზე მდებარე ელფთა ქალაქი.

ტოლ ერესეა – «მარტოსული კუნძული» (მარტივად ერესეა), რომლითაც ვანიარები და ნოლდორები და,

მოგვიანებით, ტელერები უღმომ ოკეანეზე გადააცურა. ბოლოს, კუნძულმა ამანის ნაპირებთან, ელდამარის ყურეში გაიდგა ფესვი. ერესეაზე დიდხანს ცხოვრობდნენ ტელერები, ვიდრე ალქუალონდეში გადასახლდებოდნენ. პირველი ეპოქის დასრულების შემდეგ იქ მრავალი ნოლდო და სინდა დასახლდა.

ტოლ გალენი – «მწვანე კუნძული» მდინარე ადურანტში, სადაც მანდოსის დარბაზებიდან დაბრუნებული ბერენი და ლუთიენი ცხოვრობდნენ.

ტოლ-ინ-გაურჰოთი – «მგელკაცთა კუნძული», ასე უწოდეს ტოლ სირიონს მას შემდეგ, რაც საურონმა დაიპყრო.

ტოლ მორუენი – ზღვაში ჩაძირული ბელერიანდის ადგილას გაჩენილი კუნძული, რომელზეც ტურიინის, ნიენორისა და მორუენის საფლავის ქვა იდგა.

ტოლ სირიონი – კუნძული სირიონის ვიწრობის მდინარეში, რომელზეც ფინროდმა მინას ტირითის კოშკი ააგო. მას შემდეგ, რაც საურონმა დაიპყრო, კუნძულს ტოლ-ინ-გაურჰოთი შეარქვეს.

ტულკასი – ვალა, ღონითა და სიქველით გამორჩეული, ყველაზე ბოლოს მოვიდა არდამში. აგრეთვე ასტალდო ეწოდება.

ტუმლადენი – «განიერი ხეობა», დამალული ველი გარემომცველი მთების შუაგულში, სადაც ქალაქი გონდოლინი მდებარეობდა (შემდეგში ტუმლადენი გონდორის ერთ-ერთ ხეობას უწოდეს).

ტუმუნზაჰარი – იხ. ნოგროდი.

ტუმჰალადი – ხეობა მდინარეებს გინგლითსა და ნაროგს შორის, სადაც ნარგოთრონდის ლაშქარი დამარცხდა.

ტუნა – მწვანე ბორცვი კალაკირიაში, რომელზეც ელფთა ქალაქი ტირიონი იყო გაშენებული.

ტუორი – ძე ჰუორისა და რიანისა, რომელიც მითრიმის რუხმა ელფებმა აღზარდეს; ულმოს შეტყობინება მიიტანა გონდოლინში; ცოლად შეირთო იდრილი, ასული ტურგონისა; ცოლსა და ვაჟიშვილთან, ეარენდილთან, ერთად გაექცა გონდოლინის ნგრევას; ეარამეთი, თავისი ხომალდით დასავლეთში გაცურა.

ტურამბარი – «ბედისწერის მბრძანებელი», ეს გვარი დაირქვა ტუორმა ბრეთილის ტყეში ცხოვრებისას.

ტურგონი – მეტსახელად ბრძენი; მეორე ძე ფინგოლფინისა; ვიდრე ყველასგან უჩუმრად გონდოლინში

გადასახლდებოდა, ნევრასტის კონცხზე ვინიამარში ცხოვრობდა; გონდოლინს სიცოცხლის ბოლომდე და ქალაქის დანგრევამდე განაგებდა. მამა იდრილისა, ეარენდილის დედისა.

ტურინი – ძე ჰუორისა და რიანისა; მთავარი გმირი ნარნ ი ჰინ ჰურიონის სიმღერისა, რომელიც ოცდამეერთე თავშია აღწერილი. მისი მეტსახელებია: ნეითანი, გორთოლი, აგარუაენი, მორმეგილი, ტყიური, ტურამბარი.

ტურ ჰარეთა – ქალბატონი ჰალეთის გორასამარხი ბრეთილის ტყეში.

ტყის ელფნი – წარმოშობით ნანდორები უნდა იყვნენ. ელფები, რომლებიც ნისლიანი მთების დასავლეთით არასოდეს გადასულან და ანდუინის ხეობასა და დიდ მწვანე ტყეში სახლობდნენ. იხ. ნანდორნი.

უ

უინენი – მაია, ზღვათა ქალბატონი, ოსეს მეუღლე.

უკანასკნელი კავშირი – მეორე ეპოქის მიწურულს ელენდილისა და გილ-გალადის მიერ საურონის წინააღმდეგ შეკრული სამხედრო კავშირი.

უკვდავთა მიწები – ამანი და ერესეა.

ულაირნი – იხ. ბეჭდის აჩრდილები.

ულდორი – მეტსახელად «წყეული»; ულფანგ შავის ძე; ნირნაეთ არნოედიადში მაგლორმა მოკლა.

ულმო – ვალა, ერთ-ერთი არატართაგანი; წყალთა ბატონსა და ზღვის მეფეს უწოდებენ. მისი სახელი ელდარებმა თარგმნეს, როგორც «მაწვიმებელი».

ულუორთი – ულფანგ შავის ძე, ნირნაეთ არნოედიადში ბორის ვაჟებმა მოკლეს.

ულუმურები – მაია სალმარის მიერ ულმოსთვის დამზადებული დიდი ბუკები.

ულფანგი – მეტსახელად «შავი»; აღმოსავლელ კაცთა ბელადი, რომელმაც სამ ძესთან ერთად კარანთირს ერთგულება შეჰფიცა, მაგრამ ნირნაეთ არნოედიადში ფიცი გატეხა.

ულფასტი – ულფანგ შავის ძე, ნირნაეთ არნოედიადში ბორის ვაჟებმა მოკლეს.

უმანიარნი – სახელწოდება ელფთა, რომელნიც კუივიენენიდან დასავლეთით გაემგზავრნენ, მაგრამ ამანამდე არასოდეს მიუღწევიათ: «არაამანელნი»; ხოლო ამანიარნი «ამანელთ» ნიშნავს.

უმართი – «უბედო», ტურინის მიერ ნარგოთრონდში მამისთვის შერქმეული მეტსახელი.

უმბარი – ბუნებრივად წარმოქმნილი ნუმენორელთა ნავსადგური და ციხესიმაგრე ბელფალასის ყურეში.

უნგოლიანტი – ვეებერთელა ობობა, მელკორთან ერთად ვალინორის ხეთა მომსპობი. «ბეჭდების მბრძანებელში» ბაბაჭუა უნგოლიანტის უკანასკნელი ნაშიერია («ორი ციხე-კომპი», კარი IV, თავი მეცხრე).

ურთელი – დორთონიონის მთიანეთში ბარაჰირის თორმეტ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი.

ურულოკე – ქუენიაზე დრაკონს ნიშნავს. სიტყვასიტყვით: «ცეცხლის-მფრქვეველი გველი».

უტუმნო – მეღვინის პირველი დიდი ციხესიმაგრე ჩრდილოეთ შუა-აზიის რეგიონში; ვალარებმა დაანგრის.

უხუცესი მეფე – მანუე.

ფ

ფარაზონი – იხ. არ-ფარაზონი.

ფელიციანი – სახელი, რომელიც გუინდორმა ფინდილასს შეარქვა.

ფალასი – ნევრასტის სამხრეთით მდებარე, ბელერიანდის დასავლეთი ზღვისპირეთი.

ფალასარი – ეარენდილის თანმხლები სამი ზღვაოსნიდან ერთ-ერთი.

ფალასრიმნი – ფალასში მცხოვრები ტელერები, რომელთა მბრძანებელი კირდანი იყო.

ფალმარნი – ზღვის ელფები; ასე უწოდებენ ტელერთ, რომელთაც შუა-აზიის რეგიონში დატოვეს და დასავლეთში გაემგზავრნენ.

ფეანორი – ფინუეს უფროსი ძე (ერთადერთი შვილი ფინუესი და მირიელისა), ნახევარძმა ფინგოლფინისა და ფინარფინისა. ნოლდორთაგან უდიდესი და მათი აჯანყების მოთავე; ფეანორისეული დამწერლობის გამომგონებელი, სილმარილთა შემქმნელი. დაგორ-ნუნ-გილიათის ბრძოლისას მითრიმში მოკლეს. მისი სახელი იყო კურუფინუე (კურუ «ოსტატობა») და ეს სახელი, კურუფინი დაარქვა თავის მეხუთე ვაჟს; თავად კი დედისგან შერქმეული სახელით – ფეანარო («სული ცეცხლისა») – იცნობდნენ. წიგნში უფრო ხშირად ამ სახელის სინდარული ფორმა, ფეანორი, გვხვდება.

ფეანორის ძენი – იხ. მაედროსი, მაგლორი, კელეგორმი, კარანთირი, კურუფინი, ამროდი, ამრასი.

ფეანტურნი – «სულთა ბატონები», ვალარები ნამო (მანდოსი) და ირმო (ლორიენი).

ფელაგუნდი – ამ სახელით მოიხსენიებდნენ მეფე ფინროდს ნარგოთრონდის დაარსების შემდეგ. ეს სახელი ჯუჯური წარმოშობისაა (ფე-

ლაკ-გუნდუ «გამოქვაბულის მთლელს» ნიშნავს, მაგრამ ტექსტში «გამოქვაბულთა მეუფედ» არის ნათარგმნი).

ფინარფინი – ფინუეს მესამე ძე, ფეანორის ნახევარძმათაგან უმცროსი; ამანიდან გადასახლებულ ნოლდორთ არ წაჰყვა და ტირიონში დარჩენილ თავის ხალხს განაგებდა. ნოლდო მთავართა შორის მხოლოდ მასა და მის შთამომავლებს ჰქონდათ ოქროსფერი თმა, რომელიც დედისგან – ინდისისგან გამოჰყვა. ინდისი ვანია (იხ. ვანიარნი) იყო.

ფინდუილასი – ოროდრეთის ასული, გუინდორის სატროფო. ნარგოთრონდის დარბევისას შეიპყრეს და ტეიგლინის გადასალახთან ორკებმა მოკლეს.

ფინგოლფინი – ფინუეს მეორე ძე, ფეანორის ნახევარძმათაგან უფროსი; ნოლდორთა უზენაესი მეფე ბელერიანდში; ჰითლუმში სახლობდა. ორთაბრძოლაში მორგოთმა მოკლა.

ფინგონი – ფინგოლფინის უფროსი ძე, მეტსახელად «გულადი»; თანგოროდრიმიდან მადროსი დაიხსნა; მამის სიკვდილის შემდეგ ნოლდორთა უზენაესი მეფე; ნირნაეთ არნოედიადში გოთმოგმა მოკლა.

ფინროდი – ფინარფინის უფროსი ძე, მეტსახელად «ერთგული» და «კაცთა მეგობარი». ნარგოთრონდის დამაარსებელი და მეფე (აქედან მისი მეტსახელი ფელაგუნდი); სწორედ ის შეხვდა ოსირიანდში ლურჯი მთების გადაღმიდან მოსულ პირველ კაცთა ტომს; დაგორ ბრაგოლახში ბარაჰირმა იხსნა; ბარაჰირისთვის მიცემული ფიცის აღსასრულებლად ბერენს დავალების შესასრულებლად გაჰყვა; ტოლ-ინ-გაურჰოთის დილეგში ბერენის დაცვისას დაიღუპა.

ფინუე – კუივიენენიდან დასავლეთში მიმავალი ნოლდორების წინამძღოლი; ამანში ნოლდორთა მეფე; ფეანორის, ფინგოლფინისა და ფინარფინის მამა; ფორმენოსში მორგოთმა მოკლა.

ფირიმარნი – «მოკვდავნი», ელფთაგან კაცთათვის შერქმეული ერთ-ერთი მეტსახელი.

ფორმენოსი – «ჩრდილოური ციხესიმაგრე» ფეანორისა და მისი ძე-
ებისა ჩრდილოეთ ვალინორში; ფეანორმა ტირიონიდან გაძევების შემ-
დეგ ააგო.

ფორნოსტი – «ჩრდილო სიმაგრე». ნუმენორელთა ქალაქი ერიალო-
რის ჩრდილოეთის მაღლობებში.

ფროლო – ბეჭდის მცველი.

ფუინური – განდგომილი ნუმენორელი, რომელმაც მეორე ეპოქის მი-
წურულს ჰარადრიმთა შორის დიდი გავლენა მოიპოვა.

ქ

ქვათა ფონი – იხ. სარნ ათრადი.

ქუენდნი – თავიდან ასე უწოდებდნენ ელფნი ყოველი ტომის ელფს
(მათ შორის, ავარებს). ეს სახელი «ხმით მეტყველთ» ნიშნავს.

ქუენია – უძველესი ენა, საერთო ყოველი ელფისთვის იმ ფორმით,
როგორცაც ის ვალინორში წაიდეს; ამავე ფორმით დააბრუნეს შუახმე-
ლეთში ამანიდან გადმოსახლებულმა ნოლდორებმა, მაგრამ მალე შეწ-
ყვიტეს ყოველდღიურად მისი გამოყენება; განსაკუთრებით მას შემდეგ,
რაც მეფე თინგოლმა ქუენიის აკრძალვის განკარგულება გასცა. აგრეთვე
უწოდებდნენ ელდარულს, უზენაეს ელდარულს, უზენაეს ელფურს, ვა-
ლინორულ ენას, ვალინორის ელფთა ენას, ნოლდორთა ენას, დასავლე-
თის უზენაეს ენას.

ქუენტა სილმარილიონი – «სილმარილთა ისტორია».

შ

შავი მიწა – იხ. მორდორი.

შავი ხმალი – იხ. მორმეგილი.

შვიდი ქვა – იხ. პალანტირები.

შორსსაჭვრეტი ქვები – იხ. პალანტირები.

შუაველი – იმლადრისის თარგმანი.

შუახმელეთი – დიდი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მიწები; აგ-
რეთვე უწოდებენ აქეთა მიწებს, გარე მიწებს, დიდ მიწებსა და ენდორს.

ჩ

ჩრდილოეთის მადლობები – მადლობები ერიადორში, სადაც ნუმე-
ნორელთა ქალაქი ფორნოსტი მდებარეობდა.

ჩია ჯუჯანი – ნოეგით ნიბინის თარგმანი. იხ. ჯუჯები.

ჩრდილოეთის წინასწარმეტყველება – ნოლდორთათვის გამოტანი-
ლი განაჩენი, რომელიც მანდოსმა არამანის სანაპიროზე გამოაცხადა.

ც

ცეცხლოვანი მთა – იხ. ოროდრუინი.

ძ

ძმათაკვლა – ნოლდორთა მიერ ტელერთა კვლა ალქუალონდში.

ძალაუფლების ბეჭდები – ძალაუფლების ბეჭედი, დიადი ბეჭედი ან
მმართველი ბეჭედი. ელფთა სამი ბეჭედი (იხ. აგრეთვე ნარია, «ცეც-
ხლის ბეჭედი», ნენია, «ადამანტის ბეჭედი» და ვილია, «საფირონის ბე-
ჭედი»), ჯუჯათა შვიდი ბეჭედი, კაცთა შვიდი ბეჭედი.

წ

წითელი ბეჭედი – იხ. ნარია.

წყალთა მეუფე – იხ. ულმო.

წყვდიადის მთები – იხ. ერედ უეთრინი.

ხ

ხეთა მწყემსნი – ენტები.

ჯ

ჯადოსანნი – იხ. ისტარნი.

ჯუჯათა გზა – გზა, რომელიც ნოგროდიდან და ბელეგოსტიდან ბე-
ლერიანდში მიდიოდა და მდინარე გელიონს სარნ ათრადის ფონთან
კვეთდა.

ჯუჯათა ყელსაბამი – იხ. ნაუგლამირი.

ჯუჯანი – იხ. ნაუგრიმნი.

ჯუჯათქვაბული – კჰაზად-დუმის (ჰადოდრონდის) თარგმანი.

ჰ

ჰადოდრონდი – კჰაზად-დუმის (მორიის) სახელი სინდარულად.

ჰადორი – მეტსახელად ლორინდოლი «ოქროსთმიანი»; მბრძანებელი დორ-ლომინისა, ვასალი ფინგოლფინისა, მამა გალდორისა, მამისა ჰურიინისა; მოკლეს დაგორ ბრაგოლახში. ჰადორის საგვარეულოს ედინთა მესამე საგვარეულოს უწოდებდნენ.

ჰათალდირი – მეტსახელად ყმაწვილი; დორთონიონის მთიანეთში ბარაჰირის თორმეტი თანამგზავრიდან ერთ-ერთი.

ჰათოლი – ჰადორ ლორინდოლის მამა.

ჰალადინნი – კაცთა მეორე ტომი, რომელიც ბელერიანდში დასახლდა; მოგვიანებით ჰალეთის ხალხი უწოდეს; ბრეთილის ტყეში სახლობდნენ.

ჰალდადი – მომხვედურ ორკთაგან თავდამცველ ჰალადინთა წინამძღოლი თარგელიონში; იქვე დაიღუპა. ქალბატონი ჰალეთის მამა.

ჰალდანი – ძე ჰალდარისა; ქალბატონი ჰალეთის სიკვდილის შემდეგ ჰალადინთა წინამძღოლი.

ჰალდარი – ძე ჰალდადისა და ძმა ქალბატონი ჰალეთისა; თარგელიონის მრბეველი ორკების რაზმთან შეტაკებისას მამასთან ერთად დაიღუპა.

ჰალდირი – ძე ჰალმირ ბრეთილელისა; ცოლად შეირთო გიდრედელი, ასული ჰადორ დორლომინელისა; მოკლეს ნირნაეთ არნოედიადში.

ჰალეთი – ქალბატონ ჰალეთს უწოდებდნენ; თარგელიონიდან სირიონის დასავლეთით მდებარე მიწებამდე მცხოვრებ ჰალადინთა (რომელთაც მის პატივსაცემად ჰალეთის ხალხი უწოდეს) წინამძღოლი.

ჰალეთის ხალხი – იხ. ჰალეთი და ჰალადინნი.

ჰალმირი – მბრძანებელი ჰალადინთა, ძე ჰალდანისა; ბელეგ დორიათელთან ერთად დაამარცხა ორკნი, რომელიც დაგორ ბრაგოლახის შემდეგ სირიონის ვიწრობიდან შემოიჭრნენ.

ჰანდირი – ძე ჰალდირისა და გლორედელისა, მამა ბრანდირ კოჭლისა; ჰალდირის სიკვდილის შემდეგ ჰალადინთა მბრძანებელი.

ჰარადრიმნი – ჰარადის («სამხრეთის»), მორდორის სამხრეთით მდებარე მიწებზე მცხოვრები კაცნი.

ჰარეთი – ასული ჰალმირ ბრეთილელისა, ცოლად გაჰყვა გალდორ დორლომინელს, დედა ჰურინისა და ჰუორისა.

ჰაუდ-ენ-არუენი – «ქალბატონის ყორღანი», ჰალეთის გორასამარხი ბრეთილის ტყეში.

ჰაუდ-ენ-ელეთი – ყორღანი ტეიგლინის ფონთან, რომელშიც ფინდუილასი დამარხეს.

ჰაუდ-ენ-ნდენგინი – «დახოცილთა ყორღანი» ანფაუგლითის უდაბნოში, სადაც ნირნაეთ არნოელიადში დაღუპულ ელფთა და კაცთა გვამები დაახვავეს.

ჰაუდ-ენ-ნირნაეთი – «ცრემლთა ყორღანი», ჰაუდ-ენ-ნდენგინის მეორე სახელი.

ჰელევორნი – «შავი მინა», ტბა ჩრდილოეთ თარგელიონში, მთა რერირის ძირას, სადაც კარანთირი სახლობდა.

ჰელკარაქსე – სრუტე არამანსა და შუახმელეთს შორის. დრჭიალა ყინულსაც უწოდებენ.

ჰელკარი – შიგა ზღვა ჩრდილო-აღმოსავლეთ შუახმელეთში, სადაც ოდესღაც ილუინის სანათის მთა იდგა. როგორც ამბობენ, კუივიენის ტბა, სადაც ელფებმა პირველად გაახილეს თვალები, ამ ზღვის უბე იყო.

ჰელუინი – ვარსკვლავი სირიუსი.

ჰერუმორი – განდგომილი ნუმენორელი, რომელმაც მეორე ეპოქის მიწურულს ჰარადრიმთა შორის დიდი გავლენა მოიპოვა.

ჰერუნუმენი – «დასავლეთის მბრძანებელი», არ-ადუნახორის სახელი ქუენიაზე.

ჰიარმენტირი – სამხრეთ ვალინორის უმაღლესი მთა.

ჰითაეგლირი – «ნისლიან მწვერვალთა მთაგრეხილი»; ნისლიანი მთები.

ჰითლუმი – «დანისლული მიწა», რეგიონი, რომელსაც აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ერედ უეთრინი ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთიდან – ერედ ლომინი. იხ. ჰისილომე.

ჰილდორიენი – მიწა აღმოსავლეთ შუახმელეთში, სადაც პირველმა ადამიანებმა (ჰილდორებმა) გაიღვიძეს.

ჰილდორნი – «მომღევნონი», «მეორენი», ასე უწოდებდნენ ელფები ადამიანებს, ილუვატარის უმცროს შვილებს.

ჰიმლადი – «გრილი ვაკე», მხარე აგლონის ვიწრობის სამხრეთით, სადაც კელეგორმი და კურუფინი სახლობდნენ.

ჰიმრინგი – დიდი ბორცვი მაგლორის კლდეკარის დასავლეთით, რომელზეც მაედროსის ციხესიმაგრე იდგა. ტექსტში სახელის მნიშვნელობა «მარად ცივად» არის ნათარგმნი.

ჰირილორნი – სამღეროიანი დიდი არყის ხე ღორიათში, რომელშიც ლუთიენი დაამწყვდიეს. სახელი «ქალბატონის ხეს» ნიშნავს.

ჰისილომე – «დანისლული მიწა», ჰითლუმის სახელი ქუენიაზე.

ჰოლინი – იხ. ერეგიონი.

ჰუანი – ვალინორული დიდი ნაგაზი, რომელიც ორომემ კელეგორმს აჩუქა. მეგობარი და დამხმარე ბერენისა და ლუთიენისა. მოკლა კარხაროთი და თავადაც მისგანვე აღესრულა. მისი სახელი «დიდ ძაღლს», «ქოფაკს» ნიშნავს.

ჰუნთორი – ბრეთილელი ჰალადი, მხლებელი ტურინისა, როცა ის კაბედ-ენ-არასში გლაურუნგს დაესხა თავს; კლდიდან ჩამოვარდნილმა ქვამ იმსხვერპლა.

ჰუორი – ძე გალდორ ღორლომინელისა, ქმარი რიანისა და მამა ტუორისა; ძმასთან, ჰურინთან ერთად გონდოლინში წავიდა. ნირნაეთ არნოედიადში დაიღუპა.

ჰურინი – მეტსახელად თალიონი – «მტკიცე», «მედგარი»; ძე გალდორ ღორლომინელისა, ქმარი მორუენისა და მამა ტურინისა და ნიენორისა, მბრძანებელი დორ ლომინისა, ვასალი ფინგონისა. ძმასთან, ჰუორთან ერთად გონდოლინში წავიდა; ნირნაეთ არნოედიადში მორგოთმა შეიპყრო და დაატყვევა. გათავისუფლების შემდეგ ნარგოთრონდში მიმი მოკლა და ნაუგლამირი მეფე თინგოლს მიუტანა.

ქუენიური და სინდარული სახელების შე- მადგენელი ნაწილები

აგლარ – «დიდება», «ბრწყინვალეობა» (დაგორ აგლარები, აგლარონდი). ქუენიური ფორმა არის ალკარ; სინდარული აგლარებ შეესაბამება ალკარინქუეს. ძირი არის კალ – «ბრწყინვა», «კამკაში».

ადან (მრ. რ. ეღანინი) – სახელებში: ადანეღელი, არადანი, ღუნეღანინი. სინდარული ფორმა ატანისა, «კაცი», «ადამიანი».

აელინ – «ტბა», «ტბორი», «გუბურა» (აელინ-უიალი)

აინა – «წმიდა» (აინურნი, აინულინდალე).

ალდა – «ხე» ქუენიაზე (ალდარონი, აღდუდენიე, მალინალდა), შეესაბამება სინდარულ გალად(ჰ)ს (კარას გალადონი და გალადრიმები ლოთლორიენში).

ალქუა – «გედი» (ალქუალონდე), სინდარულად აღფ; ძირისგან ალაკ – «მოჩქარე», «სწრაფად სვლა». გვხვდება სახელში ანკალაგონი.

ამართ – «ბედისწერა» (ამონ ამართი, კაბედ ნაურამართი, უმართი, ტურინის სახელის სინდარულ ფორმაში: ტურამართი, ანუ «ბედისწერის მბრძანებელი». ამ სიტყვის ქუენიური ფორმა გვხვდება ტურამბარში).

ამონ – «ბორცვი», ეს სინდარული სიტყვა მრავალი სახელის პირველი ელემენტი; მრავლობითი ემინ გვხვდება ემინ ბერაიდში.

ანა – «ძღვენი» (ანატარი, მეღიანი, იავანა). ამავე ფუძისგანაა ანდორი, «ნაჩუქარი ქვეყანა»).

ანგა – «რკინა», სინდარული ანგ (ანგაინორი, ანგბანდი, ანგაბარი, ანგლახელი, ანგრისტი, ანგროდი, ანგურიელი, გურთანგი; ანგრენ «რკინისა» ანგრენოსტში; მრავლობითი ენგრინ გვხვდება სახელში ერედ ენგრინი).

ან(დ) – «გრძელი» (ანდრამი, ანდუინი; აგრეთვე, ანფალასი (გრძელნაპირეთი) გონდორში, კაირ ანდროსი («გრძელი ქაფის ხომალდი») – კუნძული ანდუინში).

ანდუნე – «დაისი», «დასავლეთი» (ანდუნე), რომელსაც შეესაბამება სინდარული ფორმა ანუნი, იხ.

ანუმინასი და ჰენეთ ანუნი «დასავლეთის სარკმელი» ითილიენში. ამ სიტყვების უძველესი ძირი, ნდუ, ანუ «ქვემოთ», «დაბლა», გვხვდება ქუენიურ სიტყვაში ნუმენ, «სადაც მზე ჩადის», «დასავლეთი» და სინდარულ სიტყვაში დუნ, იხ. დუნედაინნი. აღუნაური აღუნ საკუთარ სახელებში აღუნახორი და ანაღუნე ელდართა ენიდან იყო ნასესხები.

ანკა – «ყბები» ანკალაგონში (სახელის მეორე ელემენტი იხ. ალქუა).

ანონ – «დიდი კარი ან კარიბჭე» (ანონ-ინ-გელიდი), მრავლობითი ენინი; იხ. მორანონი «შავი კარიბჭე» მორდორისა და სირანონი «კარიბჭის მდინარე» მორიისა.

არ- – «გვერდით», «გარეთ» (საიდანაც ქუენიური არ, «და», და სინდარული ა), სავარაუდოდ, გვხვდება სახელში არამანი, რაც «ამანის გარეთ მდებარეს» ნიშნავს. აგრეთვე იხილეთ (ნირნაეთ) არნოედიადი «უთვა-ლავი (ცრემლი)».

არ(ა)- – «დიდებული», «დიდგვაროვანი», «მეფური წარმოშობისა». გვხვდება მრავალ სახელში, მაგ: არადანი, არედელი, არგონათი, არნორი და სხვ. გავრცობილი ფუძე არატ- გვხვდება სახელებში არატარი და არატო, «რაინდი», «სახელგანთქმული ადამიანი»; მაგალითად, ანგროდი ანგარატოსა და ფინროდი ფინდარატოსგან; აგრეთვე, არან «მეფე» სახელში არანრუთი. ერეინიონი «შთამომავალი მეფეთა» (გილ-გალადის სახელი) არანის მრავლობითს შეიცავს; იხ. ფორნოსტ ერაინი ანორის «მეფეთა ჩრდილო სიმაგრე». პრეფიქსი არ- ნუმენორის მეფეთა აღუნაურ სახელებში აქედანაა მიღებული.

არიენ – (მაია მზისა) მიღებულია ძირისგან ას-, აგრეთვე გვხვდება ქუენიურ სახელში არე, «მზის შუქი».

ატარ – «მამა» (ატანატარი, ილუვატარი).

ბანდ – «საპყრობილე», «დილეგი» (ანგბანდი); საწყისი ფორმა მბანდო, რომელიც გვხვდება ქუენიურ სახელში მანდოსი (სინდარული ანგბანდი = ქუენიური ანგამანდო).

ბარ – «საცხოვრისი», «სამოსახლო» (ბარ-ენ-დანუედი). უძველესი სიტყვა მბარ (ქუენიური მარ, სინდარული ბარ) ნიშნავდა მეტყველ არსებათა და ხალხთა «სახლს» და ამგვარად, მრავალ ტოპონიმში გვხვდება, მაგ: ბრითომბარი, დიმბარი (ამ უკანასკნელის პირველი ელემენტი «დაღვრემილს», «სევდიანს» ნიშნავს), ელდამარი, ვალ(ი)მარი, ვინიამარი, მარ-ნუ-ფალმარი, მარდილი – გონდორის პირველი მმართველი მორავის სახელი «სახლის (ე. ი. მეფის სახლეულობის) ერთგულს» ნიშნავს.

ბარად – «კომკი» (ბარად-დური, ბარად ეითერი, ბარად ნიმრასი); მრავლობითი ფორმა გვხვდება სახელში ემინ ბერაიდი.

ბელეგ – «ძლევამოსილი» (ბელეგ, ბელეგაერი, ბელეგოსტი, ლაერკუ ბელეგ).

ბრაგო – «უეცარი» (დაგორ ბრაგოლახი).

ბრეთილ – სავარაუდოდ, «ვერცხლის არყს» ნიშნავს (ნიმბრეთილი არყნარი არვერნიენში და ფიმბრეთილი, ერთ-ერთი დედა-ენტი).

ბრით – «ხრეში», «კენჭები» (ბრითიახი, ბრითომბარი, ბრითონი).

გაერ – «ზღვა» (ბელეგაერი; გაერისი, ოსეს სინდარული სახელი).

გაურ – «მაქცია», «მგელკაცი» ძირისგან ნგუაუ, «ყმული» (ტოლ-ინ-გაურჰოთი).

გილ – «ვარსკვლავი», გვხვდება სახელებში: დაგორ-ნუინ-გილიათი, გილ-ესტელი, გილ-გალადი, ოსგილიათი (გილიათ, «ვარსკვლავთა დასი»).

გირით – «კრთომა», «კანკალი» (ნენ გირითი, გირითრონი, წლის ბოლო თვის სახელწოდება სინდარულად).

გლინ – «ციმციმი», «ბრწყინვა», განსაკუთრებით თვალებისა (მაეგლინი).

გოლოდ – სინდარული ფორმა ქუენიური ნოლდოსი; იხ. გულ. მრ. რ. გოლოდრიმ და გელიდ (ანონ-ინ-გელიდი).

გონდ – «ქვა» სახელებში გონდოლინი, გონდორი, გონჰირიმნი, არგონათი, სერეგონი. მეფე ტურგონმა ფარულ ქალაქს ქუენიაზე ონდო-

ლინდე უწოდა (ქუენიაზე ონდო = სინდარულ გონდს, ხოლო ლინდე ნიშნავს «მღერას», «სიმღერას»), მაგრამ ლეგენდებში ქალაქს ყოველთვის სინდარულად გონდოლინს უწოდებდნენ, რაც, სავარაუდოდ, ასე ითარგმნებოდა: გონდ-დოლენ, ანუ «ფარული კლდე».

გორ – «შიში», «ძრწოლა» სახელებში გორთაური, გორთოლი; გოროთი იმავე მნიშვნელობით, გამეორებულ გორთან ერთად გვხვდება გორ-გოროთში და ერედ გორგოროთში.

გუაით – «ხალხი» (გუაით-ი-მირდაინ).

გუალ, უათ – «ჩრდილი» (დელდუვათი, ეფელ დუათი; აგრეთვე გუათლო, მდინარე მუქი წყალი ერიადორში). მონათესავე ფორმებია ერედ უეთრინი და თურინგუეთილი. (ეს სინდარული სიტყვა

მკრთალ შუქს აღნიშნავს და არა – ჩრდილებს, რომლებსაც საგნები ჰფენენ: ასეთ ჩრდილებს, ანუ ლანდებს მორხაინტს, «შავ სილუეტებს» უწოდებდნენ.

გროთ (გროდ) – «ღრმული», «მიწისქვეშა საცხოვრისი» სახელებში მენეგროთი, ნოგროდი და, სავარაუდოდ, ნიმროდელში, «თეთრი გამოქვაბულის ქალბატონი».

გულ – «გრძნეულება», «ჯადოქრობა» სახელებში დოლ გულდური, მინას მორგული. ეს სიტყვაც მსგავსად «ნოლდორისა» ნგოლ-უძველესი ფუძიდან არის ნაწარმოები. იხ. ქუენიური ნოლე «ცოდნა», «სიბრძნე», «განსწავლელობა». თუმცა ეს სინდარული სიტყვა გააშავა მისმა ხშირმა გამოყენებამ რთულ სიტყვაში მორგულ, რაც «შავ მაგიას» ნიშნავს.

გურთ – «სიკვდილი» (გურთანგი; იხ. აგრეთვე მელკორი სახელთა საძიებელში).

დაგორ – «ბრძოლა». ძირი არის ნდაკ-, იხ. ჰაუდ-ენ-ნდენგინი. ამავე ძირისგან არის ნაწარმოები დაგნირ (დაგნირ გლაურუნგა «გლაურუნგის შემმუსვრელი»).

დაე – «ჩრდილი», «სიბნელე» (დორ დაედელოთი; დაერონი).

დელ – «საშინელება» (დელდუვათი), დელოთ «ზიზღი», «სიძულვილი» (დორ დაედელოთი).

დინ – «მდუმარე» (დორ დინენი); იხ. რათ დინენი, მინას ტირითის მდუმარე ქუჩა და ამონ დინი ბორცვი გონდორში, რომელზეც სანიშნებულ კოცონს ანთებდნენ.

დოლ – «თავი» (ლორინდოლი); ხშირად იყენებენ მთა-გორაკების დასახელებებში (დოლ-გულდური, დოლმედი, მინდოლუინი, ნარდოლი, გორაკი გონდორში, რომელზეც შუქურა იდგა, და ფანუიდოლი, მორიის ერთ-ერთი მწვერვალი).

დორ – «მიწა», «ხმელეთი», «ქვეყანა», მიღებულია ნდორისგან; გვხვდება მრავალ სინდარულ სახელში (დორიათი, დორთონიონი, ერიადორი, გონდორი, მორდორი და ა. შ.), ქუენიაზე ეს ფუძე შეერწყა საკმაოდ მკაფიო შინაარსის მქონე სიტყვას ნორე, რაც «ხალხს» ნიშნავს; თავდაპირველად ვალინორე, მხოლოდ და მხოლოდ, «ვალართა მოდგმას» ნიშნავდა, ხოლო ვალანდორი – «ვალართა ქვეყანას»; ასევე ნუმენ(ნ)ორე ნიშნავდა «დასავლეთის ხალხს», ხოლო ნუმენდორი – «დასავლეთის ქვეყანას». ქუენიური ენდორ, «შუახმელეთი» შედგება შემდეგი ორი ელემენტისგან ენედ, «შუა» და ნდორ. სინდარულად ეს სახელი იქცა ენორად (იხ. ენორათი, «შუა მიწები» ელბერეთ გილთონიელის საგალობელში).

დრაუგ – «მგელი» (დრაუგლუინი).

დუ – «ღამე», «სიბნელე» (დელდუვათი, ეფელ დუათი). სიტყვის პირვანდელი ფორმა იყო დომე, საიდანაც ნაწარმოებია ქუენიური ლომე; ამგვარად სინდარული დულინი, «ბულბული», შეესაბამება ქუენიურ ლომელინდეს.

დუინ – «(გრძელი) მდინარე» (ანდუინი, ბარანდუინი, ესგალდუინი, მალდუინი, ტაურ-იმ-დუინათი).

დურ – «ბნელი» (ბარად-დური, კარაგდური, დოლ გულდური; აგრეთვე დურთანგი, ციხესიმაგრე მორდორში).

ეარ – «ზღვა» ქუენიაზე (ეარენდილი, ეარამე და სხვ.). სინდარული სიტყვა გაერ (ბელეგაერი), როგორც ჩანს, ამავე ფუძისგან უნდა იყოს მიღებული.

ედელ – «ელფი» (სინდარულად) სახელებში: ადანედელი, არედელი, გლორედელი, ოსტ-ინ-ედელი და პერედელი, რაც «ნახევარელფს» ნიშნავს.

ეთელ – «წყარო» (ეთელ ივრინი, ეთელ სირიონი, ბარად ეთელი და მითეთელი, მდინარე ერიადორში). იხ. კელ-.

ელ, ელენ – «ვარსკვლავი». ელფური ლეგენდის მიხედვით, ელე იყო მარტივი წამოძახილი «შეხედე!», რომელიც ელფებს აღმოხდათ, როცა პირველად დაინახეს ვარსკვლავები. ასე წარმოიშვა უძველესი სიტყვები ელ და ელენ, ანუ «ვარსკვლავი» და ზედსართავი სახელები ელდა და ელენა, რაც «ვარსკვლავისას», «ვარსკვლავურს» ნიშნავს. ეს ელემენტები მრავალ სახელში გვხვდება. ელდას სინდარული შესატყვისი იყო ედელ (მრ. რ. ედილ).

ერ – «ერთი», «ეული», «მარტოსული», (ამონ ერები, ერებორი, მარტოსული მთა; ერხამიონი, ერესეა, ერუ).

ერეგ – «ეკლიანი ხე ან ბუჩქი», «ბაძგი» (ერეგიონი, რეგიონი).

ესგალ – «ფარდა», «სამალავი» (ესგალდუინი).

ეხორ – სახელებში ეხორიათი, «გარემომცველი მთები» და ორფალხ ეხორი; იხ. რამას ეხორი დიდი კედელი, რომელიც მინას ტირითში პელენორის მინდვრებს გარს ერტყმოდა.

ვალ – «ძალა» (ვალარნი, ვალაკირკა, ვალაქუნტა, ვალარაუკარნი, ვალ(ი)მარი, ვალინორი. პირვანდელი ფუძე ბალ- შენარჩუნებულია სინდარულ სახელებში ბალანი და ბალროგი.

თალიონ – «ძლიერი», «უშიშარი» (კუთალიონი, თალიონი).

თარ – «განივ», «გარდიგარდმო» სახელებში სარნ ათრადი, თარგელიონი, აგრეთვე თარბადი (თარა-პატა «გადამკვეთი გზა»), ფონი, რომელიც მდინარე მუქწყალს კვეთდა.

თაურ – «საძაგელი», «საძულველი» (საურონი, გორთაური).

თინ(დ) – «რუხი» (თინგოლი), ქუენიაზე სინდა (სინდარნი, სინგოლო ან სინდაკოლო: კოლო «მოსასხამი»).

თოლ – «ჩაფხუტი», «მუზარადი» (დორ კუართოლი, გორთოლი).

თონ – «ფიჭვი» (დორთონიონი).

თონგ – «ჩაგვრა» სახელებში თანგოროდრიმი, დურთანგი (სიმაგრე მორდორში). ქუენიაზე სანგა ნიშნავდა «წნეხს», «ჭყლეტას».

თორონ – «არწივი» (თორონდორი, კირით თორონათი).

ია – «უფსკრული», «სიცარიელე» (მორია).

იავე – «ხილი» ქუენიაზე (იავანა); იხ. იავანიე, წელიწადის მეცხრე თვის სახელი ქუენიაზე და იავიე.

იათ – «ღობე» (დორიათი).

იანტ – «ხიდი» (იანტ იაური).

იაურ – «ძველი» (იანტ იაური); იხ. ელფური სახელი ბომბადილისა იარუაინი.

ილმ- – ეს ფუძე გვხვდება სახელებში ილმენი, ილმარე და ილმარინი (ოიოლოსეზე მდგარი მანუესა და ვარდას «მალღივი სასახლე»).

ილუვე – «მთლიანი», «ყოვლისმომცველი» (ილუვატარი).

კალ- (გალ-) – ეს ძირი, რომელიც «ნათებას» ნიშნავს გვხვდება სახელებში კალაკირია, კალაქუენდნი, ტარ-კალიონი, გალვორნი, გილ-გალადი, გალადრიელი. ბოლო ორ სახელს არანაირი კავშირი არ აქვს სინდარულ სიტყვასთან გალად(ჰ), «ხე», მიუხედავად იმისა, რომ გალადრიელს ხშირად უკავშირებდნენ ამ სიტყვას. უზენაესელფურ ენაზე მისი სახელი იყო ალ(ა)ტარიელი, სიტყვებისგან ალატა «ნათება», «ბრწყინვა» (სინდარული გალად) და რიელ «ყვავილწნულიანი ქალწული» (ძირისგან რიგ- «წვანა»,

«ხლართვა»): სახელის სრული მნიშვნელობაა «მბრწყინავი ყვავილებისგვირგვინიანი ქალწული», სადაც «მბრწყინავი» მისი თმის ფერზე მიანიშნებს. კალენ (გალენ) «მწვანე» ეტიმოლოგიურად «ნათელს», «კამკამას» ნიშნავს და ამავე ძირისგან არის ნაწარმოები. იხ. აგრეთვე აგლარ.

კალენ (გალენ) – სინდარულად ნიშნავს «მწვანეს» (არდ-გალენი, ტოლ გალენი, კალენარდონი; აგრეთვე პართ გალენი (მწვანე მდელო) ანდუინის ნაპირზე და პინათ გელინი გონდორში, იხ. კალ-.

კამ – (კამბასგან) «ხელი», უფრო კონკრეტულად, გაწვდილი მუჭი, რომელშიც რაღაც უნდა ჩაგიდონ ან გიდევეს (კამლოსტი, ერკამიონი).

კანო – «სარდალი». ამ ქუენიური სიტყვისგან წარმოიშვა სახელების ფინგონისა და ტურგონის მეორე ელემენტი.

კარაკ- – ეს ძირი ჩანს ქუენიურ კარკაში («ემვი»), ხოლო მისი სინდარული ფორმა კარხ გვხვდება კარხაროთსა და კარხოსტში (ასე ერქვა მორდორის ერთ-ერთ ეშვს, ერთ-ერთ კოშკს, რომელიც მის კარიბჭეს იცავდა). კარაგდური, კარახ ანგრენი («რკინის ყბები» – გალავანი და ზღუდე, რომელიც მორდორში უდუნის შესასვლელს იცავდა) და ჰელკარაქსე.

კარან – «წითელი», ქუენიაზე კარნე (კარანთირ, კარნილ, ოროკარნი, აგრეთვე კარადრასი კარან-რასისგან ნისლიანი მთების მწვერვალი «რქაწითელი» და კარნიმირიე «წითელი თვლით შემკული», ჭნავის ხე ხისწვერას სიმღერაში). ტექსტში კარკაროთის «წითელ ხახად» თარგმნა ამ სიტყვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. იხ. კარაკ-

კელ- – «წასვლა», «წყლის გადინება» (კელონი). მიღებულია სიტყვისგან ეტ-კელე «წყარო», «წყლის (გ)ამოღინება», თანხმოვანთა გადაადგილებით. ქუენიაზე ეპტელე, სინდარული ეითელი.

კელებ – «ვერცხლი» (ქუენიაზე ტელეპ, ტელპე სახელში ტელპერიონი) სახელებში კელებორნი, კელებრანტი, კელებროსი. კელებრიმბორი ნიშნავს «ვერცხლისფერ მუმტს»; ზედსართავი სახელებიდან კელებრინ («ვერცხლისფერი», «ვერცხლისებრი») და პაურ (ქუენიაზე ქუარე) «მუმტი», რომელიც ხშირად «ხელს» ნიშნავს; ქუენიური ფორმა ამ სახელისა იყო ტელპერინქუარი. კელებრინდალში გვხვდება შემდეგი ელემენტები კელებრინ და ტალ, დალ – «ფეხი».

კემენ – «მიწა» (კემენტარი): ქუენიური სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ბრტყელ ზედაპირს მენელის, «ზეცის» ქვეშ.

კირ- – «გაჭრა», «გახლეჩა» (კალაკირია, კირთი, ანგერთასი, კირით ნინიახი, კირით თორონათი).

მნიშვნელობისგან «სწრაფად გასვლა», «გაღწევა რაიმეში» ნაწარმოებია ქუენიური კირია «ცხვირწვეტიანი ხომალდი». ეს მნიშვნელობა გვხვდება სახელებში კირდანი, ტარ-კირიატანი და, როგორც ჩანს, ისილდურის ვაჟის სახელში კირიონი.

კორონ – «ბორცვი», «მალღობი» სახელში კოროლაირე (აგრეთვე კორონ თიოლაირე, ეს უკანასკნელი სიტყვა, როგორც ჩანს, ნიშნავს «მარადიულ ზაფხულს». იხ. თიოლოსე); იხ. კრინ ამროთი, დიდი ბორცვი ლოთლორიენში.

კუ – «მშვილდი» (კუთალიონი, დორ კუართოლი, ლაერ კუ ბელეგი).

კუივიე – «გაღვიძება» სახელში კუივიენენი (სინდარულად ნენ ეხუი). ამავე ძირისგან ნაწარმოებია დორ ფირნ-ი-გუინარ; კოირე, გაზაფხულის დასაწყისი, სინდარულად – ეხუირ. აგრეთვე კოიმასი «მაცოცხლებელი პური», ანუ ლემბასი ქუენიაზე.

კულ – «ოქროსფერ-წითელი» სახელში კულურიენი.

კურუ – «ოსტატობა», «სიმარჯვე» სახელებში კურუფინ(უე), კურუნირი.

ლად – «ველი», «ხეობა» (დაგორლადი, ჰიმლადი; იმლადი, ვიწრო ხეობა დამრეცი გვერდებით. იხ. აგრეთვე იმლად მორგული ეფელ ღუათში).

ლაურე – «ოქროსფერი» (ლაურელინი); მისი სინდარული ფორმა გლორედელ გვხვდება სახელებში გლორფინდელი, ლოეგ ნინგლორონი, ლორინდოლი, რათლორიელი.

ლახ – «მხტუნავი ცეცხლი» (დაგორ ბრაგოლახი; ანგლახელი – ეოლის მიერ მეტეორული რკინისგან გამოჭედილი ხმალი).

ლით – «ნაცარი», «ფერფლი» (ანფაუგლითი, დორ-ნუ-ფაუგლითი; აგრეთვე ერედ ლითუი, მორდორის ჩრდილოეთ საზღვრად მდგარი ფერფლიანი მთები, და ლითლადი «ფერფლიანი ველი» ერედ ლითუის ძირას).

ლინ (1) – «გუბურა», «ტბა», გვხვდება სახელებში ლინაუენი (რომელიც შეიცავს აუუს [ქუენიურ აიუეს «პატარა ჩიტს»], ტაეგლინი;) იხ. აელინი.

ლინ- (2) – ეს ძირი «მღერის», «მელოდიური ხმის გამოცემის» მნიშვნელობით გვხვდება სახელებში აინულინდალე, ლაურელინი, ლინდარი, ლინდონი, ერედ ლინდონი, ლომელინდი.

ლოთ – «ყვავილი» (ლოთლორიენი, ნიმლოთი; ქუენიური ლოტე გვხვდება სახელებში ნინქუელოტე, ვინგილოტე).

ლოკ- – «მრუდი», «კლაკნი» სახელში ურულოკი (ქუენიური [ჰ]ლოკე «გველი», სინდარული ლუგი).

ლომ – «ექო» (დორ-ლომინი, ერედ ლომინი; მონათესავე ფორმებია ლამოთი, ლანთირ ლამათი).

ლომე – «ბინდი», «მწუხრი» (ლომიონი, ლომელინდი; იხ. დუ).

ლონდე – «ხმელეთით გარშემორტყმული ნავსაყუდელი» (ალქუალონდე); სინდარული ფორმა ლონდ (ლონ) გვხვდება სახელში მითლონდი.

ლოს – «თოვლი» (ოიოლოსე. ქუენიური ოიო «მარადი» და ლოსე «თოვლი», «თოვლივით თეთრი»); სინდარული ლოს გვხვდება სახელებში ამონ უილოსი და აეგლოსი.

ლუინ – «ლურჯი» (ერედ ლუინი, ჰელუინი, ლუინილი, მინდოლუინი).

მაეგ – «ბასრი», «მახვილი» (მაეგლინი), ქუენიაზე მაიკა.

მალ- – «ოქრო» (მალდუინი, მალინალდა; აგრეთვე მალორნი და კორმალენის მინდორი, რაც «ოქროსფერ წრეს» ნიშნავს და სახელი იქ მზარდი კულუმალდის ხეების გამო შეერქვა; იხ. კულ-).

მან – «კარგი», «კურთხეული», «უზადო» სახელებში ამანი, მანუე; ამანისგან ნაწარმოებია ამანდილი, არამანი, უმანიარნი.

მელ- – «სიყვარული» სახელში მელიანი (მიღებულია მელიანასგან, რაც «ძვირფას ძღვენს» ნიშნავს); ამავე ფუძისგან არის მიღებული სინ-

დარულ სიტყვაში მელონ «მეგობარი», რომელიც მორიის დასავლეთი კარიბჭის თავზე ეწერა.

მენ – «გზა» (ნუმენი, ჰიარმენი, რომენი, ფორმენი).

მენელ – «ზეცა» (მენელდილი, მენელმაკარი, მენელტარმა).

მერეთ – «ლხინი», «ნადიმი» (მერეთ ადერთადი; აგრეთვე მერეთ-რონდი, სანადიმო დარბაზი მინას ტირითში).

მით – «რუხი» (მითლონდი, მითრანდირი, მითრიმი; მითეთელი – მდინარე მკრთალწყარო ერიალორში).

მინას – «კოშკი» (ანუმინასი, მინას ანორი, მინას ტირითი და ა.შ.) სავარაუდოდ, მონათესავე ფორმაა ქუენიური მინია «პირველი» (იხ. ტარ-მინიატური, წოდება ელროსისა, ნუმენორის პირველი მეფისა).

მირ – «სამკაული», ქუენიური მირე (ელემირე, გუაით-ი-მირდაინი, მირიელი, ნაუგლამირი, ტარ ატანამირი).

მოთ – «ბინდი», «მწუხრი» (ნან ელმოთი)

მორ – «ბნელი» (მორდორი, მორგოთი, მორია, მორიქუენდნი, მორ-მეგილი, მორუენი და ა. შ.)

ნან(დ) – «ველი» (ნან ღუნგორთები, ნან ელმოთი, ნან ტათრენი).

ნარ – «ცეცხლი» (ნარსილი, ნარია); საწყისი ფორმები გვხვდება სახელებში აეგნორი (აიკანარო «მწველი ცეცხლი» ან «სასტიკი ცეცხლი») და ფეანორი («სული ცეცხლისა»); სინდარული ფორმა ნაურ გვხვდება სახელში სამათ ნაური «ცეცხლოვანი დარბაზი» ოროდრუინისა. ამავე უძველესი ძირისგან (ა)ნარ, ნაწარმოებია სახელი მზისა, ქუენიაზე ანარი (აგრეთვე ანარიონი) და სინდარული ანორი (იხ. მინას ანორი, ანორი-ენი).

ნაუგ – «ჯუჯა» (ნაუგრიმი); იხ. აგრეთვე ნოგროდი სიტყვა-სტატიაში გროთ. სინდარულად ნოგოთ (მრ. რ. ნოეგითნი და ნოგოთრიმნი).

-ნ(დ)ილ – საკუთარი სახელების ხშირი დაბოლოება (ამანდილი, ეარენდილი [კნინ. ეარნილი], ელენდილი, მარდილი და ა. შ.); აღნიშნავს «ერთგულებას», «უანგარო სიყვარულს» (იხ. მარდილი სიტყვა-სტატიაში ბარ).

-(ნ)დურ – ეარენდურის მსგავს სახელებში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც -(ნ)დილს.

ნელდორ – «წიფელი» (ნელდორეთი); თუმცა, როგორც ჩანს, სინამდვილეში ეს იყო სახელი ჰირილორნისა, სამღეროიანი დიდი წიფლის ხისა (ნელდე «სამი» და ორნ).

ნენ – «წყალი» გვხვდება ტბების, გუბურებისა და პატარა მდინარეების სახელებში (ნენ გირითი, ნენინგი, ნენუიალი, ნენია; კუივიენენი, უინენი; აგრეთვე «ბეჭდების მბრძანებლის» მრავალ ტოპონიმში: ნენ ჰითოელი, ბრუინენი, ემინ არნენი, ნურნენი. ნინ «სველი» სახელში ლოვე ნინგლორონი).

ნიმ – «თეთრი» (ადრეული ფორმებია ნიმფ, ნიმპ) სახელებში ნიმბრეთილი, ნიმლოთი, ნიმფელოსი, ნიფრედილი (ნიფრედ «სიფითრე»), ბარად ნიმრასი, ერედ ნიმრასი. ქუენიური ფორმა იყო ნინქუე; ამგვარად ნინქუელოტე = ნიმლოთი. იხ. აგრეთვე ტანიქუეტილი.

ორნ – «ხე» (კელებორნი, ჰირილორნი; იხ. ფანგორნი «ხისწვერა» და მალორნი, ლოთლორიენში მზარდი ხეები).

ოროდ – «მთა» (ოროდრუინი, თანგოროდრიმი; ოროკარნი, ორომეტი; მრ. რ. ერედ სახელებში ერედ ენგრინი, ერედ ლინდენი და სხვ.).

ოს(ტ) – «ციხესიმაგრე» (ანგრენოსტი, ბელეგოსტი, ფორმენოსი, ფორნოსტი, მანდოსი, ნარგოთრონდი [ნაროგ-ოსტ-რონდი], ოს(ტ)გილიათი, ოსტ-ინ-ედილი).

პალან – «შორეული», «შორი» ქუენიაზე. გვხვდება სახელებში პალანტირი, ტარ-პალანტირი.

პელ- – «გარს შემოვლა», «შემორტყმა» სახელებში პელარგირი, პელორი და პელენორი «შემოდობილი მიწა» მინას ტირითისა. აგრეთვე: ეფელ ბრანდირი, ეფელ ღუათი (ეფელ სიტყვისგან ეტ-პელ «გარეთა ზღუდე»).

რამ – «კედელი» (ქუენიაზე რამბა) სახელებში ანდრამი, რამდალი და რამას ეხორი, მინას ტირითში პელენორის მინდვრებს გარსშემორტყმული კედელი.

რან- – «ხეტიალი», «უმიზნოდ სიარული» სახელში რანა, მთვარე, და მითრანდირი, აერანდირი (აგრეთვე მდ. გილრაენი გონდორში).

რანტ – «დინება» მდინარის სახელებში აღურანტი (აღუ «ორმაგი») და კელებრანტი.

რას – «რქა» სახელებში ბარად ნიმრასი, კარადრასი («რქაწითელი») და მეთედრასი («ბოლო მწვერვალი») ნისლიან მთებში. მრ. რ. რაის (ერედ ნიმრაისი).

რაუკო – «დემონი» (ვალარაუკარნი); სინდარულად რაუგ, როგ (ბალ-როგი).

რილ – «ბრწყინვალება» (იდრილი, სილმარილი; აგრეთვე ანდური-ლი, არაგორნის ხმალი, და მითრილი მორიული ვერცხლი). იდრილის სახელის ქუენიური ფორმა იყო იტარილე (ან იტარილდე), ფუძისგან იტა- «ბრწყინვა», «ბზინვა».

რიმ – «მრავალი», «დასი» (ქუენიაზე რიმბე), მეტწილად იხმარებოდა კრებითი არსებითი სახელების მრავლობითი ფორმების საწარმოებლად (გოლოდრიმი, მითრიმი, ნაუგრიმი, თანგოროდრიმი და ა. შ.)⁴

რინგ – «ცივი», «გრილი» (რინგილი, რინგუილი, ჰიმრინგი; რინგლო, მდინარე გონდორში და რინგარე, წელიწადის ბოლო თვის სახელი ქუენიაზე (იხ. «ბეჭდების მბრძანებლის» დანართი).

რის – «გახლეჩა», «გაპობა», «გაკვეთა», როგორც ჩანს, იმავე მნიშვნელობის ფუძეს (კრის-) შეერწყა; აქედან ანგრისტი, ორკრისტი («გობლინმჩეხი», თორინ მუხისფარის ხმალი), კრისაეგრიმი, იმლადრისი.

რომენ – «აისი», «მზის ამოსვლა», «აღმოსავლეთი» ქუენიაზე (რომენა). აღმოსავლეთის აღმნიშვნელი სინდარული სიტყვა რუნ (ტალათ რუნენი) და ამრუნ იმავე წარმოშობისა იყო.

⁴ ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში მსგავს სახელებს მრავლობითის ნიშანი დაერთვის. მაგ.: ნაუგრიმნი, ჰარადრიმნი, როჰირიმნი.

რონდ – «კამარა», «თალი» ან «თაღოვანი პალატი», «დარბაზი» (ნარგოთრონდი, ჰადოდრონდი, აგლარონდი). გამოიყენება ზეცასთან მიმართებაშიც, აქედან სახელი ელრონდი «ვარსკვლავების კამარა».

როს – «ქაფი», «შხეფი», «წყლის მტვერი» (კელებროსი, ელროსი, რა-უროსი; კაირ ანდროსი, კუნძული მდინარე ანდუინში).

როხ – «ცხენი» (ქუენიაზე როკო) სახელებში როხალორი, როჰანი (როხანდი «ცხენების ქვეყანა»), როჰირიმნი; როჰერინი «ქალბატონის ცხენი» (იხ. ჰერუ), არაგორნის ცხენი, რომელსაც ეს სახელი იმიტომ შე-არქვეს, რომ მას არუენმა აჩუქა.

რუინ – «წითელი ალი» (ოროდრუინი); ქუენიაზე – რუნია.

რუთ – «სიბრაზე», «რისხვა» (არანრუთი).

სარნ – «(პატარა) ქვა» (სარნ ათრადი; სარნ გებირი «წვეტიანი ქვე-ბი»: კებერ, მრ. რ. კებირ «სარები», ჟორომი მდინარე ანდუინში.

სერეგ – «სისხლი» (სერეგონი); ქუენიაზე სერკე.

სილ- – (ან თილ-) «თეთრი ან ვერცხლისფერი ნათება» (ბელთილი, გალათილიონი, სილპიონი); ქუენიაზე ისილი, სინდარულად ითილი, მთვარე (აქედან ისილდური, ნარსილი, მინას ითილი, ითილიენი). რო-გორც ამბობენ, ქუენიური სიტყვა სილმარილი ნაწარმოებია სიტყვისგან სილიმა, ასე უწოდა ფეანორმა ნივთიერებას, რომლისგანაც ისინი დამ-ზადდა.

სირ – «მდინარე», ძირისგან სირ- «დინება» სახელში ოსირიანდი (პირველი ელემენტი მიღებულია რიცხვი «შვიდის» ფუძისგან; ქუენიური ოტსო, სინდარული ოდო), სირიონი და სირანონი (კარიბჭის მდინარე მორიაში).

სულ – «ქარი» (ამონ სული, სულიმო; იხ. სულიმე, წელიწადის მესამე თვის სახელი ქუენიაზე).

ტათარ – «ტირიფი»; ზედსართავი ტათრენ (ნან ტათრენი); ქუენიური ტასარე სახელებში ტასარინანი, ნან-ტასარიონი.

ტალ (დალ) – «ფეხი» სახელში კელებრინდალი, ხოლო «ბოლოს» მნიშვნელობით სახელში რამდალი.

ტალათ – «დაბლობი», «ვაკე» (ტალათ დირნენი, ტალათ რუნენი).

ტარ- – «მაღალი» (ქუენიაზე ტარა «მაღლა»), პრეფიქსი ნუმენორის მეფეთა ქუენიური სახელებისა. აგრეთვე გვხვდება სახელში ანატარი. მდებრობითი ტარი «დიდებული ქალი», «დედოფალი» (ელენტარი, კემენტარი); იხ. ტარმა «ბურჯი» სახელში მენელტარმა.

ტაურ – «ტყე», «ტევრი» (ქუენიაზე ტაურე) სახელებში ტაურონი, ტაურ-იმ-დუინათი, ტაურ-ნუ-ფუინი.

ტელ- – «დასასრული», «ბოლო», «უკანასკნელნი» (ტელერნი).

ტილ – «წვეტი», «რქა» (ტიანიქუეტილი, ტილიონი «რქიანი»; აგრეთვე, კლებდელი «თხემშევერცხლილი», მორიის ერთ-ერთი მწვერვალი).

ტინ- – «ბრწყინვა» (ქუენიაზე ტინტა «აელვარება», ტინუე «ნაპერწკალი») სახელებში ტინტალე და ტინდომე «ვარსკვლავებიანი ბინდი», საიდანაც ნაწარმოებია ტინდომერელი «ბინდის ასული», ბულბულის პოეტური სახელი (სინდარულად ტინუვიელი). ეს სიტყვა აგრეთვე გვხვდება სახელში ითილდინი – ასე ერქვა ნივთიერებას, რომლითაც მორიის დასავლეთი კარიბჭის წარწერა იყო გაკეთებული.

ტირ – «თვალთვალი», «ყურება», «გუშაგობა» (მინას ტირითი, პალანტირი, ტარ-პალანტირი, ტირიონი).

ტოლ – «ციცაბონაპირებიანი კუნძული» (ტოლ ერესეა, ტოლ გალენი და ა. შ.).

ტურ – «ძალაუფლება», «ბატონობა» (ტურამბარი, ტურგონი, ტური-ნი, ფეანტურნი, ტარ-მინიატური).

ტურნ – «ხეობა» სახელებში ტუმჰალადი, ტუმლადენი. ქუენიაზე ტუმბო (იხ. ხისწვერას ტუმბალემორნა «ბნელი», «ღრმა ხეობა». «ორი ციხე-კოშკი», კარი III, თავი მეოთხე). იხ. უტუმნო, სინდარული უდუნ (განდალფმა მორიაში ბალროგს «უდუნის ალი» უწოდა), სახელი, რომელსაც შემდეგში მორდორში, მორანონსა და იზენისკარს შორის მდებარე ღრმა ველს უწოდებდნენ.

უენ – «ასული», «ქალწული» სახელთა დაბოლოებებში (ეარუენი, მორუენი).

უიალ – «ბინდი» (აელინ-უიალი, ნენუიალი).

უინგ – «ქაფი», «შხეფი» მხოლოდ ამ ორ სახელში ელუინგი და ვინ-გილოტი.

ურ- – «მხურვალეა», «ცხელი» (ურულოკნი) იხ. ურუმე და ურუი, წელიწადის მერვე თვის ქუენიური და სინდარული სახელები.

ფალას – «ნაპირი», «სანაპირო ზოლი» (ქუენიაზე ფალასე) სახელებში: ფალასი, ბელფალასი და ანფალასი. იხ. ფალათარი, ფალათრიმი. ამავე ფუძისგანაა ნაწარმოები ქუენიური ფალმა, «ტალღის ქოჩორი», რომელიც გვხვდება სახელებში ფალმარი და მარ-ნუ-ფალმარი.

ფაროთ – ნაწარმოებია ძირისგან, რომელიც «ნადირობას», «დევნას» ნიშნავს. ლეითიანის სიმღერაში ნარგოთრონდის თავზე მდებარე «მონადირეთა მალლობებს» ტაურ-ენ-ფაროთი ჰქვია.

ფაუგ- – «ნაპრალი» (ანფაუგლირი, ანფაუგლითი, დორ-ნუ-ფაუგლითი).

ფეა – «სული» (ფეანორი, ფეანტურნი).

ფინ- – «თმა» (ფინდუილასი, ფინგონი, ფინროდი, გლორფინდელი).

ფორმენ – «ჩრდილოეთი» ქუენიაზე (ფორმენოსი); სინდარულად – ფორნ, ფორ ან ფოროდ (ფორნოსტი).

ფუინ – «სიბნელე», «წყვდიადი» (ფუინური, ტაურ-ნა-ფუინი).

ქუნ- (ქუეტ-) – «თქმა», «ლაპარაკი» (ქუნდი [კალაქუნდნი, ლაიქუნდნი, მორიქუნდნი], ქუნია, ვალაქუნტა, ქუნტა სილმარილიონი). სინდარულ ფორმებში ქუს პ (ან ბ) ანაცვლებს. მაგ, პედო «თქვი» მორიის დასავლეთი კარიბჭის წარწერაზე შეესაბამება ქუენიურ ფუძეს ქუეტ; ხოლო კარიბჭესთან წარმოთქმული განდალფის სიტყვები ლასტო ბეთ ლამენ ნიშნავს: «ისმინე ჩემს ენაზე თქმული სიტყვები», სადაც ბეთ, «სიტყვები» ქუენიურ ქუეტას შეესაბამება.

ხილ- – «დევნა», «გაყოლა» (ჰილდორი, ჰილდორიენი, ელუხილი).

ჰადოდ – სახელში ჰადოდრონდი (კჰაზად-დუმის თარგმანი) სინდარული ბგერებით ინტერპრეტირებულ კჰაზადს წარმოადგენს.

ჰაუდ – «ბორცვი» (ჰაუდ-ენ-არუნ, ჰაუდ-ენ-ელეთ და ა. შ.).

ჰერუ – «მეუფე», «ბატონი» (ჰერუმორი, ჰერუნუმენი; სინდარული ჰირინ გონჰირიმ, როჰირიმი, ბარაჰირი; ჰირილ «ქალბატონი», «ქალი» სახელში ჰირილორნი.).

ჰიარმენ – «სამხრეთი» ქუენიაზე (ჰიარმენტირი); სინდარულად ჰარ-, ჰარნ, ჰარად.

ჰით – «ნისლი» (ჰითაეგლირი, ჰითლუმი, აგრეთვე ნენ ჰითოელი, ტბა ანდუინში). ჰითლუმი ქუენიური ჰისილომედან ადაპტირებული ვარიანტია (ქუენიაზე ჰისიე ნიშნავს «ნისლს»).

ჰიმ – «გრილი» სახელში ჰიმლადი (და ჰიმრინგი?).

ჰინ – «შვილები»; ერუჰინი, «ერუს შვილები»; ნარნ ი ჰინ ჰურინი.

ჰოთ – «ლაშქარი», «ურდო» (თითქმის ყოველთვის უარყოფით კონტექსტში) სახელებში ტოლ-ინ-გაურჰოთი; აგრეთვე, ლოს(ჰ)ოთ, ფორო-ხელელი თოვლისკაცები (იხ. «ბეჭდების მბრძანებელი» დანართი «ა») და გლამჰოთ «ხმაურიანი ურდო», ორკთა სახელი.

მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა

«ჰობიტისა» და «ბეჭდების მბრძანებლის» ქართულად გამოცემის დღიდან მკითხველი მოუთმენლად ელოდა ე. წ. შუახმელეთის საგის კიდევ ერთი ნაწარმოების, «სილმარილიონის» მშობლიურ ენაზე ხილვას.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულ სამივე ნაწარმოებში მოქმედება ერთსა და იმავე გამოგონილ სამყაროში, ან თუ გნებავთ, ჩვენი სამყაროს ალტერნატიულ რეალობაში მიმდინარეობს, სტილისტურად ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. თუ «ჰობიტითა» და «ბეჭდების მბრძანებლით» ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების მკითხველი შეიძლება დაინტერესდეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ «სილმარილიონი», ძირითადად, ტოლკინის შემოქმედების უდიდეს მოყვარულთა საკითხავია.

ალბათ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ «სილმარილიონი» მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოიცა, როცა ტოლკინი და მისი «ბეჭდების მბრძანებელი» მთელ მსოფლიოში უკვე ძალიან პოპულარული იყო. «სილმარილიონი» კრებულია მითებისა, რომელთა შეთხზვა ტოლკინმა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას დაიწყო. სწორედ ამ მითებიდან იშვა «ჰობიტი» და «ბეჭდების მბრძანებელი», თუმცა, უჩვეულობისა და უნიკალურობის გამო, იმის შიშით, რომ მკითხველი ამ «კალმით შექმნილ» მითოლოგიას არადამაჯერებლად ჩათვლიდა, გამომცემლები მის გამოცემაზე უარს ამბობდნენ. რასაკვირველია, დღეს უკვე წარმოუდგენელია ტოლკინის შემოქმედების მოყვარულად მიიჩნევდე თავს და «სილმარილიონი» არ გქონდეს წაკითხული.

მიუხედავად იმისა, რომ «სილმარილიონი» მე-20 საუკუნეში დაიწერა, მისი კითხვისას გიჩნდება შეგრძნება, რომ მართლაც მრავალსაუკუნოვან ტექსტთან გაქვს საქმე. ამას ხელს უწყობს ავტორის მაღალფარდოვანი სტილი, რომელსაც არქაიზმის ელფერი დაჰკრავს.

თარგმანში სტილი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, მაგრამ გათვალისწინებულია ისიც, რომ წიგნს თანამედროვე მკითხველი წაიკითხავს

და მიუხედავად ნარ-თანინი მრავლობითისა, ამა თუ იმ სიტყვის ან წინადადებათა წყობის მოძველებული ფორმების გამოყენებისა, თარგმანის, შეიძლება ითქვას, ფსევდოარქაული ქართული, მკითხველისთვის, ვფიქრობ, მაინც გასაგები იქნება.

გარდა ამისა, ყურადღებას გავამახვილებ ერთ ფაქტზე, რომელიც ალბათ, შეუმჩნეველი არ დარჩება მას, ვისაც «ბეჭდების მბრძანებლის» ქართული თარგმანი წაუკითხავს. «სილმარილიონის» ქართულ გამოცემაში შუამიწეთი (Middle-earth) ითარგმნა, როგორც შუახმელეთი. ამ წლების განმავლობაში ტოლკინის შემოქმედების უფრო ღრმად გაცნობამ დამარწმუნა, რომ ეს უკანასკნელი ვარიანტი დედნისეული სახელის ბევრად უფრო ზუსტი შესატყვისია. ამავე ფორმით შეგვხვდება ის «ბეჭდების მბრძანებლის» განახლებულ გამოცემაშიც.

ნიკა სამუშია

2015 წელი